ლუკან ლანჩავა

მესამე დასის საქართველო

ნაკვეთი პირველი

თბილისი, „მერანი“ 1989

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზიწარი გადაეფარა.

ილია



84Გр7-4
ს 262

რედაქტორი ნინო ახალკაცი

სპეცრედაქტორი გიორგი გაჩეჩილაძე

ს 4702017200—183
———— 89
მ 604(08)—89

© გამომცემლობა „მერანი"
კომერციული ფირმა „ვესტა"

წინაბეჭე

ძეო კაცისაო, შეჭამე მატიანი ესე,
და წარვედ და არქუ ძეთა ისრაელისათა.

ეზეკიელი, 3,1.

ეს წიგნი „უქარქაშო ხმლებისა“ და „დედა-ისტორიის“ გაგრძელებაა.

„უქარქაშო ხმლები“ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მზის ჩასვენებით დასრულდა.

„დედა-ისტორია“ — საქართველოს მამის მზის ჩასვენებით.

წიწამურის თოფთა გრიალი — შავი სამანი ჩვენებური მატიანისა, საქართველოს შვილებმა რომ საქართველოს ბებერი მამა ქართულ მიწაზე საზორველი ხარივით წამოაქციეს.

„დრო გაჩერდა“ — ეს იყო უკანასკნელი სტრიქონი „დედა-ისტორიისა“.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ სიტყვა, შეძრწუნებით ათრთოლებულ კალამზე უცაბედად დაცურებული.

ხოლო თვითონ დრო კვლავ ვიდოდა, — ვიდოდა იგი, ყოვლის მომცველი და ყოვლის მეუფე, მარადიულად დაუსვენარი სრბოლით და ბრძოლით, აღუთვალავ სხეულთა, სულთა, ფერთა, სახეთა შობით, კვდომით, აღდგომით, ყვავილშლითა და ყვავილჭკნობით, გარდასახვით და ფერისცვალებით.

და დროს მოსდევდა ისტორია — დროთა, ანუ ჟამთა აღწერა ქაცთა მოდგმის ნამოქმედართა.

და ამ მსოფლიო დრო-ჟამისა და „ჟამთააღწერილობათა“ მთლიანობაში, ქართველი ხალხიც კვლავ დაუცხრომლად განაგრძობდა თავის დრო-ჟამს და თავის ისტორიას.

და ეს წიგნიც სწორედ ესაა — მკითხველს უამბოს, როგორ წარიმართა საქართველოს დრო და ისტორია, სწორედ იმ შავი სამანიდან — დიდი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღიდან, ოცდაათი წლის განმავლობაში (1907 — 1937).

მაშ, ოცდაათი წელიწადი უ-ილია-ოდ.

დროის მთავარი გმირები — „მესამე დასელნი“.

დროის მთავარი მოტივები — ქართული სიცოცხლის გაიაფება და ეროვნული სისხლის მხოლოდ **სოციალურ ღირებულებამდე** დაყვანა.

წიგნის წერა დაიწყო 1987 წლის 2 აგვისტოს, — იმ დღეს, რა დღესაც ქართულმა ეკლესიამ წმინდანად აკურთხა საქართველოს ყველაზე დიდი ჭირისუფალი — წმიდა ილია მართალი.

და შენც, კეთილო მკითხველო, იხილე, რა ხდებოდა იმ ოცდაათი წლის მანძილზე „მესამე დასის საქართველოში“.

გული განიმტკიცე და იხილე: როგორ ადიოდა „ნორმაზე მაღლა“ დროის სინჯარაში ნალექი განუკითხავად დაქცეული ღვთაებრივი ქართული სისხლისა.

2 აგვისტო, ქრისტეს შობითგან
1987 წლისა.

კარი პირველი

წმინდანის კუბოს გარშემო

I. ჰირისუფლები

ჴზე ჩაგვისვენდა,
ბნელსა ვჰვრეტთ,
ღამესა ჩვენ უმთვაროსა.

რუსთაველი

ქრისტეს შობიდან დგას წელი 1907, თვე სექტემბერი.

და საქართველოში, საგურამოს წმიდა სახლში, დგას კუბო.

და იმ კუბოში საქართველოს უსვენია მისი წმიდა მამა, მისი ჰირისუფალი და ერისუფალი, რომელიც ერთი კვირის წინ თვითონვე ისევე მარტოდმარტო დაიტირებდა თავის ბედკრულ სამშობლოს, როგორც მისივე ოთარაანთ ქვრივი თავის უიღბლო ერთას.

გლოვად დგას მთელი საქართველო, ძველი გააზრებით — „ნიკოფსიიდან დარუბანდამდის“, ახალი ფაქტურით კი — სამი მეოთხედით შემოკლებული, რუსული საგუბერნიო, ყოფილი „საქართველო“.

და სანამ წმინდანი თავის სახლში უკანასკნელ დღეებსა და ღამეებს ითევს, მანამ უკვე დაიქცა უზღვავი ცრემლი, ითქვა და დაიწერა მრავალი სიტყვა საგლოველი და საგოდებელი.

პირველი ცნობა, „ისარი“, 31 აგვისტო, 1907 წელი: „ხუთშაბათს, 30 აგვისტოს, საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე“.

„ისარი“, 1 სექტემბერი: „საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ ტფილისში 30 აგვისტოს საღამოს 6 საათზე მოვიდა; „ისრის“ რედაქციამ-კი დეპეშა მიიღო მეცხრე საათზე, როცა გაზეთი უკვე დაბეჭდილი იყო და პროვინციაში წასაღებად უკვე სადგურზე გაგზავნილი. ამიტომ თვით სტამბაში მოესწროთ ორი სტრიქონის ჩამატება და ისიც ტფილისის ხელისმომწერლებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ისრის“ თანამშრომელს, შემთხვევით იმ დღეს მცხეთაში მყოფს, რედაქციისათვის დეპეშა ნაშუადღევის 4 საათზე გამოუგზავნია, რედაქციაში — კი საღამოს მეცხრე საათზე მიიღეს! დაუჯერებელი ამბავი იმ საღამოსვე მსწრაფლ მოედო მთელ ტფილისის ქართველობას და თავზარი დასცა ყველას“.

საზარელი მკვლელობა

„მოგვიკლეს ილია ჭავჭავაძე! საოცარია და დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტია უკვე, საშინელი ფაქტი. არა გვგონია, რომ იყოს ისეთი შეგნებული ქართველი, რომელსაც ცოტა რამ უღვივის გულში და სინდისი შერჩენია, რომ არ აღშფოთდეს და არ შეძრწუნდეს ამ საშინელების გაგონებაზე. ეს რა დღეს მოვესწარით, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს?

ორმოცდა-ათი წელიწადი ამ ადამიანით ვამაყობდით; მის დიდ ნიჭს, საკვირველ ჭკუას, დიდ ენერგიას ვცემდით თაყვანს; მისი ამაგით და განუზომელის ღვაწლით ჩვენი ქვეყნის წინაშე ვიყავით მოხიბლულ-მოჯადოებულნი და ვინ, რომელმა მხეცებმა და სულმდაბლებმა დაგვასხეს ახლა თავს ლაფი და გამოგვჭრეს ყელი?

ილია ჭავჭავაძე! ეს ხომ ჩვენი დიდი პოეტი იყო, რომელიც საუკეთესო გრძნობებს გვიღვიძებდა და გვინერგავდა; რომელმაც დაგვიწერა „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „აჩრდილი“, „განდეგილი“? ეს ხომ ჩვენი პირველხარისხოვანი მწერალი იყო, რომელმაც შეჰქმნა ახალი ხანა ჩვენს ლიტერატურაში და რომლის თხზულებებზე პირველი მოქალაქეობრივი აღზრდა მიიღო ორმა თაობამ მაინც? ეს ხომ ჩვენი პირველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელმაც პირველად გაჰკაფა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი და თავის ამხანაგების პატარა წრის დახმა-

რებით დაგვიარსა ყველა ჩვენი საკულტურო დაწესებულებანი? ეს ხომ იმ პატარა ჯგუფის პირველ რიგში იდგა, რომელმაც მესამოცე წლების ხანა შეჰქმნა ჩვენში, — ხანა განახლებისა და აღორძინებისა?!

და აი, ამ ადამიანს, ამ დიდ მოჭირნახულეს, დიდ მოამაგეს ვერაგულად მოუსპეს სიცოცხლე. მერე როდის? როცა ქვეყნის სამსახურში მოიქანცა, დაუძლურდა, დაბერდა, და ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა. ასე დავაჯილდოვეთ, ასე დავაფასეთ მისი წარსული ღვაწლი და სამსახური, მეტი ბარბაროსობა, მეტი გახრწნილობა შეუძლებელია! ამაზე შორს ველარ წავალთ, — ის-და დაგვრჩენია, მხოლოდ ერთმანეთს დავერიოთ და ყველანი ამოვიჟლიტოთ...

რა ვთქვათ, რით ვიმართლოთ თავი უცხოთა წინაშე? იმათ წინაშე, ვინც ილიასთანა მოღვაწეებს დიდების გვირგვინით უმკობენ შუბლს, ჩვენ-კი ტყვიებით დავუხვრიტეთ? რუსეთის სარევოლუციო პარტიები ბრძანებას სცემენ — იდეურ მოწინააღმდეგეთ ხელი არავინ ახლოსო და ისეთი ხულიგანები, როგორიც არიან პურიშკევიჩები, კრუშევანები, გრინგმუტები, რომელნიც შხამავენ რუსეთის პოლიტიკურ ჰავას და სათავეში უდგიან ახლანდელ შესაზარ რეაქციას, — ესეთი ხულიგანები თავისუფლად სცხოვრობენ, ჩვენკი ილია ჭავჭავაძე — ჩვენი საუკეთესო პოეტი, ჩვენი პირველი საზოგადო მოღვაწე — მოვკალით. გონება გვებნევა, როცა გავიფიქრებთ, რომ ილია პოლიტიკურს ნიადაგზე არის მოკლული... არა გვჯერა, რომ ასეთ გახრწნილობამდე მივედით. გუშინ მთელი ტფილისი ამას იმეორებდა. მაგრამ ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ აქ წინადვე განზრახული, დამზადებული და გადაწყვეტილი მკვლელობა იყოს. ეს თავის ინიციატივით ჩაიდინეს, ალბათ, უმეცარმა, გონებადაბნელებულმა ადამიანებმა, რომელთათვის კაცის მოკვლა არავითარ სიძნელეს არ შეადგენს — გადაგვარებულებმა, რომელთაც გამოჩენილ ადამიანის მოკვლა გმირობათაც მიაჩნიათ...

დღეს მთელმა ქართველმა ერმა უნდა იგლოვოს არა მარტო ილია ჭავჭავაძე, უაზროდ და ვერაგულად მოკლული და ბარბაროსულად დასჯილი, არამედ მთელი ჩვენი აწმყო, სრულიად დაშლილი და მოსპობის გზაზე დამდგარი. სად მივდივართ, რათ ვითხრით სამარეს ჩვენისავე ხელებით! განა წარსულის ასე ბარბაროსულად უარყოფა და მოსპობა სრულიად გადაგვარების ნიშანი არ არის?.. განახლების ხანა დგებაო. მართალია დგება, მაგრამ ვაი თუ არა

ჩვენთვის! ჩვენ ერთობ სუსტი, სისხლწამხდარი და ფუქსავატი ერი ვყოფილვართ და ჩვენ ვერ ვისარგებლებთ ვერავითარი განახლებით, თუ დროზე გონს არ მოვალთ, თუ არ გამოვერკვევით, არ გამოვეფხიზლდებით იმ ფანატიკური სიგიჟისაგან, რომელმაც ასე ადვილად აგვიყოლია და ასე დაგვაბრმავა...

გონება გვებნევა და სიტყვა გულში გვიკვდება სიმწარისაგან... ჩვენც, ამ გაზეთის თანამშრომელნი, კარგა ხანია დავშორდით ილიას და მის თაობას; ჩვენს შორისაც იდეური წინააღმდეგობა იყო; მაგრამ ერთ წუთსაც არ დაგვივიწყნია იმ ადამიანის წარსული ღვაწლი ჩვენის უბედურ სამშობლოს წინაშე და ყოველთვის პატივსა ვსცემდით მის სახელს. ახლა მისი გაცივებული გვამის წინაშე ვდგევართ თავზარდაცემულნი და არ ვიცით, რა სიტყვებით გამოვთქვათ ჩვენი უზომო მღელვარება, სიმწარე, უნუგეშო მწუხარება და რა სიტყვებით დავგმოთ, დავსწყეველოთ მისი მტარვალები... („ისარი", 1 სექტემბერი).

სიტყვა, თქმული დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის მიერ, ილიას პანაშვიდზე, ქვაშვეთის ტაძარში, 1 სექტემბერს:

მოიხსენიეთ წინამძღვარნი იგი თქვენნი...
და ბაძევდით სარწმუნოებასა მათსა.
(ებრ. 13,7).

გვამცნობს მოციქული პავლე და ჩვენც, აღმსრულებელნი ამ მცნებისა, შევკრებილვართ დღეს ილიას სულის მოსახსენებლად. წინადაც მრავალჯერ შევკრებილვართ ამ ტაძარში, ამა თუ იმ პატივცემულის პირის სულის მოსახსენებლად, მაგრამ ასეთი მწუხარება ვერ შეგვიმჩნევია: დღეს, დიდს თუ პატარას, ქალსა თუ ვაჟს, განუსაზღვრელის მწუხარების ნიშანი აღბეჭდვია სახეზედ. დღეს თითქმის ყველას დავიწყებია საკუთარი ჭირი და ვარამი, და ყველა ილიას დაკარგვას გლოვობს: ილია აღარ გვყავს, ილია მოგვიკლესო, გვესმის ყოველმხრივ...

ამ მოვლენის მიზეზი ცხადია: ყველა ქართველს ილია მიგვაჩნდა არა თუ მარტო დიდებულ მწერლად, ანუ ფასდაუდებელ მგოსნად, გინა თუ გამოჩენილ და სასიქადულო საზოგადო მოღვაწედ, არამედ, და უმთავრესად, გზის მაჩვენებლად, ანუ, სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა, — წინამძღვრად. ჭეშმარიტად „ჭმუნვასა და სიხარულში იგი იყო ჩვენი ნუგეშის „შთამაგონებე-

ლი“ და შვების მომცემი, ხოლო „ფიქრის, საქმის, შრომის დროსა“ ხომ იმას ბადალიც არა ჰყავდა: მისი რჩევა და დარიგება უსასოდ-ქმნილს იმედს ჩაუნერგავდა გულში და ბედისაგან განლაღებულს განსაცდელისა და საფრთხისაგან დაიხსნიდა...

მაგრამ დღეს ილია აღარა გვყავს, ილია მოგვიკლეს, ილია მოგვაშორეს სწორედ მაშინ, როცა მისი ქველობა და გამოცდილება ფრიად საჭირო იყო იმ მამულისათვის, რომლის აყვავება-აღორძინებაზედ იგი ოცნებობდა სიყრმიდამ მოხუცებულობამდე, მოგვაშორეს უეცრივ და მოულოდნელად.

რა დაგვშთენია დაობლებულთ? ნუთუ მარტო ტირილი და გოდება, სულთქმა და წუხილი? არა! მართალია ილია მოგვიკლეს, ილია მოგვტაცეს, მაგრამ მოკლეს ილიას ხორცი და არა სული. „კაცია-ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“, „აჩრდილის“, „დიმიტრი თავდადებულის“ და მრავალ სხვათა შემქმნელი ვერ მოკვდება ქართველთა ერის ხსოვნაში; ქართველთა ერი ვერ დაივიწყებს მას, ვინც მუხლმოდრეკილი ლმობიერად ევედრებოდა მამაზეციერს:

„მსურს განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიხარულით ამენთოს გული“;

ვერ მოკვდება ჩვენ გონება-მეხსიერებაში ის, ვინც:

„წმინდა სიტყვას უშიშრად მოჰფენდა ხალხში“;

მუდამ დაუვიწყარი იქნება ის, ვინც მოზარდ თაობის აღმზრდელებს დაჟინებით უქადაგებდა:

„საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს“;

საუკუნოდ სახსენებელი იქნება ის, ვინც გამუდმებით გვიკარნახებდა:

„ვაქკაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო,
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,

ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგა ლომსაო";

სამარადისოდ უკვდავი იქნება ხსოვნა მისი, ვისაც

„ერის წყლული აჩნდა წყლულად,
ეწოდა მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დადაგვია მტკიცე გული"...

ჩვენი ვალია, ილიას ნათქვამ-ნაანდერძევი საქმედ ვაქციოთ, სარგებლობა მოვუტანოთ, ვინაითგან სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ არს (იაკობ, 2,20), ანუ, როგორც თვით ილია ამბობს:

„ცხოვრებას აცისკროვნებს სული საქმით მეტყველი"...

ხოლო ამ შავსა და უბედურ დღეს კი ვინუგეშოთ თავი მით, რომ:

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს,
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია"...

ამინ!

წერილი მიხეილ ჯავახიშვილისა (მ. ად-ლი):

მოჰკლეს პოეტი!

უღვთო იყო შენი სიკვდილი

კალამი მითრთის... ენა მებმის... აზრი მერევა.

ტყვიით განგმირეს მხცოვანი გული მხცოვანის პოეტისა და გვამი მისი დააგდეს მტვრიან შარა გზაზე.

განგმირეს ის გული, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენთვის იწვოდა ღვთაებრივ ცეცხლის ალზე, ჩვენთვის თრთოდა და ჩვენთვის ფეთქავდა.

მოჰკლეს პოეტი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავისი კისრით ატარებდა ქართულ ლიტერატურას, რომელმაც შეჰქმნა ქართული ენა, ქართული პრესა, ქართული მწერლობა.

მოჰკლეს და შარა გზაზე დააგდეს ის ილია, რომელიც 40 წლის

განმავლობაში ბატონობდა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ეროვნულ იდეას.

მოჰკლეს და ტყეს შეაფარეს გაშავებული და საუკუნოდ შერცხვენილი თავი, თითქო იმ ტყეს შეეძლოს მათი პირისახიდან ჩირქის ჩამორეცხა, თითქო მას შეეძლოს მათი დამალვა და თითქო იქ კი არ დაუხვდებათ სამარცხვინო ბოძი, რომელზედაც ცეცხლის ასოებით ეწერება: „ამ ნაძირალებმა მოჰკლეს პოეტი“!

ვის ან რად უნდოდა ბრძოლაში დაფლეთილი გული პოეტისა, რად უნდოდა მისი დაღლილ-დაქანცული სული და ჯანგამოლეული სხეული? ბრძოლის ველიდან გასულ მეომარს, დატანჯულსა და დაქანცულ პოეტს უფლება ჰქონდა მშვიდად დაელია თავისი სიცოცხლე, დაესვენებინა დაიარავებული სხეული და სიბერეში მაინც აენაზღაურებინა ის დანაკლისი სულიერი მშვიდობიანობისა, რომელიც ახალგაზრდობაში მსხვერპლად მიუტანა საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ქართული ლიტერატურის საკურთხეველს.

მაგრამ ავ სულს შეჰშურდა მისი მშვიდობა და ისედაც მოწამლული სული აწამა და ჯვარს აცვა. ვინ იყვნენ ის უმეცარი და უგუნური ბარბაროსები? ვინ აღმართა მახვილი პოეტის წინააღმდეგ! ვინ მოუშხამა უკანასკნელი წუთები მოშხამული სიცოცხლისა?

არავინ არაფერი არ იცის: დაუხვდნენ შარა გზაზე, გაუგმირეს გული, იქვე დააგდეს მისი გვამი და ტყეს შეაფარეს თავი. ცხადია მხოლოდ ის, რომ პოეტის მკვლელები დაიბადნენ დღევანდელი ცხოვრების უფსკრულში. საზოგადოებრივი აღფრთოვანება შეიცვალა საზოგადობრივ დაღლილობაზე, ზნეობრივი ნორმები— თავგასულ ავაზაკობაზე, უფლება — ძალაზე, ხოლო გუშინდელი ბრძოლის ველი, რომელიც გაჟღენთილია თავგანწირულ წმინდათა სისხლით, დღეს ხელში ჩაუვარდათ ტყის ნადირებსა და ავაზაკებს. ღამის წყვდიადში ტყეებიდან და სოროებიდან გამოილალნენ ტურები და მგელკაცები და დაერივნენ ყველას, ვინც ახლომახლო მოჰხვდათ. იმსხვერპლეს რამდენიმე მოღვაწე და ეხლა არც მხცოვანი პოეტი დაინდეს. მისმა მხცოვანმა მკერდმა, ლიტერატურულ ისრებსა და შურდულებს ნაჩვევმა მკერდმა ცხელი ტყვიაც მიიღო და სამუდამოდ გააცივა დღემდის ძალუმად მფეთქავი და ღვთაებრივი ცეცხლით აღგზნებული გული.

მოკვდა პოეტი! მოკვდა სხეული, მაგრამ არ მომკვდარა მისი სახელი და დიდება და არც მოკვდება იმ დრომდის, სანამ სძგერს გული ქართველისა, სანამ არსებობს თვითონ ქართველი, სანამ არსებობს მისი ენა, ილიასგან გაფაქიზებული, და ქართული კალამი და წიგნი, ილიასგანვე განმტკიცებული და გასუფთავებული.

მხცოვანო პოეტო!

„უღვთო იყო შენი სიკვდილი!“ („ისარი“, 1 სექტემბერი).

წერილი მიხეილ (მიხაკო) წერეთლისა („Bâton“):

„კაცია-ადამიანი?!“

საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის სიკვდილისა მეხივით დაატყდა მთელ საქართველოს! მოჰკლეს ვინ — ილია ჭავჭავაძე! არავინ თავის გულში ფიქრადაც არ გაივლებდა ასეთ რამე საზარელს, საზიზღარსა და უცნაურს!

ადამიანი, რომელმაც თავისი გული ჩონგურად აქცია და რომელიც ამ ჩონგურის სიმებს საქართველოსთვის აჟღერებდა ტკბილად და ძლიერად; ადამიანი, რომელმაც თავისი თავი უმაღლეს გონების ჭურჭელი, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამუშავა საქართველოს ერის გულისათვის; ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სულის სიმტკიცე და ძალა შესწირა ჩვენს დაბეჩავებულ ცხოვრების აღდგენას. განმშვენიერებასა და განსპეტაკებას, ეს ადამიანი წარიტაცა დღეს ვიღაცის მურტალმა ხელმა!

„ვინ მოჰკლა ილია“ — აი, საშინელი კითხვა, რომელიც დღეს მთელ ერს უდგია წინ და რომელიც დაუყოვნებელ პასუხს თხოულობს. პასუხის გაუცემლობა მთელ ერს საშინელ, სამუდამო სირცხვილის ლაფში ამოსვრით ემუქრება!

ვინ მოჰკლა ილია? ქართველებმა თუ სხვა ერის უმსგავსომ? თუ ქართველმა მოჰკლა, — მაშინ, ცხადია, რა ქართველიც აიღებდა თავზედ ამ ყოვლად უმსგავსო, საშინელ და არაჩვეულებრივ საქმეს, რომლის მაგვარიც ქვეყნიერებას ჯერ არა სმენია! პოეტი, პუბლიცისტი, ახალი ქართული ენის დიადი შემქმნელი, პირველი მეტყველი ქართული ენისა — მოჰკლეს, განუკრეს სიცოცხლე, როგორც ვინმე ავაზაკს, ან ქურდს, ან მავნე ადამიანს! ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს იმისათვის, რომ იგი, როგორც მავნე პირი საზოგადოებისათვის, რომელსამე „უდიდეს იდეას“ უნდა შესწირვოდა ზვარაკად? ილია ჭავჭავაძე უნდა მოეკლათ, იმისი სიცო-

ცხლე იყო მავნე საქართველოს ხალხისათვის, და ათასმა გოშია-გოსპარამ, რომელთაც თავს იდვეს ჩვენი ცხოვრების მოწყობა და ნაცვლად შერყვნენ, გაანადგურეს, შეურაცხყვეს იგი, — უნდა იცოცხლონ, რომ ხალხს მალამოდ მოეცხონ?

თუ მართლაც ილია ქართველებმა მოვკალით და შევირცხვინეთ თავი ამიერიდან უკუნისამდე, სამარადისოდ გამოვირიცხეთ ჩვენვე ჩვენი თავი ხალხთა რიცხვიდან, მთელი კაცობრიობიდან, — ნება მომეცით ეკითხო მთელ საქართველოს ილიასავე სიტყვებით: ჩვენში, საქართველოში, საზოგადოდ მთელ საქართველოში, შავი ზღვიდან დაწყებული დაღესტნის საზღვრებამდე — „კაცია-ადამიანი?!“ თუ მხეცია, ადამიანის სახით მოვლენილი და ამ მხეცმა, ქართველმა კოლექტიურმა მხეცმა წაიყვანა გოლგოთას ილია ჭავჭავაძე ეკლის გვირგვინით და თვით კი ლაფის გვირგვინი დაიდგა თავზე მთელის კაცობრიობის თვალში?!

ან იქნება ილია არაქართველებმა მოჰკლეს?..

რა მიზეზიც უნდა იყოს იმის მკვლელობისა, ვინც უნდა იყოს მისი მკვლელი, საქართველოს დღეს ჩირქი მოეცხო, ისეთი ჩირქი, რომლის მსგავსიც მას არასოდეს არ მოსცხებია, და თუ მართლა დღეს ჩვენში კიდევ დარჩენილა კაცი, რომელსაც ადამიანი ჰქვიან. რომელიც თავის თავსა სთვლის ადამიანად, ერთადერთი რამ დაგვრჩენია, — შურისძიება! მაგრამ ჩვენი ქვეყანა სიგრძე-სიგანით შეურაცხყვეს და გააუპატიურეს, — ხმა კი არავის ამოუღია ვაჟკაცურად და ღირსეულად. გარდა სასოწარკვეთილის ლაჩრული ზახილისა, ღონემიხდილი შერცხვენილისა ჩვენში ძლიერი ხმა არავის სმენია კაი ხანია, და რა იმედი-ღა უნდა გექონდეს, რომ ეხლა მაინც შეიცვლება ეს სამარეში ჩასასვლელად მომზადებული, რომ ხელში ავიღოთ მახვილი და მტერი განვგმიროთ, ვინც უნდა იყოს?!

მაგრამ, მითხარით, ჩვენში ამისათვის ვის შესწევს ძალა, მითხარით, საქართველოს სინდისი კიდევ ცოცხალია, თუ სამუდამოდ დაიმარხა საშარეს ილია ჭავჭავაძესთან ერთად? დაე, ახლა გამოჩნდეს ყველაფერი!

ჰფიქრობ კაცი ყოველსავე ამას, თავში აზრები გერევა, ფეხთაგან ნიადაგი გეცლება, ჰქრება ხალისი მუშაობისა, უიმედობა გულს გესახება, იქ ჩირქდება და სქელ, შხამიან ბალღამად იქცევა, და „უსასოდ ქმნილს“, „ეჰვით შეპყრობილ“ ივერიის ძეს მთელი თავისი საშინელებით გეყუდება გონების წინაშე თავზარდამცემი

კითხვა: რისთვის იტანჯები, რისთვის იღვწი და სანთელივითა დნები ჩვენს უცნაურს ქვეყანაში? აქ, ამ გათახსირებულ დანაშაულთა სამფლობელოში მართლაც „კაცია-ადამიანი?!“ („ისარი“, 2 სექტემბერი).

წერილი დომინიკა ერისთავისა (განდეგილისა):

კაენ, სად არის ძმა შენი?

„იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია,
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური.“

ასე სთქვა მგოსანმა და ისე არსად გამართლებულა ეს უკვდავი სიტყვები, როგორც უბედურს საქართველოსა და თვით ამის მთქმელს ილიაზე.

ჩვენ გვესმის, რომ მტრობა და შური, არა თუ ჩვენისთანა ნახევრად ველურთა შორის, თვით დაწინაურებულს ქვეყნებშიაც ფესვგადგმულია; ჩვენ ვიცით ბევრი მაგალითები, რომ სამშობლოს საუკეთესო შვილნი საქვეყნო მტრად მიუჩნევიათ და სამარცხვინო ბოძზე მიუკრავთ სრულიად დაუმსახურებლად; გვახსოვს, როგორ მოექცა საფრანგეთის ხალხი ზოლას, რომელიც რამდენსამე ათეულ წლების განმავლობაში ფხიზელ დარაჯად ედგა თანამემამულეთა ავსა და კარგს; ეს შარავანდედით მოსილი ბოძი ფრანგთა აზროვნებისა სამშობლოდანაც კი გააძევეს იმიტომ, რომ იმან საჯაროდ აღიარა სიმართლე ერთისა და დაჰგმო სიცრუე მრავალთა. გვახსოვს ისიც, რომ იმისი ავეჯი საჯარო ვაჭრობით გაჰყიდეს და ვითომ ამითი დაამცირეს მართლის მთქმელი. კარგად ვიცით, რა უყვეს იესოს, რომელმაც ხმა აღიმაღლა ადამიანთა თანასწორობისათვის, — გოლგოთაზე აიყვანეს და ჯვარს აცვეს. მაგრამ ყველა ამას თავისი ახსნა-განმარტებაც თან ახლავს...

ხოლო რითი აიხსნება ილიას მოკვლა? შესაძლებელია, ვინმე გულუბრყვილომ სთქვას — ეს სენი საერთოდ მიღებულია რუსეთის ქვეშევრდომთა შორის და აგრარულ მოძრაობით გააფთრებულმა ხალხმა აქაც იჩინა თავისი ძალაო.

შეცდომაა!

თვით მე, ამ სტრიქონების მწერალს, არა ერთხელ და ორჯელ მინახავს ილიასთან სადღესასწაულოდ მოსული გლეხობა, მასთან

მომეჯლისე; მინახავს, როგორის აღტაცებით შესცქეროდნენ ილიას, როდესაც ის ჩადგა მათ შორის და წაიკითხა „გუთნის დეღა“:

„ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“.

რა გინდ უკმაყოფილო ყოფილიყო გლეხობა, რა გინდ ბრაზმორეული ყოფილიყო, ილიას მაინც არ მოჰკლავდა, საგურამოს გლეხობა ილიას სისხლის დანთხევას ვერ იკისრებდა, იგი წმინდაა იმის სისხლისგან.

ჩვენ რომ ვამბობთ „გლეხობა“, აქ წოდებრიობას როდი ვგულისხმობთ. შესაძლებელია ცოდვილი შვილი აბ გლეხთა შორისაც გამოერია, მაგრამ ის გლეხი კი აღარაა, იგი დაჭირავებული ჯალათია, სხვისი სურვილისა და ბრძანებისა ყურმოჭრილი მონა, უვიცთა და სულით ღატაკთა ბრმა იარაღი.

ჰკუის საბუდრის სიცალიერემა და უვიცობის წყვდიადში ბოდიალმა, ეჰვი არ არის, იქამდე მიიყვანა გზა-კვალ მოშურნე, რომ, უმეცრების ლაფში შეტოპილმა, სხვა ხსნა ველარ ჰპოვა, თუ არ სამარცხვინო და საშვილიშვილოდ დასაგმობი მკვლელობა. მოკლა სამარის კარად მისული მოხუცისა. მოკლა იმ ადამიანისა, რომელიც ორმოცდაათის წლის განმავლობაში ხალხის გამოფხიზლების საქმეს ემსახურებოდა, რომელმაც გულისტკივილით წამოიძახა: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აჰყვავდები“-ო, ისეთი ურცხვი თავხედობაა, რისთვისაც თვით უსასტიკესი მსჯავრიც კი ცოტაა.

ვინ უნდა დასდოს ეს მსჯავრი ილიას სისხლის მტვირთველს? ნაფიც მოსამართლეებმა? საზოგადოებამ? — ერთმაც და მეორემაც, მაგრამ ყველაზე დიდი მოვალეობა ამ შემთხვევაში თვით საგურამოს მკვიდრთ ადევთ: დაე, თვით ილიასთან ნაპურმარილევმა გლეხობამ დაჰგმოს საზიზღარი მკვლელი, დაე, უსიტყვო ტყემაც შესძახოს გარეწარს: „კაენ, სად არის ძმა შენი?“ („ისარი“, 2 სექტემბერი).

წერილი იროდიონ ევდოშვილისა:

ნაძირალებს

ცხოვრების ნაძირალებო! თქვენ, რომელნიც არ მალავთ თქვენს ღიმილს და სიხარულს, ავაზაკების მიერ განგმირულს ქართველების დიდი მგოსნის გვამთან. თქვენ, რომელნიც ასე ნასიამოვნები დღრ-

ჩით მისის სიკვდილით, შეეკითხეთ თქვენს სინდისს: „რა დააშავა ილიამ ისეთი, რომ ის სიკვდილის ღირსი ყოფილიყოს“. აშკარად და ხმამაღლა გამოაქვეყნეთ ეს და არა ქუჩის კუთხეებში ფურჩულით. ხუთუ არ გესმით, რომ თქვენი ღიმილი ვაშაა ავაზაკებისადმი! რომ იგი თანაგრძნობაა მწერლის ჯალათებისადმი, იმ მწერლისა, რომლის ნაწარმოებით თვით თქვენვე აღიზარდენით, რომელიც 50 წლის განმავლობაში ამდიდრებდა ქართულ ღარიბ მწერლობას.

მაგრამ თქვენისთანა უგვანო — უმადურთათვის არის მხოლოდ ქვეყანაზე კუჭი, რომლის ამოსავსებად თქვენვე, სპეტაკ-სინდისიანნი, არ ერიდებით არავითარ გზას. მერე უფრო საიდამ ისმის ეს სიხარულის ყიჟინა? იქიდან, რომელნიც ყველაზე მეტად უნდა სწუხდნენ, რომელნიც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ დაკარგული მგოსნის მადრიელნი!

უმადურნო! დედის შემდეგ თქვენს გონებას ძუძუ აწოვა ქართულმა მწერლობამ და იმ ენის მწერლებმა, რომელი ენის გარდა თქვენ სხვა ენა არ იცით, და მხოლოდ ამ ენის მწერლობის საშუალებით აგიხელიათ თვალები.

მაგრამ, რას ვამბობ, თქვენ ისე აგიხელიათ თვალები, როგორც იმ ავაზაკს, რომელიც მუხანათათ დაეცა უიარაღო მოხუცებულს. თქვენც იმავე ავაზაკობის შორს აღარ წასულხართ თქვენის სინდისით, თქვენის პატიოსნებით. თქვენ ეკუთვნით იმ პირუტყვებს, რომელნიც უძლურების გამო, წკმუტუნებენ და ჰყეფავენ. რამდენს ამოუყენებთ დაკარგულს მგოსანს თანასწორს? ან იქნება იმისთვის ყეფავთ, რომ მისის დამდაბლებით თვით ამაღლდეთ, ჭიებო! ჭიაყელა ვერ მოისხამს მიმინოს ფრთებს! მე, ჩემ თანამოძმე ახალგაზრდა მწერალთა მხრივ გითვლით თქვენისთანა ჯურის ქვემძრომებს უღრმეს ზიზღს და ჩამოუწმენდავ ფურთხს.

ჩვენ კი, შენი მოწაფენი, ჩვენო მასწავლებელო და ძვირფასო მგოსანო, შენს საფლავს შევამკობთ ჩვენის შენდამი სიყვარულით“ („ისარი“, 4 სექტემბერი).

წერილი ია ეკალაძისა:

ამონაკვესი

გაიხარენით, ჩვენი ქვეყნის დამაწყევარნო, გაიხარენით, ბიჭებუჭებო, ნაძირალებო, გაიხარენით, ხალხის მტრებო, ხულიგანებო: მოჰკლეს ილია — საქართველოს ჭირისუფალი!

იცინეთ, მგლებო, კრავის ტყავით მოსარულებო, იცინეთ, მხეცნო, კაცის სახის მატარებლებო, იცინეთ, ბრიყვნო, დედის ძუძუს უარმყოფლებო: მოჰკლეს ილია, სამშობლოს მაღმერთებელი!

ტაში დაჰკარით, ითამაშეთ, ჩამოუარეთ, გაინაწილეთ მისი ქურქი, მისი ქოხება... რაღას უყურებთ, უწმინდურნო! გაცივებულ გვამს აღარც მკლავი უჭრის, აღარც აზრი და არც გონება!

შაშ, გაიხარეთ! ხომ გასთელეთ მურდალის ფეხით მრავალტანჯული საქართველოს თავმოყვარეობა? ხომ შეაგინეთ, ხომ წაბილწეთ, ხომ დაამცირეთ ჩვენის მწერლობის დედა-ბოძი და უკვდავება?!

სხვა რაღა გინდათ?! იცინეთ-მეთქი! რკინის შანთებით დაგვისერეთ სული და გული... ახია ჩვენზე — მცონარეებზე! ერი ბედკრული ღირსია მეტის წამებისა, გათახსირების.

იქნებ ოდესმე მოიკრიბოს თვისი ძალ-ღონე და შეებრძოლოს დამჩაგვრელებს, იუდის კერძებს!

დედავ ქართველისა! ზიზღით დაჰგმე შენ შენი შვილი, ჩოხის მაგიერ დიაცურებ კაბა ჩააცვი, თუკი იმდენად დაძაბუნდა და დაეაგლახდა, რომ კუჭის გარდა აღარაფერს აღარ დაეძებს!!" („ისარი", 4 სექტემბერი).

წერილი ქუთაისიდან:

ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი მეხივით დაეცა ყველას. 30 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე ქალაქში აქა-იქ გავრცელდა მკვლელობის ამბავი, მაგრამ არავის სჯეროდა ასეთი ველური ამბავი. გამოკითხვის შემდეგ გაიგეს, რომ სოხუმში ქუთაისზე გაეგზავნათ დეპეშა საზიზღარი მკვლელობის შესახებ. ეჭვი აღარ იყო. ყველა აღშფოთდა და გაოცდა: „ვისთვის იყო საჭირო მისი მოკვლა?" ბამწუხარო ამბავი ერთს წუთს მოედვა მთელს ქალაქს. ქალაქის გამგეობაში სხდომა იყო, რომელიც დაუყოვნებლივ შეწყვიტეს. გადაიდვა წარმოდგენა თეატრში. ბულვარში მოსეირნე ხალხი დაიშალა და სახლში წავიდა. 31 აგვისტოს, დღის 1 საათზე ქალაქმა გამოაკრა ქუჩებში სამგლოვიარო განცხადება, რომლითაც იწვევდა მცხოვრებლებს პანაშვიდისათვის. ქართულმა გიმნაზიამ და სხვა სასწავლებლებმა, ყველამ გადაიხადა პანაშვიდები, რომლის დროს მოკლედ აცნობდნენ მოსწავლეებს განსვენებულის ბიოგრა-

ფიას. ყველა წოდება, წრე, მთელი ქალაქი ემზადება ილიას დასაფლავებისათვის. ყველას სწყურია მოკვლის მიზეზის გამორკვევა.

2 ენკენისთვეს ქართული გიმნაზიის სამზ. კომიტეტისა და თ.-აზნ. მიერ გადახდილ იქნა პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მრავალი ხალხი მიეწყდა. ტაძარმა რომ ვერ დაიტია ხალხი, იგი გარეთ მოთავსდა, პანაშვიდი დაიწყო ეპისკოპოს ლეონიდის სიტყვით.

პანაშვიდის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელმა, ხოლო იმის შემდეგ მოსე ქიქოძემ წარმოსთქვა სიტყვა. მან სხვათა შორის სთქვა:

„ძნელი გასაბედია ამოდენა საზოგადოების წინაშე იმ უბედური მომენტის შეფასება, რომლის მოწმენი ჩვენ შევიქენით, მაგრამ გაჩუმებას ეს კადნიერება ვამჯობინე. 30 აგვისტო არ დაავიწყდება იმ ქართველს, რომელსაც არ დაუკარგავს ადამიანის სახე, რომლის ჭკუა-გონება ჯერ კიდევ არ გალაყებულა და რომლის გრძნობა არ გათახსირებულა. საზოგადო სენი მკვლელობისა მოედო ჩვენს ქვეყანასაც: ამის მაგიერად, ხელს ვუწყობდეთ ადამიანის დღეგრძელობას, ჩვენ ერთმანეთზე ავმხედრდით და საქმე იქამდის მივიდა, რომ მოგვიკლეს ილია ჭავჭავაძე. რისთვის, რა დააშავა? რამდენსამე საუკუნის განმავლობაში ბრძოლით დაქანცული საქართველო პირად ღირსებისა და თავისუფლების დასაცველად რუსეთს მიენდო; დაღლილმა მოსვენებას მისცა თავი; მოსვენება გადაიქცა ღრმა ძილად, იმდენად ხანგრძლივი იყო იგი, რომ მოსალოდნელი იყო ძირიანად აღმოეფხვრა ხალხის შეგნება.

საბედნიეროდ, ერს მოევლინა მისი დიდება ნ. ბარათაშვილი, რომელმაც გულის სიღრმიდან ძლიერის ღვთიურის გრძნობით დასძახა მძინართ: აღსდეგით, თვალები გაახილეთ, თორემ ქვეყნის ზურგიდან აღიგვებითო. უდროოდ დავკარგეთ ეს ზეცით მოვლენილი მოციქული. სამოციანმა წლებმაც მოგვისწრეს თავის დაუვიწყარ მოღვაწეებით. ამათ შორის პირველი ადგილი განსვენებულ ილია ჭავჭავაძეს ეჭირა. იმანაც იმავე გულის სიღრმიდან, იმავე ღვთიურის და ძლიერის გრძნობით მოუწოდა თანამემამულეთ თვითშეგნების გზაზე. ილია არ ეკუთვნის რომელსამე წრეს ან წოდებას. იგი ეკუთვნის ყველა მუშაკთა, პატიოსან მუშაკთ! მათთვის ძგერდა ილიას გული, მათთვის იშმუხნოდა მისი პატიოსანი შუბლი! განგმირეს ეს გული და ეს შუბლი! ილიას ხსენებას მუდამ ჟამს

თავს ედგმება ბრწყინვალე გვირგვინი დიდებისა. იმის სახელს ვერავინ შეაბღალავს, ხოლო თვით ის საზოგადოება, ის ხალხი, რომელმაც ვერ შესძლო თავის საუნჯის დაცვა, ღირსია გაკიცხვისა; ვიტიროთ ჩვენი დაბეჩავებული თავი და არა უკვდავი, დიდებული ილია". („ისარი", 6 სექტემბერი).

წერილი ვაჟა-ფშაველასი:

ვერ მოჰკლეს

„ილია რომ მოჰკლესო!" მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწუხარე და თან გაკვირვების კილოთი.

თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა აღმიძრა: ვინ მოკლავდა, ნეტავ, ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანების მოკვლა? ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავის ერისათვის მოჭირნახულე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შეჰშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთად-ერთი ბურჯი ჩვენი ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით? ათასი ამისთანა კითხვა დამებადა თავში და დღესაც კი, დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება, არ ვიცი მიზეზი ილიას სიკვდილისა. ვიცით მე და თქვენ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტი და რომ მოგვიკლეს საუკეთესო, პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე, დიდი მოამაგე ქართველი ერისა. რომელი ერთი ჩამოვთვალო ილიას ღვაწლთაგანი?! ეს ყველამ კარგად უწყის. საშინელი, მეტისმეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში, არ მომხდარა და არც მოხდება. მხოლოდ საწყალს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა რევოლუციის სახელით. საბრალო, საწყალო რევოლუციავ ჩვენს ხელში...

საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა, საშინელი აზრის პატრონნი უნდა იყვნენ ამ მკვლელობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ.

აბა კარგად ჩაუკვირდით საქმეს, თუ ასე არ არის. დიაღ, ასეა და ეს არის კიდეც უბედურება, ჩვენს თავზე მოვლენილი, უგუნურთ ნუთუ არ იციან, რომ საუკეთესო ადამიანების ხოცვა, კვლავ, მოკვლაა მთელის ქვეყნისა. სოფელი ვინ და ერთი კაციო. ნუთუ ჟამდის დავკარგეთ ადამიანობა, ნამუსი, დავიბრმავეთ გონება,

რომ ამისთანა აზრები ღორძინდება საქართველოში? ნუთუ ვისმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, რომ ილიების ხოცვით მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიათ ემსახურონ და არა უძლურთ, უნიჭოთ, უვიცთ და საზოგადოების ნაძირალებს. ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ვკლავთ, როგორც ავაზაკებს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!

რა ვთქვათ ბკლელებზე, ამ საცოდავ მეოცე საუკუნის ჰეროსტრატებზე? რა ადამიანები უნდა იყვნენ ილიას მკვლელები? როგორ მოვიხსეხიოთ ისინი? როგორ მოვექცეთ ამ უბადრუკებს? ნუთუ ისე, როგორც გვირჩევს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთადმი — ცეცხლი და მახვილი მკვლელებსაო. ესღა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კიდევ სხვა ბარბაროსობა დაეურთოთ ზედ? დავერიენეთ ერთმანეთს, ვხოცოთ, ვჭლიტოთ ერთმა მეორენი და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბადრუკობით გალაღებული მტერი? ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა გვაშოროს ამისთანა საქციელი...

ნაღვლით და ბოღმით აღსავსე, მე ასე ვსჯი, რომ ილიას მკვლელნი შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთაყვანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათახსირებულნი და ბრმანი უნდა იყვნენ, სატირალნი და სავალალონი ჩვენ ქართველებისაგან.

სხვა რა ვთქვათ? სხვა რა ვიფიქროთ? სისხლი სისხლისათვის? ცოდვა მივუმატოთ ცოდვას? სირცხვილს სირცხვილი? განა იმით ადამიანობისა ერთი ბეწო ნიშანწყალი რომ ჰქონდეთ, იზამდნენ ამას? მოჰკლავდნენ ამისთანა ადამიანს, რაც უნდა მისგან ნაწყენნიც იყვნენ? არა. არ არიან ისინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად და პირუტყვზე როგორ ვიძიოთ შური, ისე, როგორც ადამიანზე.. ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა?!

მოჰკლეს ილია... მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია ვიდრე საქართველო იქნება. დიაღ, ვერ მოჰკლეს, რადგან თუ რამდენიმე, თითებზე დასათვლელი ხარობს ილიას სიკვდილით, ასი ათასი მისტირის ამ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს და რამდენი ხანიც გაივლის, მით უფრო, დაკლების მაგივრად, გრძნობა სიბრალულისა და სიყვარულისა მოიმატებს ერის გულში.

„საწყალი ილია, საწყალი ილია!“ მესმის გულსაკლავად წარმოთქმული აქეთ-იქიდან სიტყვები მამათა და დედათა მიერ. საწყალი ილია? არა, არ არის საწყალი, ვინაიდან მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა, იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივ სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი — დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გაუმასპინძლდით, — ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჰკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამა-პაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო იმედო, ჩვენო საყვარელო ილიავ! („ისარი“, 6 სექტემბერი).

. . . . . .

დილა 7 სექტემბრისა, პარასკევ დღისა.

დღე ილიას უკანასკნელ ამქვეყნიური მგზავრობისა — საგურამოდან თბილისამდე.

საქართველოს ყოველი კუთხიდან მოსული დეპუტაციებით გადაჭედილა საგურამო.

თითქოს საომრად შეჭურვილი მთიელი ქართველობა ჩამდგარა ერის შუატანში.

ზედაზნელი ბერები და მოწესენი სულთათანას უგალობენ წმინდანს.

გამოასვენეს.

ყველას უნდა მის კუბოს შეუდგეს, ყველა მიისწრაფის მისგან მოდენილ უკანასკნელ მირონს ეზიაროს.

შავით მოსილი საგურამოელი გლეხის ქალები შაბარდუხთა გუნდივით მოსდევენ, მოთქმა-გოდებით.

მოასვენებს ერი ერისუფლის კუბოს, ვითარცა კიდობანსა რწმენისასა.

წიწამურზე, მკვლელობის ადგილს შედგა და შედედდა ერი.

წინ გამოიჭრა იროდიონ ევდოშვილი, საგურამოელი გლეხებიც მიჰყვნენ. ის ადგილი მოიძიეს, ილია რომ დაეცა მკვდარი. ერისუფლს უკვე ჩამხმარი და ჩამიწებული სისხლით ნაჯერი ალა-

გი თეთრი კენჭებით მოფარგლეს და მოასეევადეს — რათა, იქნებ, ბოძავალში, იმ ადგილზე მარად სახსოვარი — საეროვნებო ჯვარი აღმართულიყო (ვითარცა ერთ დროს, ილიას მკვლელობამდე ათას ექვსასი წლით ადრე, მცხეთის პირველი საეროვნებო-სანიშანსვეტო ჯვარი).

— ქართველებო! — სიტყვას ამბობდა იროდიონ ევდოშვილი — აი, ამ ადგილს დახუჭა ქართველების დიდებულმა მწერალმა თვალები; აქ ამოიკვნესა უკანასკნელად მისმა გულმა; ამ ადგილიდამ უკანასკნელად შეჰხედა ილიამ თავის სამშობლოს ცას... როგორი მადლიერიც იქნებოდა ის ამ დროს თავის ერისა, ამაზე მეტია ლაპარაკი... თქვენ, ამ არემარის მცხოვრებნო, აქაურო ქართველებო, დღეს ამ კუბოსთან და ამ გზაზე შემხმარ სისხლთან მარტო თქვენ არ შეკრებილხართ, აქა ვართ ქართველები, წარმომადგენლები საქართველოს ყველა კუთხიდან, მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ილია სცხოვრობდა თქვენში, იგი მხოლოდ თქვენ არ გეკუთვნოდათ. ის ეკუთვნოდა მთელს საქართველოს, მთელს ერს, ყველა ქართველს. იმან დაგვდო ამაგი ყველას, მთელს საქართველოს! მაშ რა ნება ჰქონდა იმ ხელს, რომელმაც მოჰკლა თქვენში ილია, რომ იგი თვითონ დაისაკუთრა, რომ იგი ანაცვალა თავის ქვებუდან გრძნობას? არავითარი! ვერაგმა ხელმა იგი წაგვართვა ყველას, მთელს ქართველობას! მან განგმირა მთელი საქართველოს მამამოძღვარი!

წელან ერთმა მოლაპარაკემ თქვა: იმ ადგილს, სადაც ილია მოჰკლეს, უნდა ავაგოთ ძეგლი იმის სადიდებლად, მის სამახსოვროდ. ეს ძალიან კარგი იდეაა. იყოს აქ ძეგლი ილიას სადიდებლად, მაგრამ აქვე, იმის გვერდზე ავმართოთ ჩვენ სხვა ბოძიც, ბოძი სამარცხვინო, და ზედ დავაწეროთ: „აქ მოჰკლეს ილია, დიდი მოძღვარი და საქართველოს მგოსანი“!

ძმებო, ყველა თქვენგანს ჰყოლია მამა, რომელიც გაზრდილა, რომელიც გაუმეცადათ, რაც გციოდათ, გაუმეცადათ, როცა გშიოდათ. ახლა დაბერდა ის. მაშ მიუშვირეთ თოფი და გაუგმირეთ გული! რომელია თქვენში ამ საქმის ჩამდენი, რომელი აიღებდა თქვენს მამაზე ხელს? არავინ? მაშ რა ვუწოდოთ იმ კაცს, რომელიც ასე მოიქცევა, რომელიც ჩვენ წაგვართმევს ჩვენს სულიერს აღმზრდელს, ჩვენს სულიერს მასაზრდოებელს? დაუძახებთ თქვენ მას იუდას თუ არა? (ხალხის

ხმა: იუდაა, იუდა!) იყოს წყეული თუ არა? (სალხის ხმა: იყოს წყეული, იყოს წყეული!)...

წიწამურიდან დაიძრნენ.

მოასვენებენ ქართველები წმინდანის კუბოს, ვითარცა ჰეგრაელნი კიდობანსა რწმენისასა.

მტკვარი გადმოიარეს. დილ̇ომს შემოადგნენ. თბილისი გამოჩნდა. სამხედრო გზის სანაპირონი ხალხს ველარ იტევს.

3 საათზე შავოსან ცხენოსანთა რაზმი პროცესიას ვერაზე შემოუძღვა.

და აქ შეტბორდა ერი ძაძით მოსილი, — გვირგვინებით, ცრემლით, გოდებით, მრისხანებით, ბოლმით გმინვით.

— წინ გუნდი სამღვდელოებისა, სამი ეპისკოპოსის წინამძღოლობით.

სიტყვას ამბობს დიდუბის ტაძრის წინამძღვარი ნიკიტა თალაკვაძე:

„ქართველი ერის დიდებულო წინასწარმეტყველო, ქართველი ერის „ვარსკვლავეთ მრიცხველო“, ქრისტეს მცნების დაუღალავო ქადაგო, ჩვენო ტკბილმწარე „ნანინათი“ აღმზრდელო, ჩვენო თავისუფლების წინამორბედო ილია!

ეს რა ზარ-ზეიმით გეგებება „მარად და ყველგან შენი საქართველო“?! — იქნებ, ორმოცდა-ათი წლის სწურუპოვარ უმწიკვლო მოღვაწეობისათვის დაფნის გვირგვინით სურს შეამკოს შენი ჩვენთვის სათაყვანებელი თავი?! — არა, — ეს ჩვენ ვერ მოვახერხეთ... ჩვენ მხოლოდ უსულოდ ქმნილ შენს ნაშთებს გვაგებებენ, — ეს მოვაგვარეთ...

მაგრამ, უკვდავების შვილო, მცდარია ის აზრი, ვითომც ილია მკვდარი იყოს! არ ვის ძალუძს იმის მოკვლა, იმის მოსპობა, ვისაც ქართველი ერი ნახევარ საუკუნის განმავლობაში თვითცნობიერებაში მოჰყავდა! არავის ძალუძს იმისი მადლის დაშხობა, რომელმაც საქართველო ევროპის ცივილიზაცია-აზროვნების ფერხულში ჩააბა! არ შეიძლება იმისი აღგვა პირისაგან ქვეყნისა, რომელიც ქართველი ერის სულსა და გულში ოქრო-მკედივით ჩაქსოვილ-ბოქარგულია!

მაშ, ჰოი, უგუნურებავ, რომელმაც აღმართე ბოროტი მკლავი ქართველი ერის სათაყვანებელ არსებაზე!!.. უგუნურებავ, რომელმაც მხოლოდ განიზრახე ჩვენი ალიას მოსპობა! უგუნურებავ! შენ შემოგძახის ქართველი ერი და მასთან მისი მშობელი ივერიის ეკლესია, — ილია „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს...“

ივერიის ეკლესიის დიდებულო, ჰეშმარიტო-ღვიძლო შვილო, მუხლს იდრეკს შენს მოწამებრივ ნაშთთა წინაშე ქართველი სამღვდელოებაც, თაყვანსა სცემს შენ ზეგარდმო-მადლით ცხებულ შუბლს, მარად და მუდამ აღბეჭდილი იქნება ჩვენს გულში შარავანდედით გასხივოსნებული შენი ხატება, შენი მოძღვრება-მისწრაფებანი, რომ შენი „ანდერძი“ აღვასრულოთ და წამებულმან სულმან შენმან გაიხაროს... ამინ!“

შემდეგ, სიტყვას ამბობს ვ ლ ა დ ი მ ე რ მ ი ქ ე ლ ა ძ ე:

„ილია მოჰკლესო, და ამ ამბავმა თავზარი დასცა მთელ ქართველ ერს. ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო, და ამ ხმამ გააოცა ყველა ის, ვინც ქართველ ერს იცნობს. და ვინ არის ისეთი, ქართველ ერს იცნობდეს და ილიას კი არა.

მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე, ჩვენი სახელი, ჩვენი შვენება. მოჰკლეს მთელი ერის პირველი კაცი. გული ტყვიით გაუგმირეს — გული, რომელიც ქვეყნისათვის სწუხდა, სძგერდა, ღელავდა. შუბლი ტყვიებით დაუხვრიტეს, მშვენიერი, ნათელ-მოსილი და ჭკუით გაბრწყინვებული შუბლი, რომელიც სამშობლოზე დარდის გამო მუდამ ნაოჭად იყო ხოლმე შეკრული. მოჰკლეს მოხუცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს შეალია, მოჰკლეს იქ, იმ არაგვის პირად, რომელსაც ეუბნებოდა:

...ჩემის მამულის დიდება ძველი
შენს წვინდა თვალ-წინ აჰყვავებულა;
მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ, შენს კალთაზედ, დაბადებულა.

ილია ჭავჭავაძის ნამოქმედარი და ნაწარმოები საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორიას აღბეჭდავს. ვინც ილიას ნაწერს და ნათქვამს გაითვალისწინებს, ის საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიას შეითვისებს.

რა ვიყავით ამ ორმოც-და-ათის წლის წინათ? ჩვენი მაშინდელი სულიერი და ზნეობრივი არარაობა ილიამ აღბეჭდა და სარკესავით დაგვანახვა. გაიღვიძეთ, აღსდეგითო, კაცი ადამიანიც უნდა იყოსო. ქართველ დედას ასწავლიდა:

შვილს შთააგონე კაცთ სიყვარული,
ძმობა, ერთობა, თავისუფლებაო.

ყოველი მონობა საზოგადოდ ორი ჯაჭვით არის გამაგრებული: ერთი უფლებრივია, მონობა დაკანონებულია. კანონი მოისპო, ჯაჭვიც დაიმსხვრა, გარეგნობით მონობაც მოისპო. ხოლო მეორე ჯაჭვი თვით ადამიანის, საზოგადოების ცნობიერებაშია გამაგრებული, მის გრძნობაში, ხასიათში. ამ ბორკილის დამტვრევა უფრო ძნელია, მეტი დრო უნდა. კაცის გრძნობა, გონება, ხინდისი უნდა გაიწმინდოს, გასუფთავდეს. ამას ხანგრძლივი, მედგარი ბრძოლა უნდა, და ამ ბრძოლას მოანდომა ილიამ მთელი თავისი ნიჭი და კალმის ძალა. ბატონ-ყმობის მოსპობას ჯერ რუსეთში შეუდგნენ.

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხო ბორკილის ხმა მტვრევისა,
. . . . . .
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულშიო,

ნატრობდა პოეტი. „დღიურ ლუკმისათვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება“ ილიას უწყლულებდა გულს და თავის გოდება ლექსად აღნიშნა „მუშაში“.

ილიას ორნაირი სიყვარული უნათებდა ცხოვრების გზას: ჯერ კაცისადმი სიყვარული და მერე სამშობლოსადმი.

„კაცო! გიყვარდეს“.
ცათ შთამომძახეს,
როს მათ დამბადეს,
ყველგან ეხ სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა.
და ქვეყნად ჩემ სელას
სცემდა წმინდ ნათელს,
მისთვის გეტყვი ძმასა:
შენცა გიყვარდესს

და აი მამულზედაც რას ამბობს:

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია.

ახლა მოიგონეთ განსვენებულის საზოგადო მოღვაწეობა. ნახევარ საუკუნის განმავლობაში განა იყო ჩვენში ისეთი საზოგადო საქმე, რომლის სათავეში იგი არ მდგარიყოს, რომელიც არ გაებრწყინებინოს თავის ნათელ ჭკუითა და გონებით. და აი, ესეთი კაცი დღეს ტყვიებით გულ-განგმირული და თავ-დამტვრეული წინ გვისვენია. ბოროტება, უმეცრება, ვერაგობა, უარყოფა იმისა, რაც კაცის საუნჯეს შეადგენს, ამხედრდა ამ კაცზე და დაღლილს, დაქანცულს მებრძოლს დამშვიდებით სიცოცხლე არ დაასრულებინა. ვაი სირცხვილო! ვაი უბედურო, შეურაცხყოფილო ქვეყანავ! ვაი, უბედურო ერო! შენ გგლოვობ და არა ილიას. შურისძიება გვწყურია, „ხელი ხმალს იკარო", გაისმა გულიდან ამოხეთქილი ხმა. მაგრამ არა! შურისძიება ილიას სახელს, ილიას ხსოვნას არ შეშვენის, არ ეკადრება. დეე, ილიას სისხლმა, ასე უღვთოდ დანთხეულმა, გონს მოიყვანოს, სულით აღამაღლოს, განასპეტაკოს ის გახრწნილი, დაცემული, გავერაგებული და ყოვლის ჩვენის საუნჯის ოარმყოფელი ნაწილი ჩვენის ერისა, რომლის სიღრმიდან ილიას მკვლელები მოგვევლინენ.

ქართველი ერი, ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილო, მუხლს მოიდრეკს შენს წინაშე და ეამბორება შარავანდედ-მოსილსა სახესა შენსა".

შემდეგ — სიტყვა ილია ზურაბიშვილისა:

„საქართველოს ჰირისუფალო ილიავ! შენმა ტურფა კახეთმა, რომელსაც ბედნიერ წილად ხვდა — თავის მხნე მკერდზედ, ნიადაგზე დაერწია შენი აკვანი, მოგვანდო ჩვენ თაყვანი ვცეთ შენს ძვირფას ნეშტსა და ვაუწყოთ ჩვენს ქვეყანას — რა განუსაზღვრელი საეროვნო კაეშანი ჩააწვეთა ყოველის კახელის გულს შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა!

სულმხათო მგოსანო, კახეთი სტირს და ჰგლოვობს, მაგრამ მაინც არა სჯერა, რომ ეგ, საქართველოსათვის სამსხვერპლოდ ქცეული,

გული საუკუნოდ მიყუჩდა და აღარ აძგერდება სამშობლოსათვის მტკლედ დასადებად!

ჩვენის აზროვნების დიდო მესვეურო! ნუთუ ეგ საამურად მეტყველნი ბაგენი სამუდამოდ დადუმდნენ და აღარ განიხვნებიან ზეაღმტაც სიტყვის სათქმელად?!

ცხოველმყოფელო ძეგლო ჩვენის დაბადებისა! ნუთუ ეგ, ღვთაებრივის იერით აღბეჭდილი შუბლი, აღარ გაიხსნება, რომ ძველებურად ცხოველ აზრთა გუნდი გადმოაფინოს შენ თანამოძმეთ — ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ და ანდერძად საშვილიშვილოდ გადასაცემად?!

საქართველოს სულიერო მეორე კახო! რას გვიბარებ? რა ვუთხრათ შენს მოდუდუნე ბედის მოჩივარ ალაზანს? რა ხმა მივაწვდინოთ შენს მშობელს ყვარელის მთებს? რით ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი ობოლი ვაზი? რა ვუპასუხოთ მოჭირნახულე ლაბას, შენს ლაბას, როცა უენო, ვითა მეტყველი, თვალებით დაგვეკითხება?!

– სდუმხარ?! მაშ მართალია?!

თუ აგრეა — იგლოვეთ, იგლოვეთ მდუღარედ! შენ, ალაზანო, ზვირთი ზვირთზედ ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს! თქვენ, ყვარლის მთებო, ნისლით შეიბურეთ მწვერვალები — ეგ იქნება თქვენი ძაძა! შენ, ობოლო ვაზო, აფრქვიე მწუხარე ცრემლი და ლაბავ, მორთე გულსაკლავი ბღავილი! აღარ გყავთ ზრახვათა მესაიდუმლე, აღარა გვყავს გრძნობათა მოენე! შენ კი, საქართველოვ, ახლა მაინც მიჰხვდი რა ბედ-შავია შენი ხვედრი. დეე, ამ დიადმა წმინდა მსხვერპლმა მაინც შეაგნებინოს შენს შვილთ სამშობლოს განწირული მდგომარეობა და აღძრას მათში გმირის დამბადი დიდი საგანი“.

შემდეგ — სიტყვა ს ი ლ ო ვ ან ხ უ ნ დ ა ძ ი ს ა:

„საქართველოს მტერნო, ნუ გიხარიათ! ილია ჭავჭავაძე არ მომკვდარა, ის ცოცხალია — და მარადის ცოცხალი იქნება ქართველი ერის გულსა და გონებაში! საქართველოს მტერნო, ნუ გიხარიათ! ილია ჭავჭავაძემ თავისი მოწამებრივი სიკვდილით თვისი დიდებული სახელი კიდევ უფრო გაადიდა, კიდევ უფრო მკვიდრი, უფრო მშვენიერი ძეგლი დაიდგა! საქართველოს მტერნო, შეძრწუნდით! თქვენი საზარელი მკვლელობით თვით თქვენი თავი მოიკალით, თქვენი გული გამოიღადრეთ! ამიერიდან ქართველი ერი თქვენ

საქმეებს დაგმობს, თქვენს სახელს ზიზღით მოიხსენიებს! ქართველო ხალხო, გონს მოდი, გამოფხიზლდი, გაარჩიე მტერი და მოყვარე! გარეშე მტრებმა ვერასოდეს ვერ შესძლეს შენი დამონება, შენი შერცხვენა, მხოლოდ შინაური მტრები შეიქნენ შენი შემრცხვენელნი! ქართველებო, ნუ დაივიწყებთ შოთას სიტყვებს: „მოყვარე, მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერიაო!“

და კვლავ სიტყვა, ვერაზე თქმული, მ ი ხ ე ი ლ წ ე რ ე თ ლ ი ს ა გ ა ნ („Bâton“):

„მამულიშვილნო!

„ვინა სთქვა საქართველოზედ — რა დიდი ლომი კვდებაო!“ — ბევრმა რამ და ბევრმა ვინმემ! — ყოფილან ჩვენ ისტორიაში შავნი დრონი, როდესაც თავზარ-დამცემნი სიტყვანი — საქართველოს დიდი ლომი კვდება, — სიმართლედ მოგვჩვენებია, ეჭვს შეუპყრია მთელი საქართველოს გონება, მართლა ხომ არ წახდა საქართველო საუკუნოდ! იყო ერთი, უკანასკნელი შავი დრო, ოდეს საქართველოს ლომი პოლიტიკურად მოკვდა, დამარხა რა თვისივე ხელით თავისი საკუთარი თავისუფლება, დამოუკიდებლობა, და შემდეგ, მთელი ასის წლის განმავლობაში, მთელი მისი არსება მამაკვდავი სულსა ღაფავდა! — მაგრამ ამ შავ დროებაზედ უფრო მჭევრმეტყველად, უფრო მედგრად და უფრო კადნიერად ილია ჭავჭავაძის მკვლელებმა ჩამოგვძახეს ყურში მთელ საქართველოს — საქართველო, ეს დიდი ლომი მართლაც მოკვდა, — მოკვდა ზნეობრივად, და ეს სიკვდილი მისი საუკეთესო ძის, მისი დიდების ვერაგულად მოკვლაში გამოიხატა!

ერთ დროს ჩვენც ვიყავით ერი, ჩვენც შევადგენდით კაცობრიობის ნაწილს, ჩვენც გვქონდა ფასი და ხალხს გვეძახოდნენ, ჩვენი კულტურა, — ჩვენი მწერლობა და მწიგნობრობა, მეცნიერება, სიტყვა-კაზმული ლიტერატურა და სხვა, ჩვენი საზოგადოებრივი სიძლიერე — განთქმული იყო არა მარტო კავკასიაში, არამედ კავკასიის გარეშეც. ჩვენი გურჯისტანის სიძლიერე თავზარსა სცემდა ირგვლივ-მამდგარ მრავალ მტერსა და ჩვენც ვიცავდით ჩვენს თავისუფლებასა, მიწა-წყალსა და კულტურას.

მე-XI — XII საუკუნეებში საქართველო სიმდიდრით, სულითა და გონებით გაბრწყინებული იყო, საქართველოს მდიდარმა კულტურამ, ქართულმა ძლიერმა ენამ წარმოშვა ჩანგი რუსთაველისა და, სიცოცხლით სავსენი, ჩვენცა ვცდილობდით საშვილიშვილოდ განგვემტკიცებინა ეს ჩვენი სულიერი და ნივთიერი სიძლიერე.

მაგრამ ვეღარ გაუძელით მრავალრიცხოვან მტერსა, რომელიც ყოველის მხრით გარს გვესია, ვიბრძოლეთ საუკუნეთა განმავლობაში ბრძოლის ველზედ, მთელი აზიის ურდოებს გაკაჟებული საქართველოც ვერ გაუძლებდა, და ჩვენც ვიწყეთ ნელ-ნელა დაკარგვა იმ დიადი საუნჯისა, რომელიც მთელმა ერმა შეჰკრიბა თავისი შემოქმედებით ჟამთა ვითარებაში.

აღმოსავლეთით, დასავლეთით და განსაკუთრებით სამხრეთით მოგვადგა აუარებელი მტერი, მოგვწყვიტა საუკეთესო, თუ განათლებულს ქვეყნებს, შთანთქა ყოველი თავის ველურობის და განადგურების ზღვაში და შეამოკლა, შეასუსტა საქართველოს სიცოცხლე.

მაგრამ მაინც ვიბრძოდით და რაღაც იმედით აღსავსენი დანარჩენ ჩვენ დიდებასა, მიწა-წყალსა და კულტურას მაინც ვირჩენდით. ასე მომდინარეობდა ჩვენი ისტორია, XVIII საუკუნის დამლევამდე, და ეს ისტორია ერთი ხანგრძლივი საუკუნოებითი წამება იყო ქართველი ერისა, ჩვენი მუდმივი ეჭვი იყო, — საქართველოს დიდმა ლომმა მტრის შიშის ზარის დამცემი ღრიალი შესწყვიტა.

დასუსტებულმა, დამცირებულმა და შინაურ უთანხმოებათა და მტრობით დაღლილებმა მოვაღწიეთ XIX საუკუნის კარამდე. იმდენი სულიერი ძალაც აღარ შეგვწევდა, რომ სურვილი, ძველებური ვაჟკაცური ფოლადის სურვილი მაინც შეგვრჩენოდა ბრძოლის განგრძობისა...

...მაგრამ დადგა მესამოცე წლები, ის ხანა, როდესაც ბარბაროსულმა რუსეთმაც გაიღვიძა, რადგან მთელმა კაცობრიობამ ამირანისებური სიძლიერით დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, და ჩვენს ქვეყანასაც მოხვდა ამ საყოველთაო აღელვებული ზღვის ტალღები. ჩვენი ცხოვრებაც შეინძრა, შეტოკდა, და ამ ახალმოძრაობას თავის გამომხატველნი უნდა გაჩენოდა. გაუჩნდნენ კიდეც. ჩვენშიაც დაიბადნენ — აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი და სხვანი, და ამათ იკისრეს ხელმძღვანელობა ჩვენი ცხოვრებისა. აღორძინდა ჩვენი ლიტერატურა, აყვავდა პოეზია, გაჩნდა პუბლიცისტიკა, გაჩნდა ახალი წესები ლიტერატურულ შემოქმედებისა, — და ჩვენც ცოტათი მაინც გავერიეთ კაცობრიობაში ამ მწერალთა და მოღვაწეთა წყალობით. და სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო პირველი იმათ შორის, — ჩვენი სა-

უკეთესო პოეტი, რომანისტი, პუბლიცისტი, ეკონომისტი, ასე გასინჯეთ სოციოლოგიც.

ენა მკვდარი და მხოლოდ რამდენიმე „წინამორბედთა“ პირში ცეტყველი, ენა მდიდარი, მაშინ დაკარგული ჩვენი ერის „განათლებულთა მიერ“ ისე ლაჩრულად, რომ ლაპარაკსაც აღარ კადრულობდნენ ქართულად, ენა, რომელიც ათასის წლობით შევინახეთ და შავთა დროთა გადაგვავიწყეს, აღადგინეს ზემოხსენებულმა საქართველოს შვილებმა, და ილია ჭავჭავაძე პირველი იყო; ხალხის პირისაგან მოგვეხმა მძლავრ ქართულად ნათქვამნი სამაგალითო, უმშვენიერესნი ქმნილებანი მისნი.

ჩვენ ქვეყანას ათასი გასაჭირი აღგა, კაცი არავინ იყო ხმის ამომღები, და ილია პირველი იყო, რომ მეცნიერების იარაღით აღჭურვილი სწყვეტდა რთულს შესაძლებლობებს ჩვენის ცხოვრებისა თავისებური სიღრმით და იმავე მშვენიერი ენით, რომელიც მან გაგვაგონა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებში; ილია იყო შეუდარებელი პუბლიცისტი, გლეხთა მუდმივი მეგობარი, იგი ამ მეგობრობას ჰხატავდა როგორც „გლახის ნააბობში“, „ოთარაანთ ქვრივში“, ისე ბატონ-ყმობის, მონობის წყევლა-კრულვაში და გმობაში, — როგორც საჯარო კრებებზედ, ისე თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. იგი მუდმივი დამცველი იყო შრომის ინტერესებისა, და მაშინ, როდესაც საუკეთესო დემოკრატებიც კი მთელი ევროპისა პარიზის კომუნას უშვერად, ურცხვად და ცინიკურად იხსენიებდნენ, — ილია მის დამცველად, მისი დიდების ქართულ ჩანგზედ მომღერლად გამოვიდა ჩვენში... თვით სოციალიზმის პრინციპებიც კი არის გატარებული მის მრავალ თხზულებებში. „შრომისა ახსნა“, — აი რა იყო ილიას იდეალი!

საქართველოს დაბეჩავებულ საზოგადოების ორგანონი ეპირვებოდნენ. ილია ჭავჭავაძე იყო სწორედ ის ადამიანი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მათ შექმნაში და მათში მუშაობაში. მარტო ბანკში და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში რამდენი ენერგია ჩაჰკლა ილია ჭავჭავაძემ ქართველი საზოგადოების ასაღორძინებლად, სამაგალითოდ განსაცვიფრებელია, თუ დაუკვირდება ადამიანი, და ღირსეულად დააფასებს ილიას შრომასა და ღვაწლს.

დიახ, ილია ყოველმხრივი მოღვაწეობით გაცილებით მაღლა იდგა ყოველ თავის თანამედროვეებზედ და თანამოღვაწეებზედ, —

თავისი მრავალ ფეროვანი ნიჭითა და ყოველმხრივი შემოქმედებით.

მაგრამ მე ილიას უწინარეს ყოვლისა ვაფასებ როგორც მამულიშვილსა. ის იყო მართლაც საქართველოს გუშაგი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. გრიგოლ ორბელიანი ამბობდა ძველ ქართველ ვაჟკაცებზედ — „ვაი მას მტერსა ვის ანუ კლდენი, ანუ ტყეთ სიღრმე არ დაჰფარვიდნენ, ვითარ შურდულებსა, ესრედი შევარდენნი, მიესევოდნენ და შემუსვრიდნენ!“-ო. ილია სწორედ ასეთი მამულიშვილი იყო ჩვენ მოქალაქეობრივ ცხოვრებაში. ვაი მას მტერსა ვის ანუ ბოდიში, ანუ იეზუიტობა არ დაჰფარვიდა, — ვით ვეფხვი ილია მივარდებოდა მას და შემუსვრიდა თავისი ცოდნითა, ლოღიკითა, და — რაც უფრო ძლიერია, — სიმართლითა, რადგანაც ილიას არა ჰქონდა ჩვეულებად მტერს გამოჰკამათებოდა, როს მის სიტყვებში სიმართლესა ჰხედავდა. განსაკუთრებული რისხვით ილია მოევლინებოდა ხოლმე შინაურს, მტრებს, რომელიც ცხვრის ტყავში გამოხვეული შინ იეზუიტობდა და თავს იკატუნებდა, გარეთ კი ლომობდა და საქართველოს გაბიაბურებისათვის არაფერს ზოგავდა... ვინ გაუძლებდა მის დიალექტიკას, მის შეუდარებელ, მწარე დაცინვასა და მძიმე მსჯელობას, რომელიც ვულკანის ჩაქუჩივითა სცემდა თავში მტერსა და მტვრად აქცევდა მის სუსტსა და იეზუიტურ არგუმენტებს. მასთანაც შეუდარებელი ორატორი, იგი იყო ჩვენი პირველი მამულიშვილი, მოქალაქეობრივი ვაჟკაცობითა და სიბრძნით ჩვენი ციცერონი, „მამა ჩვენი სამშობლოისა“, — და აკი მისი გული ხვდა წილად! ჰოი ისტორიავ, საკვირველი არიან საქმენი შენნი!

და ეს ილია ჭავჭავაძე, რომელიც შეუდარებელი პოეტი იყო, შეუდარებელი პუბლიცისტი და ჩვენი პირველი ეკონომისტი და სოციოლოგი, პირველი საზოგადო მოღვაწე, პირველი მამულიშვილი, რომელსაც ერთად ერთსა ჰქონდა სული თავისუფალი ადამიანისა იმდენ ლაჩართა და მონური სულის პატრონთა შორის, — ეს ილია ჭავჭავაძე დღეს კუბოში სდევს მთელი საქართველოს წინაშე, ქართველის ხელით განგმირული, ჩვენდა სასირცხვოდ, სატირლადა და სავალალოდ!

თურმე სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი იმედი, რომ ცოტათი მაინც წინ წავედით მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სწორედ ისეთი კაცების წყალობით, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე; სულ

ტყუილი ყოფილა ჩვენი ზნეობრივი პროგრესსი, თურმე კიდევ უფრო დავცემულვართ!

კაცი, რომლისთვისაც ერის ხანგრძლივი სამსახურისათვის იუბილეი უნდა გადაგვეხადა, დაფნის გვირგვინით უნდა შეგვემკო მისი შუბლი, ტრიუმფით უნდა შემოგვეყვანა მაშვრალი მხცოვანი ჩვენს სატახტო ქალაქში, ტყვიით გავგმირეთ, ეკლის გვირგვინი დავადგით და მისი კუბო შემოვიტანეთ დღეს აქ, ჩვენდა საუკუნოდ შესარცხვენად.

ვაგლახ, ბედშაო საქართველო! ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს ჩვენს ასეთ საქციელს, ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს, ვინ მოვკალით. ვინ დავმარხეთ ჩვენივე ხელით ტყვიით განგმირული! — საქართველოს ერი ლაჩარი, ზნედაცემული, გახრწნილი, უგრძნობელი, რომელმაც მთლად დაჰკარგა კაცთა სახე, — აი ამ ერმა თვით მოჰკლა თავისი საუკეთესო ძე და ყოელად უგვანონი, უმსგავსონი და სულელნი დაიტოვა თავის ცხოვრების წინამძღოლებადო — აი რას იტყვიან, — და მართლაც რას უნდა გამოელოდეს ადამიანი იმ ერისაგან, რომელსაც მონური სილაჩრე შეჰპარვია, რომელიც ეს სამი წელიწადია გაჰყვირის ძლიერად, გაჰყვირის შავი ზღვის ნაპირებიდან დაღესტნის საზღვრებამდე — ძირს ჩვენი საკუთარი თავისუფლებაო!.. მართლაც და — „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი ძაბუნი, ლაჩარი, მორჩილი თავის ბედისა; შავთა დროთ სრულად შესცვალეს მის გული ანდამატისა, აღარც მხნე, აღარც მღერალი, მოძულე თავის მიწისა“, და თავისი წარსულისა, თავის კულტურისა, თავის საკუთარ შვილთა, რომელთაც შუბლში ტყვიით უმასპინძლდება!

ეხლა რაღა ვქმნათ? — უპირველეს ყოვლისა, მე არ ვეთანხმები აქ წარმოთქმულ სიტყვებს, — ილიას ხსოვნას „შურის ძიება“ არ ეკადრებაო! კი — ეკადრება! ამ სირცხვილს მხოლოდ შურის ძიებით გავაქარწყლებთ, შურის ძიება მთელი ერისა იმ უმსგავსოთა წინააღმდეგ, რომელთაც დღეს მთელი საქართველო ძაძით შემოსეს და მთელს ქვეყანაში გააბიაბურეს, ერთად ერთი საშუალებაა მთელი ერის გასამართლებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით ილიას წინაშე! ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენდა. ჩვენი სიჩუმე ჩვენი ჰუმანიური თვისებისა და დიდ-სულოვნების დამამტკიცებელი კი არ იქნება, არამედ ჩვენი სისუსტისა და გულგრილობისა!

მაგრამ ასეთი შურის ძიება ვერ დააკმაყოფილებს ჩვენ შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას. ჩვენ უნდა ყველამ ჩავინერგოთ გულში ის მცნებანი, რომელნიც ილიამ თავის თხზულებებში გაატარა და გვიანდერძა. სიყვარული საქართველოსი, იმ განსვენებულ „საქართველოსი“, რომელიც აგრეთვე მისი თანამოღვაწის, აკაკის გულსაც მუდამ ატოკებდა, სიყვარული ჩვენი მიწა-წყლისა და მისი შენახვა, რაიც ილიას აზრით უმთავრესი საშუალება იყო ჩვენი ერის სიცოცხლისა, სიყვარული ქართველი ხალხისა, რომლის გუშაგად მუდამ უნდა იდგას ყოველი ჩვენგანი, რომლის უფლებაც არავის უნდა შევალახვიოთ, ისე, როგორც ილია არავის აძლევდა ამის ნებას — აი, რა არის ილიას ნაანდერძევი, შევქმნათ ჩვენც ისეთი ქართული საზოგადოებრივი წრე, — საღი და ზნეობით ამაღლებული, რომელშიაც შესაძლებელი აღარ იქნება ასეთი დანაშაული როგორსაც ახლა ვხედავთ, — მხოლოდ ეს დაგვაკმაყოფილებს, ეს მოგვბანს მოცხებულ ჩირქს, ამით უკვდავვყოფთ ილიას ხსოვნას.

მაგრამ ამ დიად საქმეს ვინ იცის აღვასრულებთ თუ არა, — ჯერ-ჯერობით ჩვენი დაცემა ილიას მოკვლაში გამოიხატა, ამ უსაშინლეს დანაშაულში, რომლის მსგავსიც კაცობრიობას არა უნახავს-რა. ვინ იცის, როგორი იქნება ჩვენი მომავალი, აწმყოში კარგი რაც იყო — აი ამ კუბოში ასვენია, ჩვენ ხელთაგანვე დათრგუნვილი და შეგინებული! დაგვრჩა მხოლოდ სასოწარკვეთილება და ძლიერი ეჭვი ჩვენი მომავლისა!..

შენ კი, დიდებულო ადამიანო, ივერიის ტანჯული ძევ, გვაპატიე აქ შეკრებილ სრულიად საქართველოს, რომ სწორედ იმ ადგილას მოგისპო სიცოცხლე ჩვენმა ზნეობითმა დაცემამ, სადაც შენ გულამოსკვნილი სტიროდი „ბედსა ქართლისასა“, გვაპატიე, რომ შენს შუბლს ტყვია ვარგუნეთ წილად დიდების გვირგვინის მაგივრად, გვაპატიე, რომ ჩვენ სატახტო ქალაქში ტრიუმფის მაგივრად სამგლოვიარო პროცესია გაგიმართეთ! გვაპატიე, ეს შეეფერება შენ დიდ სულოვნებას! იქ, ზევით, პოეტთა მიერ შემკულ, მდებარე მთაწმინდაზედ განგასვენებთ, ჩვენ მხცოვან, ტანჯულსა, ისტორიულ დედა-ქალაქ თბილისს რომ ბატონობს იდუმალ! მაგრამ ვაგლახ ჩვენ, რომ იქიდან „ველარ გადმოხედავ შენსა სამშობლო მხარეს და ტკბილის ჭიკჭიკითა ველარ დაატკბობ მის არემარეს“, ველარ იხილავ მომავალში შენსა ივერსა, „ფენიქსებრ განახლებულ-

სა“, თუ მომავალმა ეს ბედი კიდევ გვარგუნა, მაგრამ აწმყოში მაინც ბედნიერი იქნები, რადგან ველარ იხილავ აგრეთვე იმ სიწითლეს, სირცხვილს, რომელიც აწ დაცემულმა ივერმა სპამა შენი წამებითა და რომლის ჩირქსაც იგი დიდხანს ვერ მოიბანს!“

და, გლოვა ვერაზე დასრულდა ვინმე ქართველი დედაკაცის გოდებით:

„ილია მოჰკლეს, მოჰკლეს ილია! გესმით, ქართველნო?!

ილია მოჰკლეს, მხეცთ დაგვინგრიეს ტაძარი დიდი, სისხლით შესვარეს, წამების გვირგვინი არგეს ჩვენ სადიდებელს მოძღვარ-მგოსანსა! ილია მოჰკლეს, გული გაუპეს, წაგვართვეს, მოსპეს ჩვენი სიმდიდრე, ამპარტავნება.

ილია მოჰკლეს, გული გაუპეს; გაუპეს ის წყლული გული, ის დიდ-გული და ქართველობის ვაებით სავსე, რომელიც ორმოცდაათი წელიწადი მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის იდაგებოდა! ილია მოჰკლეს, მოჰკეთეს წყაროო წმინდა, შესწყვიტეს მიდრეკანი ცხოველ მყოფელი მისის ბრწყინვალე მჭევრმეტყველებისა! აღარ გვყავს ილია, ქართველებო! გჯერათ ეს თქვენ, შეგიძლიათ ამ საშინელ, ულმობელ აზრს შეურიგდეთ! შეგიძლიათ ილია გულიდან მოისხლიტოთ, უიმისოთ ჩვენი არსებობა წარმოვიდგინოთ?!

აღარ გვყავს ილია? დიდი ილია! ჩვენი დამამშვენებელი, აღარ გვყავს ილია, ჩვენი მქადაგებელი, აღარ გვყავს ილია ჩვენი ბედშაობის ჩამგონებელი, აღარ გვყავს ილია ჩვენი აღმაფრენი, შარავანდედით მოსილი მგოსანი?!

აღარ გვყავს ილია ლომი, მედგარი, მტრის პირში მდგომი, მოყვრის შემძენი; ქართულის აზრის და სიტყვიერების მეფე, მეფე-მწერალი, ავტორი იმ შედევრებისა, რომელთა მოწყალებით ენა ამოვიდგით, ცხოვრების მიზანი ჩავისახეთ, ჩვენს სულს და გულს ნათელი, გარკვეული იდიალი აეუყვავეთ!

აღარ გვყავს ილია, ის დიდი ილია, რომელზედაც ამპარტავნობით უთითებდით ყველა იმათ, ვინც გაჰბედავდა და ეჭვს შეიტანდა ქართველთა სულიერს და გონებრივს ძლიერებაში!

აღარ გვყავს ილია, მშვენიერი, მამაცი, გამბედავი, მართლის მთქმელი, სიცრუის და ბიწიერების დამთრგუნველი!

აღარ გავიგონებთ იმის ტკბილ სიტყვას ქართველთა ლხინში და ელვა-გრგვინვით სავსე ხმას ქართვლის გასაჭირში!

აღარ დავინახავთ მის ცეცხლებით სავსე ბრწყინვალე თვალებს, კაცთა სიდუხჭირით განრისხებულ მშვენიერ ბაგეს?!

ვიტიროთ ილია, ქართველებო, ვიტიროთ, ვივაგლახოთ, თავში ხელი ვიცეთ, ვიჭირისუფლოთ და მის საფლავზედ კავშირი შევკრათ ძმობის, ერთობის, ხალხში მოვფინოთ მისი მცნებანი და მით დავუტკბოთ, დავარწმუნოთ, რომ ერი მისი მომწიფებული არის, რომ ერმა მისმა შეისმინა, მიუხვდა ნათქვამს, ნაფიქრალს, თვით დუმილსაცა და როგორც შვილი ერთგული გულში ჩაიკრა და თავისი მდუღარება გულის ნაკვნესი ზედ დააფრქვია:

რომ თაყვანსა სცემს მის ციურ ნიჭსა,
მის ყოველ წუთსა სიფრთხილით ხარჯავს
და მის აქ ყოფნას ამაოებათ აღარა სახავს!...

...სამგლოვიარო პროცესია ვერადან დაიძრა:

თბილისი, ძაძით მოსილი, გლოვით ატანილი, შაოსანი ხალხით გადაწყვდიადებული. დაკეტილი და დაუქმებული სავაჭროები. ფანჯრებ-დახსნილი და შავი დროშებით ფრთააშლილი სახლები. გასაოცარი წესრიგი (ვალერიან გუნიას მოთავეობით), უპოლიციოდ, უადმინისტრაციოდ.

აი, სიონი — უკანასკნელი ამქვეყნიური სავანე საქართველოს ერისუფლისა.

დამკრძალავი კომისიისაგან დათქმული იყო: სიონში შესვენებისას ილიას კუბოს წინ პირველი უნდა შესდგომოდა აკაკი წერეთელი. მაგრამ აკაკი ავად იყო, ლოგინად ჩავარდნილი, სასტუმრო „კავკაზში“.

და ახლა კუბო წმინდანის ნეშთით სიონში შეასვენეს იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ცხვედაძემ, ანტონ ფურცელაძემ და არტურ ლაისტმა.

და მასვე ჟამს პირველი სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა ლ ე ო ნ ი დ ე მ:

„ზღვასავით ღრმა ილიას გულმა ორმოცდაათი წელიწადი განუწყვეტლად აფრქვია თავის სამშობლოს ნიადაგზე ცხოველი სიყვარულის საღმრთო ცეცხლი, ორმოცდაათი წლის განმავლობაში ილიას მირონცხებულ ენას არ მოუსვენია ქართველი ერისადმი მხურვალე ფერად-ფერადი ძვირფასი გვირგვინების თხზვა-ქარგვი-

საგან, ორმოცდაათი წელიწადი აძისი დალოცვილი მარჯვენა უხვად ჰთესდა ყოველი ქართველის გულში კაცთა გატანისა, სიბრალულისა და სიყვარულის საკუთარი თითით გარჩეულს, საღს და მაძღარ თესლს!

დღეს მოულოდნელად წაგვართვეს ეს საუნჯე! დაუძინებელმა მტერმა დაგვიხშო ზღვა ეროვნული თვით ცნობისა! ვერაგმა არსებამ ჩაგვიქრო მამულიშვილობის გაჩაღებული საღმრთო კერა! მოგვიკლეს ილია და მწარე მწუხარების ალში გახვეულებმა აღარ ვიცით, საით გადავვარდეთ, რა მთას ვეცეთ, რა გზით მივაგნოთ ამ ჩვენი გულის გამპობელს და როგორ გავუსწოროთ მას ანგარიშები!

ამბობენ ქვეყანაზე მოიპოვება მეტად იშვიათი და ძვირფასი ლითონი, რომელსაც ისეთი თვისების სინათლე აქვს, რომ მისი სხივები თავისუფლად ატანენ ყოველგვარ ფარდას, კედელს და სახურავს გარეთო. ამ კეთილშობილი ლითონის თვისებისაა სწორედ ჩვენი ილიაც. ამ შავი და ბნელი კუბოდამაც ნათლად გამოსჭვივის ილიას მაღალი სული, ამ კუბოდამაც ყველას გვარწმუნებს: რომ გავცოცხლდებოდე, ჩემი სათხოვარი და სავედრებელი ღმერთთან ეს იქნებოდა:

„მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან
გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან ღმერთო, რას იქმან!"

მაშ ამაოა ეს ზომა გარეშე ჩვენი შეზრზინება, უსარგებლოა ეს აწინდელი ჩვენი გულმოსულობა, ილიას დიდებული სულის შეურაცხება იქნება მისი მკვლელობისაგან ჩვენის მხრით რაიმე ანგარიშების მოთხოვნა.

უცხო ყოველი მტრობა და შურისძიებისაგან, ილია გვთხოვს გონება მოკრებით ჩავიხედოთ ყველამ თავთავის გულში და ყურადღებით გამოვიკვლიოთ ჩვენც ხომ არ გვიდევს წილი მის მკვლელობაში? ჩვენ ხომ არ შეგვიქმნია მისი სიცოცხლის მოსპობა-დაბადების ხელშესაწყობი პირობები, ვინაიდგან ცნობილია, რომ მკბენარის მომრავლება პირდაპირ შედეგია ჭუჭყისა და უფაქიზობისა?

ჩვენ რომ ილია თავის დროზე გვეცნო, ჩვენ ილიას ნამცნები მოძღვრება ურთ-ერთის სიბრალულ-სიყვარულისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და ქართველი ერის განვითარებისა მშობელი დე-

დის რძესთან ერთად გვექცია ჩვენი არსებობის სისხლად და ხორცად, მაშინ არც დღეკანდელი მარცხი შეგვემთხვეოდა. მაგრამ დამნაშავე ვართ ყველანი დიდიდან პატარამდე შენ წინაშე, სულო მაღალო! არც კაცი და არც ქალი, არც სწავლული და არც უმეცარი, არც დიდი და არც პატარა არ გაფასებდით ღირსეულად, არ გესარჩლებოდით თავდადებულად და სწორედ აზან გახდა შესაძლოთ შენი ძვირფასი სიცოცხლის მოსპობა ვერაგი სულისაგან.

შენთვის ისიც დიდი გასახარელი და სანუგეშო იქნება, რომ ეხლა მაინც შევიგნოთ ჩვენი მძიმე დანაშაული, ეხლა მაინც მივხედოთ შენი მაღალი მოძღვრების მნიშვნელობას, ეხლა ძაინც გავეხადოთ იგი ჩვენი მოქალაქეობრივი არსებობის მტკიცე კანონად.

გლოვით შეპყრობილნო, საყვარელო თანამემამულენო! კავკასიონის ქედის მწვერვალზე მცხოვრებ ჩვენ ძმებს — სვანებს ჩვეულებად აქვთ: თუ ვისმეს მათგანს უცაბედად კაცი შემოაკედა, ნიშნად გულითადი სინანულისა, გვერდზე იკიდებს მძიმე ლოდს. ჩამოვიკიდოთ ჩვენც დღეიდან მკერდზე ლოდი სინანულისა ამ ბრწყინვალე ცხედრის წინაშე, ჩვენი პირადი ნებით თუ უნებლიეთ დანაშაულისა და მივცეთ ჩვენს დიდებულ მიცვალებულს უტყუარი აღთქმა, რომ არ ჩამოვიხსნით ამ ტვირთს, ვიდრე ჩვენც და ჩვენი შვილებიც არ შევითვისებთ სავსებით მისგან ანდერძად დატოვებულ მაღალ მოძღვრებას.

მშვიდობით, დაუღალაო დარაჯო, უბადლო მოძღვარო, თითით საჩვენებელო, ჩვენო მაღალო ჰირისუფალო, დაუვიწყარო ილიავ! უკანასკნელათ ვეამბორებით შენს გაციებულ გვამს და გაძლევთ სიტყვას, რომ ხატად გვესვენება გულში კაცთა სიყვარულის შარავანდედით მოსილი შენი მაღალი გონების ცხადად გამომეტყველი პირის სახე. ამინ!“.

მეორე დღეს, 8 სექტემბერს, დილით, საილიაო პანაშვიდი და წირვა გადაიხადა მთელი საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენლობამ, ოთხი ეპისკოპოსის წინამძღოლობით.

ნაშუადღევს, 2 საათზე, გადახდილ იქნა მეორე პანაშვიდი, რომელსაც წინ უძღოდა არქიმანდრიტ ა მ ბ რ ო ს ი ს (ხელაია) სიტყვა:

„ვკადნიერდები და ვბედავ მეც ამ დიდებული ცხედრის წინაშე ვსთქვა ორიოდე სიტყვა.

დღეს მთელი საქართველო დასტირის დიდებული მამულიშვილის ცხედარს. დღეს საქართველომ დაჰკარგა უდიდესი მგოსანი, საუცხოო და თავდადებული საზოგადო მოღვაწე, სიამაყე ლიტერატურისა. არა გვყავს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე — მოჭირნახულე თავისი ერისა. ის მოიკლა ბარბაროსების ბინძურის ხელით.

მაგრამ მოკვდა კი დიდებული ილია? „იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკვდილამდე და მოგცე შენ გვირგვინი ცხოვრებისაი“ (გამოცხ. 2,10) გვიბრძანებს ჩვენ უფალი მოციქული იოანნე ღვთისმეტყველის პირით და ამით გვისახავს იმას, თუ რანაირი უნდა ვიყოთ ჩვენ ამ ქვეყნად, რომ დავიმკვიდროთ საუკუნო გვირგვინი, — გვირგვინი უკვდავებისა. ნეტარია ის, ვინც ამ ქვეყნად პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, სწამს და თავგანწირულად ემსახურება სიმართლეს, ამას ისახავს მოქმედებად — მოღვაწეობის საფუძვლად: „პატიოსნად არს წინაშე უფლისა სიკვდილი“ ამნაირის კაცისა (ფსალ. 115,6). ის უკვდავია მისი ნამოქმედარით, მისი ხსოვნა უკუნისამდე დარჩება მადლიერ ერში. ამისთანა კაცი სიკვდილის შემდეგაც თავისის ნამოქმედარ-ნაღვაწით მასწავლებელი და დამრიგებელია, რადგან, მოციქულის თქმით, ის სიკვდილის შემდეგაც მეტყველებს (ებრ. 11,4).

მაშასადამე არ მომკვდარა ილიაც; ის ცოცხალია. ის მხოლოდ გარდაიცვალა სიკვდილისაგან ცხოვრებად. თუმცა დასდუმდნენ მჭევრმეტყველებით განთქმული ბაგენი, მაგრამ საქმენი მისნი, მჭევრმეტყველურადვე ღაღადებენ და იღაღადებენ. ის თვისი ნაშრომ-ნაღვაწით უკვდავათ დარჩება, სანამ ქართველი ერი იარსებებს. მეტიც: ქართველი ერიც რომ გადაგვარდეს, განადგურდეს უკუღმართ დრო-გარემოებათა გამო, მაშინაც არ იქნება დაკარგული დიდებულ მგოსან-მოღვაწის ხსოვნა, ვინაითგან ამ დიდებული საქართველოს შვილის ნაწარმოები ეკუთვნის არა მარტო ქართველ ერს, არამედ მთელ კაცობრიობას, რომლის ნაწილსაც შეადგენს ქართველობა.

განსვენებული დიდებულება თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით სამშობლოს საკეთილდღეოდ. მისი ღვაწლის სიდიადე არის მიზეზი, რომ ასე მწარეთ დასტირის მას მთელი საქართველო. მაგრამ, ქართველნო, არა დაუვიწყარი ილიაა საგლოვო-სატირალი, არამედ ბედისაგან განწირული ჩვენი სამშობლო, — მისი დამკარგველი. განა არა კმაროდა, რაც უკუღმართ დრო-ვითარებამ დაგვა-

ტეხა თავზე, რომ ჩვენ თვითონ აუწერელი უბადურება არ მიგვემატებია?! მაგრამ დასაჯერებელი კია, ეს უმაგალითო ბარბაროსული მკვლელობა ჩაედინოს საქართველოს შვილს, იმ საქართველოსას, რომლის თავგანწირულად სამსახურში გაატარა განსვენებულმა მთელი ორმოც და ათი წელიწადი.

თუ კი ეს ბრალი დაედო ქართველობას, მაშინ ჰეშმარიტად ჩვენი გახრწნილება, ზნეობრივი დაცემა, ველურობა, უკუღმართობა იქნება სატირალი. ამას უნდა ღრმად ჩავუფიქრდეთ, თუ გვინდა დავრჩეთ ქართველ ერად. — განსვენებული კი ნეტარია. მან კეთილად განვლო გზა „კვალი“, მისი ნავალი წარუშლელია, ეკლიანი გზა გაკაფულია. ის უკანასკნელ წუთამდის ერთგულად ემსახურებოდა იმ იდეალებს, რომელიც მან ამ ნახევარი საუკუნის წინად აირჩია ქართველი ერის საკეთილდღეოდ; ერთის ნაბიჯითაც არ გადაუხვევია, არ უღალატნია მათთვის და ამისთვის, მოციქულის თქმისაებრ, მზა არს მისთვის „გვირგვინი ცხოვრებისა“ (გამოცხ. 2,10), გვირგვინი უკვდავებისა.

დიდებულ გვამთა გარდაცვალებასაც აქვს ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა, ისიც უთუოდ რამეს გვაწვდის.

მივიჩნიოთ ეს ბარბაროსთაგან დაღვრილი სისხლი ჩვენს ეროვნულ ცოდვათა განსაწმენდად, უკუღმართ გზიდან მოსაქცევად, მთლად საქართველოს შვილთა შესაერთებლად, განსამტკიცებლად.

შევფიცოთ ამ წინამდებარე ცხედარს, რომ ვიქნებით ნამდვილი აღმასრულებელნი იმ მცნებისა, რომელიც განსვენებულმა თვისის მოღვაწეობით გვიანდერძა ჩვენ.

თუ ჩვენ გვექნება ერთობა ეროვნულ იდეალების მსახურებაში, მაშინ უეჭველია ჩვენი სამშობლო მხარე შეიძლებს კიდევ წარმოშოს ილიასებრი დიდებული მოღვაწენი და მაშინ საბოლოოდ განიხარებს განსვენებულის დიდებული უკვდავი სული. იყოს უკანასკნელი მსხვერპლი, სამშობლოს საკეთილდღეოდ და ჩვენთა ეროვნულ ცოდვათა სახსრად შეწირული ეროვნულ ტრაპეზზედ. სიდიადე ამ მსხვერპლისა თავდებია, რომ მომავალში ჩვენი უკუღმართობა, ჩვენი შეუგნებლობა მოსპობილ იქნება და ერთობილის ძალით შევუდგებით პირნათლად სამსახურს სამშობლო მხარის აღორძინებისას. თუ ამნაირი ღვაწლი დაგვდო ჩვენ ამ მსხვერპლის სისხლმა, თუ ჩვენ შეგვაერთა მამულისათვის თავდადებით სამსახურში, — ეს იქნება უკანასკნელი ჰეშმარიტად დიადი ღვაწლი

დიდბულის ილიასი — მისი ხანგრძლივი შრომის სასურველი ნაყოფი და გვირგვინი. ჩვენის მხრითაც ეს იქნება ნამდვილი ვალის მოხდა, მისი ანდერძის აღსრულება და თან საუკეთესო პატივისცემაც განსვენებულის ხსოვნისა. ღმერთმან მოგვცეს ამის შეძლება.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, მამულისათვის თავდადებულო, დიდო მგოსანო, ილიავ!"

იმ დღეს მოქანდაკე ფელიქს ხოდოროვიჩმა ილიას სახე და მარჯვენა ხელის მტევანი აღბეჭდა თაბაშირით...

იმავე 8 სექტემბერს, „ისარში" გამოქვეყნდა წერილი იაკობ გოგებაშვილისა — „შურისძიება ისტორიისა":

„შეუდარებელი, უებრო შურისძიება იცის ისტორიამ. საუკეთესო ისტორიკოსები იმ აზრზე დგანან, რომ ქრისტიანობა პატარა, ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო ნაძირალა ებრაელებს ჯვარს არ ეცვათო. ამ უბედურებს ეგონათ, რაკი იესოს საზარელ სიკვდილს მივცემთ, მასაც საშინლად დავამცირებთ და მის სწავლასაც ამოვფხვრით და გავაჭრობთო. ნამდვილად კი სწორედ ამ საზარელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ, გააღმერთა იესო, გახადა იგი საგნად უსაზღვრო თაყვანისცემისა, უმხურვალეს სიყვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოჰფინა იგი კიდითი-კიდედ და ქრისტიანობა გარდააქცია მსოფლიო სარწმუნოებად; ჯვარცმულის ჯალათი კი გააკრა კაცობრიობის თვალში სამარცხვინო ბოძზე უკუნითი უკუნისამდე.

სწორედ ესევე აცხადდება (და უკვე ცხადდება) ჩვენს უნიჭიერესს პოეტსა და დიდ მამულიშვილზე, რომელსაც ეხლა გლოვობს უმაგალითო მგლოვიარობით მთელი ქართველობა, გარდა ბნელეთის ნაბიჭვრებისა, უსულგულო და უტვინო ორფეხა მხეცები ვერაგულად ჰკლავდნენ საშინელის სიკვდილით საუკეთესო შვილს საქართველოსას, რასაკვირველია, იმ განზრახვით და იმედით, რომ დაემცირებინათ მისი დიდებული სახელი, მისი დიდი გავლენა ქართველობაზე. მაგრამ თავისისავე უგუნურის და წყეულის თვალებით იხილავენ სრულიად წინააღმდეგს ნაყოფს თავიანთ საზიზღარის მკვლელობისას. ამ ვერაგულის მოკვლის შემდეგ ილიას სახელი მოიცვის დიდებულ მოწამის შარავანდედით, ერთი ასად იმატებს ის ღრმა პატივისცემა, ის თაყვანება, რომლითაც ყოველი

ჰკუათა მყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო მისადმი; ერთი ასად გაიზრდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის ქმნილებებს ჰქონდა და ქართველობა ამ მის ქმნილებებს დაეწაფება სრულის გაუმაძღრობით. რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მის მკვლელობის შემდეგ უკლებლად შეივსება და იგი იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი. მოკლე ხნის განმავლობაში მთელს საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ამშვენებდეს ილიას სურათი, როგორც უძვირფასესის და სათაყვანო ხატისა.

დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის დიდებულს და წმინდა ქართულს ენას, მის მაღალს აზრებს, პროგრესიულს იდეალებს, მის დემოკრატიულს მიმართულებას, წმინდა ეთიკას სრულის ადამიანობისას, ამისათვის კი ყველაზე მეტად საჭიროა მოფენა კიდითკიდედ მისი ქმნილებებისა, გავრცელება მისის თხზულებებისა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

ვინ უნდა იკისროს ეს დიდი საქმე? სათავად-აზნაურო ბანკმა და საქართველოს თავად-აზნაურობამ. მათ ის პენსია, რომელსაც ილია იღებდა, უნდა წლითიწლობით გადასდონ საგამომცემლო თანხად, იმის თხზულებების დასაბეჭდად, შეუკვეთონ ევროპის საუკეთესო მხატვრებს მათი დასურათება, ყოველი ქმნილება მისი, ჩინებულად დასურათებული, გამოსცენ ცალკე წიგნად, სულ მცირე ფასი დაადონ და მთელს საქართველოში მოჰფინონ.

ეს მოფენა ისეთს ნაყოფს გამოიღებს, რომელსაც ეხლა ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ. ილია იყო არა მარტო დიდი ნიჭის პატრონი, არამედ დიდად განვითარებული ინტელიგენტი, შემკული იშვიათის მხატვრობითი ნიჭით და ნამდვილი ბრძენი. ამიტომ იმის ქმნილებათა მოფენა დიდ სარგებლობას მოუტანს ქართულს აზროვნებას და სიტყვიერებას.

როცა ქართველი გლეხობა გაიცნობს ილიას ნაწერებს, გადაიკითხავს იმის „კაცია-ადამიანს“, „გლახის ნაამბობს“, „კაკოს“ თავგადასავალს, იმის „მუშას“ და სხვა დემოკრატიულს ქმნილებას, იგი ცხადად დაინახავს, თუ რა დიდი მოციქული იყო ილია გლეხთა განთავისუფლებისა და აღორძინებისა. მაშინ იგლოვს იგი იმის სიკვდილს ბევრად უფრო მეტის მწუხარებით და ცრემლით, ვიდრე ეხლა ჰგლოვობენ დაწინაურებულნი ნაწილნი ქართველი ერისა.

ეს იქნება საუკეთესო შურისძიება, ღირსი ჩვენის დიდებულის მიცვალებულისა...

ამასთან ჩვენ მხნედ უნდა შევუდგეთ დიაგნოზს იმ საზოგადოებრივის სენისას, რომელმაც ისე მხეცურად იმსხვერპლა მგოსანი, ჩვენ უსათუოდ უნდა აღმოვაჩინოთ მხეცი მკვლელები და მათი ხელმძღვანელნი, თუ ჰყავდათ. არაფერს არ უნდა შევუშინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან დამალვით სენი კი არა რჩება, ძლიერდება, ხრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს".

და კიდევ, იქვე, „ისრის" იგივე ნომერში წერილი, ფსევდონიმით— „ს ი ტ უ ვ ა" და სათაურით — „მ კ ვ ლ ე ლ ს":

„დღეს ასაფლავებენ იმას, ვისაც შეახე უწმიწდური ხელი და მოჰკალი ვერაგულად. მოუსპე სიცოცხლე, ვინც არასოდეს არ მოკვდება; დაადუმე ენა, რომელიც იმეტყველებს თავისი ნაწერებით ქვეყნის დასასრულამდის; გაჰგმირე მრავალ და ჩააჩუმე გული, რომელსაც აუძგერებია ასი ათასის გული გაცისკროვნებულის აზრით და მაღალის ადამიანურის მისწრაფებით.

ასაფლავებენ მამულისშვილს, რომლის სიკვდილმა დააობლა ერი. მისი გვამის გარშემო შემოკრებილია მთელი საქართველო; მისი კუბო მორთულია ცრემლებისაგან დანამებულის ყვავილებით, გზა იმის განსვენებისა ბრწყინავს დიდებითა და სიყვარულით.

უკანასკნელად ეთხოვება ქვეყანა დიდებულს ადამიანს, რომლის მსგავსი მეორე აღარა ჰყავს. ცივს მიწას უნდა მიაბაროს თავისი სიამაყე, თავისი ნიჭის სიძლიერე და შემოქმედების ძალა.

დღეს ასაფლავებენ ილია ჭავჭავაძეს — შენს მსხვერპლს... დღეს შენ უნდა წარსდგე სამსაჯულოს წინაშე: უნდა ამხილო შენი თავი, უნდა მოინანიო ცოდვა, აღიარო დანაშაული!

უკანასკნელად ხედავ შენგან განწირულს მამულიშვილს; მალე იგი განისვენებს საუკუნო სასუფეველში, გარდავა იმ ქვეყანად. წარსდეგ მის წინაშე. იგი სდუმს, მის სახეს არ აღელვებს არავითარი სიძულვილი, მკვდარია იმის გულში შურისძიება; აღარა აშფოთებს რა, წუნარია და მშვიდი, იგი გიწვევს შესარიგებლად.

რისთვის გაუპე გული და გადმოუნთხიე ტვინი?

გაწყენია პირადად რამე? თუ არ მოგწოხდა ზოგი თვისება მისი საზოგადოებრივ ცხოვრებისა?.. ყველაფერი ეს დღეს აღარ არსებობს: გაჰქრა, წაშალა უკვდავებამ. ეს წუთიერი, წარმავალი იყო; ძლიერი ნიჭი და გული დარჩა, უკვდავი მგოსანი, ადამიანი არ მომკვდარა. სხეული გაშრა, გაშეშდა, მაგრამ სული კიდევ უფრო აღფრთოვანებული, აღტაცებული, გადიდებული შფოთავს, ღელავს სიცოცხლითა და ბრძოლით აღსავსე!

აი, მისი მირონცხებული არსების გარშემო შემოკრებულან გაბრიელი, მისი მღვდელი, ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, კაკო, მუშა, გუთნის დედა, დედა და შვილი. კიდეც სტირიან და კიდეც იცინიან. სტირიან, რომ პოეტი მოჰკლეს; იცინიან, რადგან სიკვდილიდან იწყება მის უფრო დიდებული ცხოვრება.

აი, მყინვარის ძირში გამოქვაბული, საიდანაც გამოიყურება ქვეყნის უარმყოფელი განდეგილი და მას ქვეივიდან მიიწვევს ალერსით მომხიბლავი სიყვარული და სიცოცხლე.

აი, კუბოს თავს დახვევიან უკვდავნი სულნი და უგალობენ ციურს საგალობელს. თვით ჰაერს შეერთებია საგალობელი და ნიავთან ერთად ეალერსება ყურს:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!..“

ამ ხმას უერთდება მთელი ერის მწარე გლოვა, ტირილი და მოთქმა მდუღარე ცრემლებით. ყველაფერს თავს დასტრიალებს იდუმალი სიჩუმე და უკვდავებით აღბეჭდილი გვამი დიდებული ადამიანისა...

წარსდეგი მის წინაშე!

იგი მიგიწვევს შესარიგებლად.

ამხილე შენი თავი, აღიარე შენი მიუტევებელი ცოდვა, განაცხადე, რომ შენ წაართვი ქვეყანას საუკეთესო შვილი.

ნუ წამოდგები საჯაროდ, ნუ ეტყვი ხალხს შენს აღსარებას. არავის სურს შენი დასჯა, არავის სწადია შურისძიება, შენი შეპყრობა.

არა! მხოლოდ შენის საკუთარ სინდისის წინაშე წარსდეგი, მხოლოდ საკუთარ თავს უთხარ, რომ დამნაშავე ხარ, დიდი დამნაშავე. მხოლოდ შენს სინდისს და შენს მსხვერპლს გაუმხილე ცოდვა, მოითხოვე პატიება, —

და პატიებულ იქნები.

დაიჩოქე დიდებულ ადამიანის გვამის წინაშე განსპეტაკებული, მონანიებული; აიღე ხელში დაფნის შტო და შეამკე კუბო. შენი ერთი ცრემლი დაეცეს იმის გვამს. ეს იქნება უსაყვარლესი გვირგვინი განსვენებულისათვის, ეს იქნება უძვირფასესი ცრემლი. სინანულის ცრემლი და პატიების შტო ყველაზე უფრო გაახარებს გარდაცვალებულს, ყველაზე უფრო დიდი პატივისცემა იქნება მისთვის.

ეს ცრემლი, ეს სინანული შეგაერთებს მთელის ხალხის საერთო მწუხარებასთან.

და ისიც გაპატიებს შეცოდებას.

წარსდეგი მოკლულის წინაშე და შენ თვითონ განსაჯე შენი თავი. მუხლი მოიდრიკე, უთხარი შენს თავს, რომ დამნაშავე ხარ და უთხარი ისიც, რომ კვლავ ადამიანი ხარ!"...

...და აჰა, დადგა 9 სექტემბერიც, კვირა დღე — ილიას უკანასკნელი ყოფნის დღე ქართულ მიწასა ზედა, ქართულსა ჰაერეთსა შინა.

დილის 7 საათიდანვე სიონი და მისი მიმოსახედნი უკვე ხალხით იყო გადაჭედილი. წირვა და პანაშვიდი 8 საათზე დაიწყო და გაგრძელდა სამ საათ ნახევარი.

და გამოასვენეს ილია სიონიდან — ნიკო ცხვედაძემ, არტურ ლაისტმა, ანტონ ფურცელაძემ, მეფის ნაცვალმა ვარანცოვ-დაშკოვმა. სამგლოვიარო ეტლზე დაასვენეს და პროცესიაც დაიძრა, — გოდებით, გალობით, გვირგვინებით, დროშებით, ჯვრებით, ხატებით.

სასახლის მოედანზე შედგა და შეტბორდა ერი.

სასტუმრო — „კავკაზის" აივანზე ავადმყოფი აკაკი გამოიყვანეს ნიკო ცხვედაძემ და ვალერიან გუნიამ.

და უთხრა სიტყვა აკაკიმ ილიას — სიტყვა, ერისთვის მარად სახსოვარი, სწორუპოვარი მშვენება ქართული სიტყვიერებისა, ჰეშმარიტი „სიტყვა ღმრთისათანა":

„ახალ მოძრაობის წინამძრბედი, მაგრამ საწალმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო"? გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამარ-

თლებელი საპასუხოდ ეერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარებას გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ვეღარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით, ძმაო! — გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ, ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავის-თავად იღაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც-არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილიც შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა საქართველოს ყოველ კუთხიდან თავ-მოყრილნი გეხვევიან გარს!.. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით, ძმაო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!..“

და იმ დღესვე მგლოვიარე ქართულ სამყაროს მოეფინება ილიას სიკვდილით გულშეძრული აკაკის ლექსი:

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას
და ნუ მეტყვით, რაც არ მჯერა!
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედისწერა?!“

და ისინი იმ დღეს სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს, ერთ უღელში შებმული ერისუფალნი: ილია „ისტორიის კუთვნილების“ გზით წავიდა, ხოლო აკაკი ობლად და ცალუღლად შერჩა თავის „ფურთხის ღირსს საქართველოს“...

...აჰა, უკვე ასულა ილია მთაწმინდაზე.
უკანასკნელი სიტყვები...

ლაპარაკობს ეპილოგში:

„ბნელმა ძალამ აისრულა თავისი საწადელი. ეს ძალა მუდამ ეძებს მსხვერპლს თავის საკვებავად და სასახელოდ; მისი საკვები უსამართლობისაგან დაჩაგრული სიმართლე, პირადი ინტერესი საზოგადო სარგებლობის ნაცვლად და დაბნელება წყვდიადით სინათლისა. ბნელი ძალები არსებობდნენ როგორც დღეს, ისე წინადაც და მომავალშიც არ მოისპობა მათი არსებობა, ვიდრე ნათელია, ვიდრე სიმართლე ებრძვის უსამართლობას, საზოგადოებრივი ინტერესი — კერძოს. იქნება თქვენგანმა ბევრმა არ იცოდეს, რომ ილიას მოკვლას უპირობდნენ ამ 40—50 წლის წინათ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეებრძოლა ცხოვრების დახავსებულ ფორმას — ბატონყმობას. მაშინ არ იყო სწავლა-განათლება ისე გავრცელებული, როგორც დღეს არის, არც მეასედად; სად იყო მაშინ ამდენი ქართული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი, მაგრამ ბუნებრივი ჭკუა და ნამუსი იმათ მეტი ჰქონია. მეტისმეტად ნაწყენმა ბატონებმა თავხედურის საქციელით ახალგაზრდა კაცისა, „კაცია-ადამიანის?!“ ავტორისა, დაზოგეს მისი სიცოცხლე ამ მოსაზრებით — იქნება საქართველოსთვის სასარგებლო კაცი დადგესო, იქნება ილიას რჩევა და მოძღვრება სჯობდეს; როგორც ნასწავლ კაცისა, და არც მოსტყუვდნენ. ღმერთმა დაიფაროს მაშინ მოეყვანათ თავიანთი განაჩენი სისრულეში, წარმოიდგინეთ რამდენს რასმე დაჰკარგავდა საქართველო! მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთს ჩვილს შვილსა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, არ მომიშივდესო. მოსეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულ ხმალს პირველი უფარებდა ფარსა.

ეს მწერლობაში. მწერლობის გარეშე ხომ უთვალავია მისი ღვაწლი: ყველაფრის ჩამოთვლა მეტია, ვინაიდან ეს ღვაწლი ყველა ქართველმა კარგად უწყის. და დღეს კი, როცა უფრო ვითომდა გავნათლდით, დავკარგეთ ნამუსი, ადამიანობა, არ დავინდეთ მისი ჭაღარა! განსვენებულს კი დიდი იმედი ჰქონდა ახალგაზრდობისა და ამიტომ ნანასავით უმღეროდა მის მიერ აღზრდილ საქართველოს, წყლულ გულს ანუგეშებდა: „შვილები წარმოგვესწრნენ, ვეჯაცნი, გულმტკიცენი; მათი საგონებელი შენ ხარ და შენ იქნებიო“. მაგრამ ეს სრულიად არ გამართლდა, იმათ შორის მახინჯებიც გამოერივნენ. გამოერივნენ ისეთნი, რომელნიც თვით საქარ-

თველოს ჰკლავენ: უარყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტერიტორიასაც კი, რა არის, მაშ, თუ არა კვლა საქართველოსი?

ვიმედოვნებთ მხოლოდ იმითი, გვრჩებიან სხვა ახალგაზრდებიც, რომელთაც არ უღალატეს ილიას ანდერძს; საქართველოს ბედ-იღბალს თავს ევლებიან და „საგონებლად" გაჰხდომიათ თავიანთი დაჩაგრული, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი ეროვნება.

დიადო მგოსანო! ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს წირაშე შენის დიდებულის ნეშტისა, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა, არამედ იგი გეეპიროს მაღლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენს მიერ ნაანდერძევ იდეალებს — ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუღრეკელად. ვუწყი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს და სხვა გმირებთან ერთად დაჰხედავს ათასში ერთხელ მაინც — გაიგოს ჩვენი ყოფაცხოვრება — გავიზარდენით, ავმაღლდით, თუ დავეცით უარესად და დავკნინდით, და შეგვავედრებს ღმერთს, რათა მოგვცეს მან ძალა გაუკეთესებისა, ერთობისა, სიყვარულისა, — ჰკუაგონება ნათელი, რათა არ გაჰქრეს შენი საყვარელი, სათაყვანებელი ერი, ლამაზი გარეგნობით, გალამაზდეს ყოფაცხოვრების სათანადო წყობილებით.

მშვიდობით, საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი. დიდებულო ადამიანო!"

შემდეგ — ქართველ ქალთა სახელით სიტყვას ამბობს ნინო ნაკაშიძე:

„შენი სამარის წინაშე თავ-მოყრილი ქართველი ქალები იმისთვის დაგტირიან, რომ ადამიანური უფლების ერთგული ქომაგი იყავი. ამან მისცა ფასი და მნიშვნელობა შენს ნაწერებს.

ქალი — ადამიანია, ხოლო დაჩაგრულ ადამიანის უფლების დაცვა ქალის უფლების დაცვაა. უღრმესი კაცობრიული გრძნობა იმით არის შესანიშნავი, რომ იგი მტკიცე კავშირს ჰქმნის კაცთა შორის სქესების განურჩევლად. ის მწერალი და მოღვაწე, რომლის გული თავის მოძმის მიმართ თანაგრძნობით ძგერს, როგორც მამაკაცის თავისუფლებას ემსახურება. შენი საუკეთესო ღვაწლი საზოგადო კაცობრიულ გრძნობათა გაღვიძება იყო და ამ გრძნობამ

შეგვაერთა დღეს შენი სამარის წინაშე განურჩეველად მამაკაცნი და დედაკაცნი.

რა ფიქრებს და გრძნობას გვიღვიძებს ჩვენ წინ უსულოდ მდებარე სასიქადულო ადამიანის გვაძი? უწყალო ტყვიით განგმირეს ის, ვისი საუკეთესო ნაწარმოები ჩაგრულთა მიმართ წრფელის თანაგრძნობითაა სულჩადგმული. დიდი და ღრმა მნიშვნელობითაა აღსავსე ცხოვრების ეს საშინელი და ამავე დროს საგულისხმიერო მოვლენა. ვინ მოჰკლა ილია ჭავჭავაძე? ვისი უწყალო ხელი შეეხო მოხუც. სრულიად ჭაღარა პატიოსან დედაკაცს, ილიას ერთგულ მეუღლეს? პასუხი ერთია: ცხოვრების უწყალო პირობისაგან დამახინჯებულ, საცოდავ, სულით ღატაკ ადამიანთა მსხვერპლი გახდა იგი. შურის ძიებას თუ მკაცრ პასუხის გებას მოითხოვს ჩვენგან ილია ჭავჭავაძის ძვირფასი ხსოვნა იმათ მიმართ, რომელთაც ის ასე უწყალოდ გამოასალმეს ამ წუთისოფელს. იმათ არ იცოდნენ რას სჩადიოდნენ და ამ საზარელ უვიცობაში ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვართ. ვისი ბრალია, რომ ყველა საუკეთესო მწერლების ნაწარმოები, ტანჯულ ადამიანის მიმართ წრფელის სიყვარულით სულ-ჩადგმული შემოქმედება, მხოლოდ შედარებით უფრო შეძლებულთა წრეში ტრიალებს, რომ ხალხი, ის ხალხი რომელიც თითონ მგოსნის სიტყვით „ლაბას“ ბედს ადარებს თავის ბედს, რომელიც ყველას თავის ოფლით გვარჩენს, კეთილ წიგნს, ღრმა აზრიან მწერლობას მოკლებულია? განათლება დღეს შეძლებულთა ჯილდოა და ეს საზარელი მკვლელობა, ეს ღია ბნელი სამარე მკაცრისა და უწყალო ენით მეტყველებს, რომ ამ სასიქადულო ადამიანის მკვლელობაში ყველას საერთო ბრალი გვიდევს. იმ საზოგადოებაში, იმ ხალხში, სადაც კაცობრიობის უძვირფასესი განძი, საუკეთესო მოღვაწეთა ნაფიქრ-ნაგრძნობი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ვიწრო წრის მემკვიდრეობაა, განათლებულნი თითქოს არისტოკრატიას წარმოადგენენ, რომელთაც ხვდათ ის, რაც საერთოდ მთელ კაცობრიობას უანდერძეს მოწინავე მწერლებმა. იმათ ხვდათ ის ნიჭი, ის ქრისტიანული „ტალანტი“, რომელიც ცხოვრების ქრისტიანულ კანონის ძალით, თუ არ აწარმოვა, თუ არ გაამრავლა ხალხში ადამიანმა, ბოლოს ამ ნიჭის, „ტალანტის“ მქონეს და სულით ზარმაცს დაატყდება თავს, და ჩვენც, დღეს ამ ძვირფასი ნიჭის მქონე სულით ზარმაცი მემკვიდრენი დიდებულ მოაზრეთა, ამ დიდებულ უსულო გვამის წინ აკი განვიცდით „კბილ-

თა ღრჭენას და ტირილ-ვაებას". თუ ამ საშინელ საქმის ჩამდენი ძოძმეა, ჩვენ მოვიმკით იმას, რაც დაგვითესნია.

განა საფიქრებელია, რომ იმ ადამიანმა, ვისი ხელიც არ შედრკა და სასიკვდილო ტყვია აძგერა ილიას გულს, იმ გულს, რომელმაც სიყვარულით ამოაკვნესა „გუთნის დედა", „სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან", „კაცია-ადამიანი", „ლოცვა", „ქართველის დედას", „აჩრდილი" და სხვანი, იცოდა ერთ-ერთი მაინც ამ ნაწარმოებთაგანი? და ახლა კი, როცა დავკარგეთ საუნჯე, ვტირით; მაგრამ ილიას ღია სამარის წინაშე უნდა ვიგლოვოთ არა ის ადამიანი, რომელიც მუდამ იცოცხლებს ქართველ ერის გულში, არამედ ის საბრალონი, რომელნიც დღეს ირგვლივ ზიზღს და რისხვას იწვევენ. ვიგლოვოთ ის უბედური დედა, რომელსაც შავმა ბედმა ასეთი შვილის აღზრდა არგუნა, და იმათთან ერთად ჩვენი თავიც.

დეე ამ საზარელმა ტრაგედიამ, ამ საშინელებამ ღრმად აძგეროს ჩვენი გული და თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ სამუდამოდ, ღრმა საგულისხმიერო სურათად გვედგას თვალწინ და მუდამ ჟამს გაახსოვდეს შენი საუკეთესო სურვილ-მისწრაფება, რომ ადამიანურ ცხოვრებას ამ წუთისოფელში მხოლოდ ადამიანურ სიყვარულისა და მოვალეობის აღსრულება შეჰქმნის.

გეთხოვებით, ძვირფასო მასწავლებელო, შენისავე სიტყვებით, რომელიც ყველა ქალმა-დედამ მცნებად უნდა გაიხადოს:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს:
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...
აჰ არის, დედაე, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას."

სიტყვას ამბობს ყვირილის საზოგადოების წარმომადგენელი თ ე ო ფ ი ლ ე ხ უ ს კ ი ვ ა ძ ე:

„ვაი რა კარგი საჩინო, რა ავათ მიგიჩნიესო,
ბოროტისაგან კეთილი, შურით ვერ გაარჩიესო".

ტანჯულ-წამებულო ჩვენო მოღვაწევ!

მწუხარებით ვასრულებ ყვირილის საზოგადოების მონდობილობას... გულდამწვარი გადგივარ თავზე და მღელვარებით მსურს გადმოგცე ის სულიერი აღშფოთება, რომელიც შენმა მოწამებრივმა საშინელმა სიკვდილმა გამოიწვია...

მსურს ეს გრძნობები მწუხარების ნაღველში გავლესო და შეუშრეტელ ცრემლთა ნაკადულით დავაფრქვიო შენს უკვდავ კუბოზე, მაგრამ... მაგრამ საიდგანღაც რაღაც უცნაური ხმა მოისმის, ვიღაცის შარავანდედით მოცული აჩრდილი მრისხანეთ მიდგია წინ და გულისწყრომით მიშტერებს თვალებს!

ეს მრისხანე ხმა, ეს ბრწყინვალე შარავანდედით მოცული აჩრდილი შენია, შენი, ჩვენო წამებულო, საზოგადო მოღვაწევ!..

ეს მრისხანე ხმაც — შენი ჩვენდამი საყვედურია!.. დიახ!..

სრულიად მართალი ხარ!.. მართალი ხარ, რომ გვისაყვედურო!..

ჩვენ მარტო ზიზღისა და დამცირების ღირსნი ვართ! ჩვენ ვერ დავიფარეთ შენი დიდი პიროვნება.. შენის სიკვდილით ჩვენი არსებობის დღენი მოვკალით, თავი შევირცხვინეთ, ეროვნული ამპარტავნება გავაქრეთ, გავაქარწყლეთ, მაგრამ... კიდევ იმედი! კიდევ დიდებული შენი პიროვნება უნდა იქნეს თავდები იმისა, რომ ყველაფერს გვაპატივებთ და შენი უკვდავი გონების ნაწარმოები იქამდის იქნება ქართველი ერის აღმზრდელი, დამტკბობი და ბნელით მოცულ გზის გამანათებელი, სანამდის საქართველოში უკანასკნელ ქართველს პირში სული ედგმის...

მაშ, დამშვიდდი, ნუ აღშფოთდები!!

კვლავ მაინც მშვიდათ და წყნარათ განისვენე, ტანჯულ-წამებულო მოხუცო!.."

სიტყვას ამბობს ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე ე ო რ ე ო ლ ი ა ნ ი:

„ჩვენო სასიქადულო მგოსანო, ქართველთა სახელოვანო პუბლიცისტო, ქართველი ერის საამაყო პოეტო, ჩვენი ლიტერატურის ბურჯო, საყვარელო მწერალო და ძვირფასო ცხედარო! რაღა უნდა გითხრა, რაღაზე უნდა გესაუბრო, რაღა უნდა ვსთქვა მე იმის შემდეგ, როცა ამდენი ცრემლით, ამდენი ბოლმით აღსავსე, სამგლოვიარო, გამოსათხოვარი, როცა ამდენი გრძნობების შემრყევი სი-

ტყვები წარმოითქვა ამ შენს უგრძნობელ გვამთან, უშენობით დაობლებული ერის შვილებისაგან.

შენი უღვთო, ტრაღიკული სიკვდილი იმგვარი მოვლენაა ყველა ქართველისათვის, რომ ერთნაირად სამწუხარო და მზამზარეული სიტყვა უნდა ედგას ესაზე ყველა ჩვენის ხალხის შვილს. დღევანდელ ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის, როცა სული და გული აღშფოთებული გვაქვს, როცა მხოლოდ გრძნობები უსწრებენ წინ გონებას ამ შენ ძალით, ხელოვნურათ შექმნილის სიკვდილის გამო, შეუძლებელია. ამას სულის სიმშვიდე, გონების დასვენება ესაჭიროება, რასაც დღეს ჩვენი ორგანიზმი მოკლებულია.

ან-კი რაღა უნდა გითხრათ. როგორის თვალებით შემოგხედოთ, სხივოსანო ადამიანო, შენს ახლახან მრისხანეთ გამომყურე სახეს?!

რაღა დამრჩენია გითხრა მე, ახალგაზრდას, იმ ახალგაზრდას, რომელიც შენს ნაწარმოებებზე და შენს გონების ნაყოფზე აღვიზარდე? არაფელი; მხოლოთ ორიოდე სიტყვას გეტყვი თვით ჩემის ცხოვრებიდან: წამოვიზარდე თუ არა, გამაგებინეს, რომ ამ ჩვენთვის ადვილათ, და სასიამოვნოდ დანასწავლ ნაწარმოების შემქმნელი ცოცხალია, — მისადმი უზომო სიმპატია, უსაზღვრო სიყვარული აღმეძრა და პატარაობიდანვე სურვილი გამიჩნდა, რაც უნდა შემთხვეოდა, წავსულიყავი იქ, სადაც ეს ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი ფეხს ადგამდა, ესე იგი ჩვენის ქვეყნის დედა ქალაქში, ჭაჯრებისაგან ათასხელ აოხრებულ თფილისს. მსურდა იმ ადამიანის ხილვა, რომელსაც თავის „კაკო ყაჩაღში“, „გლახის ნაამბობში“ და „კაცია-ადამიანში“ და სხვა მრავალ ნაწარმოებებში მოთხრობილ ამბებით ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოეხდინა. ერთის მხრით მინდოდა იმ ქალაქის ნახვაც, რომელშიც ყოველი ჩვენი ისტორიული დიდება თავს იყრიდა, სადაც ერთ დროს აღამახმაღსანი, თავის გამანადგურებელ ვერაგობით თარეშობდა, სადაც ყოველი ადგილი ჩვენის წინაპრების სისხლით იყო მორწყული, სადაც ჩვენი ცხოვრება ყვაოდა. მაგრამ მეორეს მხრივ ჩემი წყურვილი, ჩემი უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ ჩემის საკუთარის თვალებით დამენახა ის პოეტი, მასწავლებელი, ის სხივებით ბრწყინვალე და ჩირაღდანივით მოელვარე ადამიანის სახე, რომელიც თავის საქმეებით მიზიდავდა მე. მსურდა, ამგვარი კაცის ხელს თუ არა, ტანისამოსს მაინც მივკარებოდი და სიამოვნება მეგრძნო. მაგრამ სხვა და სხვა პირობებმა ხელი არ შემიწყვეს და ეს ჩემი მიზანი დამრჩა

დღევანდლამდის განუხორციელებელი: ვერც თფილისი ვნახე და ვერც შენ, — ძვირფასო მგოსანო!

მე მსურდა, პოეტო, შენი მოელვარე, შენი მხოლოთ სურათით დანახული მომღიმარე სახე ცხადათ, აშკარათ მენახა. მე მწადდა შენი მაღალი, მირონცხებული შუბლი დაუჭმუნავათ მეხილა, მე მინდოდა შენი გაბრწყინვებული, ჩვენთვის არა ერთხელ ატირებული, გონიერი თვალების დანახვა; ჩემი სურვილი იყო იმ თავის ძარღვების ფეთქას შევსწრებოდი, რომელნიც ჩვენთვის, ჩვენდა საკეთილდღეოთ, აზროვნებდა. ჩემს მიზანს შეადგენდა იმ სულის ამოთქმა-ჩათქმის მოწმეთ ვყოფილიყავ, რომელზედაც თითონ შენ ამბობ, დიდებულებოვანო მგოსანო: რომ „ერის წყლული მაჩნდეს წყლულათ, მეწოდეს მის ტანჯვით სულიო“, მე ვესწრაფოდი იმ გულის ფეთქა-ძგერას შევსწრებოდი, იმ მტკიცე გულის ცემას დავყურადღებოდი, რომელზედაც თვითონვე შენ ამბობ: „მის (ერის) ბედით და უბედობით დამედაგოს მტკიცე გულიო“, მე მსურდა იმ ადამიანის ორგანიზმის სავსებით დანახვა, რომლის პატრონი „ერის მოძმედ იყო ჭმუნვასა და სიხარულში“.

მაგრამ რა, რა სურათს შევესწარი მე აქ, ამ ქალაქში პირველათ ჩამოსული ყმაწვილი: სამგლოვიაროთ შემოსილი მთელი ქართველი ხალხი, სუნთქვა გაგარდნია დიდ ქალაქს, დიდი, პატარა აშფოთებულ-შეწუხებულია და სასოწარკვეთილებას მისცემია: ნეტავ რატომ? ყველა ეს იმიტომ მოხდა, ღირსეულო ქვეყნის შვილო, რომ შენ ისე ვერ დამიცვდი, როგორადაც მე მოველოდი. მე მოველოდი შენის ბრწყინვალე სახის დანახვას, — შენ კი უკმაყოფილოთ, მრისხანეთ გამოიყურები; მე ვფიქრობდი იმ ბაგეთ ვიხელდი, რომელიც ჩვენთვის არა ერთხელ ამოძრავებულა, მე კი რას ვხედავ: ჩაშავებულა ეგ ტუჩები და ერთი მეორეს მიგკვრია, შიგნით დაგდუმებია შენი მოჯიკჯიკე ენა, უმოქმედოთ, გაუნძრეველათ დაგიკრეფია ის მადლიანი ხელები, რომელთაც უმუშევრობა, გაუნძრეველობა არ შეშვენის და რომელიც უწინ ჩვენთვის არა ერთხელ დაღალულა; მე მოველოდი შენ გულის, სათნოიან გულის ცემას, მაგრამ რა, — გაჩწყდარა, იმ ტკბილ ხმიან ჩანგის სიმები, რომელიც მელოდიურის ხმებით ჩვენთვის ყღერდა. მე მეგონა შენს სათნოიან სულის მოძრაობას შევესწრებოდი, რომელშიც მოვტყუვდი — შენი, ჩვენს ხელში ისეც დატანჯული, არა ერთხელ შეწუხებული სული, სადღაც წასულა. — რაღაც ძალას ერთბაშად გაუჩერებია ამ დაუღა-

ლავ არსების მექანიზმი; გაუგითლებულა, ჩაშავებულა ის მიმზიდველი თვალები, რომელნიც მტერს გულსაკლავათ, ფარულთ ვაშლი შეყურებდა. ვერ გიხილე, პოეტო, ვერა, ისე, როგორც ძე მსურდა. უსინდისოს უნამუსო ხელებმა მოგვხადეს პატიოსნების კუდი, მოეკვრეს თავი ისტორიასა და კაცობრიობის წინაშე: შენ ჭენსავე სიცოცხლეში აიგე ქართველთა გულში შენის საქმეების იმგვარი ძეგლი, რომელიც ნაპოლეონის მატერიალური კოშკისა და ბერძენთის პირამიდებისა და შენს სატრფიალო მყინვარზე უფრო ჰგავდა. რა მოკლავს ცხოველ შენს აზრს, პოეტო: როცა შენ მოკვდი, მხოლოდ ახლა დაინტერესდა შენის ქმნილებით ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ხალხის ფართო მასსა. ჩვენ გვმართებს ჩვენისავე მდგომარეობისა და, ერთის ქართველის დეპეშის არ ყოფნის, „ჩვენისავე სირცხვილის ტირილი“ თორემ ილია არ მომკვდარა! მოგმართავთ, ქართველნო დედებო, უნდა თქვენც დამწუხრდეთ, ვინაიდან აღარ არის ის მასწავლებელი, რომელიც ძ მ ო ბ ი ს, ე რ თ ო ბ ი ს, თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ჩანერგვას გიქადაგებდათ თქვენის შვილების გულში! ჩვენთანვე იტირეთ, თქვენც, პაწია აკვნის ბავშვებო, რომელთათვის ილიამ თქვენს დედებს ტკბილი „ნანინა“ ასწავლა! ჩვენთანვე იტიროს ყველა გლახაკმა, დავრდომილმა, ყველა გლეხმა, რომელთა ყოფაცხოვრების განკარგებისათვის იხწოდა ილია! ჩვენთან იგლოვოს ყველა პატიოსანმა ჩვენი ქვეყნის შვილმა! დეე, იგლოვოს ქართველმა ერმა, რომ ამიერიდან ილიას ბიოგრაფიას შაგი ჯვარი უნდა დაესვას და უნდა ითქვას: „ილია დაიბადა და მოკლეს ამა და ამ წელსა“-ო. შეიბრალეთ ის ბნელეთის ხალხი, რომელთაც იუდას როლი იკისრეს და რომელნიც ადვილი შესაძლოა აქა ხართ სადმე, სინდისიც არ გქენჯნით, შეიძლება გულგრილათ, ღიმილითაც შეყურებთ ამ საერთო გლოვას და თაკს ცოცხლათვე არ იმარხავთ.

შენ კი, დიდებულო მგოსანო, რა პირით შემოგხედო და რით განუგეშო, როცა „ვხედავ ჩვენს ბედშაობას, ჩვენს ერთობას დაკარგულს, ჩვენსა წამხდარ გმირობას, და მამულს დაობლებულს“,— არაფრით, მხოლოდ შენის ანდერძისამებრ „მტერს დავეცემით შეხათ“. უსირცხვილოთ გული გაგიგმირეს, ვერაგულათ მოგკლეს, როგორც ავაზაკი შარა გზაზე დაგაგდეს უმწეოთ და ყვავ-ყორანთა საწიწკნავათ გაგიმეტეს. ვერაფერს ვერ გეტყვი, ვერა. წაგიღებთ ახლა, დაგასვენებთ, იქ, სადაც ერთი შენი ამხანაგი, დიმიტრი ყი-

ფიანი გელოდება, რომელიც, მართალია, მისიანებს არ მოუკლავთ, მაგრამ მაინც მასაც შესწავით ბედი ხვდა და მოისჯენე მთაწმინდაზე. სანამ შენს სულს არ შეეატყობინებთ, რომ შენი ნაწარმოებებით უკვე ყველა დაინტერესდა და ნიადაგიც მომზადდა პათის ყველასათვის სელმისაწვდომათ. აწ კი განისვენე, დიდსულოვანო პოეტო, ახლა კი მშვიდობით, გეთხოვებით ჩვენი ქვეყნის ხალხის წინამძღოლთა წინამძღოლო"...

სიტყვა იონა მეუნარგიასი:

„დაუვიწყარო მამულის-შვილო ილიავ! შენი ჰირისუფალი განა მარტო ეს, აქ მოსღვავებული საზოგადოებაა, რომელიც სამი დღეა შენს ცხედარს გარს ახვევია? არა, შენი ჰირთა-უფალი მთელი შენი სატრფო ქვეყანაა, სამშობლო-კახეთიდან დაწყებული შავ ზღვამდის ამ ქვეყანაში ყველას უგემნია შენი ნაწერების სიტკბოება და ყველა სასოებით და სიამაყით იხსენიებს შენს სახელს, ოჯახი სად დარჩა ამ ქვეყანაში, საცა ბავშვს შენი „აყვავებულა მდელო" არ ეკითხოს და მოზრდილს „მკრთალი ნათელი" და „ჩემო კარგო ქვეყანა" არ ემღეროს.

შენის ქმნილებით დამტკბარმა, შენის მოკვლით გულჩაწყვარებულმა, შორებულმა საქართველოს ქალაქმა ფოთმა დაფნითა და ყვავილით შეამკო ცხედარი შენი და უკანასკნელი სალამი გიძღვნა შენ, დაუვიწყარო ილიავ, შენ, რომლისა მარჯვენისა ქმნილებამ აღზარდა რაზმი საქართველოს მოზარდთა თაობათა და მწერალთა, შენ, რომელმაც „კაცია-ადამიანი" სთქვი, „გლახის ნაამბობი" გვიამბე, „თავდადებული" შეგვაყვარე და „ნაოჭის მსგავსად შეკრული" შუბლი განდეგილისა დაგვიხატე ხელოვნურად.

შენ რომ ფეხი შემოდგი მწერლობაში, სთქვი „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდებიო" და მთელი შენის სიცოცხლე ამ მამულის აყვავებას ამსახურე და მამულის შვილების გულში აღაგზნე ყოველგვარი კეთილი აზრი და გრძნობა.

დღეს ყოველი ქართველი, თვით შენი მტერიც, შენი შეგირდია. ნეტავ გაგეგონა ის ძლიერი ღაღადი ჩვენის მწერლობისა, რომელიც ასტეხა შენმა მკვლელობამ, რომ დამტკბარიყავ იმ აზრით, რომ სამწერლო მემკვიდრეობა შენგან დატოვებული არც ისე მჩატეა, როგორც მტერსა ჰგონია.

შენ გვასწავლე ქართული ენა. შენ არ შეჰქმენ უკანასკნელად „სულთა სწრაფვა“, „თვალთ ხედვის ისარი?“ შენ შეგვაყვარე მამული და გვაჩვენე, როგორ უნდა სამშობლოს მტერთან ბრძოლა. „დიდ მუხასთან პატარა ია რომ ყვავოდეს, ვის რა უნდაო“, გააგონე შენ მამულის მტრებს; სამეგრელოს ჩამოშორება რომ მოინდომეს საქართველოდან, შენ სამეგრელოში მოდი, იქაურობა ნახე და სთქვი: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო“ და მეტგრად გამოესარჩლე დაჩაგრულ საქართველოს.

და აწ შენ დაგვშორდი, დაგვტოვე იმ დროს, როცა თვით მამულის წმიდათა-წმიდას შეეხო განუსჯელი თაობა და როცა შენს წინასწარ-მეტყველურ სიტყვას ვეეძლო ეს თაობა გონს მოეყვანა. ვინ იცის, ეგებ შერძლებოდეს კაცს კაცობრიობა უყვარდეს მამულზე უფრო, მაგრამ მამული რომ არ უყვარდეს კაცს, სამშობლოს ენა არა სწამდეს, ამისი სმენაც კი ეზოთირება ჩვენს ყურს, რომელშიაც შენ ორმოცი წელიწადი სულ სხვას ჩაგვძახოდი; ჩიტს თავისი ბუდე უყვარს, ნადირს თავისი კლდე და სორო, მთელ განათლებულ ქვეყანას თავისი მხარე და ენა და მხოლოდ ჩვენში გამოჰტყვრა პირველად ეს დაუჯერებელი „ენა რა არის, მამული რას გეფიანო“. ვიმედოვნებთ, მოძღვარო, რომ ეს შეცდომა წარმავალია, რომ ჩვენნი ძმანი და შვილნი, ვითარცა უძღები შვილნი, დაუბრუნდებიან სამშობლოს და მამული კვალად დარჩება ყველათათვის საუკუნოდ თაყვან-საცემად ისე, როგორც საუკუნო არის იდეალები სიმართლისა, სიკეთისა და მშვენიერებისა, რომელთაც შენ მსახურებდი.

მშვიდობით, ჩვენო ერის კანონმდებელო, დიდო მამულის შვილო“.

სიტყვა ნიკო ცხვედაძისა:

„დღეს ვესალმებით ჩვენს სასიქადულო ილიას. დღეს გვშორდება იგი სამუდამოდ. დღეიდან ჩვენ ვეღარ მივმართავთ მას რჩევისათვის, ვეღარ მოვისმენთ იმის ტკბილსა და ჭკვიანურ ლაპარაკს. ჩვენ ვეღარ ვიხილავთ იმის წყნარ სახეს. უცოდინარობამ და შავმა ძალამ გამოგვგლიჯა იგი ხელიდან. მაგრამ ჩვენს სანუგეშოდ ხელში შეგვრჩა მისი საქმენი და მისი გონების ნაწარმოები — ნაწერები. საქართველოში არც ერთი საზოგადო დაწესებულება არ არის, რომ ან ილიას თაოსნობით, ან იმის რჩევით, ან კიდევ დახმა-

რებით არ იყოს დაარსებული, ყველა ამ დაწესებულებას აქვს საზოგადო მიზანი: დაეხმაროს ქართველობას, ხაბიჯი წადგას კულტურულ სარბიელზე, დაადგეს ქართველობა წარმატების გზას, როგორც განათლებით, ისე ეკონომიურის გაუმჯობესებით. ერთი ამ დაწესებულებათაგანი არის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". 28 წელიწადი იყო ჩვენი მგოსანი ილია თავმჯდომარის ამხანაგად, ამ საზოგადოების დაარსების პირველ წლებში და მერე თავმჯდომარედ, როდესაც შავმა ბედმა მოგვაშორა დაუვიწყარი დიმიტრი ყიფიანი, რომელიც აგრეთვე აქ განისვენებს და მისი ძეგლი დაჰყურებს ჩვენს ვამოუთქმელ მწუხარებას. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების უმთავრესი მიზანი ის არის, რომ სწავლა მოაწყოს ყველგან ქართულ ენაზე. საზოგადოებას დიდი დაბრკოლებანი ეღობებოდა წინ და ჩვენი ილია ხმარობდა თავის მძლავრ ძალას დაეთრგუნა ეს დაბრკოლებანი.

უფრო ძვირი განძია ჩვენთვის მისი ნაწერები. ილია უღვიძებს ქართველებს იმგვარ გრძნობებს, ურომლისოდაც ადამიანი ადამიანი არ არის, ხალხი ხალხი არ არის; სამშობლოს, სიმართლის, დანაგრძნულისა, ცოდნისა, შრომისა, ერთობისა და თავისუფლების სიყვარული — აი, გრძნობანი, რომელნიც ეღვიძებათ ქართველებს ილიას ნაწერების კითხვით. ორმოცი წელიწადია ემსახურება ილია თავის ქვეყანას სახელოვნად. ჩვენ, იმის მემკვიდრენი, ვალდებული ვართ განვაგრძოთ და გავაფართოვოთ მისი საქმენი, მისი ნაწერები მოვფინოთ საქართველოს ყოველ კუთხეში და ამით მიეუშუქოთ იმათ, რომელნიც დარჩენილან კიდევ სიბნელესა და უცოდინარობაში. თვით ილიას, როგორც ყოველგან, სადაც ხალხი თავის თავს პატივს სცემს და თავის გამოჩენილ მოღვაწეებს და მგოსნებს აფასებენ, აუგოთ შესაფერისი ძეგლი.

ილიამ თავისი უკეთესი ღღენი გაატარა ტფილისში, უკეთესი ლექსები და მოთხრობები დასწერა აქ და მისი მოღვაწეობა ყველა ტფილისელთ, განურჩევლად გვარ-ტომობისა, თვალ-წინა აქვს, მისი ლექსები, მისი მოთხრობები, მისი მკვირმეტყველობა ბევრმა იცის ქალაქში. ამისათვის ძეგლიც უნდა დაედგას მას ტფილისში თვალსაჩინო ადგილას, რომ ყველას შეეძლოს ნახვა — შინაურსაც და გარეულსაც, პატარასაც და დიდსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც. ამას ექმნება დიდი მნიშვნელობა, როგორც წარმავალ, ისე მომავალ თაობისათვის. მართალია, ყველა შეუნებულ ქართველს დიდი ხანია

უდგას ილიას ძეგლი თავის გულის ფიცარზე, მაგრამ ეს ძეგლი უხილავია, მხოლოდ ხანდახან გადაიქცევა ხოლმე ხილულად — როგორც აი ეხლა მოხდა. საჭიროა ხილული ძეგლი ილიასი ყველასთვის.

მშვიდობით, დიდებულო მგოსანო, შესანიშნავო, მშვენრმეტყველო, ნამდვილო მოქალაქევ! მშვიდობით, უკვდავო ილიავ! ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა მუხლმოდრეკილი და გულდაკოდილი კეთხოვება შენ, გეთხოვება და ფიცს გაძლევს, რომ შენგან ამორჩეულ გზას არასოდეს არ გადაუხვევს“.

სიტყვა ქალბატონ მიროვიჩისა:

„როგორც რუსის ქალი და წევრი „სრულიად რუსეთის დედათა თანასწორ-უფლებიანობის კავშირისა“, მე ვუერთებ ჩვენს მწუხარებას ქართველი ერის მგლოვიარობას. ჩვენ ყველანი, რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის მონაწილენი მხურვალედ თანაგიგრძნობთ, ჩვენ ყველანი გულში განვიცდით თქვენთან ერთად სისხლის დრამას, რომელმაც კავკასია მოჰფინა ასობით და ათასობით უმანკო მსხვერპლით... დღეს ჩვენ შევიკრიბენით თქვენის დიდებულის პოეტის საფლავთან. მხურვალე პატრიოტი და მებრძოლი ხალხის თავისუფლებისათვის, იგი დაეცა განგმირული უხეშისა და სასტიკის ძალისაგან. ეს ბოროტება აღაშფოთებს ყველას, ვისაც მოეპოვება აზრი და გრძნობა, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ ეროვნებასა და პარტიას ეკუთვნის. და მაინც ჩვენის არეულ-დარეულ ხანის ამ ახალის მსხვერპლის დაღუპვამ არ უნდა გამოიწვიოს სიძულვილი და შურის ძიების წყურვილი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მომხდარი ბოროტ-მოქმედება, როგორც სხვა დანაშაულობანი, უმეტესად ნაყოფია იმ უმეცრების სიბნელისა, რომელშიაც ხალხი ჩანთქმულია. ამ სიბნელის მოსასპობად უძლურია სახრჩობელა. განათლება, აღზრდა ქრისტიანულ წესზედ,— აი ერთადერთი უტყუარი გზა, აი საით უნდა მივესწრაფოდეთ ჩვენ ყველანი. ეგაა ის დიდებული მიზანი, რისთვისაც იბრძოდა დაღუპული პოეტიცა; და ჩვენ შეგვიძლიან საუკეთესოდ ვსცეთ პატივი მის ხსოვნას, მხოლოდ ამ იდეისადმი სამსახურითა. ჩვენ, ქალები, პროტესტს ვაცხადებთ იმ სასტიკის სისხლის ღვრის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენს ბედნიერ მამულში ხდება; და დიდებული პოეტისა

და საზოგადო მოღვაწის სახსენებლად ჩვენ ვიწვევთ ყველას მშვიდობიანობის მუშაობისათვის, ძმურის სიყვარულისა და სათნოების სახელითა. დაე, ჩვენი დევიზი იყოს: მეტი სინათლე, — სინათლე ჰეშმარიტის განათლებისა და ქრისტიანულის სიყვარულისა".

სიტყვა პლატონ გელოვანისა:

„სახელოვანო მგოსანო და მამულიშვილო ილია! შენ დიდებული ცხედრის წინაშე ვდგევარ და ვსტირი არა შენს სიკვდილს, არამედ დაობლებულს ერს, რომელსაც თავისი საუკეთესო შვილიც ვერ დაუცვია მტრებისაგან... მე აქ არ მოვსულვარ იმისათვის, რომ აღვნუსხო შენი ქართველ ერისადმი სამსახური და შენი ვინაობა. ამისი არც ძალა შემწევს, რადგან მოღვაწეობა შენი ნამეტანი რთული და ბრავალ-მხსოვანია და არც საჭიროა, რადგან ამის დამფასებელი დღეს მთელი ერია, რომელიც დღეს გარს ახვევია შენს დიდებულ ცხედარს და ცხარე ცრემლით დასტირის. ვგონებ ეგ ცრემლები უფრო მშვერ მეტყველურად ამბობენ, თუ როგორ აფასებს ერი შენს 50 წლის მოღვაწეობას.

მე დამავალა შენს ცხედარს თაყვანი ვსცე ბაქოში მყოფ ქართველთა იმ ნაწილმა, რომელიც ლუკმა პურისთვის გადახვეწილა და ოფლსა ღვრის, მაგრამ ამავე დროს კუჭისათვის არ შეუწირავს თავისი აზროვნება; სწამს, რომ „არა ერთითა პურითა ცხონდების კაციო", ეთაყვანება ერის მესვეურს და აფასებს ეროვნულ თვითარსებობას. აი ესენი ჩემის პირით დღეს აქ დასტირიან შენს ცხედარს და წყევლა-კრულვას უგზავნიან შენს მკვლელებს.

ნუთუ ჰგონია მტერს, რომ შენ რამე დაგაკლო. შესცდა. შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა შენ ერთი ორად აგამაღლა. ვერც ქართველი ერის მტრები გაიხარებენ შენის სიკვდილით, ვინაიდგან შენ სიკვდილითაც დიდი ზიანი მიაყენე მათ. ვისაც თვალი აბია, ის უთუოდ დაინახავს, რომ შენმა სიკვდილმა უფრო გაუღვიძა ერს გრძნობები. დაე მტერი დაუკვირდეს, თუ როგორ შესძლებია ქართველ ერს ჭირში შეერთება და გარემოების და შესაფერისად მოქცევა, დაე ეს დიდებული გაკვეთილი იყოს ჩვენთვის და შენ კი, ჩვენი ერის მესვეურო, განისვენე შენს სამშობლო მიწაში. უკანასკნელი ჩვენი თხოვნაა, გვაპატივე ჩვენი უგუნურება და ნაცვლად ამისა მიიღე ჩვენგან ფიცი, რომ ვიბრძოლებთ შენი საუკეთესო იდეალების განსახორციელებლად".

...კვლავ სიტყვები, სამგლოვიარო წერილები, დეპეშები:

„სიტყვით ვერ გამომითქვამს სასოწარკვეთილება და დარდი. ილია ჭავჭავაძის მოკვლა გონებას მირევს, სინდისს მიბორკავს. მოჰკლეს ერის დიდება, ბრწყინვალე პოეზია, ერის გული“, — იწერებოდა ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი მოსკოვიდან.

„ცხარე ცრემლით ვგლოვობ სამშობლოს სირცხვილს“, — იტყობინებოდა კიტა აბაშიძე პეტერბურგიდან.

„გულითად სამძიმარს ვუცხადებთ ქართველ ერს მისი დიდებული მამულიშვილისა და მწერლის ილია ჭავჭავაძის ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ტრაგიკული სიკვდილის გამო“, — ლეობონელი პოლონელები ავსტრიიდან.

„გულითად სამძიმარს ვუთვლით ჩვენს მგლოვიარე ხალხს მისი უდიდესი მამულიშვილისა და მხცოვანი პოეტის დაღუპვის გამო. ნუგეში და სამძიმარი აგრეთვე დაქვრივებულ ოლღა თადეოზის ასულს“, — ბრიუსელიდან, იქაური ქართველებისაგან.

„საშინელმა ამბავმა შეგვაძრწუნა. დარდი ჩვენი უსაზღვროა“,— პეტრიაშვილები ოდესიდან.

„სამშობლოსთან ერთად ვგლოვობ დიდებული მგოსნის დაკარგვას“, — მოსკოვიდან, ალექსანდრე ხახანაშვილი.

„ვენის ქართველი სტუდენტები უზომო მწუხარებამ მოგვიცვა, როცა გავიგეთ ქართული პოეზიის ბურჯისა და საყვარელ ილიას ტრაგიკული სიკვდილი. ობლად დარჩენილ სამშობლოს გლოვას ჩვენი ცრემლიც მიუმატეთ. წყევლა-კრულვა და ზიზღი მკვლელებს“, — ვენიდან, იქაური ქართველი სტუდენტები.

„აუწერელია ჩვენი წუხილი და გლოვა ჩვენი აღმზრდელის ილიას დაკარგვის გამო. ნუთუ ილია და ამისთანა საზიზღრობა!!“,— ბერლინიდან, იქაური ქართველი სტუდენტობა.

„სამშობლოს მოშორებულნი ვსტირით სასტიკსა და ასე მოულოდნელ დანაკარგს — უებრო მგოსანსა და თავისი ქვეყნის ნამდვილ შვილს ილიას“, — პარიზიდან, ნიკოლოზ ღოღობერიძე და ფილიპე გოგიჩაიშვილი.

„მოსკოვის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტებს თავზარი დაგვცა ილია ჭავჭავაძის სიკვდილმა. საქართველომ დაჰკარგა პირველი მამულიშვილი“, — მოსკოვიდან...

„კიევის ქართველთა კოლონია ღრმად აღშფოთებულია მგოსანი

ილია ჭავჭავაძის საზიზღარი მკვლელობით. ვგლოვობთ ქართველი ერის დანაკარგს. ქართულ ლიტერატურას გამოეცალა პირველი ბურჯი. ჩვენს გულში საუკუნოდ დაიბუდეს იმ იდეალებმა, რომლებსაც მგოსანი ემსახურებოდა. იმედი გვაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს ქართველი ერი გამოფხიზლდება და ჯალათებს შესაფერ პასუხს გასცემს", — კიევიდან...

„დამსახურებული მგოსნის, ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა უკიდურეს მწუხარებაში ჩაგვაგდო ენოტაევსკის პოლიტიკური გადმოსახლებულნი. მონაწილენი ვართ ჩვენი სამშობლოს საერთო მწუხარებისა; წყევლა-კრულვა მგოსნის მკვლელებს",— ენოტაევსკიდან, პოლიტიკური პატიმრები: გრიგორაშვილი, დედაბრიშვილი, კოზირიძე, მეიფარიანი, ჭუბაბრია, რაზმაძე, ჩაჩიბაია, ფულოვი, კალაშნიკოვი, თვალიძე, მიქაძე, ბერიშვილი, ჩაბიევი, გამდლიშვილი, ქურდოვანიძე, ტაიგაძე, ფუხაშვილი, კოზმანიშვილი, ტერ-მინასოვი, სუმბათაშვილი, გვენეტაძე, ბაზაშვილი (მათგან— არცერთი სოციალ-დემოკრატი).

„ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილის პატიმარნი აღშფოთებულნი ვართ მგოსან-ბელეტრისტის ილია ჭავჭავაძის საზიზღარი მკვლელობით, ხოლო მკვლელებს წყევლა-კრულვას ვუგზავნით",— პატიმართა (არცერთი სოციალ-დემოკრატი) მინდობილობით: დავით ღულაძე, ილია ბახტაძე და პლატონ კორძაია.

„არსებული უსამართლობით რკინის ჩარჩოიან კარჩაკეტილ სარკმელში მომწყვდეული გული დაგვიკოდა მხცოვანი პოეტის, მოჭირნახულე ილიას ვერაგულმა სიკვდილმა; გულის სიღრმემდე შეგვაშფოთა და შეგვაძრწუნა იმ მკვლელობამ, რომელმაც წაართვა დედაბოძი ქართულ მწერლობას. ვგმობთ გონება-დაბნეულ მკვლელებს და თვით ილიას ვუძღვნით ცოცხალი ყვავილებით შემკულ გვირგვინს და თან ვატანთ ჩვენს გულწრფელ ხსოვნა-სიყვარულს", — მეტეხის ციხის პატიმართა ერთი ნაწილი (მათ შორის არცერთი სოციალ-დემოკრატი).

„გულის სიღრმემდის აგვაშფოთა და აგვაღელვა ძვირფასი და დაუვიწყარი პოეტის ილია ჭავჭავაძის მოკვლამ. არ ვიცით, რა სიტყვებით გამოვხატოთ ჩვენი მძულვარება მკვლელებისადმი, რომელთაც ისე უეცრად წაგვართვეს ქართველებს მამა და დამრიგებელი", — შორაპნის მუშები.

„სულითა და გულით ვწუხვართ დიდებული მგოსნის ილიას დაკარგვას. ზიზღი იმ მხეცს, რომელმაც მოუსპო სიცოცხლე დიდებულ ადამიანს და მით შეურაცხჰყო მთელი ერის თავმოყვარეობა“, — ქუთაისის სტამბის მუშები.

„ჩვენ, დარკვეთის რკინის მუშები, გამოუთქმელი აღშფოთებით შევხვედით ქართველთა საუკეთესო მამულიშვილის, მგოსნის, პუბლიცისტის და დაუღალავი საზოგადო მოღვაწის, ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის გარდაცვალებას. არ გვყოფნის სიტყვები, ზიზღი გამოვუცხადოთ იმ ცხოვრების ნაძირალებს, რომელთაც იმსხვერპლეს ილია“, — მუშათა მინდობილობით, ნ. ბუაჩიძე.

„ჩრდილოეთის სანაოსნო საზოგადოების ქართველი მუშების არტელი სულის სიღრმემდე აღშფოთებულია ძვირფასი პოეტისა და მასწავლებლის, „გლახის ნაამბობის“ შემქმნელის, ილია ჭავჭავაძის მხეცური მკვლელობით. საუკუნო წყევლა-კრულვა მხეც მკვლელებს, რომელთაც ხელი შეახეს მთელი ერის სიამაყეს“, — არტელის მინდობილობით, ესაია.

„ჩვენ, მ. ლაღიძის ქარხნის მუშები, ენით გამოუთქმელ მწუხარებას განვიცდით... ილია ჭავჭავაძის დაკარგვით... მშვიდობით პატიოსანო კაცო. შენი სახელი მუშებშიც უკვდავი იქნება“, — ქუთაისიდან, მუშების მინდობილობით, პროკოფი.

„ღრმად მწუხარენი ვართ საყვარელი მგოსნისა და პუბლიცისტის ტრაგიკული სიკვდილის გამო. ხსოვნა მისი სამარადისოა. ზიზღი და წყევლა-კრულვა მხეც მკვლელებს“, — ფოთიდან, ხელოსნების მინდობილობით — შულაგია.

„ჩვენ, 224 მუშა, მომუშავენი ამხანაგობა „გეორგიას“ კარიერებზე, „გელათის“ გრანიტის ქვის კუბიკების მთლელნი სოფელ კურსებში, და ჩვენთან ერთად მთელი ჩვენი საზოგადოება გულდამწვარნი ვგლოვობთ ჩვენი ქვეყნის დიდებულ მგოსანს, ღირსეულ მამულიშვილს, აღმზრდელ-მასწავლებელს, გამსპეტაკებელს ენისა, ლიტერატურისა და სამშობლოსადმი სიყვარულისა — ილია ჭავჭავაძეს. დაუვიწყარი იქნება მისი ხსოვნა და სიყვარული ჩვენს სულსა და გულში, როგორც კეთილი მამისადმი უღირს შვილებისა საშვილიშვილოდ; წყევლა-კრულვა და ზიზღი კი იმ მკვლელებს, ვინც ეს სიმხეცე, ეელურობა ჩაიდინა“, — მუშების მინდობილობით: ნოე მუხუზლა, ევტიხი ბერეკაშვილი, სერგო ბრეგაძე, ლავრენტი ბერეკაშვილი, ბესარიონ აბესაძე.

„მონაწილენი ვართ ქართველების მწუხარებისა დიდებულ ქართველ ეროვნულ პოეტის მხეცური მკვლელობის გამო“, — ნახიჭევანიდან, ძაჭადიანები: სულთანოვი, ჰუსეინ ნავრუზოვი, ნაჯაფოვი, მამედოვი, შეიხზადე, ბანანირსკი.

„ახალციხელი ბერძნები მონაწილენი ვართ საქართველოს დიდი მწუხარებისა. საუკუნო ხსენება განსვენებულ ილია ჭავჭავაძეს, ახალი ქართული ლიტერატურის შემქმნელს; წყეული-კრულვა მკვლელს, თანამედროვე ჰეროსტრატეს“, — ნიკოლაევი.

„ავადმყოფობისაგან ცალი ფეხი სამარეში მიდგას. საცაა სულს დავლევ. თავზარი დამცა დიდებული და დაუვიწყარი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სიკვდილმა. საშინელი ბოროტმოქმედებაა!! საქართველოს დიდებულ გლოვას ჩემი დარდიც მიუმატეთ“, — პეტერბურგიდან, ალექსი მიხაილოვი (ფინანსთა მინისტრის ყოფილი წარმომადგენელი ტფილისის სათავადაზნაურო ბანკში).

„ბაქოელ ქართველთა ჯგუფი გულის სიღრმემდის აღშფოთებული ვართ დიდებული საერო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის უაზრო და საზიზღარი მკვლელობით, საქართველოს საერთო გლოვას ზედ ვურთავთ ჩვენს დარდსაც და ზიზღსა და სიძულვილს ვუცხადებთ საბრალო უგუნურთ, რომელთაც გაბედეს და მახვილი აღმართეს წინააღმდეგ საქართველოს საუკეთესო მამულიშვილისა“,— ბაქოდან, სვიმონ კვიტაშვილი.

„ყარსელი ქართველები ღრმად აღშფოთებულნი ვართ იმ ბოროტ მოქმედებით, რომელმაც უღვთოდ შესწყვიტა ჩვენის ერისთვის ძვირფასი სიცოცხლე“, — ყარსიდან...

სამძიმრის დეპეშა სოციალ-ფედერალისტების სახელით სოხუმის საპატიმროდან გამოეგზავნა თედო სახოკიას. იქვე საპატიმროში მარქსისტებიც ყოფილიყვნენ და იმათთვისაც ! შეუთავაზებია სახოკიას — დეპეშა ერთად გავგზავნოთო, მაგრამ... არავითარ შემთხვევაში — ჩვენ პარტიული მოსაზრებით ვერ შემოგიერთდებითო, — უპასუხნიათ „მესამე დასელებს“...[1]

და კვლავ და კვლავ, უწყვეტი ნაკადი წერილებისა, დეპეშებისა, — ყოველი ერისა, ყოველი წოდებისა, ყოველი „კლასისა“ (მათ შორის „პროლეტარებისა“). ყოველი „დასისა“, — ყოველი „პარტიისა“ (თვინიერ „მესამე დასისა“)...

...უკანასკნელი აკორდები ქართული თრენოსისა.

მთაწმინდას „მწუხრის ზეწარი გადაეფარა".

საქართველოს ერისუფალი მისგანვე გაღმერთებულ ქართულ მიწაში ესვენებოდა...

დავითისა და თამარის შემდგომ, ასეთი მწარე, საყოველთაო ეროვნული დატირება აღარავის მოსწრებია საქართველოში...

2. მტრები

მაგრამ შეიძლებოდა კი, დარქმეოდა „საყოველთაო" ამ დატირებას? შეიძლებოდა, — როცა იყვნენ საქართველოში ისეთი ქართველებიც, რომლებიც ილიას სიკვდილს არამც თუ არ დასტიროდნენ, არამედ გულით (გულში მაინც) კიდევაც ჰხარობდნენ და კიდევაც ზეიმობდნენ?!

დიახ, ზეიმობდნენ!

და ასეთი ქართველები უკვე ძალიან ბლომადაც იყვნენ მაშინდელ საქართველოში.

ისინი თავის თავს უწოდებდნენ მარქსისტებს, სოციალისტებს, სოციალ-დემოკრატებს, ანუ — „გამორჩეულ" სახელად — „მესამე დასელებს".

ეს სახელი, „მესამე დასი", როგორც აკაკი წერეთელმა სთქვა — ქართველ სოციალ-დემოკრატებს „სულსწრაფად" დაარქვა გიორგი წერეთელმა.

და „მესამე დასელნი" ილიას მტრები იყვნენ. დიახ, არა მხოლოდ „მოწინააღმდეგენი", არამედ — სწორედ მტრები.

უკვე ბლომად იყვნენ, მაგრამ უმთავრესნი: ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე, ირაკლი (კაკი) წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ისიდორე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, იოსებ (სოსო) ჯუღაშვილი, მიხა ცხაკაია, პროკოპი (ალიოშა) ჯაფარიძე, სერგო (გრიგოლ) ორჯონიკიძე, საშა (ალექსანდრე) გეგეჭკორი.

და იყვნენ ილიას მტრები, ზედმეტნაკლებად: ყველაზე მეტად — ფილიპე მახარაძე და ნოე ჟორდანია, ყველაზე ნაკლებად — სოსო ჯუღაშვილი.

ხოლო სამტროდ, საბრძოლოდ და საჯიჯგნად ქცეულიყო ორი უმთავრესი „საკითხავი“, ქვეყნისა და ხალხის სამომავლო ცხოვრებისთვის სამოქმედო ორი ქვაკუთხედური პოსტულატი: ნ ა ც ი ო ხ ა ლ უ რ ი ანუ ეროვნული და ს ო ც ი ა ლ უ რ ი ანუ საზოგადოებრივ-კლასობრივი.

ილიას და მისი „დასის“ პოზიცია პირველი იყო — ნაციონალურ-ეროვნული, ხოლო სოციალ-დემოკრატებისა, ანუ „მესამე დასისა“ — სოციალურ-კლასობრივი.

ილიას საერთოდ მსოფლიო კაცობრიობის და მასში თავისი პატარა ხალხის სოციალური, წოდებრივი და ქონებრივ-უფლებრივი დაყოფაც ძალიან კარგად ესმოდა, — იცოდა, რომ ზაქროები, კაკოები და გაბროები თავიანთ ბატონებს უსიკვდილოდ ვერ შეურიგდებოდნენ, ვერც თავადის ქალი კესო გადააბიჯებდა „ჩატეხილ ხიდს“ და ცოლად ვერ შეერთვოდა თუნდაც „იდეალურ ყმა-გლეხ“ გიორგის. მაგრამ ილიას ურყევად სწამდა, რომ სანამ ქართველი ხალხი, როგორც ხალხი და ერი, თავის თავს უცხო უღლისგან არ დაიხსნიდა, მანამ რაიმე სოციალური — მით უფრო, რაიმე „მსოფლიო რევოლუციისათვის“ ქართული სისხლის დაქცევა თვითონ საქართველოს დაქცევას და დამეხვას ნიშნავდა და სხვას არაფერს.

მაშ, ჯერ უცხო ბორკილთაგან სამშობლოს დახსნა და მას შემდეგ სოციალური თანასწორობა და „ძმობა-ერთობა“, — ასეთი იყო ილიას მრწამსი.

და ამასვე ამბობდა აკაკიც:

„არა, ჩვენ უნდა ჩვენი ბორკილი
შეერთებულად ჯერ ავიყაროთ
და მერე უნდა „ძმობა-ერთობით“
და თანსწორობით ჩვენც გავიხაროთ“[2].

ილიამ პირველმა იქადაგა საქართველოში „შრომისა ახსნაც“, „შრომის სუფევაც“, „მაშვრალის ჭანკაცებაც“, „ბორკილთა მსხვრევაც“ და ქართველმა მარქსისტებმაც ყველა ეს ფორმულა თვით მარქსზე ადრე სწორედ ილიასგან ისწავლეს.

ეს საოცრად ჯადოსნური ლოგოსიც — „ერთობა“ — ილიას აპოსტოლური შუბლის ღვიძლი შვილი იყო და „მესამე დასელებმა“ ესეც იმ აპოსტოლისგან ისწავლეს.

მაგრამ ყველა ამ „ნასწავლ“ და „ნასესხებ“ ფორმულებში „მო-

წაფეებმა“ სრულიად სხვა, „მასწავლებლის“ ნააზრევთა საპირისპირო აზრი ჩასდეს და ჩაადუღაბეს.

ილიას რომ „ერთობის“ ქვეშ ყველა წოდებისა და ყველა სოციალური შრის ე რ თ ი ა ნ ე რ ა დ, ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა დ შეერთება და შეკავშირება ეგულებოდა, „მესამე დასელებს“ ამის საპასუხოდ და საწინააღმდეგოდ, „ერთობის“ ქვეშ, „კომუნისტური მანიფესტის“ სახელგანთქმული მოწოდება მოემარჯვებინათ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ეს საოცარი, კოსმოპოლისური მასშტაბით მანამდე გაუგონარი ლოზუნგი — რასაკვირველია, არც ილიასთვის იქნებოდა გაუგებარი (ისედაც, სასაცილო იქნებოდა, რომელიმე ნოეს თუ ფილიპეს გაეგო და ილიას კი ვერ გაეგო!), მაგრამ — ვის, თუ არა ილიას უნდა სცოდნოდა, რომ სანამ მის მცირე, საუკუნეთა მანძილზე სისხლნაქცევ და გაჩანაგებულ ქვეყანას კისრიდან ცარიზმის უმძიმესი კოლონიალური უღელი ვერ მოეშორებინა, რაიმე „მსოფლიო რევოლუციებისა“ და „მსოფლიო დიქტატურებისათვის“ წვეთი სისხლის გაღება პრაქტიკულადაც არ შეეძლო.

მაშ, უწინარეს ყოვლისა, ყველა წოდების (ერთნაირად — თავადი, აზნაური, გლეხი, ბურჟუა, თუ პროლეტარი) ერთიანობა, ერთიანი მიზნითა და სულისკვეთებით — სამშობლოს დასახსნელად!

სამშობლო?!

სამშობლოზე, მამულზე და მის დახსნაზე სიტყვის ჩამოგდებაც კი ძარღვებს უშლიდა „მესამე დასელებს“. ამ შემთხვევაში მათი „უტყუარი კოზირი“ იყო ფრაზა „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“: „მუშებს სამშობლო არა აქვთ“. მათთვის ეს ფორმულა, — რომელიც, რასაკვირველია, უფრო პოეტურ-სენტიმენტალური ფორმულაა, ვიდრე რეალურ-მეცნიერული — მაქსიმალისტური კანონის რანგში იყო აყვანილი. ასე გასინჯეთ, ყოველ ომში საკუთარი სამშობლოს მარცხის სურვილსაც („პორაჟენცობა“) აშკარად გამოხატავდნენ, — რასაკვირველია, მანამ სანამ, პროლეტარიატის დიქტატურის სახელით, თვითონ არ მოქცეულიყვნენ „სამშობლოდ ნაგულისხმევი“ სახელმწიფოს სათავეში.

არსად, არც რუსეთის და არც ევროპის სოციალ-დემოკრატთა შორის, არ ჰქონია ისეთი გასავალი და წამდაუწუმ ხმარების პრაქტიკა ამ ფორმულას — მუშებს სამშობლო არა აქვთ — როგორც ქართველ მარქსისტთა შორის.

ეს, თითქოს, ბუნებრივიც უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ყველაზე მეტად სწორედ ქართველ მარქსისტებს „აწუხებდნენ“ და „აბეზრებდნენ თავს“ ასეთი „აბეზარი“ კატეგორიებით — „ერი“, „სამშობლო“, „ენა“, „კულტურა“, „ისტორია“ და სხვა მისთანანი. ხოლო რუსეთსა და ევროპაში, იქაურ ხალხებს — არც პროლეტარებს და არც ანტიპროლეტარებს, აკი საერთოდ არ აწუხებდათ ეროვნული საკითხი.

მაგრამ მთავარი მაინც ის ყოფილა, რომ თურმე ქართველი მარქსისტები იმ ერთი „შეუვარებული ფორმულის“ (მუშებს სამშობლო არა აქვთო) იქით, სხვას, გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანს, მარქსისა და ენგელსის შრომებში ვეღარ (თუ აღარ) ხედავდნენ. აი, მოვუსმინოთ თვითონ მარქსსა და ენგელსს:

1. „სანამ სიცოცხლის უნარიანი ხალხი შებორკილია უცხოელი დამპყრობლის მიერ, იგი მთელს ძალებს, მთელს თავის მისწრაფებებს, მთელ თავის ენერგიას აუცილებლობით მიმართავს საგარეო მტრის წინააღმდეგ“[3].

2. „ეროვნული ჩაგვრის მოშორება ძირითადი პირობაა ყოველი ჯანსაღი და თავისუფალი განვითარებისა“[4].

3. „სანამ არ არის მიღწეული ეროვნული დამოუკიდებლობა, ხალხს ისტორიულად არ შეუძლია რამდენადმე სერიოზულად განიხილოს რაიმე საშინაო საკითხები“[5].

4. „თუ არ იქნა აღდგენილი ყოველი ცალკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, იმ არც პროლეტარების საერთაშორისო გაერთიანებაა შესაძლებელი და არც ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად“[6].

ამაზე მეტი, ამაზე რეალური და სამომავლო სანიშანსვეტო ჰეშმარიტება რაღა უნდა თქმულიყო?! მერე, ამას ამბობდნენ თვითონ მარქსიზმის კლასიკოსები, ხოლო ქართველ მარქსისტებს მათივე სალოცავი კერპების პირით ნათქვამი ეს მთავარი და წარმმართველი მცნებანი ვერ (თუ არ) გაეგოთ!

კარგად შეუმჩნევია და მიუნიშნებია თვითონ ილიას (სწორედ ილიასებურად): ალბათ, ამნაირი მარქსისტებისაგან გაჯავრებული ამბობდა მარქსი — „რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობა[ს] — კი ნუ დაპწამებთო“[7].

ხოლო, თვითონ ილიას პოლიტიკური, სოციალური თუ ზნეობრივი კრედო და მოღვაწეობა, თითქოს, თავიდან ბოლომდე აქ მოხსენიებულ მარქსისტულ დებულებათა ანალოგიური იყო. რასაკვირველია, ყველაფერი ეს თვითონ ილიასეული იყო — მარქსისა და ენგელსისაგან სრულიად დამოუკიდებელი; და, სიბრიყვეც იქნებოდა ილიასთვის მარქსისტობა დაგვეწამებინა, მაგრამ თუ მაინცა და მაინც მარქსისტობაზე თავგამოდება და აჩემება იყო საჭირო და „გარდაუვალი“, ისე გამოდიოდა, ილიას პოზიცია გაცილებით უფრო „მარქსისტული“ ყოფილა, ვიდრე თვითონ ქართველი მარქსისტებისა!

აქვე ყურადღება უნდა მიექცეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ კიდევ ერთ ნათქვამს: „პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ უპირველეს ყოვლისა ეროვნული ბრძოლაა. თვითეული ქვეყნის პროლეტარიატმა, რასაკვირველია, პირველად თავის საკუთარ ბურჟუაზიას უნდა მოუღოს ბოლო“[8].

და ამ ჭვაკუთხედური დებულების გამორჩეული მნიშვნელობაც არ ესმოდათ, ან არ უნდოდათ შეესმინათ ილიას სიძულვილით გონწართმეულ „მესამე დასელებს“. საქართველოში ეროვნული პროლეტარიატი (სწორედ ეროვნული!) ორ-სამ ათას კაცს თუ შეადგენდა. ხოლო ეროვნული (ეროვნული-მეთქი!) ბურჟუაზია, რომელთანაც „ეროვნულ პროლეტარიატს“, „როგორც წესი“, უნდა ეომნა, — მხოლოდ ერთი კაცით (დავით სარაჯიშვილი) შემოიფარგლებოდა!

აი, რა „ეროვნული მასალა“ იყო მაშინდელ საქართველოში „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისთვის“!

და, უეჭველად ამის გამოც, ჭირის დღესავით სძულდათ „ეროვნული“ და „ქართული“ ქართველ მარქსისტებს; ამიტომ არ უყვარდათ ამ ცნებების ქვეშ ხაზის გ ა ს მ ა, არამედ — უფრო ხაზის გ ა დ ა ს მ ა უყვარდათ და საკუთარი ეროვნული რევოლუციური „მასალის“ უკმარისობის გამოც, მთლიანად დიდი რუსეთის რევოლუციურ „მასალაზე“ იყვნენ ჩართულნი.

(ისედაც — მათ თვალში ქართველი ხალხი უფრო „ფიცხი მასალა“ იყო რევოლუციისათვის, რუსი ხალხი კი — მსოფლიო რევოლუციისათვის „იდეალური მასალა“ — თვითონ მსოფლიო, დიდი, ბევრი, დამჯერე, ამყოლი და გამყოლი. საქართველოც, „ბუნებრივად“, რუსეთს უნდა მიჰყოლოდა. ილიაც ხომ ამბობდა (ალბათ,

ქართველი მარქსისტებისთვის ერთადერთ მოსაწონებელს): „ჩვენი ქვეყანა სათრეველაა ერთს დიდ ურემზედ გამობმული, საითაც გაიწევს ურემი, იქით მიდის სათრეველაც")[9].

მაგრამ უცნაურზე უცნაური კიდევ ის იყო, რომ ქართველი მარქსისტები, „ჟორდანია და მისი აიარები"[10], ეს „რუსული მარქსიზმის თვალაბმული თუთიყუშები",[11] წინააღმდეგობაში ვიყარდნილიყვნენ სწორედ რუსული მარქსიზმის კლასიკოსთან და ქართველი მარქსისტების უპირველეს, სიტყვაშეუქცეველ სალოცავ კერპთან — ლენინთან.

ილიას ქართველი მარქსისტები მათგანვე გალანძღული სიტყვით — „ნაციონალისტობით" ლანძღავდნენ, ხოლო ლენინი ამბობდა: ჩაგრული ერის ნაციონალიზმში არის საერთო დემოკრატიული შინაარსი ჩაგვრის წინააღმდეგო[12].

„ვინც უნდა იყოს, გლეხი. თავადი, ერი თუ ბერი, ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელი ერის ნამოქმედარია", — ამბობდა ილია[13] და — „ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულობა საზოგადოებისა, თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და, ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი, პირველ ქარის შებერვაზედვე დაიფუშება".[14] ამიტომ, ყველა წოდებამ — „ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ ივი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე" [15]

ასე ამბობდა ილია, ხოლო მესამე დასელები მუშებს გარდა ყველას „ბურჟუაზიის" სახელდებით ლანძღავდნენ და ყველგან და ყოველთვის ერთადერთ პროგრესულ რევოლუციურ კლასად ისევ და ისევ მხოლოდ მუშათა კლასს აცხადებდნენ.

მაგრამ, აი — ლენინი 1862 წლის პოლონეთის აჯანყებას მაღალ შეფასებას აძლევდა სწორედ იმისთვის, რომ ცარიზმის წინააღმდეგ გამართულ ამ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობდა მთელი ერი, თანაბრად ყველა სოციალური ფენა — თავადაზნაურობა, გლეხობა, ქალაქის დემოკრატია, მუშები[16].

მაშასადამე, ისე გამოდიოდა, ქართველი მარქსისტები, ილია ჭავჭავაძესთან ბრძოლითა და გმობით გართულნი, არც ისე იშვია-

თად მარქსიზმ-ლენინიზმთანაც ვარდებოდნენ წინააღმდეგობაში.

მაგრამ მათთვის ყველაფერი დასაშვები და მისაღები იყო, ოღონდ კი ილია ჭავჭავაძე გაეშავებინათ, მისთვის ევნოთ — ამ „აშკარად რეაქციონერისა, კონტრრევოლუციონერისა, მშრომელთა ექსპლოატატორისა და მონარქისტისათვის“, — როგორც ნათლავდა ილიას ქართული მარქსიზმის ერთ-ერთი „კლასიკოსი“, ფილიპე მახარაძე[17].

თავისი სამშობლოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის რთულ გზაზე, ილიას უახლოეს და უპირველეს საჭიროებად მიაჩნდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში ეროვნული ავტონომიის მოპოება — საკუთარი ენით, კულტურით, ისტორიული ტერიტორიით და შინაურ საქმეთა დამოუკიდებელი მართვა-გამგეობით.

ილიას ეს აზრი სახელმძღვანელოდ გაიხადა სოციალ-ფედერალისტთა პარტიამ, რომელიც დაარსდა 1903 წელს, პარიზში — არჩილ ჯორჯაძის, გიორგი დეკანოზიშვილის, გიორგი ლასხიშვილის, კიტა აბაშიძის, ივანე ზურაბიშვილის, ვლადიმერ ლორთქიფანიძის, ალექსანდრე გაბუნიას, თედო სახოკიას შემადგენლობით. ისინი თავიანთ ახლადდაარსებული გაზეთით — „საქართველო“ — ქვეყანას აცნობებდნენ: „ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრე არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება — განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანოების ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელი. ერთი სიტყვით, ჩვენს გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“[18]. რუსეთის სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმი დეცენტრალიზაციით უნდა შეიცვალოს და იმპერია მასში შემავალ ხალხთა ფედერაციად უნდა იქცესო, — ქადაგებდნენ „ფედერალისტები“. ასეთი „ფედერაციისა“ და „ავტონომიზაციის“ გზით აპირებდნენ ისინი ქართველი ერის გათავისუფლებას და მასთან სოციალიზმის დამყარებას: „ჩვენი მიზანია თავისუფალი ქართველი ერი, მაგრამ ამასთან ჩვენი მიზანია მოსპობა კაპიტალისტურ წესწყობილებისა, ჭონებრივ უთანასწორობისა და დამყარება სოციალისტურ წესწყობილებისა ქართველ ერში“[19].

ქართველი მარქსისტები კი ილიას და „მასზე აყოლილ“ ფედერალისტთა „ავტონომია-ფედერაციას“ საერთაშორისო პროლეტა-

რიატის „ძირგამომთხრელ სეპარატიზმად“ აცხადებდნენ და თავგამოდებით ებრძოდნენ მას.

ჯერჯერობით — სანამ ილია ცოცხალი იყო — ასე იყო.

აგერ, მეორე ათეული წელიწადი მიდიოდა ილიას მიმართ ამ-ყარა მტრობა, უშვეცრი და უდიერი სიტყვათგდება, ჰორები და ინსინუაციები. „უპატიოსნო და სინდისზე ხელაღებულნი იქამდისაც კი მივიდნენ, რომ მის თხზულებებს საჯაროდ სწვავდნენ, მის სურათებს გლეჯდნენ, სთხრეშდნენ ყველგან, სადაც კი თავიანთი ბინძური ხელი მიუწვდებოდათ“[20]. გამორჩეული თავგამოდებით, ქართული მარქსიზმის „კლასიკოსები“, მახარაძე, და ჟორდანია იბრძოდნენ და „იღვწოდნენ“ ილიას დასამხობად და მოსანელებლად და ოდნავადაც ვერ გრძნობდნენ, რომ ილიასადმი მტრობა საერთოდ საქართველოსადმი და ქართველობისადმი მტრობას ნიშნავდა. ისინი ქართველი გლეხობის მძულვარებასა და მტრობასაც კი აბრალებდნენ „გლახის ნაამბობისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორს! ალბათ, პროლეტარიატის მტრის სახელსაც არ დააკლებდნენ, მაგრამ მაშინ, როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოში არც იყო ეროვნული პროლეტარიატი, — ან თუ იყო, მხოლოდ კვერცხში თუ გამოწოლა იგი.

არამცთუ მაშინ, საუკუნის დამდეგს, არამედ 1918 წელსაც კი, თვითონ სტალინი, მესამე დასის ყველაზე ექსტრემისტული ნაწილის ლიდერი და საერთოდ პროლეტარული რევოლუციის უსაჩინოესი აპოსტოლი, ასეთ რაშეებს წერდა: ამიერკავკასიაში მარტო ბაქო წარმოადგენს „სამრეწველო ოაზისს“, სხვაგან კი „მუშათა მოძრაობა სუსტია და ჩამოუყალიბებელი“, რაც „ძალიან ხშირად იჩრდილება აგრარული არეულობით“... „მუშები აქ სუსტნი არიან, როგორც კლასი, მხარის ეკონომიური ჩამორჩენილობის მიზეზით, და ჯერ კიდევ მოუღონიერებელნი“[21].

1914 წლისთვისაც საქართველოში საერთოდ, ეროვნულობის გაუთვალისწინებლად, მუშათა რიცხვი 15 ათასს ძლივს აჭარბებდა[22].

ფილიპე მახარაძე „პროლეტარებს“ საქართველოში თითებზე ითვლიდა და 20 ათასის გადაღმა მაინც ძლივს გადადიოდა[23], და თანაც, არც იმას ამხელდა, რომ ამ „თითიდან გამოწოვილი“ 20 ათასიდან, ეროვნებით ქართველი („ეროვნული პროლეტარიატი“), დიდი დიდი — 3 ათასამდე თუ მოიყრიდა თავს და ისიც აბსოლუტუ-

რი უმრავლესობით, არაკვალიფიციური მუშები — მზარეულები, ლაქიები, ხელზე მოსამსახურნე და მისთანანი[24]. და პროლეტარიატის „ნამდვილ კლასად“ გადაქცევის მეოცნებე მესამე დასელნი ქართველი გლეხობის „პროლეტარიზაციას“ შეჰხაროდნენ[25]! თუმცა, იმითაც გახარებულნი იყვნენ, რომ საქართველოში არაქართველ მუშათა რიცხვი ქართველებს სჭარბობდა და, აქედან გამომდინარე — ინტერნაციონალიზმმა „საბედნიეროდ“, „გადათქერა“ ნაციონალიზმი[26]!

მაგრამ, რაც იყო, ის იყო და, — როცა 1905 წელს, ქართველ გლეხობასთან ერთად, რევოლუციური ბრძოლის გზაზე მუშებიც გამოვიდნენ — ილია, აკაკი და მათი „დასელები“ ამ სახალხო გამოსვლასაც შეხვდნენ და მიესალმნენ, არა როგორც მხოლოდ სოციალურ რევოლუციას, არამედ აგრეთვე როგორც ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობასაც.

(და, საერთოდ, — მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ქართველებს რომელი ომი, ცალკე ბრძოლა, თუ რომელიმე „კონიურაციო“ გადაუხდიათ ისეთი, რომ, ზედმეტნაკლებად მაინც, ნაციონალურ-გამათავისუფლებელი სული არ სდგმოდეს?).

ხოლო, მესამე დასელებს გაგონებაც არ უნდოდათ, რომ 1905 წლის რევოლუციას საქართველოში „ორი ფრონტი და ორი საპირე ჰქონდა“[27] — სოციალურ-კლასობრივიც და ეროვნულ-ნაციონალურიც.

იმავე რევოლუციურ მოძრაობათა წელს, ანუ მისი მკვლელობიდან ორი წლით ადრე, ილიამ სცადა დაეარსებინა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია, „ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის“ სახელწოდებით. ახალი პარტიის „პროგრამაში“ ილია წერდა:

„ჩვენ, ქართველი მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, განურჩევლად სარწმუნოებისა, მთელი ქართველი ხალხის მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ, ერთხმად დავასკვენით, რომ ასწლიანმა ბიუროკრატიულ-ცენტრალისტურმა რეჟიმმა, რაც სრულიად უცხოა ქართველთა ეროვნული წყობისა და სულისკვეთებისათვის (როგორც წარსულში, ასევე ამჟამად), ქართველი ხალხი მიიყვანა თავისი ცხოვრების განვითარების, ინტელექტუალური და ეკონომიური ძალების სრულ მოდუნებამდე და რომ ხალხის ენის დევნამ, წინასწარ განზრახულმა იძულებითმა გა-

რუსეთის სისტემამ (ეკლესიების, სკოლებისა და სასამართლოების გადაქცევა პოლიტიკის დამხმარე იარაღად, ქართველთა სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლებათა ერთიანად შეზღუდვა და პრაქტიკულად ჩამორთმევა, მოსახლეობის ეკონომიური და სულიერი ინტერესების უგულვებელყოფა), ჩვენი ეს მდიდარი მხარე შიიყვანა საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის არც თუ სასურველ არამშვიდობიან კეთილდღეობამდე, არამედ პირიქით. გამოიწვია საერთოდ ყველას, საზოგადოებისა და ხალხის უკმაყოფილება ვნებათა ერთობლივი გაღიზიანებითა და ხალხის მასების უფრო და უფრო ხშირი მღელვარებით. ამიტომაც, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური, მშვიდი მდინარების, ისე ქართველი ხალხის სულიერი ძალების მშვიდობიანი განკითარებისა და მატერიალური კეთილდღეობის მიზნით, აუცილებელია მოხდეს შემდეგ ყველაზე უფრო გადაუდებელი გარდაქმნები:

1. გაუქმდეს კავკასიის მხარის მმართველობისათვის შემოღებული ყველა განსაკუთრებული კანონი, ბრძანებულება და განკარგულება, რაც კი მიმართულია საერთოდ ადგილობრივი და კერძოდ, ქართველი მოსახლეობის კანონიერი და ადამიანური უფლებების შეზღუდვისაკენ.

2. დაკანონდეს სინდისის, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, ორგანიზაციების, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლება და უზრუნველყოფილი იქნეს იგი.

3. უზრუნველყოფილ იქნეს პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა.

4. დადგინდეს ყველა დაწესებულებისა და თანამდებობის პირის, როგორც უმაღლესის, ისე უმდაბლესის, პასუხისმგებლობა სასამართლოს წინაშე საერთო საშართალწარმოების წესის მიხედვით.

5. ჩამოყალიბდეს ერობა და შეიცვალოს საქალაქო დებულება სრულიად წოდებრივ თვითმმართველობაზე დაყრდნობით, შემოღებულ იქნეს საერობო და საქალაქო მმართველობის ყველა ორგანოში ქართული ენა.

შენიშვნა I. გაერთიანდეს თბილისის და ქუთაისის გუბერნ-ები, ბათუმის ოლქი, სოხუმის და ზაქათალის ოკრუგები ერთ ცენტრალიზებულ ქართულ ერობად. მოხდეს მათი დაყოფა საგუბერნიო და სამაზრო საერობო ერთეულებად.

შენიშვნა II. ცენტრალური ქართული ერობა დაარსდეს თბილისში.

6. შეიქმნას დამოუკიდებელი სასამართლო, ნაფიცი მსაჯულებისა, და არჩეულ იქნას მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი; სასამართლო სჯა-პაექრობა იწარმოოს ქართულ ენაზე.

7. ჩატარდეს სახალხო განათლების სახელმწიფო რეფორმა. დაწესდეს საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლება. უმდაბლეს, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ყველა საგნის სწავლება უნდა იყოს ქართულს ენაზე — სახელმწიფო ენის, როგორც სავალდებულო საგნის სწავლებასთან ერთად. საქართველოს ფარგლებში გაიხსნას უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებლები. სკოლებისა და საერთოდ სასწავლო დაწესებულებების გახსნის საქმეში კერძო ინიციატივას მიენიჭოს ფართო უფლება.

8. ებრაიის ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს ავტოკეფალიის უფლება და აღდგეს მცხეთა-ებრაიის საკათალიკოსო მის წინანდელ ფარგლებში (თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ოლქი, აფხაზეთის და სამურზაყანოს შავი ზღვისპირეთის გუბერნიის ნაწილი და ზაქათალის ოკრუგი) კათალიკოსის მეთაურობით.

9. მოხდეს საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია, გლეხებისა და მედაბურთა სხვა წოდებებთან უფლებებით გათანაბრება და დადგინდეს კანონის წინაშე ყველას თანასწორობა. აღიარებულ იქნას მამაკაცებისა და ქალების ქონებრივი, სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა.

10. დაუმკვიდრდეს დროებით-ვალდებულ გლეხებს სანადელო მიწები მათ მიერ მემამულეთათვის გასამრჯელოს მიცემის გარეშე.

11. გაუფართოვდეს მიწისმფლობელობა ყველა თანრიგის მიწისმფლობელებს სახელმწიფო მიწების თავისუფალი მარაგიდან და ცნობილი იქნას ქართველთა თავისუფალი დასახლების უფლება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ აუცილებელი უფლების განხორციელებლად ყველა ხელოვნურად შექმნილი შეზღუდვისა და დაბრკოლების აღმოფხვრით და ამიერკავკასიაში მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის დამაბრკოლებელი ყველა განსაკუთრებული განკარგულების გაუქმებით.

12. გაუმჯობესდეს საფაბრიკო, საქარხნო და სამრეწველო მუ-

შების ყოფაცხოვრება საფაბრიკო კანონმდებლობის გაფართოების, მუშათა სავალდებულო-სახელმწიფო დაზღვევის შემოღების, გაფიცვების, ორგანიზაციების, კრებების თავისუფლების დადგენის, რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღებით, ხელფასის მინიმუმის დაწესების, მეწარმეთა მოგებაში მონაწილეობისა და ა. შ. გზით.

13. იმ ქართული წარმოშობის პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესთა შესაბამისად, რომლებიც საერთო სახელმწიფო ბეგარას იხდიან, აღდგენილ იქნას თავდაპირველი წესი, რომლის ძალითაც ადგილობრივი ახალწვეულები სამხედრო ბეგარას იხდიდნენ საქართველოს ფარგლებში განლაგებულ ჯარის ნაწილებში.

14. გაუქმდეს ყველა ის დაბრკოლება, რომელიც ზღუდავს ქართველთა სახელმწიფო სამსახურში მიღების უფლებას და მოხდეს მათი გათანაბრება რუსული წარმოშობის პირებთან სამსახურებრივ უფლებათა და უპირატესობათა მხრივ.

15. მიეცეს ამნისტია ყველა პოლიტიკურ პატიმარს, რომელიც სასამართლო და ადმინისტრაციული წესით გასახლებულია მხარის ფარგლებიდან, აგრეთვე ყველა პირს, რომელიც საქართველოში მონაწილეობდა გლეხთა მოძრაობაში"[28].

ილიას ეს „პროგრამა" შეიქნა ამოსავალი პუნქტი იმისა, რომ იმავე 1905 წელს ქართველმა თავად-აზნაურობამ იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს, ტახტის მემკვიდრის მილოცვასთან ერთად, საქართველოს ავტონომია წერილობით სთხოვეს, თხოვნაში ეწერა:

„თავად-აზნაურობა ზრუნავს რა სახელმწიფოს საზოგადო სარგებლობის და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველი ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყრელ ნაწილს და ნებაყოფლობით იმასთან შეკავშირებულს, მ ი ე ნ ი ჭ ე ბ ა უ ფ ლ ე ბ ა ს ა კ უ თ ა რ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი თ მ ა რ თ ვ ა-გ ა მ გ ე ო ბ ი ს ა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქნას ადგილობრივ წარმომადგენლობით კრების მიერ, არჩეულის მთელის საქართველოს მცხოვრებთა საყოველთაო, პირდაპირ, საიდუმლო და თანასწორი ხმის უფლებით"[29].

თვითონ ნიკოლოზ მეორე, უკეთუ ძალიან უცნაურად არ მოგვეჩვენება, თითქოს სიმპატიური თვალით უცქერდა საერთოდ ქართველ ხალხს. დღევანდელი ჩვენებური მკითხველი ისეა გაზრდილი,

მეფისგან ხალხის სიყვარული ან ვერ წარმოიდგინოს, ან წარმოდგენა ვერ გაბედოს. მით უფრო, დამპყრობელ რომანოვს დაპყრობილი ქართველებისადმი დიდი დავითის თუ პატარა კახის „დონის“ სიყვარული არ ექნებოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ იმპერატორს, ლენინის შემდეგ, ყველაზე აქტიური შიწაპოლიტიკური მტრები სწორედ ქართველები ჰყავდა, მაინც მისგან ქართველების მიმართ რაიმე სააუგოდ ნათქვამი სიტყვა ისტორიას არ შემორჩენია. პირიქით კი მომხდარა და ქართველების საქებრადაც დასცდენია რამდენიმე სიტყვა ნიკოლოზ რომანოვს. მაგალითად, არის ცნობა ამ საუკუნის დამდეგისა, როცა ნიკოლოზს დიდის ამბით წარუდგინეს მოხსენება: საქართველოში, ბათუმის ახლოს, სოფელ ჩაქვში აღმოჩნდა ისეთი მიწა, რომელზეც შესაძლებელი ყოფილა ჩაის გაშენება და საუკეთესო ხარისხის მოსავლის მოწევა. მეფეს ეს მოხსენება წაუკითხავს და, ისე რომ დიდ სანს არც დაფიქრებულა, ზედ სასწრაფოდ წაუწერია:

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩაი მოითხოვს კოლონიალურ შრომას. და მე არ ვინდომებდი, გადაგვარებულიყო ისეთი მშვენიერი ნაცია, როგორიც არიან ქართველები“[30].

ამასაც ამბობდა ხოლმე სინანულით იმპერატორი: „ვიცი, რომ ჩვენ, რუსები საქართველოში უცხოელები ვართ“; ან კიდევ: „ჩვენ, რუსები, სრულუფლებიანი ბატონები არა ვართ საქართველოსთვის“[31].

და ახლაც, შესაძლებელი იყო, ეს „გულჩვილი იმპერატორი“ ყურადღებით მოჰკიდებოდა ამ „მშვენიერი ნაციის“ თხოვნას და „რაიმე ავტონომიურიც“ იქნებ მართლა გაემეტებინა მისთვის?!

აქვე გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა იმპერატორის მამინაცვალს, გიორგი შარვაშიძეს, რომლის მიმართ გვირგვინოსანი „შვილიკო ნიკი“ ფრიად სიმპატიურად და პატივისცემით იყო განმსჭვალული...

და, 1906 წლის 9 მარტს ილია ჭავჭავაძე აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად. ასე რომ იგი მეფეს „ძალიან დაუახლოვეს“.

იმავე წლის აპრილში კი მოიწვიეს პირველი სახელმწიფო სათათბირო, რომელშიც საქართველოდან გაიგზავნა 8 დეპუტატი, ამათგან — 5 სოციალ-დემოკრატი (ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ივანე გომართელი, ს. წერეთელი და ს. ჯაფარიძე), 1 სოციალ-ფედერალისტი (იოსებ ბარათაშვილი), 1 კადეტი (ა. აივაზოვი) და ერთი გადამდგარი გენერალ-მაიორი (პლატონ შარვაშიძე).

სათათბიროზე სიტყვით გამოვიდა ისიდორე რამიშვილი. ილია ჭავჭავაძემ ამ სიტყვას ასეთი შეფასება მისცა: „ქართულად სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს რამიშვილის სიტყვა. ასეთ გამოთქმას არ არიან მიჩვეული რუსები. ჩემმა (რუსმა) ამხანაგებმა პირველი ხუთი წუთის განმავლობაში ვერა გაიგეს რა. ეს კიდევ არაფერია: რამიშვილი შეეჩვევა საპარლამენტო ორატორობას, მსმენელი — ისიდორეს თავისებურ კილო-გამოთქმას. სიტყვა აზრიანი იყო, მაგრამ დალოცვილმა რა დაიჟინა ეს „Великий русский народ". თითქმის მთელი სათათბირო რუსეთის ინტერესებზე ლაპარაკობს, რაღა მაგის თავგამოდება ესაჭიროება რუსის ხალხს? მე არ მეგონა — თუ ერთი სიტყვით მაინც არ მოიგონებდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. დაიჟინა „Великий русский народ"... არა მგონი ბოლომდის გასტანოს ასეთმა ძახილმა"[32].

ისიდორე რამიშვილი — მისი „იდეოლოგიური პრინციპიდან" გამომდინარე — რუსი ხალხისგან გამორჩევით, ქართველ ხალხზე ენას რომ არ დაასველებდა, ეს ილიას არ უნდა გაჰკვირვებოდა. შემდგომი ისტორია ილიას არც ამ ნათქვამს დაადასტურებს: — არა მგონია ძახილმა — „Великий русский народ" — ბოლომდე გასტანოს. სწორედ პირიქით მოხდება, სწორედ „ქართული ინიციატივით": გაგრძელდება და გავრცელდება ეს ძახილი, მოჰვალეში „მსოფლიო ქართველისგან" აღორძინებული და უკანასკნელ ნაკარნახევამდე „დაყვანილი".

მაგრამ მანამდე — აი, 1906 წელს, სახელმწიფო სათათბიროზე გასატანად უკვე მზადდებოდა საქართველოსთვის ავტონომიის მინიჭების საკითხი. მაგრამ ქართველი დეპუტატები ხომ — ისევ თავისი „იდეოლოგიური პოზიციიდან" გამომდინარე — საერთოდ წინააღმდეგი არიან ავტონომიისა!

საგულებელში ჩავარდნილან ილია და პეტერბურგელი ქართველები, ამათ შორის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი. მეტი გზა არ არის — როგორმე უნდა შეხვდნენ ერთმანეთს „მტრები". ილია სწორედ ამ აზრზე დგას: „ისიდორესთან, ნოესთან შესაძლოა მოლაპარაკება. შეიძლება ორს სხვადასხვა უკიდურეს პარტიას ვეკუთვნოდეთ, მაგრამ ჩვენ ერთად ლაპარაკი უნდა შეგვეძლოს"[33]. ერისთვის, ქვეყნისთვის ჰღირს და გარდუვალია ასეთი შეხვედრა, უკეთუ სოციალ-დემოკრატებიც დაიყოლიეს ამ — „ერისთვის", „ქვეყ-

ნისთვის". და დაიყოლიეს: დავით სარაჯიშვილმა პეტერბურგის „ევროპის სასტუმროში" ბანკეტი გამართა და ყველანი ერთად შეჰყარა — ილიაც თავის მიმდევრებით და ნოე ჟორდანიაც თავისი თანადასელებით (მართლაც, თუ სინდისის ნატამალი გააჩნდა, სარაჯიშვილისთვის ვერ უნდა გაებედნა უარი, რადგან იგი სწორედ სარაჯიშვილის ფულით და ზრუნვით იყო საზღვარგარეთ ნასწავლი და „კაცად გამოსული"). და შეხვდნენ ერთმანეთს, შეხვდნენ, იკამათეს, იბრძოლეს, იყეფეს და ბოლოს, „ილიელებმა" როგორც იქნა „ნოელები" იმაზე დაითანხმეს, რომ სათათბიროზე ნეიტრალურ პოზიციაზე დადგებოდნენ და საქართველოს ავტონომიაზე ისე დადუმდებოდნენ, არც „ჰოს" იტყოდნენ, არც „არას".

მე მაგათგან არც ამას მოველოდიო, — უთქვამს ილიას — ჯერ ეს ვიკმაროთო"[34].

იკმარეს. მაგრამ დრომ არ იკმარა: საქართველოს ავტონომიის განხილვამდე მეფემ პირველი სახელმწიფო სათათბირო გარეკა. ილია ამ ამბავმა ძალიან დააღონა. მაგრამ იგი ილია იყო და ბრძოლას არ წყვეტდა.

ისიც გეტყობოდა, რომ „საქართველოს საკითხზე" ნიკოლოზ მეფეს მისი „სიმპატიური მამინაცვალი" უფრო აწუხებდა, ვიდრე კავკასიის მეფისნაცვალი.

ანდა რა უნდა ყოფილიყო აქ უცნაური და უშველებელი? ბოლოს და ბოლოს, ქართველმა გენერლებმა დაუმორჩილეს და მიართვეს რუსულ ტახტს ფინეთი (პეტრე ბაგრატიონმა, 1808 წელს) და თვითონ საქართველო (პავლე ციციშვილმა, 1802—1806 წლებში). მერე ფინეთს ავტონომია „დაუბრუნა" რუსმა იმპერატორმა (ალექსანდრე I-მა) და რატომ არ შეიძლება საქართველოსაც „დაუბრუნოს" ისევ „გულმოწყალე" რუსმა გვირგვინოსანმა (ნიკოლოზ II-ემ)?! მით უფრო, რომ — გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატი, რომელსაც ქართველ მეფესთან ერთად რუსხელმწიფეც აწერდა ხელს „ავტონომია"-სავით — არ იყო? ჰო და, რა იქნება ახლა მაინც რომ დაუბრუნოს რუსეთმა საქართველოს თუნდაც მისგანვე ხელმოწერილი „გეორგიევსკის ავტონომია??!!

და აი, ახალი, მეორე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის პერიოდში, იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ უკვე მისცა ბრძანება საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოემზადებინათ მასალები და მოეხსენებინათ მისთვის შესახებ იმისა, თუ რაის საფუძველზე მოხდი

საქართველოს შეერთება რუსეთის იმპერიასთან ამ საუკუნის წინათ[35]!

ჰაშ, ისევ „რალაც სასიკეთოდ“ იძვროდა „საქართველოს საკითხი“ იმპერიის უმაღლეს კარზე.

ნოე ჟორდანიას „დასი“ კი უკვე „გონს მოსულიყო“.

მაშ, ისევ „ავტონომიის საკითხი“?!

მერე?! თუ ეს მართლა მოხდა, თუ მართლა საქართველომ ავტონომია მიიღო — რა მოჰყვება შედეგად „ამ საშინელებას“?!

პირველი: ძირი გამოეთხრება რუსეთის პროლეტარიატის ერთიან რევოლუციურ ბრძოლას!

მეორე: ახალი, ავტონომიზებული საქართველოს „პრეზიდენტი“ (თუ რამ სხვა ტიტულით აღჭურვილი სახელმწიფო ხელისუფალი) ვეიქნება მხოლოდ და მხოლოდ ილია ჭავჭავაძე!

აკი უკვე გაიძახიან კიდეც მთელს საქართველოში: „საქართველოს პრეზიდენტობის ღირსი არის მხოლოდ ილია. და უკეთუ გვეღირსა თავისუფლება, მხოლოდ ილიას ძალუძს ჩაუდგეს სათავეში განთავისუფლებულ საქართველოს“[36].

მაშ, ისევ ილია!

მხოლოდ ილია!

მაშ, ისევ და ისევ ის!

მხოლოდ და მხოლოდ ის!

არა და — ან ის, ან ჩვენ! — ასე უდგათ საკითხი მესამე დასელებს.

და ილიას თავიდან მოშორება უკვე სრულიად „ლოგიკური“ გამხდარიყო... ისევ მესამე დასელებისა, ანუ სოციალ-დემოკრატებისათვის.

მაგრამ რომელი სოციალ-დემოკრატებისათვის?

აკი იყვნენ ორი ნაკადისანი — „ბოლშევიკები“ და „მენშევიკები“!

იყვნენ, მაგრამ მაინც ე რ თ ა დ იყვნენ, ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც, ერთად — ერთ პარტიაში, რსდმპ-ში, და ასე ერთად იქნებიან 1912 წლამდე, პრაღის პარტიულ კონფერენციამდე. ეს საერთოდ, მთელი რუსეთის იმპერიაში შემავალი სოციალ-დემოკრატებისათვის.

ხოლო, ქართველი სოციალ-დემოკრატები ხომ მაშინ არც პოლიტიკური პლატფორმებით და არც „ბოლშევიკ-მენშევიკის“ სახელე-

ბითაც კი, ერთმანეთისგან არ განსხვავდნენ, — ისინი, ყველანი უკლებლივ, ერთნაირად, ლენინის განუხრელი მიმდევარნი იყვნენ. თუ მაინცა და მაინც ავიჩემებთ და ავიკვიატებთ — სახელწოდება „ბოლშევიკ-მენშევიკი“ აქ, ქართველი მესამე დასელებისათვის, ძალიან პირობითი უნდა ყოფილიყო. ეს სახელები ხომ რსდმპ-ს დამფუძნებელ II ყრილობაზე (1903 წ.) წარმოიშვა, როცა ლენინმა მომხრეთა უმრავლესობით დაიკავა პარტიის ცენტრალური ორგანოები და მის მომხრეებს ეწოდა „ბოლშევიკები“, მოწინააღმდეგე უმცირესობას კი — „მენშევიკები“. იგივე ყრილობაზე ებრაელთა სოციალ-დემოკრატიულმა წარმომადგენლობამ მოითხოვა თავისი ორგანიზაციის, „ბუნდის“ ავტონომია, ახლად შექმნილ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რაზედაც ლენინმა და „ბოლშევიკებმა“ მტკიცე უარი სტკიცეს და ბუნდელებმაც მაშინვე დატოვეს ყრილობა. ქართველი სოციალ-დემოკრატები კი საკუთარ ერთვნულს და მის ბელადს (ილიას) თვითონ, „დამოუკიდებლად“ (ულენინოდ!) ებრძოდნენ თავგამოდებით და იმავე დროს უმტკიცესი რწმენით და განუხრელობით მხარში უდგნენ რუსეთის პროლეტარიატის ბელადს. მართლაც და, ლენინს რუსეთშიც არავინ მოეძევებოდა ისეთი მტკიცე, უღალატო, ფანატიკურად ერთგული და თავდადებული თანამებრძოლები, როგორებიც ჰყავდა ქართველი სოციალ-დემოკრატები.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს საერთოდ სოციალიზმზე საკუთარი კრიტიკული აზროვნებაც კი აღარ სჭირდებოდათ, რადგან მათთვის საკმარისი იყო ლენინის აზროვნება და მისი ნააზრევის განუხრელი აღსრულება, — მორჩა და გათავდა... ხოლო „საკუთარ სააზროვნოდ“ და საზრუნავად მათთვის ისევ ილია ჭავჭავაძე და მის წინააღმდეგ დაუცხრომელი ბრძოლა იყო.

ამგვარად, მაშინ, — ილია ჭავჭავაძის მკვლელობის კვირაძალს — ქართველი სოციალ-დემოკრატები, „ბოლშევიკ-მენშევიკობის“ გამიჯვნის გარეშე, ერთად იყვნენ, ერთ ბანაკში — რუსეთის პროლეტარული რევოლუციის თავგადამკვდარ სამსახურში და... ერთ ბანაკში — ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ თავგადამკვდარ ბრძოლაში.

მაშ, ებრძოდნენ ილიას და არ მიიჩნევდნენ (თუ არ ესმოდათ), რომ ეს ნიშნავდა ბრძოლას სრულიად ქართველი ერის წინააღმდეგ.

ილია ნებას არ იძლეოდა, მსოფლიო რევოლუციისათვის მისი სისხლდაწრეტილი ერის სისხლი დაეცეულიყო.

მაშ, მისი საკუთარი სისხლი უნდა დაქცეულიყო!

მსოფლიო რევოლუცია კი არა, ილია ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომის დაწყებასაც, სწორედ „ეროვნული სისხლნაკლულობის“ გამო, ნაადრევად მიიჩნევდა და სამომავლოდ, „ბაზალეთელი ყრმის“ დაბადებას ელოდებოდა.

ამიტომ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი თ ო ფ ე ბ ი სდუმდნენ საქართველოში.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი თ ო ფ ე ბ ი კი... გატენილიყვნენ.

და დაიგრიალეს იმ თოფებმა წიწამურზე.

დაცემულიყო ე რ ი ს უ ფ ა ლ ი.

გაემარჯვათ ე რ ი ს წ ყ ე უ ლ ე ბ ს.

გლოვობდა ქართველი ერი.

დაჰკარგვოდა ყველაზე დიდი ქართველი საქართველოს.

სამაგიეროდ მიეღო ყველაზე დიდი საფლავი.

არა გლოვობდნენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები — „მესამე დასელნი“.

გლოვობდნენ კი არა, — კიდევაც ზეიმობდნენ.

8. „ბ ა რ ე-წ რ ი ს ა ნ ი“

ამიტომ არ უნდა ყოფილიყო საკვირველი, რომ მთელს საქართველოში გაისმოდა მაშინ: ილია ჰავჰავაძე სოციალ-დემოკრატებმა მოკლესო.

მაგრამ ასე აშკარად, მარტოდენ სიტყვით, „ფოლკლორად“ ითქმოდა და ვრცელდებოდა, ხოლო წერილობით — მხოლოდ გადაკვრით, მოიარებით. სოციალ-დემოკრატები კი, თითქოს, პასუხს აგვიანებდნენ; ვითომ ეს მითქმა-მოთქმა მათ არც ეხებოდათ. მაგრამ ქურდი ქუდის წვას დიდხანს ვეღარ გაუძლებდა, რადგან აშკარა მინიშნებით იყო ნათქვამნი: „თვით საქართველოს ჰკლავენ, უარყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტერიტორიასაც კი, რა არის, მაშ, თუ არ კვლა საქართველოსი?“ (ვაჟა-ფშაველა); „ილია პოლიტიკურს ნიადაგზე არის მოკლული... განა წარსულის ასე ბარბაროსულად უარყოფა და მოსპობა სრულიად გადაგვარების ნიშანი არ არ-

ის?.. განა ჩვენში არ გაჩნდა მიმართულება, რომელსაც არ სწამს და ეზიზღება მთელი ჩვენი წარსული? განა ამ მიმართულების უვიცმა ადეპტებმა არ იმუშავეს დაუღალავად, რათა მიწასთან გაესწორებინათ ჩვენი მგოსანნიც, მწერალნიც, მოღვაწენნიც, რომელნიც ხალხის პირად მტრებად გამოჰყავდათ და ბრბოს უსისინებდნენ — ჰკა მაგათო?!... აი, ესენი ნაციონალისტები არიან, ესე იგი, თქვენი პირდაპირი მოსისხლე მტრებიო... ვაი თუ ეხლაც არ მოვიდნენ გონს „ხალხის ხელმძღვანელნი“, რომელნიც ფანატიკურის სიბრმავით აძაგებენ და უარჰყოფენ მთელ ჩვენ ეროვნულ ცხოვრებას, ყველაფერს, რასაც ჩვენის წარსულის ცხოვრების ბეჭედი აზის“ („ისრის“ კორესპონდენტი); „ილიას მკვლელი დაჭრავებული ჯალათია, სხვისი სურვილისა და ბრძანებისა ყურმოჭრილი მონა, უვიცთა და სულით ღატაკთა ბრმა იარაღი“ (განდეგილი); „არ მალავთ თქვენს ღიმილს და სიხარულს... ასე ნასიამოვნები დარჩით მისის სიკვდილით... ვისი ნაწარმოებებით თვით თქვენვე აღიზარდენით... ვინც თქვენს გონებას ძუძუ აწოვა... და გინდათ მისის დამდაბლებით თვით ამაღლდეთ, ჰიებო!“ (იროდიონ ევდოშვილი); „ვინ სცდილობდა მის დამცირებას, მის შებღალვას ხალხის წინაშე?.. ვისმა ბოროტმა მარჯვენამ მოაწერა ხელი მის სასიკვდილო განაჩენს...“ (გრიგოლ ყიფშიძე); „ეხლა გლოვობს უმაგალითო მგლოვიარობით მთელი ქართველობა, გარდა ბნელეთის ნაბიჭვრებისა... რომლებიც ცდილობდნენ დაემცირებინათ მისი დიდებული სახელი, მისი დიდი გავლენა საქართველოზე“ (იაკობ გოგებაშვილი); „თქვენ დაჰგმეთ ჩემი ვინაობა!.. თქვენ უარჰყავით ჩემი წარსული... თქვენ ამოშმგლიჯეთ ენა... იმისთვის მოჰკალით იგი, რომ დაუღალავად იბრძოდა თავის სამშობლოსათვის, იმისთვის, რომ თაყვანს სცემდა დედაენას და თავის ქვეყნის ერსა... იმისთვის, რომ იმან ყველას ამცნო და შთაუნერგა განურჩეველად წოდებისა ეროვნული გრძნობანი და სიყვარული... დიაღ, დიდი დანაშაული მიგიძღვით როგორც ილიას, — ისე სამშობლოს წინაშე“ (მემედ-ბეგ აბაშიძე).

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატთა მიმართ იყო ნათქვამი და იმათაც საპასუხოდ ხმა უნდა ამოეღოთ. და აი, ილიას სიტყვა უთხრა სოციალ-დემოკრატმაც. ეს იყო ვლასა მგელაძე, უკანსაყივარ სახელად — „იტრია“ (სხვათა შორის, ლენინის ახლობლობაში, განსაკუთრებით „ლენინურ“ ქალთა წრეში, გარეგ-

ნული სილამაზისა და მომხიბვლელობისთვის ფრიად მოწონებული მოფერებულ-მოალერსებული).

და ამბობდა სიტყვას, ილიას კუბოსთან, „პირმშვენიერი იტრია“:

„...პარტიები აირ-დაირიენ, ერთმანეთისა აღარა გაეგებათ რა. ბევრი გახულიგანდა და შანტაჟისტათ იქცა... არ ყოფილა ისეთი შაგალითი, რომ შანტაჟისტობისა გამო პარტიიდან გამოერიცხოთ რომელიმე წევრი.

ნუთუ არ იციან პარტიებმა, რომ მათში არიან უღირსნი, არა იდეური წევრები და რატომ ზომებს არ ღებულობენ?! არ არის პარტიათა შორის ერთმანეთის პატივისცემა, პირადობის მოპყრობა... იდეური ბრძოლა, აზრის ჭონება და შეხედულება გადააქციეს ლანძღვა-კინკლაობათ!.. რაკი შენ არ მოგწონს ესა თუ ის მიმართულება, ან მისი პიროვნება, ამისთვის ცოცხლად დაგმარხავენ და გაწამებენ ზნეობრივათ.

...ჩვენ, მთელი ჩვენი არსებით აშფოთებული, წინააღმდეგობას ვუცხადებთ ილიას მკვლელებს და მათ, ვინც მშრომელი ხალხისკენ ტალახი გადაისროლა, ან გადაისვრის და პოეტის მოკვლაში ჩვენზე უჭვი შეიტანა...

ჩვენ იმისთვის არ ვიბრძვით, რომ იდეურ მოწინააღმდეგე მებრძოლთ ტყვიებით შუბლი გავუხვრიტოთ, ფიზიკურათ ვაწვალ-ვაწამოთ — ჩვენ ინკვიზიტორები არა ვართ... ჩვენ იმისთვის არ ვლპებით ციხეებში, არ მივდივართ ციმბირში, სახრჩობელაზე, რომ მოხუც მანდილოსანს ყბები დავამტვრიოთ, ვაწამოთ... არა და ათასჯერ არა!.. ეს საზარელი ცილისწამებაა, სიკვდილია... აქ ილიას მკვლელობაზე უარეს დანაშაულს ჩადიან... იმათ, ვისთვისაც ილია სწერდა, სილა გაარტყეს — შეურაცხყოფა მიაყენეს... აქ მოღვაწე პარტიულ საკინკლაოთ გახადეს ამა თუ იმ მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლათ!.. ეს ჩვენ არა გვწამს. ჩვენ ყველა იდეურ მოწინააღმდეგეთ პატივს ვსცემთ; ამის შეგნებაშია საქმე, რომ კულტურული ბრძოლა შესაძლებელი გახდეს....

ამ მხრივ მუშებზე შემცდარი აზრისანი არიან. ჩვენ მარტო კუჭისათვის არ ვიბრძვით — ჩვენი მთელი კაცობრიობის წინსვლას, მეცნიერების აყვავებას, ხელოვნების გაფაქიზებ-გაშვენებას ხელს ვუწყობთ, ამისათვის სიცოცხლეს ვწირავთ და საკაცობრიო ტრაპეზზე ვაქკაცურათ ჩვენი თავი ზვარაკათ მიგვაქვს!..

...დღეს ყველა პარტიებში, ვიმეორებ ყველაში გამრავლდნენ

არანამდვილი პარტიის წევრები რეაქციის გამო. ესენი ქადაგობენ სიმარჯვე-ჭეშმარიტებას და თვით მოკლებულნი არიან ადამიანობას; მათ არა აქვთ გული, სათნოება, სიყვარული, სახოება და აბა რა იქნება მარტო ლაპარაკით?! გაიწმინდეთ თქვენი თავი ყველა პარტიაძ, გახდით ღირსი მეთაურობისა და შემდეგ გამოდით ხალხის წინამორბედათ და მეთაურათ... ეს ტრიბუნა, რომელზედაც ახლა მე ვდგევარ, ხალხის სისხლით არის შეღებილი, წამებულთა ძვლებით არის აშენებული — იგი ძვირათ არის ნაყიდი... ანდერძი არის დატოვებული: ბრძოლა სრული თავისუფლებისათვის — სოციალიზმისათვის"...[37]

ამას ამბობდა ვლასა მგელაძე, თითქოს თავისი „წრის" დასაცავად და მთელი ერისგან „ცილისწამების" მოსაგერიებლად. მაგრამ იქნებ აჯობებდა კიდეც, რომ არ ეთქვა. მართლაც და — პარტიები აირივნენო, პარტიებში უღირსი წევრები, მკვლელები და შანტაჟისტები გაჩნდნენ და მათ გარიცხვაზე და მათგან პარტიის გაწმენდაზე არავინ ფიქრობსო, — რას ნიშნავდა ყოველივე ამის ძახილი? ჯერ ერთი, რა „პარტიებზეა" აქ ლაპარაკი, როცა „პარტია" მკაცრი გაგებით, ორგანიზებულობით, საბრძოლო პროგრამით და წესდებით, თითქმის მხოლოდ ერთადერთი იყო საქართველოში — ისიც თვითონ „ლასას პარტია" — პარტია სოციალ-დემოკრატებისა, გინა „მესამე დასელებისა". ან, ვთქვათ, კიდევ იყო პარტია სოციალ-ფედერალისტებისა. მაგრამ იგი ამ შემთხვევაში ანგარიშში არ ჩაიგდებოდა, რადგან ეს „პარტია" ახალი გამომცხვარი იყო, ისიც ემიგრაციაში, ისიც რამდენიმე თითზე ჩამოსათვლელი წევრით, რომელთაგან ვერცერთს (ვთქვათ, არჩილ ჯორჯაძეს, ან გიორგი დეკანოზიშვილს) მკვლელობას და შანტაჟისტობას ვერავინ დააბრალებდა. მკვლელები, შანტაჟისტები, „ცოცხლად დამმარხველნი" და „გახულიგნებული ინკვიზიტორები" — ანუ ყოვლი ჯურის „გარე-წრისანი" — ისევ და ისევ სოციალ-დემოკრატთა „წრეს" გასჩენოდა დიდი სიმრავლით. სწორედ ასეთები იყვნენ ილიას მკვლელებიც, თანაც — არა „დამწყებნი" და „პიონერნი", არამედ — მსოფლიო რევოლუციის სახელით კაცთაკვლას, ანუ „კლასობრივი მტრების ლიკვიდაციას" — უკვე ორი ათეული წლის ისტორია ჰქონდა საქართველოში. სწორედ იმ წლებში, ილიას მკვლელობამდე, დათარეშობდნენ „წითელ-რაზმელებისა" და „ტყის ძმების" რაზმები: საგურამოში — ლადო ფეიქრიშვილი 12 კაცით, მცხეთა-

ში — ალიკო იმერლიშვილი 15 კაცით, მუხრანში — ნიკო სოხაშვილი 20 კაცით, დუშეთში — ვასო ხუბაშვილი 16 კაცით, ლეხურა-ზახორზე — ვასო კუდულაშვილი 18 კაცით, ახალგორში — სვიმონა ოსიშვილი 16 კაცით. მარტო ამ სვიმონა ოსიშვილს თვითნებურად („უკომიტეტოდ"!) მოკლული ჰყავდა ოცამდე კაცი, გაძარცული ჰყავდა მთელი ქსნის ხეობის მოსახლეობა და მისი შიშით დედაბუდიანად აყრილი და გადახვეწილი იყო ათზე მეტი ოჯახი[38].

ბოლოს და ბოლოს, საქმე ისეთ მოუთმენელ დონეზე ავარდა, სულ მალე (ილიას რომ ხელი მოუთავეს) სოციალ-დემოკრატიის „ელიტა" თვითონ შეუდგა გაბანდიტებულ თანაპარტიელთა ალაგმვას. ხოლო, ეს „ალაგმვაც" იმაში „ჩაეტია", რაზმები დაშალეს, იარაღი აჰყარეს და მიმოფანტეს. უფრო საშიში ბოროტმოქმედნი, ვისაც მეფის სასამართლოსგან სიკვდილი ემუქრებოდათ, ყალბი დოკუმენტაცია გაუწყვეს და სპარსეთში გადახვეწეს.

მაგრამ, თვითონ პარტიის ბუნებითგან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატებს არ შეეძლოთ „ადგილებზე ორგანიზაციის", „ადგილობრივი კომიტეტების" გარეშე არსებობა (სულ მარტოხელა, „უკომიტეტო" ილიაც რას გაუძლებდა ამდენ „კომიტეტს"!), და — როგორც ამას თავისი პირით გადმოგვცემს ამ ამბის უშუალო მონაწილე აქტივისტი სოციალ-დემოკრატი, გიორგი ტატიშვილი — „ამის შემდეგ ცოტა დაწყნარდა ხალხი და შესაძლებელი გახდა მათთან მისვლა და ორგანიზაციების აღდგენა..." და ყველგან „აღვადგინეთ რაიონული ორგანიზაციები და შევქმენით მაზრის ცენტრის კომიტეტი, წითელი რაზმის მაგივრად. ყველა რაიონში მოვაწყეთ ტერორისტთა ჯგუფები და იარაღის საწყობები"[39].

მაშასადამე, ხალხმა ბანდიტების მოშორებით ცოტა რომ სული მოითქვა, იმ „გაბანდიტებული წითელ-რაზმელების" სანაცვლოდ, ახალი, „ცენტრის კომიტეტები" და „ახალი ტერორისტები" შეუსვეს...

ერთი სიტყვით, ვლასა მგელაძის სიტყვა, სჯობდა არა თქმულიყო — მისიანებისთვის სჯობდა. მერე, — „მუშებს ცილს ნუ სწამებთო" — ამაოდ ეფარებოდა ეხ „მგზნებარე სოციალისტი" მუშების სახვლს. ილიას მკვლელობაში მუშებზე ეჭვი არავის შეუტანია. მუშები ილიას ჭირისუფლებში იდგნენ, წრფელი გლოვის ცრემლს ღვრიდნენ და მუშური სიყვარულით აღსავსე ლექსებს და

სიტყვებს უძღვნიდნენ „მაშვრალი კაცის“ მალმერთებელ წამებულ პოეტს...

მაშ, სხვა სიტყვა იყო საჭირო, სხვა და სხვისა — უფრო დიდი ავტორიტეტისა. და სრულიად ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით ილიას სიტყვით მიმართავს კარლო ჩხეიძე: „...ჩვენ მოწყურებული ვართ უკანასკნელი ამქვეყნიური პატივისცემა მოვაგოთ და ჩვენი შენდამი სიყვარული აღვნიშნოთ. მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც. საზოგადოება, რომელიც შეკრებია დღეს შენი ცხედრის წინაშე, იმდენადვე სხვა და სხვა გვარია, რამდენადაც მრავალმხრივი იყო თვით შენი წარსული. ჭეშმარიტებაზე ძლიერ შორს იქნება თუ ვინმე იტყვის: თითქო, ჩვენ ყველანი ერთნაირად ვუყურებდეთ შენს წარსულს, ყველანი ერთნაირად ვცემდეთ პატივს და ვაფასებდეთ შენს მოღვაწეობას. დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავად-აზნაურობამ, საზოგადოთ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მშრომელი ხალხის შრომის ნაყოფით ცხოვრობს. დაე, მოვიდენ და პატივი დაგდვან შენ ძალა-უფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის მომხრეს. დაე, გაქონ და გადიდონ შენ შოვინისტებმა როგორც მაშულის შვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით ასეთების ქებათა ქებას და მით უმეტესის სიცხადით აღვნიშნავთ იმას, რაც იყო შენი ჩვენთვის ძვირფასი.

შენ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდი მაშინ, როცა რუსეთის ბნელი ცხოვრების საძირკველი მძლავრათ შეირყა, როცა ბატონყმობის დახავსებული სიმაგრის ზღუდეებს ძლიერათ შეეჯახა ახალი ცხოვრების აზვირთებული ტალღები და როცა პირველათ მოისმა ხმა ძველი მონური ცხოვრების წინააღმდეგ. ჩვენში შენ ერთი პირველთაგანი იყავი, რომელიც ჩაები განახლებული ცხოვრების ფერხულში და ჩადექი იმ მცირე რაზმში, რომელმაც იკისრა მეთაურობა მაშინდელი საზოგადოების, და შენი ნიჭის და პოეტური შემოქმედების საგნათ დაისახე დაგესურათხატებია ჩვენთვის ბატონყმური ცხოვრების საზიზღროება. შენ დაასურათე უფსკრული და ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ბატონსა და ყმას შორის. შენ გესლიანი ენით დასცინე და სასიკვდილოთ მოშხამე ის, ვინც დიდებით და პატივით იყო წინეთ მოსილი; შენ ჩვენ თვალწინ საოცრად გადაშალე გონებრივი სიკოტრე, გონებრივი სი-

დუხჭირე, სრული არარაობა და პარაზიტობა ბატონის, იმ ბრწყინვალე წოდების, რომელიც ფუქსავატი, სიამაყით და მედიდურობით იყო აღსავსე; შენ დაგვხატე ლუარსაბი და დარეჯანი, ეს ღვიძლი შვილები და ტიპიური წარმომადგენლები ჩვენი ბრწყინვალე წოდებისა. ამასთან ერთად შენ იმ დროისათვის საუცხოოთ დაგვისურათე აგრეთვე უმწეო და უბედური მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა ლუარსაბების უღელში გაბმული გლეხები, შენ დაუპირდაპირე ერთი-მეორეს თავადი დათიკო და გლეხი გაბრო და დაგვანახვე, რომ მათი ერთად არსებობა შეუძლებელია, რადგან პირველის ბედნიერება მეორის უბედურებაზეა აგებული, სადაც პირველი იცინის, იქ მეორე უნდა სტიროდეს, როცა ერთი მაძღარია, მეორეს უნდა შიოდეს, როცა დათიკოს თბილა, გაბროს ცივა, გულის სიღრმეში ჩაგვეკრა ჩვენ ეს სურათები; ჩვენ მაშინ დავგმეთ ძველი ცხოვრება და სიტყვა დავსდევით შეძლების და გვარათ გავმკლავებოდით ბოროტებას, რომლითაც აღსავსე იყო ჩვენი ცხოვრება. ამრიგათ შენმა მგოსნურმა ნიჭის ნაწარმოებმა ხელი შეუწყო ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყო ახალთაობა, რომელმაც კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ, მთავარ ღერძათ აღიარა. ამ ახალგაზრდობისთვის სხვათა შორის, შენი იმდროინდელი შემოქმედების ნაყოფი გახდა მისი გონებრივი და ზნეობრივი ზრდის პირველ საფეხურათ, რომელზედაც ეს ახალთაობა უნდა შემდგარიყო, რომ გულმოდგინეთ შესდგომოდა იმ დიადი მოძღვრების შესისხლხორცებას და ჩვენ ცხოვრებაში გადმონერგვას, რომელიც გვასწავლის, რომ კაცობრიობის წინსვლის აუცილებელ და უდიდეს მიზანს შეადგენს სოციალიზმის დამყარება. ხოლო გზა, რომლითაც ამ მიზანს მიაღწევს კაცობრიობა, არის შეურიგებელი სასტიკი ბრძოლა კლასთა შორის. შენ თვითონ მოწმე გახდი იმის, თუ რა ძლევამოსილება შეისხა ამ სწავლა-მოძღვრებამ ჩვენში და რა ღრმა კვალი გაავლო შან ჩვენ ცხოვრებაში. რამდენადაც შენ შენი იმდროინდელი შემოქმედებითი მუშაობით ხელი შეუწყვე ჩვენი საზოგადოების თვითცნობიერებას, რომ ჩვენ შეგვყვარებია ღვინიშნული მოძღვრება, რამდენადაც შენ გააღვიძე ჩვენს ახალგაზრდა ბუნებაში გრძნობები, რომელნიც აუცილებლად საჭირონი არიან, რომ ჩვენ გულწრფელათ ვემსახუროთ სოციალიზმის დიად მომავალს, და აი, სწორეთ ამდენათ გვსურს ჩვენ უკვდავი იყოს შენი სული.

ჩვენი პროლეტარიატი საბედნიეროთ უკვე შესდგა განვითარების ისეთ საფეხურზე, რომ ის გაცილებით უფრო ღრმათ და სავსებით აფასებს ხელოვნების და შემოქმედებითი ნიჭის მარგალიტებს როგორც შინაარსით, ისე გარეგანი სახით, ვინემ დანარჩენი ელემენტები ჩვენი საზოგადოებისა და ვაი მას, ვინც განიზრახავს, რომ ეს მარგალიტები გასთელოს. ვაი თქვენ, ეტყვის იგი შენი ცხედრის წინაშე აგრეთვე იმათაც, ვინც შენი მოკვლის გაგონების შემდეგ ბუკსა და ნაღარას სცემენ ქვენა მისწრაფებით და მურტალი მიზნით, თითქო შენთან ერთათ მოიკლა მთელი ხალხი. ასეთები ვერა ხედავენ, რომ ამით იგინი ვერ აქარწყლებენ შენი ნიჭის საერთო ნაყოფს, ვერ ხედვენ, რომ ის ხალხი, რომელმაც შეისისხორცა ის, რაც შენ მოღვაწეობაში საუკეთესო იყო და უარჰყო ის, რაც მის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგება შენს წარსულ მოღვაწეობაში, ასეთი ხალხი, ვამბობთ, უკვდავია და არც პასუხს აგებს, თუ მის შორის ვინმემ მტარვალობა ჩაიდინა.

ვაი მათ, იტყვის იგივე პროლეტარიატი და მთელი მშრომელი ხალხი, ვინც ლამის მართლა ავაზაკურათ ისარგებლოს შენი მკვლელობის შემთხვევით და ჩირქი მოსცხოს მშრომელ ხალხს და იმას, ვინც ხელმძღვანელობს მას. დღეს ჩვენში შურისძიებისათვის მოწოდებას ჩვენ არ ვიკადრებთ ცხედრის წინაშე, მაგრამ სასტიკ ანგარიშს მოვთხოვთ მათ, ვინც ჩვენს სასიარულო გზაზე ეკალსა სთესს და შხამს ანთხევს“[10].

სწორედ ძლიერი სიტყვა იყო. მაგრამ არც მას შეეძლო გაექარწყლებინა საყოველთაო ფიქრი და სიტყვა იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მაინც და მაინც „მესამე დასელთა“ წრიდან მოდიოდა. გააქარწყლებდა კი არა, თქვას იმისას, რომ ვინც მამულიშვილად გაქებს, ისინი შოვინისტები არიანო — კიდევ უფრო უნდა განემტკიცებია ხალხში ვარაუდი სწორედ სოციალ-დემოკრატთაგან ილიას ხელყოფისა. ხალხს ყველაზე მეტად სწორედ ის აღიზიანებდა, რომ „მესამე დასელებს“ ტაბუ დაედოთ მამულისა და მამულიშვილობისათვის, ერისა და ერისკაცობისათვის.

ხალხმაც იცოდა და კარლო ჩხეიძესაც ხომ მით უფრო უნდა სცოდნოდა, რომ ილიას დატირების დღეებში თბილისის სოციალ-დემოკრატთა საგანგებო კრებამ ერთადერთ „დღის წესრიგად“ ამ საკითხის განხილვა გადაწყვიტა: „ი. ჭავჭავაძის მოკვლა და სოციალ-დემოკრატია“, — და ხმის უმრავლესობით დაადგინა: სო-

ციალ-დემოკრატიული პარტია ილია ჭავჭავაძეს ვერც გვირგვინს გაუგზავნის და ვერც მის დაკრძალვას დაესწრებაო[41].

ილიას ჭირისუფლებისათვის გამაღიზიანებელი უნდა ყოფილიყო ისიც, რომ კარლო ჩხეიძე განსვენებულს „თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის“, ანუ რუსული მონარქიზმის მომხრედ აცხადებდა. ესეც მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან მაშინ ვისაც კი სოციალ-დემოკრატი და მარქსისტი ერქვა — მახარაძე თუ ჟორდანია, ჩხეიძე თუ ორჯონიკიძე — ილიას ყველა უკლებლივ და ერთიანად „მონარქისტს“ და „მეფის ჯაშუშს“ ეძახდა.

ამიტომ, მერე, სამი ათეული წლის შემდგომ, სასაცილო გახდება „ზემოდან“ მონაბერი შიშით ნიადაგგამოცლილი ისტორიკოსების მტკიცება იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძე მეფის ოხრანკამ მოჰკლაო! ამის „მთავარ საბუთად“ კი მიაჩნდათ (ზოგს ახლაც მიაჩნია) თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის საიდუმლო მოხსენება პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტისადმი: „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მთავარი ხელმძღვანელი იმ მოძრაობისა, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავ. ილია გ. ჭავჭავაძე“..[42] ეს მოხსენება გაიგზავნა 1894 წლის 1 მაისს, და მთელი 14 წელიწადი „ოხრანკას“ ილიას მოკვლა არ გახსენებია. ის კი არა და, 1906 წლის 9 მარტს ილია მეფესთან „სულ ახლოს“ — სახელმწიფო საბჭოს წევრადაც კი გაიყვანეს!

სინამდვილე კი ის იყო, რომ ილიას არც მეფე ეპიტნავებოდა და არც სოციალ-დემოკრატები. საპასუხოდ — რუსი მეფისთვის ილია იქნებოდა თუ არა, სულ ერთი იყო, ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის კი იგი უკვე სრულიად აუტანელი გამხდარიყო, — აუტანელი და მოუთმენელი, რამეთუ ილია მათ საქართველოს არ ანებებდა — „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ შესაწირ ბატკნად არ ანებებდა...

მკვლელობის ორგანიზაცია, როგორც ეტყობოდა, 20—25 კაცისაგან მაინც შედგებოდა. ხოლო, ვინც ილიას წიწამურთან უშუალოდ ტყვია ესროლა — იყვნენ ხუთნი:

გიორგი (გივლა) ბერბიჭაშვილი, ივანე ინაშვილი, გიორგი (ლო-

ძა) ხიზანიშვილი, პაელე ფშაველიშვილი (აფციაური) და „ვინმე იმერელი“ (ჯერ კიდევ დაუდგენელი, მაგრამ სავარაუდებელი — სერგო ორჯონიკიძე, რომელსაც კარგა ხნის წინ, ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზაზე სააგიტაციო „მი-მო-სვლის“ დროიდან, უკანსაყივარ სახელად შერქმეული ჰქონდა „იმერელი ბიჭი“).

მკვლელობის აქტიური მონაწილე აღმოჩნდება აგრეთვე მეეტლე თედო ლაბაური.

თავიდანვე გარკვეული კი ის გახლდათ, რომ მკვლელობის ყველა მონაწილე, თედო ლაბაურის გარდა, იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

მაგრამ უწინარეს ყოვლისა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველთვის, ყოველ სოციალურ თუ პოლიტიკურ „წ რ ე შ ი“ იმთავითვე ჩნდება „გ ა რ ე-წ რ ე“, „გ ა რ ე-წ რ ი ს ა ნ ი“, ანუ „გ ა რ ე-წ ა რ ნ ი“. ამ მხრივ არც სოციალ-დემოკრატიული „წრე“ შეიძლებოდა დარჩენილიყო „გარე-წრისა“ და „გარეწრებისგან“ უბიწო და თავისუფალი. უფრო მეტიც: „გარე-წრობა“ აქ განსაკუთრებულ „სანაყოფიერო ნიადაგსაც“ კი იპოვნიდა, რამდენადაც სოციალ-დემოკრატიის არსებობისა და მოქმედების ამოსავალი პუნქტი იყო სწორედ სოციალური რევოლუცია, ანუ — უქონელთა („პროლეტარიატი“) სამკვდრო-სასიცოცხლო მიმძლავრება მქონებელთა („ბურჟუაზია“) მიმართ. ამიტომ ბევრისთვის — ყოველი უშრომელი შემოსავლის და ქონების მაძიებლის, მშრომელი და მქონებელი მეზობლის მოშურნის, და საერთოდ ყოველი მიზანთროპული და ქვენა გრძნობითი განწყობილებებით ნერწყვმორეული „ადამიანებისთვის“ — ფრიად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო სოციალ-დემოკრატიულ „დასში“, „პარტიაში“ თუ „წრეში“ მოხვედრა (სწორედ „მოხვედრა“!). ყოველი რევოლუცია, გინდა არ გინდა, ყოველთვის ემყარება სიკვდილთან წილდებას, იარაღით მიმძლავრებას, ტერორს, შანტაჟს. ამიტომ, რევოლუცია მხოლოდ ზნეობრივად უზენაესად ამაღლებულ და დახვეწილ ადამიანთა „წრის“ ხელში შეიძლება გახდეს საზოგადოებისათვის სიკეთის მარგუნებელი. ხოლო, უკეთუ რევოლუციონერთა „წრეში“ ზნეობრივად თუნდაც ოდნავ მერყევი და ქვენა გრძნობათა მქონე სუბიექტები „მოხვდებიან“, მაშინ უმალვე იშლება ზღვარი რევოლუციონერსა და ჩვეულებრივ ბოროტმოქმედს (მკვლელი, მძარცველი, წამგლეჯელი) შორის.

ბოროტება კი ჰხდებოდა რევოლუციის სახელით და იმისდა მიხედვით, ვის ვისი შური და პირადი სიძულვილი შემორჩენოდა, ვის ვისი თვალები და მიმოხრა არ მოსწონდა, ვის ვისი ნიკორა ხარები ეხარბებოდა, ვის ვისი ცოლი ესურვილებოდა.

ასეთი „გარე-წრისანი“ კი თავის წიაღში მრავლად ჰყოლია ქართულ „მესამე დასს“. ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ, რაზმეულებად რომ დაშლიგინობდნენ საქართველოში... დაშლიგინობდნენ იარაღასხმულნი, და — „სოციალისტების“, „წითელი რაზმელების“, „ტყის ძმების“ მჭუხარე ტიტულებით თავზარს სცემდნენ ყველას, ვისაც კი შური, სიხარბით, თუ სიძულვილით თვალს დაადგამდნენ.

მკითხველს ვთხოვ, გაიხსენოს XIV საუკუნის დამდეგი საქართველოში: როგორ მოშალა და შეცვალა ქართველთა ზნეობრივი ცხოვრება მონღოლებთან გაუთავებელმა ომებმა. გაჩნდა ახალი სოციალური ფენა — ს ა მ ხ ე დ რ ო ნ ი — „ელიტა“ მაშინდელი ქართული საზოგადებისა, რომელსაც ომი, ბრძოლა, იარაღის წარამარა ცემა და ჟღრიალი — იძულების კი არა — უმაღლესი სიქველისა და ვაჟკაცობის გამოვლინებად გადაექცა. მაშინ „კაი ყმა“ ის იყო, ვინც კარგი „სამხედრო“ იყო და, რაც მთავარია, აქ აუცილებელი აღარ იყო უცხო მტერთან ბრძოლა. „კაი-ყმობა“, ანუ „კაი-სამხედროობა“ უფრო საკუთარი თანამოძმისა და თანასისხლიერის აკლებას გულისხმობდა. და იდგა შაშინდელ საქართველოში „დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანეთსა ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგურა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი“, არსად „სამართალი არად იყო-ღა“.

და რაღაც ამის მსგავსი დრო-ჟამი დამდგარიყო XX საუკუნის დამდეგის საქართველოში. აქ ლამის „ფ ი რ ა ლ ო ბ ა“ გამხდარიყო რაღაც ახალ სოციალურ ფენად, ანუ „ელიტად“ მაშინდელი საზოგადოებისა. „ფირალი“, „წითელრაზმელი“, „ტყის ძმა“ — ზნეობრივი სიქველის, ლამის ტრადიციული „კაი-ყმობის“ ეტალონად ქცეულიყო... და — დადიოდნენ, კლავდნენ, ან „უკეთეს შემთხვევაში“, ძარცვას კმარისობდნენ. ხოლო, ამ აშკარა ავაზაკურ მძარცველობას — „რევოლუციის ინტერესებიდან გამომდინარე“ — ერქვა „ე ქ ს პ რ ო პ რ ი ა ც ი ა“ („ძარცვა“ რომ არავის ეგონოს!).

მაშინ (XIV საუკუნეში) სულკურთხეულმა გიორგი V ბრწყინვალემ იხსნა საქართველო გაზულუქებულ „სამხედროთა“ პარპაში-

საგან. ხოლო ახლა, XX საუკუნის დამდეგს, ვინ დაიხსნიდა საქართველოს „ფირალობისაგან"?! ილია?! მაგრამ „ფირალებს" დაუსწრიათ და უკვე თვითონ ილიასთვის შეუბამთ ფეხზე ბატკანი..

ყველაზე უარესი სწორედ ის იყო, რომ ეს „გარე-წრისანი" მარტო თავისი პირადი ინიციატივით როდი მოქმედებდნენ. ძალიან ხშირი იყო შეშთხვევები, როცა ისინი „ექსპროპრიაციებს" (ძარცვებს), თუ „ლიკვიდაციებს" (მკვლელობებს) აწყობდნენ „ზემდგომი ამხანაგების", ანუ „კომიტეტის" დავალებითაც.

„თუ ამა და ამ დღეს, ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილას, ამდენი და ამდენი ფული არ ჩაგიბარებია, კომიტეტის დადგენილებით თქვენ დასჯილი ხართ სიკვდილით", — გზავნიდნენ ასეთ წერილებს „ტყის ძმები", ზედ კუბოსა და გადაჯვარედინებული ძვლების მიხატვით. ან არც ბარათების წერითაც არ იწუხებდნენ თავს, ისე მიადგებოდნენ და მიასიკვდილებდნენ „რევოლუციისათვის საშიშ ელემენტს", „კომიტეტის" ვითომ-დავალებით, ან მართლა-დავალებით.

აშკარად ეტყობოდა, სწორედ ასე — „ზემოდან ქვემოთ" დავალებით — ამჯერად მართლა-დავალებით — მზადდებოდა მკვლელობა ილია ჭავჭავაძისა.

ეს მკვლელობამდეც იგრძნობოდა საქართველოში. კიდევაც იგრძნობოდა და კიდევაც ითქმებოდა, მაგრამ მომავალ, ამ ყველაზე დიდი ქართული ტრაგედიის შესაფერხებლად და თავიდან ასაცილებლად არსაიდან არავითარი ღონე არ იძვროდა. ქართველი ერი თითქოს რაღაც მისტიური, ფატალური აუცილებლობით მიექანებოდა ყველაზე დიდი ქართული სიკვდილისა და სირცხვილის შმორიან გზაზე.

დიმიტრი ჯაში ილიას სიკვდილამდე ერთი წლით ადრე შეიქნა მისი მოურავი. დანიშვნამდე კი ჯაშს მისი ახლობლები აფრთხილებდნენ დაბეჯითებით: ნუ დაუდგები მოურავად, რადგან, სულ ერთია, ილიას მალე მოკლავენო[43].

დრო კი ულმობლად მოკლდებოდა. ილიას მკვლელობამდე ორი თვე-ღა დარჩენილიყო. თბილისში, საბაშვილის დუქანში, ცნობილი მწიგნობარი და ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე ჩასულიყო და სადილს შეექცეოდა. ცალკე, ერთ კუთხეში, სუფრას რამდენიმე, უკვე შეზარხოშებული კაცი უჯდა. ზაქარია მათ შორიდან იცნობდა და ისიც კარგად იცოდა, რომ უკლებლივ ყველა სოციალ-დე-

მოკრატები იყვნენ. როცა მოქეიფეებმა მოიხედეს, არ მოეშვნენ და თავის სუფრაზეც მიიწვიეს ზაქარია. ამან პირველი ჭიქით დაიღოცა. ამასა ორიოდ სადღეგრძელო კიდევ მოჰყვა. ცოტაც რომ მოჰყვნენ-მოჰყვნენ, ზაქარიამ საქართველოს ისტორიისა და ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოც შემოურია. ილია ჭავჭავაძეო?! — აიმრიზნენ „მესამე დასელნი“: შავრაზმელი ილია ჭავჭავაძის ტოსტს ჩვენ არ გეახლებით; ამ დღეებში ჩვენ მის მოკვლას ვაპირებთ და, თუ ძალიან გინდა, შესანდობარს დავლევთო!.. ილია უნდა მოვკლათო?!. გაოგნდა და გამოლენჩდა ზაქარია ჭიჭინაძე. მაგრამ აზრზე მოსვლა აღარ აცალეს, — უცებ ფეხზე წამოიჭრა თამადა, ვინმე ასაკა ალხანაშვილი და დააყარა უბინძურესი სიტყვებით: „აი თქვენი ხატები, აი თქვენი საყდარი, აი თქვენი მეფეები, ძაღლმა ჩ..ჯ..ას თქვენს მეფეებს, იმათ ტახტს და გვირგვინს. აი, თქვენი ჭავჭავაძის ნაწერები, დავ...ჯ...ი იმის ნაწერებს, მ...ტყ...ი იმისი ნაწერები, ძაღლმა და...ჯ...ას იმის კალამს“... და ასე გაუთავებლად განაგრძობდა სრული სიბილწით ალხანაშვილი, ხოლო დანარჩენი თანამესუფრენი ყოველ მის ყიამყრალ შეძახილზე აღტაცებული ხორხოცობდნენ და სიცილით მუცელზე იხეოდნენ. ძლივს გამოერკვა ზაქარია ჭიჭინაძე, გამოერკვა და შეჰყვირა უსაზღვროდ აღშფოთებულმა: თქვენ სოციალ-დემოკრატები კი არა, ნამდვილი უზრდელი კინტოები ყოფილხართ, — თქვენ ყველანი ძაღლის თესლისგან ხართ გამოჩეკილიო. ...და აღარ აცალეს: ყოველის მხრიდან წამოესივნენ და სცემეს უწყალოდ. დუქნის მეპატრონემ ძლივს გამოჰგლიჯა ხელიდან გამხეცებულ „ანტიჭავჭავაძელებს“ ლამის სიკვდილზე მიყენებული „ჭავჭავაძელი“[44].

მაშ, ილიას ამ დღეებში მოვკლავთო!..

იმ დღეებში კი ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში უკვე ჩატარებულა რაღაც „კომიტეტის“ სხდომა. ამაზე, შემდგომ, გამოძიებას მოახსენებს იგივე მაზრის სოფელ ნაგომარის მცხოვრები სანდრო გრეკოვი (მამით რუსი, დედით ქართველი):

„...შარშან ზაფხულში მე ვცხოვრობდი ჩემ სოფელ ნაგომარში, რომელიც სოფელ ბახვიდან სამი კილომეტრითაა დაშორებული. რადგანაც ჩემი პატარა ძმა ავად გახდა, მე წავედი სოფელ ბახვში ფერშალ პროკოფი ბერეჟიანთან ქინაქინის მოსატანად. უკანასკნელის სახლში მე ვნახე მთელი კრება, რომელზეც ესწრებოდნენ ერშალოზ და კალენიკე დოლიძეები, დიომიდე ბასილაშვილი და სხვე-

ბი. კრებას ხელმძღვანელობდა ერთ-ერთი ჩამოსული ბათუმიდან. ილაპარაკეს გურიაში საქმის მდგომარეობის ირგვლივ და შემდეგ კი ხაკითხი წამოიჭრა თავადი ილია ჭავჭავაძის შესახებ. კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თავადი ჭავჭავაძე უნდა იქნას მოკლული, რადგან მან ჩვენ გვიღალატა და მისი მოკვლა დაადგინა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. გამოყოფილი იქნა ტერორისტთა ჯგუფი ერმალოზ და კალენიკე დოლიძეების და ბასილაშვილის შემადგენლობით. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ მე მართლაც გავიგე, რომ თავადი ჭავჭავაძე მოკული იქნა...“[45]

და, მართლაც, ყველაფერი იმ ოთხ დღეში უნდა მომხდარიყო: ტერორისტები გურიიდან თბილისს ჩავიდნენ და ფილიპე მახარაძესთან გამოცხადდნენ. ფილიპემ შორს დაიჭირა: ჭავჭავაძის მკვლელობაში გურულები არ უნდა გაერიენენ, თქვენ ახლავე უკან გაბრუნდით, ხოლო მაგ საქმისთვის აქაურები მყავს დაქირავებულიო (!)...

და, აჰა, ის დღეც!

ბერბიჭაშვილი, ფშავლიშვილი, ინაშვილი და „ვინმე იმერელი“ სოფელ წიწამურს მივიდნენ, „სოფლელებს დაუძახეს და გამოუცხადეს, რომ კომიტეტმა დაადგინა მოკლულ იქნას თავადი ჭავჭავაძე და ეს საქმე მათ სისრულეში უნდა მოიყვანონ“[46]. მას უკან ხიზანიშვილიც აიყოლიეს და... დაიძრნენ „გარეწრისანი“ საქართველოს დასაობლებლად.

მაშასადამე, ყველაფრისაგან გამოსჩვივოდა, რომ ილიას მკვლელობა მაინცა და მაინც „ზემოდან“, „კომიტეტის“ დავალებით დატყდა საქართველოს.

„კომიტეტი“ ჯერ მოითმენს და — 1908 წლის 29 დეკემბერს კავკასიის სამხედრო სასამართლომ ილიას უშუალო მკვლელებს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. სიკვდილმისჯილებმა შეწყალება ითხოვეს. თბილისის გენერალ-გუბერნატორის წინაშე მკვლელების შეწყალების და პატიების თხოვნა აღავლინა თვით ილიას ქვრივმა ოლღა გურამიშვილმა. იგი წერდა:

„სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩემთვისა და მთელი საქართველოსათვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანური გრძნობის, კაცთა შორის

სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის თხოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი. მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს ჩემი ქმრის გვერდით და თითქო მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ეს ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა — შეუნდო იმ უბედურ, გზადაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია. ამჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთი-სოფელში — შეერთება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა ჯვარზე განრთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიური სიყვარულის შუქით განათებული, ეეედრებოდა შემოქმედს შენდობას იმ მტრებისას, რამეთუ „არა იციან რასა იქმან“[47].

მთხოვნელს თხოვნაზე თანხმობა აღუთქვეს და ავადმყოფი ქალი ამით დაამშვიდეს. მაგრამ განაჩენის გამოტანიდან მერვე თვეს, 1909 წლის 21 აგვისტოს მკვლელთაგან — ივანე ინაშვილი, გიორგი (ლომა) ხიზანიშვილი და მეეტლე თედო ლაბაური — ჩამოახრჩვეს.

ხოლო, პავლე ფშავლიშვილი (აფციაური)? იგი გასამართლებამდე გაქცეოდათ მეტეხის ციხიდან და 1908 წლის 18 დეკემბერს, სოფელ მამკოდასთან, პოლიციელებს მოეკლათ, კიდევ სხვა ყაჩაღებთან ერთად.

ხოლო, ის „ვინმე იმერელი“? არავინ იცის; სახელდებით ვერც ვერავინ დაასახელა, ვერც ვერავინ მოიხელთა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო.

ის კი ვინც მკვლელთაგან მთავარი იყო, ვის ბოროტ ხელს თვითონ ილია უშუალოდ ემსხვერპლა — გიგლა ბერბიჭაშვილი? მან

ყველაზე ადრე უშველა თავს — გაიქცა ირანს, სხვა სოციალ-დემოკრატებთან ერთად, ვითომდა იქაურ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად (ამათ შორის იყო სერგო ორჯონიკიძეც).[48]

ბერბიჭაშვილი ირანიდან დაბრუნდა 1919 წელს, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობის სადავეები უკვე ხელთ ეპყრათ სწორედ „ჩისიან" სოციალ-დემოკრატებს, მენშევიკთა ნაკადით. ჩამოვიდა და ყოველ გზაშარაზე და გზაწვრილზე იკვეხნიდა: აი, ამ მარჯვენით ჩავაძაღლე ილია ჭავჭავაძეო!

თითქოს არავის ესმოდა; თითქოს ვერავინ ჰხედავდა. ასე იყო უილიაო საქართველოში.

დადგა 1921 წელი და საქართველოში მენშევიკთა ხელისუფლება ბოლშევიკებმა შეცვალეს. მაგრამ ბერბიჭაშვილისთვის ბოლშევიკებიც სოციალ-დემოკრატები იყვნენ — ახალი სახელით — „კომუნისტები". და ამათ დროს კიდევ უფრო „აყვავდა" ილიას მკვლელი: იგი მიიღეს (ბორის ძნელაძის ხელმოწერით) კომუნისტური პარტიის წევრად, სტაჟით 1905 წლიდან; დანიშნეს საგურამოს რევკომის თავმჯდომარის (დათიკო გართომაშვილის) მოადგილედ. მისვლისთანავე ციხეში ჩაასმევინა და ოჯახებით გააუბედურა 20 კაცი: მისი მშობლიური ახატნიდან — 5, ბიწმენდიდან — 6, წინამძღვრიანთკარიდან — 3, ზაქრიდან — 4, გალავნიდან — 2. როგორც „დამსახურებულ „კომუნისტს", „წითელრაზმელს" და „სრულ პარტიზანს" — დაენიშნა პერსონალური პენსია 250 მანეთის განაკვეთით. მერე, სხვადასხვა დროს მუშაობდა დუშეთის მაზრის სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორად, მუხრანის რაიონის რევკომის თავმჯდომარედ, თბილისის ღვინის საწყობის დირექტორად[49]. და ისევ ყველგან, ყოველ გზაჯვარედინზე, ყოველ სუფრაზე და სალაფავზე, დადგებოდა და იძახდა ბერბიჭაშვილი: „აი, ამ მარჯვენით ჩავაძაღლე ილია ჭავჭავაძე მე, ბერბიჭაშვილმა, წითელმა რაზმელმა, მებრძოლმა რევოლუციონერმა და პარტიულმა!"[50]

და ასე გრძელდებოდა მთელი 20 წელიწადი; თითქოს არავინ ჰხედავდა, თითქოს არავის ესმოდა...

ასე გრძელდებოდა უ-ილია-ო საქართველოში...

ერთხელ ცნობილ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან, იოსებ იმედაშვილთან შევიდა სახლში ეს თვითაღიარებული და ყველა მთავრობისგან ნებადართული ბოროტმოქმედი. სადღაციდან

შეეტყო, რომ იმედაშვილი პერსონალური პენსიების კომიტეტის მდივნად მუშაობდა მაშინ, და ამიტომ მისულიყო მასთან. მივიდა და მიახალა უტიფრად: იმედაშვილო, აბიდაში ვარ, ჩემ დამსახურებებს რომ არაფრად აგდებენ, ზოგზოგები კი იმოდენა პენსიებს ღებულობენ, და ახლა შენ უნდა დამეხმარო მე!.. რა დამსახურებები გაქვსო, — ჰკითხა იმედაშვილმა. — როგორ თუ რა დამსახურება, ნუთუ შენ არ იცი, რომ მე მოვკალი ილია ჭავჭავაძე?.. გაშრა იმედაშვილი, თავი სიმზარში ეგონა, ხოლო როცა ენა დაიბრუნა, ჰკითხა — ვინ ხარ, რა გვარისა და სახელისაო? — გიგლა ბერბიჭაშვილი გახლავარ; აი, ამ ხელით ვესროლე ბერდანკა ილია ჭავჭავაძესო, — იყვირა ილიას მკვლელმა მანამდეც მრავალგზის ნაყვირალი. ისევ შეამცივნა იოსებ იმედაშვილს. „სანამდე მიველით, — ქართველი კაცი ილიას მოკვლას იკვეხნის და თან ჯილდოებსაც მოითხოვს“, — ფიქრობდა იგი მწარედ. „იმედაშვილო, ძვირფასო კაცო, წამომყევიო“, — გამოაფხიზლა იგი მკვლელის ხმამ. — მე ეს არ შემიძლიაო, — უთხრა ბოლოს იოსებმა. — მაშ, ის მაინც მითხარი, ვის მივაკითხოო, — არ ეშვებოდა ბერბიჭაშვილი. — შალვა ელიავასთან მიდი და თუ ის მისწერს კომისარს, ეგ საქმე გაკეთდებაო (შალვა ელიავა მაშინ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე იყო). ბერბიჭაშვილი წავიდა. ერთი დღის შემდეგ, იოსებ იმედაშვილთან, ახლა სამსახურში, პენსიების განყოფილებაში შეევარდა გაცხარებული ბოროტმოქმედი. — ეს ვისთან გამგზავნე, იმედაშვილო, — ღრიალებდა იგი — მაგ შენს ელიავას იმ მეორე ფეხსაც მოვგლეჯავ (ელიავა ცალი ფეხით კოჭლობდა). შენ მე უარი მითხრა! ამას ასე არ დავტოვებ! თქვენ ცნობა მომეცით და მე გყავს კაცი, ვისაც უნდა მივმართო!

თურმე, ელიავასთან მართლა შესულა ბერბიჭაშვილი და პირდაპირ უთქვამს: „ამხანაგო ელიავა, აბიდაში ვარ და გაეცი ბრძანება, პენსია მომიმატონ, მე ხომ ილია ჭავჭავაძე მოვკალი!“ ილია მოვკალიო?! მერე, ვინ დაგავალა შენ მისი მოკვლაო, — და შიგ სახეში უთხლეშია მუშტი ელიავას ილიას მკვლელისთვის.

გაურტყამს და ამით გათავებულა მაშინ ყველაფერი[51].

ახლა ბერბიჭაშვილი იმ კაცთან მიდიოდა, რომელიც „შას ჰყავდა“... და მივიდა იმ კაცთან.

„ის კაცი“ კი ფილიპე მახარაძე იყო — მაშინ უკვე საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ) თავმჯდო-

მარე და ყველაფერი „გაუხაზირა“ ფილიპემ გიგლას, — როგორც, თურმე, აქამდეც „უხაზირებდა“ ყოველთვის.

და კვლავ ვიდოდნენ წლები ასე „ხაზირობით“, უ-ილია-ო საქართველოში.

ფილიპე მახარაძე ილიას მკვლელს მფარველობდა, ილიას მოყვარეებს და დამფასებლებს კი საციხოდ და სასიკვდილოდ არ ინდობდა. აი, მისი წერილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ტიტულიან ფურცელზე დაწერილი, 1941 წლის 30 აპრილით დათარიღებული, მიწერილი თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, დავით ყიფშიძისადმი: „ფრიად საიდუმლოდ, პატივცემულო ამხანაგო დავით! საჭიროდ მიმაჩნია ერთ გარემოებაზე მოგწეროთ. ეს მოწერილობა არ არის ოფიციალური ხასიათის. ხოლო თუ საჭირო იქნება, ოფიციალურადაც მოგწერთ. საქმე შემდეგშია:

თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტში ერთერთი პროფესორის თუ დეკანის მხრით ადგილი აქვს დაუშვებელ საქციელს სტუდენტებისა თუ ასპირანტების მიმართ: ყვირილს, უხეში სიტყვების ხმარებას, პირდაპირ შეურაცხმყოფელ საქციელს. ასეთი რამ შეუძლებელია საბჭოთა დაწესებულებაში, მით უფრო მეცნიერულ ტაძარში, მით უფრო დაუშვებელი და აღმაშფოთებელია ასეთი საქციელი პროფესორის და დეკანის მხრით და თუ ვინმე საბჭოთა ქვეყანაში, ამ შემთხვევაში მეცნიერების ტაძარში პროფესორის ჯურჭში გახვეული ამას ჩადის, იგი უთუოდ სხვა დროის და სხვა წესწყობილების ნაშთია და ჩვენ საბჭოთა წყობილებასთან არა აქვს რა საერთო. ჩვენ არ გვაქვს უფლება ნება მივსცეთ მათ განაგრძონ ამ ძველი წესწყობილების ჩვევების პრაქტიკა.

შეიძლება თქვენ მიხვდით კიდეც, თუ ვისზეა აქ ლაპარაკი. ეს არის უნივერსიტეტის ერთერთი დეკანი — მოქ. ზანდუკელი.

მე დარწმუნებული იმაში, რომ თქვენ მიიღებთ უხეშ, დაუშვებელ, ბიუროკრატიულ ჩვევების აღმოსაფხვრელად სათანადო ზომებს.

თქვენი პატივისმცემელი ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე“.

ეს არაფერი, რომ საქართველოს პრეზიდენტი უბრალოდ ქართული წერა-კითხვის ნორმებს ვერ იცავდა, ან „პროფესორს“ და „დეკანს“ ერთმანეთის გვერდით უადგილოდ და უხერხულად ხმა-

რობდა, — აიღეს და უნივერსიტეტის ერთი თვალსაჩინო, პროგრესულად მოაზროვნე პროფესორი, მიხეილ ზანდუკელი „აიყვანეს“ და „წაიყვანეს“, — რისთვის? „ყვირილისათვის, უხეშობისათვის, სხვა წესწყობილების ნაშთობისათვის“?! სინამდვილეში მიხეილ ზანდუკელის „ყვირილიც“ და „შეუფერებელი საქციელიც“ იყო მხოლოდ უსაზღვრო სიყვარული და პატიოსანი მეცნიერული კვლევა ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედებისა.

ასე იყო, რაკიღა ილია საფლავში იწვა და... „მკვდარი არ იკბინებოდა“...

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აუტანელი შეიქნა, რომ ილიას საქართველოში, მთელი 35 წელიწადი, ილია მიწაში იდო, ხოლო მისი მკვლელები კვლავ ქართულ მიწაზე, ილიას მიწაზე, ცოცხალნი დააბიჯებდნენ.

1941 წლის დეკემბერში გიგლა ბერბიჭაშვილი სამართალში მისცეს. ხელახლა გადმოიღეს ილიას მკვლელობის მასალები, მეფის დროინდელი სასამართლოს ნასამართლევი მემკვიდრეობა, ხელახლად დაიკითხნენ ცოცხლად შემორჩენილი მოწმენი, კვლავ ამოტივტივდნენ მკვლელები, მკვლელობის წამქეზებლები და ორგანიზატორები.

და ამათ შორის — ფილიპე მახარაძე.

ფილიპეს გული გაუსკდა. მოკვდა კაცი — ქართველი კაცი, რომელმაც ისე ეცხოვრა და ქართველი ხალხისთვისაც ისე „ეხელმძღვანა“ და „ებელადა“, „ვეფხისტყაოსანიც“ რომ ერთხელაც რიგიანათ ვერ წაეკითხა და მისი ღვთაებრივი სითბოთი ერთხელაც გული ვერ გაეთბო. ქართველი კაცი, — რომელიც ქართველი ხალხის სამტროდ ასეთ საოცარ მკრეხელობასაც ბედავდა: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნეჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“[52].

მოკვდა და დახეთ მაშინდელი საქართველოს მესვეურთა გასაოცარ მკრეხელობას (უვიცობას?! ბედოვლათობას?! ცინიზმს?!): ილიას მკვლელი მთაწმინდაზე, ილიას გვერდით დაასაფლავეს!!!

და მას შემდეგ ითმენს ამას ილიაც, მისი „კარგი ქვეყანაც“, მისი „კარგი ხალხიც“...

გიგლა ბერბიჭაშვილს დახვრეტა მიესაჯა. მაგრამ ომში მომსა-

ხურე შვილის ხათრით, დახვრეტა ათი წლის პატიმრობით შეუცვალეს. პატიმრობაშივე მოკვდა.

კვლავ გამოხდა ხანი. ილიას მკვლელობიდან გავიდა 80 წელიწადი და საქართველოში ახალი, საბოლოოდ სარწმუნო ცნობა გამოჩნდა ილიას მკვლელობის ორგანიზაციის შესახებ. ეს არის აღსარება ქაქუცა ჩოლოყაშვილის ახლო თანამებრძოლის, „შეფიცულობა“ უკანასკნელი წარმომადგენლის, ალექსანდრე სულხანიშვილისა.

და მოგვითხრობს ალექსანდრე სულხანიშვილი, უბრალოდ, შეულამაზებლად, სიკვდილის კართან მწოლარე ქრისტიანი ქართველი კაცის სიწრფოებით:

„აი, დადგა დრო, თუმცა გვიან, მაგრამ ეხლა მაინც უნდა გაიგოს ქართველმა ერმა, და ნამეტნავად მომავალმა თაობამ — ვინ იყვნენ ილიას მკვლელები და რათ მოჰკლეს. ჩვენი ბრძოლების დროს, 1923 წელს, ზაფხულში, ხელში ჩაგვივარდა ილიას ფიზიკური მკვლელი ბერბიჭაშვილი. შეფიცულები ზიზღით უყურებდნენ და გაგლეჯა უნდოდათ მისი, მაგრამ ქაქუცამ იპატია და დაჰკითხა. თითქმის ყველა კითხვაზე პასუხს იძლეოდა და ძლიერ შეშინებული იყო. დიდი დაკითხვის შემდეგ ქაქუცამ გაანთავისუფლა, იმ მოსაზრებით, თუ გავიმარჯვებდით საჯაროდ გველაპარაკებინა. ბევრი გავიგეთ მისგან, პატარა ჯგუფის გვარები, რომლებმაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს ილიას. აი, ვინ იყვნენ იმ ვერაგული ჯგუფის წევრები: თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, ი(სიდორე) ჯიბლაძე, ისი(დორე) რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ნ(ოე) ხომერიკი და პ(ეტრე) გელეიშვილი. ნოე ჟორდანიაც იყო მიწვეული ამ უდიერ კრებაზე, მაგრამ როდესაც გაიგო რის შესახებ იყო ის კრება, სთქვა, მე ხელები დამებანიაო ამ საქმეშიო და წავიდა. ჟორდანია წავიდა, მაგრამ არაფერი გააკეთა რომ შეეჩერებინა ეს უდიერობა. ვერც გასცა პარტიული ამხანაგები, ალბათ იცოდა, რომ გაეცა, ვასაც მოკლავდნენ...“[53]

მაშ, ასე გაირკვა საბოლოოდ ის, რაიც ქართველი ხალხისთვის თავიდანვე სარწმუნოდ იყო გარკვეული.

არასოდეს ისე ერთიანი და ერთნაირნი, ერთსულოვნად მტკიცენი და თანმიმდევრულნი არ ყოფილან „მესამე დასელები“, როგორც ილიას მკვლელობაში. ჯერ მათთვის არ არსებობდა უკვე საერთოდ არსებული „ბოლშევიკი“ და „მენშევიკი“. ისინი მაშინ ერ-

თად იყვნენ — ილიას მკვლელობას სჭირდებოდა მათი ერთიანობა — შემდგომში ქართული ბოლშევიზმისა და მენშევიზმის „კლასიკოსების“, მახარაძისა და ჟორდანიას ერთიანობა. აქ არაფერს ცვლის, ჟორდანიამ რომ ხელები დაიბანა: კაიაფა სოფერიმიც და პილატე პროკურატორიც ერთნაირი მკვლელები იყვნენ ქრისტესი. მით უფრო, რომ ჟორდანიამ, მაშინდელმა პილატემ, მალე, ილიას დაკრძალვიდან სწორედ ერთი თვის თავზე, სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში — „ჩვენი გზა“ — ასეთი წერილი გამოაქვეყნა:

„როგორც ჰხედავთ, მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ვთქვათ: ყველა ეს მართალია, ვთქვათ სოციალ-დემოკრატების მიერ მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისათვის დასაგმობია თვით ნიადაგი?.. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუაგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება იქ ნაფოტებიც ცვივა? დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე, მარა ამიტომ რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა“[54].

გულწრფელად იყო ნათქვამი: ილია ჩვენ მოვკალითო, ხეს (იგულისხმე ძველი საქართველო!) ვჭრით და ნაფოტები (იგულისხმე ილია ჭავჭავაძე!) ცვივაო და ვინც მათ მისტირის (იგულისხმე ქართველი ერი!), რეაქციონერებიაო.

მაგრად იყო ნათქვამი: უარესად, მკვლელობის მთავარი ორგანიზატორი, ფილიპე მახარაძეც ვერ იტყოდა, თუმცაღა თვითონაც ხომ გულწრფელად ამბობდა ფილიპე: „ილია ყველა პატიოსან ადამიანში ზიზღს იწვევს... ჩვენი და თ-დ ილია ჭავჭავაძის შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია“[55].

მაშ, ერთად იყო სიკვდილის ორიენ კლასიკოსი — კაიაფა და პილატე.

კიდევ ერთი უცნაური მთლიანობა გამოიკვეთა იმ საბედისწერო 1907 წელს — მთლიანობა და „ერთობილობა“ საქართველოსი: ილია ჭავჭავაძე ორივე საქართველომ მოჰკლა — დასავლეთმა დ ა ა დ გ ი ნ ა და აღმოსავლეთმა ა ღ ა ს რ უ ლ ა.

უცნაურობა უყვარს საქართველოს...

უცნაურობა მისი ბუნებაა.

1810 წელს რუსეთის მთავრობამ მთელს საქართველოში, ვერც დასავლეთში და ვერც აღმოსავლეთში, ვერაფერ ფულად და ვე-

რაფერ ძღვენად, ერთი ქართველი მკვლელი ვერ იპოვნა იმერეთის გაკოტრებული მეფის მოსაკლავად. ახლა კი „ახალთაობას“ რა სიმაღლეზე აუყვანია საქართველოს „ახალი ისტორია“: მკვლელი ილიას მკვლელობისთვის რამდენიც გინდა! გინდა აღმოსავლეთ საქართველოში, გინდა დასავლეთში!

რა გაეწყობა: დიდმა ბერძნებმა ხომ გაიმეტეს სასიკვდილოდ თავისი გენიალური სოკრატე; ასევე — ებრაელებმა ქრისტე; არაბებიც ხომ დაედევნენ სასიკვდილოდ თავის მუჰამედს, მხოლოდ ეგ იყო, რომ ვერ დაეწივნენ... ქართველები კი დაეწივნენ თავის ილიას, თავის ბებერ მამას... ფეხმარდი, მსუბუქი და „ჰაეროვანი“ ქართველები...

მთავარი ილიაზე ხელის აღმართვა იყო — ილიას მოსაკლავად გამეტება; ამის გაბედვა!

და რაკი ილიას მოკვლა გაბედეს, ამის შემდგომ კაცის სიცოცხლე გაიაფდება და სიკვდილი გაადვილდება. სიკვდილი ამიერიდან ხრიალხრიალით წავა საქართველოში, — ისე, ვითარცა რუსულად, ვნებიანად — „В расход“!

წიწამურის მკვლელებზე უფრო ძლიერი მკვლელებიც მოვლენ „ორივე საქართველოში“, აღმოსავლეთში და დასავლეთში — შუაგადატეხილ სარკესავით საქართველოში...

კარი მეორე



წმინდანის ჯაჭვის შეშლგომ

1. ჰეროსტატე და ძმანი მისნი

საქართველოში, — ეგზომ მცირე ქვეყანაში, ეგზომ დიდგონებოვანი და დიდთვალებიანი ხალხი რომ ცხოვრობს — საიდუმლოს რა დამალავდა?!

ყველაფერი აშკარა იყო; საიდუმლო რომ ეგონათ — ისიც. შენიღბვის უნარიც არა აქვთ ქართველებს. ვითომ რომ ინიღბებიან ერთმანეთს რომ ენიღბებიან!), მაშინც ფრიად „გამჭვირვალენი“ არიან.

ახლა ეს „გამჭვირვალე ნიღბებიც“ აღარ სჭირდებოდათ, ისე ბოქმედებდნენ — აშკარად, გაბედულად, დაურიდებლად.

გამარჯვებულმა მესამე დასელებმა „იდეოლოგიური ფრონტები“ გაინაწილეს და შეტევაზე გადავიდნენ. ნოე ჟორდანია საერთოდ ქართულ „ავტონომიზმს“, „ნაციონალიზმსა“ და „შოვინიზმს“ უტევდა, ფილიპე მახარაძე და პეტრე გელეიშვილი კი — ისევ. ილიას.

ილიას სიკვდილმა ვერ დაასვენა მისი მკვლელები. მკვდარი მიწაში იწვა, მაგრამ ყველაფერი რაც ილიას სახელით შაინც ამ ქვეყნად დარჩენილიყო, რასაც ილიას მემკვიდრეობა ერქვა — იგი,

არამც თუ მომკვდარიყო, არამედ ისე ცხოველმყოფლად ამაღლებულიყო, გამძლავრებულიყო და განვრცობილიყო, ვითარცა ქრისტე ვნებით და ჯვარცმით აღსრულების შემდეგ.

ილიას საფლავიც პალადიუმად ედგა საქართველოს.

მაგრამ მაინც მთელის ძალისხმევით და ძალისნთხევით ებრძოდნენ იმ პალადიუმს მახარაძე და გელეიშვილი. მერე მათ სხვებიც შემოუერთდებიან „ახალ ძალად"; მიეტმასნებიან უკვე დეზებით ძალმორჩმულ მამალს.

ყველას ერთად ნიჩი ღარიბად მოეძევებოდათ, მაგრამ სამაგიეროდ უხვად ჰქონდათ ბოღმა, ცოფი და სიძულვილი.

ილიას პოლიტიკური რწმენის სიმბოლო ხომ მოხევე ლელთ ღუნიას ნათქვამი იყო: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო". პეტრე გელეიშვილი კი მძულვარებით ამბობდა: ილიას „მოხევე ნამდვილი ყაჩაღური იდეალების მატარებელიაო"[1]. მაშასადამე, „ყარიბისათვის" (პ. გელეიშვილის ფსევდონიმია) ეროვნულ თავისუფლებაზე ოცნება და ყაჩაღური იდეალი ერთი და იგივეა!

ილიას მკვლელობის მომდევნო წელს გრიგოლ რობაქიძემ ლექცია წაიკითხა და ილიას მკვლელობა ერის ზნეობრივი გახრწნილების ნიშნად გამოაცხადა და მაშინვე, ილიას სახელის ხელახალი ხსენებით ნერვებაშლილმა „ყარიბმა" იყვირა: რობაქიძე უბრალოდ ბუშტია, ქართული საზოგადოების გახრწნილ მძორზე წამოსკუპებულიო[2]. მაგრამ გელეიშვილის ყველაზე „ბრძნული აფორიზმი" მაინც ეს იყო: საქართველო თავიდანვე, ისტორიულადაც, „ბიოლოგიურად განუვითარებელი ორგანიზმიაო"[3].

ასეთები იყვნენ ფილიპეც, პეტრეც, მალაქიაც, გიორგიც და ძმანი მათნი — „ფილიპელნი". დანტეს რომ ამათი სახელები და საქმენი სცოდნოდა, ყველას თავისი „მეცხრე წრის" ფსკერზე მოექცევდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, „მებრძოლ ათეისტ" მახარაძეს არც ჯოჯოხეთი სწამდა, არც სამოთხე, არც „შორეული დანტეს" ჯავრი აწუხებდა, მაგრამ სამაგიეროდ „მშობლიური რუსთაველი", ილიასთან ერთად, სწორედ „მაღალ დონეზე" გაეცამტვერებია. აბა, ყური დავუგდოთ:

„ვეფხის-ტყაოსანში" თქვენ ვერ ხედავთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას; ის ზღაპრული პოემაა, აღმოსავლურ კილოზე, სადაც გაღმერთებულია მონური წეს-წყობილება და მონური ცხოვრება. ამ-

ნაირი შინაარსის პოემამ შეიძლება მოიპოვოს მრავალი მკითხველი, რომელიც უსაქმოდ და უდარდელად ატარებს დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს[4].

აი, როგორი იყო ლიტერატურული აზროვნების და საერთოდ აზროვნების „დონე“ ცოცხალი თუ მკვდარი ილია ჭავჭავაძის პტრობით ნერწყვმორეულთა „დასის“ მთავარი „იდეოლოგისა“.

ყოველ კაცთაგანს თავისი სოციალური წრის სუნი ასდის. ფილიპე ღარიბი გლეხის შვილი იყო, თავისი ღარიბული წარმომავლობით თავი მოჰქონდა და განსაკუთრებული მძულვარებით სძულდა თავად-აზნაურობა. განსაკუთრებით კი — ილიას გამო სძულდა.

და მძულვარებით უშენდნენ ისრებს ილიას, მკვდარსაც უშენდნენ, და ვერ გრძნობდნენ, რომ ეს იყო ისრის სროლა კუნაპეტ ღამეში. ვერ გრძნობდნენ, რომ მათი „გრძნეული სიტყვები“ უნდილი გონების საშოშივე იღუპებოდნენ და სახელითაც ისტორიაში, ჰეროსტრატეს სახელთან მიმთხვევის გარდა, ვერარას მოიხვეჭდნენ.

ანალოგიურს იტყვის გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ფილიპე გოგიჩაიშვილი: „ფ. მახარაძე — ეს უკვდავი ჰეროსტრატე საქართველოსი, კიდევა „სწერს“ და „კამათობს“. ალბათ ეშინიან, შთამომავლობამ არ დამივიწყოსო. და ჩვენ არა თუ იძულებულნი, ვალდებულნიც ვართ ამ ბედკრულ ჰეროსტრატეს შიში გაეუქარვოთ და გამეორებით განვუმარტოთ, რომ იგი უკვდავია, რომ მისი სახელი არ მოკვდება და არ გაჰქრება საქართველოს ისტორიაში, — არ წარიხოცება, ვიდრე ცოცხალი იქნება ქართველი ერი და, მაშასადამე, ვიდრე დავიწყებას არ მიეცემა თვით დიდი ილიას სახელი... მახარაძე, ეს თავზე ხელაღებული ვაჟბატონი ბედავს აუარებელი სიბინძურე გადმოგვანთხიოს — და იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ — „მამულიშვილებმა“ — ილია ვერ დავიცავით მახარაძის ბოროტებისაგან. წარმოიდგინეთ სასამართლოში კაცის მკვლელი ყაჩაღი, რომელიც მოსამართლეებს ეუბნება: „თქვენ, სულით და ხორცით უბადრუკნო!.. მე კაცი მოვკალი და თქვენ მას ამართლებთ?..“ აი, სწორედ ასეთი ჯურის ავაზაკი მოგვივლინა განგებამ ფ. მახარაძის სახით... ეს მიწის დამამძიმებელი ჰეროსტრატე“...[5]

პარალელურად, ნოე ჟორდანია თავგამოდებით ამტკიცებდა: „არცერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორათაც ქართველ ხალხს“[6]. ამას ამბობდა, „ქართველი

ხალხის“ ქვეშ მხოლოდ „მშრომელ ადამიანებს“ გულისხმობდა და ვერ კი გრძნობდა, რა შეურაცხყოფას აყენებდა მის „სათაყვანო პროლეტარიატს“. მას კვლავ ვერ შეეგნო, რომ ნაციონალური ინტერესებისა და გრძნობებისაგან დასაჭურისებული ხალხი სწორედ ვეღარც „ხალხად“ ჩაითვლება და ვეღარც „ჯოგად“.

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდაო, — განაგრძობს ჟორდანია — მართალია, ნაციონალური მოძრაობაც არა ერთხელ მოხდა, მაგრამ ეს იყო არა ხალხის, არამედ მხოლოდ თავად-აზნაურობის ან ინტელიგენციის მოძრაობაო[7].

ქართული ნაციონალიზმი მხოლოდ „დაცემული ფეოდალებისგან“ მომდინარეობს და მხოლოდ წარსულის ქებაზეა დამყარებულიო. ამიტომ — რაკი ნაციონალიზმი „არახალხურია“ და მხოლოდ თავად-აზნაურობის იდეოლოგიაა — იგი საქართველოს წარსულთან ერთად დასაღუპავადაა განწირული[8].

ასეთი იყო მისი „ურყევი“ შეფასება საქართველოს ისტორიისა და ქართველი ხალხის ბუნებისა. და ყველანი ასე „ასაბუთებდნენ“ მისი „წრისანი“ თუ „გარე-წრისანი“. ყველა მათგანს ყველაფერი შეეძულებინა, რაც კი ილიას შეეყვარებინა — ყველაფერი, რაც კი „ნაციონალურისა“ და „მშობლიურის“ ფარგლებში მოთავსდებოდა. მათ სულში ტაბუ დაედო და დაკუბოვდა ყოველივე ილიასეული.

სრული ეროვნული ნიჰილიზმი, — აი, სულიერი სახე მაშინდელი ქართული სოციალ-დემოკრატიისა. საეჭვო იყო, სადმე დედამიწაზე კიდევ მოძებნილიყო ამნაირად უარმყოფელნი („უარმყოფელნი“ — ესეც ილიას სიტყვაა „მათდამი“) საკუთარი ეროვნულობისა, ეროვნული დამოუკიდებლობისა, ნაციონალური თვითმყოფობისა. ნაციონალური ქართული მოვლენა, სულ ერთია ავი თუ კარგი, ზიზღს იწვევდა მათში. თითქოს სარწმუნოდ უნდა მიიჩნიოს ადამიანმა: თვით მარქსიზმ-ლენინიზმიც, — რომელსაც ახლა ისინი საკუთარ ერსაც და სიცოცხლესაც სწირავდნენ — გენეტიკურად რომ ქართული მოვლენა ყოფილიყო, უეჭველად ცხვირს აუბზუებდნენ და ახლოსაც არ გაიკარებდნენ. მთავარი იყო, უცხო რომ იყო, არაქართული, „არანაციონალისტური“.

2. სიტყვა „ნიშადურისა“

მაინც იბრძოდნენ ილიას ჰირისუფლები — აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი, ვალერიან გუნია, — იბრძოდნენ სიტყვით, თუნდაც „ლიტერატურული ნაციონალიზმით“ (ამ ფორმულით იკბინებოდა ნოე ჟორდანია).

ვალერიან გუნიამ თავის ჟურნალ „ნიშადურში“, 1908 წლის 10 აპრილს, დაბეჭდა წერილი — „პოეტის მკვლელები“, „ქართველს“ ხელმოწერით. წერილში ნათქვამი იყო:

„...მართლაც ვის უნდა მოეკლა ერის დიდება, სახელოვანი ადამიანი? უბრალო ქურდებს, ყაჩაღ-ავაზაკებს? არა! ჩვენებური ავაზაკები არ კლავენ კაცებს, მეტადრე მოხუცებულთ და დედაკაცებს; იმათ გულში კიდევ საკმაოდ ჰფეთქს კაცობრიული ნაპერწკალი. ყაჩაღ ავაზაკებს ჰშიათ და ამიტომ თუ სძარცვავენ მგზავრთ. კაცს კი იშვიათად ჰკლავენ!

ავაზაკები ჰკლავენ მარტო პირად მტრებს და იარაღით მოსეულთ... ქართველი ავაზაკები არ ასახიჩრებენ თოფის კონდახებით მოხუცებულ ქალებს, როგორც ეს დამართეს ილიას მკვლელებმა მის მოხუცებულ მეუღლეს.

არა, ილიას მკვლელები არ არიან უბრალო ავაზაკები!..

მაშ, ვინ არიან ილიას მკვლელები? ე. წ. „ხულიგნები“? შეუძლებელია. ილია არ იყო რომელიმე მებრძოლი პარტიის წევრი და ბელადი; ის არ იღებდა მონაწილეობას პროპაგანდა-აგიტაციაში, იგი არ იდგა რევოლუციის ქარტეხილში წითელის დროშით ხელში; მან სანაქებოდ აასრულა თავისი დიადი როლი: 50 წლის განმავლობაში იგი დაუღალავად და თავდადებით ემსახურებოდა თავის ბედკრულ სამშობლოს და ქართველების გათვითცნობიერებას. ახლა კი 70 წლის მხცოვანი და ღვაწლმოსილი, იგი სამართლიანად ეძებდა მყუდრო ცხოვრებას თავის მყუდროვე სავანეში, მაგრამ ველურების ტყვიამ ბოლო მოუღო ქვეყნისთვის გატანჯულს და მისუსტებულ გულის ძგერას.

არა, ილიას არ მოკლავდნენ „ხულიგნები“!

იქნებ პირადი მტრები ყავდა ილიას? არც ესაა მართალი. ილიას არასოდეს არ ყოლია პირადი მტრები, გარდა იდეური მტრებისა — მოწინააღმდეგეთა. ხოლო ილიას მტრები და მკვლელები უსიკვდი-

ლოდ უნდა ყოფილიყვნენ და არიან კიდეც საქართველოს ორგულები და მტრები!.. იქნებ რომელიმე პოლიტიკური პარტია მტრობდა ილიას? შესაძლებელია, მაგრამ რამდენადაც ვიცით პარტიები, როგორც მაგალითად ქართველი ესერები, ანარქისტები, ესფერები, ნაციონალისტები და ავტონომისტები განუსაზღვრელ პატივსა სცემდნენ მხცოვან მგოსანს და ქვეყნის პროგრესულ მუშაკს, მოჭირნახულეს, რაც აშკარად დამტკიცდა საერთო გლოვა-ზარის დროსა და იმ დრომდე საქართველოში არ ნახული, დიდებული პოეტის დაკრძალვის დროს...

მაშ, ვინ არიან ილიას მკვლელები? სად, რომელ პიროვნებაში, ან რომელ პარტიაში იმალება კაენის სახე?!

მრავალტანჯულ საქართველოს კიდევ ამ 15 წლის წინათ მოევლინა ერთი საშინელი სენი: აღვირახსნილი და ზნეგახრწნილ არსებათა ბრბო, რომელიც სოციალიზმის ნიღაბს ატარებს, მაგრამ ფიქრობს მხოლოდ თავის კუჭსა და „არსების პურზე". ამ უგუნურთა და ფანატიკოსთა ბრბომ, თავიანთ დემაგოგ-ბელადების ჩაგონებით იმთავითვე უარყო ქართველთა ეროვნება, დაგმო ქართული ენა და წარსული, დაგმო ქართველი ერი და მისი თავისუფალი მართვა-გამგეობა და გადიქცა სხვა ერის სოციალ-შოვინისტთა ლაქიებათ და ცენტრალიზმის სახელით ახალი მონობის მღაღადებლად.

ამ ბრბომ თავი აღიარა „მუშათა პარტიათ", გააღო ფართოთ თავისი სამიკიტნოს კარები, დაატრიალა არდანი და შერეკა თავის დუქანში პარტიის წევრებად კაცის მკვლელები, ჯიბგირები, მძარცველები, ქუჩის ბიჭები და სხვა ყოველგვარი ნაძირალები. ამ უბადრუკმა ბრბომ თავისი უნამუსო დამქაშებით დაიპყრო, დაბეგრა და დააფრთხო ისედაც დამფრთხალი ქართველი ხალხი, დააარსა სოფლად და ქალაქად კომიტეტები, გაავსო ქვეყანა თავხედ და უმეცარ აგენტებით და პარტიის სახელით ჩაიდინა საქართველოში აუარებელი საზიზღარი ბოროტებანი, რომელთა აღწერას არ ეყოფა მთელი შრავალფურცლიანი წიგნები და რომლებიც აშკარავდება თანდათან და დღითი დღე.

აი, ამ ქართველი ეროვნების უარმყოფელმა ბრბომ იმ თავითვე შეიძულა საქართველოს მოამაგენი, წრფელი მოღვაწენი, უანგარო მუშაკნი და მათ შორის ყველაზე მეტად და უდიერად — ილია ჭავჭავაძე, რომელსაც გაუმართა გაზეთ „კვალსა" და „მოგზაურში"

შეცვალა ყალთაბანდური პოლემიკა და რომლის შესახებ მოჰფინა ხალხში საზიზღარი ჭორები და ცილისწამებანი.

ამ დაბრმავებულმა ბრბომ დასწვა მახათას ველზე ილიას უკვდავი ნაწერები. ამ ბრბომ დახია და დაგლიჯა ხალხის წინაშე ილიას სურათი. ამ ბრბომ შეაძულა ქართველ გლეხობას მისთვის თავდადებული ადამიანი, მისი ჭირ-ვარამის აღმნუსხველი მგოსანი, მისი ნოამაგე და გულ-შემატკივარი... და სწორედ აი, აქ იბადება უნებლიე კითხვა: ეს წარმოუდგენელი საზიზღრობა ხომ არ ჩაიდინეს ამ ბრბოს უვიც აგენტებმა?! იმათ ხომ არ მოკლეს ილია ჭავჭავაძე? ეს საშინელი ეჭვი, ეს ზარდამცემი აზრი ცხოვლად წარმოუდგა ყველა ქართველს განსაკუთრებით „ისრის“ წაკითხვის შემდეგ.

— „ჩვენ მოვკალით ილია ჭავჭავაძე კომიტეტის განკარგულებითო“, — ეუბნება ბოქაულს გიორგი ხიზანიშვილი; — „ილია მოკლეს ინაშვილმა, ბერბიჭაშვილმა, ფშავლიშვილმა და ერთმა იმერელმაო“, — ამბობს იგივე.

ნეტავ ვინაა ეს „კომიტეტი“, რომლის განკარგულებით მოქმედებდნენ ეს ცოფიანი ნადირები? ნეტა რომელი პარტიის კომიტეტი მოქმედებდა დუშეთ-საგურამოს რაიონში?!

მკვლელებს ისიც კი უკვირდათ, თურმე, რომ მათ წყევლა-კრულვით იხსენიებდა ქართველი ხალხი და ჟურნალ-გაზეთობა; მათ ეგონათ, რომ ილიას სიკვდილით სასახელო საქმე ჩაიდინეს, იხსნეს ქვეყანა მტარვალისაგან, ნამდვილად კი მკვლელები საუკუნოდ დაგმო ქართველმა ერმა.

ადვილი მისახვედრია თუ ვინ ყოფილან ილიას მკვლელები. ესენი იყვნენ ბრმა იარაღნი იმ ნამდვილ მკვლელთა, რომელნიც თვალთმაქცურად, პარტიას და კომიტეტის ფარდას ეფარებიან.

ახლა ვიკითხოთ, ნეტა ვინაა ეს სამშობლოს უარმყოფელნი, ქვეყნის ორგულნი და ქართველ მოღვაწეთა ჩამქოლავი მკვლელნი, ხალხის იარა და მძარცველი ბრბო? პასუხი არაა საჭირო, ყველამ ვიცით ვინც ბრძანდებიან ეს რაინდები...

ვიკითხოთ ახლა, ვინ არ მიიღო მონაწილეობა ილიას დაკრძალეაზე? ვისი კომიტეტი გადგა განზე? ვინ აუკრძალა გლეხებს და მუშებს ილიას დაკრძალვაზე დასწრება? ვინ არა სცა პატივი ფეხზე წამოდგომით ილიას ხსოვნას და არ მოისურვა სამძიმრის დეპეშის გამოგზავნა პეტერბურგიდან? ვინ აღიარა გაზეთში უბრალო „ნა-

ფოტად“ ილია ჭავჭავაძე? ვინ გამოეჭომაგა ილიას მკვლელებს? რატომ? რისთვის?!

კმარა!... აქ ყველაფერი აშკარაა! აქ ყველაფერი ნათლად სჩანს, ყველაფერი ადვილად გასაგებია! (ჩვენ აქ ახალს არაფერს ვამბობთ, ყოველივე ეს უკვე გამოირკვა გაზეთებიდან).

მომწიფდა ჟამი, რომ ნიღაბი ავგლიჯოთ ხალხის ცრუ ბელადებს. დროა გაახილოს თვალი ჩვენმა ხალხმა და ახალგაზრდობამ! დროა მოიშოროს ლაჩრობის ჩადრი ჩვენმა ინტელიგენციამ დ ზოგიერთმა გაზეთმაც! დროა აღვიჭურვოთ მოქალაქეობრივის გამბედაობით! დროა ვიცნოთ მგლები ბატკნის უმანკო ქურქში გახვეულნი და შევაჩეროთ მათი წრესგადასული თარეში და ვერაგობა-ბოროტებანი!

არ გვინდა სისხლი, არ გვსურს შურის ძიება! საჭიროა გავიგოთ მხოლოდ სინამდვილე. საჭიროა მხოლოდ გაიკრას სამარცხვინო ბოძზე ილიას მკვლელნი და საქართველოს მოღალატენი. საჭიროა ისტორიამ და შთამომავლობამ ამიერიდგან სამუდამოდ გაიცნოს ქართველი ერის და ქვეყნის მტერ-მოყვარეთა ხელის სწრაფვა და განზრახვანი. აი, ეს არის საჭირო, სხვა არაფერი![9]

სულ მალე, ორი ნომრის გადანაცვლებით, „ნიშადურმა“ დაბეჭდა კარიკატურა სახელწოდებით — „ძველი ცოდვა“, სადაც სოციალ-დემოკრატიული გაზეთის, „მოგზაურის“ რედაქციაში ზის ფილიპე მახარაძე, მისგანვე შეთხზულ „ჭორებში“ ჩაფლული და ტელეფონის მავთულით ელაპარაკება საგურამოს, სადაც ტელეფონხითვე „თავის შეფს“ უსმენს მკვლელის ატრიბუტებით აღჭურვილი „ვიღაც“[10].

კიდევ რამდენიმე ნომრის შემდგომ კვლავ „ნიშადურმა“, „მონადირის“ ხელმოწერით გამოაქვეყნა ქართველ ესდეკთა (სოციალ-დემოკრატთა) დამახასიათებელი „სიბრძნეები“:

„გონიერებას დემაგოგია სჯობია, სინდისს — ხერხი.

ჰგმე სიმდიდრე, იქადაგე პროლეტარიზაცია, თვითონ კი ეცადე „თბილი ადგილის“ სორო მოძებნო და სხვის ნაოხარზე გაშენდე.

ჰკუით ღარიბი სჯობია გამდიდრებულ ბურჟუას.

•

ზურგი შეაქციე შენს ერს და სამშობლოს, თუ გინდა რომ „წმინდა წყლის სოციალისტის“ სახელი შეინარჩუნო.

ლანძღე და თათხე მოწინააღმდეგე, თუ გინდა რომ თვითონ წმინდა და უბიწო დარჩე.

ყოველივე შენი თაღლითობა სოციალიზმით ამართლე, სხვისი სიმართლე და გულწრფელობა „შავრაზმულის სულისკვეთებით“.

უზრუნველობის დროს ხალხს თავზე წამოაჯექ, ხოლო ჟამსა გასაჭირსა „დატრაკე“.

პატივით მოიხსენიე მხოლოდ ისინი, ვისიც გეშინიან და გერიდება, ხოლო შენიანებს — ნაციონალისტებს ქვა და გუნდა მიაყარე, ამას მოითხოვს „სოციალიზმი“, ყოველივე ამას გავალებს მთლიანობა „ცენტრალიზმისა“[11].

ქართველი სოციალ-დემოკრატების ასეთი განმჭიქებელი „მონადირე“ თვითონ ვალერიან გუნია იყო. მან, იგივე ხელმოწერით, მალე ისევ გამოაქვეყნა, მკაცრი პირდაპირობით: „ილია ჭავჭავაძეს წინააღუდგა ჩვენებური სიდუხჭირე, შუბლ-გაკირულ-გაქვავებული დემაგოგია... ილია ჭავჭავაძის დიდებულ ღვაწლსა და ამაგს ებრძოდნენ „ერთად ერთი“ პარტიის დემაგოგები და წითელრაზმელებმა მოჰკლეს კიდეც“.[12]...

3. სიტყვა „ალაროდიელისა“

ყველაზე ცხარე და მკაცრი სიტყვა ილიას მიმდევრებისა ჟორდანია-მახარაძის დასისადმი მაინც იყო წერილი, სახელწოდებით — „მტერნი ხართ თუ მოკეთენი?!“

წერილს ეპიგრაფად წინ უძღოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი: „ჰხედავთ, ვითარის ქადნიერებით, შეკრბების ჩვენზედ „უსჯულოება“. მერე, წერილის პირველივე სტრიქონები უკვე თვითონ ილიასი იყო:

„მართლაც და „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა საბელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიძებნება დედამიწის ზურგზედ. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის არის კავკასიის ქედს

აქედ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ“...

„ჩვენი ციცერონი მართალი იყო, როდესაც ამასა სწერდა მთელი თავისი გულწრფელობითა და მამულიშვილური გამბედაობით — განაგრძობს უკვე თავისი განსჯით წერილის ავტორი. — იგი ებრძოდა სომეხთა ინტელიგენციის იმ ერთ ჯგუფს, რომელმაც მიზნად დაისახა ჩვენი გაბიაბურება. მადლობის მაგივრად მასვე უწოდეს შოვინისტი, ერის ერზედ მიმსისიანებელი, პროვოკატორი და სხვა; მაგრამ რომ ჩვენში საზოგადოებრივი სინდისი ყოფილიყო, — მაშინ ილია ჭავჭავაძე უნდა დაჯილდოვებულიყო მისი „ქვათა-ღაღადისათვის“ ყველასაგან, — ქართველთაგან, რუსთაგან, თათართაგან და განსაკუთრებით სომეხთაგან.

მაგრამ გონებით დახშულმა, მწირმა და გაიძვერა ხალხმა ყველა ეროვნებისამ მას სწორედ ის მოახვია თავს, რასაც იგი მთელი თავისი წიგნის პირველ მეოთხედში უარ-ჰყოფდა; მას სწორედ ის შოვინისტობა შესწამეს, რომელსაც იგი ებრძოდა, სწორედ ის გესლი ჩაასხეს გულში, რომელსაც იგი სხვის გულში ეძებდა და გადმოანთხევინა კიდეც ქვეყნის თვალის წინ, — მაგრამ ადამიანის უნამუსობას თურმე საზღვარი არა ჰქონია და ილიასაც ასე გადაუხადეს სამაგიერო ჰეშმარიტების სიყვარულისთვისა და გამოქვეყნებისათვის. — ჩვეულებრივი მოვლენაა, — ასეთი წესი ბრძოლისა ყოველთვის სჯულად სწამთ უსირცხვილოსა და ილიაც ვერ ასცდა ამ სასტიკ კანონს ადამიანის სისულელისას.

მას უკან კაი ხანმა გაიარა. იმ გმირებმა, რომელთაც ი. ჭავჭავაძემ მათი საგმირო საქმეები თავზედ გადააფხრიწა, ცოტა უკლეს გმირობასა და ჩაანელეს კადნიერების ცეცხლი, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს ცეცხლი ჩვენშივე გაჩაღდა; ქართველმა მეწისქვილეებმა თავისივე წისქვილს დაუწყეს ნგრევა და ლამის არის საფუძვლიანად ამოაგდონ მიწიდან, ლამის არის მართლაც ჩვენი სახსენებელი აღგავონ დედამიწის ზურგიდან და ჩალასავით ქარს გაატანონ!

ეს მართლაც რა შავი ყორანი დაგვჩხავის თავს? ეს რომელი მტერი შემოგვსევია და აღარა ზოგავს აღარაფერს, ოღონდ კი თავისი ფანატიკოსობა ჰეშმარიტებად მოაჩვენოს მთელ ქვეყანას? ეს რა გონების დახშობაა ჩვენი, რა ღვთის წყრომა და უბედურებაა ჩვენს თავს რომ ვეღარც კი ვხედავთ კარზე მომდგარ გამძვინ-

ვარებულ მტერთა, ისეთი ფანატიკოსობით აღჭურვილო, რომ ჩვენი ძველად გამანადგურებელი სპარს-ოსმალონი არ ყოფილან ისეთი ზიზღით აღვსილნი ჩვენდამი, როგორც ესენი არიან! აქაო და ქართველები არიანო, — მიტომ უნდა გვქონდეს თვალები ახვეული? აქაოდა თავიანთ თავს სოციალისტებად ნათლავენ — იმ გულუბრყვილო და ქვეყნის მოსატყუებლად წოდებულმა სახელმა ვეღარა უნდა გაგვაბედვინოს რა მათთვის? აქაოდა „პარტია“ ამიტომ არისო, — მითომ არის ხელშეუხებელი ეს „წმინდა მოღალატეთა“ ორდენი? განა იეზუიტების ორდენი „პარტია“ არ იყო, განა ხულიგანების პარტია პარტია არ არის ამ სიტყვის ნამდვილი აზრით? — და მაშ კაცი ამ „პარტიების“ შიშით აბა ვეღარას იტყვის?! — რა არის ეს, თუ არა ჩვენი უკიდურესი შეუგნებლობა, გულცივობა, სიმხდალე და თან სქელკანიანობა!

საუკუნეთა განმავლობაში დატანჯულნი, ასის წლის განმავლობაში მოტყუებულნი და ბოლოს მთლად განადგურებულნი, — იმის ოცნებაში ვიყავით, რომ ჩვენშიაც შემოაშუქა ევროპის უდიდესი იდეალის — სოციალიზმის შუქმა-თქო; როდესაც დადგა წამი, მთელ კავკასიაში მარტო ჩვენ ვიბრძოდით, როგორც მთელი ხალხი, ნაცია, ამ იდეალის განხორციელებისათვის! ამისთვის დაგვწვეს და გაგვაუპატიურეს, — ესეც ავიტანეთ, რამდენადაც კი შეგვეძლო — გმირულად, — სხვებსავით ქალაქ-სოფლად არ დაეხეტებოდა ჩვენი ხროვები „помогите бедным грузинам“ არ იძახდნენ, — და ეხლა სწორედ ამ დიდი იდეალის სახელით, სწორედ ჩვენი, ქართველი მოციქულები გვიპირებენ მთელ ერს ჩვენი ოცდახუთ საუკუნეში დაცულ სახელის ახდასაც კი! თავისუფლებას ვიღა სჩივის, — თვით „ავტონომიის“ ღირსადაც აღარა გვთვლიან! აწმყოში ჩვენს გაბიაბურებას ვიღა სჩივა, — წარსულსაც კი ზიზღით იხსენიებენ, აწმყოში რომ თავისუფლების უღირსნი გაგვხადონ და მონობის უღელს გვიქადდენ მხოლოდ როგორც ვიღაც სხვებში არეულ ხალხს, — ამას ვიღა სჩივის, — წარსულშიაც თურმე არაფერი გვქონია, თურმე სულ სხვას შემოუტანია ჩვენში წესიერება, კულტურა, ხალხის თავისუფლების სული, მწერლობა, მოქალაქეობრივობა, — და კიდევ ვინ იცის რამდენი ოქროს გვირგვინი მოურთმევია ჩვენთვის, პირველყოფილ ბუშმენთათვის განათლებულ სკვითთა და სარმატთა თვითმპყრობელ ბიუროკრატიას!

ამას სულ ჩვენში ამბობენ ქართველები, რომელთაც, თუმცა კი სწამთ, რომ ურუსულოდ ძნელია საქართველოში ქართველის განკაცებაო, მაგრამ ამდენი ხანი რუსული ვერ უსწავლიათ და მზარეულებისა და ლაქიების ქართულის მეტი არა ენა არ ემარჯვებათ! ამას გვეუბნებიან ეს ღალატის ორგანიზატორები და ღალატში დაფნის გვირგვინებს თხოულობენ! გულუბრყვილო ხალხიც ამკობს მათ გარეცხილ შუბლებს ტრიუმფის გვირგვინითა, ვინაიდან არა ესმის რა, მას სიტყვა ატყუებს, — ტკბილი სიტყვა, — და ვერ წარმოუდგენია, თუ რა რისხვის დღე დაადგება, მართლაც რომ განხორციელდეს ეს მათი „პირველიდან ყოფილი“, ანუ უკეთ ვსთქვათ — პირველ ყოფილი ადამიანის „სიტყვა“.

ვიღაც „ან“-ები, „ა-ები“ და კიდევ ვინ იცის რამდენი წვრილფეხა მჭლაბნელი — ეს სამი წელიწადია ყვავებივით დაჰპატრონებიან საქართველოს გაოხრებულ საყდარსა და სთხრიან ძირიანად ჭის საძირკველსაც კი! რა დაგიშავათ საქართველომ, რომ სახელიც კი შეგზიზღებიათ მისი? — ის რომ ქართველმა დედ-მამამ მოგცათ სიცოცხლე, აღგზარდათ, ცხოვრებაში გამოგიყვანათ, ის რომ ქართველმა საზოგადოებამ მწვირიანი თავები დაგბანათ და დაგლეჯილი ჩოხების მაგივრად — სერთუკები ჩაგაცვათ, „გაგაინტელლიგენტათ“ თავის და საუბედუროდ? ის, რომ ახლაც აჭა ყრიხართ და ისევ ქართველი თუ, თორემ რომ გაგიჭირდეთ, არც ერთი თქვენი „პატრონი“ ლუკმასაც არ წაგიტეხთ, — და სამართლიანადაც, რადგანაც პატრონსაც კი სძულს თავისი გაიძვერა ყმა, — სულით მდაბალი, „ცრუ და ღალატიანი“?

და ერთი შეჰხედეთ ამ ბ-ნ ან-ებსა და ა-ებს, როგორი გაშმაგებული წადილით მოგვდგომიან და აღარ გვზოგავენ? ერთი ჰკითხეთ, — რა უნდათ ამ ვაჟბატონებს, რას ჩაგვაცივდნენ ამ სულ უკანასკნელად და ლამის არის ზურგზედ ბოლი აგვადინონ თავისი „ისტორიითა“ და საქართველოსთვის „კეთილის სურვილებით“? რა უნდათ ამ ვაჟბატონებს, რომელთაც ლამის არის ეზოვს, პატკანოვსა, ვოსტორგოვსა და იანოვსკის გადააჭარბონ „პატრონთა ერთგულებითა“ და ჩვენზედ ისეთ რამეების შეთხზვითა, რომ ზემოხსენებულნი პირნიც კი გაიხარებდენ და მათ ტაშს დაუკრავდენ, ჩვენ კი მოგვილოცავდენ, — აი ბოლოს რა ჭკვიანი და პატიოსანი „არაშოვინისტები“ გამოგჩენიათ ქართველებსო! — ერთი ჰკითხეთ, რა უნდათ, რას ღრიალებენ, რის მუცლის გვრემა აქვთ, რათ გას-

ჩრიათ ყელში საქართველოს წარსული, მისი სახელი, მისი მომავალი თავისუფლება! უცხო მტერი რას აძლევსთ, შინაური კი რომელი ეუბნება მადლობას, გარდა შოტყუებულთა, შეუგნებელთა და დაბრმავებულთა!

ჯერ იყო-და, — ოდეს შეიკრიბა დიდებული სინედრიონი რუსეთის ს.-დემოკრატიის პარტიის დასაარსებლად, — სინედრიონი, რომლის წევრთაც არა გაეგებოდათრა ეგრედ წოდებულ განაპირა ქვეყნებისა, განსაკუთრებით საქართველოსი, — არ იცოდნენ არც მისი წარსული, არც მისი აწმყო, არც მისი ზნე-ჩვეულება, არც ლიტერატურა, — სრულიად არაფერი, — ამ სინედრიონმა ერთი სიტყვით უარჰყო რუსეთში შესულ ერთა თავისუფლება, თვით ავტონომიაც კი! ჯერ ერთი სოციალისტი რის სოციალისტია, თუ ერთა სრულ თავისუფლებას უარჰყოფს, გინდ აწმყოში, გინდ მომავალში, მეორე, — ეს სოციალისტ-დემოკრატი რის დემოკრატია, თუ იგი მის ავტონომიასაც უარსა ჰყოფს! მესამე, — რა უფლებით სწყვეტს ან სოციალისტი, ან დემოკრატი ისეთ ერთა ბედსა და უბედობას, რომელზეც არა იცის რა? და აბა ერთი მითხრან ამ ვაჟბატონებმა, — ვინ იყო იმ კრებაზედ (1904 წ.) რუსთა და სხვა მოწინააღმდეგეთა შორის მცოდნე პოლონეთისა, ან განსაკუთრებით საქართველოსი? და თავის უმეცრებით სხვისი დაღუპვა, სხვისთვის აუცილებელი მონობის საჩუქრად მირთმევა მხოლოდ ისეთი ლოლიკისა და გულის ადამიანებს შეუძლიანთ, როგორნიც იქ იყვნენ! საცოდავმა ებრაელებმა სული დაჰბერეს და განაცხადეს, — ჩვენ ჩვენი ებრაული ორგანიზაციები გვინდაო, ჩვენ ჩვენ თავს გავუძღვებით უკეთო, — და სწორედ ეს იწყინა სინედრიონმა, — ებრაელებს ნაციონალისტები უწოდეს. ქართველმაც დაიბღუყუნა რაღაც ამის მსგავსი, — ერთი აურზაურით განაცხადეს, არიქა „ბუნდიკი“ იბადებაო, და ქართველმაც ენა ჩაიწყმინდა; — და მას აქეთ არის თავიანთ „პატრონებზედ“ უფროსი ფანატიკოსობით იცავენ ჩვენი დამონებულნი რუსეთის მთლიანობასა და საქართველოს თავისუფლების მავნებლობასა და შეუძლებლობას. ამ დიდმა სინედრიონმა იქამდის მიაღწია, რომ ენების თანასწორუფლებიანობაც კი ჯერ უარჰყვეს დელეგატებმა და შერე ერთისა თუ ორი ხმის უმეტესობით გაიყვანეს. ერთი დიდებული კი პირდაპირ ყვიროდა ცენტრალურ მუშტზედა და რუსეთის საზღვართა მთლიანო-

ბაზედ, თითქოს რომელიმე დიდი ომის შემდეგ საზღვრებზედ ჰქონოდეს რუსეთს დავა სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან!

მას შემდეგ ჩვენში ეს „ხამობა“ არ შეწყვეტილა, იგი მატულობს და ბოლოს და ბოლოს ისეთ წუმპედ გადიქცევა, რომ მგონი შიგ ჩაიხრჩონ თვით მისი დამყენებელნი და შიგ მცურავნი! მთელი რევოლუციის დროს იმასა ჰყვიროდნენ, რომ ბატონყმობას მოიტანს ავტონომია, სომხების დაჩაგვრას, კლასთა ბრძოლის „შენელებას“, მეფობას, რუსეთისაგან ჩამოშორებას, ეროვნებათა მტრობასა და ვინ იცის კიდევ რასაო! თქვე დალოცვილებო, თუ ავტონომია თავისთავად ასეთი საშინელი რამ ყოფილა, რათ ეტრფის მას ყველა ჩაგრული ერი მთელ დედამიწის ზურგზედ? ნუთუ მარტო თქვენ შეიგნეთ მისი ასეთი საშინელი ხასიათი და ყველა ეს ერები, — პოლონელები, ფინლანდიელები, ირლანდიელები და სხვა — სულ ბატონ-ყმობის მომხრენი არიან, სულ მეფობას ეტრფიან? ნუთუ იქ აღარ არის სოციალისტი, ან ჭკვიანი ადამიანი მოყვარული და არა მტერი ხალხისა, რომ ესევე დიდი სიმართლე აღიაროს ხალხში? რატომ მაინცა და მაინც თქვენზედ გადმოვიდა სულიწმინდა და ასეთი დიდებული აღმოჩენა გარგუნათ წილად თქვენდა უკვდავების სახელის მოსახვეჭელად?!

ვინ იცის რა არგუმენტები წამოაყენეს ამ ვაჟბატონებმა ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგ: სოციალიზმის ინტერესი, კლასთა ბრძოლის გაძლიერება, ერთა შორის სოლიდარობა, რუსეთის მთლიანობა და კიდევ ვინ იცის რა. მათი არგუმენტები ისეთივე სუსტი და ჩალასავით მსუბუქი იყო, როგორც მათი აზროვნება და მათი გულწრფელობა. ძალიან ადვილად დაუმტკიცეს ამ ვაჟბატონებს, რომ სოციალიზმის ინტერესისა და რუსეთის ცენტრალიზმის ერთმანეთთან შერიგება შეუძლებელია, — მეორე უარმყოფელია პირველისა. დაუმტკიცეს აგრეთვე ანარხისტებმა, რომ სოციალიზმის წმინდა პრობლემას არა აქვს პირდაპირი კავშირი არც რუსეთის მთლიანობასთან და არც სხვა აწმყო და მომავალ სახელმწიფოსთან, — სოციალიზმი ყველა მათი უარყოფაა. დაუმტკიცეს აგრეთვე, რომ იმ ერთა შორის, სადაც „ეროვნული კითხვა“ გადაწყვეტილი არ არის, სწორედ სუსტია კლასთა ბრძოლა და მის ადგილს იჭერს ერთა ბრძოლა, როგორც ეს არის ირლანდიაში, როგორც ეს იყო სერბიაში, ბოლგარიაში, რუმინიაში და იტალიაში. ამ ქვეყნებში სოციალიზმი განვითარდა მხოლოდ სრულიად ეროვნული

თავისუფლების შემდეგ დაუმტკიცეს, რომ თვით დემოკრატიულ უკიდურეს რეფორმათა განსახორციელებლად ფედერალიზმი და ავტონომია ერთადერთი საშუალებაა, — ისეთ დიდ იმპერიაში, იმხელა სივრცეზედ და ისეთის მრავალრიცხოვანი და აჭრელებული ხალხებისათვის კი — როგორიც რუსეთია, მისი სივრცეა და მისი ხალხის რაოდენობა და ეთნოგრაფია, — ყოვლად შეუძლებელია ნამდვილი რესპუბლიკა, დემოკრატიზმი, — ყოვლად შეუძლებელია, რომ ასეთი სახელმწიფო, როგორი ფორმაც არ უნდა ჰქონდეს მას, გახდეს არაშოვინისტური, დაპყრობის ტენდენციებს მოკლებული, და ბიუროკრატიის კლანჭებსაც თავი დააბწიოს. მთელი თეორიები სოციალიზმისა, მთელი სოციოლოგია, მთელი ისტორია, მთელი თანამედროვე ევროპის ვითარება, მთელი მეცნიერება სახელმწიფო უფლებისა თავზედ დააბერტყეს ამ ვაჟბატონებს; თვით მარქსისა და ენგელსისა, თვით თანამედროვე ევროპის ს.-დ. პარტიათა და მათ დიდ ლიდერთა სიტყვებით, გადაწყვეტილებითა და არგუმენტებით ამტყუნებდენ ამ სქელ-კანა ფილოსოფოსებს, — მაგრამ არა გაეწყო რა. როგორც კლდეს არა ეყურება-რა, ისე მათ ვერა შეასმინეს-რა და მათ ლანძღვა-გინებითა, შოვინიზმის ბრალად-დადებითა, სასაცილოდ აგდებითა, უშნო — უკბილო დაცინვითა და „გამოდისებით“ გასცეს პასუხი მოწინააღმდეგეებს.

იქამდისაც კი მივიდნენ, რომ სულ წინად, კავკასიის სინედრიონმა გადაწყვიტა, თუ რუსეთიდან ხალხს გადმოასახლებენ, ამის წინააღმდეგი არა გვექნებარაო. ამაში რასაკვირველია ამხილეს ეს უებარი სოციალისტები და ინტერნაციონალისტები, — ამით ხომ რუსის მთავრობის ოცნების განხორციელებას უწყობთ ხელსაო! მერე რა უთხრეს პასუხად? — იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ამბობდნენ, რომ ჩვენ საწინააღმდეგო არა გვაქვს რა, თუ რუსეთიდან კავკასიაში ხალხი დაიძვრისო! საკვირველი არიან, უფალო, საქმენი შენნი! — რომელ ადამიანს მოუვა ჭკუაში რეზოლიუცია გამოიტანოს იმის შესახებ, რომ როსტოვიდან თუ რუსი ვაგონით თბილისში ჩამოვიდა, — ამის წინააღმდეგი არა მექნებარაო! ან რომელი იდიოტი იქნება იმისი წინააღმდეგი რომ მოსკოვიდან რუსებმა ბილეთები აიღონ თბილისში წამოსასვლელად! — ეს, რასაკვირველია, ლათაიები იყო, და ვერც კი ჰბედავენ ამაზედ ლაპარაკს, თუ არა კერძოდ. მაგრამ მით უარესი, — რაც „კერძო“ ლაპარაკით მათ ვნება მოუტანეს ქართველ ერს, მისი მეათასედი არა უქნიათ-

რა თავიანთი დუქნური ლიტერატურითა და ენით! მაგრამ მათ ერთი უფრო საბოდიშო საგანი ჰქონდათ თავიანთ რეზოლიუციაში: თუ თავისუფალი მიწები იქნება ჩვენში, — მაშინ არაფერი წინააღმდეგი გვექნება საქართველოში გადმოსახლებისაო, — ამბობდნენ და ამბობენ ეხლაც ეს ვაჟბატონები! — როგორ, განა ისიც არ იცით, არის თუ არა ჩვენში თავისუფალი მიწები? როგორ, თუ იცით, განა ატყუებთ რუსის „მეგობარ“ ხალხს? ეს ხომ იმერლის სესხია, — თუ ვიშოვნე, უეჭველად მოგართმევთ ამოდენს და ამოდენსაო, — თუმცა კი დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ვერც იშოვნის და არც ეცდება რომ იშოვნოს! როგორ, ნუთუ ერთი გუბერნია მარტო არხანგელსკისა სამჯერ მეტი არ არის თვით მთელი საფრანგეთის ტერიტორიაზედ? ნუთუ საქართველოს ტერიტორია, რომელსაც დაგლეჯას უპირებენ ეს ოცდახუთი საუკუნეა, განსაკუთრებით ამ ერთი საუკუნის განმავლობაში, შესძლებს დიდი რუსეთიდან, ქვეყნის მეექვსედიდან, ხალხის მიღებას და დასახლებას, მაშინ როდესაც საქართველო უფრო მჭიდროდ არის დასახლებული ვიდრე რუსეთი?

თუ იცით ეს, — რ ა დ გ ვ ღ ა ლ ა ტ ო ბ თ ჩვენ, თუ არ იცით რას არახუნებთ, ან სხვას რად ატყუებთ, რად ღალატობთ სხვას? რომელია ამაში საქებელი საქციელი?

ან იქნებ თავისუფალი მიწები ისე გესმით, როგორც მთავრობასა და მის დამქაშებს? თბილისის გუბერნიაში, მაგალითად, სულ ირიცხება 3,681,510 დესეტ. მიწა. აქედან სახელმწიფო მიწა არის 2,015,082 დესეტ. მიწა, ე. ი. ორი წილი, და რასაკვირველია ამ მიწაზედ აქვს სახელმწიფოს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი მიწები, ქართველს გარდა ვისაც უნდა იმას ურიგებს, და ეს ტერიტორია კი რა უფლებით, რათა აქვს ჩაგდებული მას ხელში, რომ მთელ ნაციასა ჰღუპავს, — ამას ჩვენებური ესდეკი ისე არ დაგიდევს, როგორც ტიმოშკინი.

ოთხმოციან წლებში გორის მაზრაში სახელმწიფო გლეხზედ მოდიოდა სულზედ 0,5—3 დეს. მიწა. იყო სოფლები, რომელთაც სულზედ მოსდიოდათ ერთი მეოთხედი დესეტინა მიწა; დუშეთის მაზრაში კომლზედ ერთი დესეტინა, თელავის მაზრაში 4 დესეტინა, კახეთში იყო საზოგადოდ სოფლები, სადაც სულზედ მოდიოდა საშუალოდ 0,2 დეს. სავენახე, სახნავ სათესი 1,2 დეს., იყო სოფლები აგრეთვე, სადაც სულზე მოდიოდა სახნავ-

სათესი და სავენახე ერთად 1,45 დეს. მხოლოდ მიწა არა უმეტეს 2,04 დესეტინა! გერმანელებს კი მთავრობამ მისცა მამაკაცს სულზედ 11,26 დეს. იქვე კი, თბილისისა და ბორჩალოს მაზრაში, ქართველებსა ჰქონდათ 0,25, 0,50 დეს. მიწა, ან სულ არა ჰქონდათ რა. რამდენი თავისუფალი მიწა ყოფილა ჩვენში!.. ჯავახეთში მთავრობამ სომხებს დაურიგა 20—100 დეს. კომლზედ, სახელმწიფო სანადელო და საარენდო მიწები, ქართველს კი იქ 3,52 დეს. მიწა აქვს კომლზედ. ბორჩალოში კომლ სომეხზედ მოდის 10—30 დეს., ქართველს კი აქვს 2—5-მდე. რუსებს აქვსთ 26,51 დეს., ბერძნებს 30, 50, 70-მდე. თათრებს 20—50 დეს., ამასთანავე ქართველი გლეხი ხუთჯერ მეტ გადასახადს იხდის სხვებზედ. ერთა შორის სოლიდარობაც ეს არის! ასე უნდა მისი განმტკიცება; — და აბა დაუკარით ტაში გადმოსახლებას, ნუ გექნებათ მისი ნურაფერი წინააღმდეგი, — თავისუფალი მიწები ბევრია! ქართველს საქართველოს ტერიტორიაზედ, რომელიც მან დაიცვა ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში, ნულიდან სამი დესეტინა მიწა, — რუსს, სომეხს, ბერძენს, გერმანელსა და კიდევ ვინ იცის ვის — 20—100-მდე! გაგონილა? სად არის ან სამართალი, ან „თავისუფალი მიწა“, რომ გასჭდეს და ასეთი სამართალი და ინტერნაციონალიზმი ქვესკნელში ჩაიტანოს! მთელი ჯავახეთი მოგვწყვიტეს, 30,000-ობითა სხვებს ასახლებდნენ სამხრეთ საქართველოში, თვით ქართლ-კახეთში ასობით არიგებდენ დესეტინა მიწებს, მაშინ როდესაც ქართველი გლეხი, მისი პატრონი სამართლითა და ისტორიით, შიმშილითა კვდებოდა,—და აქაოდა სახელმწიფოაო, მიტომ არის მიწა თავისუფალი? მერე ისეთი ზომებით წაგლეჯილი მიწები მთელი ერის სალაროდან სახელმწიფოს მიერ, — ეს არის თავისუფალი მიწები? — ასეთი თავისუფალი მიწები კიდევ ბევრია საქართველოში, და აბა ეცადეთ, არ გაუშვათ, სცემეთ ბუკსა და ნაღარას რომ მალე სხვამ წაიღოს დანარჩენიც სახელმწიფოს წყალობით და განმტკიცდეს ჩვენში „სოლიდარობა“ და „ინტერნაციონალიზმი“!.. თუმცა, მართალი გითხრათ, რაც გულგრილობა გამოიჩინეს ჩვენმა სოციალისტებმა ამ უკანასკნელად საქართველოში მიწის მობილიზაციის დროს სხვათა ხელში ქართველთა ხელიდან, რაც თვით რუსეთის შეუდარებელ პარლამენტში ჩვენმაც და სხვებმაც ყოყმანით შეჰხედეს გადასახლების საქმეს და ტიმოშკინის „პოპრავკასაც“ კი გაუწიეს ანგარიში, — ამას იქით მე აღარა

მწამსრა, აღარ ვენდობი არავის, რადგან ჩვენიც და სხვისაც, — ყველა მათგანი სიტყვით ბულბული, საქმით იგივე ტიმოშკინია.

ამაზედ, რასაკვირველია, იმას იტყვიან, რომ ჩვენ ასეთ უსამართლობას ვებრძვითო, თუმცა ზემოხსენებული რეზოლუციიდან იგი არა ჩანს! მაგრამ, კარგი, ვსთქვათ, „ებრძვიან“! — მაგრამ იმას აღარ იკითხავენ, თუ ვინ რას ებრძვის? ვინმე კარლო ჩხეიძე, ან გეგეჭკორი, ან ლომთათიძე „იბრძვის“ რუსეთის პარლამენტში! — კაი ნუგეშია, თქვენმა მზემ, კიდეც რომ მოინდომონ ამ მირაბობებმა საქართველოს ერის გამოსარჩლება! მათი „ბრძოლით“ განთავისუფლებულ ხალხს კი რა ეუთხარი! — ვაი იმ ერს, რომელსაც ასეთი მებრძოლნი ჰყავს! — და ვის ებრძვით? — საუკუნოებით შექმნილი რუსეთის რეჟიმის დამხობას ლომთათიძეები და ჩხეიძეები მოახერხებენ? და სანამ მას საკუთარი გმირები დაამხობდნენ, — ჩვენი სახსენებელიც აღარ იქნება ქვეყანაზედ! ჩვენ თუ ეროვნულად არ შევკავშირდით და არ დავიწყეთ თავის დაცვა, — ტყუილია ან ჩვენი მირაბობების იმედი, ან ძველი რეჟიმის დამხობისა რუსეთში, ან თუგინდ რუსეთის თავისუფლება, რომლისგანაც არავითარი ლოღიკით არ გამომდინარეობს საქართველოს თავისუფლება და ეროვნების შენახვა. ბევრი გვინახავს მომავალ შესაძლებელ რუსეთზე უკეთესი „რეჟიმები“, მაგრამ იქ „საქართველოები“ ისე კვდებიან, როგორც ეხლა ჩვენ მივდივართ განადგურებისაკენ! — ესენი კი გვეუბნებიან — ვიბრძვითო! მაგისთანა ბრძოლის არაკები, მაგისთანა ზღაპრები თქვენ დარეჯანებს უამბეთ ყურში, როდესაც ჰერზედ ბუზების თვლას დაიწყებთ ბრძოლით დაღლილები, ტახტზედ მწოლარენი — ჩვენ კი, და ვერც ერთ გონიერ ადამიანს, მაგ ცალიერი სიტყვით ვერ აგვიხვევთ თვალსა!“[13]

წერილს ხელს აწერს ფსევდონიმი — „ალაროდიელი“, როგორც ჩანს, ილიას „დასიდან“ ძლიერი გონებით, ფართო განათლებითა და მგზნებარე პატრიოტიზმით მოსილი პიროვნება. მისი სიტყვა იყო ჰეშმარიტად მძლავრი ინვექტივა, მამხილებელი ბრალდება, ყველა მათ მიმართ, ვინც მაშინდელ საქართველოში, ქართველთა შორის, უცხოთათვის „საკვირველად და სასიხარულოდ“ — რაღაც აკვიატებული ფანატიზმით ებრძოდა ათასეული წლებით შემონახულ და დამკვიდრებულ ეროვნულ სულისკვეთებას, ქართული მიწის წმიდათაწმიდა ხელუხლებლობას, ისტორიას, კულტურას, ზნეჩვეულებას, საერთოდ ნაციონალურ სულსა და სხეულს.

„ან" და „ა" (ისე როგორც „კოსტროვი") ნოე ჟორდანიას ფსევდონიმები იყო და „ალაროდიელის" წერილშიც დაუფარავადაა მითითებული საკრიტიკოდ სამიზნებელი სახელი. თვითონ სახელი „ალაროდიელი" სიმბოლური მინიშნებაა მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ისტორიისადმი პატივისცემისა, რამდენადაც დაახლოებით სამი ათას წლოვანი ალაროდიული კულტურა მჭიდროდ უკავშირდება ქართული ეთნოსის ძველთაძველ ფესვებს.

4. სიტყვა „ანარქისტისა"

შესაძლოა, „ალაროდიელი" იგივე მიხეილ (მიხაკო) წერეთელი ყოფილიყოს, უფრო ხშირად „Baton"-ის ფსევდონიმს რომ ატარებდა. იგი დიდებული მეცნიერი იყო, სპეციალობით ორიენტალისტი, ხეთურ-ალაროდიულ-ქართველურ ცივილიზაციათა მკვლევარი. იგი ილიას ეთაყვანებოდა და ზემოთ კიდევაც მოვიხსენიეთ მისი ორი მშვენიერი სიტყვა უღვთოდ მოკლული საქართველოს მამისადმი. იგი პოლიტიკური მიმართულებით ულტრამემარცხენე ანარქისტი იყო, და ასეთივე განწყობილებითაა დაწერილი მისი წიგნი — „კანონი", საიდანაც ასეთი აფორიზმები იმზირებიან:

„რა არის კანონი? — ძალმომრეობის, ძარცვა-გლეჯის, დამონების, კაცის კვლისა და ავაზაკობის ორგანიზაციის დადგენილება".

„მოსპეთ კერძო საკუთრება და დაამყარეთ კომუნისტური საზოგადოება, სადაც ადამიანი მუშაობდეს თავისუფლად... და დანაშაულიც მოისპობა".

„კანონი არა თუ ძირია დანაშაულისა, არამედ იგი გამამრავლებელია მისი".

„სანამ არ მოისპობა იმისთანა ანტისოციალური მოვლენა, როგორიცაა კანონმდებლობა და მმართველობა, მანამ დანაშაული და მონობა კაცობრიობის მარადიული ხვედრი იქნება".

„მზადდება დიადი, საშინელი განმაწმენდელი ნივთიერი რევოლუცია, — სოციალური რევოლუცია".

„სოციალური რევოლუციის აჩრდილი შავი ღრუბელივით განართხულა თანამედროვე საზოგადოების ცაზედ; მისი საშინელი ჭექა-

ქუხილი გამანადგურებელი წარღვნით მოევლინება მთელ თანამედროვე სოციალურ დამპალ შენობას; ძრწიან ძველის დამცველნი...“

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ... მიხაკო წერეთლის ანარქისტული გააზრებანი... მაგრამ ამჯერად უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია მისი შეფასებანი ქართველი სოციალ-დემოკრატების თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობათა მიმართ. კერძოთ, როგორ გაუგიათ და როგორ უნდათ დანერგონ ჩვენში ინტერნაციონალიზმი და სოციალიზმი ჩვენებურმა მარქსისტებმა:

„საქართველოში ინტერნაციონალიზმი რუსის ცენტრალიზმად გარდიქმნა — უსოციალიზმოდ და უინტერნაციონალიზმოდ! ეგ რად გინდათ, — დღესაც აბა სად არის ჩვენში ღრმა რწმენა საქართველოს ღირსეული და თავისუფალი ეროვნული ცხოვრებისა. ორიოდ კაცის გარდა, წარმოუდგენიათ თუ არა ან ძველებსა და ან ახლებს ურუსოდ ქართული თავისუფლება და ქართული სოციალიზმი. მართალია, ბევრი ჩვენს სისუსტესა და სიძაბუნეს წამოაყენებს არგუმენტად, — არ შეგვიძლია უძიძოდ გაძლებაო — მაგრამ ეს არგუმენტი არ არის, ეს ურწმუნოებაა საკუთარის სიცოცხლისა“, — წერს მიხაკო თავის შესანიშნავ წიგნში — „ვრი და კაცობრიობა“[14].

მაშასადამე, ქართველ სოციალისტებს დამოუკიდებლად ქართული სოციალიზმი ფიქრადაც ვერ წარმოუდგენიათ. სოციალიზმიც და ინტერნაციონალიზმიც მათ ესმით მხოლოდ და მხოლოდ რუსული ცენტრალიზმის ქვეშ, მხოლოდ რუსული „ძიძაობის“ გზით. საკუთარი თავით და ხელით ქართველ სოციალისტს არც ერთი (სოციალიზმი) შეუძლია და არც მეორე (ინტერნაციონალიზმი), იმიტომ რომ — საკუთრად არც ერთი (თავი) გააჩნია და არც მეორე (ხელი)!

ევროპაში ინტერნაციონალით გატაცებულ, — განაგრძობს მიხაკო — მხოლოდ იმ ქვეყნებში იყო, „სადაც ეროვნული საკითხი გადაწყვეტილი იყო, სადაც ერს, როგორც მთელს სოციალურს ორგანიზმს, საფრთხე არ მოელოდა, ხოლო იმ ერთა შორის, რომელნიც დამონებულნი იყვნენ, — სხვა კიდევ უფრო ცხოველი და ღრმა მოძრაობა იყო — ეროვნული მოძრაობა, რომელიც წითელი ზოლივით ევლება მთელს ისტორიას მეცხრამეტე საუკუნისას“[15].

და, საერთოდ! — დამოუკიდებლობა დაკარგული ერისათვის „ინტერნაციონალიზმიც ფუჭია და სოციალიზმიც“.[16]

ეს დებულებები პირდაპირ მარქსისა და ენგელსის ნათქვამებს

ეხმაურება. აკი ამბობდნენ ისინი ხაზგასმით: სანამ სიცოცხლის უნარიანი ხალხი შებორკილია უცხოელი დამპყრობელის მიერ, იგი მთელ თავის სასიცოცხლო ძალებს მხოლოდ საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლასა და ეროვნული თავისუფლების მოპოებას ახმარსო; ეროვნული ჩაგვრის მოშორება ძირითადი პირობაა ყოველი ჯანსაღი და თავისუფალი განვითარებისაო; თუ არ იქნა აღდგენილი ეროვნული დამოუკიდებლობა, უამისოდ შეუძლებელია პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებაც და შიდა-სოციალური საკითხების გადაჭრა, ანუ — ეროვნულ დამოუკიდებლობას მოკლებული ერისთვის ინტერნაციონალიზმიც, სოციალიზმიც და მსგავსი ყოველი „იზმიც“ ფუჭია და მიუღწეველი.

ასე რომ — მიხაკო წერეთლის მსჯელობანი ცალცალკე ეხმაურებოდა ჰეშმარიტ მარქსიზმსაც და ილია ჭავჭავაძესაც, ხოლო ქართველი მარქსისტები სულ საპირისპიროდ „ეხმაურებოდნენ“ ერთსაც და მეორესაც: ამათ უნდოდათ ეროვნული დამოუკიდებლობის პრობლემა გამოეტოვებინათ და მასზე გადახტომით პირდაპირ სოციალიზმს და ინტერნაციონალიზმს მიმთხვეოდნენ.

წერეთელი კი განაგრძობს: „ევროპისა და სხვა ქვეყანათა ისტორიამ დაამტკიცა, რომ ეროვნული ჩაგვრა კიდევ უარესია (ვიდრე ეკონომიური და სოციალური), და თვით პროლეტარი არ იქნება ნამდვილი ინტერნაციონალისტი და სოციალისტი, სანამ თავიდან არ მოიშორებს სხვა ქვეყნის ბატონობას. მეორე, — თვით ამ დიდ ერთა შორის რომ იყო ეროვნული კითხვა გადაწყვეტილი, ანუ უკეთ ვთქვათ, არც კი არსებობდა... სხვებსაც, დამონებულთაც იგივე მოსთხოვეს, და როდესაც შეუძლებელი ვერ აღასრულა დამონებულმა, — იგი გაჰკიცხეს, დაჰგმეს, შესწამეს შოვინიზმი და სოციალიზმის ღალატი“[17].

მართლაც და, საოცარი რამ იყო: მარქსიზმის მშობელი, ეროვნულად თავისუფალი ევროპის მარქსისტები და სოციალისტები ისე არ იკლავდნენ თავს საერთაშორისო ინტერნაციონალიზმისა და „მსოფლიო სოციალიზმისათვის“, როგორც თავისუფლებადაკარგული საქართველოს სოციალისტი შვილები. არავის უცხოთაგანს, არა შორეულსა და არა ახლო მეზობელს, ქართველი კაცის სიყვარული სამშობლოსადმი და ლტოლვა ეროვნული დამოუკიდებლობისადმი, არავის — თვითონ ქართველი სოციალ-დემოკრატების

გარდა — არ ულანძღია „სოციალიზმის ღალატისა“ და „შოვინიზმის“ შეწამებით.

მარქსიზმი კაცობრიობის გარდაქმნის თეორიას მხოლოდ ეკონომიურ ანალიზზე ამყარებსო, — ამტკიცებდა მიხაკო წერეთელი (სხვათა შორის, ამას თვითონ ენგელსიც აღიარებდა: „მე და მარქსიც ვართ დამნაშავენი, რომ ეკონომიურ მხარეს გაცილებით უფრო მეტ მნიშვნელობას ვაძლევენ, ვიდრე მას ნამდვილად ეკუთვნის. საუბედუროდ ძალიან ხშირად ხდება, რომ ზოგიერთი პირები ძლივს-ძლიერობით შეითვისებენ ხოლმე ახალ თეორიის ძირითად საფუძვლებს, ხშირად ძალიან ცუდათაც, დარწმუნებული არიან, რომ სავსებით შეითვისეს, შეისისხლხორცეს იგი და წამდაუწუმ წარბშეუხრელად იმოწმებენ ხოლმე. ეს სიტყვები ბევრ მარქსისტებსაც ეხებათ: იმათაც ძალიან ბევრი საოცარი აზრები გამოსთქვეს“.[18] თითქოს, ამას რომ ამბობდა, ქართველი სოციალ-დემოკრატები ჰყოლოდეს მხედველობაში ენგელსს) — და ამ მოძღვრებისათვის (მარქსიზმისთვის) „არ არის არც ფრანგი, არც ინგლისელი, არც გერმანელი, არამედ არის მხოლოდ მუშა“[19]. მაგრამ ევროპელი და რუსი მარქსისტებისთვის მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა და მუშათა ინტერნაციონალიზმის პირველი ზარი მაინც საკუთარ ეროვნულ სამრეკლოებზე ირეკებოდა. ერთადერთნი იყვნენ მხოლოდ ქართველი მარქსისტები, რომლებიც თავის „ეროვნულ სამრეკლოებს“ მარტო ეჭვით კი არა, პირდაპირ ზიზღითაც უცქერდნენ და მსოფლიო, „კოსმოპოლიტურ რევოლუციაში“ მთელის სისხლით და ხორცით კოსმოპოლიტობდნენ. თანაც ისე, რომ მათ მშობელ ქვეყანას, უცხოური უღლით დაუღლულს, არც „კოსმოპოლიტობა“ შეეძლო და არც ისეთი ეროვნული (ისევ ეს „ეროვნული“!) პროლეტარიატი გააჩნდა, იმ მსოფლიო რევოლუციის ჰეგემონთა რიგებში რომ ჩამდგარიყო!

ასეთ მოვლენას მსოფლიო ისტორიაში ალბათ ანალოგიაც არ მოეძებნება; ანუ თუ მოეძებნება, ისევ მხოლოდ საქართველოს ისტორიაში.

ისე როგორც მარქსიზმი — ქრისტიანიზმიც ხომ უგულვებელყოფდა ეროვნული წარმომავლობის წინა პლანზე წამოწევას. მარქსიზმისთვის ამოსავალი, საყრდენი პუნქტი იყო „მსოფლიო პროლეტარი“, ქრისტიანიზმისთვის კი — „მსოფლიო მოყვასი“, ანუ

ზოგად-ადამიანი. მაგრამ ისე როგორც ეროვნულად თავისუფალი ევროპელი მარქსისტები, ქრისტიანიზმის მოძღვარ-მქადაგებლებიც ოგივე მსოფლიო ქრისტიანიზმის ზარებს მაინც საკუთარი ეროვნული სამრეკლოდან რეკდნენ. გამონაკლისად ჩანდნენ კაპადოკიელი მამები, ბასილი და გრიგოლი, წარმომავლობით ქართველნი, რომლებიც ქრისტიანიზმის მთავარი პრინციპის („მსოფლიო მოყვასობა") „ხათრით", თავგამოდებით გაურბოდნენ თავისი მშობლიური მიწა-წყლისა და ეროვნული წარმომავლობის გამხელას.

და სწორედ ამ ძველთაძველ, ათას ექვსასი წლის წინანდელ მაგალითს მოგვაგონებს ქართველი სოციალ-დემოკრატების, ანუ „მესამე დასელების" დამოკიდებულება პატრიოტული და ეროვნული პოსტულატებისადმი.

რა გაეწყობა, — იქნებ ესეც „ქართული ხასიათია"!

ყოველ შემთხვევაში, ქართველ კაცს მართლაც საგანგებო გამორჩეულობით „ახასიათებს" უცხო ნიადაგზე აღმოცენებულ საზოგადო, „მსოფლიო იდეებისადმი" ინტერესი და მისი განხორციელებისათვის — საკუთარი, ადგილობრივი ნიადაგის გაუთვალისწინებლად — თავგამოდებული ბრძოლა. „ქართველი ჩავარდება ხოლმე ამ საზოგადო იდეათა მორევში და, უმეტეს შემთხვევაში, ვერავითარ ორიგინალურ კრიტიკას ვერ უწევს ამ მიმართულებას. იგი ან სხვისი კრიტიკით კმაყოფილდება, ან დოგმატიურად ირწმუნებს ხოლმე ამ უკიდურეს სხვისი შოვინიზმის თეორიებს, რომელიც მას გულწრფელ სოციალიზმად ეჩვენება... და ფიქრადაც არ მოსდის ყოველივე ამის განსჯა თავისი ქვეყნის მდგომარეობის თვალთახედვით, არ იხილავს იგი ქართული თვალთახედვით ამ თეორიებს... უცხოეთში შეთვისებული იდეალიც მას ჭეშმარიტება ჰგონია ყოველ კერძო შემთხვევისათვის, და თუ ქართული და თანამედროვე ცხოვრება ოდნავ მაინც არ ეთანხმება ამ უცხოეთში შეთვისებულ იდეალს, — თამამად და გულწრფელად წამოიძახებს, — წარსული მეზიზღება და აწმყო მეჯავრებაო! გულწრფელადვე მას ასეთი ყოვლად უაზრო სიტყვა სოციალიზმის რწმენის განმტკიცებად მიაჩნია, იდეალის სამსახურად".[20]

კიდევ უნდა გავიმეოროთ: მარქსიზმი რომ ქართულ ნიადაგზე აღმოცენებულიყო, ქართველები მას მარტო კრიტიკასაც არ აკმარებდნენ, მაგრამ რაკი უცხო იყო, „საუცხოოსთვის" თავგამოდე-

ბულმა ქართველმა, ადგილობრივ-საკუთარი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად, სრულიად უკრიტიკოდ მიიღო იგი. „...კრიტიკა მიუდგომელი და ცივი, რომლის მიზანიც უნდა იყოს ჭეშმარიტების გამორკვევა თავისი თავისათვის და მასზედ აგება ახალი რწმენისა; ვერავითარი შიში ძველ იდეალთა დაკარგვისა ვერ უნდა ჰბოჭავდეს ადამიანს ასეთი კრიტიკის დროს, თორემ იგი მუდამ ბრმად ივლის, მის სიბრმავეს კი შეიძლება ცოცხალ ადამიანთათვის, ცოცხალი ერისათვის დიდი ვნება მოჰყვეს"[21].

ამას ამბობდა მიხაკო წერეთელი და არსებითად ეს იყო გამოსმაურება ისევ და ისევ ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა: ის, რაც ევროპისათვის შეიძლება გამოსადეგი იყოს, მისი უკრიტიკოდ და ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად, ბრმად გადმოტანა და დანერგვა, შეიძლება ერისათვის უფრო დამღუპველი აღმოჩნდეს, ვიდრე სიკეთის მომტანი.

თვითონ მარქსი და ენგელსიც ამბობდნენ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში": გერმანელმა ფილოსოფოსებმა, ნახევრად-ფილოსოფოსებმა და ლამაზი ფრაზების მოყვარულებმა საფრანგეთიდან რომ კომუნისტური ნაწერები შემოიტანეს და „ხარბად დაეწაფნენ", ის კი დაავიწყდათ, რომ— „საფრანგეთიდან ამ ნაწერების შემოტანასთან ერთად გერმანიაში არ ყოფილა შემოტანილი საფრანგეთის ცხოვრების პირობები".[22]

და არც ქართველი „ნახევრად-მარქსისტები" უფიქრდებოდნენ იმას, რომ გერმანიიდან თუ რუსეთიდან შემოტანილ თეორიებს ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ცხოვრების პირობებსაც ვერ შემოაყოლებდნენ.

მიხაკო წერეთელი კი განაგრძობს: „ყველაზე უფრო იმან დამაფიქრა, რომ ყველა სოციალისტი-ევროპაში ეროვნულ ნიადაგზე მოქმედებს, — განსაკუთრებით პარლამენტარისტები, რომლებიც ეროვნულ კანონმდებლობაში იღებდნენ მონაწილეობას. მაშასადამე, პრაქტიკული სოციალიზმი მათთვის შინაგან, საკუთარი სოციალური ორგანიზმის გაუმჯობესებით გამოიხატება. ისიც ნათლად დავინახე, რომ ეს სოციალისტური პარტიები უმთავრესად შოვინისტებიც კი იყვნენ და იცავდნენ თავის ეროვნულ ინტერესებს, სხვა პატარა ჩაგრულ ერებს ანგარიშშიაც არ იღებდნენ და არც აღიარებდნენ მათ თავისუფლებას. ხოლო ინტერნაციონალი მათ-

თვის უფრო ყვირილი და დემონსტრაცია იყო, ვიდრე რეალური მუშაობის საგანი"[23].

მაშ, ევროპის შუაგულიდან ნასროლ კოსმიურ ლოზუნგს — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" — თვითონ ევროპაში თავიდანვე განხორციელება არ ეწერა, და მის განუხორციელებლობაში ევროპის კატასტროფას არავინ ვარაუდობდა, ხოლო საქართველო, — რომლის ეროვნული (ეროვნული-მეთქი!) პროლეტარიატი ჯერ მხოლოდ კვერცხში თუ გამოწიოდა — მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისთვის სულხორციანად თავგასაწირად ემზადებოდა!

შვეიცარიაში ყოფნისას, — განაგრძობს მიხ. წერეთელი — „საქართველოდან ხმა მოდიოდა, — ჩვენს სოციალ-დემოკრატებს რეზოლუცია დაუდგენიათ — საქართველოში სხვა ერების გადმოსახლების წინააღმდეგი არა გვაქვს-რაო! სადამდის მივა უკულტურო ადამიანის „ინტერნაციონალიზმი"-მეთქი... ჩვენში მიწის საკითხი განა მარტო აგრარული საკითხია?—იგი ღრმა პოლიტიკური საკითხია. ქართველი ხალხი თუ ტერიტორიას შეირჩენს, ვერავინაც ვერას დააკლებს,—თუ დაჰკარგავს — იგი მოკვდება... გლეხისათვის და მუშისათვის მარტო ბურჟუა და თავადიშვილი გამოვიყვანეთ მტრად, აგრეთვე მთავრობა, როგორც მისი სოციალური მტერი,—ხოლო იგივე მთავრობა და უცხო ერი მის ეროვნულ და პოლიტიკურ ბუნებრივ მტრად არასოდეს არ დაგვისახავს, და აი დღეს ამის ნაყოფი, — იღუპება საქართველოს ტერიტორია!.. დღეს სომხები და სხვა ერები, ვინც კაი ხანია მუშაობენ ეროვნულ ნიადაგზედ, მძლავრნი არიან შეგნებით, სიცოცხლით, საშუალებით, — ჩვენ კი ჩვენსავე ქვეყანაში ყველაზე უფრო საცოდავები ვართ"[24].

ესეც სიმართლე იყო — სოციალ-დემოკრატთაგან გალანძღული „ანარქისტის" ნათქვამი. ქართველებს ხშირად, ძალიან ხშირად და ხანგრძლივად, ხანგრძლივად და საბედისწეროდ, ავიწყდებათ, რომ ქართული მიწის საკითხი უწინარეს ყოვლისა სწორედ პოლიტიკური შინაარსითაა დატვირთული; ხოლო „პოლიტიკური" ამ შემთხვევაში ერის ეროვნული ყოფნა-არყოფნის საკითხს გულისხმობს. ქართველები ქართულ ტერიტორიას ძალიან იოლად იმეტებენ, თე-

თრი კბილით თუ შავი გულით მოწოლილ უცხო ტომთათვის. ოდითგანვე ასე მოსდგამდათ „უცხოთა და სტუმართ მოყვარეებს“ (ცახუშტი ბატონიშვილის შეფასებით).

ქართული მიწა კი, ბუნებით ფრიად ნაყოფიერი, არნახულ ნაყოფიერებას იჩენს უცხო თესლის აყვავებისა და გამრავლებისათვის.

და, ბოლოს და ბოლოს, საქმე ზოგჯერ იქამდისაც მიდის, რომ ქართველს საქართველოს გადარჩენა უჭირს თვითონ საქართველოში!..

5. სიტყვა „ფედერალისტისა“

ილიას სულიერი მემკვიდრეობით იკვებებოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომლის მოძღვარი და „კლასიკოსი“ იყო არჩილ ჯორჯაძე. იგი საგანგებო ყურადღებას მიაქცევს ილიას მიმდევრებსა და „მესამე დასელებს“ შორის ეროვნული პრობლემის გარშემო ამტყდარ დავას და წერს:

„დღეს ჩვენს საზოგადოებაში... საინტერესოა მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, თუ როგორ გესმით ეროვნული პრობლემა, ავტონომისტი ხართ, თუ ავტონომიის მოწინააღმდეგე, ამაყურად ატარებთ ქართველი კაცის სახელს, თუ სირცხვილით იწვით იმ უბედურების გამო, რომ განგებამ ქართველად გშობა და ქართულ ენაზე მოსაუბრე · ადამიანად გაგაჩინა.

თუ აშკარაა და ნათელი ამ საგნის შესახებ თქვენი აზრი, დანარჩენი ყოველივე ნათელით იფინება. თუ თქვენ იმდენად გულუბრყვილო ბრძანდებით, რომ „ქართველობა“ არც გეთაკილებათ, არც გეზიზღებათ, იცოდეთ შავრაზმელთა ჯგუფში უნდა ჩაირიცხოთ, ნაციონალისტის სამარცხვინო სახელი უნდა ატაროთ და წყვდიადი და ბნელეთია მაშინ თქვენი ხვედრი. და თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ, გულში ხელის ჩარტყმევით: ამხანაგებო! წარსული მძულს, აწმყო მეზიზღება-თქო, იცოდეთ, თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია, შარავანდედით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტური გვამი და ქუჩაში გაელის დროს თქვენზე თითს მია-

თითებენ და იტყვიან, აი თავისუფლების მოციქული და „შავ-რაზმელ ნაციონალისტთა“ ამომგდებიო“.[25]

სწორედ ასე იყო იმჟამად: ჟორდანია-მახარაძე და „მათი აიარები“ პატრიოტულად განწყობილ ყოველ თანამემამულეს „შავრაზმელ ნაციონალისტებად“ ნათლავდნენ, და ამ „სალანძღავი“ იარლიყებიდან თავის დაღწევა შეიძლებოდა მხოლოდ მშობელი ქვეყნისა და მისი წარსული ისტორიის უარყოფისა და განდგომის გზით.

არჩილ ჯორჯაძე ქართულ ეროვნულ შემეცნებას ქართულ ხალხელმწიფოებრიობას უკავშირებდა. ამდენად ამ მიმართულებითაც მისი პოზიცია ისევ ილიას პოლიტიკური ფიქრებიდან ამოდიოდა. იგი რუსეთის კოლონიური იმპერიის „ხალხთა ფედერაციად“ გარდაქმნაზე ოცნებობდა. მისი „ფედერალისტობაც“ ეს იყო, რომ საქართველოს იმ „ფედერაციაში“ თავისი „ავტონომია“ ჰქონოდა — ერთდროულად კულტურული და ტერიტორიული ავტონომია. ქართველ სოციალ-დემოკრატებს კი „ავტონომისტობაც“ სალანძღავ სიტყვად ჰქონდათ მომარჯვებული.

არჩილ ჯორჯაძეს მოხმობილი აქვს საფრანგეთის მუშათა პარტიის მანიფესტიდან ნათქვამი: „ინტერნაციონალიზმი არც სამშობლოს გაუქმებას მოასწავებს, არც მის გაუქმებასო“. ეს კი თავისთავად გამორიცხავს მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ნათქვამს — „პროლეტარებს სამშობლო არა აქვთო“. ამავე ფორმულას საფუძველშივე ეწინააღმდეგება აგრეთვე ისევ საფრანგეთის მუშათა პარტიის კონგრესზე გამოცხადებული დებულება: „თუ საფრანგეთს მტერი დაესხა, იგი ჰპოებს მხურვალე დამცველებს მუშათა პარტიის სოციალისტთა შორის“. კიდევ უფრო ადრე (1891 წ.), გერმანელმა კარლ ლიბკნეხტმა, რუსი და (რაღა თქმა უნდა) ქართველი მარქსისტების სათაყვანო კერპმა, გერმანელთა ნაციონალურ კონგრესზე განაცხადა: „თუ გერმანიას სხვა სახელმწიფომ ომი გამოუცხადა, თუ მტრის მოსაგერიებლად ომი მოგვიხდა, ჩვენ დავიცავთ ჩვენს სამშობლოს“. ასევე გამოაცხადა რვიხსტაგში ევროპული სოციალიზმის გამოჩენილმა კლასიკოსმა ავგუსტ ბებელმა: „თუ ვინმე თავს დაესხა გერმანიას, თუ გერმანიის არსებობას განსაცდელი მოევლინება — ჩვენ ყველანი, ახალგაზრდანი და მოხუცნი, თოფს მხარზე წამოვიკიდებთ და მტერს შევებევით“.

ქართველი სოციალ-დემოკრატები კი — რასაკვირველია, რუსი

მახწავლებლების უყოყმანო მიმდევრობით — გარეშე მტერთან ომის შემთხვევაში, საკუთარი ქვეყნის დამარცხების მომხრენი არიან. (თავისთავად იგულისხმება: ისინი ასეთ აზრზე იქნებიან მანამ, სანამ სახელმწიფოს სათავეში თვითონ არ მოექცევიან. ანუ: სანამ ჩემი საბატონო არ არის, ნურც ვისიმე ყოფილა და ეშმაკსაც წაუღია!).

კვლავ ვიმეორებთ: ყველაფრიდან ჩანდა, რომ ლოზუნგს — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, თვითონ ევროპაში განხორციელება არ ეწერა. ამ ლოზუნგით ყველაზე აქტიურად ჯერჯერობით ისევ რუსები იბრძოდნენ, ხოლო რაკი რუსები იბრძოდნენ, უფრო თაეგადაკვდომით (სამშობლო-გადაკვდომით!) იბრძოდნენ ქართველები.

ა. ჯორჯაძე წერს: „ეროვნული პრობლემის სიძნელე თეორიული სიძნელე არ არის. თეორიაში ყოველივე მწყობრად სწყდება და ჰლაგდება. სიძნელე იწყება იმ დროიდან, როდესაც ეროვნული პრობლემა გინდათ გადასწყვიტოთ კონკრეტული პირობების მიხედვით, როდესაც ანგარიში უნდა გაუწიოთ მრავალ მოვლენას, რომელთა არსებობა თეორიას მხედველობაში არ მიუღია“[26].

ესეც ილიას ნააზრევიდან მოდიოდა: ევროპაში, ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული თეორია, რასაკვირველია, ევროპისათვის „დაკარგული“ ქართველი ხალხის მდგომარეობას ვერ გაითვალისწინებდა და ამიტომ ქართველებს თავისი ცხოვრებისა და მდგომარეობის პირობები თვითონვე უნდა გაეთვალისწინებიათ და ამის შესატყვისად შეერთვოდნენ ყოველ მსოფლიო, გლობალურ „იზმებს“.

არჩილ ჯორჯაძე პირდაპირ ამბობს სოციალ-დემოკრატთა მიმართ: „კულტურული ერი მოსაზელი ცომი არ არის, საიდანაც ხან ნაზუქი გამოცხვება, ხან ხაჭაპური... ერთ ეროვნებაზე ხელის აღება და მეორეში ჩარიცხვა? ეს რაღაც უგუნურებაა! თუ ეროვნება შემაფერხებელი მოვლენაა, მეორე ეროვნების შემუშავებას კი არ უნდა შევუწყოთ ხელი, არამედ ყოველგვარი ეროვნების დანგრევას. თუ სწირავთ ქართულ ეროვნებას, უნდა გასწიროთ ყოველ სხვა ეროვნებაც. ეს უფრო გონივრული მოქმედება იქნება. დღეს კი ქართული ეროვნების უარმყოფელნი გაბატონებულ ეროვნებას უწყობენ ხელს და ამაყობენ კიდეც, დიდებულ საქმეს ვარიგებთო. დეე, დაიღუპოს პატარა ერი, ოღონდ სხვა, დიდი კულტურის

წარმომადგენელი ერი წარმოსდგეს ამ პატარა ერთა გათვებიდანაო. თუ მაგრეა საქმე, ჯერ ის დაგვიმტკიცეთ, რომ ეს „მომავალი ეროვნება“ ჩვენზე უფრო კულტურული და ჩვენზე უფრო სულიერად ღრმა და ნაყოფიერი იქნება... მაგრამ ამისი დამტკიცება თქვენთვის საჭირო არ არის. რას ჰკარგავთ! ჩვენს წარსულში თქვენ მარტოოდენ ბატონ-ყმობის და ფეოდალობის ინსტიტუტს ხედავთ; სულით და გონებით თქვენ არა ხართ დაკავშირებულნი არც ჩვენს ძველ მწერლობასთან, არც პოეზიასთან, არც ხუროთმოძღვრებასთან, არც მხატვრობასთან, არც მუსიკასთან, არც ისტორიულ და ფილოსოფიურ ნაწარმოებთან, არა ხართ დაკავშირებულნი ქართულ კულტურასთან და რა გასაკვირველია, რომ დღეს, ამ კულტურულ ტრადიციებს მოკლებულნი, შემთხვევით გამელელ-გამომვლელ „გმირებს“ ეთაყვანებით, წარმავალ და უდღეურ დოქტრინებს აღიარებთ, უშინაარსო და უსიცოცხლო ფორმულებს იცავთ!“[27]

შემდეგ, — ფრიად დამახასიათებელია ჯორჯაძის კრიტიკა ჟორდანიას წერილებისა, საერთო სათაურით — „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, რომელშიც ავტორი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ — საქართველოს თავის ისტორიაში ეროვნული შემეცნება ვერ შეუმუშავებიაო, ვერასოდეს სამოქალაქო ცხოვრება, მრეწველობა და აღებ-მიცემობა ვერ შეუქმნიაო, და ყველაფერი ეს და ყოველი სიკეთე საქართველოში მხოლოდ მას შემდეგ დაიბადა, როცა აქ რუსეთის მმართველობა დამყარდაო. და ამბობს ამასთან დაკავშირებით არჩილ ჯორჯაძე:

„ყველა ამას რომ ვკითხულობდი, ჩემ თავს ვეკითხებოდი: რა არის ეს — თავის დამცირება, უვიცობა, აზრის სიმჩატე, თუ ყოველივე ეს ერთად შეზავებული არარაობა?... აქ მსჯელობის აპარატია უვარგისი. სავაგლახოა, რომ თანამედროვე ქართველი პუბლიცისტი პრიმიტიული ლოღიკის იარაღით გამოდის სამწერლო ასპარეზზე. გეცოდინებათ ცნობილი ფორმულა post hos, ergo propter hos, რაიც ნიშნავს ამგვარ შემცდარ დასკვნას: მოვლენა A მოხდა მოვლენა B-ს შემდეგ. მაშასადამე B არის მიზეზი A-ს წარმოშობისაო... ამ ფორმულით შეიარაღებულმა თქვენ შეგიძლიათ ამგვარი აბდაუბდა აღიაროთ: გაველი თუ არა გარეთ, მოვიდა წვიმა, მაშასადამე წვიმა გამოწვეულია ჩემის გასვლით. დავიწყე თუ არა წერა, გაჰქრა სანთელი, მაშ წერამ გააქრო სანთელი და სხვა. უბე-

დურება ის არის, რომ ჩვენი პუბლიცისტი სწორედ ამ წესით აზროვნებს... პუბლიცისტი არ სჯის ამგვარად: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი შემოვიდა ჩვენში და სულ იმის ცდაში იყო გაეთქვიფა ქართველობა, გაეჭრა მისი ქვალიც კი, მიუხედავად დამაბრკოლებელი მიზეზებისა, ჩვენში აყვავდა (!) კულტურა. არა, იგი პირდაპირ აღიარებს, ჯერ რუსეთი შემოვიდა, მერე კულტურა გაჩაღდა, მაშასადამე, კულტურა ნაყოფია რუსობისაო. „შოშიას“. ლოღიკის ნიმუშიც მზად გახლავთ.“[28] და საერთოდ — ჟორდანიასებრ „აზროვნებას სახელად ჰქვიან ისტორიული დალტონიზმი... მასში ღრმად დამახინჯებულია საქართველოს ძველი და ახალი ისტორია და... ისტორიული სინამდვილე პარტიული აზროვნების ყალიბზეა ჩამოსხმული“[29].

ჟორდანიას „რწყილის ოდენა სულს“, თურმე — „ძლიერ სამარცხვინო ჰგონია ნაციონალისტობა. მე კი ჩვენ პირობებში არანაციონალისტობა ღალატი მგონია სამშობლოსი, საზიზღარი „ხამობა“; ჩემთვის ნამდვილი ინტერნაციონალიზმი და ქართული ნამდვილი ნაციონალიზმი სრულიად არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს! პირიქით — მეორე პირველთან ლოღიკურად არის შეკავშირებული“.[30]

„ხამობა“! — უეჭველად არჩილ ჯორჯაძის ამ ოსტატური და სარკასტული „ნათლიობისგან“ მოდის, რომ შემდგომ ჟორდანიასეულ „დემოკრატიას“, არც მეტი არც ნაკლები — „ხამოკრატია“ დაარქვეს...[31]

6. სიტყვა ფილოლოგისა

1907 წლის მიწურულს პედაგოგი და ფილოლოგი სილოვან ხუნდაძე გამოვიდა ფიცხი სიტყვით და წერილით მესამე დანაყოფის „ასალაგმავად“. მას მოთმინება დაჰკარგვოდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში ისევ ილიას და მის მიმდევართა განუკითხაკი განქიქებისგან. განსაკუთრებით ნოე ჟორდანიასა და ყარიბის (პეტრე გელეიშვილი) წერილებს აღეშფოთებინა იგი. და აი, ქუთაისში, გამოიცა სილოვან ხუნდაძის მცირე წიგნაკი — „მკვლელები და

მცველები“, საიდანაც ვკითხულობთ (ცალკე ამონარიდთა მიხედვით):

„ას მაშენებელს ერთი მტეხელი აუვაო“, — ამბობს ქართველი ხალხი, — და ღღეს ამ უბედურ ხალხს გამტეხელათა და გამათხსირებლათ ათასობით გაუჩნდნენ მისივე შვილები, რომელნიც მას ნივთიერათაც სწეწენ და გლეჯენ და ზნეობრივათაც ძიწასთან ასწორებენ; ეს უღირსი შვილნი ღღემდი ზეპირათ აწვდიდენ ხალხს ათასგვარ ჭორსა და სიცრუეს, და ღღეს ორგანოებსაც მრავლათ აარსებენ, რომ სიცრუისა და სიყალბის ქვეყნათ მოფენა დააჩქარონ.

გონიერმა მკითხველებმა კარგად იციან, თუ რა მიზანსა და რა სიმართლეს ემსახურება სოციალდემოკრატიული პრესა; მაგრამ მისი მოღვაწეობის დასახასიათებლადა და დასასურათებლად ღრიოდე მაგალითს აქაც მოვიყვან.

ილია ჭავჭავაძის მოკვლამ მთელი საქართველო შეაძრწუნა... მთელი-მეთქი, ვამბობ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ უგუნურთა ჯგუფს, რომელსაც გონებაც დაუკარგავს და სინდისიც — და რომლის გამოკლებაც ამ გულწრფელათ აღშფოთებულ ხალხს ისე ეტყობოდა, როგორც წვეთის მოკლება ოკეანეს.

გაზეთი „ჩვენი გზა“, როცა თავის მკითხველებს ილია ჭავჭავაძის გვამის საგურამოდან თბილისს გადმოსვენების ამბავს აწვდის, ამბობს, „ხალხი ბღლომათ დაესწროვო“ — და სულ ორიოდე სიტყვით სრულიად მშრალათ, სრულიად უგრძნობლათ ასწერს იმ დიდებულ ამბავს, რომელიც ქართველი ერის სახელოვანი პოეტის დასაფლავების დღეს მოხთა და რომლის მსგავსიც ჯერ რუსეთშიც და ვგონებ ევროპაშიც არ მომხთარა (სქოლიოში: მე დავესწარი ტურგენევისა და დოსტოევსკის დასაფლავებას; დიდებული პატივი სცეს რუსეთის ამ შესანიშნავ რომანისტებს, მაგრამ ილიას დასაფლავებასთან შედარებით მათი დასაფლავება მეტათ მკრთალათ უნდა ჩაითვალოს). — მეორე გაზეთმა, „ახალმა ქვეყანამ“, რომელიც სწორეთ ილია ჭავჭავაძის დასაფლავების დღეს გამოვიდა, ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია ქართველი ერის დიდებული მგოსნის არც მოკვლისა და არც დასაფლავების გარემოება!..

სოციალ დემოკრატიული პრესის სიყალბე „არ ახალია, ძველია“ — და ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეშიც სოციალდემოკრატიული გაზეთი „მოგზაური“ ილიას შესახებ ათასნაირ ჭორსა და ცილისწამებას ბეჭდავდა. ვის არ ახსოვს უნამუსო ჭორით შეთით-

ხნილი კორესპონდენცია საგურამოდან, სადაც სხვათა შორის ეწერა: ილია ოთხასმანეთიან ქურქში გამოჭიმული იდგა თავისი კოშკის აივანზე და ხარხარით გადასცქეროდა, როცა მისი კაცები მისი ბრძანებით საწყალ გლეხს თავზე კოკას ამტვრევდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მან პოეტის წყაროდან წყლის წაღება გაბედაო!..[32]

„...განსვენებულმა ილიამ თავის დროზე აშკარათ დაუმტკიცა ყველა გონიერსა და სინდისიერ მკითხველს, რამდენათაც ყალბი, რამდენათ უსინდისოთ შეთითხნილი იყო ის კორესპონდენციები, რომელიც საგურამოდან ილიას შესახებ „მოგზაურში“ იბეჭდებოდა.“[33]

„...ვის არ ახსოვს სოციალდემოკრატების ის სამარცხვინო საქციელი, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებებს თავი მოუყარეს და საჯაროთ დასწვეს?!“[34]

„...იცოცხლეთ, მკითხველო, და მალე დაინახავთ, რომ სოციალდემოკრატები საქართველოს ავტონომიის საფუძვლიანობას აღიარებენ, იმ ავტონომიისა, რომელიც მათ დღეს ასე საშინლათ ეჯავრებათ — და მერე ტურებივით აკივლდებიან: „ვინ დაგვწამა ცილი? ჩვენ ყოველთვის საქართველოს ავტონომიის მომხრე ვიყავითო“!.. დიახ, სოციალდემოკრატებს არც თქმისა რცხვენიათ და არც გადათქმისა!..[35] (გაივლის რამდენიმე წელიწადი და ხუნდაძის ეს „წინასწარმეტყველება აღსრულდება).

„...ჩემმა სიტყვამ და ლექსმა, რომელიც მე ილია ჭავჭავაძის გამოსვენების დღეს (7 სეკტემბერს) თფილისში წარმოვსთქვი, სოციალდემოკრატები საშინლად გააწიწმატა. თუმცა ჩემს სიტყვასა და ლექსში საზოგადოთ საქართველოს მტრებს — ილიას მკვლელებს და მათ დამცველთ, მათ თანამგრძნობელთ ვასახელებდი,— მაგრამ სოციალდემოკრატებმა, უგუნურის თვისი ვექილის ყარიბის პირით, საქართველოს მტრობა თავის თავზე მიიღეს და ილიას მკვლელობაც თვითონ იკისრეს: ეს ჩვენა ვართ, ცხადია — ჩვენ ვგულისხმობენო!...

ჩემი სიტყვა და ლექსი საზარელი მკვლელობის პირველი დღეების გრძნობა და შთაბეჭდილებაა — და მაშინ ბევრი რამე არ ყოფილა გამორკვეული; ამიტომ მე საზოგადოთ მკვლელებს ვგმობდი (რადგან ისინი მრავალათ ყოფილან) — და მათთან ერთათ ყველას, ვინაც ილიას მკვლელებს თანაუგრძნობს და იცავს...

დღესაც ბევრი რამეა გამოურკვეველი, თუმცა ბევრი რამეც გა-

მოაშკარავდა. გამოურკვეველია, მაგალითად, თუ ვინ იყვენ ამ საზარელი მკვლელობის ორგანიზატორები და ფაკტიურად შემსრულებელნი... მაგრამ... ერთი საყურადღებო გარემოება კი უკვე გამოირკვა. სადაც კი ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი ადამიანის ყურს მისწვდა, — ყოველი ასაკის, ყოველი წოდების, ყოველი ეროვნებისა და ყოველგვარი პარტიის ხალხი შერძწუნდა ამ ყოვლად უსინდისო მკვლელობის გაგონებით... მხოლოდ ქართველ სოციალდემოკრატებში აღმოჩდენ იმისთანა პირები და ჯგუფები, რომელთაც გაბედეს და ურცხვათ გამოააშკარავეს თავისი ბილწი აზრი განსვენებულის ღირსების შესახებ. ჩვენ თავს ისე როგორ დავიმცირებთ, რომ ფეხზე წამოდგომით ილია ჭავჭავაძის ხსოვნას პატივი ვსცეთო? — ბრძანეს სოციალდემოკრატმა ქართველმა სტუდენტებმა! — ჩვენ ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაში მონაწილეობა არ უნდა მივიღოთო, — დაადგინეს თფილისში სოციალდემოკრატიულმა წრეებმა! — არც ერთი ერისა და არც ერთი პარტიის პრესას არ უკისრებია ილია ჭავჭავაძის სახელის გაკილვა, ცუდათ ხსენება, მისი დაცინვა და მისი პატივისცემის გაფასება: — ეს სამარცხვინო როლი მხოლოდ სოციალდემოკრატიულმა ქართულმა ორგანოებმა იკისრა!..

...სოციალდემოკრატების ზემორე აღნიშნული საქციელი არ მქონია მხედველობაში მაშინ, როცა ჩემი სიტყვა და ლექსი დავსწერე და წარმოვსთქვი, და ამიტომ ყრუთ მივმართე საქართველოს მტრებსა და ილია ჭავჭავაძის მკვლელებს. დღეს კი, როცა ბევრი რამე გამოირკვა, თამამათ შემიძლია — პირდაპირ მოგმართოთ თქვენ, ბ-ნო სოციალდემოკრატებო, და გამოგიცხადოთ: დიახ, თქვენ, თქვენა ხართ საქართველოს მტერნი!..

ვინ არიან ილია ჭავჭავაძის მკვლელნი? — სახელდობრ ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ ვინ მოაწყო და ვინ შეასრულა ეს საზიზღარი საქმე; მაგრამ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ: ამისთანა საზარელი საქმე მხოლოთ იმ წრეების წევრებს შეეძლოთ ჩაედინათ, რომელთაც განსვენებული ილიას ახლათ გათხრილ საფლავზედაც კი თავი ვერ შეუმაგრებიათ — და, ცრემლების მაგიერ, შხამსა და ნაღველს ანთხევენ. ილიას მკვლელები იმ პირთაგან არიან გათამამებული და წაქეზებული, რომელნიც ილიას სიცოცხლეში, მისდა საწინააღმდეგოთ, ინსინუაციებით, უსინდისო ჭორებით სავსე კორესპონდენციებს ბეჭდავდნენ, რომ განსვენებულის ღირსება ყოველნა-

ერათ დაემცირებიათ. აი ვინ მოამზადა საზიზღარი მკვლელობის ნიადაგი! აი ვინ შექმნა შესაძლებლათ, უგუნური ფანატიკოსების თვალში, ილიასთანა მოღვაწეების მოკვლა!

ნ. ჟ. იმავე „ჩვ. გზ.“ ში თითქო კიდევაც თანხმდება მათ მიერ ამ ნიადაგის მომზადებას და ამბობს: „ვსთქვათ, სოციალდემოკრატიის მიერ მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა: — მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის დიდებული მოძრაობა, ის გონებრივი და პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველ ხალხმა განიცადა და დღემდე მუდამ განიცდისო!“

რომელ „დიდებულ მოძრაობასა“ და რომელ „პოლიტიკურ გადასხვაფერებაზე“ ბძანებთ, ბ-ნო ნ. ჟ.? იმ „მოძრაობაზე“, რომელმაც ჩვენში, თქვენი მეოხებით, ყოვლად ბავშვური, ყოვლად უგუნური ხასიათი მიიღო? იმ „დიდებულ მოძრაობაზე“ ბძანებთ, რომლის დროსაც საწყალი ხალხი, უიმისოთაც დაბეგრული და დატვირთული, კიდევ უფრო მძიმეთ დაბეგრეთ და დატვირთეთ, და როდესაც ღარიბ-ღატაკ ხალხს უზომო გადასახადებს შეიარაღებული „აფხანიკების“ საშვალებით ართმევდით და თქვენს „მოხელეებს“ აძლევდით? იმ „დიდებულ მოძრაობაზე“ ბძანებთ, როცა ორასი ათასი მანეთი ფული ხელში ჩაიგდეთ — ვითომდა იმისთვის, რომ პირდაპირ დემოკრატიული რესპუბლიკა დაგეარსებიათ, და ნამდვილათ კი ჩვეულებრივათ გაანიავეთ — და როდესაც მთავრობამ ეს ფული მათრახებით ხალხის ზურგიდან აიღო, შორიდან სეირს უყურებდით? იმ „მოძრაობაზე“ ხომ არ ბძანებთ, უგუნური გაფიცვები რომ გააბშირეთ, — მაგალითად, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს რომ ურჩევდით: შკოლას თავი დაანებეთ, არ ასწავლოთ, არ ისწავლოთო და ახალგაზრდობა უსაქმურობისა და გარყვნილობის გზაზე ხეტიალს შეაჩვიეთ?! კიდევ, მაგალითათ, როცა თქვენი საყვარელი „გაფიცვებით“ საწყალ ხალხს სული ამოხადეთ, ფურნეები დაუკეტეთ და წყლის მზიდავები ქუჩაში არ გაატარეთ — და ამ სახით ხალხი კინელამ შიმშილითა და წყურვილით დახოცეთ?! რატომ ვერ მისწვდა თქვენი გონება იმ უბრალო აზრს, რომ ამისთანა უგუნური ბრძოლითა და გაფიცვებით თქვენ, ოთოთაანთ ქორიევით — შინაურებს ერეოდით, გოგოლის უნტერაფიცრის ცოლსავით, — საწყალ ხალხს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს თავის თავს ამათრახებიებდით, და მთავრობა კი და ბურჟუ-

აზია, რომელთაც ვითომ თქვენ ამით ებრძოდით, სრულიად უვნებლათ განზე რჩებოდენ?! ან შეიძლება იმ „დიდებულ მოძრაობაზე“ ბძანებთ, როცა გლუბრყვილო ხალხს არწმუნებდით — ორმოცი ათასი ლაშქრის გამოყვანა შეგვიძლიაო, ნამდვილათ კი „მაჭახელებით“ შეიარაღებული, უტყვია-წამლოთ, „უპატრონოთ“ ოცდახუთი კაცი გამოიყვანეთ, „ომი“ დააწყებიეთ, და როცა მთავრობის ლაშქარი თავზარდაცემულ ხალხს ცეცხლითა და მახვილით მოადგა და გაანადგურა, თქვენ აქით-იქით მიიმალეთ — და ხალხი ალიხანოვებს პირში მიეცით?!

და კიდევ „პოლიტიკურ გადასხვაფერებაზედაც“ მიგვითითებთ, ბ-ნო სოციალდემოკრატო, მაგრამ არ შეიძლება განზრახ არ მოატყუოთ და გარკვეულათ აუხსნათ ქართველ ხალხს, თუ რაგვარს „პოლიტიკურ გადასხვაფერებაზე“ ბძანებთ? ცხადია, იმ თქვენს ცნობილს „პოლიტიკურ გადასხვაფერებაზე“ ბძანებთ, იმ პოლიტიკურ სიბრძნეზე, რომელმაც ქართველი ხალხი, თქვენი მეოხებით, თავისთავის უარყოფასა და თვითმკვლელობას შეაჩვია?! სად არის მოძრაობის დიდებულება ქართველი ხალხისათვის?!.. უკუღმართათ მოწყობილი ცხოვრების განახლებისათვის ამოძრავების იდეა დიახაც დიდებულია — და ნუ მეტიჩრობთ, ეს იდეა სულაც არ არის თქვენი მოგონილი არც ჩვენში და არც სხვაგან; ჩვენს ქვეყანაში ამ დიდებული იდეის განხორციელებაში თქვენ ის ღვაწლი მიგიძღვისთ, რომ ქართველ ხალხს ეროვნული გრძნობა ჩაუქრეთ, ეროვნული სიამაყე გაუარარავეთ, გაუფასეთ; ქართველ ხალხს მუდამ ამას ჩასჩიჩინებდით:

„რის ქართველობა, რა ქართველობა?! ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობაო?!“ — და რუსთაველიც კი შეაძულეთ და ილია ჭავჭავაძეც!..

ქართველი ხალხის თქვენ არც წარსული გწამთ, არც აწმყო და არც მომავალი. წარსულის შესახებ თქვენ ამბობთ: „დამიმტკიცეთ, რომ წარსული სასიყვარულოა?.. ძველის შეძულება თავდებია უკეთესი ცხოვრების შექმნისაო“! რა თქმა უნდა, წარსულში ბევრი სისაძაგლე ყოფილა, მაგრამ ნუთუ ამიტომ ყველაფერს უნდა შევაფურთხოთ — თვით თამარის დიდებულ მოღვაწეობას და რუსთაველის გენიოსობასაც?!..

თქვენ კითხულობთ: ჩვენ რომ წარსული გვძულდეს, ილია ჭავჭავაძე რა შუაშია? ჩვენ მიერ წარსულის შეძულებას ილია ჭავ-

ჭავაძის მოკვლასთან რა კავშირი აქვსო? — ის კავშირი აქვს, რომ ეროვნების უარყოფით თქვენ ილია ჭავჭავაძისთანა პირებისადმი პატივისცემა გააქარწყლეთ, ამას მოყვა თქვენი „მოგზაურის“ ინსინუაციები — და ბოლოს უსინდისო მკვლელობაც...

არა, არა! საქართველოში თქვენი „დიდებული მოძრაობა“ ქართველი ეროვნების უარყოფასა და ილია ჭავჭავაძის მოკვლაში გამოიხატა, და თქვენ, ბ-ნო ნ. ჟ., ილია ჭავჭავაძის მოკვლას თითქო ჩირადაც არ აგდებთ; როცა ბძანებთ: „სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივაო!“ ვითომდა — ამისთანა „დიდებული რევოლუციის“ დროს ილია ჭავჭავაძეები რომ მოკლან, რა დიდი საქმეაო?! რა მოგვცა იმ თქვენმა „დიდებულმა მოძრაობამ“ იმისთანა, რომ ილია ჭავჭავაძეების დახოცვა ნაფოტების დაცვენათ ჩაირიცხოს??!!“[36]

„...თქვენ ბრძანდებით ილიოდორ-პურიშკევიჩები. განა თქვენ იმათი ალტერეგო არ ბრძანდებით? განა თქვენც იმათსავით არ ცდილობთ — რიცხვმრავალი ერი გააბატონოთ და პატარა ერები— მათ შორის ქართველი ერიც — მას დაუმორჩილოთ?!.. გაუნათლებელ წრეებს თქვენ ატყუებთ, თითქო მუშა ხალხის დიდი მომხრე იყოთ და მისთვის თავდადებულნი, — ნამდვილათ კი მათი მტრები ხართ. მუშების თვალის ასაბმელათ, თქვენს თავს „მუშათა პარტიას“ უწოდებთ, და ნამდვილათ კი იმისთანა პირობებსა ქმნით საწყალის ქართველისა და სხვა წვრილი ერების მუშებისათვის, რომელშიც მათ, ბურჟუაზიის კლანჭებს გარდა, ეროვნული მონობის კლანჭებიც სულის ხუთვას გაუსაკეცებს. — თქვენ უარყოფთ ეროვნულ ავტონომიას, რომელიც როგორც ქართველი ერის, ისე ყოველი პატარა ერისათვის ერთათ-ერთი განმათავისუფლებელი სახსარია მონობის კლანჭებისაგან, და, ამგვარათ, ხელს უწყობთ განმტკიცდეს კაცობრიობაში უსაშინელესი-ბატონყმობა, როგორიც კი ადამიანის გონებამ შეიძლება წარმოიდგინოს: თქვენ გინდათ გააფთ ე რ ო ვ ნ უ ლ ი ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ა, წვრილი ერების მონობა, და კიდევ ბედავთ, თავისუფლების სახელით ილაპარაკოთ?!“.[37]

7. „მთიდან ბღავილი ხარისა“

ყველაზე დაუმცხრალად „თავისი ბღავილით“ ბღაოდა შაინდ ვაჟა-ფშაველა. იგი უფრო იმის გამო ვეღარ იტერდა თავს, მკვლელები რომ მოკლულ ილიას საფლავშიც აღარ აყენებდნენ.

და ისევ გამოვიდა დიდი მთიელი მგოსანი სიტყვა-ბრალდებით ილიას მტერთა დასალახვრავად. სთქვა, დაწერა და სახელად დაარქვა— „ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო“:

„მე როდი მიკვირს ილიას აჩრდილის გარშემო ყვავ-ყორნები რომ ჩხავიან, არა ჩუმდებიან. ასე უნდა იყოს სწორედ: მსგავსი მოვლენა ხვედრია დიდებულ ადამიანთა, ხოლო ბრალდება ილიასი, რომელიც მხოლოდ ერთის მხრიდან გაისმის, ნიშანია იმისა, რომ ბრალმდებელთ მის მკვლელობაში ალბათ ფეხი უდგათ და ამიტომ ყოველ ღონისძიებას, ათასგვარ საშუალებას ხმარობენ ილია დამნაშავედ გამოიყვანონ, მაშასადამე, მოკვლის ღირსად, რათა თავი იმართლონ საზოგადოების წინაშე.

მოპირდაპირეებს მარტო ის არ უკლავს გულსა, ილია გლეხებს ვითომ სასტიკად ეპყრობოდა, არამედ ვერ მოუნელებიათ ის გარეშოება, რომ ილიამ ეროვნული საკითხი მკვიდრ ნიადაგზე დააყენა, იგია წარმომადგენელი მთელი საქართველოს ერისა, მისი იდეოლოგი. მოწინააღმდეგენი უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნილები, ამიტომ აბარტყუნებენ ხელებს და ფეხებს; უნდათ ბარდიდან გამოძვრენ. რაღაც დაჰრჩომიათ გამოსარკვევი, ჰსურთ გამოარკვიონ. ყვავ-ყორნებს ისეთი მოწყობილობა აქვთ ტვინისა და თავის ქალისა, რომ ჭავჭავაძე ჯერ დიდხანს იქნება იმათთვის ამოცანად.

ამბობენ ილია ჭავჭავაძემ თავის პირვანდელ მიმართულებას უღალატაო. მე ეს არა მჯერა, პირიქით უნდა დარწმუნებულნი ვიყვნეთ, ილია სამარემდის მთლიან ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოქროსი. ილიას უყვარდა საქართველო იმ თავით ამ თავამდე და მის სიკეთილდღეოდ იღვწოდა. ბატონყმობა სწამდა მავნებელ მოვლენად და კიდევაც აღუდგა მას წინ; ბატონყმობა საქართველოს დაჰლუპავსო ქადაგებდა, („რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი“) გადავარდა ბატონყმობა. ილია ჩვენის ცხოვრების მაჯისცემას ფხიზლად თვალყურს ადევნებდა, კარგად იცნობდა, როგორც გლეხკაცობას ისე

თავადაზნაურობას. ბატონყმობის გადავარდნამ იმედი არ გაუმართლა, სოფლის გლეხკაცობა კულტურული ცხოვრების გარეშე დარჩა, დღესაც იგი ჩვენი კულტურისათვის უსარგებლოა, არავითარი წვლილი არ შეაქვს. გამონაკლისს შეადგენს ქალაქში მცხოვრები მუშები, რომლებიც სწავლასაც ეტანებიან, შვილებსა ზრდიან, თეატრში დაიარებიან, ჟურნალ-გაზეთებს იწერენ, წიგნებს ყიდულობენ და კითხულობენ. ჩვენთვის, დიაღ, ეს კულტურული განვითარება იყო და არის დღესაც საჭირო. თავადაზნაურობა კი თუმც მართალია მამულ-დედულს ჰფლანგავდა, მაგრამ ცოტად თუ ბევრად, ამ ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს ეხმარებოდა, როგორიც არის სათავადაზნაურო სკოლა, თეატრი და სხვ. თავადაზნაურობა ჩვენს ბურჟუაზიას შეადგენს და თუ ილია, როგორც კულტურული ადამიანი, თავადაზნაურობისაკენ გადაიხარა, ეს სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების ბრალია. ჰხედავდა აგრეთვე ილია, რომ, როგორც კულტურული ცხოვრების წარმომადგენელი დღეს საქართველოში თავადაზნაურობა, ღარიბდებოდა და ეს მოვლენა სწყინდა. ყველას ვისაც ჰკვა აქვს, თუნდა გლეხი იყოს, ქართველ ადამიანს უნდა სწყინდეს შეძლებული ხალხის შემცირება ჩვენში და ყველას უნდა გვიხაროდეს, მდიდარი ხალხის გამრავლება, რადგან მრავალი მდიდარი, როგორც უნდა იყოს, ჩვენს ცხოვრებას სიმდიდრეს შეჰმატებენ, სანუგეშონი არიან. თუ ეხლა ერთიორი კაცი გვყავს მდიდარი და იმათ იმედი გვაქვს, რატომ ასი და ათასი მდიდრის ყოლა არა სჯობია ორი და სამი კაცის ყოლას? სოფლის გლეხკაცობა ძალიან ჩამორჩენილია ჩვენს კულტურულ ცხოვრებას. დიდი დროა საჭირო, ვიდრე ისინი ჩაებმებიან იმ საერთო ფერხულში, რომელშიაც არიან ჩაბმულნი: წვრილი ქალაქის ბურჟუაზია, სამღვდელოება და თავადაზნაურობა.

გაღარიბება გლეხკაცობის გულისათვის ამ ჩვენი ერის კულტურული ნაწილისა მავნებლად უნდა მივიჩნიოთ დღეს დღეობით. რასაკვირველია ან რაღა გაღარიბებაღა უნდა ისედაც გაღარიბებულსა და გაძვალტყავებულ თავადაზნაურობას?.. ვისთვისღაა საშიში ეს წოდება?

აგრარული საკითხის შეტანა ჩვენი პარტიების პროგრამებში დამარღვეველი იყო ჩვენის მთლიანობისა ე. ი. ქართველების ძლიერებისა, ძმას-ძმაზე ასისინებდა იმ დროს, როცა ერთობა და სოლიდარობა ქართველების სხვადასხვა წოდებათა შორის იყო დიდად

და დიდად საჭირო, მით უმეტეს რადგან საქართველოს ტერიტორიას უქადიდა კუთვნილებისამებრ განაწილებას კი არა, უცხო ხალხის ხელში გადასვლას, ხელიდან ჩავარდნილი ლუკმა ჩვენს ჯიბეში კი არა ვარდებოდა, სხვის ჯიბს ემატებოდა. რომელ ჭკვათამყოფელ ადამიანს არ ეწყინება ამგვარი მოვლენა?

ქართველი ხალხი მოძრაობას რომ მომზადებული შეხვედროდა, მიწის მობილიზაციის საქმეს სამერმისოდ გადასდებდა და სრულიად სხვა ტაქტიკას დაადგებოდა მოქმედებისას.

ჩვენ ერთმანეთს დავეტაკეთ და ურემი შინ მისატანი დაგვრჩა შუა გზაში გახიდული. ასე მოხდა და კიდევაც ასე მოხდება თუ ადამიანს წინადვე არა აქვს პლანი შედგენილი მოქმედებისა, თუ ადრევე არა აქვს გათვალისწინებული ყველა დამაბრკოლებელი მიზეზები.

ჰავჰაეაძეს ამოქმედებდა არა პირადი ინტერესი, პირადი საჯგებლობა, არამედ საქვეყნო საქმე, ქვეყნის სიყვარული და მოკვდა მუხთალის ხელით არა როგორც თავადი, არამედ როგორც რწმენისა და აზრის კაცი.. მის მოწინააღმდეგეთ, ვგონებ, თანდათან თვალებიდან ლიბრი ეცლებათ, ჰგრძნობენ დიდს შეცდომა-შეცოდებასა და ამიტომ მოუსვენრად არიან...

დღეს, ვინც ავს ამბობს ჰავჰავაძეზე, მე იმას ილიას მკვლელს ვეძახი. არ არის ასე? ინტელიგენტს, ავის მთქმელს ამ დიდებულ ადამიანზე, არაფრით ვარჩევ იმ რეგვნისაგან, რომელმაც ილიას ხელი შეახო და მის ფიზიკურად მოსაკლავად მახვილი მოიმარჯვა. გაირჩევა კი რითმე? არაფრით. ვის ვებრძვით? რას ვებრძვით? რატომ არ დავფიქრდებით?!

საქართველოს მაშ დღეს თავადაზნაურობა ჰღუპავს, არა? თავად აზნაურული დაწესებულებანი — ბანკი, სათავადაზნაურო სკოლა? საწყალი თავადაზნაურობა! მგელს მგლობა დაერქვა, ტურამა ქვეყანა ამოაგდოო! საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენი! კაცს ეგონება XIX საუკუნის დასაწყისში ვცხოვრობდეთ და იმდროინდელ თავადაზნაურებთანა გვქონდეს საქმე.

შეფასება რომ მოხდეს ილიას რწმენისა, მის გრძნობა აზროვნებისა, აქაც არაფერსა ვპოებთ მის დამამცირებელს ისეთს, რომ ილია მართლა დასაგმობი იყოს. ნუთუ ავია, მოსაკლავია ის მშობელი, ის მამა, რომელიც არ აბედენებს და ერთიანად უცქერის, ერთნაირად ეპყრობა ჯანსაღსა და მახინჯს თავის შვილებს?!

ვინ დაჰგმო განა მამა უძღები შვილისა შებრალება-შეწყნარებისათვის?

ღავგმოთ ჩვენც ჭაკჭავაძე იმისთვის თუ მას ებრალებოდა თავადაზნაურობა, არა როგორც წოდება, არამედ როგორც ადამიანები? განა შეიძლება? დიაღ, მას ებრალებოდა თავადაზნაურობა, როგორც დასუსტებული ნაწილი, სუსტის, მცირერიცხოვან თავის ერისა. რა არის აქ დასაძრახისი, რა არის აქ არა ადამიანური?

ნუთუ არა გჯერათ, რომ მოვა დრო, როცა თავადაზნაურთა წრიდან გამოსულნი სახელოვანი მოქალაქენი, მოღვაწენი და მოაზრენი იქნებიან და ამ მხრივ თუ წინ არ გაუსწრობენ, უკან არ ჩამორჩებიან გლეხის შვილებს?!.

მაშ გავსწყვიტოთ ისინი?

ილიაც სწორედ მაგას ამბობდა, ნუ ჰხოცთ თავადებსა და აზნაურებს, რადგან ძმები ხართ და თუ დღეს არა შემდეგში მაინც დაუფასებელ ძმობას გაგიწევთო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ გულადობა-ვაჟკაცობაში თავადაზნაურობას ვერავინ შეეჯიდება, ეს ხომ ყველამ ვიცით. ნუთუ ამ ღირსებასაც ზიზღით შევხედოთ?

ილია რომ ბატონყმობის მომხრე ყოფილიყო, „ოთარაანთ ქვრივს“ როდი დასწერდა. დიდებული, ბრწყინვალე თავადისშვილის ქალს, ნაზსა და ნარნარს კესოს ვიღაც ოთარაანთ ქვრივის სასძლოდ არ დაჰსახავდა და არ გვეტყოდა: დაუახლოვდით ერთმანეთს თავადნო და გლეხნო რჩთაც, როგორც კი შაიძლებოდესო. ხოლო უებარ წამალად და საშუალებად ამ ერთობისა მოყვრობა დასახა. ილიამ გლეხისა და თავადის სისხლი ერთნაირი თვისებებისა და სცნო და მათ ერთმანეთში შერევას თავის მადლიანის მარჯვენით ხელიც მოუმართა, რათა გაემთელებინა „ჩატეხილი ხიდი“. ამ ჩატეხილი ხიდის გამრთელება მისი ოცნება იყო. რად გახდა ეს ჩატეხილი ხიდი ილიას ოცნებად? რის გამო? ნუთუ იმიტომ რომ ის მტერი იყო თავის ერისა? ილია მოღალატე იყო ხალხისა? ავი უნდოდა გლეხობისათვის?!

აღარ ვიცი რა თქვას და რა ქმნას კაცმა, რა თქვას ისეთი, რომ დაბრმავებულთ აახილონ თვალები და დაინახონ მისი ნათელი, შარავანდედით შემოსილი სახე, — გამოიღონ ყურებიდან ბამბა და გაიგონონ, შეისმინონ მისი ხმა ძმობის, ერთობის და სიყვარულისა, შეიგნონ წესი ქვეყნის სამსახურისა. ილაპარაკეთ, ბევრი ილაპა-

რაკეთ, ბევრი წერეთ, ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბევრი! მე ვერ გეტყვით გაჩუმდითო, ვერ გეტყვით: დროა ბოლო, ბოლო მოეღოს მითქმა-მოთქმასო, რადგან მნემოსინა ჩვენის ქვეყნისა არ დაგადუმებსთ, ბევრს დაგაგდებსთ ქადაგად. დაბოლოს ამას ვიტყვი: ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან, ზოგსა კაცსა — კაცუნაო, ზოგს დედაკაცს — დედაკაცი, ზოგსა — დედაკაცუნაო.“[38]

8. „ჰერის გახსნა“

ილიას სიკვდილი მარად გამოუგლოვარ ტკივილად უნდა დარჩენოდა საქართველოს. მაგრამ ყოველ გლოვას, ქართველთა უძველესი ჩვეულებით, მაინც უნდა მოჰყოლოდა „წლის თავი“, ანუ „ჰერის გახსნა“. მაინც უნდა „ეთენებია დღეს ღამე“, მაინც უნდა თქმულიყო ღვთიური „მრავალჟამიერ“.

ასეთი „წლისთავი და „ჰერის გახსნა“ საქართველოში, სწორედ ილიას აღსრულების წლისთავზე, იყო იუბილე ილიას ყველაზე დიდი თანამებრძოლისა, და უგვირგვინო თანაგვირგვინოსნისა — აკაკი წერეთლისა.

ეს მოხდა 1908 წლის 7 დეკემბერს.

ზეიმი იყო საყოველთაო. თანაც — საყოველთაო არა მხოლოდ ქართველებისთვის, არამედ იმპერიის ყოველი კეთილი სულის ადამიანისთვის, განურჩევლად მისი ეროვნული წარმომავლობისა.

ვაკიდან სიონის ტაძრამდე, გზა რომელიც უნდა გაევლო აკაკის, მოზეიმე ხალხით იყო გადაჭედილი. ყველას უნდოდა ეხილა, შეხვედროდა და მისალმებოდა უილიაო საქართველოს ეროვნული ცხოვრების პატრიარქს.

სიონის ტაძარში მიიყვანეს. პარაკლისი გადაუხადეს. გამოიყვანეს, ისევ ატარეს ზღვა ხალხში, „ვაშას“, „დიდებას“ გრიალში, აღტაცებული ყოველი კაცისგან, ქართველისგან და არაქართველისგან, ერისგან და ბერისგან.

საოპერო თეატრი, — სადაც საიუბილეო სხდომა იმართებოდა — ველარც გარეთ და ველარც შიგნით, ხალხს ველარ იტევდა.

12 საათზე ფარდა აიხადა. აკაკის გამოჩენა და ხალხი ფეხზე

დადგა, ტაშის ცემით და ვაშას გრიალით. დიდხანს [illegible] ოვაციას ჩაერთო ზაქარია ფალიაშვილის მიერ [illegible] რილი დიდებული „მრავალჟამიერი“, რომელიც შეასრულეს ხიმ- ღერალთა გუნდმა და ორკესტრმა, ივანე ფალიაშვილის [illegible] რობით.

საიუბილეო სხდომა დაიწყო იაკობ გოგებაშვილის [illegible] სიტყვით. ამას მოჰყვა საქართველოს ყოველ კუთხეთაგან [illegible] მადგენელთა და დელეგაციათა მისალმებანი, [illegible] აღმატებული.

სომეხთა მისალმებაზე აკაკიმ ასეთი პასუხი [illegible]:

„ნურაფერს უკაცრავად, რომ თბილისში, ამ [illegible] და ქალაქში, მეც ქართულად უნდა გიპასუხოთ, [illegible] თქვენ, როგორც აქ დაბადებული, გაზრდილი და [illegible] თულადაც გაიგებთ ჩემ გულის ნადებს:

ძველად, როგორც ისტორია გვეუბნება, ქართველები [illegible] ხები ყოველთვის ძმურად ხელი-ხელ ჩაკიდებული [illegible] ეგებებოდენ ჭირსა და ლხინს. დღეს გარემოება იცვალა, [illegible] არის, ცოტა რამ ამღვრეული წყალი შემოეპარა [illegible] დაგზედ, მაგრამ მე, როგორც ქართველს, რომელსაც [illegible] დაქცეული რუსთაველის სიტყვები მომაგონდება: „მცირე [illegible] სამდურავი მოყვარეთა წესიაო“, არ მეშინია; დარწმუნებული [illegible] რომ ამიერიდან, როგორც ძველად, ხელი-ხელ ჩაკიდებული [illegible] გებებით მომავალს, წინ დახედული იყოს ჩვენ შორის ძმობა, [illegible] თობა და სიყვარული“.[39]

ხოლო, თათართა მისალმებას ეს უპასუხა აკაკიმ:

„თქვენი აქ მობრძანება, საზოგადოთაც გვახარებს. [illegible] ჩვენ და თქვენ შუა გალესილი მახვილი იდვა, დღეს განათლებამ და განვითარებამ წინ ისეთი ბიჯი წაგვადგმევინა, რომ ის მახვილი კავშირად არის გადაქცეული, სარჩულად უდევს ერთობა და სიყვარული.

ნათელს აღმოსავლეთით მოველით დღეს, მაჰმადიანობას წინაძღოლობით და ჩვენც მათთან ერთად მიუხედავად სარწმუნოებისა, მზათა ვართ თავდადებით მივეგებოთ. კურთხეულ იყოს ამ[illegible] გან ჩვენ შორის ერთობა და სიყვარული“.[40]

გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა ვაჟა-ფშაველას გამოსვლამ და ლექსმა აკაკისადმი:

მშობელი ქვეყნის მოზარევ,
უნდა გიმღერო მთურადა.
იმავ ჰირით ვარ სნეული,
რაც შენ გატყეია წყლულადა.
რა ვუყოთ? ბედი შავბედი
თუმცა გვექცევა მგლურადა,
მაინც ვაჟღერებ ჩონგურსა
მტარვალთა შესამუსრადა,
შენს სამახსოვროდ, მოხუცო,
თავს ჩაჩქნად დასახურადა!
თუნდ არ მოგწონდეს, იქნება,
ჩემის ფანდურის ჩხაკუნი,
მიიღე სარეკელასი
როგორც წისქვილში რაკუნი,
ეს ჩემი შენთვის მოძღვნილი
სალამი, გრძნობის ნაპური,
დღევანდელ დღესა არ ძალმიძს,
არ ჟღერდეს ჩემი ფანდური!
ილიაც მესაუბრება,
უნდა დავუგდო მას ყური.
დაცალებული გულისა
უნდა ამოთქვას ენამა:
წყლულები საქართველოსი
გაიგო შენმა სმენამა.
მეც ამატირა ბევრჯელა
შენს თვალზე ცრემლის დენამა.
ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა!
რომ მიყვარს მამულიშვილი,
დაე, იცოდეს ყველამა,
გადაგვარების მოსურნე
შაპამოს ტურა-ფელამა!
მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ლხენამა!
სამშობლოს სამსახურისთვი
ჩანგი გიკურთხოს ზენამა!

პოეტს მიესალმნენ საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ პატარა მკითხველები. აკაკიმ მათ საპასუხოდ წარმოთქვა:

„ჩემო პატარა მეგობრებო!.. თქვენი სიტყვა მუსიკასავით მწვდება გულის სიღრმემდინ და დიდ მადლობასაც გწირავთ, გთხოვთ რომ არ დაივიწყოთ დღევანდელი დღე, მიტომ კი არა რომ ჩემის

მიზეზით არის გამოწვეული, არა, უფრო სხვა მოსაზრებით; აი, ხომ ხედავთ ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა და უნდა რომ ჰყვანდეს მას ნამდვილი მოღვაწე და გმირი და არა ჩემსაეით მოჩვენებული. და ეს გმირი თქვენმა თაობამ უნდა წარმოშოს და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მუდამ ეროვნულ ნიადაგზედ გედგმებათ ფეხი; ვინც თავის გვარტომობას უარ ჰყოფს, ის ვეღარც სხვებს გამოადგება, უვარგისი იქნება შინაც და გარეთაც. გიყვარდეს თქვენი ქართველობა, მაგრამ შოვინისტურის გრძნობით კი არა, ესე იგი რომ სხვისი დაკლებით რამე შესძინოთ თქვენს ეროვნებას. არა! იმ სიყვარულით, რომელსაც სარჩულად უნდა ედვას ძმობის, ერთობის და სიყვარულის სურვილი. გადაეცით ეს თქვენს პატარა ამხანაგებს".[41]

მერე სავანელმა გლეხებმა სცენაზე შემოიტანეს აკვანი, რომელშიც ყრმობისას იწვა აკაკი.

ისევ სიტყვები, ისევ მილოცვები, დეპეშები: პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტისაგან (სადაც თავის დროს სწავლობდა თვითონ პოეტი), ჟურნალ „რუსსკოე ბოგატსტვოს" მთავარი რედაქტორის, ცნობილი მწერლის ვლადიმერ კოროლენკოსაგან; მოსკოვის სამხატვრო თეატრისაგან, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს ხელმოწერით. მოსკოვის სალიტერატურო და სამხატვრო წრის დაფალებით ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინისაგან; უკრაინის ჟურნალ „ლიტერატურნო-ნაუკოვი ვისტნიკისა" და უკრაინულ გაზეთ „რადას" რედაქციებისაგან; უკრაინის საშეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოებისაგან; მარჯორი უორდროპისაგან, და სხვათა მრავალთა პირთაგან და დაწესებულებათაგან.

დაბოლოს სამადლობელი სიტყვა ბრძანა აკაკიმ:

„ბატონებო! 50 წელიწადი ვებრძოდი უსამართლობას, განსაკუთრებით შინაურ უკუღმართობას — იარაღად ვხმარობდი სიტყვას და კალამს, სადაც მცირეოდენ, ძალიან მცირეოდენ თაფლთან ბევრი ხაღველი იყო ჩემვე ცრემლებში ჩალესილი... ასე თუ ისე, ამ ჩემმა ხელობამ ბევრი სიმწარე გამომაცდევინა და ვინ იცის რამდენჯერ გამისკდებოდა გული, რომ აქა-იქ თანამგრძნობლები არ მყოლოდა... მე ჩემი თავი ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩ-

ნია პატარა დღიურ მუშად, ძალიან მცირედ, ასე რომ, თუ ჩემს შრომას ვინმე ყურადღებას მიაქცევდა, არ მეგონა, მაგრამ ახლა ვხედავ შემცდარი ვყოფილვარ და დღეს ჩემი შრომა ერთი ათასად ფასდება. რას უნდა მივაწეროთ ეს? იმას, რომ ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა, რომ მას ჰყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, რისაც მე მხოლოდ მოჩვენებულადა ვარ. მის ამ დიად გრძნობას შევუერთებ ჩემს ნატვრასაც, რომ მოვლინებოდეს ის სანატრელი გმირი, და მე კი:

ის არ ვარ, თქვენ რომ გგონივართ,
ძნელი ყოფილა ჰაღარა...
თამამად ვეღარ გაჰკივის
ჩემი დაფი და ნაღარა!..
გული არ იშლის გულობას,
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ღონე,
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი
და ბევრი „უის“ გამგონე.
ბივსო გული წვეთ-წვეთად
ნაღველითა და შხამითა,
ისე, ვით საუკუნენი
სხვადასხვა მრავალ წამითა,
და რაღათ მინდა სიცოცხლე
მე აწმყო გამწარებულსა,
თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა.
მაგრამ ბიედი, ცის ნიჟი
რომ გამიელვებს გლახ გულსა,
თავი ტარიელ მგონია
ოცნებით გარემოცულსა.
ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მისცენ, ხელი-ხელს:
ნესტან დარეჯან ქალებს ჰყავს
მოელის ტურფა გამომხსნელსა
რა ვუყოთ, თეთრი თმა მქონდეს,
სისხლით შევღებავთ ჰაღარას
და საგმირო ხმას ვაძახებ
ჩემსა დაფსა და ნაღარას.
მაგრამ ვაიმე, რომ იქვე
მოუგზავნია ჯოჯოხეთს,
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს, გულს მახეთქს,

ამბობს: ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო,
და შენც ტარიელს მიჰგავხარ
ისე, ვით კატა ლომსაო.
მართალი არის, მაგრამ რაღ
რათ გავიტეხო იმედი,
გმირს წინა უძღვის ყოველთვის
უძლური წინამორბედი.
არა, არ ვკარგავ იმედსა,
ვერ შემაშინებს ჭაღარა,
გმირებს მოელის თქვენგანვე
ჩემი დაფი და ნაღარა".

თბილისის შემდგომ, კვირის თავზე, 14 დეკემბერს, აკაკის ზღაპრული, სწორედ „ქუთაისური", საიუბილეო შეხვედრა მოუწყო ქუთაისმა.

საზეიმოდ მორთულ ეტლს, რომლითაც პოეტი სახლიდან თეატრში მოჰყავდათ, ახალგაზრდებმა ცხენები გამოუხსნეს, თვითონ შეებნენ და ისე მიაქანეს თეატრში. ზეიმი — ოვაციები, სიმღერები, ხალოცვები — გაგრძელდა დღეღამ-სწორებით...

კიდევ ერთი კვირაც და, 21 დეკემბერს; აკაკი საიუბილეოდ და საზეიმოდ მიიღო ბაქომ. ეს იყო გრანდიოზული, ჰეშმარიტად ინტერნაციონალური საღამო. დიდ ქართველ პოეტს, ქართველებთან ერთად, ესალმებოდნენ რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, პოლონელები, ლატვიელები, და სხვანი. აკაკი ყველას ცალცალკე პასუხობდა, ყველას წრფელად უალერსებდა. უკრაინელებმა ტარას შევჩენკოს სურათი მოართვეს ქართველთა მგოსანს. აკაკიმ პასუხად შეაგება: „მე მუსიკაზე მწყრალად ვარ. არ მწყალობს ამ მხრივ ბუნება და ამ ნაკლს მივსებდა ყოველთვის შევჩენკო. მე სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ნატვრა ამისრულდა და შევჩენკო ვნახე, მასუკან აღარ მინახავს. დღეის იქით ჩემს კაბინეტში მეყოლება შევჩენკო. ეს სურათი სიკვდილამდე იცოცხლებს ჩემთან"...[42]

ბაქოს შეხვედრაზე განსაკუთრებით საგულისხმო იყო აკაკის პასუხი იქაურ მუშათა მისალმებაზე:

„...მე რომ მოღვაწეობა დავიწყე, ამ 50 წლის წინათ, მაშინ პროლეტარიატი არ იყო, ეს ახალი საქმეა. ამ ახალ საქმეში მე ხელი არასდროს არ შემიშლია. აბა მაჩვენეთ, სად არის ჩემგან დაწერილი „არ გაუმარჯოს პროლეტარიატს"-ო. მართალია მე ჩემი

აზრი მაქვს და ვერ შევცვლი მას. ვერ დავანებებ თავს ნაციონალისტობას. თავისუფლება მსურს მეც, მაგრამ მე სხვა გზით მივდივარ მის მოსაპოვებლათ და თქვენ სხვა გზით. მე ამ შემთხვევაში ვუყურებ ქართულ ანდაზას: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუპამია“-ო და ვამბობ, რომ ჯერ ერთი ბიჯი უნდა წავდგათ წინ, მერე მეორე, მესამე და ასე შემდეგ. ხტუნიაობით კი, ჩემი ფიქრით, არაფერი არ გაკეთდება. ჯერ ის უნდა გავაკეთოთ, რაც წინ გასაკეთებელია. აქ ერთმა დეპუტატმა, ბატონმა ხატისოვმა მითხრა, რომ „დადგება დიდებული დრო, როცა აღარ იქნება არც ქართველი, არც სომეხი, არც მაჰმადიანი, არც რუსი და სხვა; არამედ იქნება ერთი დიადი კაცობრიობა, აგებული ძმობა-ერთობა-სიყვარულზე და თანასწორობაზე“-ო... მაგრამ... ეს ასე არ მოხერხდება. თვით ბუნება არაა ერთფეროვანი. ის სხვადასხვა ადგილას სხვაღასხვანაირია და ამის მიხედვით სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ერებიც სხვადასხვა ხასიათის და ზნეჩვეულებისაა... ჩემი აზრით ჯერ საჭიროა თვით ერი შეერთდეს, ცალკე, ერთ მთლად და მერე შეიძლება სხვა ერებთან გაერთიანებაზე ფიქრი თავიანთი ეროვნების დაცვით“...[43]

აკაკის იუბილეს თავის მხრივ სადიდებელი სიტყვები მიუძღვნეს პეტერბურგისა და მოსკოვის მთავარმა გაზეთებმა, უკრაინულმა გაზეთმა „რადამ“, პოლონურმა გაზეთმა „გოლოს ვარშავსკიმ“. უცხოეთის პრესაც არ დარჩა ვალში. პარიზის „აქსიონის“ სურათებიან დამატებაში დაიბეჭდა საგანგებო წერილი ქართველი პოეტის შესახებ, სახელწოდებით „Le jubile d'un grand poete“. გაზეთ „პტიტ რესპუბლიკის“ რამდენიმე ნომერმა გამოაქვეყნა ნაწყვეტები აკაკის პოემებიდან — „ნათელა“ და „გამზრდელი“. გაზეთმა „მერკურ დე ფრანსემ“ ვრცელი წერილი მიუძღვნა საერთოდ ქართულ მწერლობას, სადაც მთავარი ადგილი ეთმობოდა ილიას და აკაკის შემოქმედებას...[44]

მაშ, აკაკისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი იყო საყოველთაო და საკაცობრიო.

მაშ, „წლისთავი“ და „ჭერის გახსნა“, ილიას სიკვდილით მგლოვიარე საქართველოში, იყო კვლავაც საყოველთაო.

მაგრამ ახლაც და აქაც — მართლა კი ეთქმოდა „საყოველთაო“?!

ეთქმოდა კი, როცა ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა ერის საყოველთაო ზეიმში?!

და არ მონაწილეობდა „მესამე დასი".

და ბუნებრივიც იყო: ვინც არ მონაწილეობდა ილიას გლოვაში, ის მონაწილეობას არ მიიღებდა აკაკის ზეიმში.

ბუნებრივი იყო, — რამეთუ აკი ილია და აკაკი ერთნი იყვნენ — სიცოცხლეშიც ერთნი და სიკვდილის შემდგომაც ერთნი.

შეიძლებოდა საკუთარი ენისა, ერისა, მამულისა და მისი ისტორიის უარმყოფელნი სიხარულით აღვსილიყვნენ და საზეიმოდ აღკაზმულიყვნენ ისეთი „შოვინისტისა" და „ნაციონალისტის" მიმართ, რომელიც ხაზგასმით მოუწოდებდა დიდს თუ პატარას: მუდამ ეროვნულ ნიადაგზე უნდა გდგებოდეთ ფეხით; ვინც თავის გვართომობას უარყოფს, უვარგისია შინაც და გარეთაც; მე თვითონ ნაციონალისტობას თავს არ დავანებებო; ერზე გადახტომა და „ხტუნიაობით" საქმე არ გაკეთდებაო; ჯერ ერი უნდა შეერთდეს ერთ მთელად და მერე შეიძლება სხვა ერებთან გაერთიანებაზე ფიქრი, თავიანთი ეროვნების დაცვითო...?!

ერთი წლის შემდეგ, 1909 წელს, აკაკი პარიზში იყო და იქაც ასეთი სიტყვით მიმართავდა იქ მყოფ ქართველ ახალგაზრდობას: „ნურავინ იტყვის იმას, რომ არის კაცობრიობა და არა ნაციაო, ეროვნებაო და მეც მინდა პირდაპირ კაცობრიობას ვემსახუროო!.. ფერადოვანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელფერი და საკუთარი „რამეობა" უნდა შეიტანოს, რომ აიცსოს საკაცობრიო ზღვაჲ თვითეულ კაცს, თავის ნაციასთან შეზრდილს, უფრო ნაყოფიერად შეუძლიან იმუშაოს თავის სამშობლოში, ვიდრე გარეთ... და მართლაც, ვისაც თავისი საკუთარი მშობელი არ უყვარს, მას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს?"[45]

ამ ბოლო სიტყვით კი მოტყუებული იყო აკაკი; ყოფილან საქართველოში ისეთი ქართველები, რომლებიც უფრო ნაყოფიერი მუშაობით სწორედ სამშობლოს გარვთ იმუშავებენ, ვიდრე სამშობლოს შიგნით და, რაც მთავარია, — ისინი თავის საკუთარ მშობელსაც იოლად მოიძულებენ და ნაცვლად სხვის მშობელს შეიყვარებენ.

და ესენი კვლავ და კვლავ იყვნენ „მესამე დასელნი".

ილიას სიკვდილს რომ ზეიმობდნენ და აკაკის — ამ ილიასავით „გაუსწორებელი ნაციონალისტის" — სიცოცხლეს, ალმაცერად უცქერდნენ.

საქართველოს ნაგლოვარ ცაზე კი - „ჭერი გახსნილი" იყო.

წიწამურზე, ილიას ნასისხლარზე, ქართველებს შავი ჯვარი აღემართათ.

კარი მესამე



ათი წელი ჟ-ილია-ოლ

1. პეტიცია

საქართველო 1905 წლის რევოლუციისათვის უსასტიკესად დაისაჯა. რუსეთის იმპერიული სასახლისათვის ასეთი დაუნდობელი ანგარიშსწორება ჩვეულებრივი ნორმა იყო. ქართველთა ქვეყანა იწვა დანგრეული, გადამწვარი, გაძარცვული და ნამუსახდილი.

მსოფლიომაც შეიტყო საქართველოს აოხრების ამბავი. ამ საქმეში დიდი როლი ეთამაშნა მაშინ ლონდონში მცხოვრებ ვარლამ ჩერქეზიშვილს.

იგი გარეკახელი იყო, სოფელ თოხლიაურიდან; პოლიტიკური მიმართულებით ანარქისტი. სწავლობდა კადეტთა კორპუსში. იქვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ორჯერ შეიპყრეს და გააციმბირეს. გადასახლებიდან გაიქცა და საზღვარგარეთ გააღწია. იქ ბაკუნინელთა წრეებში თანამშრომლობდა. უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი შეიქნა კროპოტკინისა. სისტემატიურად წერდა და აქვეყნებდა ფილოსოფიური და სოციალური ხასიათის წერილებს, ნარკვევებს. 1896 წელს ფრანგულად გამოვიდა და მრავალ ენაზე ითარგმნა ჩერქეზიშვილის წიგნი — „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან“. 1903 წელს დააარსა რუსული ანარქისტული გაზე-

თი — „Хлеб и воля“, სადაც მასთან ერთად თანამშრომლობდნენ კროპოტკინი და კამანდო გოგელია.

და აი, საქართველოში ჩამოვიდა გაზეთ „ტაიმსის“ საკუთარი კორესპონდენტი ვილლარი, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილის სარეკომენდაციო წერილებით ეწვია ილია ჭავჭავაძეს და მიხაკო წერეთელს. ამათთან საუბრის შემდეგ ვილლარმა მოიარა და მოიხილა საქართველო და, უკან დაბრუნების შემდგომ, გამოსცა წიგნი — „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში“ — ნამდვილი ბრალდება რუსეთის კოლონიალური პოლიტიკისა საქართველოში.

ვილლარის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდნენ ამერიკელი კორესპონდენტები, დორლანდი და ბრაუნი, რომლებმაც თავის მხრივ საზღვარგარეთ გაიტანეს და გააქვეყნეს საქართველოს გადაწვისა და აოხრების ამბავი.

თვითონ ვარლამ ჩერქეზიშვილმა და მისმა მეუღლემ გამოაქვეყნეს წერილები მაშინდელი საქართველოს მდგომარეობათა გარშემო, ამერიკისა და ინგლისის პრესაში. მაგრამ ჩერქეზიშვილმა ესეც არ იკმარა და საქართველოში წერილი გამოგზავნა და ქართველ ქალებს მოუწოდა, ინგლისელი ქალებისათვის მიეწერათ რუსი კოლონიზატორების სიმხეცის შესახებ და ეთხოვათ დახმარება ცარიზმის წინააღმდეგ საპროტესტოდ.

ქართველ ქალებს კი, ჩერქეზიშვილის წერილის ჩამოსვლამდეც გადაეწყვიტათ საზღვარგარეთ საპროტესტო წერილის გაგზავნა. ამ საქმეს სათავეში ჩასდგომოდა მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი, და მასთან — მარიამ დემურია, ნინო ნაკაშიძე და თამარ გრუზინსკაია. პროტესტი კიდევაც დაიწერა და მრავალ ქალთაგან ხელმოწერილი გაიგზავნა ინგლისში[1]. ჩერქეზიშვილმა იგი გადასცა თავის მეგობარ ოჯახთა დიასახლისებს — დრაიჰორსტს და კობდონს. ამათ კი თავის მხრივ ქართველ ქალთა ადრესი და ცარიზმის სიმხეცის ფაქტები გამოაქვეყნეს სხვადასხვა პარტიისა და პოლიტიკურ ასოციაციათა ორგანოებში და, პარალელურად ამისა, ისინი მოუწოდებდნენ ინგლისის ქალებს. მოეთხოვათ საკუთარი მთავრობისათვის, ინგლისელ ქალთა სახელით პროტესტი გამოეცხადებინა რუსეთის მთავრობის მიმართ, საქართველოში ჩადენილი ბარბაროსობის გამო.

ამავე დროს ლონდონში შედგა საგანგებო კომიტეტი, ქალბატონ კავენდიშისა და ბატონ პორიის თავმჯდომარეობით. დააარსეს

სალარო. მოლარეობა იკისრა ლიბერალმა ბანკირმა სკოტმა. ამ კომიტეტის საშუალებით, დრაიჰორსტმა ორ კვირაში 4000-ზე მეტ ინგლისელ ქალს მოაწერინა ხელი საპროტესტო წერილზე. და გაუგზავნეს ეს წერილი ინგლისის მთავრობას. გაუგზავნეს და ისეთი შთაბეჭდილებაც მოახდინა, რომ ინგლისის მთავრობამ მაშინვე გააუქმა რუსეთისაკენ მეგობრული მანიფესტაციისათვის გამზადებული ფლოტის გამგზავრება. ნიკოლოზ მეორის სასახლის კარი ძალიან შეაშფოთა და ჩააფიქრა საზღვარგარეთ საქართველოს გამო ატეხილმა ხმაურმა.

ქართველთა დაცვის ინგლისელ ქალთა კომიტეტს კი, ახლა მარტო ხელმოწერები კი არა, უკვე ფულიც მოსდიოდა, რუსეთის დესპოტიზმის ქართველ მსხვერპლთა დამხმარე შეწირულობად. ბოლოს, შემონაწირი იმდენი დაგროვდა, გადაწყვიტეს საქართველოში დელეგატი წარეგზავნათ, იმ ფულთან ერთად. დელეგატობა დაეკისრა თვითონ ქალბატონ დრაიჰორსტს.

ვარლამ ჩერქეზიშვილი მაშინ საქართველოში იმყოფებოდა. ლექციების წაკითხვაც სცადა ქართულ საზოგადოებათა წინაშე. კიდევაც ავიდა ტრიბუნაზე, ხალხით გაჩედილ, თბილისის საქალაქო საბჭოს შენობაში, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა ობსტრუქცია მოუწყვეს და, ისე რომ მიხაკო წერეთლის ომახიანმა პროტესტმაც ვერ უშველა — ლექცია ჩაიშალა[2].

მაგრამ ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მისი მეუღლისათვის სასიხარულო ის აღმოჩნდა, რომ მათ თბილისში ეწვიათ ინგლისელი მეგობარი ქალი, ქალბატონი დრაიჰორსტი. აგრეთვე, იმავე ჟამს, მათ ესტუმრათ ძველი ინგლისელი მეგობარი, ამერიკა-ინგლისში ფრიად გახმაურებული მწერალი და ჟურნალისტი, ნევინსონ.

და დაიწყეს ყველამ ერთად შეხვედრები დაზარალებულ ქართველებთან — თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სენაკში, სიღნაღში, თელავში. უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია სტუმრებზე ქართველებთან ყოველ შეხვედრას. განსაკუთრებით ის უკვირდათ, დაზარალებულები ფულზე რომ უარს ამბობდნენ. — ჩვენ მხოლოდ პოლიტიკურ და ზნეობრივ დახმარებას გთხოვთო, — ეუბნებოდნენ ქართველები ინგლისელებს — ფულის შეკრებით კი თავს ნუღარ შეიწუხებთო; რაც უნდა ღარიბი და გაჭირვებული ვიყვნეთ, მაინც შევძლებთ ერთმანეთის დახმარებასო; თქვენ კი მხოლოდ გათელილი უფლებების დაცვაში დაგვეხმარეთო.

და უთხრა განცვიფრებულმა დრაიპორსტმა ჩერქეზიშვილს: მოგვილოცავს, რომ თქვენი თანამემამულენი ვერ დაუკნინებია და ზნეობრივად ვერ დაუსახიჩრებია პოლიტიკურ მონობასო. „თქვენ ასე ფიქრობთ?“ — ჰკითხა ჩერქეზიშვილმა. „დიახ, — განაგრძო დრაიპორსტმა — აქ თქვენები უარს ამბობენ მომავალში მათ სასარგებლოდ ფულის შეგროვებაზე. იქ კი, ლონდონში, ჩემთან მოვიდნენ მეორე ეროვნების წარმომადგენლები და მოითხოვდნენ, რომ შეგროვილი ფულის ნახევარი მათ გადასცემოდათ, რადგანაც, ამბობდნენ ისინი — საქართველოში მარტო ქართველები ხომ არ ცხოვრობენო... დიახ, თქვენი თანამემამულენი ნამდვილი მოქალაქენი არიან, მხნე ხალხის ღირსებითა და გრძნობით დაჯილდოებულნი მე აღარ მიკვირს, რომ რუსის დესპოტიზმი ნამეტურ თქვენი ხალხის წინააღმდეგ ამხედრდა...“

ინგლისელები აღტაცებაში მოვიდნენ გელათის ფრესკებით, ქუთაისის და ზესტაფონის სილამაზით, ქართველ არისტოკრატთა, ინტელიგენტთა და გლეხთა ერთნაირი სიდარბაისლით და სტუმართმოყვარეობით.

გამოთხოვებისას ჩერქეზიშვილმა დრაიპორსტს სთხოვა ევროპაში დაბრუნებულს დაეწყო ლაპარაკი საქართველოსა და რუსეთს შორის ერთ დროს (1783 წ.) დადებულ ხელშეკრულებაზე და რუს ხელმწიფეთაგან ქართველთა უფლებების ვერაგულ გათელვაზე.

„მე მზადა ვარ ვემსახურო თქვენს სტუმართმოყვარე და მამაც თანამემამულეებს, მაგრამ როგორ ფიქრობთ თქვენ ამ საქმის დაწყებას?“ — ჰკითხა დრაიპორსტმა.

„თუ ჩვენი ინგლისელი მეგობრები და თქვენი კომიტეტი მხარს დაგვიჭერენ, მე წინადადებას მივცემ ჩემს მეგობრებს ეროვნული პეტიცია წაურდგინოს საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც მომავალი წლის ზაფხულს უნდა შეიკრიბოს ჰააგაში“, — მიუგო ჩერქეზიშვილმა.

„ძლიერ კარგი, ჩვენი კომიტეტი იკისრებს მაგ საქმეს. საზღვარგარეთ საჭირო ხარჯებზედ ნუ შესწუხდებით, ჩვენ გვექნება ფული ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის. მიწერ-მოწერისათვის კი ყველა ჩვენი მეგობრის მისამართით შეგიძლიათ ისარგებლოთ“, — უთხრა დრაიპორსტმა, ჩერქეზიშვილებს დაემშვიდობა და წავიდა.

ნევინსონი კი ერთხანს კიდევ დარჩა საქართველოში. ჯერ სიღ-

ნაღში ჩაიყვანა იგი ცოლ-ქმარმა ჩერქეზიშვილძა. კვიანი ღამე იყო ექიმ ჯანდიერს რომ ეწვივნენ. სტუმრები დაძინებას მიეჩქვოდნენ, მაგრამ მასპინძელმა სასწრაფოდ სავახშმო სუფრა გააწყო და ადგილობრივი ინტელიგენციაც შემოიყარა უცხო სტუმრებთან შესახვედრად. ღამის მიწურულამდე გაგრძელდა პურობა და სულის მარგებელი მსჯელობანი. ისმოდა სახელები სპენსერისა, ჰილისა, მარქსისა, ენგელსისა, კროპოტკინისა, რეკლიუსი, სხვათა და სხვათა... „ღმერთო ჩემო, ეს რა ხალხი ყოფილა! ყველაფერი ეს ხდება აზიის საზღვარზე, ყრუსა და მივარდნილ პატარა ქალაქში!“ — ჩურჩულებდა განცვიფრებული ნევინსონი. მეორე დღეს ალაზნის ველისა და კავკასიონის მშვენიერებამ დაატყვევა ინგლისელი სტუმარი. „არაფერი ამის მსგავსი არ მინახავს არც ჰიმალაიზე, არც შვეიცარიაში და არც ბალკანეთზე! და რა ჰომხიბლავი სითბოა!“ — აღტაცებით იძახდა იგი.

სოფელ საქობოში მივიდნენ და ზედმიყოლებით სამ გლეხურ ოჯახს ეწვივნენ — ღარიბს, საშუალოს და შეძლებულს. სამივემ ერთნაირი თავაზით და „შეძლებით“ მიიღო სტუმრები. სვამდნენ კახურ ღვინოს და ამბობდნენ გაოცებულნი: ოლიმპზე, ღმერთები რომ ნექტარს სვამდნენ, უეჭველად საქობოელი გლეხის ღვინო იგულისხმებოდაო. მართლაც და, ნუთუ გლეხები იყენებენ ასეთ ღვინოს, ეს ხომ უმაღლესი კულტურაა! — იძახდა ნევინსონ.

მერე სოფლის სკოლა მოინახულეს, ახალი აგებული, მაგრამ დაკეტილი. სკოლა რატომ დაგიკეტიათო, — იკითხეს სტუმრებმა. „ჩვენის ხარჯით ავაშენეთ, ბატონო, და ვითხოვეთ ქართველი მასწავლებელი, იმათ კი რუსი გამოგზავნეს. ჩვენც ამიტომ დავადგინეთ, რომ აღარ გავაღოთ სკოლა“, — იყო პასუხი. ყველაფერი ნათელი იყო — რუსეთის რუსიფიკატორული „სინათლით“.

საქობოდან ბოდბის მონასტრის ხილვა უნდოდათ, წმიდა ნინოს განსასვენებლით, მაგრამ როცა შეიტყვეს, ბოდბის ტაძარში ახლა რუსი მონაზვნები, ჰეფის მოხელეები და პოლიციელები დათარეშობდნენ — საქართველოს შეგინებულ წმიდათაწმიდას გვერდი აუქციეს და თელავისაკენ აიღეს გეზი.

თელავის გზაზე ორჯერ საქორწინო პროცესიას გადაეყარნენ. საგანგებოდ დაწინაურებული მწდეები ღვინოს და პურს აგებებდნენ და მეფე-დედოფლის დღეგრძელობას სთხოვდნენ. ისევ სიზმარში ეგონა თავი ნევინსონს. იგი ჰხედაედა ქართველ გლეხთა

ლხინს, ისმენდა საოცარ სიმღერას, როკვას და ეუბნებოდა ჩერქეზიშვილს: „და თქვენ გნებავთ ჩემი მკითხველები დაარწმუნოთ, რომ ეს თავაზიანობა, სტუმართმოყვარეობა და მხიარულება ხდება სამხედრო წესზე გამოცხადებულ ქვეყანაში? ცხადია არავინ დაიჯერებს!“ მაგრამ მალე რუსი ცხენოსანი დრაგუნ-სალდათი გამოჩნდა, იარაღში ჩამჯდარი. გამვლელგამომვლელთა ძიძართ ავი თვალთვალით, და მაშინ „დასაჯერებელი“ გახდა ნევინსონისთვის. ის სალდათიც მაშინვე ჩაიხატა და შემდგომში ეს ჩანახატიც გამოჩნდება ნევინსონის სტატიათა საილუსტრაციო ნაწილში.

თელავში მივიდნენ და ვ-ს ოჯახს ეწვივნენ. აქ მასპინძელს, „ევროპიელთა საპატივცემულოდ“, ტრადიციულ ქართულ სტუმართმასპინძლობაში ევროპულ-მოდერნისტულიც ჩაურევია, და ინგლისელმა კიდევაც უთხრა მასპინძელს: „მე მოდერნიზმს ბევრად მირჩევნია თავაზიანობა და სიკოხტავე თქვენი საკუთარი ჩვეულებისა“. ოჯახის დედის სიმშვენიერით მოიხიბლა სტუმარი, — ნამდვილი დედოფალიაო — გაიძახოდა. დილით სურათიც გადაუღო, შვილიშვილებთან ერთად. მერე ამ „დედოფლის“ სურათიც გამოჩნდება ნევინსონის ბეჭდურ ილუსტრაციებში.

მეორე დღე ეჭიმ ახვლედიანის ოჯახში გაატარეს.. იქაც ადგილობრივი „პროგრესისტები“ დაუხვდნენ სტუმრებს. ისევ გააოცა ინგლისელი მწერალი და მოაზროვნე ქართველთა განსწავლულობამ, დემოკრატიულმა და რაინდულმა სულმა, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხთა მიმართ ცხოველმა ინტერესმა. ქართველთა მსჯელობის დონე ევროპის საუკეთესო შვილების სააზროვნო დონის ტოლფარდად აღიარა ნევინსონმა.

კიდევ უფრო ღრმა შთაბეჭდილებები ელოდათ გურიაში. ერთი ღამე ნაგომარში გაატარეს, ალიხანოვის დამსჯელთაგან დანგრეულ და გადამწვარ სოფელში. დილით სოფელი გულდასმით დაათვალიერეს, გადამწვარი და ნაოხარი სახლები გადაიღეს და ჩაიხატეს, კარვებში შეხიზნული, საზამთროდ უბინაოდ დარჩენილი ოჯახები მოინახულეს. საოცარი იყო თავდაჭერილობა და „ჭირსა შიგან გამაგრება“ ამ იავარქმნილი ადამიანებისა. არავინ ტიროდა, არავინ კვნესოდა, არავინ ჩიოდა, არავინ წუწუნებდა, არცა კაცი და არცა ქალი, არცა დიდი და არცა პატარა. ყველას ღირსეულად ეჭირა თავი.

რამდენიმე სოფელი კიდევ მოიხილეს გურიაში, კოლონიზა-

ტორთაგან აკლებული და აოხრებული. ხვდებოდნენ და უსმენდნენ გლეხებს — როგორ იბრძოდნენ ისინი თავისუფლებისათვის, მიწისთვის, ადამიანურ უფლებებისთვის, და რა სისასტიკით და ურჯულობით უსწორდებოდნენ მათ ცარიზმის გენერალი და მათი საეგზეკუციო ჯარები.

და ეუბნებოდა ნევინსონი ჩერქეზიშვილს: „პირდაპირ რომ არ მენახა, არაფრისთვის არ დავიჯერებდი, რომ ეს ზრდილნი მოსაუბრენი უბრალო გლეხები არიან. ისინი სჭამდნენ, სვამდნენ, მოგვითხრობდნენ ტრაგედიის, რომელიც მათ ეს ესაა თავს გადახდათ და ყველა ამას ჩადიოდა უმაღლესად და უფაქიზესად აღზრდილი ხალხი. ეს გასაოცარია იმის შემდეგაც კი, რაც ტფილისსა, ქუთაისსა და კახეთში ვნახე; თქვენ კი, ჩერქეზიშვილო, რისთვის გველაპარაკებოდით ასე ცოტას ხოლმე ლონდონში თქვენი მშვენიერი ქვეყნისა და თქვენი ესოდენ სიმპატიური ხალხის შესახებ?“

„ადვილი გასაგებია, თუ რატომ არ გელაპარაკებოდით, — უპასუხა ჩერქეზიშვილმა — მე რომ ჩემ სამშობლოზე ისეთი აღტაცებით დამეწყო ლაპარაკი, როგორც ეხლა თქვენ ლაპარაკობთ, ჩემს მიუდგომლობაში შეგეპარებოდათ ეჭვი“.

„შეიძლება მართლაც, — ღიმილით შეაგება ინგლისელმა ქართველს და იქვე დასძინა. სინანულით — რა უბედურებაა, რომ ბედმა თქვენ რუსის დესპოტიზმს დაგაკავშირათ!“

„იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში მოვიხსნით ამ უღელს — შესძახა ვარლამმა — საუკეთესო ადამიანები, როგორც თქვენ თვითონ იხილეთ, მზად არიან დაიცვან ჩვენი უფლებები. ჩვენ აზრადა გვაქვს გამოვცეთ საგანგებო ჟურნალი საქართველოს უფლებათა დასაცავად და შემდეგ პეტიციასაც წარვუდგენთ საერთაშორისო კონფერენციას ჰააგაში. ჩემს მეგობრებს იმედი აქვთ, რომ საკმაოდ ხელმომწერლებს იშოვნიან. ქალბატონმა დრაიჰორსტმა მოიწონა ჩვენი გეგმა და ინგლისის კომიტეტის დახმარებას შეგვპირდა. იმედი მაქვს, არც თქვენ გვეტყვით უარს დახმარებაზე“.

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რაც კი შემიძლია, არაფერი დავიშურო თქვენი სამშობლოსათვის“, — მხურვალედ თქვა ნევინსონმა.

იგი მართლაც შეასრულებს თავის სიტყვას. შეასრულებს სწორედ „რაც შეიძლებას“ ფარგლებში. მაგრამ ეს „რაც შეიძლება“

ძალიან უმწეო აღმოჩნდება მსოფლიო ინდიფერენტიზმთან და რუსულ დესპოტიზმთან ამაო „თავის ხეთქინებაში“.

მაინც დიდი კეთილშობილებით იყო აღსავსე დრაიპორსტის, მორისის და ნევინსონის თავგამოდებული ბრძოლა „საოცარი და საყვარელი საქართველოს“ უფლებათა აღდგენისათვის. დიდი სიყვარული იყო ნევინსონის „ქრონიკულ ნატვრაში“, ჟამჟამად რომ შეახსენებდა იგი ლონდონში დაბრუნებულ ვარლამ ჩერქეზიშვილს: „ერთხელ კიდევ უნდა შემოვიარო თქვენი საოცარი სამშოლო და თქვენს შეუდარებელ გლეხებს ვესტუმრო“...

ჩერქეზიშვილი კი ჩქარობდა და თან შიშობდა: 1907 წლის მაისის პირველ რიცხვებში პეტიცია უკვე გამზადებული უნდა წაეღო ევროპაში და ვაი თუ მანამდე ხელისმომწერნი ვერ შევაგროვოო. მაგრამ სულ მცირე დროში პეტიციას ხელი მოაწერა ორი ათასმა კაცმა და ქალმა. იყვნენ საქართველოს ყოველი კუთხის შვილნი და ყოველი სოციალური წრისანი — მუშები, გლეხები, მოხელენი, სამღვდელონი და საერონი. ჩერქეზიშვილი განცვიფრებული და აღტაცებული იყო თანამემამულეთა ასეთი მოქალაქეობრივი სიმამაცით — არც ერთს რომ რეაქციის იმ უმძიმეს ჟამს არ აშინებდა არც გასამართლება, არც გაციმბირება — ოღონდ კი რაიმე გზით სამშობლოს თავისუფლებას რაიმე საშველი დასდგომოდა.

პეტიციაში ლაპარაკი იყო ერეკლე მეფის და ეკატერინე დედოფლისგან ხელმოწერილ გეორგიევსკის ტრაქტატზე, რომელიც შემდგომ პავლე და ალექსანდრე იმპერატორებმა ფეხით გასთელეს და საქართველო აღთქმული „მოკავშირეობისა“ და „მფარველობის“ ნაცვლად სრულიად უუფლებო, საგუბერნიო კოლონიად აქციეს. წაართვეს ყოველივე შინამმართველობის უფლება, წაართვეს ეკლესია, მიწა და წყალი, წაართვეს მშობლიური ენა, სკოლა და სამართალი.

პეტიციის ტექსტი, ფრანგულ ენაზე დაწერილი, და ხელმოწერის ფურცელი, ცალ-ცალკე მიჰქონდა ვარლამ ჩერქეზიშვილს. თუ მე, ვინიცობაა, დამიჭერენ, ხელისმომწერლები მაინც გადარჩებიან ხიფათსო, — ფიქრობდა იგი. მაგრამ მგზავრობა მშვიდობიანად დასრულდა.

ევროპაში ჩასვლისთანავე ჩერქეზიშვილმა წინასწარ, სანამ ინგლისურ-ქართულ კომიტეტს ჩააბარებდა, პეტიციის ტექსტი საბოლოო რედაქციისათვის მიანდო თავის მეგობარს, საერთაშორისო

სამართლის უდიდეს მცოდნეს, საერთაშორისო ტრიბუნალის წევრსა და ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორს, ერნესტ ნისს. ეს თხოვნა ნისმა დიდის სიამოვნებით შეასრულა და მისგან საბოლოოდ რედაქტირებული პეტიცია ჩერქეზიშვილმა წარუდგინა ლონდონის კომიტეტს. კომიტეტმა ქართველთა პეტიცია დაბეჭდა ფრანგულად და ინგლისურად. აპირებდნენ იტალიურ თარგმანსაც, მაგრამ იტალიურმა პრესამ ფრანგული ტექსტი თავისთვის საკმარისად მიიჩნია.

პეტიციას დაურთეს კომიტეტის საგანგებო მიმართვა, თავმჯდომარე მორისის ხელრთვით. და დაეგზავნა ჰააგის კონფერენციის მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს. თვითონ ჰააგაში ქართველთა პეტიცია პირადად წაიღო ნევინსონმა და კონფერენციის გახსნის წინ წარმომადგენელთა სავარძლებზე კონვერტებით ჩამოარიგებინა ტექსტები. ამრიგად, როცა დელეგატები სხდომათა დარბაზში შევიდნენ და თავიანთ ადგილებზე ჩამორიგდნენ, ყველას იქ დახვდა მათთვის განკუთვნილი „საქართველოს საკითხი". ბუნებრივია, ყველამ გახსნა და წაიკითხა ქართველთა საჩივარი და სატკივარი, მათ შორის პარიზის რუსეთის ელჩმაც — ნელიუდოვმა, რომელსაც უნდა გაეხსნა ამდღევანდელი სხდომა. გახსნა კიდევაც, მაგრამ ფრიად შეშფოთებულმა და აფორიაქებულმა.

ასე რომ — ეს, საქართველოს საკითხის პირველი გატანა და გახმაურება იყო ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზე და ამას კიდევაც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა. თუმცა კონფერენციის დღისწესრიგში ქართული პეტიციის ჩართვა და მასზე საგანგებო მსჯელობის გამართვა არ მოხერხდა. არ მოხერხდა, რადგან კონფერენციის დღის წესრიგი რამდენიმე თვით ადრე ყოფილიყო სახელმწიფოთა შორის შეთანხმებული და დამტკიცებული. მაგრამ კონფუზი საქართველოს საკითხის გამო მაინც თავიდან ბოლომდე გაჰყვა ჰააგის კონფერენციას, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, როცა რუსეთის დელეგატი, პროფესორი მარტენსი იძულებული გახდა ამდგარიყო და ეღიარებინა, რომ მართლაც არსებობს ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის ნებაყოფლობითი შეერთებისა და არა რუსთაგან საქართველოს დაპყრობის უფლებისა.

მალე ქართველთა პეტიცია მთელი ევროპისა და ამერიკის პრესამ მსოფლიო პოპულარობის საგნად აქცია. ყველგან ამის შესახებ ლაპარაკობდნენ გაცხოველებით.

და ეს არ იყო ოდენ „ქნევა ენისა და რხევა ჰაერისა“. ამის შემდეგ, „დამონებულ ერთა“ საერთაშორისო კონგრესზე საქართველოს წარმომადგენლებსაც იწვევდნენ. ახლა მსოფლიოს წინაშე ფინელებს გარდა, ქართველებიც „სჭრიდნენ თავს“ მუდამ „თავმოჭრილ“ ცარისტულ რუსეთს. ნუ დარბიხართ ევროპაში ჩვენს საჩივლელადო, — ემუქრებოდნენ რუსეთის დიპლომატები საქართველოს წარმომადგენლებს. მერე, სტოლიპინმა ორი ძმა კერესელიძის „საქმე“ გაიხსენა და მისით ევროპაში საქართველოს სახელის გატეხვა და ავტორიტეტის შერყევა მოინდომა. ძმებს კერესელიძეებს დუშეთიდან სამხედრო ხაზინის გატაცება ბრალდებოდათ, საქართველოდან გაქცეულიყვნენ და შვეიცარიას აფარებდნენ თავს. სტოლიპინმა შვეიცარიის მთავრობას „ქართველ დამნაშავეთა“ გაცემა მოსთხოვა. შვეიცარიის მთავრობამ კერესელიძეების საქმე ფედერალურ სასამართლოს გადასცა; კერესელიძეთა ვექილმა, ფრანგმა ლაშენალმა თხოვნით მიმართა საერთაშორისო სამართლის ყველაზე დიდ ავტორიტეტს, ერნესტ ნისს, რათა მას განესაზღვრა — რა კვალიფიკაცია უნდა მისცემოდა კერესელიძეთა დანაშაულს — სისხლის სამართლისა, თუ პოლიტიკური ხასიათისა. და პროფესორმა ნისმა მაშინვე ბეჭდური წესით გასცა პასუხი: „საქართველო, რომლის ხელშეკრულება რუსეთმა დაარღვია, ცხადსა და კანონიერ ომის მდგომარეობაში იმყოფება რუსეთთან. ამიტომ მისი სამხედრო ფონდების სეკვესტრი არის პოლიტიკური აქტი“. ამ პასუხიდან გამომდინარე, ლაშენალის წარდგინებით, შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ კერესელიძეები პასუხისმგებლობიდან გაათავისუფლა.

პეტიციამ დიდი როლი შეასრულა ეპისკოპოს კირიონის დახსნის საქმეშიც. ჩერქეზიშვილმა მღვდელ დავით ღამბაშიძეს ინგლისურად ათარგმნინა ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული აღმაშფოთებელი ცნობები, თუ როგორ სდევნიდნენ და ავიწროებდნენ რუსი კოლონიზატორები ეპისკოპოს კირიონს, საქართველოს საეკლესიო უფლებათა მოთხოვნებისთვის. იგი საქართველოდან რუსეთში გადაესახლებინათ კიდეც. ჩერქეზიშვილმა ისევ ფეხზე დააყენა თავისი მეგობრები და საქართველოს მოსარჩლენი — ნევინსონი, მორისი, დრაიპორსტები, უორდროპები, ჰიბრალტარის ეპისკოპოსიც მოირთეს, პეტიცია გააცნეს, საქართველოს ქრისტიანული კულტურის ისტორიაზეც აზიარეს და ბოლოს ყველამ ერთად

მისწერეს რუსეთის სინოდს... მალე კირიონი სამშობლოში დაბრუნდა...[3]

მაშ, „პეტიციას“ ძალა ჰქონია.
ევროპა აღიარებდა მის ძალმოსილებას.
რუსეთი ა რ აღიარებდა.
საქართველო ვ ე რ აღიარებდა.
მეფე ნიკოლოზ მეორე რომანოვი კი მაინც ამბობდა: „ვიცი, რომ ჩვენ, რუსები საქართველოში უცხოელები ვართ“.
მთელ მსოფლიოსაც ასე მიაჩნდათ.
მხოლოდ თვითონ აღარ მიაჩნდათ ასე საქართველოში.

ე. ე ნ დ ო გ ე ნ უ რ ი შ უ რ ი ს ა გ ა მ ო

რაკი ილია ჭავჭავაძე მოკლული და დამიწებულია, ამიერიდან აღარაა საჭირო სოციალ-დემოკრატთა ერთიანობა; ამიერიდან უკვე შეიძლება გადაჭრით დაიყონ და დაუპირისპირდნენ ერთმანეთს — ბოლშევიკები და მენშევიკები.

დაპირისპირების მთავარი მოტივი კი ისაა, — ვინ მივა ბოლოს და ბოლოს ხელისუფლების სათავეში, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ?! ანუ — რომლის „პროლეტარული დიქტატურა“ დამყარდება — „ბოლშევიკებისა“, თუ „მენშევიკებისა“?! ამას ასე ღიად, რასაკვირველია, არც ერთი მხარე არ ამხელდა და ყველა სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკიც და მენშევიკიც, ერთნაირად აცხადებდა თავს „მსოფლიო პროლეტარიატისთვის“ თავშეწირულ მებრძოლად. მაგრამ შინაგან, ფარულად, იდუმალი გახელებით — ორივე მხარე საკუთარი (საკუთარი-მეთქი!) დიქტატურისაკენ მიელტვოდა. ორივე მხარე საკუთარი დიქტატურისთვის ერთნაირად დაისაჭიროვებს ამ ფუძემდებლურ ფორმულებს: „პროლეტარიატის დიქტატურა“, „მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები“, მუშათა და გლეხთა კავშირი“, „მშრომელი ხალხის რევოლუცია“, და სხვ. და სხვ. მისთ.

ყველგან და ყოველთვის ყველაფერი კეთდება ხალხის სახელით და არც საქართველოსთვის ბეიძეებოდა ყოფილიყო ეს უჩვეულო და ნოვატორული. მაგრამ საქართველოს კი არა, ალბ მოსდევდა მთელ კაცობრიობის ისტორიას, იქ დღიდან, როცა მილიონი წლით ნაშიერივე აღმოჩენილა შორის, ბოლოს და ბოლოს, მათგანვე გაუმჯობესებული „საწარმოო ბარაქის" წყალობით, პირველად ამოყო თავი „ზედმეტმა პროდუქტმა", „საკონელმა"; და ამ წყეული „საკონლის" უსწორმასწოროდ „განაწილების" (თუ „დატაცების") კვალობაზე — „მკონებელთა" და „უკონელთა", მდიდართა და ღარიბთა თითქოს რაღაცნაირი, ადამიანის გონების მიღმიერი ძალით „დაკანონებამ" და გამარადისებამ იმთავითვე კაცობრიობას უნარად გაუჩინა ოცნება და ბრძოლა „კონებრივი უთანასწორობის" მოსპობისათვის და „სოციალური თანასწორობის" დამყარებისთვის. და მას შემდგომ — პირველი „საკონლის" განაწილებიდან და პირველ „მკონებელ-უკონელის" დაპირისპირებიდან — მარადიულად არსებობს ნიადაგი უკონელთათვის საოცნებო „სოციალური რევოლუციისა".

ყოველი უკონელი თავისი ბუნებით რევოლუციის ნაღდი მასალაა. მასთან, ივი — საზოგადოების უმრავლესობაა. უმრავლესობას კი, „ხალხი" ჰქვია. მაგრამ სადაც „ხალხია" (ბერძნ. „დემოს", ლათ. „პოპულუს"), იქვე „ბრბოცაა" (ბერძნ. „ოხლოს", ლათ. „ვულგუს"). „დემოს" და „ოხლოს" ბოლოს და ბოლოს ერთი მასალაა და ამიტომ ძველს საბერძნეთშივე „დემოკრატიას" მისი მოძულენი ხშირად „ოხლოკრატიასაც" ეძახდნენ, შემდგომ კი, მთელი ორი ათასი წლის მანძილზე, ისტორიას სახალხო მმართველობის ყოველი ფორმა მაინც მხოლოდ ფორმალურ ფიქციად მოსჩანდა, ხოლო „მონარქია", „დიქტატურა" — ნამდვილ, რეალურ და ბოლოს და ბოლოს გარდუვალ ძალად.

ცნება „დიქტატურა" (dictatura) ანტიკური რომის წიაღში წარმოიშვა და განუსაზღვრელ უმაღლეს სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას გულისხმობდა — ერთპიროვნულ განუსაზღვრელ ხელისუფლებას. ხოლო, ამჯერად სიახლე ის იყო, რომ დიქტატურას ხალხს ჰპირდებოდნენ — პროლეტარიატს, თანაც მსოფლიოს „ყველა ქვეყნის პროლეტარიატს". სულ მალე ეს „მსოფლიო გაგება" რუსეთის თარგზეც თავისუფლად, უმტკივნეულოდ დაეტევა, მაგრამ ქართველებისთვის ეს სავსებით საკმარისია, რამდენადაც

ქართველის გონებაშიც მსოფლიო რუსეთის ფარგლებშიც თავისუფლად გაიაზრება.

და იბრძვიან ქართველი სოციალ-დემოკრატები, რუსი სოციალ-დემოკრატების მხარზე აბმულნი, უყოყმანოდ და უღალატოდ.

და პროლეტარიატის დიქტატურისთვის ბრძოლის მთავარმა გმირმაც, ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა, ძალიან კარგად იცის ფასი კავკასიელი თანამებრძოლებისა და ამიტომაც იტყვის იგი: ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციები კავკასიაში შეიქმნაო; და 1905 წლის რევოლუციაშიც კავკასიამ გაგვასწროო, აქ მოძრაობა ძველ ტერორს გასცდაო, პროლეტარულმა ბრძოლამ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღოო.[4].

ჰეშმარიტებას ამბობდა ფრიად თვალსაჩინო რუსი ისტორიკოსი, ვასილი პოტტო: „ჩვენი სამშობლოს ფარგლებში მოქცეულ ყველა ხალხთაგან, არსად არ მოიძებნება რუსი ადამიანისადმი ისეთი წრფელი და ძმური მეგობრობა, როგორც ქართველის ვაჟკაცურ გულში“.

დიახ, და ქართველი სოციალ-დემოკრატებიც ხომ, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მაინც ქართველები იყვნენ. თუმცა, თავისი ქართველობის გამხელა, „მსოფლიო პროლეტარიატის ხათრით“, პრინციპულად არ უნდოდათ, მაგრამ, როგორც ილია ამბობდა — „ფანატიკოსები არიან დალოცვილნი... ნაციონალური გრძნობა ძლიერ ღრმად არის ჩანერგული, შესისხლხორცებული და თუ გაიძახიან „არაო“ — ეს თავის მოტყუებაა. კარგად ჩაიხედონ გულში“...[5]

მაგრამ, თუ ეს „დალოცვილები“ (ილია რომ თავის მკვლელებს „დალოცვილებს“ ეძახის!) გულში მართლა ჩაიხედავდნენ, იქ თავის ნაციონალურ ჯიშზე უფრო მეტად საკუთარ პატივმოყვარეობას დაინახავდნენ, განუზომელ ქართულ პატივმოყვარეობას! დიახ, ისინიც ქართველები იყვნენ და მსოფლიო პატივისა და სახელისაკენ მიელტვოდნენ თავდავიწყებით. პატარა საქართველოში კი „გამსოფლიოება“ მათ არ შეეძლოთ. საქართველოს ქერქში ჩატევით „გამსოფლიოება“ დავით აღმაშენებელსა და თამარ შვიდმნათობიერსაც კი გაუჭირდათ. ჰო და, ადრე რომ ქართველები მსოფლიო სახელის „საშოვარზე“ ბიზანტიის, სპარსეთის, არაბისტანის თუ თურქეთის შარაგზებს ლეწავდნენ, ახლა რუსეთი გამხდარიყო მათი მსოფლიო საასპარეზო. ახლა აქ, თავისი ჯიშით და ტემპერამენტით, მაგრამ სწორედ საკუთარ ჯიშზე ხელოვნურად ხელის

აღებით, მიელტვოდნენ „გამსოფლიოებისკენ". ქართველობა და „ქართული შოვინიზმი" არ დაგვწამონო, და კანიდან ძვრებოდნენ, რათა ქართულობა ამოეკვეთათ და რუსობაში რუსებისთვის გადაეჭარბებინათ (ამაზეც საგანგებოდ იტყვის ლენინი, თავის დროზე).

მაშ, კვლავ ძალაში იყო „ისტორიული" ქართული პატივმოყვარეობა!

რა გაეწყობა, — ძველ ბერძნებს ფილოსოფია ზრდიდა, ებრაელებს კანონი, ინდოელებს ნირვანა, რუსებს კნუტი და ქართველებს პატივმოყვარეობა.

და კიდევ — შური, ურთიერთშური, შინა-ჯიშური, ანუ ენდოგენური შური (ისედაც, ეგზოგენური, ანუ გარე-ჯიშური შური თითქმის არც კი არსებობს). და ეს შური არის იმპულსორი (impulsor) შეჯიბრისა. ქართველთა ცხოვრება არის შეჯიბრი, შესაძლოა — უფრო ჯიბრიც, — ჯიბრი ყველაფერში...

საქართველო — თუნდაც „ერთ სულ მოსახლეზე" გაანგარიშებით, ნიჭით უმჭიდროესად დასახლებული ნაწილია დედამიწა-პლანეტისა, მსოფლიო ოიკუმენისა, მაგრამ იგივე პროპორციით აქ „ერთ სულ მოსახლეზე", ყველაზე მჭიდროდ მოდის შურიც, ჯიბრიც...

ია აი, ქართველთა წმიდა აპოსტოლის მკვლელობის შემდგომ, საქართველოში — პატივმოყვარეობის, შურის და ჯიბრის ნევროზით შეპყრობილ მცირე ქვეყანაში — ბრძოლა ჩაღდება ახალი ფორმებით და მიმართულებებით, თუმცაღა ისევ ხალხის სახელით, „პროლეტარიატის დიქტატურისთვის" ბრძოლის ლოზუნგით.

ერთმანეთს ებრძვიან ბოლშევიკები და მენშევიკები.

ერთმანეთს ებრძვიან, რამეთუ „იმ აპოსტოლთან" საომარი ერთიანობა უკვე აღარ სჭირდებათ.

8. ᲫᲚᲠᲓᲐᲜᲘᲐ „ᲓᲐ ᲡᲮᲕ."

ქართველებს ხომ უცნაურობა საერთოდ „ჯიშად მოსდგამთ" და ესეც თითქოს უცნაური იყო, რომ მათ სოციალ-დემოკრატიაში „მენშე" სჭარბობდა „ბოლშეს". მაგრამ დიდი დრო არ გაივლის და ცხადი გახდება მენშევიკთა რიცხობრივი სიჭარბის ამაოება ბოლშევიკთა უაღრეს სიმტკიცესთან ჭიდილში.

რაკი ქართველები იყვნენ, ყველა ცალკეულად პ ი რ ვ ე ლ ო ბ დ ა და „ლიდერობდა“, მაგრამ მენშევიკთა შორის პირველი მაინც ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა იყო.

იგი დაიბადა გურიაში, ლანჩხუთში, 1868 წელს. ასგ რომ — ილიას მკვლელობისას (თუითონ რომ ამ „უდიერ საქმისაგან“ ხელის დაბანვა იკმარა) იგი იყო 39 წლისა. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარია. სწავლობდა ვარშავის ს ა ბ ე ი თ ლ ო ინსტიტუტში. იყო „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. იყო ნიჭიერი პუბლიცისტი. ენამოტეხილობაც ხელს არ უშლიდა ყოფილიყო კარგი ორატორიც. რედაქტორობდა გაზეთებს — „კვალს“ და „სოციალ-დემოკრატს“. იყო რსდმპ II ყრილობის დელეგატი, სათათბირო ხმით, IV ყრილობის დელეგატი გადამწყვეტი ხმით. ხოლო V ყრილობაზე არჩეულ იქნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. იყო პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატიც და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მეთაურიც ამ სათათბიროში. ხშირად წერდა ფსევდონიმებით -- კოსტროვი, ჯორჯი, ანი, ნარი, ნარიძე. ლენინი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა მის ყოველ პოლიტიკურ ნაბიჯს, უწოდებდა „უაღრესად გავლენიან სოციალ-დემოკრატს“[6], „მოქნილ დიპლომატს“ („მე მისი დიპლომატია წლობით მაქვს შესწავლილი და ვიცი, თუ როგორ ატყუებს ამ დიპლომატიით მთელ კავკასიას!!“),[7] „უსაჩინოეს მენშევიკს“[8], „ჩვენ კეთილ ანს“[9], დიდ მადლობას უთვლიდა კასპაროვს და შაუმიანს „კასტროვზე“ ცნობების მიწოდებისთვის,[10] მაგრამ ხანდახან ამასაც იტყოდა ლენინი მკაცრი დაცინვით: „კასტროვმა კასტრირებული პროგრამა მოგვაწოდაო“.[11]

ნოე ჟორდანია ქართველ მარქსისტთა შორის თავს კლასიკოსად მიიჩნევდა, თან ისგ, რომ ეს „კლასიკოსობა“, დანარჩენ ქართველ სოციალ-დემოკრატთა მსგავსად, რუსულ პრაქტიკას არ შორდებოდა. ამიტომ დასცინოდა ილია ჭავჭავაძე: „ჟორდანია და მისი კამპანია რომ ქვეყანას ააშენებს, მე წილს ნუ დამიდებსო“; ეს „რუსული მარქსიზმის თვალაბმული თუთიყუში“ ამაოდ. ცდილობს „წუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალოსო“.[12]

ილია ილია იყო და, — ილიას „რა გაუძლებდა“, მისიანებში კი ჟორდანიას „დიდ ნოეს“, ან „ჩვენი პატარა მარქსიო“ — ასე ეძახდნენ.

უმეტეს წილად, პრინციპული ბრძოლის უნარი საკმარისად გა-

აჩნდა ნოეს, მაგრამ გადამწყვეტ ჟამს შემმართებლობა ღალატობდა, აუცილებელ რისკს უფრთხებოდა და მის წაცვლად, „თუ"-ს და „ვაი თუ"-ს ფიქრში ყველაფერი ხელიდან ეცლებოდა. ეს კარგად გამჟღავნდება სწორედ მაშინ, როცა მას ხელში სრულიად მოულოდნელი ხელმწიფობა ჩაუვარდება.

ხშირად ნოე ილუზიის ტყვეობაშია. მაგალითად, მას მიაჩნია, რომ ომი მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციათა შორის „ძმათა შორისი ომია", რომელიც ბოლშევიკთა „საბოლოო მარცხით" თავდებაა[13]. და, ბოლოს და ბოლოს იგი ამ ილუზიას შეეწირება კიდეც...

შემდეგ — ვინც აგრეთვე (ბუნებრივიას) „პირველობდა" — იყო კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე, რომელსაც თავი მოსწონდა, მარქსის სეხნია რომ იყო და, მარქსის თავდაპირველი სახელი (მორდეხა) რომ სცოდნოდა, უეჭველად იმასაც დაირქმევდა, „სრული მარქსისტობისთვის". ამ მხრივ დამახასიათებელია მისი განცხადება იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან: „მე, ბატონებო, ვამაყობ, რომ მოწაფე ვარ ებრაელების — მარქსისა და ლასალისა"...[14]

დაიბადა შორაპნის მაზრაში, სოფელ ფუთში, 1863 წელს. ასე რომ — ილიას მკვლელობისას იგი იყო 44 წლისა. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში; მერვე კლასიდან გამოვიდა. მერე თავისუფალ მსმენელად ერთი წელიწადი ისწავლა ოდესის უნივერსიტეტში. იქიდან, 1899 წელს, გადავიდა ხარკოვის საბეითლო ინსტიტუტში, საიდანაც დაითხოვეს რევოლუციური საქმიანობის გამო. დაბრუნდა საქართველოში; ბევრს მუშაობდა თვითგანათლების ასამაღლებლად. თავდავიწყებით სწაელობდა მარქსიზმს; თუმცა მისივე „თანადასელი" ამხანაგები დასცინოდნენ — კარლომ მთელი თავისი სიცოცხლე კარლო მარქსის „კაპიტალის" შესწავლას შეალია და სიტყვა „კარლოს" მეტი ვერაფერი შეითვისაო.[15] მაგრამ ეს არაფერი: ქართველისგან ქართველზე დაცინვა რა ანგარიშში ჩასაგდებია და კარლო ჩხეიძე ქართველთა შორის ძლიერად „კარლოობდა". იყო კარგი პუბლიცისტი, კიდევ უფრო ძლიერი პოლემისტი და ორატორი. ისიც, ნოე ჟორდანიასთან ერთად, იყო „მესამე დასის" ერთ-ერთი დამფუძნებელი. ხელმძღვანელობდა ბათუმის მუშათა წრეებს. 1907 წელს, თბილისის გუბერნიიდან არჩეული იქნა III და IV სათათბიროების დეპუტატად. IV სათათბიროზე მეთაურობ-

და სოციალ-დემოკრატთა ფრაქციას („შვიდეულს“). სათათბიროთა ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვათაგან:

„არ შეიძლება ზღაპრებით და ხუმრობებით ვილაპარაკოთ კავკასიაზე, სადაც ცხოვრობს 8.500.000 კაცი“... „ნამესტნიკ ვორონცოვ-დაშკოვის ცნობით: თბილისის გუბერნიის ციხეები გათვალისწინებულია 300 პატიმარზე და ზის 622 პატიმარი; ბაქოს გუბერნიის ციხეები — 280 კაცზე და ზის 700; ბათუმის ციხე — 80 კაცზე და ზის 400 კაცი. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან გადასახლებული იქნა: 1906 წელს 1525 კაცი, 1907 წელს 3740 კაცი, 1908 წელს სამ თვეში 301 კაცი, სიკვდილით დაისაჯა 113 კაცი. სინამდვილეში კი ყოველ წელიწადს სახრჩობელაზე ჰკიდებენ 1300 კაცს“... „ნამესტნიკობის აღდგენა კავკასიაში ვითომ იმისთვის მოხდა, რომ აღსდგეს ამ მხარეში „მშვიდობა და შემოქმედებითი შრომა“, როგორც სხვა მხარეებში. მაგრამ საერთოდ არავითარი „შემოქმედებითი შრომა“ არ არსებობს თვით რუსეთის ცენტრში. ან რა შემოქმედებითი მუშაობა შეიძლება საზოგადოებაში, სადაც ცხოვრების საყრდენად არის სახრჩობელა, ხოლო სახალხო კეთილდღეობის საფუძვლად — მექრთამეობა“... „არცერთ მთავრობას იმდენი ყალბი დაპირება არ გაუცია, რამდენსაც გასცემს რუსეთის მთავრობა. მისი პოლიტიკა არის შავრაზმული. შავრაზმელები კი ვერ დამშვიდებულან, რომ კავკასიაში ძირფესვიანად დანგრეული არ არის ყველა სოფელი და ყველა ქალაქი; რომ ყველა ძუძუთა ბავშვი არ არის ყელგამოჭრილი; რომ ყველა ქალი არ არის გაუპატიურებული; ისინი აღშფოთებული არიან, რომ კავკასიაში ჯერ კიდევ ფეთქავს სიცოცხლე; რომ კავკასია არის მარგალიტი, სამოთხე, ნამღერი ლერმონტოვისაგან და პუშკინისაგან, და ამ შავრაზმელებს ჯერ კიდევ სასაფლაოდ ვერ უქცევიათ“... „კვლავ მიდის მექანიკური გარუსება კავკასიისა“... „როცა შავრაზმელებს სურთ კავკასიის მმართველი (გარფი ვორონცოვ-დაშკოვი) იყოს ბაჯაღლო ოქროს ჰეროდე, თვითონ გრაფი თამაშობს პილატე პონტოელს“... „ჩვენ თუ რაიმე უკმაყოფილება გამოვთქვით, მაშინვე სეპარატიზმს გვაბრალებენ. მაშინ ამნაირი სეპარატიზმი გქონიათ მოსკოვშიც, პეტერბურგშიც. ნურავინ გვასწავლის ჩვენ სიყვარულს რუსი ხალხისას, რომელმაც წარმოშვა ჩერნიშევსკი, ბელინსკი, გერცენი, პუშკინი, ტურგენევი — ეს აზროვნების ჩირაღდნები, დიადი მხატვრები, რომელთა უკვდავ ქმნილებებზეც იზრდებოდნენ მთელი თაო-

ბები სომხებისა, ქართველებისა და სხვ. მე, ბატონებო, ვამაყობ იმით, რომ ვარ მოწაფე არა მარტო ებრაელების — მარქსისა და ლასალისა, არამედ რუსი ადამიანებისა — პლეხანოვის, ვერა ზასულიჩის და ა. შ. მე ვამაყობ და ვთვლი ჩემთვის უმაღლეს ბედნიერებად, რომ გარემოსილი ვარ სიმპატიებით და ნდობით არა მარტო ქართული პროლეტარიატის, არამედ რუსული პროლეტარიატისაგანაც"... „ხალხის მოძრაობის მიზეზად ხალხი მიაჩნიათ. ეს კი იმას ჰგავს, მე რომ ბავშვობისას ქარის მიზეზი მოქანავე ხეები მეგონა... ან ბავშვებს რომ ჰგონიათ, წვიმა იმიტომ წამოვიდა, ადამიანებმა რომ ქოლგები გაშალეს"... „უწესრიგობანი რუსეთში ვარიაგების მოწვევის დროსაც იყო და ალბათ თქვენი პატეზტიანი ისტორიკოსები იმის მიზეზადაც სოციალ-დემოკრატებსა და სოციალ-რევოლუციონერებს დაასახელებენ"... „პურიშკევიჩმა ვახტანგ მეფე სომხეთის მეფედ გამოაცხადა, მაგრამ ვახტანგი ისე იყო სომეხი მეფე, როგორც ბატონი პურიშკევიჩი დაგომეელი კოროლი"... „მე თვითონ ადამიანად ვიქეც მას შემდეგ, რაც შევიწყვიტე აზნაურობა, და თუ თქვენც იგივე გსურთ, თქვენც შეიწყვიტეთ"...[16]

და ლენინიც ბევრ საქებარს ამბობდა კარლო ჩხეიძის შესახებ, როგორც „სახელმწიფო სათათბიროს ერთადერთ პატიოსან და ამაყ დეპუტატზე"[17] „ორატორულ ტალანტზე და პარლამენტარულ გამოცდილებაზე".[18] მომავალში კარლო ჩხეიძე კიდევ უფრო მაღლა და შორს წავა, და... სწრაფი ზეაღსვლით, კატასტროფასაც სწრაფად დაიახლოვებს... რაც შეეხება ილიას მკვლელობას, — მასში ჩხეიძეს მონაწილეობა არ მიუღია...

კვლავ ძლიერი „პირველი" იყო კაკი (ირაკლი) წერეთელი, ძე ცნობილი მწერლის გიორგი წერეთლისა და ჟურნალისტის ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა. დაიბადა ქუთაისში, 1881 წელს. 1900 წელს დაასრულა თბილისის გიმნაზია და შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. მაშინვე ჩაება სტუდენტთა პოლიტიკურ მოძრაობაში და აღიარებულ იქნა რევოლუციური ახალგაზრდობის ლიდერად. 1902 წელს შეიპყრეს და გააციმბირეს მაქსიმალური ვადით — 5 წლით. მაგრამ ერთ წელიწადში გამოუშვეს. იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო თანამშრომლობა ჟურნალ „კვალში". წერდა „ყვირილელის" ფსევდონიმით. შევიდა რსდმპ წევრად. რუსეთის იმპერიაში

მოქცეულ ნაცუმცირესობის ხალხთაგან მნიშვნელოვნად და ანგარიშგასაწევად მხოლოდ პოლონელები და ფინელები მიაჩნდა, ხოლო დანარჩენებს, მათ შორის ქართველებს — უმნიშვნელო და „ინერტულ“ ხალხებად მიიჩნევდა.[19] რა გაეწყობა, — ქართველებზე „ინერტულობის“ გარდა ხომ ყველაფრის დარქმევა შეიძლება! მაგრამ კაცი, როგორც თვითონ „ჰეშმარიტი ქართველი“, აკი „მსოფლიო მოქალაქეობისაკენ“ მიელტვოდა და ამისთვის პატარა ქართველობა შეიძლებოდა მისთვის მხრთლაც უსარგებლო, „ინერტული მასალა“ ყოფილიყოს. რუსეთის სოციალიზმის ლიდერისთვის შეიძლება ის სახელწოდებაც „ვიწრო“ და „პროვინციული“ იყო, მამამისმა რომ დაარქვა „პროვინციულ“ საქართველოში — „მესამე დასი“.

კაკი წერეთელი თავის პოლიტიკურ კრედოს თვითონვე ასე აცხადებდა: „ჩვენ ვართ ისეთი ქართველები, რომლებსაც ვერ აკმაყოფილებს ვერც გაცვეთილი პატრიოტიზმი, ვერც სამშობლოს და ქართული ენის ყვირილი. ჩვენი იდეალი საკაცობრიო იდეალია, ჩვენ ამ იდეალით ვცოცხლობთ, ამით ვიმედოვნებთ. აწმყო ჩვენ გველივით გვეზიზღება, წარსული ჭირივით გვეჯავრება, ჩვენ ვიცქირებით ბრწყინვალე მომავლისაკენ“[20]. ასეთი ფილოსოფია ჰქონდა ამ, მაშინდელი რუსული სოციალიზმის ყველაზე თვალსაჩინო იანიჩარს.

კაკი წერეთელი იყო IV სახელმწიფო სათაბიროს დეპუტატი და იქვე ლიდერობდა სოციალ-დემოკრატთა ფრაქციას. სათათბიროზე წარმოსთქვა ბრწყინვალე სიტყვები, რომლებმაც მას მოუპოვა სახელი უბადლო რიტორისა და მოკამათისა. ლენინმა დიდად მოიწონა წერეთლის იმჟამინდელი სიტყვა აგრარულ საკითხზე.[21] და ამის შემდეგ, თითქმის ყოველთვის, ლენინი მას მოიხსენიებდა, როგორც „ჩემი მეგობარი წერეთელი“.[22] რუსი შოვინისტები კი ქართველობას არ ჰპატიობდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ ობსტრუქცია მოეწყოთ ამ „ქართველი მირაბოს“ ცეცხლოვანი სიტყვებისათვის სახელმწიფო სათათბიროში. 1907 წლის 19 მარტის სხდომაზე, მეფის ხელისუფლების კრიტიკის დროს, წერეთლის ნათქვამს — „ამ სახელმწიფოებრიობამ რუსეთი მიიყვანა მუკდენამდე და ცუხიმამდე“ — უცებ ჩაუჭრა პურიშკევიჩმა: „და სომხეთამდე რუსულ პარლამენტში!“ მაგრამ უმალვე მიუგდო წერეთელმა: „აქ მცირე გაუგებრობაა. თქვენ მე მთელით სომხად, მაგრამ

სამწუხაროდ, ისევ სცდებით, როგორც ყოველთვის. ძე ქართველი ვარ და, როცა თქვენი წინაპრები ტყე-ტყე დაძრწოდნენ, მაშინ ჩემი წინაპრები სახარებას თარგმნიდნენ". ამ სიტყვას პარლამენტის მემარცხენე ფრთის მქუხარე ოვაციები მოჰყვა... 1907 წლის 3 ივნისს სათათბიროს დათხოვნისას, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხვა წევრებთან ერთად, წერეთელს კატორღა მიუსაჯეს. მერე ციმბირში დასახლების ნება დართეს. მისმა ნათესავებმა მეფეს პატიება გამოსთხოვეს, მაგრამ კაკიმ მეფის პატიების მიღებაზე უარი განაცხადა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე ციმბირშივე დარჩა... ილიას მკვლელობისას კაკი წერეთელი იყო 26 წლისა, მკვლელობისა კი — არაფერი იცოდა.

ილიას მკვლელობა ხომ „დიდი საქმე" იყო. კაკი წერეთელს კი საქმე („ერგოს") იმდენად არ იტაცებდა, რამდენადაც სიტყვა („ლოგოს"). მხოლოდ ლოგოსი, ბრჭყვიალა და თავბრუდამხვევი, მხოლოდ ტაში და ოვაცია „ხალხისა" თუ „ბრბოისა", სულ ერთი იყო. ოღონდ ემჭევრმეტყველა „დამანგრეველად" და სულ ერთი იყო, სადაც იტყოდა — საპარლამენტო საკრებულოში, თუ „ტილიპუქურში"...

შემდეგ, კვლავაც „პირველი" — აკაკი ჩხენკელი; დაიბადა ხონში, 1874 წელს და ილიას მკვლელობისას იყო 33 წლისა. სწავლობდა საზღვარგარეთ, იყო მაღალგანათლებული იურისტი. არჩეულ იქნა IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად (ჩხეიძესთან და სკობელევთან ერთად), ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან და სოხუმის ოკრუგიდან. შედიოდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. ქართველ სოციალ-დემოკრატთაგან პირველმა გაიმეტა საქართველოსთვის კულტურული (და არა ტერიტორიული!) ავტონომიის მოთხოვნა. მას ახლო მომავალში დიდი, თანაც მოულოდნელი სახელმწიფოებრივი თანამდებობანი ელოდება. რაც შეეხება ილიას მკვლელობას, არ ჩანს, რომ ჩხენკელს ამის შესახებ რამე ცოდნოდეს.

შემდეგი „პირველი" — ისიდორე რამიშვილი; დაიბადა ოზურგეთში, 1859 წელს, ილიას მკვლელობისას იყო 48 წლის და თვითონ მონაწილეობდა იმ „კომიტეტის" თათბირში, რომელმაც ეს მკვლელობა დაადგინა. ისიდორემ დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი. შემდეგ სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. მონაწილეობდა „მესამე დასის" დაფუძნება-

ში. მუშაობდა ბათუმის მუშათა წრეებში. პუბლიცისტობდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში. იყო I სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ქუთაისის გუბერნიიდან. სათათბიროს სხდომაზე მან სიტყვაც წარმოთქვა, სადაც გამუდმებით „დიდი რუსი ხალხი“ იძახა და არცერთხელ საქართველო არ გაიხსენა (ილია ჭავჭავაძემაც ხომ ამის გამო გამოთქვა საყვედური!). „დიდი რუსი ხალხის“ ლოზუნგით ისიდორე რამიშვილი თავისებური წინამორბედიც გახლება შემდგომში სტალინად გადანათლული ჯუღაშვილისა... ისიდორე აგრეთვე იყო რსდმპ IV ყრილობის დელეგატი თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციიდან. ილიას მკვლელობიდან ერთი წლის თავზე, ისიდორე რევოლუციური საქმიანობისთვის გააციმბირეს. გადასახლებაში მოათია 9 წელიწადი და თავისუფლება დაიბრუნა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წყალობით...

თავისი, საკუთარი „პირველობით“, წინ მოიწევდა ნოე რამიშვილიც. ისიც დაიბადა ოზურგეთში, 1881 წელს. ილიას მკვლელობის ჟამს იყო 26 წლისა და ისიც მონაწილეობდა „საუკუნის ქართულ მკვლელობაში“, ვითარცა ამ მკვლელობის მაორგანიზებელი „კომიტეტის“ წევრი... სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ირიცხებოდა 1902 წლიდან. რსდმპ V ყრილობაზე აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად. მტკიცე, პრინციპული ხასიათის კაცი იყო (და არა „თუ“-სა და „ვაი თუ“-ს კაცი)...

შემდეგი „პირველი მენშევიკი“ — ევგენი გეგეჭკორი; დაიბადა 1881 წელს, ილიას მკვლელობისას იყო 26 წლისა, და თვითონ მკვლელობაში არ მონაწილეობდა. იყო III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ქუთაისის გუბერნიიდან. ლენინმა ფრიად ძოიწოხა აძ „თანმიმდევრული დემოკრატის“ სიტყვა სათათბიროში.[23] მალე მას „მოულოდნელი“ სახელმწიფოებრივ-თანამდებობრივი აღზევება მოელის...

მენშევიკთა შორის ყველაზე ნათელი პიროვნება იყო ივანე გომართელი. დაიბადა ზემო იმერეთში, სოფელ გორისაში, 1875 წელს; ილიას მკვლელობისას იყო 32 წლისა და თვითონ მკვლელობის არაფერი იცოდა... წარჩინებით სწავლობდა და ოქროს მედლით დაასრულა თბილისის მეორე გიმნაზია. სწავლა გააგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე და გახდა შესანიშნავი ექიმი. მუშაობდა და ცხოვრობდა ახალქალაქ-

ში, ჯიბაიშში, გორისაში, თბილისში. გარემოსილი იყო ხალხის დიდი სიყვარულით და პატივისცემით. წერდა პუბლიცისტურ წერილებს, ნარკვევებს, მოთხრობებს, პიესებს. გომართელი ქართველ სოციალ-დემოკრატთაგან ერთადერთი იყო, რომელიც იმთავითვე მოითხოვდა ტერიტორიულ ავტონომიას. თანამშრომლობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში. იყო I სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან. სათათბიროზე წარმოთქმულ სიტყვაში ამტკიცებდა, რომ არმია პოლიტიკაში არ უნდა ჩავითრიოთო, — რისთვისაც მას აკრიტიკებდა ლენინი...

4. ჯუღაშვილი „და სხვ.“

ქართველ მარქსისტთა, ანუ სოციალ-დემოკრატთა, ანუ „მესამე დასელთა“ შორის ერთადერთი, რომელსაც თავისი ცხოვრების დასაწყისში ილიასთან არამცთუ მტრული, არამედ გარკვეულ წილად სიმპათიური დამოკიდებულებაც კი უნდა ჰქონოდა — იყო ს ო ს ო (ი ო ს ე ბ) ჯ უ ღ ა შ ვ ი ლ ი.

ქართველი მარქსისტისგან — სულ ერთია, მენშევიკისგან თუ ბოლშევიკისგან — ილიასადმი ასეთი გამორჩეული და „უცნაური“ დამოკიდებულება, ამ შემთხვევაში, არ უნდა ყოფილიყო გასაკვირველი, რადგან სოსო ჯუღაშვილი, მისი ცხოვრების დასაბამითვე, საერთოდ იყო გამორჩეულიც, განსაკუთრებულიც, უცნაურიც და ჩვეულებრივთათვის შეუღწეველიც. მისი გონების შესაძლებლობათა განსაზღვრებისთვის მალე საკმარისი აღარ იქნება აღარც „მაღალნიჭიერება“, აღარც „ტალანტი“, არამედ — ამ ტანმორჩილ კაციშვილში მსოფლიო გენიალობა მწიფდებოდა. და ამ გენიალობის „არხე“ („საწყისი“) იქნებ სწორედ ილიასთან მისი პირველი შეხვედრისას გაცხადდა, საოცარ ლექსში, რომელიც სწორედ ილია ჭავჭავაძემ დაუბეჭდა თავის „ივერიაში“ ყმაწვილ ჯუღაშვილს:

დ ი ლ ა

ვარდს გაეფურჩქნა კოკორხ,
გადაჰხვეოდა იასა,
ზამბახსაც გაჰღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტროლა მაღლა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის სმით ამას ამბობდა:
„აყაყედი, ტურფა ქვეყანავ,
ილსინე იქერთ მხარეო,
და შენც ქართველო სწავლითა
საშობლო გაახარეო!“

და ამ ლექსს ლამის ისეთივე გამარადისება ელოდა, როგორც აკაკის სწორუპოვარ „განთიადს“. მაგრამ, ალბათ, პოლიტიკურ ნიჭს გააჩნია რაღაც მისტიური „ფაგიის“ („ჩაყლაპვის“, „მყლაპველის“) უნარი ყოველ დანარჩენ ნიჭთა მიმართ, მათ შორის — პოეტური ნიჭის მიმართ, რამეთუ ჯუღაშვილის გენიამ პოეზიას ზურგი აქცია და ერთხელ და სამუდამოდ პოლიტიკას დაუწყვილდა განუშორებლად, — პოლიტიკას, ნაპოლეონი რომ „როსკიპ ქალს“ ეძახდა, ჟორდანია — „მამაძაღლობას“, ხოლო თვითონ „შიკზალს“, „ბედისწერას“ დაარქმევს. ჯუღაშვილისთვის პოლიტიკა მართლაც ბედისწერა გახდება, ანუ — თვითონ გახდება „შიკზალ“ მთელი მსოფლიოსათვის.

პოლიტიკოსი არც მეცნიერია, არც მწერალი, არც სხვა რამ ხელოვანი და მისი გამსოფლიოება ათასეულობით და მილიონობით აღამიანთა სიცოცხლის შეწირვას მოითხოვს, და ისტორიაც ნეტარებით ნერწყვმორეული აღწერს ყოველი ცალკეული კოსმოფაგის აღზევებისთვის გაჩაღებული კატაკლიზმის სერიებს. ჯუღაშვილიც კოსმოფაგი და კოსმოკრატორი შეიქნება, მასშტაბური რიგით მეშვიდე — კიროსის, ალექსანდრე მაკედონელის, კეისრის, კარლოს დიდის, ნაპოლეონისა და ჰიტლერის შემდგომ. ყოველ კოსმოპოლისს, ადრე თუ გვიან, გარდუვალი დანგრევა ელის (ყველაზე დიდხანს — მთელი ხუთასი წელიწადი — კეისრის იმპერიამ იარსება, და ბოლოს მაინც აღიგავა პირისაგან მიწისა). თვითონვე იტყვის ჯუღაშვილი — მსოფლიო იმპერიები იარაღის ძალით შეკოწიწებული, დროებითი ეფემერული კონგლომერატები არიანო. მაგრამ თვითონ, პიროვნულად, კოსმოფაგისთვის სამომავლო კატასტროფა, ჩვეულებრივ, არც კი გაიაზრება. მისი დაუცხრომელი, თავაწყვეტილი ლტოლვა „გამსოფლიოებისაკენ“ უფრო ქინია ვიდრე აზრი, უფრო გახელებაა ვიდრე გააზრება, ანუ მართლაც — ეს უფრო რაღაც გონებისმიღმიერი, მისტიური ბედისწ-

რაა, ვიდრე აკადემიურ-ალგებრული ანგარიში. მოვა დრო და ჯუღაშვილიც, უკვე საქართველოდან წასული და დიდი რუსეთის აპეირონში „სტალინად“ გადანათლულ-განწიაღებული, დააყენებს ისეთ უანგარიშო კაცთაკვლის დრო-ჟამს, როგორსაც მის სანათესაოში ხალხი „სისხლის წვიმების დროს“ უწოდებდა. მაშ, როგორ! მსოფლიო პოლიტიკური გენიის ხარჯვას ხომ, „როგორც წესი“, სწორედ „მსოფლიო ხარჯი“, უნდა მოჰყოლოდა — მილიონობით ადამიანთა „სახარჯო სისხლი“... (ჯიბის ფულივით სახარჯო!)...

მოვა დრო, დრო სტალინობისა, სტალინოკრატიისა, სტალინიზმისა, რუსულ-აზიური დესპოტიზმისა, როცა იგი მსოფლიო დროის ციფერბლატზე დროის ისრებს თავისი უმტკიცესი, ცივი თითებით „გაასწორებს“ და „დააყენებს“. ასე იქნება, რამეთუ — მ ს ო ფ ლ ი ო ს ა ი ს ტ ო რ ი ო ბ ე დ ი ს წ ე რ ა ს წ ო რ ე დ მ ი ს ი ბ ი ჯ უ ნ ა ი ყ ო. ამიტომ, მისი ყ ო ფ ნ ა, სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდგომაც, იგრძნობა და იცნობა ყველგან, როგორც ყველგან მყოფი და მარადიულად ერთდროულად მყოფი სინათლე და სიბნელე, სიკეთე და სიბოროტე, სიტკბო და სიმწარე, სიცოცხლე და სიკვდილი.

დიახ, დადგება დრო, როცა მთელი მსოფლიო მისი წარბისა და ულვაშის ქვეშ მოიჩრდილება...

„სახელმწიფო — ეს მე ვარ!“ — ამის მთქმელ ლუი XIV-ზე უფრო ძირმტკიცედ შეეძლო ეთქვა სტალინს: „მსოფლიო — ეს მე ვარ!“ მასვე დაშვენდებოდა ოვიდიუსის ნათქვამიც: „ფაქტად ვთვლი ყველაფერს, რასაც კი მე ებრძანებ!“ ამიტომ, საკვირველი არც ის უნდა იყოს, პეტრე დიდთან შედარებაც რომ ითაკილა. ითაკილებს და მართალიც იქნება: პეტრე პირველმა რუსეთი წუმპედან ამოათრია და ევროპას უკან მ ი ა დ ე ვ ნ ა (და ეს დიდი პროგრესი იყო), მაგრამ სტალინმა რუსეთი ევროპასაც და მთელ მსოფლიოსაც უკანიდან წინ გადაუსვა და წ ა უ მ ძ ღ ვ ა რ ა. ისეთი ავი ზარტეხილობით „წაუმძღვარა“, რომ მას შემდგომ მსოფლიოს პოლიტიკურ სარბიელზე ცხვირის დაცემინებასაც ურუსეთოდ ვერვინ გაბედავს...

იგი ყრმობითვე დიდი იყო. ყრმობითვე ეტყობოდა, რომ მის უკლიმ გულს ვერცრა ალერსი მოალბობდა, ვერცრა წყალობა, ვერცრა მუდარა, და იგივე გულს ვერცრა მტრობა შეაშინებდა, ვერცრა

საფრთხე, ვერცრა მუქარა. ვერც უმაღლესი ბედნიერება დაათრობდა, ვერც უკიდურესი უბედურება გასტეხავდა.

ზემოთაც ვთქვი: ყოველ ცალკე კაციშვილს თავისი სოციალური შრის სუნი ასდის გახუშრებლად, და ჯუღაშვილის წმინდა გლეხური წარმომავლობა თავის რჩეულ შვილს სწორედ გამორჩეული ნების სიმტკიცით, აზრობრივი და პრაქტიკული დაკვირვებითა და უტყუარი ხვეშით აღჭურვილს გამოიყენებს უმძიმესი კატაკლიზმების მომლოდინე მსოფლიოს გზებზე.

იგი დაიბადა ქალაქ გორში, ტალახით ნაზელ ქოხში („საბლაკსა სულმწარისასა"), 1879 წლის 21 დეკემბერს, ილიას მკვლელობამდე 28 წლით ადრე. წარმომაელობით — სრულიად მდაბიო: მამა, ბესარიონ (ბესო) ჯუღაშვილი, სოფელ დიდი ლილოს ყმა-გლეხთაგანი, ხელობით მეჯამლე; დედა, მრეცხავი, კეკე (ეკატერინე) გელაძე, სოფელ ღამბარაულის ყმა-გლეხთაგანი. სოსოს დაბადებიდან შვიდი წლის თავზე, ბესო ჯუღაშვილმა ოჯახი მიატოვა, თბილისში გადასახლდა და ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკაში მოეწყო დაქირავებულ ხელოსან მეჩექმედ („პროლეტარად", ანუ „საერთაშორისო პროლეტარიატის უსამშობლო" წევრად!). პროვინციული ქალაქიდან დედაქალაქში გადასახლების მთავარი მიზეზი, უეჭველად, ეკონომიური სივიწროვე და სიდუხჭირე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასევე არანაკლები (შეიძლება მეტიც) როლი უნდა ეთამაშნა გორის მეშჩანურ წრეებში ფართოდ და დაჟინებით მოწრიალე ჭორს: ვითომც, კეკე ქმარს ღალატობდა და ადგილობრივ აზნაურ იაკობ ეგნატაშვილთან (რომელთანაც ის მრეცხავად მუშაობდა) აკრძალული რომანი ჰქონდა. და იმ დღიდან აყოლილი ეს ჭორი სამარადჟამოდ, სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდგომაც, განუშორებლად აეკიდება ჯუღაშვილ-სტალინს: თითქოს იგი ეგნატაშვილის ნაშიერი ყოფილიყოს და არა ჯუღაშვილისა. შემდგომში იმასაც დაბეჯითებით იტყვიან, რომ ეგნატაშვილი გადასახლებაში მყოფ „თავის სოსოს" სისტემატიურად ფულსაც უგზავნიდაო...

ბესო ჯუღაშვილი 1907 წელს გარდაიცვალა, ჯერ კიდევ შუა ხანს მიუღწეველი. დაწვრილებით არავინ იცის, რა ურთიერთობა ჰქონდათ მამა-შვილს თბილისში ერთდროულ ყოფნისას. თვითონ სტალინმა, ჯუღაშვილობის თუ სტალინობის ჟამს, სრულიად აღი-

კვეთა და სხვებსაც ღუკვეთა თავის ოჯახურ ინტიმთა საქვეყნოდ „მი-მო-თქმა“. თანამედროვეთა და თვითმხილველთა შიშრეული გადმოცემებით კი — ბესოს და სოსოს შორის მაინც და მაინც თბილი ურთიერთობა აღარ ყოფილა. შემდგომ, გვიან, სტალინის ერთხელმწიფობის აპოთეოზის ჟამს, ერთმა პროფესორმა თბილისის არქივების ჩხრეკისას ადელხანოვის მეჩექმე ხელოსანთა სურათი აღმოაჩინა, და მათ შორის ბესო ჯუღაშვილიც იყო აღბეჭდილი. ამაზე „ბედნიერი აღმოჩენა“ რაღა უნდა ენატრა იმდროინდელ მეცნიერ-მკვლევარს! და მაშინვე მაშინდელ საქართველოს ცეკას იდეოლოგ-მდივანთან გააქანა ეს სურათი აფოფინებულმა პროფესორმა. იმ ცეკას მდივანმაც მოულოდნელი „აფოფინებით“ ფრთები გამოისახა, მოსკოვს ჩაფრინდა და უკვე დიდად აღზევებულ „სათვალიანთან“ მიფრინდა და მიუხარობლა „დიდი ბელადის“ შემოქმედი მამის სურათი. ის „სათვალიანიც“ უმალვე ბელადთან შეფრინდა და, დიდი სამადლობელი მისართმეველის მოლოდინში, მამის სურათი შვილს წინ დაუდო. მაგრამ... „იმდენი მამა უცხონდა, რამდენიც იმას მიართვესა“: სტალინმა სურათს დაჰხედა თუ არა, ერთბაშად რისხვით აღვსილი წამოიჭრა და ის სურათი იმ არამკითხე მახარობელს ზედ თავზე გადმოალახა. და ასე, ზემოდან ქვემოთ „გადმოლახვებით“, ის სურათი ისევ იმ არქივების სადღაც უქვემოეს ფსკერზე ჩასძირეს და ჩააწყვდიადეს.

მისი სტალინობის „ოქროს ხანაში“, აღარც დედას სწყალობდა დედაშვილური სიყვარულით და ყურადღებით სოსო ჯუღაშვილი. მხოლოდ ასე თუ გაიხსენებდა მშობელ დედას, ბოროტი ცინიზმის კლასიკოსი: „რაო, რას შვრება კეკე, კიდევ ბოზობს, არა?“ — ეკითხებოდა ხოლმე საქართველოდან ნასტუმრებ ფილიპე მახარაძეს, თუ პეტია კაპანაძეს, მისი სიყრმის მეგობარს. ალბათ, არც ასეთი „სტალინური“ ნათქვამი გულისხმობს მაინც და მაინც დედისადმი პატივისცემას: „დედა რომ გიკვდებოდეს, მაშინაც პარტიულ ამხანაგთან შეხვედრა წუთითაც არ უნდა დააგვიანო“[24]. ბოლოს კეკე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მისი ნაამაგარი შვილი არც გარდაცვალებას დასწრებია, არც დაკრძალვას.

ნაამაგარი კი სწორედ დიდი ჰქონდა დედას, იამავარ ძედ შეშორჩენილი შვილისადმი. მისთვის ყველაფერს იტანდა და ითმენდა — უქმრობასაც, ქალისთვის დამამცირებელ სახელის გატეხვასაც, დამცირება-დაჩაგვრასაც. არც პური დაუკლია შვილისთვის და

არც სული, არც სათამაშო და არც სასწავლო წიგნი თუ რვეული. ტოლსწორებშიც ყველაზე სუფთად და კოხტად ჩაცმული სწორედ „კეკეს სოსო“ დადიოდა, ქუჩაშიც, სასწავლებელშიც — „კეკეს სოსო“! თითქოს მამა მიწიერთაგან არც კი ჰყოლოდეს. ორჯერ აშკარა სიკვდილს გამოსტაცა დედამ „ძე უმამოი“: ერთხელ გაჭაბებული ეტლის ბორბლებში მოხვდა, მეორედ ყვავილი შეეყარა — ეს საოცარი, ხატოვან-სახელიანი და მძვინვარ-სიკვდილიანი სენი. პირველი ხიფათისგან მხოლოდ მარცხენა ხელის ოდნავ შესამჩნევი სიმრუდე შემორჩა, მეორისგან კი, მსუბუქ-ჩოფურად ნაკენკი სახე.

ყრმობითგანვე ტანმორჩილ ყმაწვილს ფენომენალური სხეულებრივი და სულიერი სიმტკიცე დაჰყვა. თავდავიწყებით მისდევდა ხალხურ სპორტს — ჭიდაობას, კრივს, სირბილს, ცურვას, ლახტისა და ბურთის თამაშს. სიმღერა უყვარდა და თვითონაც ჩინებულად მღეროდა. სწორუპოვარი სიტყვის ფლობისა და აზროვნების უნარი ჰქონდა; ასევე — ფენომენალური მეხსიერება (მომავალში — ვისთვის საბედნიეროდ და ვისთვის საუბედუროდ!).

1888 წელს შევიდა გორის სასულიერო სასწავლებელში, დაასრულა 1894 წელს და იმ წელსვე სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. და ამ საღვთისმეტყველო სასწავლებელს, მიზანდასახული მშვიდი მღვდლის, ანუ „კეთილი მწყემსის“ ნაცელად, „ქრისტეს ფეხისმკვნეტელი რევოლუციონერი“ კი გამოუვიდა. მართლაც, 15 წლისა უკვე ჩამოყალიბებული რევოლუციონერი იყო. ზედნადებ პარტიულ სახელად „კობა“ დაერქმია — ალექსანდრე ყაზბეგის საყვარელი ლიტერატურული გმირის სახელი. 1896-97 წლებში სემინარიის მარქსისტულ წრეებს მეთაურობდა. 1898 წელს რსდმპ თბილისის ორგანიზაციის, ანუ „მესამე დასის“ წევრიც შეიქნა, და იქ, ლადო კეცხოველთან და საშა წულუკიძესთან ერთად, უკიდურეს მემარცხენე-ექსტრემისტთა ფრთა შექმნა. 1899 წელს გამორიცხეს სემინარიიდან. ერთხანს რეპეტიტორობით ირჩენდა თავს, მერე თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში დაიწყო მუშაობა გამომთვლელ-დამკვირვებლად. რევოლუციურ მოღვაწეობას კვლავ დაუცხრომლად ეწეოდა.

ადრე დაქორწინდა, — ცოლად შეირთო ეკატერინე სვანიძე, ქვემორაჭის სოფელ ბაჯიდან. ადრეც დაქვრივდა. არავინ იცის, სიყვარულისა, წრფელი მწუხარებისა თუ ფარისევლობის გამო — მიცვალებულ მეუღლეს საფლავში „ჩაჰყვა“ და მისმა სემინარიელ-

მა მეგობარმა, გერონტი ქიქოძემ ძლივს ამოიყვანა ზემოთ (მერე გერონტი ქიქოძე მთელი მისი წუთისოფელი სულ იმის შიშში იყო, ვაი თუ სტალინმა მისი ჯუღაშვილობის დროინდელი ეს „ექსფსიხოპათოლოგიური ფაქტი“ ცუდად გამიხსენოსო)...

იქვე, კუკიის ნეკროპოლისიდან ფეხის გამოდგმამდე, დედამისს, კეკეს, ეს ერთადერთი სიტყვა შეაორთქლა სახეში წუხილით სახედამეწყრილმა შვილმა:

„დღეს ჩემში მოკვდა ადამიანთა მიმართ უკანასკნელი თანაგრძნობა!“

?!

რა იცოდა მრეცხავმა ქალმა, რა სატანა ჰკვებავდა მისი შვილის პირიდან მოდენილ სიტყვას, — სიტყვას, რომელსაც სამომავლოდ მილიონობით ადამიანი შეეწირება...

სვანიძის ქალისაგან ერთადერთი ვაჟი დარჩა, რომელსაც იაკობი დაარქვა (შეწამებული მამის — ეგნატაშვილის სახელი?!). იაკობ (იაშა) ჯუღაშვილი იმ ომს შეეწირა, მამამისმა რომ „დიდი სამამულო“ უწოდა, გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს და ჰიტლერმა მოინდომა სამშობლოსა და მამის ღალატზე დაეთანხმებინა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო და ამისთვის უძვირფასესი ტყვე სასიკვდილოდ გასწირა (ერთადერთი შემთხვევა, როცა ჰიტლერს შეეძლო ისტორიაში დიდსულოვან რაინდად დარჩენილიყო, ამასაც ვერ მიხვდა და დიდი მეტოქის შვილის დახვრეტით, ბოლომდე სულმოკლე კაცუნად დარჩა).

ოჯახი ჰქონდა და თითქოს ოჯახური სიყვარულიც უჩვეულო და „უადამიანო“ ჰქონდა ჯუღაშვილს.

საერთოდ რა იყო მისთვის სიყვარული? რა ღირებულება ჰქონდა მისთვის ამ „ყბადაღებულ გრძნობას“?!

„ღირებულება“, „საქონლის ღირებულება“, „სახმარი ღირებულება“ — ეს მარქსისეული კატეგორიები კი უყვარდა მას ნამდვილი სიყვარულით. ქალის სიყვარულიც ასეთი იცოდა, საერთოდ ადამიანის სიცოცხლისაც — ყველაფერი ს ა ხ მ ა რ ი, ან ს ო ც ი ა ლ უ რ ი ღირებულებით...

1900 წელს, უყოყმანოდ, ლენინის „ისკრის“ მიმდევარი შეიქნა. ლენინი მისი სალოცავი სახელი გახდა. „მე უნდა ვნახო იგი“, — იმეორებდა განუცადებლად. 1901 წელს, ლადო კეცხოველთან ერთად, სწორედ ისკრული მიმართულების ქართული გაზეთი დააარ-

სა, სახელად — „ბრძოლა“. იმავე წელს იგი გაემგზავრა ბათუმს და იქ გააჩაღა რევოლუციური საქმიანობა, იქაურ მუშათა წრეებში. 1902 წელს ბათუმში მუშათა პოლიტიკური დემონსტრაციაც მოაწყო. ამავე წლის 5 აპრილს იგი დააპატიმრეს, ერთ ხანს ბათუმისა და ქუთაისის ციხეებში ამყოფეს, მერე, 1903 წლის შემოდგომაზე, სამი წლით გადაასახლეს ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიის ბალაგანსკის მაზრაში

იშვიათად მეფის ჟანდარმერიას ვინმე დამნაშავის აღნაგობა და სხეულებრივი ნიშნეულობანი ისე დეტალურ-ნიუანსურად შეესწავლოს, როგორც ახალგაზრდა ჯუღაშვილისა:

სიმაღლე — 2 არშინი და $4^1/_2$ ვერშოკი;

თმის ფერი — წაბლა;

თვალების ფერი — თაფლა;

საჩის ფერი — შავგვრემანი;

შუბლი — სწორი და ოდნავ დაბალი;

ცხვირი — სწორი და გრძელი;

ორივე ყური — საშუალო სიდიდისა;

მარჯვენა ყური — უნიშნო;

მარცხენა — ყური ხალით;

სახე — ნაყვავილარი;

წიკაპი — ვიწრო;

პირის ღრუ — ზომიერი;

კბილები — მარჯვენა ქვედა ყბაზე აკლია ერთი საძირე კბილი;

ფეხის თითები — მარცხენა ფეხზე მე-2 და მე-3 თითები ერთანეთზე შეზრდილი...

ბალაგანსკში ლენინისაგან მიიღო წერილი და ამ დღეს იგი უბედნიერესი კაცი იყო. 1904 წლის 5 იანვარს გადასახლებიდან გამოიქცა და კიდევ უფრო გაცხოველებით განაგრძობდა რევოლუციურ საქმიანობას — ბათუმში, თბილისში. იმავე წელს ბაქოში წავიდა და იქ, ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად, იქაურ მუშათა გაფიცვა მოაწყო. ამ გაფიცვას პარტიის ისტორიაში დაერქვა — „ჰექა-ქუხილის წინამორბედი ელვა დიდი რევოლუციური ქარიშხლის წინ“.

1905 წლის დეკემბერში აღსრულდა მისი ყველაზე დიდი ნაოცნებარი: ფინეთში, ტამერფორსის ბოლშევიკურ კონფერენციაზე,

იგი პირველად შეხვდა ლენინს, „მთის არწივს“, რომლისგანაც სამაგიერო სახელად მიიღო — „მგზნებარე კოლხიდელი“.

1901-1907 წლებში მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებით სრულად განმსჭვალული შრომები: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“, „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“, „წერილები ქუთაისიდან“, „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, „ბაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“, „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“, „პასუხად სოციალ-დემოკრატს“, „სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა“, „აგრარული საკითხი“, „მიმდინარე მომენტის შესახებ (სიტყვა რსდმპ IV ყრილობაზე)“, „მარქსი და ენგელსი აჯანყებაზე“, „საერთაშორისო კონტრრევოლუცია“, „დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა“, „კლასთა ბრძოლა“, „საფაბრიკო კანონმდებლობა და პროლეტარული ბრძოლა“, „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“

უკეთუ ყველა ამ შრომას განვიხილავთ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობასთან მიმართებაში — თითქმის ყველაფერი „ანტი-ილიასტურია“ იყო: ბრძოლა გამოგონილი „სამშაირი (თავადაზნაურული, ბურჟუაზიული და პროლეტარული) ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ, საერთაშორისო პროლეტარიატის „ძირგამომთხრელი ნაციონალური კედლების შესამუსრად“, „ნაციონალური კარჩაკეტილობის“ მოსასპობად, „საერთო ეროვნული ნიადაგის“ ალმოსაფხვრელად, „შოვინისტური ლაითაიობის“ ამოსაგდებად, საერთოდ „საქართველოისტების“ დასამარხავად, და ა. შ. და ა. შ. საერთოდ ბუნებაში „არავითარი „ნაციონალური სული“ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდესო“, — ასე უტეხად და უტიფრად ამტკიცებდა რუსეთის ეს მომაგალი თუ ამომაგალი მზე!

1907 წლის ივლისიდან იწყება სოსო ჯუღაშვილის, ანუ ქობას მოღვაწეობის ბაქოს პერიოდი.

აქვე, ბაქოშივე უნდა შევტყო მახ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავიც.

და ამის შესახებ მისგან იმჟამად ნათქვამი, არც ავი, არც კარგი — ისტორიას არ შემორჩენია. და ლაშის მთელი 30 წელიწადი საერთოდაც არ გაიხსენებს, — არ გაიხსენებს მანამ, სანამ მისი

ლექსის ნათლიის ნათელი სახე და სახელი თვითონვე ძალიან, ძალიან არ დასჭირდა (მისთვის ხომ ყველაფერს „სახმარი“ და სახარჯი ღირებულება გააჩნდა...)...

1902 წლიდან 1913 წლამდე ჯუღაშვილი დააპატიმრეს და გადაასახლეს შვიდჯერ, და გამოქცევა მოახერხა ექვსჯერ! (ისეთი „მტკიცედ ორგანიზებული“ ჰქონია ნიკოლოზ იმპერატორს პოლიტიკური საპატიმროები, ისედაც „ყოველმხრივ ორგანიზებულ“ თავის იმპერიაში!.. ამას ყოველივეს გაითვალისწინებს სამომავლოდ „დიდი სტალინი“ — როგორი უნდა იყოს „იზოლატორი“ თუ „კოლონია“ პოლიტიკური პატიმრისათვის, ანდა, საერთოდ, ყოველვარი „იზოლატორ-კოლონიის“ გარეშე, როგორ უნდა გაუსწორდე „იდეურ მოწინააღმდეგეს“, ანუ „ხალხის მტერს“ (ანუ განსხვავებულად მოაზროვნეს და მოფიქრალს)... და იმის გარდა, რომ მეფის საპატიმრო ინსტიტუტებიდანაც მან „სულიერად“ ბევრი რამ ისწავლა, ხორციელადაც გაკაჟდა და გამოჯანმრთელდა. გადასახლებაში მიმავალს ფილტვებში რომ ჭლექი შესჯდომოდა, გადასახლებიდან გამოქცევისას, ყინვიან გვირაბებში, ხევხუვებსა და ქარანძავებში ლტოლვილს, ფილტვებიხ ნაპრალები შეჰკეროდა და ჩაჰკირვოდა და ავი სენისაგან გამოჯანსაღებულს, ბუნებითი (ადამიანთ-გარეთა!) სამყაროდან სიკვდილი ალარ დამუქრებია (აკი საწუთისოფლო ბედისწერა მისი ბიჭუნა იყო!)...

მაშ, კობა ჯუღაშვილი, ციხეში მიჰყავდათ თუ ციხიდან გაჰყავდათ, მუდამ დაუცხრომლად „სჭედდა მასების რევოლუციურ ენერგიას“ (როგორც წერენ სტალინის კარის ბიოგრაფები)[25] და მასთან საკუთარ ტანის ხიმრთელეს...

ხალხს ბელადი უხდება, ბრბოს — დემაგოგი. სოსო ჯუღაშვილში ორივეს უნარი დიდი სიჭარბით შეყრილიყო. ხალხი და ბრბო ერთი მასალაა. და ამ „რევოლუციის მამოძრავებელ ძალას“ როდის შეიძლებოდა რქმეოდა „ხალხი“ და როდის „ბრბო“ — ამის უტყუარ შეტყობაში ჯუღაშვილს ბადალი არ მოეძებნებოდა. ამიტომ, იგი მუდამ ურჯევი გონებრივი მეუფე ხდებოდა ყოველი საკრებულოსი, შესატყვისად — ხან როგორც „ცით მოვლენილი“ ბელადი, ხან როგორც — შენიღბული დემაგოგი.

იგი თავიდანვე უყვარდათ.

მისი თავიდანვე ეშინოდათ.

მისი თავიდანვე სწამდათ.

იქნებ, „შიში შეიქმნა სიყვარულსა“?
და რწმენასაც „შიში შეიქმნა“?!
ასე იყო თუ ისე, მას ხალხიც ყოველთვის მიჰყვებოდა. ბრბოც ყოველთვის...

იგი უკვე მთლიანად შერთოდა რუსეთს. საქართველოში კი ნაწილობრივ თუ „მოხვდებოდა“.

წავიდა როგორც „ქართული მასალა“, რომლისგანაც უნდა შექმნილიყო „რუსული პროდუქტი“. სხვანაირად ვერც „გენიოსი“ გახდებოდა, ვერც „ყოველ გამარჯვებათა სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი“.

„მასალისა“ და „პროდუქტის“ ეს სინთეზი ძალზე ნათლად ჩანს მის უნიკალურ საპასპორტო მონაცემებშიც: „ეროვნება — ქართველი“, „მშობლიური ენა — რუსული“.

მშობლიურ-ქართულად დარჩა მხოლოდ „დილა“ — ილიასგან ნაკურთხი ლექსი, ენის ამოსადგმელი ყველა დროის ქართველი ყრმისთვის.

მაშ, საქართველოსგან ნაშობ ჯუღაშვილს რუსეთი სტალინად აქცევდა. რა გაეწყობოდა, — თუ „გამსოფლიოება“ სურდა ასეღაც უნდა მოქცეულიყო: მცირე ქვეყნის მოკლე არტახებიდან თავი დაეხსნა და მსოფლიო სივრცის მოცულობაში გაეშალა შესაფერისი „მსოფლიო ფრთები“. რა გაეწყობა, — იგი, ეს „გიჟური ბიჭი“, როდი იყო ისტორიაში უწინამორბედო: ასევე იყო ალექსანდრე მაკედონელი, ასევე — ნაპოლეონი. ვერცერთის მაკრო-გენიალობას ვერ დაიტევდა ვერც მიკრო-მაკედონია, ვერც მიკრო-კორსიკა.

მთავარი იყო, თავისი „მსოფლიო ენერგიით“ მსოფლიო სახელმწიფოებს შერთოდნენ.

მთავარი იყო, საკუთარი სამშობლოსა და მშობლიურის სახსენებელიც დაევიწყებინათ.

ეს შესძლო ალექსანდრე მაკედონელმა, შესძლო ნაპოლეონ ბონაპარტემ.

და სოსო ჯუღაშვილიც შეძლებს დაივიწყოს მისი მშობლიური მიკრო-ქართველობა.

ქართველს გამუდმებით უყვარს გლობალური, „სამსოფლიოო“, „საუცხოო“, „საზოგადო“, „საერთაშორისო“, „საგარეო“... და, დედამიწაზე არცერთ სხვა მცირე ერს, ანუ „ერთ სულ მოსახლეზე

გაანგარიშებით", არავის იმდენი „საბჭოგადო" და „საერთაშორისო" მოლვაწე არ გასჩენია, რამდენიც ქართველს ერს).

საქართველოს ისტორიაში მრავლად ჰყავდა ჯუღაშვილს წინამორბედნი, მშობლიურ სიპატარავეში რომ ვერ ჩაეტივნენ და გამსოფლიოების წყურვილი მსოფლიოში „გაუცხოებით" დაირწყულეს: ბაკურ და პეტრე იბერნი, გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძენი, სააკაძენი, უნდილაძენი, რუსტამ-ხანები, გურგინ-ხანები და სხვანი მრავალნი „გურჯი-ხანები", „გურჯი-ფაშები", თუ „გურჯი-ბეგები", მამლუქები, ბაგრატიონები, ციციშვილები, იაშვილები...

და ჯუღაშვილიც მთელი მისი ცხოვრების „სტალინურ პერიოდში" შეძლებს სრული „სტაბილურობით" განერიდოს და ამრეზით უცქიროს საკუთარ ქართველობასაც და საერთოდ ქართველობასაც. და ამ მხრივ იგი ორჯონიკიძესაც — საკუთარი ეროვნულობის წინააღმდეგ ბრძოლის ამ „კლასიკოსსაც" — ლამის ალარ ჩამორჩებოდა.

მხოლოდ ქართული პურ-ღვინისა და ქართული სიმღერის სიყვარულს ვერ შეელევა. ეგ იქნება და ეგ.

ქართულ ეროვნულ სისხლს მისთვის მხოლოდ ს ო ც ი ა ლ უ რ ი დ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თუ გააჩნდა, მხოლოდ და მხოლოდ სოციალურად სახმარი და სახარჯი ღირებულება.

რა გაეწყობა, — ალბათ, ეს იყო მეთოდი და ტექნოლოგია „გამსოფლიოებისა".

•

რა გაეწყობა, — ქართველები, თითქოს, უცხოეთში უფრო ახერხებენ პირველობას, ვიდრე მშობლიურ საქართველოში (სადაც ყველა პირველია!). და, მართლაც, დასაჯერებელია, — საქართველოში რომ დარჩენილიყო, „ის გორელი ბიჭი" იქნებ გორის ქალაქისთავობასაც („აღმასკომის თავმჯდომარე", „რაიკომის მდივანი") ვერ მიაღწევდა (!).

(ძნელია, ძალზე ძნელი ამდენ „პირველში" პირველობა).

იქ კი, იქ — რუსეთში...

ბაოცარი ქვეყანაა რუსეთი.

საქართველოში ბომონები არ უყვართ (რადგან ყველას ცალკეულად თვითონ მიაჩნია თავის თავი ბომონად).

ხოლო, რუსეთს ბომონის გარეშე არსებობაც ვერ წარმოუდგენია.

ქართველი ქართველს უპირატესობას არ შეარჩენს, არ აპატიებს, არ დაანებებს.

რუსს კი ყოველი მოყვასის უპირატესობის აღიარება, ფასი და ყადრი ძალიან „ემარჯვება“...

მაშ, სოსო ჯუღაშვილი შესდგომოდა დიდ „მსოფლიო გზას“ — „სტალინურ გზას“.

სტალინი კი ბოლომდე უფრო ლენინელი იქნება, ვიდრე მარქსელი, რამდენადაც — მარქსი მხოლოდ მსოფლიო პროლეტარულ-სოციალისტურ რევოლუციაზე ოცნებობდა, ხოლო ლენინმა ერთ ცალკე ქვეყანაში დაიჩემა იგივე ხასიათის რევოლუციის მოხდენა. და სტალინიც, „თავისი სტალინობით“, სწორედ ამ ლენინური თეორიის — „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების“ — პრაქტიკულ განხორციელებას მიეძღვნება.

თუმცა, ჯერ შეიძლება, ესეც სარკვევი იყოს, რას გულისხმობდა ლენინი ამ, აქამდე განუხორციელებელი („უტოპიური“) ფორმაციისათვის გათვლილ „ერთ სახელმწიფოში“ — მხოლოდ საკუთრივ რუსეთს, თუ რუსეთის იმპერიასაც, მისგან „ათვისებული“ მრავალი ხალხებით, ერებით, ეროვნებებით და „ყოფილი“ სახელმწიფოებით?! მალე დადასტურდება, რომ თურმე ეს უკანასკნელი იგულისხმებოდა — „ერთი რუსეთიც“ და „იმ ერთისგან“ დაპყრობილ-დამონებული მრავალი ხალხები და ქვეყნები.

მაშასადამე, ძველი რუსული, თვითონ ლენინისგან „ხალხთა საპყრობილედ“ მონათლული, მონარქისტული კოსმოპოლისი ახალი, სოციალისტური კოსმოპოლისით უნდა შეცვლილიყო.

და ამას პრაქტიკულად შეძლებს სწორედ სტალინი, რომელიც „პროლეტარიატის დიქტატურის“ შირმით, მსოფლიო ისტორიას მოუვლენს მანამდე სისასტიკით და სიმტკიცით გაუგონარ ერთპიროვნულ დიქტატურას.

ის დროც დადგება, როცა სტალინიც ისევე მოკვდება, როგორც ყოველი სხვა კაცთაგანი და მაშინ, მკვდარი ლომის უღვაშთა წიწკნაში, გაბედავენ მტკიცებას, რომ ყველაფერი ყოფილა მხოლოდ წყლის ნაყვა, ან იქნებ — „სისხლის ნაყვაც“?! ოცდაათწლიანი უსასტიკესი სტალინოკრატია დაჰბადებს ასეთი მტკიცების საფუძვლებს. მით უფრო, რომ სტალინს რუსობას არაფრით არ დაუკარგებენ (სიკვდილის შემდეგ!) და „სოციალიზმის გაფუჭებასაც“ მის „ინოროდცულ ჯიშს“ დააბრალებენ.

მაგრამ, რაც არ უნდა ითქვას, იმას, რასაც ბუნებაში „პრაქტიკული სოციალიზმი“ უნდა დაერქვას, მისი დემიურგი, მთავარი და,

ასე გასინჯეთ, ერთადერთი თანმიმდევრული გმირიც, მაინც და მაინც სტალინი იქნება.

ამ შემთხვევაში, არც იმასა აქვს მნიშვნელობა, ხალხის საკეთილდღეოდ გაამართლებს თუ ვერ გაამართლებს „მისი (თუ საერთოდ) სოციალიზმი“. აქ მთავარია, რომ სოციალიზმს — მანამდე ოდენ თეორიულ ქიმერას — სწორედ სტალინი დაამკვიდრებს პრაქტიკაში. ვიმეორებთ, ამ მხრივაც იგი ერთადერთი გმირი იქნება მთელს მსოფლიოში, მანამდე უქმნადის შემოქმედი, მსოფლიოში ერთადერთი-მეთქი, „ვით მარგალიტი ობოლი“, თუნდაც გაუგონარი ტერორით „ნაგოგმანები“.

და ასე — იგი მართლა შეიქმნება კაცობრიობის ახალი გზის პრაქტიკული შემოქმედი და მაჩვენებელი — ისეთი გზისა, რომელზედაც კაცობრიობამ, თუ თავი უყვარს, არასოდეს აღარ უნდა გაიაროს(!!!).

აქ კიდევ ხაზი უნდა გაესვას სინდისს და რწმენას. მაგრამ არა „კეთილს“ თუ „ბოროტს“, ვრამედ სინდისის და მრწამსის სიკვდილამდე ურყევლობას და სისპეტაკეს. და ამ მხრივაც სტალინი იქნება „ვით მარგალიტი ობოლი“, შემდგომში „ლენინურ გვარდიად“ წოდებულ ბოლშევიკ-ლიდერთა შემადგენლობაში, რომელთაგან თითქმის უკლებლივ ყველა, „დრო და ჟამის შესაფერად“, თავს ისახელებენ სინდისის გასაოცარი მერყეობით, რწმენისადმი ღალატით, კაცური კაცობისადმი ვერაგობით, ლაჩრული სულმოკლეობით, რენეგატული „მი-და-მო-ქცევებით“.

მაგრამ ყველაფერი ეს მოხდება გვიან. მანამდე კი სოსო ჯუღაშვილი „სტალინობის“ გზას შესდგომია.

ეს გზა მას მიიყვანს ჯერ, ჩაგრულთა ახალი მესიის, ლენინის მოციქულობამდე, იმ ანალოგიით, რაიც მანამდე, 1900 წლის წინ, პავლე მოციქული იყო ქრისტესთვის!.. მხოლოდ ეს იყო აპოსტოლ პავლესაგან განსხვავებული: ჯუღაშვილს მოყვასი არ ეცოდებოდა (სიყვარულზე რომ აღარა ვსთქვათ-რა).

მოყვასის სისხლს (დაქცეულს თუ დასაქცეველს, სულ ერთია) მისთვის მხოლოდ სოციალური ღირებულება გააჩნდა (მარქსის „საქონლის ღირებულებასავით“), სხვა არაფერი.

ამიტომ მას დიდი, მსოფლიო აღზევება ელოდებოდა, აღზევება, როცა მთელი მსოფლიო მისი წარბისა და ულვაშის ქვეშ მოიჩრდილება და მოინუსხება, როცა მსოფლიო ისტორიის მთავარი რეკვიზიტი მის თითებში ჩაყინული ჩიბუხი იქნება.

მსოფლიო საისტორიო ბედისწერა ხომ მისი ბიჭუნა იყო.

ქართველ ბოლშევიკ „პირველთა“ შორის იყო, აგრეთვე, გრიგოლ კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე, უფრო გაცნობილებული სახელით — სერგო. დაიბადა ხარაგოულის რაიონში, სოფელ ღორეშაში, აზნაურის ოჯახში, 1886 წელს. 1901—1905 წლებში სწავლობდა თბილისის საბეითლო-საფერშლო სკოლაში (თითქოს ბეითლობაშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ქართველი სოციალ-დემოკრატები: ნოე, ფილიპე, კარლო, სერგო). იქვე, 1903 წლიდან, შეიქნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მისი პარტიული აქტივისტობა იწყება რკინიგზის მუშათა შორის სააგიტაციო მუშაობით, სადაც მას უკანასკნელ სახელად ეძახდნენ „იმერელს“, ან „იმერელ ბიჭს“. ილიას მკვლელობის ჟამს იგი იყო 21 წლისა. ხოლო, მკვლელობის მონაწილედ თვითონ მკვლელთაგან „ვინმე იმერლის“ ერთხმივი დასახელება, აღძრავს ძლიერ ეჭვს, რომ ეს იყო სწორედ სერგო ორჯონიკიძე. ამიტომ მისი მეხოტბე ბიოგრაფების (მეხოტბენი — საკუთარი ნებით თუ შიშით) მიერ აჩემებული ალიბიც — მაინც და მაინც ილიას მკვლელობის დროს სერგო ბაქოში იყოო და ამრიგად წიწამურში ვერ იქნებოდაო — ძალიან გვარიანად საეჭვოდ ვამოსჩანს: წიწამურის და ბაქოს „ერთ დროში“ მოქცევა ისტორიკოსის კალმისთვისაც ადვილია და მკვლელის თოფისთვისაც; ანუ — სანამ ისტორიკოსისგან აჩემებული ალიბის მტკიცება ქაღალდს შეაშრება, თვითონ იმ ისტორიკოსს მანამ შეუძლია მცხეთა-თბილისიდან ბაქოში გაჩნდეს, და ასევე — წიწამურთან თოფის მსროლელსაც შეუძლია ბაქომდე მანძილი მანამ დაჰფაროს, სანამ იმ ავბედითი თოფის კვამლი გაფანტვას მოასწრებდეს. ასევე სინამდვილეს უფრო ის ჰგავს, რომ სერგო ირანში გადაიხვეწა არა მაინცა და მაინც 1909 წელს (როგორც ეს დაჟინებით აუჩემებიათ იგივე ისტორიკოსებს), არამედ 1907 წელს, სწორედ ილიას მკვლელობის შემდგომ, ისე როგორც ასევე ირანში გადახვეწით თავს უშველა ბერბიჭაშვილმა. ამიტომ, საკვირველია, რომ ბერბიჭაშვილი და „ვინმე იმერელი“ კიდევაც ერთად გაიქცნენ ირანს.

მაინც — მკვლელობის დაბრალება თვითონ მკვლელობაზე ნაკლები მძიმე ცოდვა როდია. ამიტომ, სანამ უფრო დამარწმუნებელი საბუთები არ გამოიძებნა, ეჭვი ეჭვად დარჩეს და ვარაუდი ვარაუდად. მაგრამ ეჭვს ისევ და ისევ თვითონ სერგოს პირადი ხა-

სიათიც აძლიერებს. საქმე ისაა, რომ სერგო ქართველ სოციალისტთა შორის ყველაზე უკიდურესი „ანტინაციონალისტი“ და „ანტისაქართველოისტი“, მაშასადამე — „ანტიიილიაისტი“ იყო.

საერთოდ ქართველი სოციალ-დემოკრატები, ვითომ თავისი „პროლეტარული ინტერნაციონალიზმით“, რუსულ შოვინიზმთან უფრო ახლოს იდგნენ, ვიდრე ქართულ პატრიოტიზმთან. მაგრამ ამათგან, ქართულ პატრიოტიზმთან შეურიგებელი ბრძოლის „კლასიკოსი“ მაინც სერგო ორჯონიკიძე იყო. იგი, რაღაცნაირი პათოლოგიური გამოვლინებით, ვერ იტანდა და ვერ ითმენდა ქართველობის რაიმე ღირსებაზე ოდნავ მინიშნებასაც კი. იგი ყოველ უკიდურეს რუს შოვინისტსაც „წარმატებით“ აჭარბებდა ეროვნულ-ქართულის ყოველი „გამოვლინების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის შესახებ თავის დროზე იტყვის ლენინიც. მანამდე კი ამ ქართველმა „მის“ საქართველოს იმდენი ანტიქართული რამ დაატეხა თავს, რასაც საქართველოზე, სომხეთზე და საერთოდ იმპერიის „ინოროდცებზე“ ხუთი პურიშკევიჩიც ვერ გაბედავდა და ვერ მოივერაგებდა.

(ყოველივე ამას ქვემოთ, გზა და გზა, თვალნათლივ დაგვანახვებს ჩვენი მწუხარე ისტორია).

•

ქართველთა შორის „ნამდვილ პირველთაგანი“ მარქსისტი რეოლუციონერი იყო მიხა ცხაკაია, რომელიც დაიბადა სამეგრელოში, სენაკის მაზრის სოფელ ხუნწში, 1865 წელს. იყო „მესამე დასის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი. პარტიის წევრობას ითვლიდა 1898 წლიდან. რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა: ლესიჭინეში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ეკატერინოსლავში, შერე ისევ თბილისში, შემდეგ ბაქოში, ისევ ბათუმსა, ქუთაისსა და ჭიათურაში. 1905 წელს მან გახსნა რსდმპ III ყრილობა, მოხსენებისათვის სიტყვა მისცა ლენინს და შემდეგ თვითონვე გამოვიდა თანამოხსენებით, საქართველოში მომხდარი რევოლუციის შესახებ. ასე რომ — ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის ყველაზე დიდი პატივი ჯერჯერობით მიხა ცხაკაიას რგებოდა... ლენინი მისთვის ნამდვილი იაღვე იყო. როცა მას უსმენდა, თავს ვეღარ იკავებდა და ეამ-ჟამად, „და, და!“-ს შეყივლებით, თავის უსაზღვრო აღტაცებას გამოხატავდა... შემდეგ მიხა აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა პეტერბურგში, ბაქოში, კვლავ თბილისში. 1907 წელს მო-

ნაწილეობდა რსდმპ V ყრილობაში და არჩეულ იქნა II ინტერნაციონალის VII შტუტგარტის კონგრესის დელეგატად... ამავე წელს ხომ ქართველებმა ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს, — მიხა ცხაკაია ამშინ იყო 42 წლისა და ილიას სიკვდილი მან შეიტყო საზღვარგარეთ ყოფნისას... გვიან, როცა საერთაშორისო (იგულისხმე: რუსეთი) რევოლუცია გაიმარჯვებს, — მიხას საერთო განათლებისა და „რევოლუციური აზროვნების“ ნიმუშად ხალხი ამნაირ ანეკდოტს გადმოისვრის: მიხა დგას ტრიბუნაზე და აფოფინებული მიმართავს პიტინგს: „ამხანაგებო, ჩვენ გავიმარჯვეთ და ჩვენი წითელი პროლეტარული დროშა უკვე დავარჭვეთ დედამიწის ერთ მეექვსედზე, მალე დავარჭობთ ერთ მეათედზე, მერე ერთ მეასედზე, მერე ერთ მეხუთასედზე, მერე ერთ მეათასედზე, და... და სტალინმა შეაწყვეტინა: „გეყოფა, მიხა, თორემ შენ იმდენს იზამ, იმ დროშის ჩასარჭობი წერტილიც აღარ დაგვრჩება ამ დედამიწაზე)...

(სწორედ ულმობელია ხალხი, — ულმობელი და უცდომელი!)...

ქართველ ბოლშევიკ რევოლუციონერთაგან ფრიად თვალსაჩინო პიროვნება იყო პროკოფი აფრასიონის ძე ჯაფარიძე, პარტიული სახელით — ალიოშა. იგი დაიბადა ზემო რაჭაში, სოფელ შარდომეთში, 1880 წელს. ილიას მკვლელობის ჟამს იყო 27 წლისა და ამ მკვლელობისა სრულიად არაფერი იცოდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობა და რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო 1898 წლიდან. 1900 წელს დააპატიმრეს, მალე გაათავისუფლეს და თბილისიდან ქუთაისს გაასახლეს (ყოფილა ამნაირი „გადასახლებაც“!). ქუთაისში იმერეთ-სამეგრელოს სოციალ-დემოკრატთა კომიტეტის აქტიური წევრი შეიქნა. 1904 წელს ბაქოში გადავიდა; იქაც დიდი სახელი დაიგდო რევოლუციური საქმიანობით. იქედანვე 1905 წელს გაგზავნილ იქნა დელეგატად რსდმპ III ყრილობაზე, სადაც იგი პირველად შეხვდა ლენინს. 1910 წელს დონის როსტოვსა და ყუბანში ეწეოდა პარტიულ მუშაობას. მერე ისევ თბილისი, პეტროგრადი, ტრაპიზონი, ბოლოს კვლავ ბაქო და იქვე იტყვის უკანასკნელსა და ყველაზე დიდ საისტორიო სიტყვას...

. . .

ქართველ რევოლუციონერ ბოლშევიკთა შორის გამოირჩეოდა საშა (ალექსი) ალექანდრეს ძე გეგეჭკორი,

სოციალური წარმომავლობით აზნაური, გარეგნულად ფრიად მომხიბლავი ქართველი კაცი; დაიბადა სამეგრელოში, მარტვილის ახლოს, სოფელ ნაოღალევში, 1887 წელს. რევოლუციური საქმიანობა დაიწყო 1902 წელს. პარტიის წევრი გახდა 1908 წელს. ილიას მკვლელობის დროს იყო 20 წლისა და ამ მკვლელობისა არაფერი ეცოდა.

და იყო ფილიპე ესეს ძე მახარაძე, ქართველ მარქსისტთა „ადრინდელი კლასიკოსი" (უკეთუ ამ ტიტულს ნოე ჟორდანია არ შეეცილებოდა). დაიბადა ოზურგეთის მაზრაში, სოფელ შემოქმედში, გლეხის ოჯახში, 1868 წელს. პარტიის წევრი გახდა 1903 წელს. დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, მერე სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში 1891 წელს შევიდა ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტში, სადაც ორი წლის შემდეგ, მარქსისტული პროპაგანდისათვის დააპატიმრეს და საქართველოშიეე „გადმოასახლეს". თბილისშიც რამდენჯერმე დააპატიმრეს აქტიური რევოლუციური საქმიანობისთვის. სხვა, მის შესახებ, აკი ზემოთაც ითქვა... ილიას მკვლელობის ჟამს ფილიპე იყო 39 წლისა, — ამ მკვლელობის მთავარი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი...

ნ. „მოხალისე გურჯები"

1905—1911 წლებში რევოლუცია მძვინვარებდა ირანში. ხალხი თავის „მშობლიურ შაჰს" ასჯანყებოდა. საქართველოდან სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით მეფის ხელისუფლებისაგან დევნილნი, „მოხალისეებად" გაეშურნენ „თავისი კლასობრივი ძმების მისაშველებლად"[26].

სხვათა შორის — ირანში „მოხალისედ" გადახვეწილებში იყვნენ გიგლა ბერბიჭაშვილი და სერგო ორჯონიკიძე...

„გურჯები" — ასე ეძახდნენ მათ საშველად კავკასიიდან ჩასულ ქართველებსაც და არაქართველებსაც ირანელი მოჯანყენი.

აჯანყების ცენტრები იყო ირანის ჩრდილო ოლქები, განსაკუთრებით ქალაქი რეშთი (გილანის პროვინციაში) და ქალაქი თავრიზი.

აჯანყებას მეთაურობდა სათარ-ხანი; მისი თანაშემწე — ბაღირ-ხანი.

(სხვათა შორის, გიულა ბერბიჭაშვილმა ერთ თავის შვილს სახელად სათარ-ხანი დაარქვა).

სერგო ორჯონიკიძე გილანს ჩავიდა და იქაურ ქალაქებში — რეშთში, ენზელსა და არდებილში, მაშინვე შეუდგა პოლიტიკური კლუბების შედგენას და მათში მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებათა პროპაგანდას. მისი წაქეზებითა და ხელმძღვანელობით ითარგმნა სპარსულად „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". ირანიდან მას მიმოწერა ჰქონდა იმ დროს პარიზში ემიგრირებულ ლენინთან. იმავე დროს ირანს სერგო იყენებდა მარქსისტული ლიტერატურის რუსეთისკენ გასატარებლად და შესატანად.

ერთ დღეს სერგო ორჯონიკიძე, ენზელში, ბატონისგან გამეტებული ყმა-გლეხის წამებას წააწყდა. ჯალათებს გლეხი ხეზე ფეხებით დაეკიდებინათ და, გამწყრალი ბატონის ღრიალის ქვეშ, მათრახებით სცემდნენ. იქვე იმ გლეხის შვილები წიოკობით ურბენდნენ გარშემო წამებულ მამას.

სერგომ ნაგანი იძრო, ჯალათები დაიფრინა, ის გლეხი ხიდან ჩამოხსნა და გაუშვა. ამისთვის „არამკითხე გურჯი" შეიპყრეს და საპყრობილეში ჩააგდეს.

მაგრამ ეს შეიტყო სიმონ სალარიძემ, რომელიც რეშთის ვიცე-გუბერნატორის ქალიშვილებს რუსულ და ფრანგულ ენებს ასწავლიდა. შეიტყო და მაშინვე მიაკითხა პატიმარს საპატიმროში. — საბუთები ჩამომართვეს და ვინძლო რუსეთის კონსულს არ გადასცენო. — ეს იყო სერგოს უპირველესი თხოვნა სალარიძისადმი. ესეც მაშინვე გაიქცა ვიცე-გუბერნატორთან, რომელსაც უკვე გაეშზადებინა წერილი რუსი კონსულისადმი რუსეთის ქვეშევრდომი „გურჯის" შესახებ. როგორც ეტყობა, ირანელი მაღალჩინოსანი დიდ პატივს სცემდა თავის „გურჯ გუვერნიორს", მისი თხოვნა შეიწყნარა და პატიმარი დიალოგზე მიიღო.

— რატომ იყენებთ ბოროტად ჩვენს სტუმართმოყვარეობას? — ეკითხება სპარსელი ქართველს და იქვე შაჰის პორტრეტზე უთითებს: შეხედეთ შაჰინ-შაჰის ამ სურათს, რომლის ფეხქვეშ გასუდრულია მთელი ირანი, სადაც თქვენ იმყოფებით და ამავე დროს ამ ბედნიერ ქვეყანაში ცოდვებსა და ბოროტებას თესავთ.

სერგო გვარიანად ნაკითხი აღმოჩნდა, რაკიღა მაშინვე ომარ ხაიამის ლექსი „დაურტყა:

„ვინ არის უცოდველი ამ ქვეყნად, მითხარი?
როგორ შეუძლია იცხოვროს მან უცოდველად, მითხარი?
თუ მე ბოროტებას ჩავდივარ, ხოლო შენა მსჯი, —
რით განსხვავდები შენ ჩემგან, — მითხარი?"

გაოცდა ვიცე-გუბერნატორი: — ბიჭოს! ჩვენივე მახვილით გვგმირავ, ყმაწვილო, საიდანა ხარ შენ?

— მე ერთი ღარიბი კაცი ვარ, რომელსაც არაფერი არ მაბადია ამ დუნიაზე, გარდა ირანელი ხალხის მხურვალე სიყვარულისა, რომელმაც გაამდიდრა მსოფლიო ისტორია საუკეთესო ფურცლებით, — მიუგო სერგომ („ი რ ა ნ ე ლ ი ხალხის მხურვალე სიყვარულიო", — ქართველ ხალხზე თუ შეიძლო ასევე ეთქვა?!).

— რაში გამოიხატება თქვენი სიყვარული ჩვენი ხალხისადმი, — იმაში, რომ სახელს უტეხთ და ამცირებთ შაჰის ძალაუფლებას მთელი ქვეყნის წინაშე? — ეკითხებოდა ისევ ირანელი.

სერგომაც უმალვე მიუგო, წინასწარ ეაზეპირებულივით:

— ირანელები ცნობილი იყვნენ ვაჟკაცობით, სამართლიანობითა და ჰუმანურობით. მე კაცთმოყვარეობა მამოძრავებს. ჩაგრულთა მიმართ ღრმა სიყვარულმა გამოიწვია ჩემში უსაზღვრო მრისხანება გულქვა დამსჯელისადმი, გადავწყვიტე მეშველა ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილი დასჯილისათვის, რომლის თვალთაგან აუტანელი ტანჯვა იცქირებოდა, ხოლო ტიტლიკანა მისი ბავშვების ტირილმა ისე ამაფორიაჭა, რომ მსგავსად პელიკანისა, მზად ვიყავი ამომეგლიჯა ჩემი გული და მიმეცა ამ ღატაკი ბავშვებისათვის, „ბავშვები ხომ მომავალი მამებია". მე არ დავერიდე მომეპოვა მოძალადენი, რათა ბავშვებისათვის სიხარული მიმენიჭებინა.

ამ „უცნაური გურჯის" სიტყვამ „გული გაუთბო" ვიცე-გუბერნატორს, სალარიძეს მიუბრუნდა და ინგლისურად უთხრა: ასეთი აზრებითა და სიფიცხით შენი მეგობარი სიბერეს ვერ მიაღწევსო. რუსი კონსულისათვის გამზადებული წერილი იქვე დახია და სერგოს მიუტრიალდა: აჰა, წაიღე შენი საბუთები, ნაგანიც, და გირჩევ, რაც შეიძლება მალე წახვიდე ირანიდანო.

ამის შემდეგ სერგო ორჯონიკიძე მართლაც მალე წამოვიდა ირანიდან საქართველოში.

ირანის რევოლუციაში რევულუციონერობდა აპოლონ გლახოს ძე ჯაფარიძე („პატარა მიშა"), დაბადებული რაჭველი აზნაურის ოჯახში, 1888 წელს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1905 წლიდან. ირანს ჩასვლამდე, თბილისში, თერთმეტ ტერორისტულ აქციაში მიეღო მონაწილეობა „ამ რაჭველს". ირანის რევოლუციონერთა შორის იგი მეკავშირის მოვალეობას ასრულებდა და ბაქოდან საომარი საშურველი შეჰქონდა ირანის აჯანყებულ ქალაქებში. სერგო ორჯონიკიძის დავალებათა უაღრესად ერთგული აღმსრულებელი იყო. ოთხჯერ შეიპყრეს, ოთხჯერვე მოახერხა გაქცევა. 1913 წელს „პატარა მიშა" ირანიდან თურქეთში გავიდა და სტამბოლში ცნობილ პარტიულ მოღვაწესთან, სამუილ ბუაჩიძესთან განაგრძო რევოლუციური საქმიანობა.

ირანში ირანელებისათვის იბრძოდა აგრეთვე ვალიკო ტარასის ძე ბაქრაძე, ზედნადები პარტიული სახელით — „ჟელეზნი". იგი დაიბადა 1886 წელს, ჭიათურის რაიონის სოფელ დარკვეთში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, საიდანაც გამორიცხეს მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის. რევოლუციური საქმიანობა გააჩაღა ჭიათურის მუშათა წრეებში. ჭიათურიდან ბაქოში გადავიდა, ბაქოდან — ირანში, თავრიზში, სადაც ის შეხვდა სათარ-ხანს და ბაღირ-ხანს, და მათთან ერთად ებრძოდა შაჰის საომარ ძალებს. იყო თავრიზის ირანელთა რევოლუციური კომიტეტის წევრი. დაიღუპა სოფელ ალინჯთან გამართულ ბრძოლაში, 1908 წელს, 22 წლის ასაკში. დაასაფლავეს თავრიზში, სომხური ეკლესიის ეზოში, დაცემულ ქართველ მეომართა საძმო საფლავში.

შემდეგ, — ჩიტო ცერცვაძე, გორის მაზრის სოფელ ზედდულეთელი გლეხი, დაბადებული 1881 წელს. რევოლუციურ მუშაობას გორში გაეჩვია. სოფლებში გლეხებს აჯანყებდა თავადი ამილახორის წინააღმდეგ. 1907 წელს თბილისში გადავიდა და იარალოვის ქარხანაში მუშაობა დაიწყო ზეინკლად. აქვე ხელყუმბარების კეთება ისწავლა და თავისი „შემოქმედებით" თვითონაც სარგებლობდა და ამხანაგ-რევოლუციონერ-ტერორისტებსაც ამარაგებდა. ბოლოს, ჟანდარმერიის დევნამ იგი ირანში გააქცია. იქ რამდენიმე ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. ბოლო შეტაკებაში, ორივე ხელში ყუმბარებით აღჭურვილმა, მტრისკენ ერთი ყუმბარის გადატყორცნა მოასწრო, მაგრამ მეორე ხელში აუფეთქდა და

დაიღუპა. ისიც დაასაფლავეს თავრიზის სომხური ეკლესიის ეზოში, ქართველთა ძმათა სამარეში. დასაფლავებას თხუთმეტი ათასამდე კაცი დაესწრო, ყოველი ერისა და რჯულისა — ირანელები, ქართველები, სომხები, ბერძნები, გერმანელები, ინგლისელები, ქურთები. წარმოითქვა სამგლოვიარო სიტყვები. ორატორები იყვნენ — სპარსელი მოლა და სომეხი სოვდაგარი.

ირანის რევოლუციაში მონაწილეობდა თავადი გრიგოლ მელიტონის ძე ემხვარიც, საძურწაყანოს სოფელ ოქუმიდან. დაიბადა 1887 წელს. სწავლობდა თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში; მონაწილეობდა გიმნაზისტთა პოლიტიკურ გამოსვლებში. სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა პეტერბურგს, მაგრამ უნივერსიტეტში არ მიიღეს, პოლიტიკურად „არასაიმედოობის“ გამო. გრიგოლი საბოლოოდ დაადგა რევოლუციის გზას. იყო ესერთა პარტიის წევრი. 1908 წელს ირანში წავიდა, სხვა ქართველ რევოლუციონერებთან ერთად. დაიღუპა შაჰის ჯართან შეტაკებისას, იმავე წელს, 21 წლისა.

ვლადიმერ ფარსადანის ძე დუმბაძე, ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედიდან. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. რევოლუციურ საქმიანობასაც გიმნაზიის წლებიდანვე შეეჩვია. ბოლოს, 1906 წელს, სპარსეთში გავიდა და ძალიან სწრაფად, სიმამაცისა და საზრიანობის კვალობაზე, ერთი დიდი საომარი დანაყოფის შტაბის უფროსიც შეიქნა. იქ, ახოვანსა და მოხდენილს, „გრძელი ლადო“ შეარქვეს. თავრიზის ახლოს, რევოლუციონერებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს შაჰის არმიას, რომელსაც მთავარსარდალი რაჰიმ-ხანი მოუძღოდა. სამდღიანი სისხლისღვრა რევოლუციონერთა გამარჯვებით დამთავრდა. ბრძოლაში დაეცა თვითონ რაჰიმ-ხანი. დიდად გაითქვა სახელი ვლადიმერ დუმბაძემ, რომელიც ამ ბრძოლაში თავისი რაზმით ეინალის მთაზე იდგა და იქედან ესხმოდა მტერს, იმ მთას ამიერიდან სპარსელებმა „გრძელი ლადო“ („უზუმლადო“) დაარქვეს. 1907 წლის 14 თებერვალს, მორიგ დიდ ბრძოლაში ვლადიმერ დუმბაძე დაიღუპა. ისიც დაასაფლავეს ხსენებულ საძმო სასაფლაოზე, თავრიზში.

ვარდენ ესეს ძე თიკანაძე, დაბადებული 1884 წელს, ოზურგეთის მაზრის სოფელ მაკვანეთში, ფუხარა გლეხის ოჯახში. დედით ყრმობითვე ობოლი, დედინაცვლისგან გაზრდილი. ბუშაობა დაიწყო ცხრა-ათი წლისამ, ბათუმის ნავთის ქარხანაში.

აქვე, მუშებში ისწავლა რევოლუციური საქმიანობა. მოქმედებდა გაბედულად და მოხერხებულად. მაგრამ ბოლოს, — როცა მან ბომბი ეპროლა პლასტუნთა მეთაურ ერმოლოვს — შეიპყრეს და ხიკვდილიც არ ასცდებოდა, მაგრამ სოციალ-დემოკრატთა ბათუმის კომიტეტმა მაინც შესძლო ციხიდან მისი გაპარება. საქართველოში მისი გაჩერება შეუძლებელი გახდა და, 1907 წელს, ვარდენ თიკანაძეც ირანს გაიქცა. 1908 წელს ისევ ბათუმს მობრუნდა, აქედან იარაღის გადასატანად, მაგრამ უკან მიბრუნებული, ბაქოში შეიპყრეს და ასტრახანში გადაასახლეს. აქ მისი პიროვნება და პოლიტიკურად არასაიმედოვნება საბოლოოდ დაადგინეს და 1911 წლის 15 იანვარს, 27 წლის ვარდენ თიკანაძე ჩამოახრჩეს.

შემდეგ, — სილოვან ივანიაძე, დაბადებული 1886 წელს, ქვემო იმერეთის სოფელ დიდ ჯიხაიშში. ბრძოლა დაიწყო ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელ ჯარებთან. მახინჯაურთან კაზაკთა რაზმი ამოწყვიტა, ბომბის დაცემით. თვითონ ექვსი ტყვიით დაიჭრა, თავში კონდახის დარტყმაც მიიღო და უკვე მკვდრად მიჩნეული, თხრილში ისროლეს. მაგრამ რაღაც სასწაულებრივად მაინც გადარჩა. ისევ ბრძოლა. ისევ დევნა. და სილოვან ივანიაძეც ირანს გადაიხვეწა, იქაურ რევოლუციას შეერია, იქაური „ახალი კონსტიტუციის გასამაგრებლად". მალე სახელიც გაითქვა, როგორც „ჰეშმარიტმა გურჯმა". 1910 წელს, სპარსეთს ნაომარი სილოვანი საქართველოში დაბრუნდა, ბათუმში, აქ ვიღაც პროვოკატორმა დააბეზღა, დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. გაასამართლეს და ჯერ ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, მერე ჩამოხრჩობა დახვრეტით შეუცვალეს, ბოლოს კი, დახვრეტა — სამუდამო კატორღით. მაგრამ კატორღაში გაგზავნამდე მკვლელი მიუგზავნეს და ძილში დანის დაცემით გაათავეს.

და კიდევ — ირანში ატეხილ რევოლუციაში მონაწილეობდნენ და „ჰეშმარიტი გურჯობით" გურჯობდნენ: იველიანე ნაცვალაძე, ვიქტორ ნასარიძე, გიგო მათიაშვილი, ლაზარე გაჩეჩილაძე, კოლია ლორთქიფანიძე, იაკობ მეტრეველი, სერგო გამდლიშვილი, მიშა ძაგანია, ვიქტორ მაღლაკელიძე, დავით ჯაფარიძე, სერგო გაგოშიძე, დავით კილაძე („პატარა დათიკო"), ალექსანდრე ჩრდილელი, სეფე გაბიჩვაძე, კირილე ნადირაძე, ალექსანდრე ასათიანი, ლუკა ქოჩავა, გიორგი მენაბდიშვილი, აპოლონ კუჭავა, ავქსენტი ნადარეიშვილი, გიორგი ზარიძე, კაკო კორინთელი, სანდრო ბერძენი, გრიგოლ დუმბაძე, შალვა დოლიძე, ტატო ცქიმანაური, მარტინ ლოლაძე და სხვა-

ნი მრავალნი[27], და მათ შორის — ერთიც ქართველი ქალი, სახელად ლეილა, ანუ გულჩინა, დაბადებული ხონის მაზრის სოფელ ახალბედისეულში, 1881 წელს. საოცარი გაბედულების ქალი, მშვენიერი, გრუზა თმიანი — თმებში რომ რევოლვერს ინახავდა! დამთავრებული ჰქონია გიმნაზია. სწერდა ლექსებს, ებრძოდა რუსეთის მეფეს და ირანის შაჰს... აღესრულა 37 წლისა.

დღეს სჭირს ამ საოცარი, „მსოფლიო მოქალაქეების“ შეფასება. ოღონდ ეს კი ითქვის სრული რწმენით და დაჯერებით: „ნეტარ არიან მორწმენენი “...

6. „ჭურჭლის თავზე ჭუდი იწვის“

1910 წელს ერთხელ კიდე დაიქუხა ვაჟა-ფშაველამ, მისებურად, რისხვეულად. დაიქუხა ისევ ილიას გამო, ერისა და სამშობლოს გამო. იმის გამო, რომ კვლავ არ იშლიდნენ ქართველები საქართველოს მამისა და მისი სალოცავი მამულის აუგად ხსენებას.

იმ წელს ქუთაისში ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა. საღამოზე ვაჟაც ყოფილა მიწვეული. ითქვა სიტყვები, ლექსები, გამსჭვალულნი სამშობლოსა და სამშობლოს მამისადმი უსაზღვრო სიყვარულით და პატივისცემით. რაღა თქმა უნდა, ვაჟაც იტყოდა მის ებურად, ვაჟასებურად. და აი, ამ თბილ საღამოს სოციალ-დემოკრატებმა გაცივებაც არ აცალეს, რომ იქვე, ქუთაისში გამომავალ გაზეთში — „საქმე“ № 84-ში, „ღალღას“ (ზაქარია გურული) ხელმოწერით, გამოაქვეყნეს წერილი, რომელშიც ილიასადმი მიძღვნილი საღამო მთელი მისი შინაარსით და იქ წარმოთქმული სიტყვიერებით ნაციონალისტურად გამოაცხადეს. ვაჟას, — ისევე როგორც ილიას, აკაკის — „ნაციონალიზმი“ სალანძღავ სიტყვად როდი მიაჩნდა. ნაციონალისტობა მისთვის იგივე პატრიოტობა, მამულისადმი თაყვანისცემა და თავდადება იყო და ამდენად „ნაციონალისტობის“ წაყვედრება მას საწყენადაც არ უნდა დარჩენოდა, მაგრამ საქმეც სწორედ ის იყო, რომ „საქმისტებმა“ მათგან მრავალგზის გალანძღული „ქართული ნაციონალიზმი“ იმღამინდელ ორატორებთან ერთად „მიწასთან გაასწორეს“. ეს ნაციონალისტე-

ბიო, — წერდა „ღალღა“ — ილიას სახელს ექსპლოატაციის საგნად იხდიანო და ხალხს აბრიყვებენო, მაგრამ მალე დადგება დრო.. როცა ხალხი ამ „ნაციონალისტებს“ ისევე გამორეკავს, როგორც იესომ გამორეკა ვაჭრები ტაძრიდანო. ვაჟამაც აღარ დააყოვნა და ჟურნალ „განათლებაში“ (1910 წ. № 1) გამოაქვეყნა წერილი, სახელწოდებით — „ქურდის თავზე ქუდი იწვის“, სადაც იგი წერდა:

„...ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ — ეს „ნაციონალიზმი“ მუდამ იქნება ჯანსაღი და არაფროს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევა. ჩვენდა სამწუხაროდ, „საქმეს“ ბანაკში სრულიად წინააღმდეგსა ვხედავთ, ვხედავთ კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ მახინჯს, უჯიშოს, ფანატიზმით გამსჭვალულს, თავის თავის, თავის ერის უარმყოფელს, ხოლო სხვა ერების ვითომდა მფარველს და მოსიყვარულეს. ვაი ამისთანა სიყვარულსს! სიყვარული ერთგვარი უნარია ცხოველთა ბუნებისა და მით უმეტეს, ადამიანისა, დიდი მადლი ბუნებისაგან მინიჭებული ადამიანისათვის, ხოლო, ვისაც თავისი მშობელი დედა არ უყვარს, იგი სხვას როგორ შეიყვარებს, სხვას როგორ მოეპყრობა, როგორც ნამდვილ დედას?.. არა მჯერა, არა მწამს და რა ვქნა! ამისთანა კოსმოპოლიტიზმი უფრო თავმომწონეობა, ყოყლოჩინობაა, მიმბაძველობით გამოწვეული, ერთხელ და ერთხელ დაჩემებულის ჭკუის ღიტინისა, ვიდრე ნამდვილი მიმართულება გულ-ღვიძლიდან ამომდინარე და მასში ფესვებდადგმული, — ეს მიმართულება ქარისაგან მონაბერია და უნდა ისევ ქარმა გაფანტოს, განაბნიოს. ან კი რას ვამბობ? განა ამაზე წერა და საუბარი შეიძლება ჭკუათმყოფელთა წინაშე? არა, დიაღ, არა, ვინაიდან იმათთვის ეს გაცვეთილი ჭეშმარიტებაა. მაგრამ რას იზამ, როდესაც კიდევ გვხვდებიან ჩვენში ისეთი ადამიანები, რომელთაც უნდა უმტკიცო, ეფიცო ღმერთი და ჯვარი, რომ ორჯელ ორი ოთხია და არა ოცი და ორმოცი.

ამ საგანს თავი დავანებოთ და ეს ვიკითხოთ: თუ ჩვენ, ნაციონალისტებს, არა გვაქვს უფლება ვიტიროთ და ვიგლოვოთ ილია ჭავჭავაძე, მაშ ვისა აქვს ამის უფლება? ყვავს ბახალა მოუკვდა და ბუს მიუგდო: დიდი თავი გაქვს, შენ იტირეო! არა, ბატონო საქმისტებო, მართალია, დიდი თავი გაქვთ, მაგრამ ჩვენს მკვდარს თქვენს სატირლად არ გავხდით; ჩვენ მოვალენი ვართ თავისი მკვდარი ჩვენ თავად ვიტიროთ, მით უმეტეს, რომ ქართული ანდაზაც ამას გვიკარნახებს: „ყოველ მკვდარს შინ უნდა ჰყვანდეს მოტირალიო!“

ილია ჩვენ საკუთარ მიცვალებულად, დანაკლისად მიგვაჩნია და ვტირით კიდევაც, როგორც გვეხერხება, როგორც ვგრძნობთ, და თუ გშურთ ჩვენთვის მოზარეობის მონოპოლია, ხვალ და ხვალზე-ვით ამ მონოპოლიას თქვენ დაგითმობთ, გაგვიხარდება, ხელ-ფეხს დაგიკოცნით.

თქვენ, ჩემო კარგებო, ის კი არ გწყინსთ, რომ მოზარეობა ილი-ასი მხოლოდ ჩვენ დავისაკუთრეთ და სხვას არავის ვაძლევთ იმის გლოვის ნებას, არა. რადგან, ჯერ ერთი, რო ეს ასე არ არის... თქვენ უფრო ის გიკლავთ გულს, ჩვენ ტრადიციად რად გადავაქ-ციეთ ამ ადამიანის ხსენება. ეს გიკლავსთ გულს, ამას ვერ ინე-ლებთ. რად? რისთვის? არ ვიცი, თქვენც ქართველები ხართ, ჩვენც. ჩვენი დანაკლისი თქვენ დაგაკლდებათ და თქვენი — ჩვენ, მაგრამ არა, რასაც ჩვენ დანაკლისად ვგრძნობთ, თქვენ ის შემატებად მი-გაჩნიათ, და, აი, ეს არი მიზეზი ღალღასი და კომპ. გამოლაშქრები-სა ჩვენს წინააღმდეგ. დაფნის გვირგვინნი მილტიადისა არ გაძლე-ვენ თქვენ მოსვენებასა... ეს, რასაც მოგახსენებთ, ცილის წამებაა? არა!

ჩვენ და თქვენ მკითხველი გაგვარჩევს, ცალ-ცალკე, — გვხედავს კიდევაც; და როგორც გუშინ და გუშინწინ ტყუვდებოდა „საქმის-ტურის“ ხრიკებით, დღეს იგი აღარა სტყუვდება. თქვენ ძმურად ერთს გირჩევთ, თუ მიიღებთ, გაიგონებთ და ირწმუნებთ: როცა ილია ჭავჭავაძეზე ან იწერება რამ, ან ითქმება, ან მის ხსოვნის პატივსაცემლად რამე დღესასწაული გაიმართება, რაც მეტს მდუ-მარებას გამოიჩენთ, ის გირჩევნიათ, უფრო მოგებული იქნებით. მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო, ხომ გაგიგონიათ?.. მოითმინეთ, თორემ ხანდახან ისეთ რამეებს გამოურევთ თქვენ ნაწერ-ნალაპარაკევში, კაცი ეჭვში შეგყავთ, თავადვე არწმუნებთ იმაში, რასაც კიდევ ეჭვის თვალით უცქერის... არ არის ჯერ ნამ-დვილად დარწმუნებული და ძალა-უნებურად ათქმევინებთ: „ჭურდს რომ ყური უგდოთ, დღეში ცხრაჯერ გამოტყდებაო“...

თქვენ არ უნდა გწყინდესთ კი, თუ ილიას სახელის დამცველნი ხართ, და ღირსეულად აფასებთ მას, არამედ ამისთანა დღესასწაუ-ლებში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოთ, რადგან თუ ექ-სპლოატაციაა ეს, როგორც თქვენა გგონიათ, მხოლოდ იმ აზრით, რომ შემოსული ფული მოჰხმარდება ილიას საყვარელ საქმეს, მის აზრის განხორციელებას. მაგრამ, რა ვქნა, რომ არა ვსთქვა, თქვენ

არც ილიას აზრების გამარკვება გენატრებათ და არც მისი სახელის განდიდება. თქვენ გინდათ, როგორც ხორციელად ავაზაკივით მოკვდა იგი შარაგზაზედ, იდეურადაც მომკვდარიყო. არ მოხდა ასე, რა გწებავთ? რა ღობე-ყორეს ედებით, როგორ გინდათ მოსპოთ, ის, რასაც თვით ცხოვრება, ბუნება არა ჰსპობს: საცა თოვლი მოვა, ზამთარი დადგება, იმას გაზაფხული მოჰყვება; დღეს ღამე მოსდევს, ღამეს — დღე, თავის წესზე. თქვენს ნებაზე ვერც დაალამებთ, ვერც გაათენებთ... რად გეჯავრებათ ჩვენის ერის განთიადი?

დიაღ, ჩვენ განთიადად მიგვაჩნია, როცა ერი თავის ღირსეულ შვილებს აფასებს ღირსეულად. ვგონებ თქვენს ბანაკშიაც მოიპოვებიან იდეურ ნიადაგზე წამებულნი, თქვენც გააწესეთ მათ პატივსაცემლად დღესასწაული. ვინ გიშლისთ? თუ თქვენ ილიას სახელით ვესწრაფით განვამტკიცოთ თქვენგან ათვალწუნებული „ნაციონალიზმი“, თქვენც ეცადეთ თქვენის წამებულების სახელის საშუალებით განამტკიცოთ თქვენი საყვარელი, სატრფიალო „ინტერნაციონალიზმი“. იქნება ერმა თქვენდამი უფრო მეტი თანაგრძნობა გამოიჩინოს? არა გაქვთ იმედი? რატომ? ალბად იმიტომ, რომ ერი უარგყოფსთ, როგორც თქვენ უარჰყავით იგი და ჩვენც გვემუქრებით, „ხალხი გამოგრეკავთ ერთხელაც იქნება, როგორც იესომ ვაჭრები გამოდევნა ტაძრიდან“. თანახმა ვართ, ხოლო ვიდრე ამას მოვესწრებით, ჩვენ მაინც ჩვენს სამსახურს არ მოვაკლებთ ამ ერს. თქვენც იმედი გქონდეთ, იხარებდით და იშვებდით, რომ წინასწარმეტყველება თქვენი ასრულდება და ჩვენ, ექსორია-ქმნილნი, მოვიგონებთ ჩვენს დამარცხებას, და თქვენი მუქარა მართლა მუქარად გამოდგება და არა ყვავებისა და ჩიტების საფრთხობელად“.[28]

ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე სთქვა თავისი ურყევი სიტყვა ვაჟამ ნაციონალიზმზე, შოვინიზმზე, სეპარატიზმზე, — რაისთვისაც ჯერ იყვე ებრძოდნენ „ილიელებს“ „ანტიილიელები“.

„თქვენ მკითხველო, — წერს ვაჟა — ალბათ არ იცით, რომ ჩვენა გვყვანან „უიმედონი“ ინტელიგენტები, რომელთაც სხვა არა რა სწამთ და არცა რას დაიჯერებენ გარდა „კოსმოპოლიტიზმისა“. ნაციონალიზმი იმათ არა სწამთ, ნამეტნავად ქართული: ჩვენ ჩვენად არაფერს წარმოვადგენთ, არაფერნი ვართ, თუ სხვა ერს არ შევუერთდით და „ჩვენობა“ არ უარვყავითო. პატრიოტები იმათ ფიქრით ვიწრო, მოკლე შეხედულებისანი არიან და იმათ კი „ვრცელი“ შეხედულება აქვთ... ტყუილი მოცდენაა, ამაო შრომაა, ვინც იმას

ობობს, კაცობრიობას უნდა ვარგოვო და ეს სარგებლობა ჯერ თავის ძმებისათვის ვერ მოუტანია, თავის ქვეყნისათვის — რომლის ღვიძლი შვილია, — რომლის ავი და კარგი ესმის (და თუ არ ესმის თავის შინაობის ავი და კარგი, ის სხვისას როგორ გაიგონებს და, მაშასადამე, ან რას არგებს)"...[28]

და კიდევ სხვაგან ამას წერს ვაჟა: „ჩემი ნათქვამი სეპარატიზმად, შოვინიზმად არ ჩამომართვათ, რადგან არც ერთი და არც მეორე ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის, არამედ გაიგოს ისე, რომ საქართველო რუსეთის სხეულში, ორგანიზმში კი არ უნდა იყოს გათქვეფილი, როგორც უსულო სანოვაგე, არამედ მას ედგეს ჭვერდით, როგორც ცოცხალი, საღი არსება რუსეთთან ერთად მოსიარულე პროგრესის გზაზე თავის თავის მცნობელი, თავის ავისა და კარგის მგრძნობელი"[29].

7. „ზღაპრის ტბა"

ილიას მკვლელობამ გლოვასთან ერთად სინდისისა და ჭეშმარიტების ზარებიც დაარისხა ქართულ სააზროვნო სამყაროში. უილიაობამ მძიმე საგონებელში ჩააგდო ილიას ქვეყანა — მისი ყოველი სოციალური შრე, ყველა „კლასი", ყველა „დასი", ყველა „პარტია", ყველა „წრე". ფანატიკოსებს რა გაასწორებდა, თორემ ბევრმა კი ნამდვილად დაიწყო თავის ძველ შეხედულებათა „რევიზია", „გადასინჯვა", თუ „ახლებური აზროვნება".

აი, ვთქვათ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამი წევრი, პოლიტიკური რწმენით მტკიცენი და შეურყეველნი, რევოლუციურ საქმიანობისთვის გაციმბირებულნი, სამივე ქართველი — იროდიონ ევდოშვილი, საშა გეგეჭკორი და სოსო ჯუღაშვილი — ერთად სხედან და იმ შეცდომებზე ლაპარაკობენ, რომლებიც თურმე თვითონ, ამ „მარად უცთომელ" პოლიტიკოსებს აქამდე მოსვლიათ. მთავარი კითხვა კი — ცთომილობა-უცთომელობის მარად ჭირვეული კითხვა — ისევ და ისევ „ეროვნული კითხვა" ყოფილა, ანუ უფრო და-

ზუსტებით და „ორი ელემენტის“ სრული განუყოფლობით — ერი და ილია.

და, აი, რას წერს 1911 წელს ციმბირიდან იროდიონ ევდოშვილი სანდრო შანშიაშვილს:

„...ამ მოკლე წერილით ვერ გამოვთქვამ ყველა იმას, რაც მე მინდა დიდიხანია ვთქვა, რაც შხამის ტბათ ტრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა კი ჩემმა ვაიმეგობრებმა დაატრიალეს. მართალს მწერ სანდრო, ვიცი რო იმგვარი გადამთხვეულები, რომლისთვისაც შენ კბილები მოგიმტვრევია, ბევრნი არიან, მლანძღავენ, მჭორავენ, აქა ვარ, გამოვეცალე იქაურობას, მაგრამ ჩემს ლანდს მაინც უყეფენ და მოპარვით ზურგიდან მჩხვლეტენ. კარგა ხანია რაც იმ გველებმა სისინი დაიწყეს. ეს მოხდა იმ დროს, როცა ამგვარმავე გადაგვარებულებმა, „გადამთხვეულებმა“ როგორ დაახალეს ილიას მოხუც ნაჭირნახულევ გულს ტყვია. ეს ტყვია მეც მომხვდა, როგორც სამგლოვიარო სევდა, მე ხმა ამოვიღე ლექსით, წერილებით და აქ გაწყდა ჩემსა და ამათ შორის შემაერთებელი ძაფი. მაგრამ მე მართალს არ ვამბობ, ძაფი კი არა, ნამდვილი ჯაჭვი. ჯაჭვი იმიტომ, რომ მათთან ვიყავ მე მიჯაჭვული მთელი ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში იდეურათ. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ არავინ იცის როდის დაიწყო ჩემს გულში ბრძოლა, ბრძოლა ორ აზრს შორის: რას ვემსახურო: საქართველოს ერს, როგორც პოლიტიკურად დაჩაგრულ ხალხს, თუ პროლეტარიატს, როგორც ეკონომიურად დაჩაგრულ კლასს? ორივე ჩემთვის ძვირფასი იყო და დღესაც ძვირფასია, მაგრამ როდესაც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს ხსენებაც კი სათაკილოდ გაიხადეს, როდესაც მისი აწინდელი კვნესა მომავალი სოციალიზმის შვებასთან დააკავშირეს და ცხონებას სიკვდილის შემდეგ დაჰპირდნენ, მაშინ კი ჩემი აზრები ჩემმა გულმა გადაატრიალა მათ წინააღმდეგ. ეს მოხდა ჯერ ისევ 1903 წელს, მაშინ მივანებე კიდეც „კვალში“ თავი მუშაობას. ნელ-ნელა მიდიოდა ეს ნაკადული ჩემს გულში, ჩუმად, მარტოდმარტო ჩემს ფიქრებში, ძნელი იყო თორმეტი წლის ნაჭედი ჯაჭვის გაწყვეტა და აი, ილია დამეხმარა მე თავის სიკვდილით. იმ დღიდან კი სამუდამოდ ვიბრუნე პირი ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან და თუ მივბრუნდი დღეს მათკენ, მივბრუნდი მხოლოდ იმისათვის, რომ მივაფურთხო მათ. ვიმეორებ და შენს ყურადღებას მივაქცევ ორ სიტყვას: ქართველ სოციალ-დემოკრატებისკენ მეთქი. იმიტომ,

რომ ისეთი უკუღმართი შეხედულობა, როგორც მათ აქვთ ეროვნულ საკითხზე, არც ერთი ქვეყნის დემოკრატს არ აქვს. დააკვირდი და ყურადღება მიაქციე ავსტრიის (ესდეკებს) სოციალ-დემოკრატებს, გერმანელებს და სხვა. მაგრამ თუ დღეს ქართველ მუშას ასეთი უკუღმართი შეხედულება აქვს ეროვნულ საკითხზე, ამაში რასაკვირველია ქართველი სოციალ-დემოკრატი ინტელიგენციაა დამნაშავე. მეც ერთი მათგანი ვარ და მინდა ჩემი შეცდომა გამოვასწორო, მე ისიც კარგად ვიცი სანდრო, რომ ბევრს ამავე მიზეზის გამო შეგნებულ მუშას და ინტელიგენტს გადმოუბრუნდა ჩემსავით გული, მაგრამ ძლიერ ცოტანი ჰბედავენ მათში კერძო ლაპარაკის დროს თავის გულწრფელი აზრების გამოთქმას. წერით ხო ეშინიათ და ემალებიან იმ ზიზღს, რომელიც მე მდევს თან მათი ამხანაგებისაგან. მაგრამ შენ ხომ იცი პოეტის გული კალამს ვერ გაამრუდებს, და მეც ვერ გავუძელ გულისთქმას, ვამბობ და ვწერ იმას, რასაც ჩემი გული მელაპარაკება. მათი ნესტარის ტრიალი დაიჯახა ჭიზიყელის გულს და დღეს უნდა გითხრა მე გამარჯვებული ვარ ამ გველებზე. მათი შხამიანი ისარი ვერ აღწევს ბიზანს, თუმცა ძვირად კი დამიჯდა ეს სულიერი ბრძოლა. ბევრი ნაღველი გამოვიარე და ამ ნაღველმა სიკვდილის ჩრდილი დაჰკრა ჩემს სულს"[30].

იროდიონ ევდოშვილისაგან მაინც ნაკლებ საკვირველი იყო ასეთი აღსარების დაწერა, რამდენადაც მისი სოციალ-დემოკრატობა თავიდანვე არ გამორიცხავდა საკუთარი ერისა და მამულისადმი ერთგულ სამსახურს, ანუ — სოციალიზმისა და ნაციონალიზმის „შერიგებას" თუ „სინთეზს". სამაგიეროდ საკვირველად გამოსჩანს საშა გეგეჭკორის, ამ ურყევი და უმტკიცესი კომუნისტისა და რეეოლუციონერის ასეთი წერილი:

„...მე ახლა მივხვდი, რომ საქართველოს პირობებში ყველაზე მწვავე კითხვა ეროვნული კითხვაა. სამწუხაროდ, ამ კითხვას ზურგი შეაქციეს ქართველმა ვაიმარქსისტებმა. ეს დიდად სამწუხაროა, ყველაზე დიდი შეცდომაა მათს მოღვაწეობაში. ეხლა აქ, ციმბირში გადმოსახლებულ მუშებთან იოსებ ჯუღაშვილთან და იროდიონ ევდოშვილთან საუბარში ჩემთვის საბოლოოდ ნათელი გახდა, ეროვნულ საკითხში ჩვენმა შეცდომებმა თუ რა დიდი ზიანი მოუტანა საქართველოს სოციალ-დემოკრატიას. კაცმა რომ თქვას, რა დაუპირისპირეთ ჩვენ ილიას და აკაკის ნათელ ეროვნულ კონცეფციას! — „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე ჩემი ქვეყანა"? არაფერი,

გარდა ტრაფარეტული, შაბლონური სიტყვებისა და ერის დიდებული მეთაურების წინააღმდეგ უსინდისო ცილისწამებისა"[31].

მაშ, ეს წერილები, ეს მოულოდნელი აღსარებანი სოსო ჯუღაშვილთან აზრობრივი ჰიდილის პროცესში დაიბადა. ჯუღაშვილს კი თავისი „ნაციონალიზმი და სოციალიზმი" ჰქონდა. და ჯუღაშვილი იმასაც შეძლებს — ვერც ევდოშვილმა შეაფურთხოს სოციალ-დემოკრატიას და ვერც გეგეჭკორმა ლანძღოს „ვაიმარქსისტები". ჯუღაშვილის განურღვეველი ლოგიკის წყალობით — არც ევდოშვილი და არც გეგეჭკორი რენეგატები არ გახდებიან.

(ისე კი, ალბათ, ყველაფერ ამას იმახსოვრებდა ჯუღაშვილი — „კარგად იმახსოვრებდა", რათა შემდგომში, როცა დასჭირდებოდა, „კარგადაც გაეხსენებინა"! მაგრამ მომავალ „სტალინურ გახსენებას", საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ველარ მოესწრნენ — ვერც ევდოშვილი, ვერც გეგეჭკორი)...

8. „კიევის რუკის" გარშემო

ხოლო, „ქართველი მირაბოები" — სოციალ-დემოკრატი დეპუტატები, წარგზავნილნი საქართველოდან სახელმწიფო სათათბიროზე, რუსეთის საიმპერიო პარლამენტის სხდომებზე, კვლავ ციცერონობდნენ ყველაფერზე და „ყოველ ინტერესზე", გარდა საქართველოს და ქართველი კაცის ინტერესებისა. ვთქვათ, „ყველასათვის საყვარელი" კარლო ჩხეიძე (სათათბიროზე იყო ასეთი შეძახილები: „ჩხეიძევ, თქვენ ყველას უყვარხართ!") სათათბიროს ტრიბუნიდან „სიყვარულით და გატაცებით" გაჰყიოდა — „შესახებ ამურის რკინიგზის მშენებლობისა", „შესახებ პეტერბურგში კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის მშენებლობისა", „შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში მდგომარეობისა", „შესახებ ხოლმის ახალი გუბერნიის ჩამოყალიბებისა", „შესახებ ფინელი მოქალაქეების უფლებებისა და მათი მართვაგამგეობისა", „შესახებ პოლონელთა ავტონომიისა" და ასე შემდეგ — „შესახებ" ყველაფრისა, გარდა „შესახებ საქართველოისა". ვაჟა-ფშაველა წერდა მაშინ პოლონელებისთვის კარლო ჩხეიძის თავგამოდების გამო: კარლო ჩხეიძე თავისი „დამტვრეულის რუსულით „მთელი საათი ჰკუას ასწავლიდა პოლონელ

დეპუტატებს, მთელ პოლონეთს და კერძოდ დეპუტატ დმიავსკის, თუ როგორ მოიპოვონ ავტონომია. დალოცვილი კარლოსი შინ ხმას არ იღებს ავტონომიაზე, ძალზე ერიდება ამ სიტყვას, ხოლო იქ, სანეტარო და სატრფიალო ცენტრში აღაღო ბაგენი თვისნი და აბნია მარგალიტები თვისისა ფილოსოფიისა, ვინც პოლონუთს იცნობს, ყველა მიჰხვდება, რომ კარლო ჩხეიძე დიდ ხანს მოუნდება პოლონელი დეპუტატის გაწვრთნას და მათ გადარჯულებას"[32].

არა და, უილიაოდ დარჩენილ საქართველოში უფრო თამამად და უტიფრად გრძელდებოდა სხეულებრივი და სულიერი რღვევა საქართველოსი. განსაკუთრებით გასჭირვებოდა სხეულებრივს, ანუ ტერიტორიულს. ადრე, ბედოვლათ თავად-აზნაურთაგან მიწების გაყიდვა და ქართულ მიწაზე უცხო-ტომელთა დასახლება ახლა, უილიაო და უქომაგო, უპატრონო ქვეყანაში — ახალი „ბედოვლათური ფაზით" გრძელდებოდა. და ისევ ბღაოდა ვაჟა-ფშაველა:

„საქართველო დღეს წააგავს მსუქან დუმას. გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაი-კაი ნაჭრებს... ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას ან მიწაწყალის გადასვლას სხვის ხელში როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად, როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას! დეპუტატ კარლოსის პროფესორებიც გაჯავრდებიან, აი თქვე შოვინისტებოო, განა სულ ერთი არ არის ვის ხელში იქნება ქართლ-კახეთის ავლადიდება, ქართველისა თუ სხვისაო... თუ ამ გზით ვიარეთ, უეჭველია, ჩვენი ტერიტორია მალე დაიფუყება და საქართველოს ნიადაგზე ისე აჭრელდება სხვა და სხვა ტომთა და ერთა სოფელ-დაბანი, რომ თვით დახელოვნებული ეთნოგრაფი, განსვენებული ლ. ზაგურსკი რომ წამოდგეს საფლავიდან, ვეღარ იცნობს აქაურობას და დაიკივლებს: ეს რა ქვეყანაა — საქართველოა, თუ ეთნოგრაფიული გამოფენაო!"[33]

მაშ, უილიაო და უქომაგო საქართველოში: არაქართველები ქართულ მიწებს ითვისებდნენ, მასზე სახლდებოდნენ, მკვიდრდებოდნენ, მრავლდებოდნენ, საქმიანობდნენ, აწარმოებდნენ, ვაჭრობდნენ და მდიდრდებოდნენ — ამასობაში თვითონ ქართველები, „არ რის მქონენი, არ რის მცოდნენი, უზრუნველნი და მშიერნი", მსოფლიო თეორიებს აფრიალებდნენ, მსოფლიო „იზმებს" ქადაგებდნენ, ფირალობდნენ, სარუსეთოში რუსობდნენ, სათათრეთში „გურჯობდნენ"...

ასეთი „გაუცხოებულ-გამსოფლიოებული“ ტენდენციების წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოდნენ ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც სოციალ-ფედერალისტთა უკიდურეს მემარჯვენე ფრთას შეადგენდნენ.

1912 წელს ეროვნულ-დემოკრატებმა ცალკე პარტიაც კი შექმნეს, სახელწოდებით — „ქართული ეროვნული პარტია“. ამ წელს მათ თბილისში დააარსეს ახალი ყოველკვირეული ჟურნალი, „კლდე“. დამაარსებელი იყო რეზო გაბაშვილი (ძე ეკატერინე გაბაშვილისა), რომელიც „კლდის“ დაბადებას თვითონვე ასეთ შეფასებას აძლევდა: „ერთის მხრით, ეს იყო ყუმბარა, გამსკდარი სოციალისტურ ჭაობში; მეორე მხრით, — ახდილად წამოყენება ჩვენი ეროვნულ, პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ძისწრაფებათა — ფრიად მოდუნებულ ატმოსფეროში, როცა „არსით ხმა, არსით ძახილი“, — საერთო გულგრილობისა და პესიმიზმის სულისკვეთება იყო“[34]. და ჩვენ ამ ჟურნალითო, — განაგრძობს „კლდის“ დამაარსებელი — სამი წლის (1912—1914) მანძილზე შევძელით ცალიერი სიტყვებიდან რეალურზე, ანუ — „სოციალისტურ ბოდვიდან, ეროვნულ რეალობაზე“ გადავსულიყავითო[35].

გაბაშვილს მხარში უდგნენ დავით ვაჩნაძე და შალვა ამირეჯიბი („ფარსმან-ფარუხი“). მალე სათანამშრომლოდ შეუერთდებიან: ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), დავით კასრაძე, გიორგი დაფქვიაშვილი, შალვა ქარუმიძე, დიმიტრი ჯავახიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, იროდიონ სონღულაშვილი.

ეროვნულ-დემოკრატთა და მათი ახალი ორგანოს მთავარი ლოზუნგი იყო: „იმუშავეთ, გამდიდრდით, შეიძინეთ!“, — რომელიც თანაბრად მოუწოდებდა ყოველი სოციალური შრის წარმომადგენელს — თავადს, აზნაურს, გლეხს, მუშას, ინტელიგენტს. ეს იყო ჟურნალის ეკონომიური მიმართულება. ხოლო, პოლიტიკურად „კლდეელები“ მოითხოვდნენ რუსეთის იმპერიაში ავტონომიას, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის სტატუსით.

ახალმა ჟურნალმა საგანგებო ყურადღება მიაქცია კიევში გამოცხადებულ საშინელ „ქართულ კაზუსს“. ამ წელს (1912) კიევში შეიყარა საიმპერიო საკრებულო, რომელსაც კამუფლაჟად ერქვა „კოოპერაციის კონფერენცია“, სინამდვილეში კი, აქ უნდა დადგენილიყო იმპერიის კოლონიალურ ერთა მომავალი, ასე ვთქვათ მორალურ-თეორიულად სავარაუდებელი სახელმწიფოებრივი სა-

ზღვრები. კონფერენციაზე მიწვეული იყვნენ საქართველოს წარმომადგენლებიც. და წასულიყო ოთხი ქართველი — ორი სოციალ-დემოკრატი, ნოე რამიშვილი და სილიბისტრო ჯიბლაძე, და ორიც სოციალ-ფედერალისტი — ოსიკო ბარათაშვილი და სამსონ ფირცხალავა. და აი, ქართველ დელეგატებს ხელი მოუწერიათ ისეთ „დადგენილებაზე“, რომლის ძალითაც საინგილო მიუკუთვნებიათ სათათრეთისათვის, აფხაზეთი რუსეთისათვის და ახალციხე-ახალქალაქი და ქვემო ქართლი თბილის-ნავთლუღამდის — სომხეთისათვის. არამცთუ ხელი მოაწერეს, არამედ რუკა, ასეთი გაჩუქებული და გაბოძებული („გაბოზებული“ არავინ წაიკითხოს!) საქართველოს ხატით, ქართველმა „საერთაშორისო გმირებმა“, ჩამოიტანეს თბილისში.

ეროვნულ-დემოკრატებმაც ძღარ აციე-აცხელეს, სამსონ ფირცხალავას ის რუკა გამოსტყუეს, გაჩუქებულ ქართულ პროვინციებს სამგლოვიარო არშიები შემოავლეს და თავის ჟურნალში („კლდე“ № 2) გამოაქვეყნეს.

ამ მართლაც ასაჯანყებელ საქმეს საქართველოს აჯანყება არ მოჰყოლია, მაგრამ დიდი სულიერი მღელვარება კი მოჰყვა (განსაკუთრებით, ქუთაისში).

ქართველ პატრიოტებს ნოე რამიშვილისა და სილიბისტრო ჯიბლაძისაგან არ უნდა გაჰკვირვებოდათ ქართული მიწების ასეთი გულუხვი „ერთაშორისი გაბოძება“ (ნოე რამიშვილი ყოველთვის „დიდი ხალხის“ დროშით იბრძოდა; სილიბისტრო ჯიბლაძეს 1905 წელს, დიდუბის მიტინგზე, მარჭვის სურათი მაცხოვრის ხატივით ძღვემართა და დამტკრეული რუსულით გაჰკიოდა — „იმენემ მარქსა, პრიზივაიუ კ პარადკუ!“)[36]. თუ უკვირდათ, ფედერალისტებისგან უკვირდათ — ოსიკო ბარათაშვილისა და სამსონ ფირცხალავასაგან. მაგრამ იქვე თავს ამით „ინუგეშებდნენ“ — ბოლოს და ბოლოს, ეგენიც (ფედერალისტები) ხომ სოციალისტები არიანო!

სოციალ-დემოკრატებს ეროვნულ-დემოკრატთა — ამ „შოვინისტთა“ — საჟურნალო „გამოსდომა“ წარბის შეხრის ღირსადაც არ ჩაუგდიათ, ფედერალისტებმა კი მათი წიაღიდანვე წარმოშობილ ეროვნულ-დემოკრატებს საშინელი ბრძოლა გაუმართეს. ესეც ვითომ „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლა იყო, — ისეთი ბრძოლა, ერთმანეთს რომ სალამსაც ძღარ აძლევდნენ, ერთმანეთს რომ დუელშიც იწვევდნენ.

და ჰხაროპდნენ, ზეიმობდნენ — ცალ-ცალკე, მაგრამ ერთი ზეიმით ზეიმობდნენ რუსი ცარისტი-შოვინისტები და ილიას მკვლელი „დასელები“: როგორ წიწკნიდნენ ერთმანეთს ერთ დროს თვითონ ილიას მიმდევარნი და მოთაყვანენი.

კიევის „კოოპერატორთა კონფერენციის“ მიწების დანაწილებისა და საზღვრების დადგენის პრინციპები „რეალური მოსახლეობის“ რეალობას ემყარებოდა და არა წმიდათაწმიდა ისტორიულ ფაქტოლოგიას. ეს კი საქართველოსთვის დამღუპველი იყო. რუსეთის ცარიზმიც ამ პოლიტიკას მისდევდა — „რეალური მოსახლეობის“ პრინციპს, — ვინც მეტია, მიწაც მისია. ისტორიას დღევანდელობასთან არაფერი ესაქმება. ისტორიამ „თავის ისტორიას“ მიხედოს და ამით გაათავოს! ეს თავიდანვე ასე დამყარდა რუსულ იმპერიაში და საქართველოშიც ასევე რუსული ბბრძანებლობის დამყარების დღიდან.

რუსეთის ცარიზმის ეს პოლიტიკა საქართველოში, თავისებურად, გაგრძელება იყო ორასი წლით ადრინდელი შაჰ აბასის პოლიტიკისა. შაჰ აბასიც მაშინ ქართველი ხალხის გატეხვას ქართულ მიწებზე არაქართველი ტომების დასახლებითა და გამრავლებით შეუდგა. კიდევ უფრო ადრეც იყო ამის ცდა — შაჰ აბასზე 500 წლით ადრე, — თურქ-სელჩუკები რომ ეპირებდნენ საქართველოს ათვისებას „რეალური მოსახლეობის პრინციპით“, მაგრამ მაშინ დავით აღმაშენებლის ღვთითმოვლენილმა მკლავმა და გენიამ დახსნა საქართველო. ამდენად, საქართველოს უცხო ტომებით დასახლებითა და „რეალური მოსახლეობის პრინციპით“ დაძხობის „პირველი ეტაპი“ მაინც შაჰ აბასი იყო.

„მეორე ეტაპი“ კი, უკვე რუსეთის ცარიზმს დაუკავშირდა, კერძოდ 1828-1832 წლებს, როცა რუსთა და ქართველთა ჯარებმა ახალციხე-ახალქალაქის მხარე, ანუ სამცხე-ჯავახეთი თურქეთს წაართვეს და ისევ მის დედა-საქართველოს დაუბრუნეს. მაგრამ ამ ომების მთავარმა გმირმა, რუსთა მხედრობის მთავარსარდალმა, გრაფმა პასკევიჩმა „დედა-საქართველოს“ დედა უტირა: ახლად შემოგრთებული და „დაბრუნებული“ ქართული მიწებიდან ქართველება გააქცია და ოსმალეთიდან ლტოლვილი 30 000 არაქართველი ტომისანი დაასახლა და დაამკვიდრა.

საქართველოს „რეალური მოსახლეობის პრინციპით“ დაძხობის „მესამე ეტაპი“ კვლავ ცარიზმის პოლიტიკაა XIX საუკუნის 60-ან

წლებში, როცა აფხაზეთში, წებელდის მხარეში, მთელი მოსახლეობა დედაბუდიანად აჰყარეს, ოსმალეთში გააქციეს — ისე, რომ 14 000 ოჯახიდან 27 ოჯახის მეტი აღარ დარჩენილა მშობლიურ მიწაზე. ამის შემდეგ ამ საგანგებოდ გაუკაცრიელებულ მხარეში მეფის ადმინისტრაცია ასახლებდა და ამკვიდრებდა ყველას, გარდა ქართველისა[37].

ახლად გამომტყვრალი „კიევის რუკა“ კი, — რაზედაც ჟურნალმა „კლდემ“ საქართველოს ცის თაღზე საგანგაშო ზარი შემოჰკრა — ეტყობოდა, ქართული მიწების დატაცების რაღაც „ახალ (მეოთხე) ეტაპს“ მოასწავებდა. კავკასიის მაშინდელმა მეფისნაცვალმა, ვორონცოვ-დაშკოვმა, ქართველთა წინააღმდეგ სამტროდ განწყობილმა (ანდა, ვორონცოვის გარდა, რომელი რუსი „ნამესტნიკი“ თუ „მთავარმართებელი“ არ ემტერებოდა ქართველებს!) რუსიფიკატორმა — რომელიც უკვე ტრაბახობდა, საქართველოში 250 პუნქტი რუსებით დავასახლეო — ახლა მოინდომა ისტორიული შიდა ქართლის მთელი დასავლეთი მხარე, ცენტრალური კავკასიონიდან მტკვრის ხეობამდე, და მტკვრის მარჯვენა მხარეც, სულ არაქართველი ტომებით დაესახლებინა. და ამას მხარს უჭერდნენ (ვორონცოვ-დაშკოვისგან დამოუკიდებლად) ისევ ქართველი ინტერნაციონალისტი დასელები“.

ბლაოდა ეაჟა-ფშაველა: რას სჩადიხართ, ვინ მოგცათ ნება ერის საუნჯე-ტერიტორია საძმო, საკაცობრიო ტაბლად აქციოთ და თვით ერსაც ხელი ეროვნებაზე აალებინოთ?![38] მაგრამ ვის ესმოდა „მთიდან ბღავილი ბარისა“!

აკაკი წერეთელი წერდა:

„აი, ხომ ჰხედავთ, ჩემზე რომ მოდის?
სახლიკაცია და მეზობელი...
უნდა ჩემს სახლ-კარს დაეპატრონოს
და ზედ დამაკლას ჩემი მშობელი.
ნუთუ სკვითი კი არ მეყოფოდა,
ახლა რომ მოდის კიდევ სხვა მეხი?
ჩემს მიწა-წყალზე ჰსურს დაესახლოს
და მოიმაგროს სამკვიდროდ ფეხი!
ვხედავ, ვუყურებ, მაგრამ მე მარტოს
არ მაქვს საბრძოლო ძალი და ღონე...
ეიწვევ მოძმეებს დაუფარავად
და არვინ არის მათშიც გამგონე“[39].

მაგრამ ვის ესმოდა „საქართველოს ბულბულის ყეფა“?!

ბრძოლა „ხიზნების მოწყობის“ გარშემო (ასე ერქვა ქართულ მიწებზე არაქართველ ტომთა ახალი ტალღების დამკვიდრებას) წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. ბოლო სხდომა ალექსანდრეს ბაღში, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში გაიმართა. სხდომას ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატორი, ერევნის ვიცე-გუბერნატორი სტრელბიცკი. ამანვე წაიკითხა და თავისი ჭკუით დაასაბუთა კიდეც „ხიზნების მოწყობის პროექტი“. იყო კამათიც, — უფრო, უკამათო კამათი. მხოლოდ „კლდის“ რედაქტორმა, რეზო გაბაშვილმა იყვირა:

— ეს კანონპროექტი კი არა, ყაჩაღური მოქმედებაა, გაძარცვა მოსახლეობის ერთი ნაწილისა მეორის სასარგებლოდ.

ამაზე სტრელბიცკიმ აგდებულად და დაცინვით უპასუხა:

— სახელმწიფოში ყაჩაღებსაც უნდა მოწყობა.

— მაშინ მოაწყვეთ თვალუწვდენელი რუსეთის მიწების ხარჯზე, და არა ისედაც მცირემიწიანი საქართველოს ხარჯზე! — შესძახა გაბაშვილმა.

— ასევე მოვახსენებ მის ბრწყინვალება გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, რომ მის პროექტს მხარს უჭერს მთელი ქართული დემოკრატია და მხოლოდ ერთი მუჭა ნაციონალისტები არიან წინააღმდეგი, — დააბოლოვა მედიდურად სტრელბიცკიმ, თან ქაღალდები თვითდაჯერებით აკრიფა, პორთფელში ჩაალაგა და სხდომა დატოვა[10].

დარჩნენ ქართველები, ისევ ზურგში ხანჯალ-ჩარტყმულნი... უფრო ქართველებისგან.

აი, როგორ და რა გზით მიდიოდა საქართველო უილიაოდ.

და ისევ ისმოდა ბღავილი ვაჟა-ფშაველასი:

„ეხლა ვინ უნდა უშველოს ხალხს? ვინ უნდა გამოიყვანოს იგი ამ ეკლიან ბარდიდან? — რა თქმა უნდა, ჩვენმა თვალახილებულმა ინტელიგენციამ, რომელიც ამ მხრივ დღეს არაფერს აკეთებს და არც შემდეგისათვის ფიქრობს რამე გააკეთოს. ჩვენმა ინტელიგენციამ, თუ შეიძლება ამგვარ ჰეროსტრატებს ინტელიგენცია დაარქვას კაცმა, ნაცვლად იმისა, ერისთვის ეჩვენებინა სწორე გზა ცხოვრებისა, ესწავლებინა თავის თავის მოვლა-პატრონობა, ქართველ კაცს ააღებინა ხელი თავის პიროვნებაზე, თავის თავზე, შეიტანა ხალხში დამახინჯებული კოსმოპოლიტიზმი ერთობის სახელით, მოუკლა ერ-

ოვნული გრძნობა, დაუხშო ენერგია, დაუკეტა გზა თვითცნობიერებისაკენ: თავადაზნაურობა უცხოელებზე ჰყიდის მამულ-დედულს, ხოლო გლეხობა თავის „ნადელების“ ნაღალურს უგდებს ხელში ჩარჩებს... ჩვენ კი ვუცდით გარედან მუჯლუგუნს, კისერში კისტებს, უცხო, გარეშე კაცის ატეხილს განგაშს: „ადე, ძმობილო, ადექი, გაიღვიძე, რა დაგმართნია, ჰხედავ რა ამბავია შენს თავსა, რამ დაგაჩლუნგა, რამ დაგაოჩნა“?! მანამდე კი უნდა გულზე ხელები დავიკრიფოთ, მივანდოთ ჩვენი თავი ბედსა და იღბალს“...[1]

მართლაც მოდიოდა „გარედან მუჯლუგუნიც“, „კისერში კისტებიც“, მაგრამ ვაი თუ ქართველი ხალხისთვის კვლავ უფრო საზიანოდ, ვიდრე სასიკეთოდ, რამეთუ... საქართველოს მესვეურთა შორის, ისევ მძლავრობდნენ „ჰეროსტრატები“...

9. გელოვანის „კაზუსი“

1913 წლის დამდეგს კიდევ ერთი „უცნაურობა“ მოხდა ქართველთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ქუთაისის გუბერნიიდან, ვარლამ გელოვანმა, სათათბიროს მაღალსახელმწიფოებრივი ტრიბუნიდან, პირველად რუსული პარლამენტარიზმის ისტორიაში მოითხოვა — არც მეტი, არც ნაკლები — საქართველოს ავტონომია.

ეს სიტყვა წარმოითქვა სახელმწიფო სათათბიროს 1912 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე. გელოვანი ლაპარაკობდა:

„ბ. ბ. წევრნო სახელმწიფო სათათბიროისა!

პატარა ქვეყანამ, რომელმაც მე აქ გამომგზავნა, დამავალა მონაწილეობა მივიღო სრულიად რუსეთის საკანონმდებლო მუშაობაში და ვიყო ქართველი ხალხის ჭირვარამის გამომხატველი. მოვისმინე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ მის სიტყვაში მიუტევებელი უყურადღებობა სჩანს საზოგადოდ კავკასიისა და კერძოდ ქართველების საჭიროებისადმი. მთელი ასი წელიწადია რუსის ბიუროკრატია ამგვარ პოლიტიკას ეწევა კავკასიაში. მე, როგორც ქართველი ხალ-

ხის წარმომადგენელი, ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს მინისტრთა თავმჯდომარის დეკლარაციას შემდეგი პასუხი გავცე.

საქართველო რუსეთის იმპერიის ერთი ნაწილთაგანია და ჩემის ღრმა რწმენით კვლავაც ამ ნაწილადვე დარჩება. და ყოველივე ეს არამარტო პოლიტიკური მოსაზრებითაა გამოწვეული, არამედ იმითაც რომ ქართველი ხალხის გულში რუსის მეცნიერებისა, ლიტერატურისა, ინტელიგენციისა და ხალხის მიმართ სიყვარული ღვივის. და რამდენიც არ უნდა იყვირონ მემარჯვენეთა უბნიდან, ქართველი ხალხის სეპარატისტულ მიდრეკილებაზე, მე თამამად, ყოველი ჩემი სიტყვისათვის პასუხისგებით, ვაცხადებ, რომ ეგ გველის სისინია, რაც, რა თქმა უნდა, გველისვე სიბრძნეს მოკლებულია. ამგვარ აზრს ავრცელებენ ისინი, ვისაც თანაბრად არ უყვართ როგორც არა-რუსნი, აგრეთვე, არც თვით რუსი ხალხი (ტაშის ცემა და ხმა მარცხნით — ვაშა! თავმჯდომარის ზარის რეკვა) ჩვენ ქართველები, როგორც რუსეთის მოქალაქენი, დემოკრატიასთან ერთად ხელჩაკიდებული, მიზნათ პოლიტიკური თავისუფლების დამყარებას ვისახავთ. ჩვენი მიზანია პიროვნების გათავისუფლება და ამავე დროს, ცხადია, დავიწყებული არ უნდა იყოს, რომ ქართველებს გვაქვს თავისებური ისტორია, კულტურა და ზნე-ჩვეულება. ქართველ ხალხს თავისებური საპოლიტიკო-საზოგადოებრივი საჭიროება და მისწრაფება აქვს. ეს სახელმწიფოებრივი ცვლილება და განახლება, საითაც დღეს ყველა მივილტვით, სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა ფორმით განხორციელდება... თუ ყოველი მოქალაქისათვის მიუდგომელი სამსჯავრო აუცილებელია, არა ნაკლებად აუცილებელია, რომ ამ სამსჯავროში ქართველთათვის გასაგებ ენაზე იქნეს საქმის წარმოება. შკოლის დამოუკიდებლობა და თავისუფლება მიუცილებელი ფაქტია. მაგრამ შკოლის თავისუფლება მნიშვნელობას კარგავს, თუ შკოლაში მოწაფეების გასაგებ ენაზე სწავლა-აღზრდის საქმე უზრუნველყოფილი არ არის. წარმოვიდგინოთ რუსეთში ბეჭდვითი სიტყვისა, კრებისა და კავშირების თავისუფლება დამყარდა. ჩვენ ქართველები დაკმაყოფილებული არ ვიქნებით, თუ ეს თავისუფლება არ მოგვენიჭა მწერლობაში, კრებებზე და სხვადასხვა... ამგვარ ქვეყანაში, როგორც რუსეთია ყოველ პოლიტიკურ თავისუფლებას, ყოველსავე სახელმწიფოებრივი ფორმის განახლებას რთული ხასიათი უნდა მიეცეს, თუ გვინდა ჩვენი სახელმწიფო რეფორმები რეალურ საფუძველზე დავამყაროთ. ქარ-

თველებისთვის იმდენად საგულისმხო და დასაფასებელი იქნება რუსეთში მომხდარი ცვლილება, რამდენადაც ეს ცვლილება ჩვენს აუცილებელ საჭიროებებს შეეხება და ჩვენი ერის ტკივილებს მალამოდ დაედება. ვალდებულად ვრაცხ ჩემ თავს განვაცხადო, რომ ქართველებს რუსის ინტელიგენციასთან და მით უმეტეს რუსის ხალხთან არსებითად არავითარი პოლიტიკური ანგარიშები არ აქვთ გასასწორებელი. ხოლო, უნდა აღვიაროთ — რუსეთის ბიუროკრატიამ კი დაგვსაჯა ისტორიულად და პოლიტიკურად. სწორედ ამ ბიუროკრატიამ მიიყვანა ჩვენი ტურფა ქვეყანა დაღუპვამდე. ას წელიწადზე მეტია, რაც საქართველო თავისი ნებით შეუერთდა ერთმორწმუნე რუსეთს, ამით ხელი შეუწყო ამიერკავკასიაში რუსთა დამკვიდრებას.

როცა საქართველო რუსეთს განსაზღვრული აქტის ძალით შეუერთდა, იგი დარწმუნებული იყო — რუსეთის ბიუროკრატია კეთილსინდისიერებას გამოიჩენდა, მაგრამ სამწუხაროდ, რუსის ბიუროკრატიამ თავის პირველისავე ნაბიჯით დაგვარწმუნა, რომ საშინლად მოვტყუვდით. პირველ დღიდანვე, შემოსვლისთანავე მან დაარღვია დადგენილი ხელშეკრულება და მოქმედებდა არა როგორც მფარველი, არამედ როგორც დამპყრობელი და საქართველოს დაუძინებელი მტერი. ას წელიწადზე მეტია, რაც რუსეთის მთავრობა ქართველი ხალხის წარმომადგენლების ჩაურევლად, უკონტროლოდ განაგებს ჩვენს ქვეყანას. მათი გამგეობის ნაყოფს ყველა ვხედავთ. ვხედავთ სანამდის მიდის მათი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა. დღითი დღე ვრწმუნდებით, რა სამწუხარო მდგომარეობამდის მიიყვანა რუსეთის ბიუროკრატიამ ის ქვეყანა, რომელიც მას მიენდო, თავისი ბედი და უბედობა ჩააბარა... დაცემა, აუწერელი სიღარიბე — აი, რით დახასიათდება გაჭირვებული საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა. საზოგადოების ერთ ნაწილს ვერ მოიძიებთ, რომ სანუგეშო პირი ჭონდეს. გლეხი, მუშა, სამღვდელოება და ოდესმე აპეკის ქვეშ მყოფი აზნაურობა — ყველა ერთად ბიუროკრატიის კლანჭებში კვნესის. მართალია, ბიუროკრატიის დევნას ყველა ერთნაირად არ განიცდის. დამახინჯებულმა საგლეხო რეფორმამ ჩვენი გლეხი საშინელ ცუდ პირობებში ჩააყენა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართველი გლეხის აუწერელი მდგომარეობა — მიწის უქონლობაა; ამის დასამტკიცებლად საკმაოა გავიხსენოთ, რომ ევროპის რუსეთში თითო პირის ნადელი

3—4 დესეტინაა, საქართველოში კი იგი უდრის 0,73 დესეტინას. ამ სახით გათავისუფლების დროს ქართველმა გლეხმა რუსის გლეხზე ხუთჯერ ნაკლები მიწა მიიღო ბატონებისგან. უნუგეშოა სახაზინო გლეხთა მდგომარეობაც. თუ საბატონო გლეხები ბიუროკრატიამ თავადაზნაურთა სასარგებლოდ დაარბია, ამავე ბიუროკრატიამ ამგვარათვე დაარბია სახაზინო გლეხები ხაზინის სასარგებლოთ. უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხობა უბრალოდ დაძრწის მთელი კავკასიის ტერიტორიაზე სამუშაოს საშოვნელად, ვინაიდან ქვეყანა წარმოების ცვნტრებს მოკლებულია. სახელმწიფოს წარმოებაში, როგორიც არის რკინისგზები, ნაციონალისტურ-რუსიფიკატორული პოლიტიკაა გამეჯებული, რის გამოც ქართველი მუშა სამუშაოს ვერ პოულობს.

ქართველი სამღვდელოება, რომლის მიზანთა მიზანს ქართული ეკლესიის საკითხებში ავტოკეფალური მართვა-გამგეობა შეადგენს, ბიუროკრატიისაგან სისტემატიურად იდევნება და შეურაცხყოფილია, რის მეოხებითაც ხალხში მისი პრესტიჟი, სახელი ეცემა.

ის სახელოვანი თავად-აზნაურობაც კი, რომელსაც ერთ დროს მთავრობა კალთას აფარებდა, მიწასთან გასწორებულია, დაღარიბებულია. თანდათან მიწა ხელიდან ეცლება და უფრო საეალალო ის არის, რომ ეს მიწა ამ გაძვალტყავებული გლეხის ხელში კი არ გადადის, არამედ ხაზინა იგდებს მას ხელში; იგივე ხაზინა ყოველგვარ საშუალებას ხმარობს — ადმინისტრატიული ძალმომრეობის სახით და ან სამსჯავრო და სამიჯნო პროცესებით მიწა მიიკუთვნოს. ამ მიზნითვე აარსებს სხვადასხვა ბანკებს, როგორიც არის სახელმწიფო-სათავადაზნაურო და საგლეხო ბანკები. აღსანიშნავია, რომ ბოგროვილი მიწები რუსის ხაზინას ვერ გამოუყენებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ამ მიწებს ოგი გერმანიიდან და ანატოლიიდან მოსულებს აძლევდა... უკანასკნელ დროს რუსის მთავრობა იმის ცდაშია, რომ ქართველების მიწები რუსეთიდან გადმოსახლებულებს ჩაუგდოს ხელში და ყოველივე ეს პოლიტიკური მოსაზრებით ხდება... ნათქვამიდან ცხადუნდებით, რომ ქართველი ხალხი თავისი ბედისა და რუსეთის პოლიტიკისა მაძლიერი არაა. იგი გრძნობს, რომ უსამართლოდ დასჯილია. ასი წლის პოლიტიკა ნათლად მოწმობს იმას, რომ ქართველებს რუსის ბიუროკრატიის იმედი არ უნდა ქონდეს. და რამდენადაც ქართველი ხალხი ნდობას განუცხადებს ამ პოლიტიკას, იმდენათვე ჩვენს ქვეყანაში

ბიუროკრატიის მართვა-გამგეობის საჭიროებას დაადასტურებს, თუ ქართველი ხალხი ლოიალურ გზას დაადგება და მორჩილებას გამოაცხადებს, ამით თავის თავს უნუგეშო მდგომარეობაში ჩააყენებს. ამ ლოიალურმა პოლიტიკამ იმ ყოფამდი მიიყვანა ხალხი, რომ მისი აუცილებელი მოთხოვნილებანი უყურადღებოთაა დატოვებული. მორჩილებამ ხალხს დააკარგვინა თავისი კანონიერი ინტერესები. ასე იყო და არის ასი წელიწადია. ამ გარემოებამ ნათლად დაანახვა ქართველებს, რომ დღევანდელი ორგანიზაცია, დღევანდელი მართვა-გამგეობა არ ეთანხმება ჩვენს ხალხში მომწიფებულს პოლიტიკურ მოთხოვნილებებს; უმწეო და უნუგეშოა ჩვენი მდგომარეობა მაშინაც კი, როცა მართვა-გამგეობის სათავეში ასე თუ ისე კეთილგანწყობილი პირი დგას.

ბ-ბ. სახელმწიფო სათათბიროს წევრნო! არ არის ხალხი, რომელსაც შეეძლოს თავის დაღუპვას, თავის სიკვდილს გულხელდაკრეფილი უცქიროს. და ამავე დროს ვერ განიკურნება ხალხი, თუ მასში სიცოცხლის ძალა არ სჩქეფს. ამით აიხსნება ის, რომ ქართველი ხალხი ამ ბოლო დროს დიდ ცხოველმყოფელობას იჩენს, მასში დიდი წადილია საკუთარი თავდაცვისა, თუ რუსეთს არ სურს, ქართველი ხალხი დაღუპვის გზას დაადგინოს, ამ ხალხის სურვილებს გასავალი გზა უნდა მიეცეს. მე ვთქვი კიდეც, ქართველი ხალხი შორს არის იმ ფიქრისაგან, რომ რუსეთის მთლიანობა დაარღვიოს. სწორედ ეს მთლიანობა მოითხოვს, რომ ყველა ერს, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედის, ადამიანური, შესაფერი პოლიტიკური ცხოვრება მიენიჭოს. ხაუკეთესო პოლიტიკურ ღონისძიებად ჩაითვლება ის, თუ ცხოვრებაში გატარებული იქნება როგორც თვითმართველობის, საერობოს და სამეურნეო, აგრეთვე საზოგადოებრივი პოლიტიკური პრინციპები, პოლიტიკური ავტონომია, როგორც მშრომელს, ისე მთელ ხალხს თავისუფალი განვითარების გზაზე დააყენებს. რაც ვერ შესძლო რუსის ბიუროკრატიამ, რუსის ხალხმა შესძლოს და მოგვანიჭოს. ბ-ბო, ასი წელიწადია, გულწრფელად მივხედეთ რუსის ბიუროკრატიას, და არაფერი ჩვენს სასარგებლოდ არ გაუკეთებია. დარწმუნდით, ქართველ ხალხს რუსეთისგან გათიშვა არა სურს. პირიქით, იგი დარწმუნებულია, რომავალშიც რუსეთთან მოუხდება ცხოვრება, მხოლოდ მიეცით უფლება ქართველ ხალხს თავისუფლად ამოსუნთქვისა, უზრუნველყავით მისი ცხოვრება. ბ-ბო, თქვენ 5 დეკემბერს მხურვალე

ტაშისცემით შეხვდით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, როცა მან სიყვარულით მოიხსენია ბალკანეთის სლავიანები. თუ ამ ტაშით არ გამოხატეთ ბალკანეთის ხალხისადმი მარტო ნათესაური გრძნობა და უფრო მაღალი გრძნობით ხელმძღვანელობდით ამ დროს, ცხადია, ჩემსასაც მიხვდებით. უნდა გაიგოთ და დამეთანხმოთ, რომ სრული ასი წელიწადი საქართველო, ბალკანეთის სლავიანთა მსგავსად, დამცირებულია და შეურაცხყოფილი. რუსის ბიუროკრატია ჩვენთვის იგივე იყო, რაც თურქები სლავიანთათვის. დარწმუნებული ვარ, რაც არ მოისურვა, არ მოიმოქმედა რუსის ბიუროკრატიამ, მას რუსის ხალხი და მისი წარმომადგენლები იკისრებენ. (ტაში მარცხნივ)"[42].

ეს მართლაც საოცრებას ჰგავდა. ამდენ ხანს, მთელი შვიდი წლის მანძილზე, საქართველოს დეპუტატები ლაპარაკობდნენ ყველაზე მეტს, ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, და არც ერთხელ ენა არ დაუსველებიათ ავტონომიაზე (იგულისხმება საქართველოს ავტონომია, თორემ კარლო ჩხეიძე ხომ თავს იკლავდა პოლონეთის ავტონომიაზე!). არც რუსეთის მეფეს და არც რუსეთის პარლამენტს „ავტონომიაზე" ლაპარაკი საერთოდ არ გაეგონებოდათ. ან თუ „გაეგონებოდა", მხოლოდ პოლონეთის ან ფინეთისგან. ხოლო საქართველოს ავტონომიისთვის ენის დასველებაც კი სახელმწიფო სათათბიროში — ამ რუსული შოვინიზმის ბოროტ ბუნაგში — ყოველად წარმოუდგენელ კაზუსად თუ შეიძლებოდა მიჩნეულიყო. ამ შემთხვევაში რუს შოვინისტებს ქართველი სოციალ-დემოკრატები უმაგრებდნენ მხარს. აკი საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა „ქართულ შოვინისტურ" და „ქართულ-სეპარატისტულ" გამოვლინებად მიაჩნდათ მათ.

მაგრამ გელოვანიც ხომ სოციალისტი იყო? დიახ, მაგრამ — სოციალისტი „ფედერალიზმის" განშტოებით, და ფედერალისტების პოლიტიკური კრედოც ხომ ეს იყო: რუსეთის იმპერიის გადაქცევა რუსეთის „ფედერაციად", სადაც ყველა ხალხს შინაავტონომიური თვითმართველობა ექნება.

და აი, წამოაყენა ახლა ქართველმა სოციალ-ფედერალისტმა საქართველოს ავტონომია.

საქართველოს ავტონომიაო?!

და სანამ რუსი პურიშკევიჩები შოვინისტურ ბაგეებს გახსნიდნენ, უმალვე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დაასწრეს — კარ-

ლო ჩხეიძემ, ევგენი გეგეჭკორმა და აკაკი ჩხენკელმა. როგორ თუ გელოვანმა ასეთი „კრიმოლა“ გაბედაო! საქართველოს რად უნდა ავტონომიაო,—ან თუ უნდა, უეჭველად ქართული შოვინიზმის ასაყვავებლად და სხვა ხალხების დასაჩაგრავად უნდაო. ჯერ აკაკი ჩხენკელმა გამოიდო თავი: გელოვანს ამოდენა რწმუნებები ვინ მისცაო, ქუთაისის დემოკრატიამ, გელოვანს კი არა, მე და ჩხეიძეს შოგვანდო ყოველივე სათქმელ-საწუამდგომლონი და იქ არავითარ ავტონომიაზე ლაპარაკი არც ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყოო. მერე კარლო ჩხეიძე შეეცადა, ეჭვის ქვეშ დაეყენებია გელოვანის რწმუნებები. და ამას კადრულობდა კარლო ჩხეიძე, რომელიც თვითონ ყოვლად საძრახისი თაღლითობით გასულიყო IV სათათბიროს დეპუტატად. როცა არჩევნები იყო, ქართველმა თავად-აზნაურობამ სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, და საქმეც ისე მიდიოდა, ანდრონიკაშვილი უნდა გასულიყო და ჩხეიძე გაშავებულიყო, მაგრამ ჩხეიძემ სომეხი დაშნაკები შეიკავშირა და ყველამ ერთად — ქართველმა „ინტერნაციონალისტებმა“ და სომეხმა „ნაციონალისტებმა“, შეერთებული ძალებით, ქართველთა კანდიდატი გააშავეს და „ანტიქართველი“ ჩხეიძე გაიყვანეს.

და აი, ახლა ჩხეიძემ სათათბიროზე ხმა აღიმაღლა „ქართული სეპარატიზმის“ წინააღმდეგ!

და მისი სიტყვის შემდგომ, რუსულ სათათბიროს ქართულ ავტონომიაზე სიტყვის გაგრძელებაც ზედმეტად მიუჩნევია. ქართული ავტონომიის საკითხი მისი მთქმელის ბაგეზედვე გაშრა და გაქრა. საქართველოშიც ამაზე ლაპარაკი იმით გათავდა, რომ ჟურნალმა „კლდემ“ ჩხეიძე და ჩხენკელი საქართველოს გულზე ორ გველად წარმოსახა — გველები, რომელთაც მხოლოდ გველის შხამი აქვთ და გველის სიბრძნე კი არ გააჩნიათ[13].

ხოლო, კაკი წერეთელს, როგორც ეტყობა, გელოვანის სიტყვა იმდენად უმნიშვნელოდ მიუჩნევია, რომ შემდგომში ამასაც ამტკიცებდა: 1917 წლის რევოლუციამდე საქართველოს ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა საერთოდ არ წამოუყენებიაო[14].

10. აღსასრული „დედა ენის“ შემოქმედისა

1912 წლის 1 (14) ივნისს, საქართველოს მოუკვდა იაკობ გოგებაშვილი, ეროვნული პედაგოგიკის ფუძემდებელი, დიდებული მოაზროვნე და მამულიშვილი, შემოქმედი მარად უკვდავი „დედა ენისა“.

და ეუბნებოდა დიდი აკაკი დიდი თანამემამულის ცხედარს:
„ძმაო იაკობ!

უკანასკნელად დაგყურებ ორკეცად მგლოვიარე: გიგლოვ, როგორც პირად მეგობარს და უფრო მეტად კიდევ, როგორც საზოგადო მოღვაწეს. ჩვენი მეგობრობის კავშირი, მაგ შენი სიკვდილით გაწყვეტილი ხანგრძლივ არ იქნება, ჩემი დღეებიც დათვლილია და მალე დაგეწევი! მაგრამ შენმა დაკარგვამ, როგორც საზოგადო მოღვაწისამ კი სამარადისო ჭაჩი დააბა გულზე ყოველ შეგნებულ ქართველს. წამოდგომა რომ შეგეძლოს ახლა, დაინახავდი, თუ რა გრძნობით ყოფილა შენდამი გამსჭვალული ამერ-იმერი!.. გულწრფელად გიგლოვენ დიდები და ჩაგბღავის საფლავში მოზარდი ახალ-თაობა, როგორც საერთო მამას. ამგვარი სიკვდილი სანატრელია!.. შენზე აღსრულდა სამღრთო წერილის სიტყვა: „სიკვდილი მართალთა განასვენებს“. შენ წარსდგები პირნათლად ჩვენ სახელოვან წინაპართა წინაშე... და ამოუდგები მათ გვერდში, საუკუნო განსვენებით!..

აქ კი იღლადებენ შენი ნაშრომნი და დარჩება სამარადისოდ შენგან გატკეპნილი გზა და ვინც იმ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება. კურთხეულ იყოს სამარადისოდ ის წმინდა გზა და მასთან ერთად სახსენებელი შენი... ამინ!..“[45]

რა მაღალი ჰეშმარიტებით იყო ნათქვამი: ვინც იაკობის გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიებაო.

იაკობის გზა მისი „დედა ენის“ გზა იყო — ჰეშმარიტის ქართველობის პირველი ევხარისტიის გზა. უამისობა უქართველობას ნიშნავდა.

ამიტომ გლოვობდა მას სრულიად საქართველო.

მაგრამ მაინც იქნებ არ ეთქმოდა „სრულიად“?!

არ ეთქმოდა, რადგან „დედა ენის“ ავტორის სიკვდილს არ გლოვობდნენ „მესამე დასელები“.

ბუნებრივიც იყო: ვინც ილიას არ იგლოვს, იგი არც იაკობს იგლოვს.

არ იგლოვდნენ, რადგან იაკობსაც ეს აეჩემებინა: ქართველების „ნაციონალისტობა“ შოვინისტობა არ გახლავთო; ქართველებს შოვინისტობის უნარიც არ გააჩნიათო; „ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა... იგი იფერობს მხოლოდ წმინდა ჯრძნობას. ამ ჯრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩვენს მამულის შვილებს ჰსურთ წარმატება ჩვენის ეროვნებისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა... ჩვენი მამულისშვილები ნატრულობენ ჩვენის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გაჯლებული... ჩვენი მამულისშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ... არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისა. ერთის სიტყვით, ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლო ჟამს დააღგა დაწინაურებული, საუკეთესო ნაწილი ევროპის ცივილიზაციის წარმომადგენელთა“[46].

არ იქნებოდა სასიამოვნო ასეთი „ილიასტური“ მსჯელობა ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის, განსაკუთრებით — ფილიპე მახარაძის, ნოე ჟორდანიას, სერგო ორჯონიკიძისა და მომავალი სტალინისათვის.

და ყველაზე უარესი ის იყო, რომ იაკობ გოგებაშვილი, ასე ხელის ერთი მოსმით, ვინც ილიას არ იგლოვდა, ყველას „ბნელეთის ნაბიჭვრებს“ ეძახდა[47].

ამიტომ, ბუნებრივი იყო, რომ არ იგლოვდნენ იაკობს „მესამე დასელნი“...

ხოლო, ერმა დიდის პატივით მიაბარა დიდუბის მიწას მომავალი ქართველობის მარადიული აღმზრდელი და მასწავლებელი.

1940 წელს მის ცხედარს დიდუბიდან მთაწმინდაზე აღამაღლებენ.

11. ისევ აკაკი

იმ წელს ქართველ პატრიოტებს ერთადერთი სიხარული და სიამაყე ისევ აკაკი წერეთლის სახელმა არგუნათ. აკაკის პეტერბურგში იქაურმა მოწინავე საზოგადოებამ შეხვედრა მოუწყო. იმპერიის სატახტოს თავადაზნაურთა სასახლე ხალხით იყო გაჭედილი. სხდომას ხელმძღვანელობდა სახელოვანი მომღერალი და მთელი რუსეთის სათაყვანო კერპი, ვლადიმერ სობინოვი. ხალხი ფეხზე ადგომით, ტაშის გრიალითა და ოვაციით შეეგება ორი ხალხის დიდებულ შვილთა ურთიერთ პატივისცემას, ხელიხელ გადახვევას და მხურვალე მთხვევას. იყო სიმღერა — თვითონ სობინოვისა, მაკაროვისა, დოღონაძისა. ცეკვები — ქართული, კავკასიური, რუსული იყო სიტყვები.

შემდეგ — ბანკეტი. აკაკის გვერდით უსხდნენ კავკასიელი დეპუტატები — აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი, ვარლამ გელოვანი, მიხეილ სკობელევი (ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა კარლო ჩხეიძე).

სიტყვა წარმოთქვა აკაკი ჩხენკელმა: აკაკის დიადი პოეტური ნიჭი უტყუარი მაჩვენებელია ჩვენი, ქართველი ხალხის ეროვნული კულტურისა; ამავე დროს იგი არის ემბლემა ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობისა. თუმცა ერთი მთლიანია, მაგრამ იგი იმავე დროს დანაწილებულიც არისო, — განაგრძობდა ჩხენკელი. ეს დანაწილება კი სრულებითაც არ უშლის ხელს მას საკუთარი არსებობის დაცვაში. შენც ნუ იფიქრებ, მგოსანო, რომ ქართველი ერი აწმყოში ნაკლებ დაიცავს თავის არსებობას, ვინემ ეს ხდებოდა წარსულში. თუ ქართველ ერს წარსულში სათავეში ედგა მაღალი წოდება, დღეს მის მედროშედ გამოსულია დემოკრატია, რაც საკმაო თავდებია იმისა, რომ გამარჯვება დღეს უფრო ადვილია. შენ ხარ მამა ჩვენი ერისა, მაშ გაუმარჯოს მხცოვან აკაკის და მის შვილს ახალგაზრდა საქართველოს! — დაასრულა ჩხენკელმა[48].

ტაშის ხელახალი გრიალის შემდგომ, პოეტმა ჩხენკელის საპასუხოდ წარმოსთქვა: როცა მე და ჩემი ამხანაგები სამოქმედო ასპარეზზე გამოვედით, მესამოცე წლებში, ისე ცოტანი ვიყავით, რომ იძულებული შევიქენით ერთად გვევლო, ბავშვებივით ერთმანეთს ვებღაუჭებოდით და ეს იმიტომ, რომ ისედაც მცირე გუნდი კიდევ

უფრო არ დაქუცმაცებულიყო. დღეს კი სხვა მდგომარეობაა. ჩვენ ერს წამოეზარდა ახალი თაობა და მისი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია წარმოდგენა, ამოდენა ხალხმა ერთად იაროს. ის უთუოდ უნდა დანაწილდეს და თვითეულმა თავის გზა აირჩიოს, მაგრამ ყველა გზა ხომ რომში მიდის. ამ გზებზე სიარული ბოლოს და ბოლოს მაინც ერის სამსახურს მოასწავებს და მის განვითარებას ხელს უწყობს.

საზეიმო განწყობილებაში თითქოს შეუმჩნეველი დარჩა, რომ აკაკის სიტყვა მცირეოდნად დამცინავი და ორჭოფულიც იყო. ტაშის გრიალის ჩათავების შემდგომ კი, პოეტს სიტყვით მიმართა სკობელევმა, ბაქოელმა სოციალ-დემოკრატმა და იმჟამინდელი IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა: მე როგორც წარმომადგენელი იმ მხარისა, საიდანაც თქვენა ხართ, თავს ნებას მივცემ ავიღო ჭიქა თქვენს სადღეგრძელებლად. თქვენი ვერცხლისებური ჭაღარა, ეს სიმბოლოა წარსულის ბრწყინვალე დღეებისა, და ის აღფრთოვანებული შეგებება, რომლის ნოწამეც მე გავხდი, უტყუარი მაჩვენებელია რუსი და ქართველი ერების მჭიდრო სოლიდარობის ნამდვილი დღესასწაულისა, — იმ დღესასწაულისა, რომელიც გვაახლოებს იმ დიად მომავალთან, რომლისკენაც ასე მიილტვიან ორივე ერის საუკეთესო შვილები. თქვენ ხართ ერთი საუკეთესო წარმომადგენელი არა მარტო ქართველი ერისა, არამედ მთელი კაცობრიობისა, რითაც მე ჩემს ქართველ ამხანაგებთან ერთად ასე ვამაყობ[49].

ისევ ტაში. ისევ აკაკის სიტყვა: მე დიდი სიამოვნება მაგრძნობინა თქვენმა სადღეგრძელომ. თქვენ ჰეშმარიტება ბრძანეთ — ჩვენ მართლა რომ დიდათ ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსის ერებთან. მართალია რუსის ხალხში ბევრია ისეთებიც, რომელთაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ სამაგიეროდ არის ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენა გვსურს ხელის-ხელ ჩაკიდებით სიარული, არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა. მე გულწრფელად ვისურვებ, რომ ამ ახალგაზრდა რუსეთიდან, ნაცვლად ტიმოშკინთა თაიგულისა, მომავალშიც სკობელევთა თაიგული მიგვეღოს[50].

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აკაკის ამ სიტყვამაც რუსულ საზოგადოებრიობაზე. მას უკან შემოვიდა ცნობილი მსახიობი, მაკაროვი, — გაუმარჯოს ქართველი ერის საუკეთესო შვილს, აკაკის! — შესძახა მან, ჭიქით ხელში, და უმალვე „მრავალჟამიერიც“ დასჭექა.

მაკაროვის შემდგომ, სიტყვა წარმოსთქვა ევგენი გეგეჭკორმა. მე ბედნიერი ვარო, — ამბობდა იგი — რომ სწორედ აქ, რუსეთის სატახტო ქალაქში, ვადღეგრძელო ის, ვინც შეადგენს ჩვენი ერის სიამაყეს. თქვენი სიტყვა ერთა სოლიდარობაზე მით უფრო საგულისხმოა, რომ ის ითქვა აქ, რუსეთის ცენტრში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იმ ერს, რომელმაც ასეთი დიდებული მგოსანი წარმოშვა, ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა; რომ ის შესძლებს თავისი წვლილი შეიტანოს საკაცობრიო კულტურის სალაროში და მით შესაფერი საპატიო ადგილი დაიჭიროს კაცობრიობის კრებულთა შორის. ჩვენ მტკიცედ და შეურყევლად გვწამს ჩვენი ერის მომავალი. მან ეს უკვე დაგვიმტკიცა ახლო წარსულში, როცა ის ასე მედგრად გამოვიდა ბრძოლის ველზე. ამ მომავლის დაახლოება, უფრო ადვილად მიღწევა კი მას შეუძლია რუსეთის სხვა ერებთან მჭიდრო კავშირით. მაშ გაუმარჯოს ამ კავშირს![51]

მორიგ ტაშსა და ოვაციაში ჩაერთო მსახიობი დოღონაძე, რომელმაც ახლა თვითონ დაიწყო „მრავალჟამიერი“. უცებ, ხალხიდან, ვიღაც შუახნის კაცი სკამზე ავარდა და ისე, გვარის გამოუცხადებლად — ინჟინერი ვარო, — მხოლოდ ესა სთქვა და განაგრძო: ქართველი ერი ერთადერთი ერია რუსეთში, რომელსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ნაციონალურ სივიწროვეს. ქართველი ერით, იმ ერით, რომელიც სდგას პირველ რიგში, რომელიც გვაძლევს საუკეთესო ბელადებს აქ, ცენტრში და ასე მედგრად იბრძვის საყოველთაო კეთილდღეობის დასამყარებლად, შეუძლია იამაყოს, არა მარტო ქართველს, არამედ ჩვენც. ამ ერის სიდიადე კიდევ იმით მტკიცდება, რომ მას ჰყავს პოეზიის ისეთი კორიფეი, როგორიცა არის თავადი აკაკი წერეთელი. მე ვსვამ სადღეგრძელოს დიდებული პოეტისას და მის პიროვნებაში განსახიერებით იმ ერის აყვავებისათვის, რომელსაც ეწოდება ქართველი ერი[52].

მაშ, ჩხენკელი და გეგეჭკორი ლაპარაკობენ ქართველი ხალხის ეროვნულ კულტურაზე, ეროვნულ მთლიანობაზე, ქართველი ერის

წარსულზე და მომავალზე, აკაკის უწოდებენ ეროვნულ გმირს, „ერის მამას“ (თითქოს ილიასი ეთქვათ!)...

მაშ, „მესამე დასის“ ეს აღიარებული ლიდერები მოწიწებით ლაპარაკობენ იმ გრძნობებზე, ცნებებზე და მცნებებზე — „ერი“, „სამშობლო“, მისი „აწმყო შობილი წარსულისაგან“ და სხვა, — რისთვისაც სწორედ „მესამე დასიდან“ გასროლილმა ტყვიებმა მოინელეს დიდი ილია ჭავჭავაძე.

მაგრამ არც ისე უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს „მსოფლიო პროლეტარიატის“ ჭომაგთა ამნაირი „ფერისცვალება“, რომელიც უფრო მაინც ნიღაბი უნდა ყოფილიყო — „დრო და ჟამის შესაფერად“ მოძიებული ნიღაბი, ვიდრე ნამდვილი ფერისცვალება.

საქმე ის გახლდათ, რომ ილიას მკვლელობიდან „მესამე დასელთა“ ავტორიტეტი შესამჩნევად ეცემოდა და ხუნდებოდა ქართველი ხალხის თვალში, — თუნდაც იმ პროლეტარულ „კლასშიც“, რომელთა ლიდერობაზე საერთოდ დებდნენ თავს „მესამე დასელნი“.

რასაკვირველია, „მესამე დასის“ შიგნით კრიზისის ჟამის ჩამოგდება მარტო ილიას სახელს არ უკავშირდებოდა. საქმე ის იყო, რომ მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას, — უქონელთა ფენებს რომ წუთი-წუთ, კარზე მომდგარ მესიანისტურ მოვლინებად ალუთქვამდნენ — მისი მოწინამძღვრე „მანიფესტის“ გამოქვეყნებიდან, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი დაჰგეიანებოდა. 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. რეაქცია გამძლავრდა. „პროლეტარები ყველა ქვეყნისა“ არც 1905 წლის რევოლუციამდე შეერთებულან, არც ამ რევოლუციისას და მას შემდგომ ხომ კიდევ უფრო უნდა დაშრეტილიყო და დაპატარავებულიყო იმედი „მსოფლიო შეერთებისა“. ამ იმედს ქართულ „პროლეტართა კლასიდან“ ბევრი ჩამოშორდა — ჯერ რა „კლასი“ ის იყო და, ისიც, როგორც „მიმდევარი“, გაუნახევრდა „მესამე დასს“. ახლა „პარტია“, როგორც „მოწინავე ნაწილი კლასისა“, თავის „კლასზე“ გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო.

განსაკუთრებით ახალგაზრდა „დასელებს“ გასტეხოდათ გული. სამაგალითოდ, დორპატის უნივერსიტეტის სტუდენტთა ქართულ სათვისტომოში „დასელები“ 60-დან 20-მდე შემცირებულიყო, პატრიოტების რიცხვი კი საგრძნობლად გაზრდილიყო. იმ დღეებში ილიას საპატიცემულო საღამოც გადაეხადათ პატრიოტებს. იქ

დამსწრე პოლონელი ახალგაზრდები აღფრთოვანებაში მოსულან. ერთ ამათგანს მასალებიც უთხოვია საქართველოს ისტორიისთვის — წერილები უნდა გაეგზავნოს პოლონეთში, თქვენი საოცარი სამშობლოს შესახებო. მეორეს ეს უთხოვნია ქართველებისთვის — თქვენს დიდებულ სათვისტომოში, ნება მოგვეცით პოლონეთზეც ჩაკატაროთ საუბრებიო. ის საღამო ასე სიკეთით მიდიოდა, იმ „დამცრობილ დასელებს“ რომ მაინც თავისი არ ექნათ: სტვენით, ხმაურით, „შოვინისტებისა“ და „ნაციონალისტების“ ძახილით ლამის ჩაეშალათ ილიას სახსოვარი საღამო. ცოტა ადრე თამარის სახსოვარი იუბილეც გადაეხადათ დორპატის ქართველ სტუდენტებს. მაშინაც აბღავლებულან „დასელები“: რას სჩადიხართ, შოვინისტებო, მეფის, დესპოტის, ხალხის მოსისხლე მონარქის იუბილე რა ჩვენი საქმეაო, და სხვ. მისთ...[53]

...მაშ, თვითონ „პარტიაში“ უკვე მძიმე კრიზისი დამდგარიყო. „მესამე დასელთათვის“ ახლა, იმ მსოფლიო ლოზუნგების ნაცვლად, უფრო „მომგებიანი“ იქნებ ის ცნებები და გრძნობები ყოფილიყო, რასაც ისინი აქამდე ისე თავგამოდებით ებრძოდნენ — „სამშობლო“, „ერი“, „პატრიოტიზმი“, „მამული“, „ეროვნული ისტორია“, „კულტურა“, „ზნეჩვეულება“ და სხვ. მისთ. და უკვე ბევრი ჩამომხტარიყო „მსოფლიო მოქალაქეობიდან“ ადგილობრივ, საკუთარ „ეროვნულ ნიადაგზე“ — ზოგი გულწრფელად, ზოგიც ნაყალბევად, ფარისევლურად. განსაკუთრებით, ასეთი „რენეგატი სოციალ-დემოკრატები“, რომელთაც „მსოფლიო პროლეტარიატის“ ინტერესები ადგილობრივ, „ქართულ შოვინიზმზე“ გაცვალეს — უმეტეს წილად „მესამე დასის“ მენშევიკთა ნაკადისანი იყვნენ.

და სწორედ იმ საიუბილეო საღამოზეც, აკაკი წერეთლის საპატივსაცემლოდ წარმოთქმულ სიტყვებში, თავისი „რენეგატული სული“ გაუმჟღავნებიათ ჩხენკელს და გეგეჭკორს. რასაკვირველია, ეს მხოლოდ ზერელე, „სოფლური პატრიოტიზმი“ უნდა ყოფილიყო, რადგან სინამდვილე საპირისპირო სინდისს ღაღადებდა: იმ დღეებში ჩხენკელმა და გეგეჭკორმა გელოვანისგან აღძრულ ქართული ავტონომიის საკითხზე, საიმპერიო სათათბიროს კრინტიც არ დააძვრევინეს.

ან იქნებ ქართული ავტონომიის საკითხი რომელიმე რუსს, თვით პურიშკევიჩსაც რომ დაეყენებია — უნდა ვირწმუნოთ, ჩხენკელი, ჩხეიძე და გეგეჭკორი მაშინვე მხარში დაუდგებოდნენ, მაგ-

რამ ქართველთა თვითმართველობაზე ქართველმა (გელოვანმა) ამოიღო ხმა და... ქართველს ქართველები როგორ შეარჩენდნენ; (რა გაეწყობა — „ასე სჭირს საქართველოსა... უჩემოდ ვინ იქნეთა"... და სხვ. მისთ.)...

ასეთი იყო მაშინდელი „მესამე დასის" ცხოვრებისა და მოქმედების წესი.

სხვანაირად ცხოვრობდნენ და იღწვოდნენ მათი ჭკვიანი მეზობლები.

და წერდა მაშინდელი ჟურნალი „კლდე", სათაურით — „ისინი და ჩვენ":

„ისინი ამბობენ — კარგი სომეხი, ჩინებული ვაჭარი, განათლებული კომერსანტი, მდიდარი მრეწველი, ვექსილი, სარგებელი, ბანკი, ხატისოვი, ეჩმიაძინი.

ჩვენ ვამბობთ — კარგი სოციალისტი, იდეური ფედერალისტი, დიდებული კრიტიკოსი, ვალი, ნედოიმკები, ვექსილის პროტესტები, რუსული გაზეთები, ფ. მახარაძე, ფ. მახარაძე, ფ. მახარაძე.

ისინი სწერენ — სომხის საკითხი, სომხის საკითხზე, სომხის საკითხით.

ჩვენ ვსწერთ: განხეთქილება ს.—დ. ფრაქციაში, ს.—დ. ფრაქციის განხეთქილება, განხეთქილება სოციალისტურ ფრაქციისა.

ისინი ქადაგებენ — ააშენეთ ბანკები, აქციონერული საზოგადოებანი, სავაჭრო სახლები და სჭამეთ თქვენი მტრები.

ჩვენ ვქადაგობთ — ააშენეთ ახალი კლუბები, სჭამეთ ერთმანეთი, სჭამეთ თქვენი თავი.

ისინი ყიდულობენ — ჩვენ ვყიდით.
ისინი აშენებენ — ჩვენ ვანგრევთ.
ისინი მდიდრდებიან — ჩვენ ვლატაკდებით.
ისინი ხარხარებენ — ჩვენ ვსტირით".

12. ტირიფონას პოლიგონი

მაშ, ვიდოდა საქართველო თავისი ბედით; ავი დრო-ჟამის ბედისწერა მისთვის ბევრს ფიქრობდა და ზრუნავდა, და — „ბევრი იგი“ იყო შხამი და ცრემლი.

ვიდოდა ქართლოსიანთა ქვეყანა. დაღრღნილი მიწით და დაღრღნილი სულით. ხოლო მღრღნელნი მისნი — გარეშეც მრავლად, შინაურიც ჰყავდა „თავზე საყრელად“.

1912 წელს გელათის და ალავერდის მრავალსაუკუნოვანი საეპისკოპოსო კათედრები გააუქმეს და სამაგიეროდ (!) ერევანში რუსული კათედრა გახსნეს.

„კეფალე-წართმეულ“ („თავ-წართმეულ“) ქართულ ეკლესიას რა ეთქმოდა.

1913 წელს არჩილ ჯორჯაძე მოუკვდა საქართველოს. ბათუმში გარდაიცვალა, სასტუმრო „ფრანციაში“, ჭლეჭით შეჭმული. „Тихо скончался Арчил“ — ეწერა დეპეშაში, გიორგი ლასხიშვილმა რომ მიიღო ბათუმიდან თბილისში.

წყნარად შრომობდა, წყნარად იღვწოდა, წყნარად იწეოდა და წყნარად აღესრულა დიდებული მოაზროვნე და დიდებული მამულიშვილი.

„გასვენებაც ჩვენში გართობააო“, — ამბობდა ხოლმე განსვენებული. მისი დაკრძალვა კი არ იყო „გასართობი“, — არამედ იყო მხოლოდ დიდი ეროვნული წუხილი. ბათუმიდან თბილისამდე გლოეის გზა გაუწყვეს და გლოვით გამოატარეს. დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. მალე მის საფლავზე ქართველმა მუშებმა პატარა ძეგლი დადგეს, წარწერით — „არჩილს მუშებისაგან“ (მართლაც იყო ხაოცარი და სახსოვარი, ქართველ „ნაციონალისტს“ რომ „ქართველმა პროლეტარებმა“ ძეგლი დაუდგეს).

1913 წელს საქართველოს ახალი უბედურების მომასწავებელი „პროექტი“ დაატეხა თავს რუსეთის საიმპერიო მთავრობამ.

ეს იყო „პროექტი პოლიგონისა“, სახელდობრ — უნდა გამართულიყო სამხედრო პოლიგონი გორის ჩრდილო მხარეს, ტირიფონას ნაყოფიერ დაბლობზე. ამას შედეგად უნდა მოჰყოლოდა 40 000 ქართველი მიწათმოქმედის დედაბუდიანად აყრა და გადაყრა.

ასე რომ ეს იყო ქართული მიწების გაფლანგვისა და ქართველებისგან წართმევის კიდევ „ახალი ეტაპი“. მთავარი აქ ქართული მიწიდან ქართველების განდევნა იყო, რასაც ჯერ ვითომ პოლიგონის გამართვა მოჰყვებოდა, ხოლო სულ მალე არაქართული „პასელენიებით“ დასახლება.

ისევ საჭირო იყო ქართველი ხალხის ერთსულოვანი ბრძოლა ამ ახალი უბედურების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ისევ ამაო გამოდგა ცდა გახლეჩილი ეროვნული სულის გამთლიანებისა. ქართველი პატრიოტები საბრძოლველად შეიმართნენ, მაგრამ „დასელები“ ამ „შოვინისტებში“ არ გაერივნენ და მხოლოდ მღუმარე მეთვალყურეებად ჩასაფრდნენ. მათი პოზიცია კვლავ გასაგები იყო: ქართული მიწა მარტო ქართველებისა როდია, — იგი ეკუთვნის ყველა ხალხებს, „ინტერნაციონალს“. ხოლო, რაც შეეხება „პოლიგონისგან“ აყრილ გლეხობას... ეს კიდევ მთლად უკეთესი! 40 000 აყრილი გლეხი ხომ 40 000 პროლეტარიაა! ეს ხომ ოცნებაა ყოველი „პრინციპული სოციალისტისა“ — ამდენი პროლეტარი ერთად — ეს ხომ უკვე „კლასია“, ხოლო მისი „მოწინავე რაზმი“ იქნება „მესამე დასი“, რომელსაც აქამდე სულ იმას დასცინიან — თქვენი „პარტია“ თქვენს „კლასზე“ რიცხვით უაღრესად აღმატებულიაო. თუმცა „პარტია“ თავის საწინამძღვრო „კლასზე“ რიცხვით მაინც აღმატებული დარჩება, რადგან „მესამე დასი“ როგორც „პარტია“, სულ ცოტა 100 000 წევრს მოითვლის, ხოლო საქართველოს პროლეტარიატი (ყველა ეროვნებისა ერთად!), როგორც „კლასი“ 15 000 კაცს ძლივს აღემატება. მაგრამ თუ „მესამე დასელებს“ ბედმა გაუმართლა და ის 40 000 გლეხი მართლა „გაპროლეტარდა“ და იმ 15 ათასს შეუერთდა, ეს იმას ნიშნავს, რომ „კლასი“ თავის „მოწინავე რაზმს“ რიცხვით ნახევარზე მაინც დაუახლოვდება და „შოვინისტ ქართველებს“ აღარც იმდენი დაცინვის საფუძველი ექნებათ, აქამდე რომ ჭირჭილებენ — ნაწილი (პარტია) მთელზე (კლასი) მეტიაო... რა ბედნიერებაა ამდენი გლეხის გაღატაკება, გაუმიწაწყლება, სანუკვარი „პროლეტარიზაცია“! მართლაც და — თუ „პარტია“ ხარ, „კლასიც“ ხომ უნდა გიმრავლდებოდეს!..

ისევ ჟურნალმა „კლდემ“ აღიმაღლა ხმა ქართულ მიწაზე და ქართველ გლეხზე ცარიზმის ახალი შემოტევის წინააღმდეგ. რუსულმა მთავრობამაც არ აცივ-აცხელა და ჟურნალის მთავარი რედაქტორი, რეზო გაბაშვილი სამართალში მისცა. ბრალდებულს იცავდა ცნობილი იურისტი და თვითონ გაბაშვილის სკოლის ამხანაგი შალვა მესხიშვილი. მაგრამ გაბაშვილმა უფრო „ხერხიანი რეიდით“ თვითონ დაიცვა თავის თავი.

„ბატონო მოსამართლენო, — ლაპარაკობდა გაბაშვილი — მაშინ, როდესაც თქვენმა იმპერიამ, ეს არის, განიცადა რევოლუციონური მღელვარება და მთელი კავკასია დღემდე გახვეულია სოციალისტური პრესის ბოდვაში, ერთადერთი ჟურნალი არის „კლდე“, რომელიც იცავს სახელმწიფოებრივ წესებსა და კანონებს, კერძო საკუთრებასა და მშვიდობიანობას და ამ დროს გამოდის ხელისუფლება და, ყოველგვარი სამართლიანობის გარეშე, 40 ათას დესიატინა კულტურულად დამუშავებულ სახნავ მიწას, ორმოციათას პატიოსნად და მძიმედ მომუშავე გლეხობას, — ძალით ართმევს, რომ მიწა უსულო ზარბაზნების სავარჯიშო პოლიგონის უდაბნოდ გადააქციოს; რომ ორმოცი ათასი კერძო მესაკუთრე ბოგანოდ გახადოს და რევოლუციონერთა ჯარს შეუერთოს?! თქვენ მოწოდებული ხართ დაიცვათ სახელმწიფოს საფუძვლები: კერძო საკუთრება და პატიოსანი შრომა და არა ხელი შეუწყოთ ამ საფუძვლების შერყევას, გაუგებარი პოლიტიკური ბრძანებით. ჩვენი ჟურნალი ერთადერთია, რომელიც იცავს ამ ძირითად იდეებს და ნე ვფიქრობ, ღირსი ვართ მადლობისა თქვენი მხრიდან და არა დასჯისა, რაღაც ფორმალური პარაგრაფების მიხედვით.

არა მგონია, მთავრობა კმაყოფილი დარჩეს იმ განუზომელი უარყოფითი შედეგებით, რაც ასეთ ნაბიჯს მოჰყვება და ქართველობა კი არ დაივიწყებს ასეთს უსამართლობას“[54].

სასამართლომ რეზო გაბაშვილს სასჯელად 200 მანეთი ჯარიმის გადახდა დააკისრა. „კლდისაგან“ ატეხილი განგაში კი გრძელდებოდა. პატრიოტები აწყობდნენ საპროტესტო კრებებს, პროტესტით გამოჰყავდათ ასაყრელად განწირული გლეხობაც.

საქმეში უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც ჩაერივნენ. ინგლისში კვლავ ამოქმედდა ვარლამ ჩერქეზიშვილი. საქართველოდან მიღებული მასალები სასწრაფოდ ინგლისურად თარგმნა, ცნობილი „პეტიციაც“ ისევ მოიმარჯვა და თავის მეგობარს და ინგლისის

სამშვიდობო საზოგადოების მდივანს, ელისე რეკლიუ ხისუს ეწვია. სწორედ იმ დროს მივიდა, როცა ლივერპულში ამ საზოგადოების კონგრესი იყო დანიშნული. და სთხოვა ჩერქეზიშვილმა რეკლიუს, გაეტანა კონგრესზე საქართველოში ახალი პოლიგონისა და გლეხობის ავი პერსპექტივის საკითხი, რუსეთის ცარიზმისადმი საპროტესტო რეზოლუციით. რეკლიუმ აღუთქვა და აღთქმა კიდევაც შეასრულა. ლივერპულის სამშვიდობო საზოგადოების კონგრესმა ერთხმად მიიღო ეს რეზოლუცია:

„ეთხოვოს ინგლისის მეფის მთავრობას, აცნობოს პეტერბურგის მინისტრთა კაბინეტს, რომ სამხედრო პოლიგონის გამართვა გორის მაზრაში, არღვევს საქართველოს უფლებას, რომელიც მას აქვს ხელშეკრულების ძალით. ეთხოვოს სერ ედვარდ გრეის (ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს) აცნობოს ამის შესახებ აგრეთვე კავკასიაში მეფის მოადგილეს"[55].

მალე ამის შემდეგ „გორის პოლიგონზე" ლაპარაკი ერთბაშად შეწყდა.

პატრიოტებმა გაიმარჯვეს.

„დასელები" სდუმდნენ.

ხოლო, დუმილს რომ კმარობდნენ და ქართველ „შოვინისტებს" ამოდენა მნიშვნელობის საკითხს ასე უბრძოლველად „უთმობდნენ" — აქაც, ალბათ, რაღაც ღრმა ცვლილებები თუ იგულისხმებოდა „დასელთა" მარად მეომრულ სულში.

18. „სამიწე კომისია"

მაშ, ასე თუ ისე, — უკეთუ „დასელები" ხელს არ შეუშლიდნენ, ქართველ პატრიოტებს ბოროტ კოლონიურ-რუსიფიკატორულ ხელისუფლებასთან ბრძოლა ზოგჯერ წარმატებითაც უთავდებოდათ.

წარმატებით იბრძოდა თავად-აზნაურობის საკრებულოსთან დაარსებული საადგილმამულო, ანუ ეგრეთ წოდებული „მიწათმოქმედების კომისია", ხუმრობით რომ „სამიწე კომისიას" ეძახდნენ. ამ ორგანიზაციის სულის ჩამდგმელი და წარმართველი იყო ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ცნობილი ისტორიკოსი და პუბ-

ლიცისტი, ადრე (1905—1907 წწ) ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად ნამსახური. ყოველწლიური შემოსავალი მიწათმოქმედების კომისიას ჰქონდა 15 ათასი მანეთი, რასაც იგი მთლიანად ახმარდა მიწების შეძენას და ქართველ გლეხებზე დარიგებას. ჰყავდათ მოხალისე, უჯამაგირო ინჟინრები, აგრონომები, მელიორატორები, რომელთაც გაჰყავდათ წყლები, აწარმოებდნენ სამელიორაციო სამუშაოებს და ამზადებდნენ ყამირ მიწებს სახნავ-სათეს სავარგულებად. იყო კიდევ „ქართული სამეურნეო საზოგადოება“, რომელიც აწყობდა საცდელ მინდვრებს, აშენებდა სანერგეებს, ბაღებს, ვენახებს; ასწავლიდა ხალხს ევროპული წესებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანას და დამუშავებას. ორივე ეს ორგანიზაცია ერთმანეთს მხარში უდგა; ერთად იღვწოდნენ ქართული მიწების ქართველთა ხელში „ჩასაჭერად“ და ჩასამკვიდრებლად.

ალექსანდრე ყიფშიძესთან ერთად, ბევრს იღვწოდა კოტე (კონსტანტინე) აფხაზი, ილია ჭავჭავაძის დისწული, „უპარტიოთა კავშირის“ მეთაური, თავად-აზნაურთა მარშალი. იგი უკავშირდებოდა და აქეზებდა მთელი საქართველოს პატრიოტულ ძალებს, როგორმე „მიწათმოქმედების კომისიის“ წლიური ბიუჯეტი აეყვანათ 30 000 მანეთამდე, რათა ამ თანხის საშუალებით დაესრულებინათ უმიწაწყლო ქართული მოსახლეობის „შინაგანი გადასახლება“ და სამიწათმეურნეო მოწყობა.

კომისიას უმიწაწყლო ან ნაკლებმიწიანი ქართველი გლეხობა მოჰყავდა დასავლეთ საქართველოდან და ასახლებდა აღმოსავლეთ საქართველოში — აღმოსავლეთ კახეთში, ბორჩალოში.

ათი წლის განმავლობაში „სამიწე კომისიამ“ მოასწრო 75 000 დესიატინა (100 000 დღიური, ანუ 150 000 ჰექტარი) მიწის დარიგება ქართველ გლეხებზე. ეს ხომ თავისთავად დიდი საქმე იყო: ალაზნის აღმოსავლეთი მხარე (ლაგოდეხი) ქართული მოსახლეობით გაივსო. მაგრამ უფრო მეტის გაკეთება მსოფლიო ომმა და რევოლუციებმა ჩაუშალა ქართველ პატრიოტებს. ქართველობას თითქოს ბედი არ სწყალობდა: მათი მიწების არაქართველ ტომებზე გასხვისების ავი პროცესი კვლავ უნდა გაგრძელებულიყო.

14. „ქართველებო ყველა კლასისა, შეერთდით!“

ეროვნულ დემოკრატთა პარტია მძლავრობდა საქართველოში: თბილისში — ჟურნალი „კლდით“, ქუთაისში — გაზეთ „იმერეთით“.

გაჩნდა ეროვნულ-დემოკრატთა კიდევ ერთი ორგანიზაცია, ბაქოს ქართულ სათვისტომოში. ბაქოელ ქართველებს თავისი საბრძოლო პროგრამის პროექტიც კი შეედგინათ, სადაც ნათქვამი იყო: პატარა ქართველ ხალხს არასოდეს არ დასჭირვებია გაერთიანება ისე მიუცილებლად, როგორც ახლა სჭირდება, არა და, ქართველები არასოდეს ისე დაქსაქსულნი არა ყოფილან, როგორც ახლა არიან. ქართველებში ამდენი პარტიაა, მაგრამ არცერთ მათგანს ცალკეულად უფლება არა აქვს პრეტენზია განაცხადოს თავისი პროგრამის უნივერსალობაზე და ამდენად არც თავისი დროშის ქვეშ ყოველი ქართველის გაერთიანება შეუძლია. ეს პარტიები საერთო ეროვნულ ინტერესებს ივიწყებენ, ან მსხვერპლად სწირავენ მას საკუთარ ვიწრო პარტიულ ინტერესთა სამსხვერპლოზე. ამიტომ, ჩვენ ვიკისრეთ საერთო ეროვნულ ინტერესთა ტვირთვა და მოვუწოდებთ ყველა ქართველს, ვისაც კი ეროვნული გრძნობა ჯერ კიდევ შერჩენია, ჩვენი პარტიის რიგებში დადგესო. ჩვენ უნდა დავივიწყოთ ცალკე პარტიული, ცალკე გლეხური, ცალკე თავადაზნაურული, ცალკე სარწმუნოებრივი თუ სხვა რამ ცალკე — ინტერესი, და ყველა გავერთიანდეთ ერთი საერთო ინტერესით — საერთოდ ქართველი ერის ინტერესთა და მისწრაფებათა განხორციელებისათვის; და აქედან გამომდინარე ლოზუნგი:

„ქართველებო ყველა კლასისა, შეერთდით!“[56]

(ილიას ცხოვრებისეული მემკვიდრეობის კვინტესენცია!).

ეროვნულ-დემოკრატთა პროგრამა ასე აკონკრეტებდა და ავალებდა თავის უახლოეს საბრძოლო ამოცანებს:

ფართო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია;

კავკასიის ავტონომიური ერთეულების ფედერაცია;

დემოკრატიული წესწყობილების დამყარება;

ფართო კულტურული საქმიანობა;

ქართველთა შორის ურთიერთდახმარების ორგანიზაცია[57].

1913 წელს საზღვარგარეთ, ჟენევაში, ეროვნულ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს ახალი ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც სახელად დაარქვეს — „საქართველოს განმათავისუფლე-

ბელი კომიტეტი", შემადგენლობით: ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, პეტრე სურგულაძე, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე შანშიაშვილი. ამათვე მაშინვე დაიწყეს თავისი საპროგრამო-საბრძოლო ორგანოს, ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს" გამოშვება, რომლის პირველივე ნომრიდან იწყება მოწოდება ყოველი ქართველისადმი:

„საქართველოს მამულიშვილნო! — ქართველმა ხალხმა განელო თავისი ხანგრძლივი და მდიდარი ისტორიული გზა, თავისი მრავალი ძნელბედობით, რომელთაგან უმძიმესი და უსაშინლესი ბოლო, რუსეთის ცარიზმის ასიმილატორულ-რუსიფიკატორული პოლიტიკა. და, — მამულიშვილნო! ცარიზმის უხეში ძალა ქართველ ერს მოსპობას, განადგურებას, სულიერ გათახსირებას უქადის. სამშობლო განსაცდელშია. სამშობლო თქვენგან მსხვერპლს მოითხოვს. შემოიკრიბეთ სამშობლოს გარშემო, იბრძოლეთ მისი მიწა-წყლის დაცვისათვის... იცოდეთ, მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება თავისუფლება, იცოდეთ მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლება უზრუნველყოფს საქართველოს არსებობას. მაშ იბრძოლეთ საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის. დიდებულ ქართველთა სული თქვენ გაგამხნევებთ, სხვა ერთა საუკეთესო შვილნი ტაშს დაგიკრავენ. სამშობლოს თავისუფლება თქვენი ადამიანობის თავისუფლებაა... მაშ შემოვიკრიბოთ ძალნი, შევერთდეთ ყველანი, ვისაც ქართველი ერის ბედნიერება სწყურია. ავაფრიალოთ დროშა საქართველოს თავისუფლებისა, დროშა დიდებულ გმირთა... გაუმარჯოს სამშობლოსათვის მებრძოლთ, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!"[58]

კიდევ უფრო დაწვრილებითა და დაბეჯითებით, „მანიფესტური ხასიათით" გამოირჩევა „თავისუფალი საქართველოს" მესამე ნომერში გამოქვეყნებული სტატია — „რატომ ესაჭიროება ქართველ ხალხს საკუთარი სახელმწიფო". „ხალხის განვითარების ისტორია, — წერს ავტორი (ალბათ, მიხაკო წერეთელი) — ყოველთვის თავდება სახელმწიფოს შექმნით. არ ყოფილა არც ერთი, ე. წ. ისტორიული ერი, რომელსაც არ შეექმნას საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ ყოფილა არც ერთი ერი, რომელსაც დამოუკიდებლობა დაეკარგოს და მისი აღდგენისათვის ბრძოლაზე ხელი აეღოს, თავის სახელმწიფოებრიობის დაბრუნებისათვის მთელი თავისი უნარი და შესაძლებლობანი არ წარემართოს.

სახელმწიფო ერის თავდაცვისა, შენახვისა და მოვლა-პატრონობის მთავარი იარაღი და საშუალებაა, — განაგრძობს სტატიის ავტორი. თუმცა ზოგჯერ სახელმწიფო გამოიყენება სხვა ხალხების ტერიტორიების დასაპყრობად, ან და თვითონ ქვეყნის შიგნით სახელმწიფო იქცევა გაბატონებული კლასის ხელში ღარიბი კლასების დაჩაგვრის იარაღად, მაგრამ ეს უარყოფითი მხარეები მაინც არ ცვლის სახელმწიფოს საერთო ხასიათს, ერისათვის მის აუცილებელ საჭიროებას, ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველ სახელმწიფოში ყოველთვის მიმდინარეობდა. ახლაც იბრძვის კაცობრიობა, ყოველი ერი შინაგანად მოეწყოს სამართლიანობისა და უფლებრივი თანასწორობის საფუძველზე და მალე ის დროც დადგება, როცა სახელმწიფო თვითონ გადაიქცევა ნამდვილი სამართლიანობის, თანასწორობისა და თავისუფლების დამცველ და მომვლელ ძალად, იარაღად.

მაგრამ, სულ ერთია, სახელმწიფო თავისი ერის შიგნით სამართლიანობას ემსახურება თუ უსამართლობას — ამას ერის არსებობისათვის არც წარსულში ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა და არც ახლა აქვს. ძირითადი და მთავარი ის არის, რომ სახელმწიფოს გარეშე ერს საერთოდ არ შეუძლია არსებობა. უსახელმწიფოდ ერს გარდუვალი დაღუპვა ელის. და ქართველი ერიც, რომელსაც რუსეთის ცარიზმმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა წაართვა, უეჭველ დაღუპვის საფრთხის წინაშე დგას. საერთოდ ერს საკუთარი ტერიტორიისა და საკუთარი ენის ფლობის გარეშე არსებობა არ შეუძლია. რუსეთმა კი საქართველოს ტერიტორიაც წაართვა და ენასაც ართმევს. ქართველებს ებრაელთა ხვედრი — ტერიტორიისა და ენის დაკარგვა — ემუქრება. ამიტომ ამ საფრთხიდან თავის დაღწევის აუცილებელი წინაპირობა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენაა. ქართველი ხალხის მთელი ხანგრძლივი ისტორია გვიჩვენებს, რომ ამ ერს სახელმწიფოებრიობის შექმნის, გაძღოლისა და მისთვის თავგამოდებული ბრძოლის უდიდესი უნარი გააჩნია. ასე სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის საუკუნეების მანძილზე ქართველმა ხალხმა ძლია მრავალ მსოფლიო მტერს და ასე მოიტანა იგი მეცხრამეტე საუკუნემდე, როცა იგი დაიპყრო რუსეთმა. დაიპყრო, მაგრამ ქართველები არც ამას შეურიგდნენ და იმთავითვე გააჩაღეს ბრძოლა ცარიზმთან, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ბევრჯერ დამარცხდა, ბევრი განსაცდელიც სძლია და თავისი ენა და ტერიტორია მაინც შეინარჩუნა ქართველმა ერმა. იგი კვლავ იბრძვის, რათა ბოლოს და ბოლოს დაიბრუნოს თავისი დამოუკიდებლობა, რათა თანაბრად განსახლდეს თავის ტერიტორიაზე და როგორც თავისუფალმა სახელმწიფომ განავითაროს და ააყვავოს თავისი ეროვნული ენა, კულტურა, მეურნეობა, სარწმუნოება[59].

„საქართველოს განმათავისუფლებლები" თავის სამანიფესტო წერილებში უკვე აღარაფერს ამბობდნენ „ავტონომიაზე" და პირდაპირ მოითხოვდნენ საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ილია ჭავჭავაძის „პროგრამა მაქსიმუმიც" აკი ეს იყო — საქართველოს სრული თავისუფლების მოპოება. ავტონომია თვით რუსეთის იმპერიის შიგნით — მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზაზე „პირველ საფეხურად", ან „პროგრამა მინიმუმად" იყო მიჩნეული — ჯერ ილიასთან, მერე სოციალ-ფედერალისტებთან. ავტონომიის მოთხოვნა ქართველი პატრიოტებისათვის, მძიმე ცარისტული ცენზურის პირობებში, მხოლოდ გაუმხელელი იძულება იყო, და, მასთან — მისი მოპოებით (უკეთუ მოიპოებდნენ), შემდგომ, — „დრო და ჟამის შესაფერად" — უფრო უნდა გაადვილებულიყო მეორე საფეხურის გადადგმა — სრული დამოუკიდებლობის მოპოება. ხოლო, ემიგრაციაში მყოფი პატრიოტებისთვის რაკიღა ცენზურა არ არსებობდა, ისინი სრული გაბედვით, ყოველგვარი „წინასაფეხურისა" და „წინამინიმუმის" გარეშე მოუწოდებდნენ „ყველა კლასის ქართველთა გაერთიანებას" და სრული ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას.

„საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" მოწოდებებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ყველა ქართველობაში — საქართველოს შიგნითაც და გარეთაც, განსაკუთრებით რუსეთის უნივერსიტეტთა ქართველ სტუდენტობაში. კიევის ქართველ სტუდენტთა კომიტეტის ინიციატივით, საგანგებო კონფერენციის ჩატარებაც კი გადაწყდა, სადაც თავი უნდა მოეყარათ რუსეთის ყველა უნივერსიტეტის ქართველი სათვისტომოების დელეგატებს. უკვე შედგენილი იყო კონფერენციის დღის წესრიგი, შერჩეული იყვნენ დელეგატებიც, დანიშნული იყო შეკრების დღეც. მაგრამ პოლიციამ დაასწრო, კონფერენციაც ჩაშალა და მისი ორგანიზატორებიც პატიმრობაში აიყვანა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პათოსი ისევ ლეგალური პრესის ფურცლებს დაუბრუნდა. იბეჭდებოდა წერილები ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვის წინააღმდეგ, ქართულ ტერიტორიაზე უცხო ტომელთა კოლონიზაციის წინააღმდეგ, საკუთარი ნაციონალური მეურნეობის გასავითარებლად, ქართული სკოლების ქართულად მოსაწყობად, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, ქართული ძეგლების გადასარჩენად და დასაცავად.

მაშ, ისევ ცოცხლობდა, ისევ ვერ მოეკლათ ილიას სული საქართველოში...

15. ისევ ჰეროსტრატე

ილიას სულის მკვლელობისთვის კი ბრძოლას არ წყვეტდა ფილიპე მახარაძე. და მისი ჰეროსტრატული სულის ასე თუ ისე ასალაგმავად, ჟურნალმა „კლდემ“ გამოაქვეყნა წერილი, სახელწოდებით — „ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე“. ავტორი, რეზო გაბაშვილი, წერდა:

„ფილიპე მახარაძეს და მის ზნე-დაცემულ კომპანიას კიდევ ერხთელ მოუსურვებიათ გამომზეურება თავისი პილწი ვულისა და ახლა მიუმართავთ ორიგინალურ საშუალებისათვის — შეცდომაში შეჰყავთ გულუბრყვილო, შეუგნებელი ხალხი, რომელიც ბრმად აჰყვება ხოლმე თავის გალაღებულ ბელადებს და აწერინებენ პროტესტებს. რასაკვირველია, ვაი-დემოკრატიული ბელადები დაჩვეულნი არიან დემაგოგიურ სიყალბეს, რადგან ხელობათა აქვთ ხალხის გაბრიყვება იქ, სადაც სიმართლით ვერას ხდებიან, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ მოკლული მგოსანი, რომელიც მსხვერპლად შეეწირა ფ. მახარაძესთანა ხალხის უვიცობას და დღესაც არ პოულობდეს მოსვენებას საფლავში.

ჯერ იმ შავბნელ დროს, როდესაც მთელი ერი აღშფოთებული იყო უმაგალითო, უმზგავს მკვლელობით, როდესაც მთელ საქარ-

თველოს ბინდი გადაეფარა და გული დათუთქული ჰქონდა — გონება ვერ ურიგდებოდა იმ შემზარავ გარემოებას, რომ მოიპოვებოდნენ ისეთი პირები, ჯგუფები, რომელნიც ამართლებდნენ, ან უსიტყვოდ ურიგდებოდნენ ამ მკვლელობას. ჯერ მაშინ გაისმოდა ხმები, რომ ეს პარტიული მკვლელობა იყო, მაგრამ არც ერთ შეგნებულ ადამიანს არა სჯეროდა ასეთი უხამსი ბრალდება მთელი პარტიისა და მაშინვე ცხადი იყო, რომ შეუგნებელი ნაწილი ამ პარტიისა, ერთი ჯგუფი მისი, იზიარებდა ამ მკვლელობის ბრალს, და ეს ისეთი მეხის დატეხა იყო მაშინ, რომ შესაძლებელია, ბევრმა გადააჭარბა კიდეც სიფიცხეში; მაგრამ როდესაც დღეს, შვიდი წლის შემდეგ, ფ. მახარაძე და მისი ამქარი იმეორებს იმავე ცილისწამებას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რომელსაც დღესაც თითქმის ანართლებენ ამ საზიზღარ მკვლელობას — ჩვენ იძულებულნი ვართ ვიფიქროთ, რომ შემქმნელნი ილიას მკვლელობის იდეისა და დამბადებელნი — სწორედ სოციალ-დემოკრატები იყვნენ.

რაღა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე, როგორც კერძო საკუთრების პრინციპის მომხრე და მემამულე, დაიცავდა თავის მამულს, გაუმკლავდებოდა იმ ძალის გამარჯვებას, რომელიც წინააღმდეგი იყო მისი შემეცნებისა, მაგრამ ჯერ არავის არსად დაუმტკიცებია, რომ თავდაცვაში მას რაიმე სისატიკე ჩაედინოს ან გლეხების დარბევა მოეწადინებინოს. ცილისწამება სწორედ ამაში არის და ფ. მახარაძის დაბეჭდილი კორესპონდენცია, საც მას ა ვ ა ზ ა კ ა დ გამოჰყავდა ი დ ე უ რ ი დამცველი კერძო საკუთრებისა — სწორედ ის სტიმული იყო, რომელმაც მოაკვლევინა დიდი ილია.

არც ერთი ადამიანი არ არის უნაკლო. დიდბუნებოვან ადამიანთ ხშირად დიდი ნაკლებიცა აქვთ, მაგრამ მათი დასჯა სიკვდილით არამცთუ ისეთივე უაზრო, მხეცური საქციელია, როგორც ყოველ უბრალო ადამიანისა, არამედ ერთი-ათად მეტი. ადამიანს უფლება არა აქვს შეგნებული, პრინციპიალური მოწინააღმდეგე დასაჯოს სიკვდილით რწმენისათვის და ამისათვის იბრძვის მთელი კაცობრიობა, მთელი ქვეყნის დემოკრატია, როცა მოითხოვს სიკვდილით დასჯის მოსპობას, — და რა იყო, თუ არა სიკვდილით დასჯა, ილიას მკვლელობა? არა, ეს უბრალო მკვლელობა არ იყო, არ იყო გაწოწვეული აღშფოთებით, ან პირადი ჯავრით — არა, ეს დასჯა იყო, სიკვდილით დასჯა და აი რაში აქვს ბრალი ფ. მახარაძეს. იმ დროს, როცა ადამიანის სიცოცხლე გროშად ფასობდა, როდესაც კერძო

საკუთრების ყველა მომხრე, იდეური თუ ანგარებითი, დამნაშავედ ითვლებოდა სოციალისტურ წრეებში, გამოდგა მახარაძე და ამტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე არა მარტო პრინციპიალური მომხრეა კერძო საკუთრებისა, არამედ სასტიკი, ბოროტი მისი დამცველი, ჯაშუში და ავაზაკი. რაღა თქმა უნდა, რომ შეუგნებელ ადამიანისათვის ეს საკმარისი წამქეზებელი მიზეზია მკვლელობისათვის და ნამეტნავად იმ დროს, როცა მემამულის მოკვლა სიყოჩაღეთ ითვლებოდა. და იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მკვლელობა უბრალო კი არ იყო, არამედ შეგნებულად მომზადებული და „პოლიტიკური“ ხასიათისა, რომ იგი დასჯა იყო იდეური მოწინააღმდეგისა — ისიც კმარა, რომ მკვლელები „შეწუხებული“ გლეხები კი არ იყვნენ, არამედ ვიღაც სხვა, გ ა რ ე შ ე წრეებიდან გამოსულნი. და მათი იდეური სულის ჩამდგმელი იყო ფ. მახარაძე.

ჩვენ იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ ფ. მახარაძე შეუგნებელი დამნაშავეა, რადგან იმდენი ჰკუა თუ ჰქონდა მაშინ, რომ შეუგნებელ ბრბოს ხელმძღვანელობდა, ისიც კარგა უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული, თუ ისეთს მზაკვრულს ბრალდებას რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა. გარდა ამისა, განა ეხლანდელი მისი და მის ამხანაგთა განგაში, ეხლანდელი განმეორება ცილისწამებისა, არ ამტკიცებს იმას, რომ ისინი დღესაც იმ აზრისანი არიან, რომ ილია სამართლიანად მოჰკლეს, მის მიერ ჩანადენ (?) დანაშაულისათვის? განა, ის ჰკუას და აზრს მოკლებული პროტესტები, რომლებსაც აწერინებენ ვიღაც გაქსუებულ მუშებს, არ ამტკიცებენ, რომ დღესაც მოიკვლებოდა ილია, რომ ამ მკვლელობის განმეორება შეიძლებოდეს? არა, ისინი დღესაც გაუგმირავდნენ მას გულსა, რადგან ფანატიკოსური შემეცნება, რომელიც მით უმეტესად იპყრობს ადამიანს, რაც უფრო დაბალ საფეხურზედა სდგას იგი განვითარებისა და შეგნებისა, — დღესაც უკარნახებს: არავითარ საშუალებას არ მოერიდო შენი მიზნის მისაღწევად. და როდესაც ნამდვილი, ევროპიელი დემოკრატია მუხლს მოიდრეკდა დიდი მგოსნის წინაშე და ეტყოდა: მირონცხებულო, ნაკლნი შენნი ჰქრებიან შენის შარავანდედის ბრწყინვალებაში, ჩვენებური შეუგნებელი, გაბოროტებული და მარტო შურით აღჭურვილი „მუშათა პარტია“ (აფსუს სახელო) ეუბნება მუშას: წვრიმალი მიზნისათვისაც კი არ დაინდო დიდებული ადამიანი. ეგრეც უნდა იყვეს: იდეა, სამუშაო იარაღსა ჰგავს — ჰკვიანის ხელში ხმარდება სასარგებლო

საქმეს და ბრიყვნი ხელ-ფეხს წარიკვეთენ, ან სხვას დაასახიჩრებენ.

სხვასთან ერთად ჩვენც ვაცხადებთ ჩვენს გმობას და ზიზღსა იმ პირებისადმი, რომელნიც ილია ჭავჭავაძის წმინდა სისხლსაც არ ინდობენ და თავიანთ პოლიტიკური მლიქვნელობის იარაღად ჰქმნიან"[60].

მახარაძე და მისი კომპანია რომ ილია ჭავჭავაძის გასაბიაბურებლად ახლა თურმე საგანგებოდ შეთითხნილ „პროტესტებზე" სადღაც ბრბოის ნაძირალებში ხელისმოწერლებს აგროვებდა, — ამ უსინდისობამ კიტა აბაშიძესაც ააღებინა ხელში კალამი. მან ჯერ კიდევ 1913 წელს, ჯერ გაზეთ „ერში" და მალე ცალკე წიგნად გამოაქვეყნა მძაფრი ინვექტივა, სახელწოდებით — „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!" თვითონ საავტორო ფსევდონიმად „ერთი პილატეთაგანი" დააწერა ამ წერილს აბაშიძემ. ამით იგი პილატეობაში ბრალს სდებდა საკუთარ თავსაც, როგორც ერთერთ წევრს „პილატეების ერისა", რომელმაც მისი ღვთაების, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დაუშვა.

სწორედ ქრისტეს ჯვარცმისა და ილიას მოწამებრივი სიკვდილის შედარებით იწყებს კიტა აბაშიძე თავის მრისხანე წერილს და ასაბუთებს, რომ ილიას გაცილებით გულქვად მოექცნენ მისი მკვლელები, ვიდრე ქრისტეს მისი ჯალათნი. მაგრამ უარესი კიდევ ისაა, რომ ილიას ერთი სიკვდილიც არ აჰმარეს და აი, კვლავ გრძელდება მისი გმობა, მისი ახალ-ახალი მკვლელობანი სულისა.

მაინც „რა მოხდა, რამ ააყაყანა ექვსი წლის მიყუჩების შემდეგ ეს თავზე ხელაღებული ყაჩაღთა ბრბო, რა ნახეს სიზმრათ, რა მოჩვენება გამოეცხადათ..." კითხულობს აბაშიძე და ამის შემდგომ წარმოადგენს მთელს წინარე ისტორიას — საიდან და როდის დაიწყეს „დასელებმა" ილიას წინააღმდეგ ბრძოლა, რისთვის ებრძოდნენ, როგორი თავგამოდებით, რა უსინდისო ხრიკებით ამძაფრებდნენ მტრობას საქართველოს მამისადმი „დასელთა ბელადები" — ფილიპე მახარაძე და ნოე ჟორდანია.

და ასე, ბოლოს და ბოლოს, „მესამე-დასელთა" ანტიეროვნულმა თავგამოდებამ, „საეროვნებო იდეალების უარყოფამ, რომელმაც ფანატიკური ხასიათი მიიღო, უცნაური შედეგი იქონია და ეროვნულის გენიოსის მოსპობით დასრულდა. ამგვარი ატმოსფეროს შექმნას ხელს უწყობდენ განსაკუთრებით „მოგზაური" და მისი

ჯგუფი, მათი ბელადი, აწ ჩვენს ისტორიაში დაუვიწყარი ფილიპე მახარაძე"... თუმცა, „კაცმა რომ სთქვას, იუდას ვერც კი შევადარებთ ფ. მახარაძეს; იუდამ შეიგრძნო რა, რომ „მისცა სისხლი მართალი... დააბნია ვერცხლი იგი ტაძარსა შინა, და განეშორა; და წარვიდა და შიშთვილიბა" (თავი ჩამოიხრჩო)".

ფილიპე მახარაძე კი თავის ჩამოხრჩობას არ აპირებდა. მას ილიას წინააღმდეგ ბრძოლის გზათა დიდი წილი ჯერ ისევ წინ ედო.

16. მსოფლიო ომის დასაწყისი

ქრისტეს შობითგან 1914 წელი დგებოდა — სრულიად კაცობრიობის შემარყეველი და ამაფორიაქებელი, საბედისწერო წელიწადი მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, განსაკუთრებით მცირე ერებისათვის, გამორჩევით ქართველებისათვის.

და, „ეს დიდი ომი ჩვენის ქვეყნისთვის უამბოდ არ გათავდებაო" — ამბობდა აკაკი[61].

ამასვე ამბობდა ვაჟა-ფშაველა[62].

და — მართლაც უნდა ყოფილიყო „საამბო" ქართველი ერისთვის პირველი მსოფლიო ომი.

მე, ქართველი ერი, დღეს ვარ, მაგრამ... ხვალ კი ვიქნები, ვითარცა ერი? დამანებებენ არსებობას საერთოდ ის დიდი ერები, რომელთაც ეს დაწყევლილი კითხვა — ხვალ ვიქნები თუ არ ვიქნებიო — არასოდეს რომ არ აწუხებთ! დამანებებენ-მეთქი, მე, ქართველ ერს ერად ყოფნას, ან საერთოდ არსებობას ამ ე. წ. „დედამიწაზე" — ამ შლამის, ქვიშის, თვითგანავალის, ცრემლის, ოფლის და სისხლის ნაზავზე?!

...მაინც, რა ეროვნული მასალით ეგებება ქართველი ერი (ჯერ-ჯერობით ერი!) ამ მსოფლიო საბედისწერო წელიწადს — მსოფლიო ომის, სისხლის და ცრემლის წელიწადს?

„მასალის" ქვეშ აქ მიწა და ხალხი იგულისხმება — საქართველო, ქართული მიწით და ქართველი ხალხით... ის, რაც საქართველოს ისტორიულად ჰქონდა და „საქართველოდ" იწოდებოდა — ახლა უკვე სანახევროდ აღარც მიწა და აღარც ხალხი აღარ გაჩნდა საქართველოს.

ნახევარი საქართველო, მიწა-წყლით, საქართველოს გარეთ იყო. ნახევარი ქართველობაც საქართველოს გარეთ იყო.

მაგრამ რაც დარჩენილიყო, ამ განახევრებულ საქართველოშიც სჭირდა საქართველოს გადარჩენა. საქართველოს მიწას შიგნათ, ფარულად უცხო ჰია ღრღნიდა და ცოხნიდა, განუწყვეტლივ და განიადაგებით.

და ქართული ტერიტორიის შინაგან ღრღნას ხელს უწყობდა ორი ძალა: რუსეთის ცარიზმი და საქართველოს „მესამე დასი“ — ორივე თავისი ჯიუტი, სიტყვაშეუქცეველი ლოზუნგებით.

ცარიზმის ლოზუნგი: ყველაფერი ერთიანი და განუყოფელი რუსეთისათვის!

„მესამე დასის“ ლოზუნგი: ყველაფერი მსოფლიო ინტერნაციონალისთვის!

ეს, რაც შეეხება ეროვნული მასალიდან ქართული მიწის, ტერიტორიის საკითხს, ხოლო მეორე — თვითონ ქართველი ხალხი... ქართველი ხალხი ამ დროს მთლიანად მოითვლიდა 1 მილიონ ნახევარ სულს, რომელთაგან, წოდებრივ-კლასობრივი დაყოფის პრინციპით — 90% იყო გლეხობა, 5—6% თავად-აზნაურობა (ქართველი თავად-აზნაურობის სწორედ ასეთი „სიმრავლისათვის“ დანაზე ეხეოდნენ „მესამე დასელნი“), დანარჩენნი — სამღვდელონი, ხელოსანნი, მუშები, ანუ „პროლეტარები“ ერთ პროცენტსაც არ შეადგენდნენ.

ხოლო პარტიული დაყოფით: საერთოდ „მესამე დასელები“ იყვნენ არანაკლები 100 000, აქედან — 80 000 მენშევიკი[63], დანარჩენი ბოლშევიკი. რა გაეწყობა, — ქართველები არიან და უცნაურობა „ჯიძად“ ძოსდგამთ: ამათთან „მენშე“ მეტია „ბოლშეზე“!

„პარტიაც“ აქ მეტია „კლასზე“, მაგრამ არც ეს უცნაურობა ეუცნაურებათ ქართველებს.

...მაშ, დგება ქრისტეს შობითგან 1914 წელი და დედამიწის ერთი უმცირესი ქვეყანა ასეთი „ეროვნული მასალებით“ ეგებება მსოფლიო ომს...

მსოფლიო ომი კი უკვე დაწყებულიყო — 1914 წლის ზაფხულში. 1 აგვისტოს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს.

მსოფლიო ორ მოპირდაპირე ბანაკად გაიყო: ერთი მხრივ — რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი (ანტანტა), მეორეს მხრივ — გერმანია და ავსტრია-უნგრეთი. მალე პირველ ბანაკს შეუერთდები-

ან — იტალია, რუმინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, მეორე ბანაკს — ოსმალეთი და ბულგარეთი.

ესაა ომი დამპყრობლური — მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის, მზის ქვეშ უკეთესი, უმდიდრესი და უფართოესი ადგილისათვის.

მაგრამ ამ ომს იმპერიალისტურ ინტერესებთან ერთად ნაციონალური ხასიათიც აღმოაჩნდა. ეს იმდენად, რამდენადაც ყველა ქვეყანა ომში ჩაება საკუთარი ეროვნული ინტერესების დროშით. დავიწყებული იქნა ქვეყნის შიგნით არსებული სოციალურ-კლასობრივი წინააღმდეგობანი და ყველა სოციალური ფენა, მათ შორის მუშათა კლასიც, იბრძოდა საერთო ეროვნული ნიადაგით, ომში სამშობლოს გამარჯვებისათვის. დავიწყებული იქნა ყველა ქვეყნის მარქსისტთა და სოციალ-დემოკრატთა ლოზუნგი — „ომი ომს“, და მუქარა, რომ ომის დაწყების შემთხვევაში, ისინი პროლეტარიატს ააჯანყებენ და საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ იბრძოლებენ. კრახი განიცადა II ინტერნაციონალმაც — საერთაშორისო პროლეტარულმა ორგანიზაციამ, რომელიც იყიბადა აღნიშნული ლოზუნგები, — მხოლოდ ლოზუნგებად რომ დაიბადა. საქმით კი ინტერნაციონალის მონაწილე ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიამ ხმარი დაუჭირა საკუთარ მთავრობას და თვითონაც ხმა მისცა საომარ ხარჯებს. საფრანგეთის მუშებს შეესრულებიათ მათსავე კონგრესზე დადებული ფიცი: თუ საფრანგეთს ომი ექნება, იგი მხურვალე დამცველებს ჰპოებს ჩვენს შორის — მუშათა და სოციალისტთა შორისო. ასევე კარლ ლიბკნეხტსაც შეესრულებია თავისი დანაფიცარი: თუ გერმანიას სხვა სახელმწიფოსთან ომი მოუხდება, ჩვენ დავიცავთ ჩვენს სამშობლო გერმანიასო. ერთი სიტყვით, ევროპის პროლეტარიატს იარაღი აეღო საკუთარი სამშობლოს დასაცავად. ასე, რომ — მუშებს სამშობლო არა აქვთო — რაღაც არც კი მართლდებოდა...

მაშ ევროპის სოციალ-დემოკრატია საერთაშორისო ინტერნაციონალიზმსა და პროლეტარიზმს ღალატობდა, რაკიღა მსოფლიო ომში სამშობლოს დაცვის ლოზუნგით გამოდიოდა.

მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიიდან ერთადერთნი, ვინც „პორაჟენცობას“, საკუთარი ქვეყნის დამარცხების ძველ ლოზუნგს არ ღალატობდნენ — იყვნენ რუსეთის ბოლშევიკები; ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინის მეთაურობით.

ხოლო, რუს ბოლშევიკებს და პირადად ლენინს ფეხდაფეხ, ოდნავ ვადახრისა და გადაქანების, თუ „გადარხევის“ გარეშე—ჰისდევდნენ ქართველი „მესამე დასელები“.

ხოლო, დანარჩენი ქართველები — სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, უპარტიონი? მათ შორის ერთხმივი აზრი ის იყო, რომ ეს მსოფლიო ომი ყველა ქვეყნისთვის, ყველა „კლასისთვის“, „ფენისთვის“ თუ „პარტიისთვის“ ნაციონალურ-ეროვნული ომი არისო. დანარჩენად კი, ქართული პატრიოტული პარტიული თუ უპარტიო ძალები ამ შემთხვევაშიც — მსოფლიო ომის პირობებში ქართველთა მოქმედების განსაზღვრებაში — კვლავ სხვადასხვა აზრისანი, გათიშულნი და დაქსაქსულნი იყვნენ.

(ეს ხომ საერთოდ ასე მოსდგამდათ ქართველთა პატრიოტულ ძალებს. ილიას ტრაგედიაც ხომ ამის გამო დაატყდა საქართველოს: ილიას მტრები რომ ისე დარაზმულნი და შემტკიცებულნი მოქმედებდნენ, ილიას მომხრენი დაქსაქსულნი და განთვითოებულნი ჩაკეტილიყვნენ თავიანთ ქურქებში, ვითომ როგორც მხოლოდ სეირის მაყურებელნი — თითქოს მხოლოდ იმის მომლოდინენი და მოინტერესენი, როგორი ხმა ეჭნებოდა წიწამურის ტყიდან გავარდნილ ბერდანას).

ახლაც ასე იყო: ქართველ პატრიოტთა (ფედერალისტთა, ეროვნულთა, უპარტიოთა, საერთოდ „ბურჟუაზიულთა“) ერთ ნაწილს ძიძიდანვე მსოფლიო ომში „თავის ფალავნად“ რუსეთის მხარე ჰყავდა და საქართველოს სამომავლო ბედსაც რუსეთის გამარჯვებას უკავშირებდა, მეორე ნაწილს კი საქართველოს მხსნელად გერმანია და მისი სამხედრო-პოლიტიკური ბანაკი ეჩვენებია. ზოგსაც შუალედური მდგომარეობა დაეჭირა და ლოდინის, „რაც მოხდებას“ მიხედვით მოქმედების პოზიციაზე იდგა.

ტიპიური სურათი მაშინდელი „ეროვნული ერთსულოვნებისა“: სოციალ-ფედერალისტი სამსონ ფირცხალავა და ეროვნულ-დემოკრატი რეზო გაბაშვილი, — ორი წელიწადი რომ ერთმანეთს ემდუროდნენ და უმძრახად იყვნენ — უცებ ერთმანეთს ხვდებიან გოლოვინის პროსპექტზე, სწორედ მსოფლიო ომის დაწყების დღეს. გაღიმებული ეგებებიან ერთურთს და აღტაცებული ეროვნულ-დემოკრატი შესძახებს პირველი:

„აბა, სამსონ, განთიადის დღეები გვიდგება და უნდა დავფაცურდეთ, ორგანიზაციები ავაწყოთ, მომავლისათვის დავირაზმოთ!“

„ჩვენ რა შეგვიძლიან? — ხელები გაასავსავა ფედერალისტმა — თუ რამე მოვა თავისით, თორემ ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ?"

და იმ „მსოფლიო დღეს" მოულოდნელად შერიგებულნი, უცებ-ვე ცივად, კვლავ უმძრახად და მომდურავად დაშორდნენ ერთ-ურთს[64].

მაშ, ასე — საქართველოში ზოგი რუსეთის იმედად იყო, ზოგი გერმანიის იმედად, ზოგიც „თავისით მოსვლის" იმედად.

„ანტიცარისტებმა" ანუ „გერმანისტებმა" მაინც უფრო იაქტიურეს, ქუთაისში თათბირი შეჰყარეს და ცარიზმის წინააღმდეგ პირდაპირ აჯანყების დაწყებაც მოითხოვეს. განსაკუთრებით ახალგაზრდები „აჟღარუნებდნენ იარაღს". მაგრამ კიტა აბაშიძემ და გიორგი ზდანოვიჩმა ააღებინეს ხელი აჯანყების ფიქრზე. ცოტა მოგვიანებით, სექტემბერში, თბილისში ჩატარდა სოციალ-ფედერალისტთა ყრილობა, რომელმაც რუსული ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა გადასდო „ხელსაყრელ დრომდე"[65].

საქართველოს გარეთ კი ფრიად ქმედითად ამოძრავებულიყვნენ იქაური „საქართველოს გამანთავისუფლებელნი". ჟენევიდან ხმა ჩამოვიდა — იქ გამართულ მცირე ერთა კონფერენციაზე დიდებული სიტყვით გამოსულა მიხაკო წერეთელი და სრული დასაბუთებით და დამაჯერებლობით მოუთხოვია საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ იქვე, სად იყო და სად არა, სანამ სხვა ვინმე ენას დაასველებდა, გამოვარდნილა ვინმე ბიქტორ თევზაია, ქართველი „მესამე დასელი" და „რსდმპ"-ს სახელით გამოუცხადებია: „ქართველ ერს არავისთვის დაუვალებია მისი სახელით ლაპარაკი, რადგან ჩვენ, ქართველები, ვიბრძვით მხოლოდ რუსეთის დემოკრატიასთან ერთად"...

ამ ამბავს მალე იმის ცნობაც მოჰყვა რომ ევროპაში მოქმედი „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი" საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად მოლაპარაკებებს აწარმოებდა გერმანიის, ავსტრიისა და ოსმალეთის მთავრობებთან.

მიხაკო წერეთელი პირადად შეხვდა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ ლიუდენდორფს და სთხოვა მოეწყო მისი აუდიენცია კაიზერ ვილჰელმ მეორესთან.

ლიუდენდორფს უკვე ცნობები ჰქონდა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" არსებობისა და საქმიანობის თაობაზე და ამიტომ მაშინვე შეიწყნარა ქართველი მეცნიერისა და

პოლიტიკოსის თხოვნა. იგი შეხვდა კაიზერს და მოახსენა „გეორგიანელთა“ დელეგაციის მოსვლისა და თხოვნის შესახებ.

სად არის „გეორგია“ და ვინ არიან „გეორგიანელებიო“, — იკითხა ვილჰელმმა.

ლიუდენდორფმაც მყისვე მიაგება, რომ „გეორგია“ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ეკვრის და კავკასიონის მთის სამხრეთითაა გაშლილი; არის ძველთაგანვე ქრისტიანული სარწმუნოებისა და დიდი, გმირული ისტორიის მქონე ქვეყანა.

კაიზერი ფიქრებში ჩაიძირა, თითქოს რაღაცის გახსენებას ლამობდა, და ბოლოს კიდევაც წამოიძახა სახეგაბრწყინებულმა:

„აააა, გამახსენდა! ჩემი ყრმობისას განსვენებული ბაბუაჩემი მიყვებოდა, რომ იგი, ჯერ კიდევ ტახტისმემკვიდრე ყმაწვილი, რუსეთის იმპერატორის მემკვიდრის ქორწილში იყო მიწვეული და იქ საოცარი, ზღაპრული სილამაზის ქალი იხილა, სწორედ „გეორგიანელთა“ დედოფალი, რომელსაც ძვირფასი თელებით უხვად შემკული გვირგვინი ამშვენებდა და საქორწილო ზეიმის ყველა მონაწილე მისი მშვენების ტყვეობაში იმყოფებოდა“.

(ვილჰელმ II-ის ბაბუა იყო ვილჰელმ I, რომელიც მისი ტახტისმემკვიდრეობის დროს მიპატიჟებული იქნებოდა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის კარზე, მაშინ იქაური ტახტისმემკვიდრისა და მომავალი იმპერატორის, ალექსანდრე II-ის ქორწილზე. აქვე ნიკოლოზ I-ს მიპატიჟებული უნდა ჰყოლოდა სამეგრელოს მაშინდელი დედოფალი, ეკატერინე ჭავჭავაძე, რომელთან პირველი შეხვედრა ქართველი ქალის სილამაზით განცვიფრებულ იმპერატორს ასეთი კითხვით დაუწყია: „ქალბატონო, ნუთუ არაა შეცოდება, იყოთ ასეთი მშვენიერი?!“).

და მაშინვე მიიღო კაიზერმა ვილჰელმ II-მ ქართველები. მიიღო, მოისმინა, შეისმინა და უბრძანა კიდეც თავისი სახელმწიფოს დიპლომატიურ უწყებას, მოემზადებინათ „გეორგიანული საკითხი“.

„საქართველოს განმათავისუფლებლებს“ გერმანიის მთავრობისათვის უკვე გამზადებული ჰქონდათ მემორანდუმი, რომელიც გერმანელ დიპლომატებს განსახილველად უნდა გაეტანათ ომის შემაჯამებელ საზავო კონფერენციაზე. მიხაკო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი ესაუბრებოდნენ გერმანიის რწმუნებულს, პურტალესს; — მოსმენილი იქნება თუ არა საქართველოს მემორანდუმი მომავალ საზავო კონფერენციაზე? — ეს მერამდენედ ეკითხებოდა

წერეთელი. პურტალესს. — ეს დამოკიდებულია თვითონ საქართველოზეო — იმდენჯერვე პასუხობდა პურტალესი, — თუ ქართველები რუსეთის წინააღმდეგ აქტიურად იმოქმედებენ, გერმანიაც დაიცავს საქართველოს ინტერესებს, მაგრამ... მაგრამ რა ძალა გააჩნია საქართველოს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ საომრად? და წერეთელი არწმუნებს პურტალესს: საქართველო რუსეთთან ომში გამოიყვანს 50 000 მოლაშქრეს! — მაშინ გერმანიაც მზად არის შეაიარაღოს ქართველთა ჯარი — არწმუნებს თავის მხრივ გერმანელი ქართველს, — უფრო მეტიც, საომარი საჭურველის ნაწილი უკვე მიყენებულია საქართველოს კარს — ტრაპიზონს, და თუ შეთანხმება საბოლოოდ გაფორმდება, ტრაპიზონიდან იარაღი პირდაპირ გაიგზავნება საქართველოში[66].

ამ მოლაპარაკებათა შესახებ ცარიზმის საზღვარგარეთულმა დაზვერვამ უკვე ყველაფერი იცოდა და კიდევაც აცნობებდა პეტერბურგის სასახლის კარს: გერმანია ცდილობს საქართველო რუსეთის წინააღმდეგ აჯანყოს და აჯანყებულები კიდევაც შეაიარაღოს, კიდევაც დააფინანსოს.

რასაკვირველია, გერმანიას და მის მოკავშირეებს საქართველოსთვის გული და კუჭი იმდენად ეწვოდათ, რამდენადაც საქართველო თვითონვე სჭირდებოდათ, როგორც გარკვეული, „ქართული ძალა“ რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარე ომში. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა და მოლაპარაკებებიც წარმატებით ვითარდებოდა.

1914 წლის ოქტომბერში ევროპიდან საქართველოში ჩამოვიდა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წარმომადგენელი გიორგი მაჩაბელი, რომელმაც თან ჩამოიტანა ხელშეკრულებანი გერმანიის, ავსტრიისა და ოსმალეთის მთავრობებთან, რომელთა ძალით ეს სახელმწიფოები „სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ყველაფრით ხელს შეუწყობენ მას“[67].

ამასთან, გიორგი მაჩაბლის მისიაში ისიც იგულისხმებოდა, რომ გერმანიის მთავრობისთვის საგანგებოდ მოსახსენებლად შეეტყო, „თუ როგორ შეხვდებოდა ქართველი ერი და მისი პოლიტიკური პარტიები, ქართველი საზოგადოება საერთოდ, — დამოუკიდებლობის იდეას და თვით დამოუკიდებლობას?“[68].

და, ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით, ქუთაისში, ვასო ფა-

ლიაშვილის ბინაზე, ფარულად შეიკრიბნენ წარმომადგენელნი მაშინდელი საქართველოს სამი მთავარი პარტიისაგან:

ქართული ეროვნული პარტიისაგან — შალვა ამირეჯიბი და რეზო გაბაშვილი;

სოციალ-ფედერალისტთაგან — სამსონ ფირცხალავა და გიგო რცხილაძე;

სოციალ-დემოკრატთაგან — ნოე ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი.

თათბირის თავმჯდომარედ აირჩიეს ვასო ფალიაშვილი, როგორც მასპინძელი, თანაც უპარტიო და „ნეიტრალური“.

მოხსენებით გამოვიდა გიორგი მაჩაბელი და თათბირს გააცნო ჯერ ხელშეკრულებები, შემდეგ დაწვრილებით ყოვლივე, რაც ხდებოდა მაშინ საერთაშორისო ასპარეზზე, რას აკეთებდა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ და როგორ უნდა გამოხმაურებოდა თვითონ საქართველო გერმანია-ავსტრია-ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებებს.

ეროვნულ-დემოკრატებმა, ამირეჯიბმა და გაბაშვილმა, დიდად მოიწონეს ხელშეკრულებებიც, აჯანყების დაწყების იდეაც, საერთოდ „განმათავისუფლებელი კომიტეტის“ საქმიანობაც და სხვებსაც მოუწოდეს ერთობლივ მოქმედებისაკენ.

მცირე ყოყმანის შემდეგ, ეროვნულ-დემოკრატებს მხარში ამოუდგნენ ფედერალისტებიც — რცხილაძე და ფირცხალავა.

ჯერი „მესამე დასელებზე“ მიდგა.

ფეხზე წამოვარდა ევგენი გეგეჭკორი და მღელვარედ დაიწყო: რაკი ყველაფერი ასე გაწყობილა, როგორც გერმანია-ავსტრიასთან, ასე ოსმალეთთანაც ასეთი ხელშეკრულებები გვქონია, — მოდით, მე გამგზავნეთ ოსმალეთში...

მაგრამ უცებ ნოე ჟორდანიამ შეაწყვეტინა — მკლავზე ხელი მოავლო, თითქმის ძალით დასვა და თან დააყოლა, ჩვეული ენაბორძიკით:

„და... და... იცადე, კაცო, ევგენი, — და დანარჩენებს მიუბრუნდა — მე უხდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი პარტია მუ... მუ.. შაობს, რუსეთის დემოკრატიასთან ერთად, ანტანტის მხარეზე. დარწმუნებული ვარ, გაიმარჯვებს ინგლისის მეთაურობით და მაშინ აიძულებს თავის მოკავშირე რუსეთს, უფრო დემოკრატიული რეჟიმი

დააშყაროს. ამით ჩვენც გადმოგვივარდება რამე ლუკმა გამარჯვებულთა სუფრიდან".

ცოტა ხანს იყუჩა და ისევ განაგრძო ჭორდანიამ:

„მაგრამ... თქვენ... თქვენ იმუშავეთ მაგ გზით, ჩვენ კი ჩვენი გზით ვივლით... ჩვენ ხელს არ შეგიშლით, პირიქით — იქნება ზოგ რამეში ხელიც შეგიწყოთ".

ასე სთქვა და მეტი არც იყო მისგან მოსალოდნელი. სოციალ-დემოკრატი იყო, „მესამე დასელი", და თავის პირვანდელ პრინციპებს არ ღალატობდა: ქართული სოციალ-დემოკრატია რუსულისგან განუყოფლად მოქმედებდა, თვითონაც რუსული სულით, რუსული გულით და რუსისადმი თავგადამკვდარი ერთგულებით. იმედია რუსეთი გაიმარჯვებს და გამარჯვებულის სუფრიდან ჩვენკენაც რაღაცები გადმოცვივდებაო — ამბობდა მუდამ რუსულ ნასუფრალზე მეოცნებე მეწშევიკი მესამე დასელი...

ბოლოს რეზო გაბაშვილმა სთქვა სიტყვა:

„ბატონებო, ომს ვინ მოიგებს და ვინ წააგებს — ღმერთმა იცის. თუ ჩვენმა ფალავანმა (გერმანია-ავსტრია-ოსმალეთი) მოიგო, ჩვენ დამოუკიდებლობას მივიღებთ და თქვენც გადაგარჩენთ სამხედრო სასჯელისაგან, და თუ თქვენმა (ინგლის-საფრანგეთ-რუსეთი) გაიმარჯვა, — გინდ მოღალატეებად გამოგვაცხადეთ, ხეებზეც სათითაოდ ჩამოგვკიდეთ, ოღონდ კი ორივე შემთხვევაში, ვინც უნდა იყოს გამარჯვებული — საქართველო უნდა გადარჩეს"...

ამ შეთანხმებით, — რომ „თავთავის გზით" იმოქმედებდნენ — და იმ იმედით, რომ საქართველო „ორივე შემთხვევაში გადარჩებოდა" — თათბირი გაათავეს, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ასე „მეგობრულად" გამომშვიდებულნი და დამშვიდებულნი, წავიდწამოვიდნენ.

მალე ჭუთაისის თათბირის შემდეგ, გიორგი მაჩაბლის წინადადებით, თბილისში დაარსდა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" ფილიალი, სამი კაცის შემადგენლობით — დავით ვაჩნაძე, სპირიდონ კედია და რევაზ გაბაშვილი. ეს, რასაკვირველია, ფარული ორგანიზაცია იყო — ფარული რუსული ადმინისტრაციისაგან და ქართული „მესამე დასისაგან". ასეგე ფარულად, „ფილიალს" მუდმივი კონტაქტები უნდა ჰქონოდა ემიგრაციაში მოქმედ „კომიტეტთან".

გიორგი მაჩაბელმა „ფილიალი" საბოლოოდ დამოძღვრა. ევრო-

პა-საქართველოს ურთიერთობისთვის მან ერთადერთ საშუალებად წყალქვეშა ნავები გამოაცხადა. ამას გაკვირვება უნდა გამოეწვია ადგილობრივ ქართველთა შორის. მაგრამ მაჩაბელი დაჟინებით ირწმუნებოდა — მე რომ გერმანიაში დავბრუნდები, იქედანვე გაცნობებთ „რომელ დღეს, რომელ საათზე და რომელ პუნქტში მოვა პირველი წყალქვეშა ნავი; თქვენ დახვდებით და მიიღებთ“, და მასთან, მაშინ მოვრიგდებით კიდევ „რა ვადებში და სად მოხდეს შემდეგი პაემნები“[69].

სთქვა, დამოძღვრა, დააჩწმუნა საქართველოს „ევროპელმა განმათავისუფლებელმა“ „ადგილობრივი განმათავისუფლებლები“ დაემშვიდობა და წავიდა. წავიდა, მაგრამ ისიც საკვირველი იყო, რომ მაჩაბელმა გერმანიაში დასაბრუნებლად რუსეთის გზები აირჩია. არა და, საქართველოში მისი ჩამოსვლა რუსეთის ხელისუფლებამ, ევროპაში დაზვერვის საშუალებით, უკვე იცოდა; ყველა სასაზღვრო პუნქტში დეპეშებიც დაგზავნილი იყო მაჩაბლის პორტრეტებითურთ. მაგრამ — პეტერბურგში ძმა უნდა ვნახო უსიკვდილოდო, — დაიჩემა გიორგი მაჩაბელმა და გაეშურა დარიალის გზით. გამცილებლად, კავკავამდის, შალვა ქარუმიძე გააყოლეს. უკან დაბრუნებულმა ქარუმიძემ „საზღაპრო“ ამბავი ჩამოიტანა: ვლადიკავკავში შესვლისას, ეტლი რომ დაიქირავეს, იმ ეტლმა წინ მოულოდნელად გადმომხტარი ყაზახი გაიტანა; სასტუმროში მისულებს პრისტავი მიადგათ და პასპორტები მოსთხოვათ. ქარუმიძემ აჩვენა პასპორტი, მაჩაბელმა კი, რაკი პასპორტი არ ჰქონდა, ოცდახუთმანეთიანი გაუწოდა პრისტავს. პრისტავმა იტკიცა, როგორ მიბედავო. მაშინ მაჩაბელმა რევოლვერი იძრო, დაუმიზნა და უთხრა — აირჩიეო. პრისტავიც მაშინვე გამოიცვალა — Ну, зачем же серчать, можно и миром — სთქვა, ფული გამოართვა და წავიდა. თვითონაც ქართველებმა სასტუმრო დატოვეს. ქარუმიძემ მაჩაბელი სადგურამდე მიაცილა და დაემშვიდობა. გავიდა სამი თვე — ნავისა, ფლავისა, თუ ჩლავის მოლოდინში („არც ფლავი, არც ჩლავიო“, — ეს გამოთქმა უყვარდა სულკურთხეულ ილია ჭავჭავაძეს)...

იმავე 1914 წელს, შემოდგომაზე, „განმათავისუფლებელი კომიტეტის ფილიალის“ პარალელურად, შეიქმნა გაცილებით ფართო ეროვნული საკრებულო — „ქართული ნაციონალური კომიტეტი“,

როზელიც შენიღბვით ატარებდა, ვითომ, მხოლოდ აღდგენილი „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ სახელს.

ეს იყო, ასე ვთქვათ, კოალიციური საკრებულო ყველა პარტიის წარმომადგენლებისა — ფედერალისტებისა, ეროვნულ-დემოკრატებისა, მესამე ღასელებისა და უპარტიო პატრიოტებისა.

ამავე „საზოგადოებას“ თავი ეჩირა როგორც მომავალ მთავრობას („დროებითი მთავრობის“ ფუნქციებით მაინც) მომაკვალი „თავისუფალი საქართველოს“ სათავეში.

„საზოგადოების“ თავმჯდომარე იყო მიხეილ მაჩაბელი, წევრი იყო ოცდაათ კაცამდე, მათ შორის — დავით ვაჩნაძე, ვასილ ყიფიანი, რეზო გაბაშვილი; მესამე დასელთაგან — ნოე რამიშვილი, პავლე საყვარელიძე.

როგორც „საქველმოქმედო საზოგადოება“, ეს საკრებულო ღიად, აშკარად დახმარებას უწევდა გაჭირვებულ მოქალაქეებს, დაჭრილ მეომრებს და სხვა. ხოლო, ფარულად არჩევდა პოლიტიკურ საკითხებს, საერთაშორისო სიტუაციებს და შესაბამისად საქართველოს სამომავლო საქმეებს.

საქართველო თითქმის ყოველთვის, ისტორიულადაც, დიდი თუ მცირე, ახლობელი თუ შორებელი „მოინტერესე“ ქვეყნებისთვის — პოლიტიკურად „ადვილად საპროვოკაციო ქვეყანა“ იყო. ამიტომ, მისი მესვეურები ყოველთვის ფრთხილად, ფხიზლად და წინდახედულად უნდა შეხვედროდნენ ყოველ ამნაირ „პროვოკაციას“ თუ „გამოხდომას“.

ერთი ასეთი „გამოხდომა“, საქართველოს დასაკნინებლად და დასაპატარავებლად, იყო რუსეთის ცარიზმისგან გამოგონილი „აჭარის ღალატი“. მიმდინარე ომში, აჭარის ტერიტორიაზე რუსთაგან ოსმალთა დამარცხების დროს, უკან გაქცეულ ოსმალთა ჯარს, — არავინ იცის, ნებით თუ უნებლიეთ — რამდენიმე აჭარელიც გაეყოლიებინა. და ეს რუსიფიკატორი შოვინისტებისათვის საესებით საკმარისი გამოდგა, მთელი აჭარა მოღალატედ, „ომის დროს აჯანყებულად“ გამოეცხადებინათ და მის მიმართაც ის „ნაცადი მიდგომა“ გამოეყენებინათ, რაც ადრინდელ ომებში ჩაიდინეს სამცხე-ჯავახეთის ქართული მოსახლეობის მიმართ: ქართველები ეს „თათრები“! გაეწყვიტათ, ან აეყარათ, ოსმალეთში გადაეყარათ და მათ ნაცვლად აჭარის მიწა-წყალზე „თვინიერი ქრისტიანები“ — რუსები და სომხები დაესახლებინათ.

და აი, მაშინ ატეხა განგაში „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“:

„როგორ?! აჭარლები, ქართველი ხალხის ღვიძლი ძმები, მარტო იმიტომ, რომ მაჰმადიანები არიან და მათშიაც ისე, როგორც შეიძლება ქრისტიან ქართველებშიაც, სომხებშიაც და რუსებშიაც აღმოჩნდეს ორიოდე ნამდვილი მოღალატეც კი, — ამიტომ მთელი პროვინცია მოღალატედ უნდა გამოცხადდეს? ეს დაუშვებელი ამბავია, და რა პასუხი უნდა გასცეთ იმ ჯარისკაც ქართველებს, რომლებიც ათასობით და ათიათასობით სისხლსა ღვრიან ოსმალეთისა, ავსტრიისა და გერმანიის ფრონტებზედ, რომ იმათ ძმებს, მამებს, დედებს, დებს და შვილებს — მოღალატეებად აცხადებთ?“[70]...

აჭარის დასაცავად ფეხზე დადგა მთელი საქართველო.

რუსულმა ცარიზმმაც ვითომ უკან დაიხია — როგორც მას სჩვეოდა — „დროებითი უკანდახევა“, — და ვითომ ისღა იკმარა, რომ ბათუმის სასამართლოში ცხრა აჭარელი მისცა, „სამშობლოს მოღალატეობის“ ბრალდებით.

აქაც „საქველმოქმედო საზოგადოებამ“ საუკეთესო ვექილები გაგზავნა ბათუმში, აჭარელთა დასაცავად — შალვა მესხიშვილი და ოსიკო ბარათაშვილი. იყო კიდევ მესამე, მესამე დასელთაგან არჩეული — ივანე კაჩუხაშვილი, რომელიც პატიოსან ვექილად კი არა, უახლოეს წლებში, დიდი თაღლითობით და უზნეო „განგსტერობით“ გაითქვამს სახელს ქართველთა შორის. მაშინაც კი „ვერ ჩააღწია“ კაჩუხაშვილმა და სასამართლოსაც „ვეღარ ჩაუწვრო“ ბათუმში, რადგან რამდენჯერაც სამგზავრო ფული გამოუყვეს, ის ფული იმდენჯერვე კარტის თამაშში წააგო „მესამე დასის“ რჩეულმა იურისტმა...

აჭარაში რუსეთის მთავრობის უკანდახევა მართლაც რომ „ვითომ დახევა“ აღმოჩნდა. აჭარაში ყაზახობა ჩააყენეს და ეგზეკუციებით მოსახლეობას სულს ხდიდნენ. ამას გარდა, პეტერბურგის დიპლომატიამ იმისთვის, რომ ევროპისათვის რუსთა და ქართველთა ურთიერთ „უღალატო ძმობა“ ეჩვენებინა — საქართველოს მოსთხოვა, 2000 მოხალისე გაეგზავნა ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად — 1000 თბილისის გუბერნიიდან და 1000 ქუთაისის გუბერნიიდან.

მაგრამ მაშინვე ცნობილი გახდა, რომ სწორედ ამ „მოხალისეთა“ საშუალებით, აპირებდა თურმე რუსეთის ადმინისტრაცია

აჭარელი მოსახლეობის აყრა-გადაყრას. და ამ „ჭირვეულ ქართველებს“ რაიმე ექსცესი რომ არ ჩაედინათ, ასეთი ვერსიაც გააკრცელეს. — აჭარლებს რომ ავყრით, მათ ნასახლარებზე იმერლებს ჩავასახლებთო! მაგრამ ესეც ძალიან ბრიყვული გამონაგონი გამოდგა: როგორ თუ აჭარლებს აყრით და იმერლებს ჩაასახლებთო?! კვლავ გაფიცხდნენ ეროვნული პარტიისანი — ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, უპარტიო პატრიოტები. მაშ, არ იშლით და ახლა ეს გინდათ ქართველ ხალხს ერთმანეთში სისხლი გაასვრევიხოთ? ვიხ, რომელი ქართველი დათანხმდა ასეთ საზიზღრობაზედ? ჩვენ ჩვენი ძმებისგან ჩვენის ხელითვე უნდა გავწმინდოთ აჭარა?! არა — „ეს საშხედრო საკითხი კი არა, ვერაგული რუსული პოლიტიკური ხრიკია“[71] — და ჩვენ ამას არ დავუშვებთ!..

ისევ დაიხია უკან ცარიზმმა. არა, ქართველი მოხალისეები ჩვენ მხოლოდ მათ მხარდიულ მტერთან, ოსმალეთთან საომრად გვჭირდებაო და სხვა არაფერი...

ბოლოს და ბოლოს, უნდოდა თუ არ უნდოდა — საქართველო ხომ მაინც კოლონია იყო და მეტროპოლიის ბრძანება აღასრულა: 2000 ქართველი „მოხალისე“ უკვე საომარ მწყობრში იდგა. ლაშქრის მეთაურებად, კვლავ „საქველმოქმედო კომიტეტის“ დაწოლით რუსულმა უმაღლესმა სარდლობამ დანიშნა მხცოვანი გენერლები — ალექსანდრე ვაჩნაძე და გიორგი ჯანდიერი, თანაშემწეებად — ესტატე მაჩაბელი და დავით ვაჩნაძე, — ყველანი ჰეშმარიტი პატრიოტები.

ანჩისხატის ეკლესიიდან ძველი, სამამულო ბრძოლებში დაფლეთილი ქართული დროშა გამოიტანეს და ლაშქრის წინ აღმართეს. მაშინვე ალექსანდრე ვაჩნაძემ სიტყვითაც მიმართა მოხალისეთა ჯარს:

„ძვირფასო ოფიცრებო, ზემდეგნო და ჯარისკაცნო, თქვენ მიდიხართ საქართველოს ისეთ ნაწილში საბრძოლველად, სადაც ჩვენი ძმანი აჭარელნი, ომის გამო განიცდიან დიდს გასაჭირსა და შეჯაწროებას. თქვენი მოვალეობა ორნაირი იქნება: დაიცვათ აჭარლები და დაეხმაროთ ყოველ ჯასაჭირში, როგორც საკუთარ ძმებსა და დებს. ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცეთ, რადგან ვიცი, ყველა თქვენს მოვალეობას მხნედ და კეთილშობილად შეასრულებთ, — ისე, როგორც ქართველებს სჩვევიათ“[72]...

ეს იყო თავისებური ალორძინება და გაგრძელება ილია ჭავჭა-

ვაძის სიტყვისა, რომლითაც მან 35 წლის წინათ მოუწოდა ქართველობას აჭარის გამო: „ქართველობავ!.. ხელი გაუწოდე შენს დებსა და ძმებს, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ!.. ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე, შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყახას, რომ... ძმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის!.. ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები!.. ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენი ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს. ქართველობავ, ჩვენი უწმინდესი ვალია, უნდა მივეშველნეთ!“[73]...

ქართველ მოხალისეთა თბილისის ათასეული დასავლეთ საქართველოსაკენ გაეშურა. იქ მას ქუთაისის ათასეული ელოდა.

ახლა ყველანი ერთად მიდიოდნენ, აჭარისაკენ — ყველანი აჭარის გულწრფელის სიყვარულით, მისთვის თავგანწირული ბრძოლის სურვილით, გზნებით...

ამასობაში გიორგი მაჩაბლის აღთქმულმა წყალქვეშა ნავმაც შემოაღწია საქართველოს ზღვის სანაპიროს. იარაღიც შემოიტანეს, სამეგრელოში, და დააბინავეს. ამის შემდეგ ზოგი ოპერაცია ჩაეშალათ, მაგრამ წყალქვეშეთის გზებით ევროპული იარაღის შემოტანა ქართულ მიწაზე კანტიკუნტად მაინც გრძელდებოდა.

17. შიში და სირცხვილი

მსოფლიო ომი კი მძვინვარებდა. რუსეთს, ევროპული ფრონტების გარდა, დიდი ბრძოლები ჰქონდა გერმანიის მოკავშირე ოსმალეთთან, კავკასიაში. რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო 1914 წლის 2 ნოემბერს.

რუსულმა არმიებმა შეტევები დაიწყეს ერზერუმის, ოლთისისა და ერევნის მიმართულებებით. ოსმალებმაც პირველ ხანებში წინ წამოიწიეს ართვინის, ბორჩხისა და ბათუმის მიმართულებებით. მაგრამ მათი წინსვლა მალე აღკვეთეს რუსთა საომარმა ძალებმა. კეპ-

რიკეისთან გამართულ ბრძოლაში ოსმალთა მხრივ 15 000 მეომარი დაიღუპა, რუსთა მხარემ კი 6 000 კაცი დაკარგა.

1914 წლის დეკემბერში თურქები შეეცადნენ გარდატეხა შეეტანათ საომარ მსვლელობაში. მთავარსარდლობა რუსთა წინააღმდეგ ომისა ოსმალეთის სულთანმა დააკისრა ენერგიულ ენვერ ფაშას.

და ერთბაშად, მთელის ძალებით დაიძრა ენვერ ფაშა, სარიყამიშის მიმართულებით. სარიყამიშთან რუსთა არმია იდგა, გენერალ პიშლაევსკის სარდლობით. და უცებ, — მტრის შესაკავებლადაც ჩელი რომ არ გამოუღია — გამოტრიალდა და გამოიქცა მიშლაევსკი. მისმა გამოქცევამ კი თავზარი დასცა თბილისსაც და მთელს ამიერკავკასიასაც. ქვეყანა მოიცვა პანიკამ. მიშლაევსკიმ ჯერ თბილისის ევაკუაცია მოითხოვა. ევაკუაციაც დაიწყო — სასახლეებიდან, ქარვასლებიდან, ბანკებიდან საქონელი და სალაროები გაჰქონდათ და რუსეთისაკენ მიაქანებდნენ.

საფრთხე ელოდა ქართულ მუზეუმს და მის საისტორიო საგანძურებს. ექვთიმე თაყაიშვილმა გამოიძახა იროდიონ სონღულაშვილი და რეზო გაბაშვილი და გამოუცხადათ: ყველა სამუზეუმო ნივთი სასწრაფოდ ყუთებში უნდა ჩავალაგოთ, ჩავჭედოთ და, თათრებს რომ არ დარჩეთ, კიევში წავიღოთო.

კიევშიო?! კიევში რა უნდა ჩვენს ნივთებს?! — იყვირა სონღულაშვილმა. გაბაშვილმაც მხარი აუბა. მართლაც — ესენი ხომ ოსმალებსა და გერმანელებს საქართველოს განმათავისუფლებლად ელოდნენ, — რუსეთისგან გამათავისუფლებლად, და ახლა საქართველოს საგანძურები რუსეთისთვის უნდა მიენდოთ?! ამაოდ არწმუნებდა ექვთიმე თაყაიშვილი — თურქები დაგვღუპავენ და ეს საგანძურებიც დაგვეკარგებაო, მაგრამ სონღულაშვილი თავისას იძახდა: „მხოლოდ ჩემ გვამზე თუ გადაიტანთ მუზეუმიდან თუნდაც ერთ ნივთსაცო". და ბოლოს, იმაზე შეთანხმდნენ — კუბოები შეეკრათ, ნივთები შიგ ჩაეკეტათ და დიღომში, თვითონ ილარიონ სონღულაშვილის მამულში საიდუმლოდ ჩაეფლათ და „ჩაეკუბოებინათ".

ხოლო, სანამ ისინი თავისას ზრუნავდნენ და წვალობდნენ, მანამ მიშლაევსკიმ ქართველ თავადაზნაურთა მარშალი კოტე აფხაზი დაიბარა და სასწრაფოდ გამოსაცხადებლად ახალი ფიცხელი ბრძა-

ნება გამოატანა. ჩფხაზმაც შეჰყარა თავადაზნაურთა საკრებულო და ჩახლეჩილი, წამხდარი ხმით, წაიკითხა ბრძანება იგი:

„რუსის ჯარი სტოვებს კავკასიას, ქართველმა ხალხმა კი უნდა დაანგრიოს ხიდები, სახლები, გადასწვას ყანები და ბაღ-ვენახები და თვითონაც წაჰყვეს რუსის ჯარს, რათა შემოსეულ მტერს საქართველო დახვდეს როგორც უდაბნო, საცა აღარ მოიპოვება აღარც საწოვაგე, აღარც ბალახი, აღარც ცხენი და ურემ-საქონელი და აღარც თვითონ ადამიანი... ამას ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან, თავად-აზნაურობისგან და ხალხისგან, ყველგან საქართველოში, ყოველ მაზრასა და სოფელში, ხოლო, რაც შეეხებათ თბილისსა და სხვა ქარიულ ქალაქებს, მათზე ჩვენ თვითონ ვიზრუნებთ: ჩვენ მათ ჩვენ თვითონ ისე ავაფეთქებთ, რომ მათგან ოსმალთა თავშესაფარად, ქვა ქვაზედაც აღარ დარჩეს!“

აი, რა ითქვა მაშინ, და ამას ბრძანებდა საქართველოს დამცველი („მაოკუპირებელი“ არ წამოგვცდესს) საომარი ძალების უმაღლესი ჩინი — კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი, მეფისნაცვლის თანაშემწე სამხედრო საქმეებში, სამხედრო ისტორიის მკვლევარი, პროფესორი — ალექსანდრ ზახარიჩ მიშლაევსკი კაცი, რომელმაც საომარი თეორიებით და პრაქტიკით „უმაღლეს დონეზე“ იცოდა, როგორ უნდა ებრძოდე მტერს: თუ შეტევაზე მიდიხარ, არაფერი ქვა ქვაზე არ უნდა დატოვო მტრის მიწაზე, ხოლო თუ უკან იხევ, ისევ ქვა ქვაზე არაფერი უნდა დატოვო ახლა შენს მიწაზე. და ამ „ქვა-ქვაზე დადუღების“ ხარისხი და დახვეწილობა მით უფრო „ბაჯაღლო ოქროს ხარისხისა“ იქნება, თუ ის „შენი მიწა“ ქართულია, ხოლო შენ თვითონ უბოროტესი მიზანთროპი შოვინისტი ხარ, „ინოროდცებისადმი“, გამორჩევით ქართველებისადმი...

მაშ, აი რა ითქვა მაშინ საქართველოს ცის ქვეშეთსა და ღვთისმშობლის წილხვდომილ მიწასა ზედა!

ხოლო, პასუხი?!

პასუხიც ხომ შესაფერისი უნდა ყოფილიყო — ისეთი, როგორიც დაშვენდებოდათ გორგასლიან-დავითიან-თამარიან დროშებით ნაომარ ქართველთა შთამომავლებს — დიდ წინაპართა „ნაჭონი ხისხლით“ რომ იდგნენ ახლა, იდგნენ და ასმენდნენ აქამდე გაუგონარ საშინელებას.

პასუხი: „ეის უბედავს!“ „როგორ ბედავს!“ „ძირს!“ „ჰკა მაგას!“ — თუ რა?!

არავითარი ამის მსგავსი.

ჯერ სამარისებური სიჩუმე ჩამოდგა და ჩამოლპა.

მერე, მხოლოდ რაღაც გაურკვეველი ჩოჩქოლი გაბედა კრებამ.

და, ბოლოს, სიტყვის წარმოთქმაც გაბედა ვიღაცამ.

მაგრამ ეს კაცი არც სახელით, არც გვარით და არც კულტურით არ იყო „ვიღაცა“.

ეს იყო დავით გურამიშვილი, ბრწყინვალე თავადიშვილი, შესანიშნავი მხატვარი, პარიზისა და შიუნხენის სახელოვნებო სკოლების კურსდამთავრებული, ისტორიულადაც ამაღლებული გვარისა, — ძარტო დიდი დავით გურამიშვილიც კმარა, მერე — გიორგი გურამიშვილი, კრწანისის გმირი, ნარიყალაზე გმირის სიკვდილით დაცემული არტილერისტი (ამ გვარის უღირსთაგანი აქამდე მხოლოდ თადეოზ გურამიშვილი ჩანდა — თავის გენიალურ სიძეს, ილია ჭავჭავაძეს რომ იწუნებდა!).

ასე რომ — დავით გურამიშვილისაგან, მისი სამშობლოს ეგზომ უმძიმეს ჟამს, შესაფერისად დიდი სამამულიშვილო სიტყვა იყო მოსალოდნელი.

და იმანაც თქვა, სიტყვა დიდად... თავმოსაჭრელი:

„ბატონებო, — (რუსულად ლაპარაკობდა) — რუსის ჯარი, რომელიც იცავდა საქართველოს 115 წლის განმავლობაში თათართა ურდოებისაგან, სტოვებს კავკასიას; აი ეხლა, დღესა თუ ხვალ, მთავარსარდალი ააფეთქებს მხცოვან თბილისს; ჩვენი წმინდა მოვალეობრივი ვალია ზედმიწევნით შევასრულოთ მისი ბრძანება, დავანგრიოთ და გადავწვათ ყველაფერი, რათა ვერაგ მტერს არ დარჩეს არაფერი ხელთ... უნდა ხელში ავიღოთ ყველამ მაჟარა (მარტო ეს სიტყვა იხმარა ქართულად, რაკი ალბათ მისი რუსული შესატყვისი ვერ მოიძია), თუ სხვა იარაღი არ გვექნება და გავყვეთ რუსის ჯარს... გავწყდეთ ყველანი და... თუ ერთი ქართველიც აღარ დარჩა, ისტორიაში მაინც დარჩება სახელი, რომ რუსის იმპერატორსა და ხალხს ჰყოლია ისეთი ერთგული და რაინდი ერი, როგორიც არის ქართველი ერი, რომელმაც არაფერი დაზოგა და თავიც დაშდო; რომელმაც თავისი პატარა სამშობლო, დიდი მამულის სამსხვერპლოზე მიიტანა![74]“

გურამიშვილის ასეთმა უღირსმა და ურცხვინო სიტყვამ ააფ-

ეთქა აქამდე ენაჩავარდნილი საკრებულოს დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, უმეტეს წილად „საქართველოს განთავისუფლების ფილიალის“ წევრები, რომელთაც ერთიმეორის მიყოლებით დაიწყეს მგზნებარე სიტყვებით გამოსვლა. ისინი არცხვენდნენ მშიშარებს და უბედურებასთან შემგუებლებს, აცხადებდნენ, რომ ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს ხელშეკრულებანი დამოუკიდებელი საქართველოს ცნობისა გერმანიასთან, ავსტრიასთან და თვით ოსმალეთთანაც. თუკი რუსები გაგვშორდებიან, ჩვენ ჩვენს ქვეყანას დაუნგრევლად და აუფეთქებლად მოვუვლით, და სხვ. მისთ.

და სანამ „განმათავისუფლებელთა“ სიტყვები ჩათავდებოდა, უცებ — კულმინაცია დრამისა: ერთბაშად დარბაზში შემოიჭრა შალვა ქარუმიძე და დაიღრიალა:

„ბატონებო, აქ რაღაც ლაპარაკია აფეთქებასა და გაქცევაზედ რუსებთან ერთად, და თუ ეს მართლა ასეა, გაფრთხილებთ: აქედან გასასვლელი ყოველ კარის უკან თითო რაზმელი მყავს ჩაყენებული ყუმბარით ხელში. და თუ ვინმე გაბედავს თბილისის აფეთქებასა და საქართველოდან გაქცევას ხმა მისცეს, მაშინ ნიშანს მივცემ და თქვენ აფთქდებით, თქვენის საკრებულო-დარბაზიანად!“

ამის თქმა და პანრკაც დადგა, — ვინ სად გარბოდა, ვინ სად მიძვრებოდა და უჩინარდებოდა... ეს „გმირები“, ეს „საქართველოს მარილისანი“!

მხოლოდ ოციოდე კაცი დარჩენილიყო იმ „განმათავისუფლებელთაგან“, რომელთა ჯგუფს ეკუთვნოდა თვითონ შალვა ქარუმიძე.

— მაინც საიდან მოიგონე, — რა რაზმელები და რა ყუმბარებიო, — სიცილით ეკითხებოდნენ. ქარუმიძე კი სერიოზულად პასუხობდა: როგორ? რევოლვერი ხომ მქონდა, და... ერთ-ორს მაინც მივაწვენდიო...

რასაკვირველია, ასეთი „ცელქობა“ კარს მომდგარი ტრაგედიიდან თავდასახსნელად ვერ გამოდგებოდა. მაგრამ ისევ უეცრად მოვლენილმა ამბავმა იხსნა საქართველო საბედისწერო განსაცდელისგან. გენერალ ალექსანდრე გაბაშვილს სასტიკად დაეჭარცხებინა ოსმალთა არმია სარიყამიშთან.

ოსმალთა შემოსევის საფრთხე ერთბაშად მოწყდა.

საქართველო აოხრებას და გაცამტვერებას ორივე მხრიდან გადაურჩა — მტრისგანაც და „მოყვრისგანაც“.

კავკასიის მეფისნაცვლის სავარძელში ვორონცოვ-დაშკოვის ხაცვლად ახლა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჩაჰჯიჯარიყო. მიშლაევსკიც მეფისნაცვლის თანაშემწეობიდან და ფრონტის შტაბის უფროსობიდან გადაეყენებინათ.

სარიყამიშთან გამარჯვების შემდეგ რუსული არმიები გადამწყვეტ შეტევებზე გადავიდნენ და ზედიზედ დაიჭირეს ერზერუმი და ოლთისი. ამაო გამოდგა აჭარისკენ ოსმალთა ხვლის პოტინიც.

მსოფლიო ომი ახალ ფაზაში შედიოდა.

18. ვინც საქართველოს დაეხოცა

1915 წელი დიდი შვილების დახოცვის წელიწადი იყო საქართველოსთვის.

ამ წლის 26 იანვარს, ორშაბათ დღეს, საქართველოს მოუკვდა მისი აკაკი წერეთელი. სადაც დაიბადა, იქ მიიცვალა, სოფელ სხვიტორში, შობითგან 75 წლისა.

აღსრულებულიყო ილიას სულის მარჩბივი, მისი დიადი მაშულიშვილობის თანაზიარი და თანამოაზრე, მისებრ ერის წინამძღოლი და ჭირისუფალი.

კაცი დიადი, რომელიც, — თითქოს, „მესამე დასელთა“ გამოსაჯავრებლად — თვითონვე ეძახდა თავის თავს „გაუსწორებელ ნაციონალისტს“... ისეთი „გაუსწორებელიც“, დღენიადაგ რომ ამას იძახდა (ამასაც „ქართველი იანიჩარების“ გამოსაჯავრებლად): „ყველაზე პირველ მე ქართველი ვარ, მერე, თუ გინდა, სხვაგვარი „ისტი“; „ვინც თავის გვარტომობას უარჰყოფს, ის ვეღარც სხვებს გამოადგება, უვარგისი იქნება შინაც და გარეთაც“; „ჯერ საჭიროა ჩვენი შეერთდეს, ცალკე, ერთ მთელად და მერე შეიძლება სხვა ერებთან გაერთიანებაზე ფიქრი თავიანთი ეროვნების დაცვით“... „ხატია ჩემი სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“ (სხვას ვის უთქვამს უფრო ზუსტად და ლამაზად შეერთება ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმისა?!)... კაცი, რომელიც მესამე დასელებს „გუგუნა მაშულიშვილებს“ ეძახდა — ჩვენთან რომ კაკანებენ და სხვასთან კვერცხს სდებენო[75].

ქართველი მგოსანი, მსოფლიო სახელით, მსოფლიო საქრისტიანოს მეუფე რომის პაპიც რომ მის ხილვას და შეხვედრას ესწრაფოდა[76], — ახლა იგი, ერის ჭირისუფალი, უძრავად იწვა, ერისაგან ჭირისუფლობის მოლოდინში.

და ერიც ეახლა გლოვით და ზარით, მისი კიდევ ერთი დიდი შვილის სიკვდილით შეძრულიც და შეერთებულიც.

საჩხერიდან თბილისამდე, ფიანდაზებით დაფენილ გზებზე, დაჩოქილი ხალხის კოლონებში გაიარა, ხალხის ხელითვე ატატებულმა და ციური მშვენებით სახედაფენილმა მისმა ცხედარმა.

თვითონ ანდერძად უბრძანებია: გვირგვინებს ნუ მომიტანთო და ვისაც გვირგვინისთვის ფული ემეტებოდეს, ის ფული ქართული ზეპირსიტყვაობის შეკრებას შესწიროსო[77].

ამიტომ, ერთადერთი გვირგვინი ამშვენებდა მის კუბოს, ერთადერთი და „ყოვლისმომცველი“ წარწერით: „აკაკის — საქართველოსგან“.

საქართველოს ამერს და იმერს, აკაკის დამკრძალველთა წინამძღოლად ვაჟა-ფშაველა აურჩევია, მაგრამ ვაჟა უკვე თვითონ ჩავარდნილიყო ლოგინად და უბრალოდ მოსვლაც ვეღარ შეიძლო, დიდი „მეტოქის“ სიკვდილით მწარედ ატირებულმა.

27 იანვარს ქვაშვეთის ეკლესიაში, დიდძალი საზოგადოების თანდასწრებით, პანაშვიდი გადაუხადეს. დღე და ღამე გასწორდა ლოცვით, სიტყვებით, გალობით, ზარით. 5 თებერვალს მიცვალებული მოასვენეს და დაასვენეს ქვაშვეთს. 8 თებერვალს, კვირა დღეს, აკაკის კუბო ქვაშვეთიდან გამოასვენეს მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, თავადაზნაურთა მარშლებმა. ქალაქის მთავარ მოედანზე დაასვენეს და აქ სიტყვები წარმოთქვეს: ნიკო ნიკოლაძემ, ევგენი გეგეჭკორმა, კიტა აბაშიძემ, მაჰმადიანმა ქართველმა გულო კაიკაციშვილმა, თბილისის მოურავმა ალექსანდრე ხატისოვმა, თათართაგან I სათათბიროს დეპუტატმა ალი მარდან თოფჩიბაშევმა, თათრული გაზეთის „იღბალის“ რედაქტორმა ემინრასულ ზადემ, მასწავლებელმა რუბენ ბეიმ, ეფენდიევმა, ებრაელთა რაბინმა მარკუსმა, ერთმა უკრაინელმა, ერთმაც ბერძენმა.

ამდენი ხალხი, ილიას დაკრძალვის შემდგომ, ალარც მოსწრებია თბილისს. და ნიკო ნიკოლაძემაც ეს უთხრა, თავის სიტყვაში, განსვენებულს:

„შეხე, აკაკი, რამოდენა ლაშქარი გყოლია, მხოლოდ შტაბია საჭირო“...

პროცესია მთაწმინდისაკენ დაიძრა.

აკაკის საფლავი იქვე, ილიასთან ახლო გაეთხარათ, ამერ-იმერ ქართველთა სრული თანხმობით (ჭირის დღეს თანხმობაც დიდი ძალაა მუდამ უთანხმოებაში მყოფი ხალხისთვის).

აკაკი უკვე მთაწმინდაზე ესვენა.

სიტყვებს ამბობდნენ: კოტე აფხაზი, იასონ გელოვანი, ილიკო ჩიქოვანი, ივანე ელიაშვილი...

მიმწუხრი დგებოდა, როცა კუბო სამარეში ჩაუშვეს.

ხალხი კიდევ დიდხანს არ აპირებდა დაშლას და წასვლას. ?აგრამ ბოლოს ეს „დიდი ხანიც“ უნდა დაპატარავებულიყო და ხალხიც წასულიყო.

ბოლო აკაკი — ილიასთან დარჩენილიყო.

ისინი კვლავ ერთად იყვნენ (უფრო „ერთად“, ვიდრე ოდესმე სიცოცხლეში).

და, იქნებ ამ ორის სიდიდეც კმაროდა მთაწმინდაზე, — იქნებ სხვისთვის ადგილიც აღარ იყო ამ ერთი ხელის დადება წმინდა მიწაზე?!

თუმცაღა, შეიძლებოდა კიდევ ერთი, მხოლოდ ერთადერთი — მესამე დიადი შვილი საქართველოსი...

...ვაჟა-ფშაველა ძლიერ ავად იყო. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში (შემდგომ უნივერსიტეტი), მაშინ სამხედრო ლაზარეთის მეორე სართულზე იწვა და დნებოდა. სიკვდილს თვალებში უცქერდა და შველას არავის სთხოვდა. ოღონდ ამას ეხვეწებოდა ყველას, — აქედან გამიყვანეთ და მთაში დამაბრუნეთო; ერთი ბალახსა და ფოთლებში გადავ-გადმოვგორდები და მოვრჩებიო.

და ამის ნატვრაში დალია მისი დაულევნელი სული — იმავე 1915 წლის 27 ივლისს.

მაშ, მოჰკვდომოდა საქართველოს მესამე დიადი შვილი, ისიც იმ წინარე ორივით — „გაუსწორებელი ნაციონალისტი“, ისიც რომ თითქოს მესამე დასელთა „გამოსაჯავრებლად“ გაიძახდა: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ“; „გამოგვერივნენ ისეთნი, რომელნიც თვით საქართველოს ჰკლავენ: უარყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტერიტორიასაც კი, რა არის მაშ, თუ არ კვლა საქართველოსი?“; „ჩვენმა ინტელიგენციამ, თუ

შეიძლება ამგვარ ჰეროსტრატებს ინტელიგენცია დაარქვას კაცმა, ხაცვლად იმისა, ერისთვის ეჩვენებინა სწორი გზა ცხოვრებისა, ესწავლებინა თავის თავის მოვლა-პატრონობა, ქართველ კაცს ააღებინა ხელი თავის პიროვნებაზე, თავის თავზე, შეიტანა ხალხში დამახინჯებული კოსმოპოლიტიზმი ერთობის სახელით, მოუკლა ეროვნული გრძნობა, დაუხშო ენერგია, დაუკეტა გზა თვითცნობიერებისაკენ...“; „ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც თავის თავი წარმოუდგენიათ ქვეყნის ლალად, პატრონად, არა თავისი პირადი ხაღვაწი, არამედ ერის საუნჯე — ტერიტორია გახადონ საძმო, საკაცობრიო ტაბლად და თვით ერსაც ააღებინონ ხელი ეროვნებაზე“; „ჩვენი ნაციონალიზმი“ მუდამ იქნება ჯანსაღი და არასდროს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევა... მათში კი ვხედავთ კოსმოპოლიტიზმს, მავრამ მახინჯს, უჯიშოს, ფანატიზმით გაბრუებულს, თავის ერის უარმყოფელს, ხოლო სხვა ერების ქითომდა მფარველს და მოყვარულს. ვაი ამისთანა სიყვარულს!.. ვისაც თავისი მშობელი დედა არ უყვარს, იგი სხვას როგორ შეიყვარებს, ახვას როგორ მოეპყრობა როგორც დედას? არა მჯერა, არა მწამს!.. ამისთანა კოსმოპოლიტიზმი უფრო თავმომწონეობა, ყოყლოჩინობაა, მიმბაძველობით გამოწვეული, ერთხელ და ერთხელ დაჩემებულის ჰკუის ღიტინისა... ეს მიმართულება ქარისაგან მონაბერია და უნდა ისევ ქარმა გაფანტოს, განაბნიოს“...

ვაჟაც ქვაშვეთში მიასვენეს, პანაშვიდი გადაუხადეს. სიტყვებიც უთხრეს — ეპისკოპოსმა ლეონიდემ, კორნელი კეკელიძემ, მღვდელმა კავკასიძემ, ლუარსაბ ბოცვაძემ, თუშ-ფშავ-ხევსურთა სახელით დ. ქადაგიძემ. მის კუბოსაც ერთი გვირგვინი ამშვენებდა, წარწერით: „ვაჟას — ქართველი ერისაგან“.

დიდუბის სასაფლაოზე მიასვენეს. იქ სიტყვები უთხრეს: მღვდლებმა მირიანაშვილმა და კელენჯერიძემ, ქუთაისიდან გრიგოლ ლალიძემ, სტუდენტმა ვახტანგ კოტეტიშვილმა, მუსლიმმა სულთანოვმა, მშრომელთა სახელით ვანო ბალიაშვილმა, ჭიათურიის მუშათა სახელით ა. იოსელიანმა და ან. ხიზანიშვილმა, ზესტაფონიდან დ. კელენჯერიძემ და, ბოლოს — ძმამ ბაჩანამ, და შვილმა ლევანმა...

ცოტა მოგვიანებით მიხვდნენ ქართველები, რომ ვაჟასთვის დიდუბე არ ყმაროდა და დიდის ზარზეიმით მთაწმინდაზე გადაასვენეს, ილიას და აკაკის ახლოს.

ახლა სამივე ერთად იყო:
საქართველოს მამა,
საქართველოს ბულბული,
საქართველოს არწივი.

და ეს ღვთივკურთხეული სამება კმაროდა მთაწმინდის ერთი ხელის დადება წმინდა მიწისთვის.

კმაროდა.

მაგრამ აკმარებენ?

ვაი, თუ ისეთებიც ჩაუწვინონ ძალისძალად, მთაწმიდის მიწას — ერთხელაც იქნეს, მიწამ უღირს ღვთშთა ამონთხევის უნარიც გაიჩინოს?!.

19. „მთავრობაძე გარდაიცვალა"

პირველი მსოფლიო ომი უკანასკნელ ფაზაში გადადიოდა... ამ ომში რუსულ იარაღს, „ბრუსილოვის გარღვევის" გარდა, სასახელოდ მაინცა და მაინც აღარაფერი რჩებოდა. მარცხი მარცხს მოსდევდა. უარესი დღეები შიგნითვე დასდგომოდა „ერთიანსა და განუყოფელ" იმპერიას.

ქვეყანა მიექანებოდა უფსკრულისაკენ, ქვეყანა — რევოლუციით დაღლილი, ანარქიით დაღრღნილი, რასპუტინშჩინით გარყვნილი...

რევოლუციის დაწყების საბაბი გახდა საჭმელ-სასმელისა და სათბობის უქონლობა. 24 თებერვალს პეტროგრადის მუშები ერთიანად გამოვიდნენ, პურის მოთხოვნით. მეფემ პურის ნაცვლად ჯარი გაგზავნა. ჯარი მუშათა მხარეზე გადავიდა.

და იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ისღა შესძლო... იმპერატორობაზე უარი ეთქვა და რომანოვთა სამასწლოვანი სადინასტიო ტახტ-გვირგვინი თავის ძმის, მიხეილისათვის გადაეღოცა. მიხეილმაც, იმპერიის შინა-გარე კატაკლიზმებით დამფრთხალმა, საოცნებო ინსიგნიებზე უარი სთქვა და ქვეყანა საბოლოოდ უხელმწიფოდ დარჩა.

მაშ, რუსული თვითმპყრობელობა თვითმპყრობელის გარეშე ეგდო 1917 წლის თებერვალ-მარტის ყინვით გათოშილ დიდ რუსულ მიწაზე. და კაკი წერეთელიც — რუსული მოვლენების ქართველი ნათლია — იტყვის შემდგომში: იმ წლის მარტში სახელმწიფოს უმაღლესი ძალაუფლება პეტერბურგის ქუჩებში ეგდო და ვინც მიასწრებდა, ის დაეპატრონებოდაო[78].

და მიასწრო ქართველმა — კარლო ჩხეიძემ — მიასწრო და აიტაცა უპატრონოდ დაგდებული ხელისუფლება, აიტაცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სახელით (მისი იღბალი, რომ ლენინი, ან სტალინი ამ დროს იქ არ იყვნენ — ციხეში იყო, მეორე ციმბირის გადასახლებაში), და შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება — „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები".

იმავე დღეებში სახელმწიფო სათათბიროსაგან ჩამოიქნა კიდევ ერთი ხელისუფლება, რომელსაც ვწოდა „აღმასრულებელი კომიტეტი", და მისი მეთაური გახდა როძიანკო.

მალე ჩხეიძისა და როძიანკოს სამწყსოები შეთანხმდნენ და შექმნეს ახალი, „დროებითი მთავრობა", ჯერ ლვოვის, შემდეგ კერენსკის მეთაურობით.

მაშ, რუსეთის გუშინდელი იმპერიის სათავეში, მონარქიზმის ნაცვლად, დღეს იდგა ორი ხელისუფლება:

სოციალ-დემოკრატიული — მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო;

ბურჟუაზიული — დროებითი მთავრობა.

ერთის სათავეში — ქართველი.

მეორის სათავეში — რუსი.

კიდევ ერთმა „დიდმა ქართველმა" (ქართველობა თუ ეკადრება), დიდმა „მსოფლიო მოქალაქემ", კაკი წერეთელმაც „მოუსწრო", — თუმცა ნევის პროსპექტზე დაგდებულ ძალაუფლებას ვერ მოუსწრო, მაგრამ ციმბირიდან ახლად თავდახსნილს, დროებით მთავრობაში ჯერ ფოსტა-ტელეგრაფის და მერე, მასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროების პორთფელები კი მიაგებეს და მიუბედნიერეს...

რუსხელმწიფის საიმპერატორო ტახტიდან გადადგომის პირველი ცნობა პეტროგრადიდან საქართველოში დეპეშით მოვიდა. დეპეშას, კონსპირაციული გონებამახვილობით, კარლო ჩხეიძის

ფორმულირებით, გოგიტა ფალავა უგზავნიდა თავის მენშევიკ-კოლეგებს:

„მთავრობაძე გარდაიცვალა, შეატყობინეთ ნათესავებს და ნაცნობებს".

ქართველმა პოლიტიკოსებმა ეს უეცარი, ელდის დამცემი ამბავი თავისსავე წრეში, „ვაჰ"-„ვუჰ" — „ეს რა მომხდარას" ძახილში ჩაატარეს და ხალხს არაფერიც არ გააგებინეს.

ეს „მსოფლიოს ჭირისუფალნი" პრაქტიკულად პირველად დადგნენ ნამდვილი, საქმიანი და გადამჭრელი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობის წინაშე. მაგრამ ჯერ გონს უნდა მოსულიყვნენ...

ნოე ჟორდანია ამ დროს „ფრიად დაკავებული" იყო ერთი „ფრიად ინტერნაციონალური" საკითხით. იგივე შენობაში და დარბაზში, სადაც ადრე მიშლაევსკის შავრაზმული ბრძანების საპასუხოდ დავით გურამიშვილი ბრიყვულ სიტყვას ამბობდა — ახლა ჟორდანია ასულიყო ტრიბუნაზე და საგენგებოდ შეყრილ 50—60 კაციან საზოგადოებას თაეგამოდებით უმტკიცებდა: „თბილისი მაინცდამაინც საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია ეკუთვნის სომხებს და აზერბაიჯანელებს, და მხოლოდ დასავლეთი მესამედი — „ვერა" — და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებსო"[79].

ამაზე მეტი მკრეხელობა კიდევ რაღა უნდა შეებედნა ქართველს საქართველოსთვის! ნეტავ რომელი უფრო საკვირველი და საშფოთარი უნდა ყოფილიყო, სასმენად და „სასმელად" — რუსმა შოვინისტმა მიშლაევსკიმ რომ თბილისის აფეთქება ბრძანა, თუ ქართველმა კაცმა რომ საქართველოს წმიდათაწმიდა დედაქალაქის ორიმესამედი არაქართულად გამოაცხადა?!

საკომენტაროდ აქ ადარაფერი რჩება. იქ კი, მაშინ, წამოუხტნენ ეროვნულ-დემოკრატები, ანუ „ნაციონალისტები" მკრეხელ „მესამე დასელს" და კუდით ქვა ასროლინეს.

მაგრამ, ვითომ რაო? სანამდე მიდიოდა, საერთოდ, საქართველოს მაშინდელ პატრიოტულ ძალთაგან მტრის მიმართ „კუდით ქვის სროლა"? მიდიოდა ძალიან მოკლე მანძილზე. ანდა საერთოდ არც „მიდიოდა", არამედ ოდენ ადგილზე ბრუნაობა, ოდენ ერთ მწარე, ნერვიულ შეძახილზე თავდებოდა. პატრიოტები რადიკალურ ნაბიჯს ვერ დგამდნენ. იმ მსოფლიო სისხლის წვიმების ეპო-

ჭაში, საზღვარგარეთიდან წყლისქვეშეთის გზით იარაღის შემომტანი რაინდები იერიშზე გადასვლას და ბრძოლის გამართვას უბრალო „ფრონდის“ დონეზეც ვერა ბედავდნენ. არავითარი ორგანიზებულობა არ გააჩნდათ: ყველა ერთი სუნთქვით კი სუნთქავდა, ბაგრამ ყველა მაინც თავისთვის, ცალკეულად „ჩაკეტილი სუნთქავდა“. ცალკეულად. დაქსაქსულად იბრძოდნენ — იბრძოდნენ კი არა, უფრო წუწუნებდნენ და დრტვინავდნენ. უმრავლესნი მათგანნი, და უსაჩინოესნიც — უიღბონი იყვნენ, უსასოონი, გამარჯვების რწმენას მოკლებულნი და მაგრამ პატრიოტული ბრძოლაც „პატრიოტულ ოხვრას“ არ შორდებოდა.

ვთქვათ, მამაცი გიორგი ბაგრატიონი ამას ეუბნებოდა, ხოლმე, დანარჩენ „თანაპატრიოტებს“: „ერთ გუბერნატორსაც ვერ შევინახავთ და თქვენ დამოუკიდებლობაზე მელაპარაკებით, გიჟები ხართ, საგიჟეთში უნდა ისხდეთ“.

ან, კიტა აბაშიძე: „პარიზს, მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრს, ყუმბარებით ანგრევენ და თქვენ რალაც ქეციან საქართველოზე მელაპარაკებით“.

კიდევ, ნიკო ნიკოლაძე: „ეხლანდელ ეკონომიურ ვითარებაში, ვისაც ფლოტი არა ჰყავს, ვერ იარსებებს, ჩვენ კი, მთელი საქართველოც რომ გავყიდოთ, ერთ გემსაც ვერ ავაშენებთ“[80]...

ასე იყვნენ..

ანუ არ იყვნენ...

ანუ არ იყვნენ ისეთები, როგორებიც საქართველოს ძალიან, ძალიან სჭირდებოდა მაშინ.

ამიტომ ემართლებოდა კიდეც ნოე ჟორდანია მათ „საცოდავ ნაციონალ-დემოკრატებს“ რომ უწოდებდა[81].

პატრიოტული პროტესტი და პატრიოტული კვნესა როდი კმარა „პატრიას“ გადასარჩენად.

მით უფრო ისეთ ხელსაყრელ დროს, როცა კოლონია-საქართველოს მეუფე-მეტროპოლიის ცენტრში თურმე „მთავრობაძე გარდაიცვალა“.

მეტი სიმტკიცე და ორგანიზებულობა იყო საჭირო მაშინ.

არც ერთი და არც მეორე არ ჰქონდათ მაშინ „ნაციონალისტებს“.

ერთიც და მეორეც უხვად ჰქონდათ „ინტერნაციონალისტებს“...

20. „დიდი ნოეს“ ვნებანი

4 მარტს „მთავრობაძის გარდაცვალებას“ ერთად გამოეხმაურნენ მენშევიკები და მეფისნაცვალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

მენშევიკურმა გაზეთმა, „თანამედროვე აზრმა“, ამ დღეს პირველმა გამოაქვეყნა ცნობა: „ძველი მთავრობა დაეცა, სახელმწიფო ძალაუფლებას სახალხო წარმომადგენლობა დაეპატრონა“. სახალხო წარმომადგენლობაში აქ ორივე ხელისუფლება იგულისხმებოდა — მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოც და დროებითი მთავრობაც.

იმავე 4 მარტს მეფისნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მოიწვია თბილისის საზოგადოების წარმომადგენელნი, საგუბერნიო თავადაზნაურობის მარშლები — ჩოლოყაშვილი და ნიქარაძე, ქალაქის თაკი ალექსანდრე ხატისოვი და მენშევიკთა ლიდერები, ორი ნოე — ჟორდანია და რამიშვილი[82].

სიტყვა წარმოთქვა და პეტროგრადში მომხდარი ამბების ინფორმაცია გააკეთა თვითონ მეფისნაცვალმა. ისე სჩანდა, „მთავრობაძის გარდაცვალებას“ ადგილებზე არაფერიც არ შეუცვლია. რუსეთის ახალი ხელისუფლება მთელს ადრინდელ ადმინისტრაციულ სტრუქტურასაც და ბიუროკრატიულ პერსონალსაც ცენტრშიც და პროვინციებშიც თითქმის მთლიანად ხელუხლებლად ტოვებდა. თვითონაც კავკასიის მბრძანებელმა თავისი თავი რუსეთის ახალი ხელისუფლების ერთგულ მსახურად გამოაცხადა. დროებით მთავრობას იგი, თავის მხრივ, უმაღლეს მთავარსარდლად დაენიშნა.

„მტერი უნდა დავამარცხოთ, — ლაპარაკობდა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — მე მგონი თქვენც ეს უნდა გინდოდეთ. რაც შეეხება სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფორმას, ამას მომავალი დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს, სადაც მეც, როგორც ერთ მოქალაქეს, ადგილი მექნება. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ მე ძლიერ გმაყოფილი ვარ ამჟამად კავკასიით, რადგან აქ არავითარი არეულობა არ არის. ბაქოსა და თბილისში სამაგალითო წესიერებაა დაცული. ეს, ჩემი აზრით, იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც აქ კავკასიაში დიდი გავლენა აქვს, წესიერების მომხრეა. მე იმედი მაქვს ეს კვლავაც ასე გაგრძელდება“[83].

მაშ, რუსეთის უმაღლესი საოკუპაციო მაგისტრატი და ქართველი „მესამე დასელნი“, გნებავთ მენშევიკები — ერთად, ხელი-

ხელჩაკიდებულნი და მხარიმხარ მიცემულნი ერთ მთავარ მიზანს ემსახურებოდნენ: როგორმე რუსეთის „ერთიანობა და განუყოფლობა“ არ დარღვეულიყო და იმპერია „ავტონომიებად“ და „ფედერაციებად“ არ დანაწევრებულიყო.

მეფისნაცვლის ალერსით გახარებულნი წამოვიდნენ ჟორდანია და რამიშვილი და — მომდევნო დღეს მათი გაზეთი ასეთი მოწოდებით დამშვენდა: „მხარი დაუჭირეთ დროებით მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში“; „გამოიტანეთ დროებითი მთავრობის თანაგრძნობის რეზოლუციები სახალხო კრებებზე და საზოგადო დაწესებულებებში და ეს დეპეშით აცნობეთ მას პეტროგრადში“[84].

მაგრამ მაინც ყველაფრიდან ჩანდა, რომ მეფის ადმინისტრაციის მდგრადობის საათები მაინც დათვლილი იყო საქართველოში და საერთოდ კავკასიაში. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ვითარცა რუსეთის საომარ ძალთა ახლადდანიშნული მთავარსარდალი, პეტროგრადს ვაიწვიეს. მისი წასვლა და... კავკასიის მთელი რუსული ადმინისტრაციაც გადადგა — ყველა, ზემოდან ქვემოთ.

უცებ საქართველოში ოფიციალური მთავრობა აღარ იყო. და იმდღევანდელი პეტროგრადისა არ იყოს — უმაღლესი ხელისუფლება თბილისში გოლოვინის პროსპექტზე ეგდო!

და, თითქოს, აქაც მისწრებაზე იყო.

მისწრებით კი ისევ სოციალ-დემოკრატებს, ანუ „მესამე დასელებს“ უნდა მიესწროთ და არა „ნაციონალისტ-პატრიოტებს“, ან „საცოდავებს“ (ამათი „მისწრება-მოსწრების“ იმედი, ეტყობა, საერთოდ არ უნდა ჰქონოდა საქართველოს).

ისედაც, უკვე ხმები დადიოდა — მეფისნაცვალ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წასვლის წინ ნოე ჟორდანია და ალექსანდრე ხატისოვი დაუბარებია და დაუმოძღვრავსო: მე სასწრაფოდ რუსეთში მივდივარ და კავკასიას მოსაველელად თქვენ გაბარებთო[85]. ამნაირ ხმებსაც თავისი საფუძველი ჰქონდათ: რუსი ნიკოლოზიც, ქართველი ჟორდანიაც და სომეხი ხატისოვიც რუსეთის მსოფლიო იმპერიის „მთლიანობისა და განუყოფლობის“ პოზიციაზე იდგნენ.

მაშ, მოქმედების ხალხი ისევ „მესამე დასელები“ იყვნენ, — მათი მენშევიკური ფრთა. საერთოდ, მენშევიკებით იყო ავსებული მაშინდელი საქართველო; ბოლშევიკები კი თითო-ოროლა თუ მოიძებნებოდა. 1912 წლის პრაღის პარტიული კონფერენციის შემდეგ მენშევიკები და ბოლშევიკები საერთოდ საბოლოოდ გა-

თიშული იყვნენ, რუსეთშიც და — რაკი რუსეთში, რაღა თქმა უნდა, საქართველოშიც. მაგრამ ორივე ფრთის საბრძოლო ლოზუნგი ისევ ერთი და იგივე იყო — ბრძოლა საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებისათვის. და ორივეს, აქვე, პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების პრაქტიკულ ხელისუფლებრივ ინსტიტუტად მიაჩნდა „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო“. ასე იყო რუსეთში; მაშასადამე, ასე უნდა ყოფილიყო საქართველოშიც. და უკვე იქმნებოდა საქართველოში „მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები“. ფილიპე მახარაძე აიჩემებს შემდეგ: ეს საქმე ჩვენ, ბოლშევიკებმა დავიწყეთ, ჩვენმა მუშებმა რუსეთის რევოლუციისა არჩინები იცოდნენ, ჩვენ, „ბალშევიკთა“ მცირე ჯგუფი — „გაეცანით მუშებთან“ და „ავუხსენით მომენტის მნიშვნელობა“, მაგრამ მენშევიკები — „ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და ძმანი მისნი“ — მოცვივდნენ და მუშებიც წაგვართვეს და „კრების ბატონ-პატრონიც შეიქმნენო“[86].

ალბათ, ალარცა აქვს მნიშვნელობა, რამდენად მართალია ეს არც თუ ისე ვაჟკაცური („ბალშევიკური“) განცხადება. აქ ყველაფერი წრფელი სიმართლითაა ნათქვამი — დაუკვირვებელი, გულუბრყვილო კაცის სიმართლით. ხოლო, მთავარი ისაა, რომ „მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო“ საქართველოში არსებობას იწყებს მენშევიკების ხელმძღვანელობით, ანუ ნოე ჟორდანიას ლიდერობით. იქვე არჩეული იქნა „საბჭოების“ აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის 46 წევრიდან მხოლოდ 5 კაცი იყო „პროლეტარიატის კლასიდან“[87].

ამიერიდან „დიდი ნოე“ თავის ყოველ ქმედებას ქართული „ეროვნული მუშათა კლასის ინტერესებს“ აწერს.

აჰა, „მუშათა კლასის“ წინ „ე რ ო ვ ნ უ ლ ი ც“ გაჩნდა. გაჩნდა იმიტომ, რომ „ეროვნულს“ რაღაცნაირი ამინდი დაუდგა, რაღაცნაირად ჰოლიტიკური კარივრისათვის დემაგოგიური წონა მიეცა. მთელი რუსეთის იმპერიაში, ჯერ თავიდანვეც, მაგრამ ახლა მაიხც, თებერვლის რევოლუციის კვალობაზე — ყველა ნაცმენი ლიდერი თავისი ნაციის თავისუფლების, ავტონომიის მოსაპოვებლად და „ხელთ მოსაგდებად“ იქაჩება, ყველა — ქართველი ლიდერების გარდა. კარლო ჩხეიძე ხომ ისევ რუსეთის პროლეტარიატის „ბელადობას“ არ ეშვება. კაკი წერეთელიც სასტიკად ებრძვის ავტონომისტებს, გამორჩევით „საქართველოს რეაქციონერებს“ და უკრაინელ „ნაციონალისტებს“.

მაგრამ ეს „დიდი მასშტაბის“ ქართველები — კარლო ჩხეიძე,

კაკი წერეთელი, სოსო ჯუღაშვილი (უკვე სტალინი), სერგო ორჯონიკიძე — როგორც ეტყობა, საბოლოოდ „გარუსდნენ“ და საქართველოსკენ მოსახედავადაც აღარ სცალიათ, აღარც ეკადრებათ. ნოე ჟორდანია კი ადგილობრივ ქართულ ნიადაგს „სამწუხაროდ“ ვერ გასცილდა. ივი ადგილობრივ „დიდ ნოედ“ და „პატარა ჩარქსად“ დარჩა. ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზე კი სიტყვა „ეროვნულს“ თითქმის ყოველთვის დიდი გასავალი აქვს. მარტო „ინტერნაციონალიზმით“ (ვთქვათ, როცა აცხადებს რომ ორი-მესამედი თბილისი ქართველებს არ ეკუთვნისო!), როგორც ეტყობა, ფონს ვერ გახვალ. ამიტომ, ახლა საჭიროა „ეროვნულზე“ და „ეროვნულად“ თამაში. ის დრო წავიდა, როცა დიდი დავითი და დიდი თამარი თავის მამაც და ჭკვიან ქვეშევრდომებს თავადობისა და აზნაურობის სიგელებს ურიგებდნენ, მაგრამ ახლა სამაგიეროდ „დიდი ნოე“ თავის პროლეტარებს „მოწინავე მუშისა“ და „რსდმპ წევრის“ სიგელებით შემოიმტკიცებს.

მაგრამ არის ერთი დიდი უხერხულობა, რომელიც არა ხერხით არ დაიძლევა: ქართული პროლეტარიატი ქართულ ეროვნულობას ვერ მოიცავს, ვერ დაემთხვევა ვერას დიდებით. ახლა არის 1917 წელი და ქართველი ხალხის, ერის რაოდენობა უდრის დაახლოებით 1.600.000. და აქედან 4.000-მდე კაცი თუ მოგროვდება „ეროვხულ პროლეტარად“. უფრო მეტიც: ქართველთა შორის „ნამდვილი პროლეტარის“ რიცხვმა 1905 წლის რევოლუციის შემდეგ უფრო იკლო, ვიდრე იმატა. ახლა მესამე დასელები „პროლეტართა კლასს“ აკუთვნებენ სასადილოებისა და დუქნების ლაქიებს, ხელზე მოსამსახურეებს, ნოქრებს, ტრამვაის ვატმანებს, რკინიგზის კონდუქტორებს. მთავარ „საპროლეტარო პუნქტებში“ კი — ფაბრიკებში, ქარხნებში — უმრავლესობა რუსები, სომხები და სხვა არაქართველი მოდგმის მუშები მუშაობენ. ჭიათურაშიც კი მუდმივი მუშათა კადრი არ არსებობს. იქ სეზონური მუშები არიან — უფრო სეზონურად „ფარას“ საშოვრად ჩამოსული გლეხები, რომლებიც თავისი სოციალური ბუნებით უფრო გლეხებადვე რჩებიან, ვიდრე „კლასიკურ პროლეტარებად“ იქცევიან.

ასე, რომ — ამ „ბითებიდან გამოწოვილ პროლეტარიატს“, რომელიც ჭართული მოსახლეობის ნახევარ პროცენტსაც არ შეადგენს, და კიდევ იმ უხერხულობის გარდა, რომ ამ 4.000 კაციან „კლასს“ სათავეში უდგას მისი „მოწინავე რაზმი“ 80000 პარტი-

ელის შემადგენლობით (!!!) — შეუძლებელია სიტყვა „ეროვნული“ მიესადაგოს. ქართული მოსახლეობის 90% გლეხობაა, თავადაზნაურობა 5—6% და, ასე რომ მთელი ეს მასა, რასაც მესამე დასელები ყველას ერთად, ამრეზით, „ბურჟუაზიად“ იხსენიებენ — შეადგენს სწორედ თვითონ ქართველ ერს.

ამიტომ, ნოე ჟორდანიამ ახლა ისე უნდა იმარჯვოს, რომ ერთძანეთს შეაბაოს, შეარიგოს და ერთერთს „ეროვნული პროლეტარიატიც“, „ეროვნული ბურჟუაზიაც“ და „ინტერნაციონალიზმიც“.

და გამოაცხადა „დიდმა ნოემ“: თანამედროვე რევოლუცია სამ მთავარ ძალას ემყარებაო — პროლეტარიატს, ბურჟუაზიას და არმიასო[88]. პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთად უძღვებიან რევოლუციის საქმეებსო[89].

მაგრამ ურუსეთოდ, სრული დამოუკიდებლობით, ნოე ჟორდანიას ვერაფრის გაკეთება ვერ წარმოედგინა. პირიქით, ისევ და ისევ, ყველაფერი უწინარეს ყოვლისა რუსეთთან მთლიანობაში, მისგან განუყრელობაში, რუსეთისკენ შეუწელებელ თვალის ციცინში და მის სამსახურში უნდა გაეტარებინა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაადგინა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ: „თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო თავის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას და აწარმოოს გადამჭრელი ბრძოლა ყველა კონტრრევოლუციურ ძალებთან“[90]. ეს იყო პირველი მუხლი. ხოლო მეორე მუხლად „მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო“ კისრულობდა ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციას, ისევ და ისევ რუსეთის ახალი სახელმწიფო სტრუქტურის მიხედვით. ამ მხრივ ტიპური იყო „ორხელისუფლებიანობა“ თბილისში — „მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო“ და მის გვერდით — ქალაქის სათათბირო, — ისე, როგორც პეტროგრადის ორხელისუფლებიანობა — „რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო“ (ჩხეიძის ხელისუფლება) და დროებითი მთავრობა (კერენსკის ხელისუფლება). „ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, — ამბობდა ნოე ჟორდანია — რომ ახლანდელი რევოლუცია სხვადასხვა ძალთა კოორდინაციაზეა დამყარებული და რომ ჩვენ უნდა ვეძიოთ ისეთ გზას, რომელსაც დაადგა პეტროგრადის მუშათა

დეპუტატების საბჭო, რომელმაც რევოლუციის სათავეში ბურჟუაზია დააყენა დროებით მთავრობის სახით"[91].

მაშასადამე, ჟორდანიასთვის მთავარი იყო რუსული, „პეტროგრადული მოდელი", — თორემ აქამდე ხომ მას, როგორც „შეშბარიტ მარქსისტს", ფიქრადაც არ მოუვიდოდა მუშებსა და ბურჟუებს შორის რაიმე შეთანხმება, რაიმე „კოორდინაცია", მით უფრო ისეთი „ანტიმარქსიტული სიგიჟე", როცა მუშები „თავისი რევოლუციის" სათავეში აყენებენ ბურჟუაზიულ მთავრობას!

მაშ, კვლავ მთავარია რუსეთი — მისგან განუყრელობა და განუხრელობა. შენ მხოლოდ მისდიე მას, ვინც თავისი მარად უტყუარი და უცთომელი სვლით, შენ, მის მიმდევარს (ილიასეული „სათარეველა" ხომ არ წამოგვცდენია!), საკუთარი, დამოუკიდებელი ფიქრისგანაც კი გათავისუფლებს!

და მაშინვე მოახდინა ნოე ჟორდანიამ რუსული ყაიდის „სხვადასხვა ძალთა კოორდინაცია" საქართველოში. 6 მარტს მან, „აღმასრულებელი კომიტეტის" სახელით, თბილისში ერთად შეჰყარა ყოველი პარტიული და უპარტიო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების — სოციალ-დემოკრატების, ეროვნულ-დემოკრატების ფედერალისტების, მუშებისა და ჯარისკაცების, დაშნაკების, კადეტების, ესერების, ვაჭარ-მრეწველთა და სამომხმარებლო საზოგადოებათა — წარმომადგენელნი, და აარჩევინა ყველასათვის საერთო „აღმასრულებელი ბიურო", 15 კაცის შემადგენლობით. აქვე არჩეული იქნა „კომისიები" — თვითონ ჟორდანიას, ხატისოვის და პოდპორუჩიკ პოპოვის თავმჯდომარეობით.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი, მარტო საქართველოს კი არა, მთელი ამიერკავკასიის სამხარეო უმაღლეს სამმართველო ორგანოს წარმოადგენდა.

მაშ, მდგომარეობის ბატონ-პატრონნი საქართველოში „მესამე დასელები" იყვნენ. პატრიოტული ძალები კი მათი ძალაუფლების შინაყმებად ქცეულიყვნენ. წყალქვეშეთის გზებზე „ნაოფლარი" იარაღი მიწაში უქმად ჟანგდებოდა.

ქართველმა „ნაციონალისტებმა" მხოლოდ ის მოახერხეს, რომ გოლოვინის პროსპექტზე, ხალხში პროკლამაციები გაუშვეს, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნით. მაგრამ უმალვე დატრიალდნენ

მენშევიკთა აგენტები და პროპაგანდისტები, ხალხს პრობლემაციებს ხელიდან გლეჯდნენ, ხევდნენ, წაკითხვას არ ანებებდნენ და იქვე ჩამწკრივებულ რუსის ჯარისკაცებს ახელებდნენ: „Смотрите, они опять царя хотят, автомонию требуют". მაშინვე „ინტერნაციონალისტიც" და „ნაციონალისტიც" შეეჩეხნენ ერთმანეთს — ნოე რამიშვილი და შალვა ჭარუმიძე.

„რასა ჰგავს ეს, ბატონო ნოე, — ეუბნება ჭარუმიძე — თქვენი პროპაგანდისტები პროვინციებშიაც დადიან და ხალხს მოუწოდებენ ომის გასაგრძელებლად, ქადაგებენ ავტონომიის წინააღმდეგ... ხომ ხედავთ, დროება იცვლება და... იცოდეთ, დუშეთის მაზრაში 600 შეიარაღებული რაზმელი გვყავს და, გახსოვდეთ, თქვენს პროპაგანდისტებს დავაჭერინებ, იქ თქვენიანებს არ გავაჭაჭანებ".

ნოე რამიშვილმაც მაშინვე შეუტია, მისთვის ჩვეული რიხით და თითის ქნევით:

„ხომ ხედავთ ამათ, — და რუსის ჯარზე მიუთითა — შენ 600 გყოლია, მე კი 6 000 რუსის ჯარისკაცს წამოვიყვან და მთელ შენს დუშეთის მაზრას ნაცარ-ტუტად ვაქცევ!"

რეზო გაბაშვილმა ძლივს გააზავა წაჩხუბებულნი — ილიას მკვლელი და ილიას მიმდევარი.[92]

21. ოდენ „მწიგნობრობითა"...

მაინც იბრძოდნენ ეროვნულ-დემოკრატები, თუმცაღა იარაღს ჩიწაში ალპობდნენ და ოდენ სიტყვით იბრძოდნენ.

ასე იყო: მთელი სამოცი წელიწადი, დიდი ილიადან დაწყებული და ჭარუმიძე-გაბაშვილებით გათავებული, ეროვნული ძალები ოდენ სიტყვით იბრძოდნენ.

იარაღის ხმარებას კი... მხოლოდ „მესამე დასელები" ახერხებდნენ.

...ეროვნულ-დემოკრატთა სიტყვიერი ცხოველმყოფელობის რაღაცნაირი დემონსტრაცია იყო მათი დამფუძნებელი ყრილობა, 1917 წლის 4—20 ივნისს.

ყრილობამ აირჩია კომიტეტი: ალ. ასათიანი, დავ. ჯანჩაძე, გრ. ვეშაპელი, რ. გაბაშვილი, გ. გვახარია, გ. გორდეზიანი, გ. გუ-

რული, რ. ინგილო, სპ. კედია, ი. მაჭავარიანი, ირ. სონღულაშვილი, შ. ტატიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, შ. ქარუმიძე, გერონტი ქიქოძე.

კომიტეტმა აირჩია პრეზიდიუმი: თავმჯდომარე — სპირდონ კედია, წევრები — გ. გვაზავა, შ. მაჭავარიანი, გრ. ვეშაპელი, მოლარე — იროდიონ სონღულაშვილი.

იყო მსჯელობა: საქართველოს ტერიტორიაზე, ფინანსებზე, სოფლის მეურნეობაზე, ეკლესიის ავტოკეფალიაზე, მიმდინარე პოლიტიკურ მომენტებზე, მეზობელ ერებზე, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებზე და მომავალ ეროვნულ საბჭოზე.

ყრილობამ მიიღო ახალი, ერთიანი პროგრამა.

აი, ეს „პროგრამაც“:

წინასიტყვაობა

ა) ეროვნება

დაწინაურებულ ხალხთა მთელი შრომა და შემოქმედება ეროვნულ მისწრაფებით არის გამსჭვალული, ეროვნულ მიზნებს ემსახურება. ეროვნული სკოლა, მეცნიერება, ხელოვნება, ეროვნული მეურნეობა თუ მრეწველობა სავსებით იკრებს და იწირავს თანამედროვე ერთა ქონებრივ და სულიერ ძალებს.

ძველად ერი არ წარმოადგენდა ასე შეკავშირებულ ერთეულს. არც ეროვნული ცხოვრება იყო ასე მდიდარი და მრავალფეროვანი. ხალხი წოდებრივად იყო დაყოფილი. ქონებრივი ძალა და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა მცირერიცხოვან ჯგუფის ხელში იყო. დანარჩენი ხალხი უმწეო და ყოველსავე უფლებას მოკლებულ მასას წარმოადგენდა. ამ წოდებათა შორის დიდი უფლებრივი და კულტურული განსხვავება სუფევდა. ამის გამო არ იყო გაერთიანებული ერების ცხოვრება.

წოდებრივი უპირატესობის გაუქმებით და მთელი ხალხის უფლებრივად გათანასწორებით მყარდება ნამდვილი მოქალაქეობრივი ცხოვრება. უფლებრივად გათანასწორებული ერი თავს იყრის პო-

ლიტიკურსა და კულტურულ ასპარეზზე. ეს ხელს უწყობს ერის სულიერად გაერთიანებას და შეკავშირებას. სადაც ასეთი მოქალაქეობრივი ურთიერთობა დიდი ხნიდან დამყარებულა, იქ ეროვნული შეგნება და ეროვნული ცხოვრებაც გაძლიერებულა და განმტკიცებულა.

ეროვნება უმაღლესი საზოგადოებრივი არსია, საერთო უფლებრივი ურთიერთობით, ენით, ზნეჩვეულებით, აწმყო და წარსული ცხოვრებით შესისხლხორცებული ერთეულია.

ბ) ეროვნული მართვა-გამგეობა

ერს თავისი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი აქვს. საჭიროა გარეშე ზტერთაგან თავის დაცვა, საჭიროა წესრიგი შინაურ ცხოვრებაში, რომ არ გამეფდეს ძალმომრეობა და ერთმანეთის ჩაგვრა. საჭიროა სწავლა-განათლების განვითარება და გაძლიერება. ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად თავისუფალ ერებს აქვს განსაკუთრებული მმართველობა, სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა. სახელმწიფო აღჭურვილია სათანადო სახსრებით, ძალით და უფლებით და ერის ამ მოთხოვნილებებს ემსახურება. ამ მოთხოვნილებების სავსებით დაკმაყოფილება ერს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც მისი ქვეყნის მართვა-გამგეობა მის საკუთარ ხელში იქნება.

ყოველი ერი უნდა სცდილობდეს, რომ მას საკუთარი, ავტონომიური მართვა-გამგეობა ჰქონდეს. კანონმდებლობა, მართვა, ხაზინა, სკოლა, სამართალი ერის ხელში უნდა იყოს, რომ ერის საჭიროებებს ემსახურებოდეს.

გ) პოლიტიკური წყობილება

ძველად სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა საზოგადოების უმცირეს ნაწილს, თავად აზნაურობას ეპყრა. მთელი ერი ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს იყო მოკლებული. დაწინაურებულ ერთა სახელმწიფოებრივი ცხოვრება ეხლა სულ სხვა ნიადაგზეა აგებული. წოდებრიობა მოისპო. ყველა გათანასწორებულია უფლებრივად. ყველას უფლება აქვს ჩაერიოს და მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებასა და მართვა-გამგეობაში. ძველად ერთი ხელმწიფობდა, ეხლა ერი ხელმწიფობს. მთელმა ერმა უნდა

ამოირჩიოს წარმომადგენლები და ამ წარმომადგენლებმა უნდა აწარმოონ მთელი სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. ეროვნული კრება უნდა ემსახუროს ერის ყოველგვარ მოთხოვნილებებს. მან უნდა განამტკიცოს სამართალი და წესრიგი, უფლებრივი თანასწორობა და ერის ქონებრივი კეთილდღეობა.

დ) თანასწორობა და თავისუფლება

საქართველოს მართვა-გამგეობა ქართველი ერის ხელში რომ გადავა, საქართველოს ეროვნული კრება დაჩქარებით უნდა შეუდგეს მოქალაქეობრივ თანასწორობასა და თავისუფლების განხორციელებას. უფლებრივი თანასწორობა აუცილებელია სახელმწიფოებრივის ცხოვრების განსამტკიცებლად.

სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება ყველას უნდა ჰქონდეს. ყველა თანასწორი უნდა იყოს მთავრობისა, სამართლისა და კანონის წინაშე, ყველას მინიჭებული უნდა ჰქონდეს პირადი თავისუფლება, ვინაიდან მოქალაქეობრივი თავისუფლება აუცილებელი პირობაა პიროვნების განვითარებისა. მაგრამ თითეულის თავისუფლება კანონით უნდა იყოს განსაზღვრული და უზრუნველყოფილი, რომ ერთის თავისუფლება მეორისათვის არ იყოს საშიანო და შემავიწროებელი. მოქალაქეობრივი თანასწორობისა და თავისუფლების საშუალებით ერში ნამდვილი უფლებრივი ურთიერთობა, წესრიგი და სამართალი განმტკიცდება.

ე) ქონებრივი კეთილდღეობა

ეროვნული ძლიერება და კეთილდღეობა მხოლოდ ეროვნულ სიმდიდრესა და ქონებრივ კეთილდღეობაზე აშენდება. ერის ქონებრივი კეთილდღეობის შესაქმნელად, საქართველოს კანონმდებლობამ უნდა განახორციელოს ყველა ის ეკონომიკური ღონისძიებანი, რომელნიც ეროვნულ-დემოკრატიულ პროგრამაშია ჩამოთვლილი. ამ გზით აყვავდება ჩვენს სამშობლოში მეურნეობა, მრეწველობა, აღებ-მიცემობა და შეიქმნება ეროვნული სიმდიდრე და საერთო ქონებრივი კეთილდღეობა. მიწად-მოქმედებისა და მრეწველობის ასაყვავებლად საჭიროა, რომ სახელმწიფო დაეხმაროს მცხოვრებთ სამეურნეო და ტატეხნიკო სწავლა-განათლების გავრცელებით, ძიმოსვლის გაადვილებით, იაფი სესხის მიწოდებითა

და სხვა ამგვარის დაბმარებით. უმამულო და მცირე მამულიან მეურნეთ სახელმწიფომ უნდა მოუპოვოს საკმაო მიწა, ტყე და საძოვარი. ყოველივე ასეთის საშუალებებით აყვავებულა დაწინაურებულ ქვეყნების ეკონომიკური ცხოვრება.

სოციალისტები მოითხოვენ, რომ კერძო საკუთრება გაუქმდეს და ყოველგვარი სიმდიდრე, ქალაქის და სოფლის მამულები საზოგადო საკუთრებად გადაიქცეს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამის წინააღმდეგია. ადამიანი მთელს თავის ძალღონეს მხოლოდ მაშინ მოახმარს შრომასა და საქმიანობას, როდესაც დარწმუნებული იქნება, რომ ამის ნაყოფი მის უფლებასა და განკარგულებაში დარჩება, მის ქონებრივსა და სულიერ მოთხოვნილებებს მოხმარდება, როდესაც დარწმუნებული იქნება, აგრეთვე, რომ მისი შრომისა და გარჯის ნაყოფი მემკვიდრეობით მის შვილსა და შვილიშვილზე გადავა.

კერძო საკუთრების მოსპობა და ქონების განსაზოგადოებრიობა შეასუსტებს პიროვნების შრომას, მეცადინეობასა და შემოქმედებას. ერი ვეღარ წარმოშობს იმდენ ღირებულებასა და სიმდიდრეს, რამდენის წარმოება შეუძლია მას, თუ კი დაცული იქნება თავისუფალი საქმიანობისა და კერძო საკუთრების უფლება.

კერძო საკუთრების მოსპობა — მოსპობა იქნება პიროვნების თაოსნობისა, ეს იქნება პიროვნების ეკონომიკური შემოქმედების ჩაქრობა, ყველა ეს გამოიწვევს ერის ქონებრივად დაქვეითებას და საზოგადოთ ცივილიზაციის შეფერხებას და თანდათან იმ მდგომარეობამდე მიგვიყვანს, როდესაც ადამიანმა არ იცოდა კერძო საკუთრება, როდესაც ყველანი ერთად სძებნიდნენ ტყეში საზრდოს, ერთად ხარჯავდნენ, ერთად იმშეოდნენ, მაგრამ ერთმანეთის შემყურენი და მოიმედენი, არასოდეს არ იყვნენ სარჩო-საზრდოთი უზრუნველყოფილნი.

დაწინაურებულ ხალხთა მთელი ქონებრივი და უფლებრივი ურთიერთობა კერძო საკუთრების ნიადაგზე განმტკიცდა და კერძო საკუთრების უფლებას ემყარება.

3) ეროვნული და არა კლასიური პარტია

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეროვნული პარტიაა და არა კლასიური. ის არ იცავს და არ მოითხოვს ისეთ რამეს, რაც ერთს რომელიმე წოდებისა ანუ კლასისათვის იქნება

ხელსაყრელი და ერისთვის კი, შესაძლოა საზიანო და საზარალო იყოს. ის საერთოდ ეროვნული სხეულის მთლიან და წესწყობილ ზრდა-განვითარებას ისახავს თავის მიზნად და ეროვნული ცხოვრების თითეულ ნაწილს იმდენად მფარველობს და ხელს უწყობს, რამდენადაც ეს საერთოდ ეროვნული განვითარებისათვის არის ხელსაყრელი. ის მოითხოვს მოქალაქეობრივ თავისუფლებას, ვინაიდან ეს აუცილებელი პირობაა ერის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის, ის მოითხოვს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ უფლებათა კანონით დაცვას და სოფლის მიწის მუშისათვის საკმაო მიწის მიცემას, ვინაიდან შრომა უპირველესი საფუძველია ეროვნული ცხოვრებისა და მიწისა და ქალაქის მუშის დაცვა და მათი აღჭურვა საჭირო საწარმოო და სამუშაო იარაღითა და საშვალებით, ამავე დროს მთელის ერის დაცვა-გამაგრებაა ეკონომიკურად, ნივთიერად, ის მოითხოვს მეურნეობისა და მრეწველობის ხელის შეწყობას, საყოველთაო სწავლა-განათლებისა და წესრიგის დამყარებას, ვინაიდან ეს აუცილებელია ერის ბუნებრივი განვითარებისათვის და მხოლოდ ამ გზით შეიქმნება ეროვნული ძლიერება და კეთილდღეობა.

თ ვ ი თ ო ნ პ რ ო გ რ ა მ ა

I ეროვნული საგანი

ერის ქონებრივი, სულიერი და ფიზიკური ძლიერების შესაქმნელად აუცილებელია პოლიტიკური თავისუფლება.

ეროვნულ ძალთა ზრდა-განვითარება ერს აუცილებლივ პოლიტიკურ უფლების მოპოვებამდე მიიყვანს.

საქართველოს ეროვნული უფლებები

ქართველი ერი მრავალი საუკუნის განმავლობაში ეწეოდა თავისუფალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

1783 წლის ხელშეკრულებით საქართველომ მიიღო რუსეთის მფარველობა (პროტექტორატი). ქართველ ერს უნდა დარჩენოდა საკუთარი კანონმდებლობა და მთავრობა, საკუთარი ხაზინა, ჯარი, სამართალი, ეკლესია.

1801 წლის ეკენისთვის 15 მანიფესტით რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და სრულიად გააუქმა ქართველი ერის სახელმწიფოებრივი უფლებები.

საქართველოს პოლიტიკური უფლებები უნდა იქნას აღდგენილი.

II. პოლიტიკური საგანი

სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის წესი და მოქალაქეთა უფლებრივი ურთიერთობა უნდა შეესაბამებოდეს ერის ეკონომიკურსა და კულტურულ ვითარებას, ერის ბუნებასა და ზნე-ჩვეულებას.

ა) საქართველოს პოლიტიკური ავტონომია

1. უნდა დამყარდეს საქართველოს პოლიტიკური ავტონომია დემოკრატიულ-რესპუბლიკურ საფუძვლებზე აგებული.

2. ავტონომიის კონსტიტუციას შეადგენს თბილისში შეკრებილი საქართველოს ეროვნული კრება.

3. საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრების არჩევაში მონაწილეობას მიიღებს ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირის და ფარულის პროპორციულის ხმის მიცემით.

4. საქართველოს ავტონომიურ კანონმდებლობის მართველობას ექვემდებარება საქართველოს საზღვრებში ცხოვრების ყოველი საგანი, გარდა: ა) ომისა და ზავის საკითხისა, ბ) საგარეო პოლიტიკისა და გ) რუსეთის სახელმწიფოსთან საერთო ბიუჯეტისა, რაც რუსეთის კანონმდებლობის კომპენტენციაში შედის.

შენიშვნა: ქართველი მოლაშქრენი (მილიცია) მშვიდობიანობის დროს სამსახურს საქართველოს საზღვრებში იხდიან.

5. ავტონომიური მართვა-გამგეობა ვრცელდება სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე.

6. საქართველოს ტერიტორიას შეადგენს პროვინციები: ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი, — რომლებიც მრავალ საუკუნეთა სახელმწიფოებრივის, კულტურულის და ეკონომიურის ურთიერთობით

შეკავშირებულ ერთეულს წარმოადგენს. ამ ტერიტორიას დღევანდელის ადმინისტრატიულის დანაწილებით შეიცავს — რუსეთის საქართველოში: თფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათომის ძხარე, სოხუჰის, ზაქათალას, არტაანისა და ოლთისის ოლქები და ჩამონაჭრები, მიწერილი არაქართულ ადმინისტრატიულ ერთეულებზე: ჩრდილოეთი კუთხე აფხაზეთისა, მიწერილი სოჭის ოლქზე (გაგრის უბახი), მტკვრის განაპირა ნაწილი კახეთისა — მიწერილი განჯაზე (ჯერან-ჩუღურის და ქვემო-ყარაიაზის ველები), ქართლის სამხრეთი სანაპიროები — მიწერილი ერევანსა და ყარსზე (ბამბაკი და აბოცი); ხოლო ოსმალეთის საქართველოში: კისკიმი, თორთუმი, ისპირი და ლაზისტანი.

7. აჭარასა და სხვა სამაჰმადიანო საქართველოს, ისე როგორც აფხაზეთსა და საზოგადოთ საქართველოს ყოველ სხვა პროვინციასაც მიეცემა ვრცელი თვითმართველობა. სამაჰმადიანო საქართველოს ყოველი ხნე-ჩვეულება და ადათი, ისე როგორც სარწმუნოებაც, მტკიცედ დაცული და ხელუხლებელი იქნება საქართველოს ავტონომიის კონსტიტუციით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. საქართველოს საზღვრებში დასახლებულ უცხო ეროვნებათა ეროვნულ-კულტურული უფლებები საქართველოს ავტონომიის ძირითადის კანონებით იქნება დაცული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 2. საქართველოს მმართველობა უნდა ზრუნავდეს, რათა ხელი შეუწყოს სამშობლოში დაბრუნებასა და გადმოსახლებას იმ ქართველთა, აბხაზთა, რომელნიც სხვადასხვა დროს გადასახლებულნი იყვნენ ოსმალეთში, სპარსეთში ან სხვაგან, უკეთუ ისინი მოისურვებდნენ სამშობლოში დაბრუნებას.

ბ) მ ო ქ ა ლ ა ქ ე ო ბ რ ი ვ ი უ ფ ლ ე ბ ე ბ ი

1. საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და ქონებრივის მდგომარეობისა უფლებრივად თანასწორია.

შენიშვნა: ისპობა ყოველგვარი წოდებრივი უპირატესობა.

2. ავტონომიური კონსტიტუცია ყოველს მოქალაქეს ანიჭებს ხელუხლებლობას პიროვნებისა და ბინა-სადგომისა, აგრეთვე სი-

ტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, კავშირისა, სინდისისა და მიმოსვლის თავისუფლებისა.

3. ყველა ეს უფლებები შეტანილი უნდა იქნეს ავტონომიის კონსტიტუციაში და დაცული სისხლის სამართლის წესით.

ბ) სამართალი

1. თუ არა სასამართლოს განაჩენით, ისე არავინ არ უნდა დაისაჯოს.

2. მსაჯულებს ირჩევს ხალხი.

3. კანონი და სამართალი ყველასთვის საერთოა.

4. სისხლის სამართლის საქმეებს არჩევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

5. ყოველ მოქალაქეს ნება აქვს პასუხისგებაში მისცეს კანონის დამრღვევი, ვინც უნდა იყოს იგი.

6 მოსამართლეთა გადაყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

7. აჭარასა და საზოგადოთ სამაჰმადიანო საქართველოში ადგილობრივი სამართალი უნდა მოეწყოს თანახმად შარიათის წესისა.

დ) თვითმართველობა

ფართო ადგილობრივი თვითმართველობა საქალაქო და სასოფლო.

ე) სწავლა-განათლება

1. პირველ-დაწყებითი სწავლა უფასო და სავალდებულოა.

2. ფართოდ გავრცელება ავტონომიის ხაზინის ხარჯით საზოგადო, სატეხნიკო-სამეურნეო და საკომერციო სწავლა-განათლებისა.

3. თავისუფლება სასწავლებლების დაარსებისა და სკოლის გარეშე სწავლისა.

4. უნივერსიტეტისა და უმაღლეს სასწავლებელთა ავტონომიური მართვა-გამგეობა.

ბ) ეკლესია

1. საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურია.
2. ეკლესია სახელმწიფოსაგან გაწცალკევებულია.
3. სარწმუნოებრივი მმართველობა ქართველ მაჰმადიანთა, ქართველ კათოლიკეთა, ქართველ გრიგორიანთა და ქართველ ისრაელთა დამოუკიდებელი და ავტონომიურია.

ზ) ფინანსები

1. შემოღება პროგრესული გადასახადებისა (შემოსავლის კვალობაზე) ყოველგვარ შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე.

შენიშვნა: მცირე შემოსავალი გადასახადებისაგან სრულიად თავისუფლდება.

2. არაპირდაპირი გადასახადი პირველსაჭიროების საქონელზე უნდა მოისპოს.

III. ეკონომიური საბანი

კერძო საკუთრების დამყარებამ გზა გაუხსნა ადამიანის შრომას, შემოქმედებას, თაოსნობას და მით განმტკიცდა პროგრესი და ცივილიზაცია.

კერძო საკუთრება ღერძია ხალხთა ეკონომიკური და კულტურული ზრდა-განვითარებისა.

უფლება კერძო საკუთრებისა საფუძველია საზოგადოებრივის წყობილებისა და პიროვნების თავისუფლებისა.

კერძო საკუთრება ხელუხლებელია.

ა) მიწა და მეურნეობა

საქართველოს ავტონომიურმა მმართველობამ უმიმულო და მცირე მამულიან მკვიდრ მიწის მუშას უნდა აღმოუჩინოს საკმაო მიწის შეძენის საშუალება.

ამისათვის:

1. ყოფილ სახაზინო გლეხების ყველა ის მიწები (სახლ-კარი, ვენახი, სახნავ-სათესი, ტყე, საძოვარი, მთა და სხვ.) როგორც საკომლო, ისე საზიარო-სათემო, რომელიც მათ მფლობელობაში იყო

და არის, აღიარებული იქნას სრულს მათ საკუთრებად და მოისპოს ამ მიწებზედ ყოველგვარი განსაკუთრებული (სახელმწიფო საჯარო) გადასახადი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა I: ამავე წესით სამაჰმადიანო საქართველოს მწყა-წყალი, რომელიც რუსეთის ძველმა მთავრობამ სახაზინოდ ჩარიცხა, აღიარებული იქნას ამ მკვიდრთა სრულს საკუთრებათ და მოისპოს აგრეთვე ამ მიწებზე ყოველგვარი განსაკუთრებული გადასახადი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2: ოფხაზეთისა და ზაქათალის მიწის საკითხი უნდა გადაწყდეს თანახმად ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილისა.

2. ყოფილ დროებით ვალდებულ გლეხთა ყველა ის მიწა, რომელიც მათი საკუთვნოა. (სანადელო მფლობელობა) აღიარებულ იქნას სრულს მათ საკუთრებად და მოისპოს ამ მიწებზედ გამოსასყიდი და ყოველგვარი განსაკუთრებული გადასახადი.

3. ბიზნები მოიჯარენი და მცირე მამულიანი მიწის მუშები, დაუბრკოლებლივ ჰფლობდნენ იმ მიწას, რომელიც მათ უჭირავთ. ეს მიწები, თუ კიდევ სხვა ახალი მიწები ავტონომიის ფონდიდან მათ მიეზომებათ და დაუმტკიცდებათ სრულ საკუთრებად იმ ნორმისა და წესით, რომელსაც საქართველოს ეროვნული კრება შეიწყნარებს.

4. ამას გარდა ყველა დანარჩენი: სახაზინო და საუფლისწულო მამულები გადაეცემა საქართველოს ავტონომიას.

5. საქართველოს ავტონომიასვე უნდა გადაეცეს ყოველგვარი სამთამადნო, სამდინარო და სამკურნალო წყლები.

შენიშვნა: სამთამადნო, სამდინარო, წყლები და კერძო და სამკურნალო წყლები და აგრეთვე ისეთი ტყე და მიწა, რომელნიც სახელმწიფოებრივ საჭიროებას შეადგენენ, საქართველოს ხაზინის ხელში უნდა დარჩეს.

6. საქართველოს მმართველობამ იძულებით უნდა გამოისყიდოს საჭიროებისამებრ ხაზინის ხარჯით მემამულეთაგან ნორმაზე მეტი მამულები გამოსყიდვისა მკვიდრ მიწის-მუშის ხელში კერძო საკუთრებად გადაცემის წესი და ფასი უნდა შეიმუშავონ ადგილობრივი ხალხის მიერ არჩეულ პირებმა, რომელთა დადგენილების საბოლოოდ ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

7. მიწის მუშებს ავტონომიურმა მთავრობამ უნდა აღმოუჩინოს ქონებრივი და ტეხნიკური დახმარება დასახლებისა და მეურნეობის მოწყობის საქმეში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იძულებით ჩამორთმეულ მამულებში არ შედიან ბაღები, ვენახები, პლანტაციები და სხვა კულტურული და სამრეწველო მეურნეობით გაშენებული მიწები.

8. სახელმწიფოს ხაზით მიწების მოსარწყავად არხების გაყვანა და ჭაობების დაშრობა და აგრეთვე სხვა ღონისძიებანი მიწის გაწოყიერებისათვის.

9. ფართო და იაფი სამეურნეო სესხი და აგრეთვე მეურნეთა დახმარება აგრონომიულ სწავლა-განათლების გავრცელებით, სახაზინო ინსტრუქტორების დანიშვნით, საცდელი მინდვრებისა, ლაბორატორიებისა და სხვა მეურნეობის გამაუმჯობესებელ დაწესებულებათა მოწყობით.

10. მამულების საყოველთაო გამიჯვნა ავტონომიურ საქართველოს ხაზინის ხარჯით.

11. სახელმწიფოს საშუალებით სოფლად სხვადასხვა დარგის შინა მრეწველობის შექმნა.

ბ) ვაჭრობა და მრეწველობა

1. ავტონომიური მთავრობა უნდა ზრუნავდეს, რომ ხალხისთვის საჭირო ყოველი საქონელი ადგილობრივ მზადდებოდეს.

2. საქართველოს მთავრობა და კანონმდებლობა ხელს უნდა უწყობდეს ეროვნულ მეურნეობისა, მრეწველობისა და აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარებას.

3. უნდა სცდილობდეს მიმოსვლის გაადვილებას და გაიაფებას რკინის გზების და შარა-გზების გაყვანით, მდინარეების გაწმენდით, ნავსადგურების აგებით და ნაოსნობის განვითარებით.

4. უნდა ეხმარებოდეს ეროვნულ მეურნეობას სავაჭრო და სამრეწველო სესხით, საწყობებისა და ელევატორების მოწყობით, ბირჟებისა, სავაჭრო პალატებისა და სხვა ასეთი დაწესებულებათა დაარსებით და საკომერციო-სატეხნიკო სწავლა-განათლების გავრცელებით.

ბ) შრომის უფლება

1. ავტონომიური კანონმდებლობა უნდა სავსებით უზუნველყოფდეს მშრომელთა სამართლიან უფლებებს.

2. მრეწველობისა და ქალაქის თუ სოფლის მუშის შორის ეკონომიკურ ნიადაგზე ჩამოვარდნილ უთანხმოების მშვიდობიან გზით გადასაწყვეტად უნდა დაარსდეს მწარმოებელთა და მუშათაგან არჩეული სამედიატორო სასამართლოები (შემარიგებელი კამერები), რომლებიც დაექვემდებარებიან შრომის სამინისტროს.

3. თავისუფლება გაფიცვისა და კავშირებისა.

4. მუშათა სავალდებულო დაზღვევა უბედურ შემთხვევისა და შრომის უნარის დაკარგვისაგან.

5. საქარხნო-სამრეწველო წარმოებებში სამუშაო დღის შემცირება. უახლოეს დროში 8 საათის სამუშაო დღის შემოღება.

6. ყველა წარმოებაში სანიტარულ და ჰიგიენურ მოთხოვნილებათა დაცვა.

7. აღკრძალვა ბავშვების მუშაობისა ფაბრიკა-ქარხნებში 16 წლამდე და საზოგადოთ მცირეწლოვანთათვის მუშაობის შემცირება.

8. მიწის მუშებს ავტონომიურმა მთავრობამ უნდა აღმოუჩინოს ქონებრივი და ტეხნიკური დახმარება დასახლებისა და მეურნეობის მოწყობის საქმეში.

9. ქალთა და მცირე-წლოვანთათვის მუშაობის სრული აღკრძალვა, სადაც ეს მათის მუშაობისა და აგებულებისათვის მავნებელია.

10. სახელმწიფო ვალდებულია ყოველ მკვიდრს სამუშაო მოუპოვოს.

11. შრომის ინსპექცია, როგორც ქალაქის ისე სოფლის მუშებისათვის.

12. შრომის დაცვის კანონების დარღვევა სისხლის სამართლის წესით უნდა ისჯებოდეს.

ასეთი იყო წერილობითი განაზრახი საქართველოს ე რ ო ვ ნ უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პარტიისა, — წერილობითი... „მწიგნობრობითა ქართულითა“... ხოლო, საქმით?.. საქმით მათ „მესამე დასელებთან“ თითქმის ყოველთვის პასიური ბალანსი ჰქონდათ.

22. „არღარა მოწა, არამედ აზნაური“

მაგრამ ქართულმა ეროვნულმა ძალებმა იმ წელს მაინც შეძლეს განსრულება დიდი, საუკუნის მანძილზე ნაომარი და ნაოცნებარი ეროვნული საქმისა.

ეს იყო ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, რაც დიდის ზარზეიმით და ლოცვა-კურთხევით გამოცხადდა 1917 წლის 12 მარტს.

საეკლესიო ჟურნალი „სვეტიცხოველი“ იუწყებოდა:

„12 მარტი 1917 წლისა ისტორიული დღეა ჩვენს ცხოვრებაში. ამ დღეს კვლავ ფეხი აიდგა მთელი საუკუნის განმავლობაში დატყვევებულმა ჩვენმა ეკლესიამ, საბოლოოდ აიყარა მონობის ბორკილი და დაადგა ახალს გზას განახლებისას და თვის დაჩსაქსულ ძალთა მოკრებისას. ძნელია ეს ახალი გზა. ის მოითხოვს მრავალს ცდას და ღვაწლს ეკლესიის ყველა ერთგულ შვილთაგან. სინოდის რეჟიმმა განსაცდელის კარამდე მიიყვანა ჩვენი მრავალ საუკუნის ისტორიის მქონე ეკლესია, მოადუნა მისი მაცხოვლებელი ენერგია, დაუბნია მას სამწყსო, დაქსაქსა მისი ძალა. 12 მარტის აქტის შემდეგაც ჩვენს ეკლესიას დასჭირდა და კიდევ დასჭირდება მრავალი ბრძოლა მოპოებულ უფლების განსამტკიცებლად. ყველამ იცის, თუ რამდენი დაბრკოლება გადაეღობა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიურ უფლებათა ცხოვრებაში გატარებას 12 მარტის შემდეგ. ბატონობას ჩვეულნი ყოველი ღონისძიებით და სხვა და სხვა შეეწროებით სცდილობდნენ დაწყებული საქმის გაჭიანურებას და მისთვის საბოლოოდ ხელის შეშლასაც. მაგრამ ჩვენი ეკლესიის თავისუფლების საქმე, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, თანდათან წინ მიდიოდა და ახლა უკვე სრულიად მკვიდრ და უტყუარ საფუძველზე დგას.

8 სექტემბერს ტფილისში დაიწყება სრულიად საქათალიკოზოს საეკლესიო კრება, რომელიც დააგვირგვინებს 12 მარტს დაწყებულს საქმეს ეკლესიურ ცხოვრების და მის შინაურ ორგანიზაციის დებულებათა შემუშავებით და ეკლესიის თავის მიერ ამორჩეულ ორგანოებთან ერთად სათავეში ჩაუდგება ჩვენი ეკლესიის აღორძინების საქმეს.

რთულია და მრავალმხრივი ის დანიშნულება, რომელიც ადევს ჩვენს ახლად განთავისუფლებულ ეკლესიას. ამ დანიშნულების პირ-

ნათლად შესრულება მოითხოვს ყველა ჩვენი ძალების შემოკრებას მშობლიურ ეკლესიის გარშემო, რათა საერთო დახმარებით ეკლესიამაც შესძლოს თვისი დადებითი წვლილის შეტანა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მხოლოდ არსებულ ცოცხალ ძალთა შემოკრებით შესაძლებელი იქნება სინოდალურ რეჟიმის ნანგრევებზე ახალ თავისუფალ წყობილების დამკვიდრება სარწმუნოებრივ და ეკლესიურ სფეროში"[93]...

9 სექტემბერს შეიყარა საქართველოს საეკლესიო კრება, რომელმაც მიიღო დამოუკიდებლობის დამფუძნებელი „ძეგლისწერაჲ".

ახლადაღდგენილ და აღორძინებულ, ავტოკეფალური ქართული საქრისტიანოს კათოლიკოს-პატრიარქი შეიქნა დიდებული მამულიშვილი და სწავლული, კირიონ II, რომელმაც ქართველ ერსა და მრევლს მიმართა საგანგებოდ შედგენილი გ უ ჯ ა რ ი თ:

„წილხდომილო დედისა ღვთისაო, ივერიავ, დიდებულო და ღვთივ დაცულო!

„დიდება ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა".

„საქართველოს ეკლესიამ, ასის წლის მონობის შემდეგ, კვლავ ჰპოვა მოწყალება ღვთისა და დაიბრუნა თვისი დამოუკიდებლობა; აძიერიდან „არღარა ვართ მონა, არამედ აზნაურ". ქართველმა ერმა ამა წლის 17 სექტემბერს დამადგინა მე უღირსი ახლად აღდგენილი თვისისა ეკლესიის მწედ და საჭეთმპყრობელად. აღვალ, რა მცხეთის ძველ საპატრიარქო საყდარზედ, მოგმართავთ ყველას მოციქულის სიტყვებით: „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ ყოველთა თანა".

საყვარელო სამწობლო, ღვთის დედის წილხდომილო, ბრძმედსა შინა ტანჯვა-ვაებისასა განწმენდილო! შენთვის ტანჯული, შენგან განშორებული შენთვის მტირალი, მარად შენკენ მოსწრაფებული, დღეს განვისვენებ ტკბილსა წიაღსა შენსა შინა, არა ვითარცა შვილი უძღები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინიდისი ეკლესიისა შენისა, ვითარცა მეხვაიშნე შენი წინაშე ღვთისა და კაცისა. ვიცი, თვალნი გონებისა შენისანი ამ ჟამად ჩემკენ არიან მოქცეულნი, და მეკითხები: რა მომიტანე, რა მალამოსა სცხებ იარებსა ჩემსა, რით მანუგეშებ სევდამოსილსა? ყური მიპყარ: „არა მოველ, რათა

გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა და მიცემად სული ჩემი სახსრად შენდა“ (მთ. 20, 28). მოველ არა ვითარცა მნე სასყიდლით დადგენილი, არამედ ვითარცა მნე ერთგული და მარად მორჩილი და სიყვარულით აღვსილი.

დიდარს, მძიმე და პასუხსაგები საჭეთმპყრობელობა ახლად აღდგენილი ეკლესიისა, მეტადრე ჩვენს აწინდელ მძიმე და გასაჭირ დროში. სხვახი, ჩემზედ უფრო მტკიცენი ხასიათითა და მხნეობითა, მუხლს იდრეკდნენ ამ ფრიად მძიმე ტვირთის ქვეშ. ჰეშმარიტად საღმრთო, დიდ და აღმატებულ არს წმიდაი ესე მსახურება, რომლისათვისაც, — თქმულისაებრ წმიდისა იოანე ოქროპირისა, — „საჭირო არს ძალი და ბუნება ანგელოზთა“; გარნა მადლითა და სასოებითა კაცთმოყვარისა მეუფისაითა, მივიღებ აღრჩევასა ქრისტეს მორწმუნისა ერისასა და მოსრული წინაშე ღვთივაღმართებულისა ამის ბრწყინვალე სვეტისა და კვართისა ცხოველმყოფელისა აღთქმასა ვჰყოფ საღმრთოთა წესთა და სარწმუნოებისა დაცვისათვის, ერთგულებისათვის ამა კათოლიკე ეკლესიისა და თავისა და სულისა დადებისათვის, ვიდრე სისხლის დანთხევამდე ერისა ჩემისა კეთილდღეობისათვის, აღჭურვილი ვარ ცხოველითა სარწმუნოებითა, რომ მეოხებითა და ვედრებითა ყოველთა წმიდათა ივერიის ეკლესიისათა წარმართოს საქმე კეთილად და სადიდებლად ღვთისა: „დიდი თამარი, ღმრთისა ამარი, ჩვენთვის ვედრებად მარად მზად არი“.

განმტკიცება ახლად აღდგენილ ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებათა ფარგლებში, — აი პირველი საზრუნავი. ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი ცხოვრება, ერის გულთან შეთანხმებული; დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი. განთავისუფლებული ეკლესია, პირველყოვლისა განახლებულ უნდა იქმნეს თანამედროვე ცხოვრების საჭიროებათა მიხედვით ყოველ სფეროში და ესრეთ გაცხოველებული კვლავ დაუბრუნდეს ერის მთლიან გვამს, რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთ გვამ და მრჩობლ ვიღვწოდეთ საერთო წარმატებისათვის.

ღელავს და ბობოქრობს მსოფლიო ზღვა, მრისხანეთ ელვარებს ცეცხლი მსოფლიო ომისა, რომელსა შინა „ქვეყანა და საქმენი მისნი დაწვად განმზადებულან“ (2 პეტ. 3, 10). ეხლა უნდა გამოიჭედოს და გარდაიქმნას ბედი სხვა და სხვა ქვეყნებისა, განსაკუთრებით კი პატარა ერებისა, ჩვენი ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად

ქართველ ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობას, ის იყო დროშა, რომლის ქვეშ ღვიოდა ნაპერწკალი ქართველთა თანხმობის იდეისა. ეროვნულ დროშის ქვეშ ქართველი უძლეველი იყო; გასაჭირის დროს ქუდზედ კაცი გამოდიოდა ოჯახიდან და საქართველო თავზარს სცემდა თვის მტრებს, რომლებიც დიდის პატივით ეკიდებოდნენ მამაც ქართველებს. ტყუილად კი არ ამბობდა ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ცნობილი გიორგი მერჩული: „ქართლად ფრიადი ჭვეყახაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. თუ ასე იყო ძველად, დღესაც ვალად აძევს ჩვენს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველ ერისა; მან უნდა ხელი შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვპოოთ შესაფერი და დამსახურებული ადგილი. აი მეორე საზრუნავი ჩვენი!

ჩვენი ეკლესიის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ ის არასოდეს არ ყოფილა საერთაშორისო ურთიერთობის გამამწვავებელ იარაღად და ფანატიკოსობის დამყარების მიზეზად. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ ქართული სახარება, ისრაელების თორა და მაჰმადიანთა ყურანი მშვიდობიანათ თავსდებოდნენ საქართველოში; ეკლესია იყო თავი მიზეზი იმისა, რომ ყველა უცხო ტომი ჩვენში ჰპოულობდა მეორე სამშობლოს და მისთვის სისხლსა ღვრიდა. ერთა შორის ძმურ ურთიერთობის განმტკიცება ახლა უნდა მორიგ საკითხად ჩაითვალოს, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ამ ძმურ განწყობილებას ხელოვნურად არღვევდნენ, ხშირად ძველი საეკლესიო წესწყობილების საშუალებით. განახლებული საქართველოს ეკლესია მიზნად ისახავს კვლავ წამოაყენოს ბევრისაგან დავიწყებული თქმულება: „ერთ არს ღმერთი და მამაი ყოველთა, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩვენ ყოველთა შორის“ (ეფ. IV, 6) და ამ ნიადაგზედ ყველა მეზობელ ერებს ძმურ, შემოქმედებით მუშაობისაკენ მოუწოდოს. აჰა მესამე საზრუნავი ჩვენი!

ეხლა თვალი გადავავლოთ ჩვენს, ქართველ ერის, შინაურ ცხოვრებას. რას დავინახავთ? — ხალხს, ჯეროვან სწავლა-განათლებას მოკლებულს და ამის გამო ეკონომიურად გაღატაკებულს და სოციალურად დაბეჩავებულს. ჩვენი ძველი კულტურა და სწავლა-განათლება ეკლესიათა წიაღში აღმოცენდა. აქ პოულობდნენ ჩვენნი

წინაპარნი სულიერ საზრდოს და კეთილდღეობას. ეკლესია დიდი კულტურული ძალაა და ხალხს გაუწევს ფასდაუდებელ სამსახურს და გაუნათებს მას ცხოვრების უმჯობეს გზას. მღვდელი დღესაც ერთად-ერთი კულტურული ძალაა სოფელში და ჩვენის განახლებულ ეკლესიის საზრუნავია — ეს ძალა ჯეროვან სიმაღლეზე აიყვანოს, ხელი აღუპყრას დაბეჩავებულ ხალხს და დედობრივის გულშემატკივრობით უთხრას მას: „მოვედით ჩვენდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ“ (მთ. XI, 28).

ჰეშმარიტად, როგორც ვხედავთ, „ფრიად არს სამკალი“; ვსასოობ, რომ მე უძლურმან, გარნა ღვთისა კურთხევითა და თქვენის დახმარების და თანაგრძნობის იმედით განმხნევებულმან კეთილად განვლო მოღვაწეობა ჩემი და ჩემის სიცოცხლის დადებამდე ვემსახურო ურცხვინელითა სამსახურითა ჩემს მომწოდებელს ერს.

„ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მოხედენ, უფალო, შეწევნად ჩემდა ისწრაფე“ (ფს. 69, 1). ამინ“[94]...

28. „ოზაკომ“

ხოლო, ნოე ჟორდანია და ძმანი მისნი ამიერკავკასიაში პეტროგრადის მოდელისა და ყაიდის „დროებით მთავრობას“ აკოწიწებდნენ, მაგრამ ეს „კოწიწიც“ უმალვე აღკვეთა თვითონ პეტროგრადიდან დადგენილმა მმართველობამ, სახელწოდებით — „ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატი“, ანუ რუსული აბრევიატურით — ОЗАКОМ (Особый За Кавказский комиссариат).

„ოზაკომის“ შემადგენლობა კი ასეთი იყო: თავმჯდომარე რუსი ხარლამოვი, წევრები ანუ „კომისრები“ — ქართველები, აკაკი ჩხენკელი და კიტა აბაშიძე, სომეხი მ. პაპაჯანოვი და აზერბაიჯანელი მ. ჯაფაროვი.

ამათგან, აკაკი ჩხენკელს რუსეთის რევოლუციის გამოჩენილ რაინდად მიაჩნდა თავი და, თბილისში ჩამოსვლისთანავე, საქვეყნოდ გამოაცხადა კიდეც: თუ რუსეთის რევოლუციას დაღუპვა დაემუქრა, „ტიფლისი“ უმალვე რუსეთის თავრიზად იქცეოდა

(თავრიზის აჯანყებამ რომ მთელი სპარსეთის რევოლუციის სისხლი იტვირთა — იმას მოანიშნებდა ქართველი „განსაკუთრებული კომისარი").

მაგრამ რუსეთში რევოლუციის დაღუპვა კი არა, კიდევ ახალი, უფრო გრანდიოზული, მთელი მსოფლიოს შემარყეველი რევოლუცია მოდიოდა.

მოდიოდა იმიტომ, რომ, რისთვისაც თებერვლის რევოლუცია და მონარქიული ხელისუფლების დამხობა მოჰყვა, ამ რევოლუციის ბამოძრავებელ ძალას — ხალხს, არაფერიც არ მიეცა.

ხალხს უნდოდა პური.

ჯარისკაცს უნდოდა ზავი.

მუშას უნდოდა ქარხანა.

გლეხს უნდოდა მიწა.

და არც ერთმა „თავის რევოლუციით" არაფერიც არ მიიღო.

ახალი, „რევოლუციური მთავრობები" — მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო და დროებითი მთავრობა — ყველაფერს ისევე განაგრძობდნენ, როგორც მანამდე იმპერატორი ნიკოლოზ მეორე: ისევ გრძელდებოდა ომიც, ხალხის უგუნური ექსპლოატაციც, შიმშილიც, უმიწობაც და უქონლობაც.

ასე გრძელდებოდა რუსეთში. ასე გრძელდებოდა რუსეთის კოლონიებშიც, მათ შორის — საქართველოში, პლიუს ყველაფერზე თანდართვით — ახალი, „რევოლუციურ-კოლონიური" უღლით...

და აი, 3 აპრილის ღამით საზღვარგარეთიდან პეტროგრადში დაბრუნდა ლენინი. ფინეთის ვაგზალზე მას აუარებელი ხალხი დახვდა, მათ შორის კავკასიელები — ჩხეიძე, სკობელევი, წერეთელი. ლენინმა ჩხეიძისა და სკობელევის მისალმებას გულგრილად უპასუხა და მუშებითა და ჯარისკაცებით გარშემორტყმული ავიდა ავსნოსან ავტომობილზე, საიდანაც მან წარმოსთქვა სახელგანთქმული სიტყვა — მომასწავებელი ახალი, „სოციალისტური რევოლუციისა". ამ სიტყვის თეზისები („აპრილის თეზისები") ლენინმა ყველაზე წინ წააკითხა კაკი წერეთელს[95], და ამის შემდეგ, მეორე დღეს ამ თეზისების მიხედვით მან მოხსენება გააკეთა ტაურიდის სასახლეში, სოციალ-დემოკრატთა ორივე ფრთის — ბოლშევიკთა და მენშევიკთა გაერთიანებულ საკრებულოზე.

ლეხიხი განსაზღვრავდა მიმდინარე მომენტს რუსეთში: მომხდარმა რევოლუციამ, „პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობისა

და ორგანიზებულობის გამო", ძალაუფლება არგუნა ბურჟუაზიას, ამიტომ უნდა მოხდეს ახალი რევოლუცია, „რომელმაც ძალაუფლება ხელთ უნდა მისცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს"[96]. ლენინმა ისროლა ლოზუნგი: „არავითარი მხარდაჭერა დროებით მთავრობას!" აქვე მან — „ჭეშმარიტი თეთრეულის" გამოცვლის ფორმულით — მოითხოვა, უკვე სახელგატეხილი „სოციალ-დემოკრატიულის" ნაცვლად, პარტიას დარქმეოდა — „კომუნისტური პარტია".

ლენინის აპრილის თეზისებზე პირველი აზრი გამოსთქვა სამმა კაცმა: ერთმა რუსმა და ორმა ქართველმა — გიორგი პლეხანოვმა, კარლო ჩხეიძემ და კაკი წერეთელმა.

პლეხანოვი: ეს „თეზისები" არის ბოდვა!

ჩხეიძე: „რევოლუციის გარეშე მარტო ლენინი დარჩება, ჩვენ კი ჩვენი გზით წავალთ".

წერეთელი: „ეს თეზისები რევოლუციას ემუქრება უდიდესი მარცხით"[97].

მაგრამ სამივე ეს სიტყვა მხოლოდ ინერტულ, უძრავ და უმოქმედო დანაშრევად დარჩება ისტორიას. ხოლო ლენინი, ამ ნათქვამთაგან ნახევარ წელიწადში, თავის განაცხადს, ტიტანური რევოლუციური წიაღსვლებით, სრულიად რეალურ საქმედ აქცევს.

მანამდე კი საქართველო, „ოზაკომის" საშუალებით, ისევ და ისევ პეტროგრადის „დროებითი მთავრობის" საბატონო პროვინცია იყო.

ქართველი მენშევიკები „ოზაკომის" ჩამოსვლას მაინც და მაინც სიამოვნებით ვერ შეხვდებოდნენ, რაკიღა მათ „განუყოფელ მმართველობას" ასე თუ ისე საფრთხე ემუქრებოდა. სინამდვილეში ასედაც იყო: „ოზაკომი" ამიერკავკასიის უზენაეს ხელისუფლებას განახორციელებდა, ანუ იგი, ადგილზე, ისეთივე უმაღლესი წარმომადგენლობა იყო პეტროგრადის „დროებითი მთავრობისა", როგორიც ახლო წარსულში, — კავკასიის მეფისნაცვალი მისი უმაღლესობა იმპერატორისა.

„ოზაკომმა" გუბერნიებსა და მაზრებში ადგილებზე სამმართველოდ თავისი კომისრები დანიშნა.

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის დაწოლამ მესამე დასები — მისი ორივე ფრთა, მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც —

აიძულა ერთხელ კიდევ გაერთიანებულიყვნენ. „ვიდრე ჩვენ ყველანი, ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც, ერთი პროგრამის საფუძველზე ვდგეოართ, ერთნაირად გვესმის ის დიადი ამოცანები, რომელთა შესრულება პარტიამ დააკისრა მეშათა კლასს, ჩვენ კი არ უნდა გავთიშოთ ძალები, არამედ უნდა გავაერთიანოთ და შევქმნათ ერთი ძლევამოსილი ორგანიზაცია", — სწერდა და ამბობდა ფილიპე მახარაძე[98]. ამავე აზრის იყვნენ ბოლშევიკთაგან — ნ. ელიავა, ნ. ჭარცივაძე, ა. ჯაფარიძე და სხვანი.

1917 წლის 12 მარტს შესდგა „მესამე დასელთა" — ბოლშევიკთა და მენშევიკთა საერთო კრება, რომელმაც განიხილა დროებით მთავრობასთან და სხვა პარტიებთან ურთიერთობის საკითხები. მენშევიკები ორივე მხარესთან თანხმობას და ჰარმონიას აცხადებდნენ, ბოლშევიკები კი პირიქით — მათ მიმართ ბოიკოტისა და მტრობის პოზიციაზე იდგნენ.

შინაგანი ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა; ამიტომ „მესამე დასელთა" ერთიანობამ დიდხანს ვერარ გასტანა. ბრძოლა მათ შორის განსაკუთრებით გამწვავდა ჯერ კიდევ მიმდინარე ომისადმი დამოკიდებულების საკითხზე. მენშევიკები „ობორონცობის" პოლიტიკას მისდევდნენ, ბოლშევიკები — „პორაჟენცობისას". და ამავე საკითხში შეურიგებლობისა გამო, ივნისის თვეში საგანგებოდ ცალკე მოწვეულ ბოლშევიკურ კონფერენციაზე დადგენილ იქნა მენშევიკთაგან კვლავ გამოყოფა და გამოთიშვა.

ამის გამო, მენშევიკებმა სასტიკი გმობა გააჩაღეს ბოლშევიკების, — როგორც „გამთიშველებისა" და „დეზორგანიზატორების — წინააღმდეგ. მაშინვე, ისევ ბოლშევიკთა წინააღმდეგ, მენშევიკებმა ბლოკი შეკრეს სოციალ-რევოლუციონერებთან („ესერები").

24. ფერისცვალება პილატე ლანჩხუთელისა

რუსეთში კი ლენინი ახალ რევოლუციას ამზადებდა. 1917 წლის 3 ივნისს მოწვეულ იქნა სრულიად რუსეთის საბჭოების I ყრილობა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა კაკი წერეთელი და განაცხადა:

„ახლანდელ მომენტში რუსეთში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც იტყოდა: მოგვეცით ძალაუფლება, თქვენ წადით და ჩვენ დავიჭერთ თქვენს ადგილს. ასეთი პარტია არ არის“.

„არის!“ — უცებ გაისმა დარბაზიდან ლენინის ხმა.

„არის ასეთი პარტია!“

„ეს არის პარტია ბოლშევიკებისა!“

მაშ, ბოლშევიკთა ბელადი პირველად აცხადებდა საჯაროდ და ქვეყნის საყურადღებოდ უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლების ალების პრეტენზიას.

„ჩვენი პარტია ყოველ წუთს მზადაა აიღოს ძალაუფლება მთლიანად“, — ასე დაასრულა ლენინმა თავისი სიტყვა იმ ისტორიულ დღეს. ისტორიულიც ეს დღე სწორედ ამ სიტყვით გახდა.

და პირველი ცდა ბოლშევიკური გადატრიალებისა და ძალაუფლების ალებისა მოხდა 3 ივლისს, დიდი პოლიტიკური დემონსტრაციით. მაგრამ ამჯერად ისინი დამარცხდნენ. დროებითმა მთავრობამ დემონსტრაცია დახვრიტა. ბოლშევიკური გაზეთის“, „პრავდის“ რედაქცია და სტამბა „ტრუდი“ დაარბია; ყველაზე აქტიური რევოლუციონერები შეიპყრო, გააციმბირა, ან ფრონტზე, სიკვდილის ხაზზე გაამწესა.

ამავე დროს, დროებითმა მთავრობამ განიზრახა სახელი გაეტეხა ლენინისათვის და ბოლოს და ბოლოს სასამართლო პასუხისგებაშიც მიეცა იგი. საამისოდ უნდა გამოეყენებიათ ვინმე პრაპორჩიკ ერმოლენკოს დასმენა, რომლითაც ლენინი ცხადდებოდა როგორც გერმანიის საიდუმლო სამსახურისაგან მოსყიდული ჯაშუში. ამ ცნობის გაზეთებში გამოქვეყნებას და ბოლშევიკთა ლიდერის გაბიაბურებას დროებით მთავრობაში განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვდნენ ლვოვი, ტერეშჩენკო და ნეკრასოვი. მაგრამ კაკი წერეთელმა ააღებინათ ხელი ამ განზრახვაზე. ეგ დასმენა, როგორც დოკუმენტი, ძალიან ზერელე და არასერიოზული ხასიათისა არისო, — უმტკიცებდათ წერეთელი, ვითარცა იურისტი. მერე, კარლო ჩხეიძეს შეხვდა ცალკე და იმას ესაუბრა წერეთელი, „როგორც ქართველი ქართველს“, — შენც მომეხმარე და ნუ გამოვაქვეყნებინებთ ლენინის დამამცირებელ დოკუმენტს პრესაშიო. და უცებ კიდევ ახალი „აღმოჩენა“: წერეთელზე აღრე ჩხეიძესთან მისულა „ძალზე აღელვებული სტალინი“ და უთხოვნია: შენი, როგორც

საბჭოს თავმჯდომარის და წერეთლის, როგორც მთავრობის წევრის სახელით, სთხოვე გაზეთთა რედაქციებს ნუ გამოაქვეყნებენ ლენინის შეურაცხმყოფელ მაგ დოკუმენტსო. და მანამ არ მოეშვა თურმე სტალინი, სანამ სიტყვა არ ჩამოართვა (როგორც „სიტყვა ქართველისა ქართველისადმი“).

და ასე გადაწყდა ამ სამი ქართველისაგან (სამივეს რომ ქართველობის გახსენებაც ეზიზღებოდათ), არავითარი ჩრდილი არ მისდგომოდა ძომავალი სოციალისტური რევოლუციის ბელადს და მესაჭეს[99].

მაგრამ დროებითმა მთავრობამ, ივლისის აჯანყებასთან დაკავშირებით, მაინც გასცა ბრძანება ლენინის დაპატიმრების შესახებ. ბოლშევიკებმა მოასწრეს და თავისი ბელადი არალეგალურ ცხოვრებაზე გადაიყვანეს.

„ოზაკომიც“ მაშინვე აჰყვა პეტროგრადის მთავრობის განკარგულებას და ამიერკავკასიის საძიებო ორგანოებს ადგილებზე ასეთი დირექტივა დაუგზავნა:

„პეტროგრადის საგამომძიებლო ხელისუფლების დადგენილებით დაპატიმრებული უნდა იქნეს ულიანოვი ლენინი, როგორც ბრალდებული 3—5 ივლისის პეტროგრადის შეიარაღებული გამოსვლის საქმეზე. ამიტომ, თქვენ გევალებათ გასცეთ განკარგულება ამ დადგენილების დაუყოვნებლივ შესრულებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული პირი გამოჩნდება თქვენდამი რწმუნებულ ოლქში. შედეგების შესახებ გვაცნობეთ“[100].

მაშ, ლენინს ეძებდნენ კავკასიაშიც, საქართველოში... ხოლო იგი ამ დროს ცხოვრობდა რაზლივში, ბოლშევიკთა — მათ შორის ქართველთა (სტალინი და ორჯონიკიძე) — განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ.

თვითონ ამიერკავკასიის ბოლშევიკებს კი არალეგალურ ცხოვრებაზე გადასვლა არ დასჭირვებიათ...

1917 წლის 26 ივლისს პეტროგრადში არალეგალურად გაიხსნა ბოლშევიკთა პარტიის VI ყრილობა. ამ ყრილობაზე ამიერკავკასიის დელეგატები იყვნენ: იაკობ სვერდლოვი, აბელ ენუქიძე, სერგო ქავთარაძე, ალიოშა ჯაფარიძე, ს. ეფენდიევი, ა. იუსუფზადე.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა სტალინმა. მან დაწვრილებით დაახასიათა ქვეყნად შექმნილი ვითარებანი და დასახა

პარტიის მოქმედების ახალი გზები, სახელდობრ — კურსი შეიარაღებული აჯანყებისაკენ, არსებული ხელისუფლების დამხობა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

სტალინის მოხსენებიდან პირდაპირ გამოდიოდა ყრილობაზე მიღებული რეზოლუცია.

რუსეთის ბოლშევიკთა VI ყრილობას გამოეხმაურნენ კავკასიელი ბოლშევიკებიც, რომლებიც 2 ოქტომბერს, თბილისში, შეიკრიბნენ პირველ სამხარეო ყრილობაზე. ესწრებოდა 29 დელეგატი — 26 გადამწყვეტი და 3 სათათბირო ხმით. მოხსენებებით გამოვიდნენ: ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე, ა. მიქოიანი, ვ. ორახელაშვილი, მ. ტოროშელიძე, ა. ათარბეგოვი, ს. თოდრია და სხვები. ილაპარაკეს პარტიის VI ყრილობის შინაარსზე და მიმართულებებზე, მიმდინარე მომენტზე, მომავალ დამფუძნებელ კრებაზე, ეროვნულ და აგრარულ საკითხებზე. დაბოლოს, არჩეული იქნა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, შემადგენლობით: ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ფ. მახარაძე, გ. ყორლანოვი, ი. ფიოლეტოვი[101].

ხოლო, შეიარაღებული აჯანყება და ლენინური სოციალისტური რევოლუცია, პეტროგრადში, მოხდა 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს). დროებითი მთავრობა დაემხო. ზოგიერთი მისი წევრი დაპატიმრებას გაექცა (მათ შორის, კერენსკი ქალის კაბით, წერეთელი მეზღვაურის ტანსაცმლით — რაკიღა „ეს ვაჟკართველი“ დედაკაცის სამოსელს ვერ იკადრებდა). რუსეთის ყოფილი მონარქიის უმაღლესი ძალაუფლება ახლა ხელთ ეპყრა ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინს, რომელმაც ხალხს უმალვე შეუსრულა რასაც შეჰპირდა. 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს), საგანგებოდ შეყრილ საბჭოების II ყრილობაზე მან გამოაცხადა დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ. მეომარ მხარეებს წინადადება ეძლეოდათ სასწრაფოდ დაედოთ სამთვიანი დაზავება, ზავის საბოლოო ვარიანტის დასადგენად და ომის გასათავებლად. მიწის დეკრეტით კი უქმდებოდა მიწებზე მემამულური საკუთრება და მთელი მიწათა ფონდი უსასყიდლოდ გადადიოდა გლეხობის ხელში.

მაშ, ყველაფერი ხალხისთვის, მშრომელი მასებისთვის!
ძირს ომი!

გაუმარჯოს ზავს — უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ!
მიწა — გლეხს!

ქარხანა — მუშას!

ომი სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს!

ვის, როდის და სად გაუღია ამდენი სიკეთე მარად ლუკმაზე და მშვიდობაზე მეოცნებე ხალხისთვის?!

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა „მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები“, სადაც ახლა სრულ უმრავლესობას შეადგენდნენ ბოლშევიკები.

შეიქმნა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო — თვითონ ლენინის თავმჯდომარეობით.

ხოლო სახალხო კომისრები:

საშინაო საქმეთა — ა. ი. რიკოვი;

საგარეო საქმეთა — ლ. დ. ბრონშტეინი (ტროცკი);

მიწათმოქმედებისა — ვ. პ. მილიუტინი.

შრომისა — ა. გ. შლიაპნიკოვი;

სამხედრო და საზღვაო — კომიტეტით: ვ. ა. ოვსეენკო (ანტონოვი) ნ. ვ. კრილენკო და პ. ე. დიბენკო;

ვაჭრობისა და მრეწველობისა — ვ. პ. ნოგინი;

სახალხო განათლებისა — ა. ვ. ლუნაჩარსკი;

ფინანსებისა — ი. ი. სკვიარცოვი (სტეპანოვი);

იუსტიციისა — გ. ი. ოპპოკოვი (ლომოვი)

სასურსათო საქმეთა — ი. ა. ტეოდოროვიჩი;

ფოსტა-ტელეგრაფისა — ნ. პ. ავილოვი (გლებოვი);

ნაციონალურ საქმეთა — ი. ბ. ჯუღაშვილი (სტალინი)...

ამიერკავკასიაში კი პეტროგრადის ამბები შემთხვევით და დროებით მოვლენად შეაფასეს. თბილისში მოწვეულ იქნა სოციალ-დემოკრატთა და სოციალ-რევოლუციონერთა სხდომა, რომელზეც ნოე ჟორდანიამ ორჭოფული სიტყვა წარმოსთქვა პეტროგრადის ბოლშევიკური გადატრიალების გარშემო. ბოლშევიკების გამოსვლა შედეგია დემოკრატიული საწყისებიდან პროლეტარიატის იზოლაციისაო; ეს აშკარად დემოკრატიის გაყოფააო; საბოლოო ანგარიშით, — „როგორც გამარჯვება, ისე დამარცხება ბოლშევიკებისა კონტრრევოლუციის ზეიმამდე მიგვიყვანსო“[102].

ჟორდანიას სიტყვიდან გამომდინარე, მენშევიკთა ხმების უმრავლესობით (ესერებმა და ბოლშევიკებმა თავი შეიკავეს), მიღებულ იქნა რეზოლუცია:

„ბოლშევიკების გამოსვლა პეტროგრადში, მისი დროებითი წარმატების ან ძალით სასწრაფოდ ჩახშობის შემთხვევაში კონტრრევოლუციის წარმატებასა და მოპოვებული გამარჯვების დაღუპვას გამოიწვევს. რევოლუციის ინტერესები გვიკარნახებს რევოლუციური დემოკრატიის ყველა ძალებთან შეთანხმებით აჯანყების მშვიდობიანი ლიკვიდაციის აუცილებლობას, დემოკრატიული ძალაუფლების შექმნის სულისკვეთებით, საცენზო ელემენტების გარეშე, დამფუძნებელი კრების დანიშნულ დროზე მოწვევის პირობით[103].

კავკასიის ბოლშევიკები კი, ბუნებრივად, აღტაცებით შეხვდნენ პეტროგრადის ახალ რევოლუციას. 26 და 27 ოქტომბერს რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო და ფრონტის სამხედრო ორგანიზაციების კონფერენციებმა მისალმებები და მილოცვები გაუგზავნეს ლენინს და პეტროგრადის ლენინურ ხელისუფლებას[104].

ნოე ჟორდანია კი თავისას განაგრძობდა.

28 ოქტომბერს, იგი თბილისის საქალაქო სათათბიროს სხდომაზე გამოვიდა სიტყვით, და აქაც გაიმეორა: ბოლშევიკების ეს შეთქმულებრივი გამოხდომა მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა აღიკვეთოსო. ისედაც, პეტროგრადის აჯანყება თავის უკანასკნელ დღეებს ითვლისო[105].

ამას ამბობდა ჟორდანია პეტროგრადის გადატრიალების მესამე დღეს. მაშასადამე, ბოლშევიკთა მარცხიან დასასრულს იგი წუთი-წუთს ელოდა და ამის გამო „დიდ წუხილსაც“ გამოთქვამდა.

მაგრამ ერთი კვირა კიდევ გავიდა და ბოლშევიკები ძალაუფლების სათავეში კიდევ იყვნენ. ჟორდანიამაც კიდევ წარმოსთქვა სიტყვა, — ახლა ესერთა და ესდეკთა მუშათა სექციის სხდომაზე, 1917 წლის 2 (25) ნოემბერს. პეტროგრადის ამბებს ჩვენი მუშები ჭ'შვიდად შეხვდნენო, — ამბობდა იგი — მხოლოდ თბილისის გარნიზონში იყო ცოტაოდენი მღელვარებაო, ისიც ზოგიერთი ბოლშევიკი სამხედრო პირის აგიტაციითო. ხოლო, როცა სამხედრო ბოლშევიკები პეტროგრადის ამბებს მხარს უჭერენ, სამაგიეროდ „ად-

გილობრივი" „სამოქალაქო" ბოლშევიკები წინააღმდეგი არიანო. პეტროგრადში ჯარისკაცებს წინ მაინც მუშები მიუძღვიან, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციას სამხედრო ბუნტის მნიშვნელობა მიეცემაო. ჩვენში, ამიერკავკასიაში სამოქალაქო ომიც დაუშვებელია, რადგან იგი მაშინვე ნაციონალური ომის ხასიათს მიიღებსო. პეტროგრადში ყოველ გამოსვლას სათავეში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები უდგანან, ჩვენთან კი, თბილისსა და ბაქოში, ხშირად გამოსვლას აწყობენ საბჭოების გვერდის ავლით და ეს იწვევს ანარქიას და დეზორგანიზაციასო. მაგალითად, ასე იქცევიან ბოლშევიკები, რომლებიც — იმის მაგივრად, რომ თუნდაც პირველობისათვის იბრძოდნენ საბჭოების შიგნით — პირდაპირ თვითონ საბჭოებს ებრძვიანო. არა და, ჩვენში ძალაუფლებისათვის ბრძოლას ისედაც არავითარი აზრი არა აქვს, რადგან ძალაუფლება უკვე ჩვენს ხელშია; ჩვენ კი ყოველთვის მოვითხოვდით და დღესაც მოვითხოვთ, რომ უმაღლეს ხელისუფლებაში წილი უნდა ედოს სრულ დემოკრატიას, ყველა პოლიტიკურ პარტიას და ფრაქციას, მათ შორის ბოლშევიკებსაც[106].

ამას ამბობდა ჟორდანია და, რუსეთისაგან დამოუკიდებლად რაიმე რადიკალურის გადაწყვეტას მაინც უფრთხოდა (ის ხომ არ იყო რისკის კაცი, ვთქვათ ორჯონიკიძესავით, მით უმეტეს ჯუღაშვილივით. ჟორდანია „თუ"-სა და „ვაი თუ"-ს კაცი იყო). მაგრამ პეტროგრადიდან მისი დამამშვიდებელი არაფერი ისმოდა. რაც დღე მიდიოდა, ისე ეტყობოდა, რუსეთი თითქოს კავკასიისთვის ვეღარ იცლიდა.

და იქნებ დრომდე მაინც — სანამ რუსეთი „მოიცლიდა" — თვითონ მიეხედათ თავის თავისთვის კავკასიელებს?!

და აი, 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში შედგა საკრებულო ყველა სოციალური და ნაციონალური ორგანიზაციის, ყველა პოლიტიკური პარტიის, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენლებისა.

ტრიბუნაზე იდგა ნოე ჟორდანია:

„უკვე 100 წელია, ამიერკავკასია მუშაობს რუსეთთან ხელიხელჩაკიდებული, მასთან განუშორებლად დაკავშირებული. ახლა კი ჩვენ თავს დაგვატყდა უბედურება: რუსეთთან კავშირი გაწყ-

და და აბიერკავკასია დარჩა მარტოდმარტო. ჩვენ უნდა დავდგეთ ბაკუთარ ფეხებზე და ჩვენ თავს ჩვენვე მივხედოთ, ანდა ანარქიაში ჩავიღუპოთ.

ფინანსებსაც და პურსაც ამიერკავკასია ყოველთვის ღებულობდა რუსეთიდან. ამ მომენტში კი (რუსეთის) ცენტრალური ხელისუფლების იმედად ვეღარ ვიქნებით, რადგან იგი აღარ არსებობს. სახელმწიფო მიდის ფინანსიური კრახისკენ. ოქროს მარაგი მოსკოვში დაპყრობილია ბოლშევიკთაგან. ამიერკავკასიაში ფულის ნიშნები იწურება, რადგან ჩვენ ბევრს ვყიდულობთ ჩვენი ოლქის გარეთ. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება ამიერკავკასიაში არმიის დგომით, რადგან მის საკვებად არაფერი გვაქვს.

აუცილებელი საჭიროებაა შეიქმნას ძალაუფლება, რომელიც ამიერკავკასიას გამოიყვანს კატასტროფული მდგომარეობიდან. (რუსეთის) ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაცია, მიუხედავად ჩვენი ცდებისა, ჭიანურდება, საჭირო ხდება ადგილზევე შეიქმნათ სამხარეო ხელისუფლება, რომელიც ჩვენს მხარეს მიიყვანს (რუსეთის) დამფუძნებელ კრებამდე, ან ავტორიტეტული ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნამდე"[107].

და იმ დღეს გამოცხადდა ახალი ხელისუფლება — ამიერკავკასიის კომისარიატი, — რომელიც ცვლიდა ისედაც ფუნქციადაკარგულ „ოზაკომს".

კომისარიატის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ეგეგნი გეგეჭკორი;

კომისრებად:

შინაგან საქმეთა — აკაკი ჩხენკელი;

იუსტიციისა და განათლებისა — შალვა ალექსი-მესხიშვილი;

სამხედრო და საზღვაო — დ. დონსკოი;

ფინანსთა — ხ. ხარჩიკიანი;

საზოგადოებრივი მეთვალყურეობისა — ა. ოგანოვჯიანი;

გზათა — მელიქ-ასლანოვი;

ვაჭრობა-მრეწველობისა — მ. ჯაფაროვი;

სურსათის — ტერ-ყაზარიანი;

მიწათმოქმედებისა — ა. ნერუჩევი.

სახელმწიფო კონტროლისა — ჰასან-მამედოვი.

მალე, მომდევნო წლიდან, შინაგან საქმეთა კომისრის პოსტს დაიჭერს ნოე რამიშვილი, სამხედრო-საზღვაო კომისრისას - - ვლადიმერ გობეჩია...

(და პირველნი, ვინც არ ცნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ხელისუფლება, — იყვნენ ლანჩხუთელი ბოლშევიკები, რომელთაც საგანგებო კრებაზე დაადგინეს: „ჩვენ მხარი ენდა დავუჭიროთ ოსეთის მუშების და გლეხების მთავრობას და არა ხალხის დაუკითხავად შედგენილ კონსტრევოლუციურ მთავრობას“)[104].

მაშ, ახლად არჩეული „კომისარიატი“ ამიერკავკასიის ხალხთა აერთო მთავრობა იყო. ხოლო ამ ხალხებს, ყველას ცალკეულად, თავთავისი ეროვნული საბჭოები ჰქონდათ, — ყველას.. ქართველებს გარდა (!).

დიახ, ამიერკავკასიაში ყველა ხალხს — სომხებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს, ბერძნებს, აისორებსაც კი — თავისი ნაციონალური საბჭო კარგა ხანია აქვთ. ქართველებს კი, ამ „მსოფლიო მოქალაქეებს“ როგორ ეკადრებათ „ნაციონალისტობის კედლებში“ ჩაიკეტონ და ჩაიხრჩონ! „ნაციონალური“, „ეროვნული“ — ამაზე ფიქრი და ლაპარაკი ხომ ჩამორჩენილობაა და სხვა არაფერი!

ასეთია „მესამე-დასური“ შეფასება საერთოდ.

მაგრამ სხვებს რომ ჰქონიათ ეს „ეროვნული საბჭოები“? სხვებს, „უცხოებს“, — მაშასადამე, რაღაც მაინც „საუცხოო“ უნდა იყოს შიგ! ამიტომ საჭიროა თვითონაც შექმნას „უცხოთმოყვარე“ ქართველმა ხალხმა თავისი „ეროვნული საბჭო“; რასაკვირველია, ისე უნდა შექმნას, რომ „ნაციონალისტობა“ არავინ დააბრალოს (სულ ასე, „სხვისგან დაბრალების“ შიშის ქვეშ უნდა იცხოვროს ქართველმა კაცმა!).

მაინც და მაინც, თუ ეროვნული საბჭოს შექმნა და ამისთვის ეროვნულ-დამფუძნებელი ყრილობის მოწვევა სინამდვილედ უნდა ქცეულიყო, ბუნებრივად ეს საქმე უნდა ეტვირთათ და განეხორციელებიათ საქართველოს ეროვნულ პარტიებს, წინაალმდეგ მესამე-დასელებისა. ამ საქმის საქმედ ქცევისათვის თავი უნდა გამოეღოთ ყველას, ვინც ილიას სიკვდილის შემდეგ, აგერ, მთელი ათი წელიწადი „ილიელობდა“, სულ ერთი იყო ვინ იქნებოდა ეს — ფედერალისტი, ეროვნულ-დემოკრატი, პარტიული თუ უპარტიო

„ნაციონალისტი“, — ყველა, თვინიერ რომელიმე „ესდეკისა“, „მესამე-დასელისა“, „მენშევიკისა“ თუ „ბოლშევიკისა“.

მაგრამ ისევ სრულიად უცნაურად მოხდა ამ „უცნაურ ქართველობაში“: რასაც ამ ათი წლის განმავლობაში ეროვნული პარტიები ხმის ჩახლეჩამდე და ჰუცლის ჩახევამდე გაჰყვიროდნენ, მისი საქმედ ქცევა იკისრეს სწორედ „მესამე-დასელებმა“.

სწორედ მათი ინიციატივით, წინასწარ შედგა ინტერპარტიული საბჭო, საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლობით, რომელმაც 1917 წლის 20 ნოემბერს მოიწვია საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი ყრილობა. და მთავარი მოხსენებითაც ამ ყრილობაზე გამოვიდა ისევ და ისევ „მესამე-დასელი“, თვითონ „დასის“ ბელადი, პირადად „დიდი ნოე“, საქართველოს „პატარა მარქსი“.

— ჩემი მოხსენების სახელი იქნება — „მიმდინარე მომენტი და ქართველი ხალხი“ — ლაპარაკობდა ნოე ჟორდანია. მიმდინარე მომენტის ქვეშ იგულისხმება რუსეთში მიმდინარე პროცესები. ჩვენი ინტერესები კი რუსეთის ინტერესებზეა გადაბმული. ამიტომ ჩვენი ხალხის მდგომარეობის სარკვევად ყოველთვის გამოვდივართ რუსეთის მდგომარეობიდან. „ნათელია, რომ ჩვენ ახლაც იმ ნიადაგზე ვრჩებით, რომელზედაც ვიდექით ადრე, სახელდობრ რუსეთთან ერთიანობის ნიადაგზე“.

ასი წელი გავიდა რუსეთთან ჩვენი შეერთებისა, რაც ნაკარნახევი იყო ისტორიული დილემით: ან აღმოსავლეთი, ან დასავლეთი. და ჩვენმა წინაპრებმა არჩიეს დასავლეთი. ხოლო, დასავლეთისაკენ მიმავალი გზა რუსეთზე იდო, და საქართველოც, სავსებით ბუნებრივად, შეუერთდა რუსეთს.

რუსეთთან შეერთების სახელშეკრულებო მთავარი პირობა კი ეს იყო: რუსეთის მფარველობაში შესულ საქართველოს უნდა დარჩენოდა შინაურ საქმეებში თვითმმართველობის უფლება. ამ პირობიდან პირველი (შეერთება) შესრულდა, მეორე (თვითმმართველობა) — არ შესრულდა.

ამ ასი წლის მანძილზე მრავალი გასაჭირი და უბედურება გადავიტანეთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენში, არასდროს, „არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ მოუთხოვია გამოყოფა რუსეთისაგან“, — რადგან ეს მომასწავებელი იქნებოდა აღმოსავლეთის წი-

ნაშე ჩვენი მუხლებზე დაცემისა. ჩვენში ყველა ქარტია ერთი გზით მიდიოდა — ადგილობრივი ცხოვრების პირობები შეეცვალა რუსეთის დახმარებით. „განსხვავება მღგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ არისტოკრატია ყველა მიზნის მიღწევას ცდილობდა რუსეთის ტახტისა და გაბატონებული კლასების დახმარებით, დემოკრატიამ კი თავისი ბედი დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიის ბედს“.

ისტორიამ დაადასტურა ამ მეორე გზის სისწორე. რუსეთის დემოკრატია აჯანყდა და დაამხო ძველი წესწყობილება, დაღეწა საუკუნოვანი მონობის ბორკილები და ყოველ ცალკე ხალხს საშუალება მისცა თვითონ, დამოუკიდებლად გამოსჭედოს თავისი ბედი და მომავალი ცხოვრების საფუძვლები. „და აი ახლაც ჩვენს წინაშე დგას იგივე დილემა, რომელიც ასი წლის წინათ იდგა ჩვენი წინაპრების წინაშე: ისევ მივმართოთ დასავლეთს, მაშასადამე რუსეთს, თუ შემოვბრუნდეთ აღმოსავლეთისკენ?“

უნდა განვიხილოთ, როგორ მოვხვდით ჩვენ ამ ჩიხში. შევაფასოთ მიმდინარე მომენტი და ჩვენი პოზიცია მასთან დაკავშირებით.

დღევანდელ მომენტს განაპირობებს ორი მთავარი მოვლენა — ომი და რევოლუცია...

...რუსეთში ამ წელს მოხდა ორი რევოლუცია. პირველმა (თებერვლის) მთელი რუსეთი გააერთიანა, მეორემ (ოქტომბრის) კი — რუსეთი დააქუცმაცა და მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილები ერთმანეთს სამტროდ დააჯახა. თქვენთვის ცნობილია, რომ ამჟამად ცენტრალურ რუსეთში დიდი უწესრიგობაა, რომ არ არსებობს ყველასათვის ერთნაირად აღიარებული ერთი მთავრობა.

პერიფერიები ცენტრს მოწყდნენ და ახლა ყველა თავისი საკუთარი ძალებით თავის თავს ჰხედავს. უკვე ცალცალკე ჩამოყალიბდა უკრაინის, დონის, ყუბანის, მთიელების და სხვათა რესპუბლიკები.

როგორც გადმოგვცემენ, ამ გზით მიდის ციმბირიც, რომელიც ორადაც იყოფა და ორ რესპუბლიკას ქმნის. „ასეთივე აუცილებლობის წინაშე ვდგავართ ახლა ჩვენც, ამიერკავკასიის მცხოვრებნი და კერძოდ — ქართველი ხალხი“.

მაგრამ ჩვენ მაინც და მაინც არ შეგვიძლია რუსეთის მფარველობის გარეშე არსებობა. ჩვენ ომის ხაზზე ვართ. ჩვენ ძალა არ შეგვწევს ურუსეთოდ ოსმალეთის შეკავებისა და ვიმყოფებით ისევ აღმოსავლეთის ტყვეობის საფრთხის ქვეშ. ჩვენ, დამოუკიდებლად,

არც ომის წარმოება შეგვიძლია, არც არმიის კვება და სხვ. ამიტომ ჩვენ დაინტერესებული ვართ აღსდგეს რუსეთში ცენტრალიზებული ხელისუფლება, რომელიც ხელში აიღებს ომის სადავეებს.

„ამგვარად, ჩვენი ორიენტაცია რჩება წინანდებური და ჩვენ განვაგრძობთ რუსეთთან ერთიანობის ნიადაგზე დგომას"...

...ჩვენი ვალია, ვიზრუნოთ რუსეთის ხელისუფლების აღდგენაზე და განმტკიცებაზე. ამისთვის საჭიროა ჩვენვე განვიმტკიცოთ თავი, ადგილებზე, რუსეთის პერიფერიებში. აქ — ამიერკავკასიაში. უნდა შევქმნათ ადგილობრივი ორგანო — სეიმი.

მაგრამ ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრის გარდა, უნდა გვქონდეს ნაციონალური ძალების გამაერთიანებელი ორგანოც. ასეთი იქნება ხაციონალური, ეროვნული საბჭო, რომელსაც ჩვენ დღეს ვქმნით, სომხებს და თათრებს კი ადრევე შეუქმნიათ.

ამას გარდა ჩვენ მივისწრაფით იქითკენ, რათა რაც შეიძლება მალე შევქმნათ ნაციონალური ჯარი (ტაში).

და ყველაფერი, რასაც ჩვენ აქ, ადგილზე გავაკეთებთ, უნდა ემსახურებოდეს რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების აღდგენას.

რუსეთის უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას. მაგრამ თუ რუსეთში ანარქია არ შეწყდა, დამფუძნებელი კრების მოწვევა შეუძლებელი გახდება და მაშინ ჩვენ იძულებული გავხდებით, დამფუძნებელი კრება მოვიწვიოთ აქვე და მივიღოთ ჩვენი კონსტიტუცია (ხანგრძლივი ტაში, რომელიც გადადის ოვაციაში).

ამ საქმეში არც აჩქარება ივარგებს, არც დაგვიანება. რა მისცა რუსეთს აჩქარებამ — თვითონვე ჰხედავთ: აჩქარებით მოხდა მეორე რევოლუცია და სისხლში იხრჩობა ახლა იგი...

...მაინც რა პლატფორმით და მოთხოვნებით უნდა წარვუდგეთ ჩვენ რუსეთის დამფუძნებელ კრებას?

ჩვენთან ყოველ პოლიტიკურ პარტიას თავისი პროგრამა აქვს, მაგრამ საერთო, „ინტერპარტიულ საბჭოზე ჩვენ შევთანხმდით ცნობილ მინიმუმზე: ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რათა საქართველოს მიეცეს სრული ადგილობრივი თვითმართველობა, მას უნდა ექნეს უფლება თავის ადგილობრივ საქმეთა მიხედვით გამოსცეს თავისი საკუთარი კანონები (ოვაციები). მას უნდა ჰყავდეს თავისი ადმინისტრაცია. თუ იმ დროისათვის რუსეთში იქნება მუდმივი

ჯარი. აქაც უნდა იდგას ჩვენი ჯარი (ტაში), თუ დადგენილი იქნება სისტემა სახალხო მილიციისა, ჩვენთანაც უნდა შეიქმნას საკუთარი მილიცია (ტაში). ჩვენ უნდა გვექნეს ჩვენი სასამართლო, ჩვენი სკოლები, ერთი სიტყვით, უნდა მოხდეს ყველა ჩვენი დაწესებულების ნაციონალიზაცია (ერთიანი და ხანგრძლივი ტაში)"...

„ამგვარად, ჩვენი თვითგამორკვევა ახლაც ისეთივეა, როგორიც იყო ასი წლის წინათ. აქ ჩვენ არ შეგვეძლო დავშორებოდით ჩვენს წინაპრებს და ახლა ვფიქრობთ იგივეს და მოვითხოვთ იგივეს: ჩვენ გვინდა დავრჩეთ რუსეთის საზღვრებში და გვინდა მივაღწიოთ ადგილობრივ თვითმართველობას. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მაშინ ამ თვითმართველობის მატარებელნი და მეთაურნი იყვნენ ქართველი მეფენი, ახლა კი მათ ნაცვლად არის ქართველი ხალხი, ქართული დემოკრატია (ხანგრძლივი და ერთსულოვანი აპლოდისმენტები, რომელიც გადადის მჭუხარე ოვაციებში)".[109]

ასეთი იყო ნოე ჟორდანიას სიტყვა 1917 წლის 20 ნოემბერს — სიტყვა, რომელსაც ხელს მოაწერდა ილია ჭავჭავაძეც, არჩილ ჯორჯაძეც, ყველა ქართველი „ავტონომისტიც" და „ნაციონალისტიც".

ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნაში ჩვენ ჩვენ წინაპრებს მივდევთო, — ამას ამბობდა ახლა „მესამე დასის" ლიდერი, რომელიც ადრე თავგამოდებით ამტკიცებდა, ჩვენს წინაპრებს და ჩვენს ხალხს ისტორიაში „ნაციონალური კითხვა" საერთოდ არ ჰქონიათ და ამაზე თავსაც არ იწუხებდნენო.

ნაციონალური ავტონომია ილიასთვის პროგრამა-მინიმუმი მაინც იყო. და ამ პროგრამისთვის მოჰკლეს კიდეც. ხოლო, რისთვისაც მოჰკლეს, ახლა იმ მკვლელთა „დასის" ბელადი იგივე პროგრამის გამოცხადებით, სწორედ ეროვნულ ყრილობაზე, აპლოდისმენტებსა და ოვაციებს იმკის.

როგორ ერთბაშად გამოცვლილა ეს მარქსისტი-დოქტრინიორი.

თურმე, როგორ გაადვილებულა და გაიაფებულა ფერისცვალება, როცა იგი პილატესაც კი შესძლებია — პილატე ლანჩხუთელს...

და სწორედ ილია ჭავჭავაძის სისხლით ხელდაბანილ პილატე ლანჩხუთელს ძისი თანამდგომელნი უკვე უწოდებენ იმ ტიტულს, რასაც ქართველი ხალხი ნახევარი საუკუნის შემდეგ ძლივს გაიმეტებს თვითონ ილიასთვის — „მამა ქართველი ერისა".

მაგრამ ყველაზე უცნაური მაინც ისაა, „ნაციონალისტების“ საქმესაც რომ მესამე-დასელი „ინტერნაციონალისტები“ კისრულობენ. ეროვნული პარტიები არიან, ეროვნულ ყაიდაზე წერენ, ეროვნულ ყაიდაზე ლაპარაკობენ, ეროვნულ ყაიდაზე იგინებიან... ხოლო, საქმე... საქმის მკეთებელნი მაინც და მაინც მხოლოდ „მესამე-დასელები“ არიან. ახლა ისინი „საქმით პატრიოტობასაც“ საქმიანად და ხელშეუშლელად ეტანებიან, რადგან თვითონ ეროვნული პარტიისანი უფრო წერენ და ლაპარაკობენ, ვიდრე მოქმედებენ და პოლიტიკას „აკეთებენ“. აი, პირველ ეროვნულ ყრილობაზეც მხოლოდ ესწრებოდნენ და ტაშს უკრავდნენ. ხელმძღვანელობა, მთავარი მომხსენებლობა და სამომავლო მესაჭეობაც ამ „ეროვნული ეკლესიისა“ თუ „კონგრესისა“ მაინც „მესამე-დასელებს“ დაანებეს.

ასე იყო თუ ისე, ქართველებმაც დააყენეს საშველი და, ამიერკავკასიის სხვა ხალხთა შემდგომ და მათ გვერდით, შექმნეს თავისი „ინტერპარტიული“ ეროვნული საბჭო.

ქართველებმა იმავე ჟამს შექმნეს ეროვნული „წითელი გვარდიაც“, რაკიღა მანამდე თათარ და სომეხ ნაციონალისტებს — „მუსავატებს“ და „დაშნაკცუთელებს“ უკვე ჰყოლოდათ თავიანთი ეროვნული შეიარაღებული ძალები.

საერთოდ კი, ამიერკავკასიის ხალხებს ერთი მთავრობა ჰყავდათ — ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელსაც სტალინი „სოციალიზმისა“ და „ნაციონალური თვითგამორკვევის“ საჟღარუნოებზე აწყობილ „ანტი მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას“ უწოდებდა.[110] მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ კომისარიატის ინტერნაციონალური აღნაგობაც და ინტერნაციონალური შეგნებაც მხოლოდ იმას უტრიალებდა, ამიერკავკასია თავისთვის, ცალკე სახელმწიფოდ კი არა, არამედ რუსეთისათვის დაენარჩუნებია, მისთვის შეენახა, სანამ რუსეთში სისხლისთხევა შეწყდებოდა — მანამდე როგორმე მოევლო და ეს მხარე კვლავ რუსეთის უსასრულო და „სიკეთით სავსე“ რუსული წიაღისთვის დაებრუნებია. ასეთ სავარაუდებელ და საოცნებო თარიღად, — როცა რუსეთიც დაწყნარდებოდა და ამიერკავკასიაც მას „ბუნებრივად“ შეერთოდა — ქავკასიელებს ეგულებოდათ მომავალი 1918 წლის 5 იანვრისათვის

პეტროგრადში დანიშნული დამფუძნებელი კრება. ამ დღის მოსვლას მესიის გამოცხადებასავით ელოდნენ ამიერკავკასიაში. მანამდე კი როგორმე უნდა შეენახათ ეს მხარე რუსეთისათვის.

„შენახვა“ კი ძალიან ძნელი გამოდგა.

ყველაზე რთული საქმე რუსული ჯარების მოვლა შეიქნა. იგულისხმებოდა ორივე ჯარი — თბილისში მდგომიც და ოსმალეთთან ფრონტზე მეომარიც. ორივეგან ძლიერად მოქმედებდნენ ბოლშევიკი აგიტატორები, რომლებიც ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ მხარი დაეჭირათ ლენინური საბჭოთა ხელისუფლებისათვის და იარაღი მიემართათ ადგილობრივი ადმინისტრაციის ყოველი ანტიბოლშევიკური გამოვლინების წინააღმდეგ.

თბილისის არსენალიც მთლიანად ბოლშევიკურად განწყობილ 218-ე ლეგიონს ეჭირა. ყარსიდანაც ერთი ლეგიონი გაჩნდა თბილისში. მაშინვე ბოლშევიკთა სამხარეო კომიტეტმა ასეთი შინაარსის დეპეშა აფრინა პეტროგრადში: „ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ხელისუფლება ობორონცებისა და ნაციონალისტებისაგან, გეგეჭკორის მეთაურობით. ჩვენ, ჩავთვალეთ რა ეს მთავრობა კონტრევოლუციონურად, ბრძოლა გამოვუცხადეთ მას. ჯარები ამ მთავრობის შექმნას აკვალიფიცირებენ, როგორც რუსეთისაგან ვანდგომას. ვეყრდნობით რა ჯარის დიდ ძალას და ბაქოს კომიტეტის დახმარებასაც, შეგვიძლია ვაიძულოთ იგი (ამიერკავკასიის კომისარიატი) იცნოს სახალხო კომისართა ძალაუფლება. ველით პასუხს“.[111]

ასეთი დეპეშა პეტროგრადს გაიგზავნა ორჯერ — 23 და 25 ნოემბერს.

მაგრამ სანამ ბოლშევიკები პასუხს მიიღებდნენ, მენშევიკებმა ამ დეპეშების გაგზავნაც შეიტყვეს და კიდევაც ამოქმედდნენ. 26 ნოემბრის საღამოს შეიყარა საგანგებო სხდომა სამხარეო ცენტრის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოებისა, თბილისის აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად. გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა და ყარსის პოლკს წარედგინა ულტიმატუმი — სასწრაფოდ დაეტოვებინა თბილისი და გადასულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში. ყარსის ლეგიონმა წინააღმდეგობა ვეღარ გაბედა და 27-28 ნოემბერს სრულად გავიდა თბილისიდანაც, ამიერკავკასიიდანაც.

მაშინვე კომისარიატმა იარაღის საწყობის, არსენალის მცველ

გარნიზონს თავისი „წითელი გვარდიისათვის“ 2000 თოფი მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ, 29 ნოემბრის ღამით, „წითელი გვარდია“ თვითონ იქნა გაგზავნილი იარაღისა და თვით არსენალის ასაღებად.

„გვარდიას“ უძღოდა მისი მეთაური ვალიკო ჯუღელი, მესამედასელთა შორის ფრიად თვალსაჩინო კაცი, განათლებული, შამაცი და ენერგიული, მასთან — მცირეოდნად სენტიმენტალურიც („ბავშვებს და ძაღლებს რომ ძალიან უყვარდა“!).[112] ილიას მოკვლა მას პეტერბურგში შეეტყო, იქაურ ქართველ სტუდენტთა წრეში, და ნოე ჟორდანიასთვისაც კი დაესწრო ამის თქმა: „Лес рубят — щепки летят“.[113]

ადრე ის ბოლშევიკი იყო, მაგრამ იმ დღეს, როცა ჟორდანიამ ფილიპე მახარაძეს საბჭოები „წაართვა“, ჯუღელი გამარჯვებულ მენშევიკთა მხარეზე გადავიდა და ნოეს ამ სიტყვებით ეახლა: „იმედია ჩვენ სამუშაოს მოგვცემთო“.[114] და ნოეც დაუფასებს „სასურველ რენეგატობას“ ჯუღელს.

და დაეცნენ თავს არსენალს ვალიკო ჯუღელი და მისი თანამებრძოლები და თითქმის სისხლისდაუქცევლად ჩაიგდეს ხელში. 218-ე პოლკი სწრაფად დაიშალა და გაიფანტა.

„მაშ, არსენალი მენშევიკებს მიეცით?“ — საყვედურით ჰკითხა მაშინ ლენინმა თბილისიდან ჩასულ ბოლშევიკთა წარმომადგენელს.[115]

თვითონ ლენინურ საბჭოთა ხელისუფლებას კი უკვე გაემართა საზავო მოლაპარაკება გერმანიასთან, და, ბუნებრივია, გერმანიის მოკავშირე ოსმალეთსაც თავისი დიპლომატიური გზა უნდა მოეძებნა. ეს გზა კი ამიერკავკასიის ახალი მთავრობისკენ, კომისარიატისკენ მიდიოდა, რაკიღა ოსმალეთს ომი უშუალოდ ამიერკავკასიის მიწებზე ჰქონდა.

და აი, თურქეთმა ამიერკავკასიის კომისარიატს ომის შეწყვეტა და დაზავება შემოსთავაზა. ამის შესახებ ოსმალთა არმიების მთავარსარდალი ფერიკ-ვეჰიბ-მაჰმედ ფაშა ატყობინებდა კავკასიის არმიის სარდალს, გენერალ-ლეიტენანტ ოდიშელიძეს.

ვეჰიბ ფაშას წერილი 21 ნოემბერს (4 დეკემბერს) განიხილა თავის სხდომაზე ამიერკავკასიის კომისარიატმა. განიხილა და, ერთხმად, დაზავებაზე თანხმობა დაადგინა. მაშინვე, წერილი ომის შეწყვეტისა და მოლაპარაკების შესახებ, ფრონტის სარდლის, გე-

ნერალ პრჟევალსკისა და შტაბის უფროს გენერალ ლებედინსკის ხელრთვით — გაეგზავნა ერზერუმში ოსმალთა მთავარსარდალს.

ამასობაში საბჭოთა ხელისუფლებას ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკებაც დაეწყო გერმანიასთან, და დეპეშით ამიერკავკასიის წარმომადგენლებიც მიეწვიათ მონაწილეობის მისაღებად.[116] მაგრამ ეს მიწვევა კომისარიატის სხდომაზე სერიოზული განხილვის ღირსადაც არ ჩაუთვლიათ ისე გაგზავნეს ქართველებისთვის „ჩვეულებრივი პასუხი“: კავკასია (მასში საქართველო) რუსეთის განუყრელი ნაწილია და რუსეთი ჩვენს საკითხს უჩვენოდაც კარგად მოუვლისო!

ასეთი პასუხი გაგზავნეს, გეგეჭკორის ხელმოწერით, და ისევ თურქეთთან დაზავების საქმეს მიუბრუნდნენ.

მოლაპარაკების ადგილად დაინიშნა ქალაქი ერზინჯანი. კომისარიატმა გაგზავნა საზავო დელეგაცია გენერალ ვიშინსკის მეთაურობით. დაზავება შესდგა. ომი კავკასიის საფრონტო ხაზზე შეწყდა. ეს მოხდა 1917 წლის 5 (18) დეკემბერს. შეიქმნა სადემარკაციო ხაზიც, შავი ზღვიდან ვანის ტბამდე.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ დაზავება, მხოლოდ ომის შეწყვეტისა და მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის. მთავარი კი იყო მუდმივი ზავი და მუდმივი მშვიდობიანი მეზობლობის დამყარება თურქთა და კავკასიელთა შორის. და ისევ თურქეთმა პირველმა წამოაყენა წინადადება მუდმივი ზავისათვის მოლაპარაკების განახლებისა.

ამ მოთხოვნას კი ამიერკავკასიის ორივე ორგანომ — სამხარეო მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა (თავმჯდომარე ნოე ჟორდანია) და კომისარიატმა თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი) — უარი განუცხადეს. ორივემ, თურქეთის საპასუხოდ, სიტყვა-სიტყვით ერთი დაღგენილება ძიძილეს:

„გვსურს რა ზავი რუსეთის დემოკრატიისათვის მისაღებ საფუძველზე, საჭიროდ მიგვაჩნია გაცნობოთ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ რა რუსეთის რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილს, ზავისათვის მოლაპარაკების დაწყება შეგვიძლია მხოლოდ ახლადშეკრებილი დამფუძნებელი კრებისაგან შესაბამისი რწმუნებების მიღების შემდეგ. დამფუძნებელ კრებაზე წასულ ჩვენს დეპუტატებს აქვთ რწმუნებანი ჩვენგანვე, რათა თქვენი წინადადება ზავის შესახებ პირველ რიგში დააყენონ და პასუხი თქვენ გეცნობებათ დაუყოვნებლივ“.[117]

და სწორედ ასეთი პასუხი ნიშნავდა უარს, და იქნებ საბედისწერო უარსაც.

მაშ, ამიერკავკასიის კომისარიატი ისევ „დროებით მთავრობად“ გრძნობდა და სცნობდა თავს. ამდენად მას შეეძლო ხელი მოეწერა მხოლოდ „დროებით. ზავზე“ (თავის თავსავით „დროებითზე“!), ხოლო მუდმივ ზავზე თავს ნებას არ აძლევდა, რადგან ამიერკავკასია მას ხვალ რუსეთის მუდმივ ნაწილად მიაჩნდა, ყველაფერს რუსეთის დამფუძნებელი კრება გადაწყვეტს და გადაგვიწყვეტსო. დამფუძნებელი კრება კი უკვე ემზადებოდა მუშაობის დასაწყებად. უკვე დამდგარიყო მისი გახსნის დღეც — 5 (18) იანვარი.

ძაგრამ მისი მოიმედენი სასტიკად გაწბილდნენ: დამფუძნებელმა გახსნისთვის ზარის დარეკვაც ვერ მოასწრეს, რომ უმალვე დაემხო, — კრების დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა არაბოლშევიკები აღმოჩნდნენ და ბოლშევიკებმაც მაშინვე, მათთვის ჩვეული სიმტკიცით და იაკობინური ტემპერამენტით (სწორედ „ბოლშევიკურად“) დამფუძნებელი კრება გარეკეს და გაათავეს.

ასე ერთბაშად გაუცრუვდათ მესიანური იმედები რუსეთის „იდეალური დემოკრატიისგან“ საქართველოში „ჩარჩენილ“ მესამე-დასელებს. მათი უბედურება იქიდან იწყებოდა, რომ არცერთ მათგანს — არც „ნოე პირველს“ (ჟორდანია), არც „ნოე მეორეს“ (რამიშვილი), მით უფრო „ნოე მესამეს“ (ხომერიკი), არც რუსული სოციალ-დემოკრატიის „მჭუხარე მირაბოებს“ — ჯერ კიდევ ვერ შეეცნოთ და ვერ შეეგრძნოთ ძალმოსილება ბოლშევიზმისა — მანამდე ცნობილ ყოველ „იზმზე“ უძლავრესი, უსასტიკესი, ყოვლის დამანგრეველი და წამლეკავი „იზმისა“.

მაგრამ — რაღა ქართველი მენშევიკები, განებავთ ყველა სხვა აქაური „ინტერპარტიელები“, — როცა ბოლშევიზმის ჯერ კიდევ ბოლომდე გაუმჟღავნებელი შინაგანი ტიტანიზმი შეუცნობელი სჩანდა თვითონ რუსეთში. რომანოვთაგან დანატოვარ იმპერიაში ჯერჯერობით მხოლოდ რუსული შოვინიზმის გახელება იგრძნობოდა ბოლშევიკთა და, განსაკუთრებით, მათი მთავარი, ჰეგემონური ბირთვის მიმართ — ლენინი, სტალინი, ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, სვერდლოვი, ძერჟინსკი, რიკოვი, რადეკი, ორჯონიკიძე, ავილოვი, ტეოდოროვიჩი, ოვსეენკო, კრილენკო, დიბენკო, ენუქიძე —

ამიტომაც რომ ყოველი ბოლშევიკური „გამოხდომა“ არარუსულ გამოვლინებად მიაჩნდათ...

მაშ, საქართველოში „ჩარჩენილ მესამე-დასელებს“. რუსეთის დამფუძნებელი კრების დამხობის გამო, რუსეთის წიაღში დაბრუნების იძედი უნდა წარკვეთოდათ. მაგრამ არა — მაინც იმედოვნებდნენ და თავისას არ იშლიდნენ — თვალი და გული მაინც ჩრდილოეთისკენ გაურბოდათ. მაოი ღრმა რწმენით, რუსეთში, სადაც ახლა სამოქალაქო ომია, ბოლშევიკური საბჭოთა ხელისუფლების გარდა, სხვა ბევრი ხელისუფლებაა და „უფრო კანონიერიც“, ვიდრე ბოლშევიკური ხელისუფლება. ამიტომ კავკასიელები. უფრო მეტად ქართველები, მოახერხებენ იმ „მრავალ მთავრობათა“ შორის „ნამდვილის“ ამოცნობას და მასთან მჭიდრო ურთიერთობით, ისევ რუსულ წიაღში დაბრუნებას.

მაგრამ ჟორდანიას ამბოდ ეგონა, რომ „ომი ძმებს შორის“ (მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის!) ბოლშევიკთა „საბოლოო მარცხით“ გათავდა. კავკასიის ბოლშევიკთა სამხარეო კომიტეტი აქტიურად მოქმედებდა და სამხრეთში მომხდარ ამბებს სისტემატიურად ატყობინებდა პეტროგრადის საბჭოთა ხელისუფლებას. ძლიერად მოქმედებდა ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარი იოსებ სტალინი, რომელმაც 16 დეკემბერს, სახალხო კომისართა საბჭოზე, გააკეთა მოხსენება — „კავკასიის შესახებ“. მაშინვე გადაწყდა ნახევარი მილიონი მანეთი გაეგზავნათ ამიერკავკასიის კომისარიატის დასამხობელი მუშაობის გასაძლიერებლად. ორი დღის შემდეგ სახკომსაბჭომ სტეფანე შაუმიანი დანიშნა კავკასიის ბოლშევიკური მოძრაობის საგანგებო კომისრად.

1918 წლის 22 იანვარს სტეფანე შაუმიანი თბილისში ჩამოვიდა და საგანგებო თათბირზე შეჰყარა — მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ალიოშა ჯაფარიძე, ანასტას მიქოიანი, ნარიმან ნარიმანოვი, სერგო ქავთარაძე და სხვა ბოლშევიკი მოღვაწენი, და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და პარალელურად საქართველო-სომხეთის გასაბჭოებისათვის.

ამიერკავკასიის კომისარიატმა ბრძანება გასცა შაუმიანისა და, მასთან, კუზნეცოვის დაპატიმრების შესახებ. ეს ბრძანება მან წინასწარ შეუთანხმა ნოე ჟორდანიას, — როგორც მუშაობა და ჯარის-

კაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.

მაგრამ ბრძანება ბრძანებად დარჩა და ამიერკავკასიის უძარღვო მესვეურებმა ვერავისაც ვერ დააპატიმრეს.

20. სისხლი — სოციალური ღირებულებით

ხოლო, სანამ კომისარიატელები თურქეთთან მუდმივი ჩავის საქმეს იძიებდნენ, სანამ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებაზე ჯიუტად სდუმდნენ, სანამ რუსეთის დამფუძნებელ კრებასაც ბოლშევიკები წირვას გამოუყენებდნენ — ერთი სიტყვით, სანამ ამიერკავკასიის მაშინდელი მესვეურები ისტორიის ყველაზე საპასუხისმგებლო წუთებს ისე უღვთოდ და უგუნურად ფლანგავდნენ — ერთბაშად რუსის ჯარი ოსმალეთის ყოფილ საფრონტო ხაზს მოეხსნა და ამიერკავკასიის მაგისტრალურ გზებზე მეწყერივით დაეშვა.

ჯარი სამშობლოში ბრუნდებოდა, რუსეთში, მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, ანდა, თუ ომი არ აცდებოდა — სამოქალაქო ომისათვის, ანუ იმ სასიცოცხლო ინტერესთა აღსრულებისათვის, რაიც ხალხს (ხალხსა და ჯარს) აღუთქვა ლენინმა: მშვიდობისათვის, მიწისათვის, ქარხნისათვის, თავისუფლებისათვის.

და იძვროდა ჯარი; ზვავივით მოედინებოდა. მოდიოდა იარაღდაშვებული, მაგრამ მაინც იარაღასხმული.

იარაღი კი — უცებ ამიერკავკასიის კომისარიატმა დაისაჭიროვა. დაისაჭიროვა და არმიის ხელმძღვანელობას ეშელონებში ჩაჭედილი იარაღისა და მთელი ქონების აყრა და ადგილზე დატოვება მოსთხოვა. არმიის ხელმძღვანელობა კი უკვე მთლიანად ბოლშევიკური იყო. ხოლო, ბოლშევიკები მოპირდაპირის მოთხოვნას კი არა, თხოვნასაც არ გაუწევდნენ ანგარიშს აგრე იოლად.

ეტყობოდა, ადგილობრივი დიპლომატიური „მი-მო-ქცევითაც“ არაფერი გამოვიდოდა. უკვე აქა-იქ, „გაბოლშევიკებულ“ ჯარისკაცებსა და ადგილობრივ ნაციონალურ „გვარდიელთა“ შორის შეტაკებებიც ხდებოდა და სისხლიც იქცეოდა.

ხოე ჟორდანიამ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების

სამხარეო ცენტრის სახელით, კიდევ ერთხელ გაგზავნა წარმომადგენლები დემობილიზებული არმიის ხელმძღვანელობასთან, იარაღის დაყრის მოთხოვნით. ბოლშევიკებმა ქორდანიას წარმომადგენლები შეიპყრეს და ეშელონები — სულ ხუთი ეშელონი — თბილისიდან ელიზავეტპოლისაკენ (განჯა) მიმავალ გზაზე გაიყვანეს.

ქორდანიამ მაშინვე დეპეშა დაადევნა:

„აძიერკავკასიის ყველა საბჭოს! ვინაიდან რუსეთში მიმავალ სამხედრო ნაწილებს თან მიაქვთ იარაღი და თუ დროებითი ზავი წარმატებით არ დამთავრდა, ნაციონალური ნაწილები შეიძლება ისე დარჩნენ, რომ საკმაო იარაღი არ ექნეთ ფრონტის დასაცავად. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრმა დაადგინა წინადადება მისცეს ყველა საბჭოს, მიიღონ ზომები მიმავალი ნაწილებისათვის იარაღის ჩამოსართმევად და ყოველი შემთხვევის შესახებ აცნობონ სამხარეო ცენტრს.

სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე
ქ ო რ დ ა ნ ი ა“.

და დეპეშასთან ერთად, ელიზავეტპოლისკენ მიმავალ ეშელონებს ქორდანიამ ჯავშნოსანი მატარებელიც დაადევნა, როტმისტრ აფხაზავას უფროსობით.

აფხაზავამ კი, თავის მხრივ, დადევნების წინ, ელიზავეტპოლის თათართა ცხენოსანი პოლკის მეთაურს, მაღალოვს, ასეთი დეპეშა გაუგზავნა:

„მოდის ხუთი შეიარაღებული ეშელონი ქვემეხით, შეიყრეს საბჭოს წარმომადგენლები, მოვდივარ ჯავშნიანი მატარებლით წინააღმდეგობის გასაწევად. გთხოვთ დახმარებას ყოველი გვარეობის იარაღით.

როტმისტრი ა ფ ხ ა ზ ა ვ ა“.

მაღალოვმაც სასწრაფოდ გამოიყვანა თავისი „ნაციონალური პოლკი“ სამოქმედოდ. ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობაც აიყოლია, ძარცვა-რბევისა და „გამდიდრების“ უფლებით, იარაღიც მისცა... და შამქორის ველზე გასულ ეშელონებს გზა გადაუჭრა. ზურგიდან აფხაზავას ჯავშნოსანამაც მოუსწრო.

ჯარისკაცებიც ჯარისკაცურად დაუხვდნენ მოულოდნელად მოსეულ მტერს.

და,—1918 წლის 7—12 (20—25) იანვარს გაიმართა ბრძოლები შამქორის რკინიგზაზე, სადაც ჟორდანიას და გეგეჭკორის ხელისუფლებამ თავისი საწადელი აისრულა. რუსეთს ძიმავალი ეშელონები განიარაღებული და განადგურებული იყო.

სტალინმა ამის გამო გაზეთ „პრავდაში“ (1918, № 55—56) გამოაქვეყნა წერილი — „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით“, რომელიც ეყრდნობა გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩიდან“ აღებულ მასალას ამ სისხლიანი აქტის სინამდვილეზე:

„1918 წლის იანვრის პირველ ნახევარში რკინიგზის ხაზზე თბილისიდან ელიზავეტაპოლამდე შეიარაღებულ მუსლიმანთა ათასიანმა ბანდებმა ელიზავეტაპოლის მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტის წევრების მეთაურობით და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოგზავნილი ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით რამდენიმეჯერ ძალით განაიარაღეს რუსეთში მიმავალი სამხედრო ნაწილები. ამასთან მოკლული და დასახიჩრებულია ათასობით რუსი ჯარისკაცი, რომელთა გვამებით მოფენილია რკინიგზის ხაზი. მათ ჩამოართვეს 15 000-მდე თოფი, 70-მდე ტყვიამფრქვევი და ორი ათეული ზარბაზანი.

მენშევიკები ცდილობენ დაფარონ სიმართლე...

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ელიზავეტაპოლის ამბების დამნაშავეთა შორის დასახელებულ უნდა იქნას უწინარეს ყოვლისა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ოდესღაც ყოფილი ბელადი, ამჟამად ეგრეთწოდებული „მამა ქართველი ერისა“ — ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია. მისი თავმჯდომარეობით იყო, სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმმა რომ დაადგინა განეიარაღებინა გამგზავნი ეშელონები და მათ ხარჯზე შეეიარაღებინა ნაციონალური პოლკები. მისი ხელმოწერით გაეგზავნა ელიზავეტაპოლის მუსლიმანთა ნაციონალურ კომიტეტს დეპეშა შამქორთან დაგროვილი ეშელონების განიარაღების შესახებ. იგი, ნოე ჟორდანია, გზავნიდა თბილისიდან დელეგაციებს იმავე დავალებით — განეიარაღებინათ ეშელონები. ეს ოფიციალურად განაცხადა დელეგაციის წევრმა ჯარისკაცმა კრუპკომ სამოქალაქო კომიტეტის ხალხმრავალ სხდომაზე ელიზავეტაპოლში. ნოე ჟორდანიამ და მისმა ყოველთვის უზომოდ გულმოდგინე თანაშემწემ ნ. რამიშვილმა გაგზავნეს ჯავშნიანი მატარებელი

აფხაზავას მეთაურობით, რომელიც იარაღს ურიგებდა მუსლიმანებს და ეხმარებოდა მათ ათასობით ჯარისკაცთა დახვრეტასა და ეშელონების განიარაღებაში.

ნოე ჟორდანია იმით იმართლებს თავს, რომ დეპეშისათვის ხელი არ მოუწერია. ათობით ადამიანი, სომეხი და მუსლიმანი, ამტკიცებს, რომ დეპეშა ხელმოწერილია მის მიერ და ეს დეპეშა არსებობს. ჟორდანია ამბობს, რომ, როცა გართულება შეიტყო, ტელეფონით ელაპარაკა აფხაზავას, სთხოვა ძალდატანებით არ განეიარაღებინა ეშელონები და გაეშვა ისინი. აფხაზავა მოკლულია; ამ განცხადების შემოწმება არ შეიძლება, მაგრამ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ასეთი საუბარი იყო.

თუ თავს დავანებებთ მკვდარს, რომელსაც, ანდაზისა არ იყოს, შეიძლება ყველაფერი თავს მოახვიო, არიან ცოცხალი მოწმენი, რომლებიც უარყოფენ ჟორდანიას ჩვენებას და ადასტურებენ როგორც დეპეშის მისამართს, ისე ჟორდანიას ხელმოწერას და დელეგაციის გაგზავნას განიარაღების დავალებით და სხვ.

რატომ პასუხისგებაში არ აძლევს მათ ჟორდანია, თუ ისინი სიმართლეს არ ამბობენ? რატომ სურთ მას და მის მეგობრებს „ჩაფარცხონ საქმე“?

არა, მოქალაქენო ჟორდანია, რამიშვილო და კომპანია, თქვენ გაკისრიათ მძიმე პასუხისმგებლობა 7—12 იანვარს ათასობით მოკლულ ჯარისკაცთა სისხლისათვის...

ჟორდანია ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც იმ პარტიის ბელადი, რომელიც პოლიტიკას ქმნის ამიერკავკასიაში, როგორც ამიერკავკასიის ხელისუფლების ყველაზე ავტორიტეტიანი და პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

იგი თავის დანაშაულებრივ საქმეს აკეთებდა, ჯერ-ერთი, სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმისა და საეროვნებათაშორისო საბჭოს დადგენილებით და, მეორეც, უეჭველია, ამიერკავკასიის კომისარიატის დასტურით. ბრალდება, რომელსაც ჩვენ ჟორდანიას ვუყენებთ, ვრცელდება მეწშევიკების მთელ პარტიაზე, სადაც ბატონები ჩხენკელი და გეგეჭკორი მუსლიმან ბეგებთან და ხანებთან მშიდრო და აშკარა ბლოკით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რევოლუცია დაღუპონ...

არის კიდევ დამნაშავეთა ერთი ბუნაგი, რომელიც უნდა აღი-

გავოს. ეს ბუნაგია მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტი ელიზავეტაპოლში, რომელიც მთლიანად რეაქციონერი ბეგებისა და ხანებისაგან შედგება, რომელმაც 7 იანვარს საღამოს, ჟორდანიას დეპეშაზე დაყრდნობით, დაადგინა განეიარაღებინა ეშელონები „რადაც უნდა დამჯდარიყო“ და წარმოუდგენელი ურცხვობითა და სისხლმოწყურებით შეასრულა თავისი დადგენილება 9—12 იანვარს.

მენშევიკური პრესა, ელიზავეტაპოლის ამბებზე რომ ლაპარაკობს, საქმეს ისე გვიხატავს, თითქოს ეს იყო ამიერკავკასიისათვის ჩვეულებრივი „ყაჩაღური“ თავდასხმა რკინიგზაზე. ეს ყოვლად უსირცხვილო სიცრუეა!

არა ყაჩაღებმა, არამედ ათასობით მშვიდობიანმა მოსახლე მუსლიმანებმა, რომელსაც ოფიციალურად მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტი ხელმძღვანელობდა, რომლებიც დიდი ნადავლის მიღების სურვილმა აცდუნა და რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს ამიერკავკასიის მესვეურთა ბრძანებით ხდებოდა, ჩაიდინეს დანაშაულებრივი საქმე შამქორთან და დალიართან. მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტი აშკარად უყრიდა თავს ელიზავეტაპოლში ათასობით მუსლიმანს, იარაღს აძლევდა მათ, მატარებლებში სხამდა სადგურ ელიზავეტაპოლში და შამქორში გზავნიდა. და როცა „გამარჯვება“ მოპოვებულ იქნა, საკუთარი თვალით მნახველთა სიტყვით, ქალაქში ზეიმით შევიდა „მტრისათვის“ ჩამორთმეულ ზარბაზანზე გადამჯდარი „ესერი“ საფიცრულსკი, რომელსაც თან ახლდნენ მუსლიმანთა კომიტეტის სხვა გმირები“.[118]

მაშ. მრავალჯერ და მრავალთმრავალი კაცთაგანის სისხლით ნაჯერმა შამქორის მიწამ, 1918 წლის იანვარში, რუსული სისხლიც შეირთო და შეიშრო.

ამ სისხლს სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთა ჰგოდებდა:

მენშევიკები — როგორც რ უ ს უ ლ სისხლს;

ბოლშევიკები — როგორც ს ო ც ი ა ლ უ რ სისხლს...

27. უნივერსიტეტი

1918 წელი მაინც დიდი სინათლით შემოდიოდა ქართველი ხალხის ჯანღიან ისტორიაში.

26 იანვარი — დღე დავით აღმაშენებლის ხსოვნისა.

და ამ დღეს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი — წმიდა ტაძარი ღვთითკურთხეული ქართული სულისა და სინდისისა.

გახსნის წინ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის წინამძღვრობით, აღსრულდა საღვთო წირვა. ბრძანებდა თვითონ კათალიკოსი:

„ცოდნის და მეცნიერების შიმდევარნო! დღეს შევიკრიბენით ამ წმიდა ტაძარში, რომ გამოვითხოვოთ ღვთისგან კურთხევა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ამ ძვრა-რყევა და სიყმილის დროს ჩვენ შესაძლოთ დავინახეთ საძირკველი ჩავუყაროთ ქართულ მაღალ კულტურულ დაწესებულებას, რომელმაც უნდა შეიტანოს მეცნიერების შუქი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და რომელიც შეადგენს ჩვენი ხალხის სიამაყეს. ეხლა თქვენს ხელშია, ბატონო პროფესორნო, ბედ-იღბალი ამ მაღალი სამეცნიერო ტაძრისა. ჩვენი გული ივსება სიხარულით, რომ სიბრძნეს, რომელიც-დაუსრულებელია, ვნერგავთ ამიერიდან ჩვენს ხალხში. იმ დღესაც მოვესწარით, რომ ქართულ უნივერსიტეტს ვხსნით. განა ამ ორიოდ სამი წლის წინად შეგვეძლო ამის წარმოდგენა? ჩვენი გენიოსის ნათქვამისა არ იყოს: „კეთილმან სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია“.

ვგონებ, შემთხვევით არ მოხდა ქართული უნივერსიტეტის გახსნა დღევანდელ დღეს, როდესაც ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს წმ. შეფე დავით აღმაშენებლის ღვაწლს. მან აღადგინა ეკონომიურად საქართველო, გააძლიერა და დანერგა კულტურაც. განურჩევლად ხალხოსნობისა და სარწმუნოებისა, იგი მფარველობას უწევდა მეცნიერებას. აავსო მეცნიერი ხალხით თავისი სასახლე, რომელიც წარმოადგენდა სამეცნიერო აკადემიას და მან პირველმა ქართველ გვირგვინოსანთა შორის ჩაჰყარა მკვიდრი საძირკველი აკადემიისა იყალთოს მონასტერში.

ლტოლვილებამ სინათლისადმი, ცოდნის წყურვილმა და ჭეშმარიტების სიყვარულმა შეჰკრიბა დღეს აქ აუარებელი ხალხი. კაცი შექმნილია სინათლისათვის და თვით ბუნებისაგან ჩანერგილია

მასში ღვთიური ნიჭი — ძიება ჭეშმარიტებისა, რომელიც ჰქმნის კაცს თავისუფლად. გილოცავთ ჩვენი პირველი უნივერსიტეტის ხელმძღვანელნო და ვისურვებ ჩვენი საზოგადო საქმის წარმატებას, საკეთილდღეოდ ჩვენი ერისა. განათლებით ირჩევა კაცი კაცისაგან. იგი ფასდაუდებელი საუნჯეა, რომლის შეძენას ბევრი დრო, მოთმინება და ცდა უნდა. განათლებას ფასი და მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა მას რივიანად გამოვიყენებთ.

სარწმუნოება არასდროს მტრულად არ უცქეროდა მეცნიერებას და ამიტომ იგი მუდამ ეკეცლებოდა სარწმუნოებას. მაგალითად, ქალდეაში, ასურეთში, მისრეთში, ბიზანტიაში და სხვა ქვეყნებშიც ჭურუმები მუდამ ესარჩლებოდნენ მეცნიერებას და თვითონაც ერთადერთი მისი წარმომადგენლები იყვნენ. ქრისტიანობის ხანას, როდესაც მან მიიღო სარწმუნოებრივი უფლება, თავშესაფრად ჰქონდა ქრისტიანული მონასტრები, რომლებშიც გაჩაღებული იყო სწავლა-განათლება. ნამდვილ სამეცნიერო კერებს წარმოადგენდნენ ჩვენი ლავრები და მონასტრები: დავით გარეჯის ფიბაიდა, იოანე ნათლისმცემლის უდაბნო, იყალთო, გელათი და სხვა. საშუალო საუკუნეებში, როდესაც მეცნიერებას დაუდგა მეტად ბნელი ხანა, როდესაც მისი არსება ბეწვზე ეკიდა და ყველას ეგონა, რომ მისი შუქი სამუდამოდ ჩაქრებოდა, მხოლოდ ბერების ძოღვაწეობით არ ჩაქრა იგი: ფილოსოფიის ქვის ძებნის გამო ბერებმა ბევრი რამ კაცობრიობისათვის სასარგებლო აღმოაჩინეს, გამოიგონეს და მით მეცნიერება დაიფარეს.

სულით და გულით ვისურვებ, რომ ამ ჩვენს ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გახსნილიყოს ყველა განზრახული ფაკულტეტი და მიჰმატებოდეს მას საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასაელეთ ევროპაში არის მოწყობილი. იყავნ, იყავნ, ამინ!"

ფირვისა და პარაკლისის შემდგომ, საზეიმოდ შეყრილი სახალხო საკრებულოს წინაშე, უნივერსიტეტი გახსნა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ, აკაკი ჩხენკელმა:

„საქართველოს ეროვნული საბჭოს მონდობილობით, ბედნიერება მაქვს, გავხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი (ტაში). მე ვამბობ, პირველითქო, აქედან ცხადია, დღევანდელი დღე დიდმნიშვნელოვანი დღეა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

დღემდე ჩვენ არ გვქონია არც ერთი მაღალი სასწავლებელი. მე არ შევეხები შორეულ წარსულს, იმ წარსულს, რომელიც განიყოფება რუსეთის ფარგლებში ჩვენი ცხოვრების ხანიდან. მაშინ ჩვენ გვქონდა დროის შესაფერისი უმაღლესი სასწავლებელიც.

ერს, რომელსაც არა აქვს თავისი სამეცნიერო ტაძარი, არ შეუძლია სთქვას, რომ იგი სრულასაკოვანია. როცა მე მესმოდა საზღვარგარეთ საქართველოს შესახებ საგმირო ამბები, თუ რა მონაწილეობას იღებდა იგი განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მაშინ მეკითხებოდნენ, რამდენი უნივერსიტეტი, პოლიტეხნიკუმი და სხვა უმაღლესი სასწავლებელია საქართველოშიო და მე ამ შეკითხვაზე გაწითლებით ვუპასუხებდი ჩვენ არ შეგვეძლო, მიგვეღო განათლება სამშობლო ენაზე. რა ერია ის ერი, რომელსაც არა აქვს საშუალება ისარგებლოს მეცნიერების ნაყოფით სამშობლო ენაზე. ჩვენ რუსეთის საზღვრებში ცხოვრებამ მოგვიტანა კულტურულ-ეკონომიური და პოლიტიკური თვითცნობიერება. ეს უნდა მიეწეროს როგორც რუსეთის საზღვრებში ცხოვრებას, ისე თვით ქართველი ერის უნარს, რომელმაც აუღო ალღო ახალ ცხოვრებას, ახალ ხანას, საზოგადოებრივ პოლიტიკურ ასპარეზზე შედგა ფეხი და ცნობილჰყო თავის თავი როგორც შინ, ისე გარეშე უფრო ფართოთ, ვინემ ეს წარსულში იყო. მაშინ იტყოდენ: ეს და ეს მეფე, ეს და ეს სარდალიო; არ იყო ისეთი ხანა, რომ ეთქვათ ქართველი ერი წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზმს, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს უცხოელებშიო. თუ რატომ არ გვქონდა მაღალი სასწავლებელი ამის მიზეზი ყველამ იცის. ჩვენ სხვებთან ერთად ვიყავით ჩაგრული ერი, მოკლებული ყოველგვარ უფლებას. ახლა მოგვეცა საშუალება გავხსნათ ქართული უნივერსიტეტი. ეს მიეწერება დიდ მოძრაობას, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი ერი, მისი დემოკრატია. მაშასადამე, როცა ქართველი დემოკრატია იბრძოდა სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებისათვის, ამავე დროს იგი იბრძოდა ერის უფლებისათვის. დემოკრატიის ღვაწლმა მოგვივლინა დღევანდელი დღესასწაული. თქვენ იცით ქართველი ხალხის დაუშრეტელი წყურვილი ცოდნის შეძენისადმი. ჩვენი სასწავლებლები, რომლებშიაც უფრო გამარუსებელი და ბიუროკრატიული რეჟიმი იყო გამეფებული, ვერ იტევდნენ ჩვენს მოსწავლეებს. სტატისტიკის მიხედვით ჩვენში ათჯერ მეტი სას-

წავლებელი იყო საჭირო, რომ მოთხოვნილება დაგვეკმაყოფილებია. თუ რამდენათ ძლიერია ჩვენში სწავლა-განათლების წყურვილი, ეს სჩანს გურიის მაგალითიდან. გურიაში დღეს იმდენი სასწავლებელია, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შემდეგაც იქ არ იქნება საჭირო ახალი სასწავლებლის გახსნა. და თუ ეს სკოლები ეროვნული გახდა, მათი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადი იქნება, რატომ პირველად იხსნება მაღალი სასწავლებელი, როცა ჯერ კიდევ არ გვაქვს დაბალი და საშუალო ეროვნული სასწავლებლები? ასეთ ხანაში სწორეთ საჭიროა ქართული უნივერსიტეტი, რომლიდანაც უნდა გამოვიდეს ხალხი, რომელიც გაუძღვება დაბალ და საშუალო ეროვნულ სკოლებს. საჭიროა ცოდნა, მეთოდი, რომ ახალგაზრდობას გრძნობა გავუფაქიზოთ, ხასიათი განვუმტკიცოთ. ცხადია, ჩვენ დიდი სიხარულით უნდა მივეგებოთ ამ საქმის დაწყებას, ქარ. უნივერსიტეტის გახსნას. ჩვენ გვჭირდება დიდი ცოდნა-განათლება. ამ მხრით არ ვართ მაინცდამაინც დაწინაურებული. ერთა ისტორიაში არის მაგალითები, როცა ერი იჩენს უნარს ერთ რომელიმე დარგში, ვთქვათ პოლიტიკაში, პუბლიცისტიკაში. მაშინ მეცნიერებისათვის მას აღარ რჩება ძალა და ღონე. ჩვენ სწავლა-განათლების მხრით ბევრ ერს ჩამოვრჩით უკან, ისეთ ერებსაც, რომლებიც პოლიტიკურად ჩვენზე დაბლა დგანან. ჩვენ გვესაჭიროება შესწავლა წარსულის, შეგნება აწმყოსი, გათვალისწინება მომავლისა. ჩვენ შეიძლება კარგათ ვიცოდეთ რომელიმე ბრაზილიის წარსული, ხოლო ბევრი არ აღმოჩნდა ჩვენში, რომ თავის ერის წარსული იცოდეს. ეს სრულებითაც არ მოასწავებს, თითქოს ჩვენ უნდა ვიაროთ წარსულის გზით. არა, ჩვენ უკვე შევდექით იმ გზაზე, რომლითაც განათლებული ერები მიდიან. წარსულის შესწავლა გვესაჭიროება ჩვენ აწმყოს შესაგნებათ და მომავლის გასათვალისწინებლათ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ თანამედროვე მეცნიერების დარგები, შევისწავლოთ ახალი მეთოდები; ეს საჭიროა მომავალ მასწავლებლებისათვის.

არანაკლებ საჭიროა სხვა ერთა ცნობა, მათი წარსულის, აწმყოს და მომავლის შესწავლა-გათვალისწინება. მეცნიერება არ არის ქართული, ფრანგული, ინგლისური. იგი ერთია. მხოლოდ ფორმა, სახე შეიძლება იყოს ეროვნული; მეცნიერება ამიტომ საუკეთესო ბარაღია ხალხთა დაახლოებისა. იგი რომ ეროვნული იყოს, მაშინ გაძნელდებოდა ხალხთა შორის კავშირისა და სოლიდარობის გან-

მტკიცება. ამიერ კავკასიაში კი იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც შემოვლილი ჰქონდეს ეს მხარე. საჭიროა ერთმანეთის შესწავლა, პატივისცემა. თუ არ არის „შენ“, არ იქნება არც „მე“. რადგანაც არსებობს „მე“, მაშასადამე, არსებობს „შენ“, არსებობს სხვა ერებიც. ქართული უნივერსიტეტის დანიშნულება უნდა იყოს აგრეთვე ერთა შესწავლა. ეს მოგვცემს საშუალებას, მტკიცე კალაპოტში ჩავაყენოთ ერთა ურთიერთობა.

მოქალაქენი! ნებას ვაძლევ ჩემს თავს მივულოცო პროფესორთა კოლეგიუმს, უნდა ვუთხრა მათ, რომ მათი გზა არ არის ყვავილებით მოფენილი. იგი ნარეკლიანია. ჩვენ გვაკლია მეცნიერული ძალები, შესაფერისი მოწყობილობა, იარაღები. ამ მხრივ საქმის ადვილათ და დაჩქარებით მოწყობა შეუძლებელია. ეს უნდა გავითვალისწინოთ და ქართველმა ერმა უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ მცირე ჯგუფს არაფრისაგან ყველაფრის შექმნა არ შეუძლია. მე მწამს, რომ თქვენი (პროფესორთა) ენერგია, საქმისადმი სიყვარული და მტკიცე სურვილი შეგაძლებინებთ შეასრულოთ თქვენი მოვალეობა. ეს უნივერსიტეტი ქართული უნივერსიტეტია, მაგრამ იგი არ არის სახელმწიფოს უნივერსიტეტი. ქართველ ერს არა აქვს საჯარო უფლებებით აღჭურვილი ორგანოები. ქართული უნივერსიტეტი მაშინ იხეირებს, როცა ქართველ ერს ექნება ასეთი ორგანოები (ტაში).

ჩვენ ვდგავართ ქართველი ერის პოლიტიკური განათლების კართან. შორს არ არის ის დრო, როცა ქართველი ერი სხვა ერებთან ერთად მიიღებს კანონიერ კმაყოფილებას. არის ერთადერთი თავდები, რომ ქართველი ერი გადასჭრის ნაციონალურ საკითხს ისე, რომ მას მიიღებს სხვა ერებიც. იგი გაატარებს კანტის თქმულებას, სხვასაც ის უსურვე, რაც შენთვის გინდაო. ამის თავდებია ქართული დემოკრატია (ტაში), და თუ ეს იმედი გაგვიცრუვდა, მაშინ ვიტყოდი მე, ვაი ჩვენ... ქართველი ერი განიცდის საბედისწერო ჟამს. სულ ახლოს არის უფსკრული, სადაც შეიძლება იგი გადაიჩეხოს... ასეთ მდგომარეობაშია რუსეთის ყველა ერები. დღევანდელი ანარქია, სამოქალაქო ომი, უიმედობა მომასწავებელია იმისი, რომ დადგება განკითხვის დღე. და ვფიქრობ, ქართული უნივერსიტეტის გახსნა სიმბოლური მოვლენაა. ჩვენ დღეს აქ ვზეიმობთ. ქართველი ერის ბედი კი განსაცდელშია. განსაცდელშია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზების გამო. ჩვენ თითქოს გვაკლია

თვის მდგომარეობის შეგნება. მე მესმის, როცა ვკითხულობთ ჩვენს ისტორიაში, ამა თუ იმ მეფემ თავის რაზმით შეუტია მტერს სამშობლოს დასაცავად, მაგრამ მტერი ათჯერ მრავალრიცხოვანი და ძლიერი აღმოჩნდა და დაამარცხა იგიო. ასეთი მდგომარეობა მირჩევნია მე იმ მდგომარეობას, როცა ჩვენ არა გვაქვს წარმოდგენილი განსაცდელი. დამარცხება არ არის საშიში მაშინ, როცა ერს ესმის გაწსაცდელი. ხოლო თუ იგი მოულოდნელად დამარცხდა, მაშინ დაემხობა კიდეც.

ქართული უნივერსიტეტის უწმინდესი მოვალეობაა ემსახუროს ქართული დემოკრატიის კანონიერ მოთხოვნილებებს. იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს. თუ წინათ ეროვნული კულტურა ვიწრო ჯგუფისათვის იყო ხელმისაწვდომი, დღეს ეროვნული კულტურა მხოლოდ მაშინ არის ეროვნული, როცა მთელი ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახდება. არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება. ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება დაეწაფოს მეცნიერებას. მეცნიერება უნდა იყოს დემოკრატიის დამცველი. დემოკრატიასა და მეცნიერებას შორის არსებული კავშირი უნდა იყოს დაცული ქართულ უნივერსიტეტში. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელები პირნათლად შეასრულებენ თავის წმინდა მოვალეობას (ხანგრძლივი ტაში)"..

შემდეგ იყო სიტყვა ახლადდაარსებული უნივერსიტეტის პირველი რექტორის — პროფესორ პეტრე მელიქიშვილისა.

შემდეგ — კვლავ სიტყვები, მილოცვები, დეპეშები.

და არცერთი სიტყვა თვითონ უნივერსიტეტის მთავარი დამაარსებლის და სულისჩამდგმელის — პროფესორ ივანე ჯავახიშვილისა.

(საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!)

27. დიპლომატიური „მი-მო-ქცევები"

1918 წლის 10 (23) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა თავისი რწმუნებები გადასცა ახლად არჩეულ ს ე ი მ ს.

სეიმი შესდგა დამფუძნებელი კრების დეპუტატებისაგან, ასეთი „ინტერპარტიული" შემადგენლობით: 24 ქართველი მენშევიკი, 24

სომეხი დაშნაკი, 30 თათარი მუსავატელი, 4 თათარი ჰუმეთისტი (მენშევიკი), 3 რუსი მაჰმადიან-სოციალისტი, 3 ქართველი სოციალ-ფედერალისტი, 5 ესერი და 2 კადეტი.

სეიმის თავმჯდომარედ არჩეული იქნა კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე (რვა თვის განმავლობაში რუსეთის „ნამდვილი დემოკრატიის“ მეთაურობის გამოცდილებით!).

კომისარიატისგან განსხვავებით, ახალი სამხარეო ხელისუფლება ამიერკავკასიაში — რაკი რუსეთის დამფუძნებელი კრება ბოლშევიკებისაგან უკვე გარეკილი იყო — რუსეთისაგან უფრო დამოუკიდებელი ხელისუფლება უნდა ყოფილიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ სეიმს რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებისა და საერთოდ ბოლშევიზმის მიმართ სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია უნდა სჭეროდა.

ეს კავკასიელი ბოლშევიკებისთვის იმთავითვე სრულიად ნათელი იყო და ამიტომ მათ იმ დღესვე, სეიმის დამფუძნებელი სხდომის გახსნისთანავე, საპროტესტო მიტინგი გამართეს ალექსანდრეს ბაღში.

მიტინგს თავმჯდომარეობდა სერგო ქავთარაძე, სოფელ ზოვრეთიდან (შორაპნის მაზრა), ფრიად მომხიბლავი ქართველი კაცი, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, კომუნისტთა პარტიის წევრი 1903 წლიდან (ილიას მკვლელობისას იყო 22 წლისა და ამ მკვლელობისა არც რა იცოდა, თუნდაც იმიტომ, რომ — არც რა აცოდინეს).

მიტინგი უკვე დაწყებული იყო და სერგო ქავთარაძეც სიტყვას ამბობდა, როცა ბაღში ნაციონალური გვარდიის ორი ასეული შემოვიდა, იარაღით, მაგრამ მაინც წითელი დროშების ფრიალით. თითქოს სამშვიდობოთ მოსულიყვნენ გვარდიელები. ქავთარაძეც მიესალმა მოსულებს. გვარდიელებმა კი, სალამი რომ მოითავეს, მიტინგის დაშლა მოითხოვეს. ამ მოთხოვნას უარი მოჰყვა. მაშინ, უცებ საიდანღაც გამოჩნდნენ ნოე ხომერიკი და პეტრე გელეიშვილი (ილიას მკვლელთაგანნი), გვარდიელებს ნიშანი მისცეს და თვითონ გაუჩინარდნენ. გვარდიელებმა მიტინგს ცეცხლი გაუხსნეს. სროლა 15 წუთს გაგრძელდა. ხალხი დაიშალა და დაიფანტა. რვა კაცი მკვდარი დაირეცა, 30-მდე დაიჭრა.[119]

ნოე ჟორდანია კი, შემდგომ, ასე „გაამარტივებს“ „მარქსისტუ-

ლად მოაზროვნე“ ისტორიკოსთათვის ამ მუდამ მიმზიდველ, მენშევიკთა სალანძღავ „აქტუალურ თემას“:

„ლენინმა თავის ნამესტნიკათ დანიშნა შაუმიანი. ეს ვაჟბატონი ჩქარა ისე დაფრთხა, რომ მიიმალა. მათ საიდუმლო ორგანიზაციამ მოაწყო მიტინგი ალექსანდროვის ბაღში იმ მიზნით, რომ იქიდან წასულიყვნენ სეიმის გასარეკათ და შაუმიანის ხელისუფლების გამოსაცხადებლად. ბიურო აღმასტკომისა შეიყარა საჩქაროთ და გაგზავნა თავისი განსაკუთრებული რაზმი ვლ. იმნაძის წინამძღოლობით მიტინგის გასარეკათ და ურჩების დასაჭერათ. შედეგი ცნობილია“.[120]

იმაზედ კი აღარას ამბობს ჟორდანია, შაუმიანს რომ დაეჩემებინა: ამიერკავკასია სამ ნაწილად უნდა დაიყოს — დასავლეთი (ყოფილი ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიები), შუა (სომხეთი და აღმოსავლეთ საქართველო) და აღმოსავლეთი (აზერბაიჯანი და დაღესტანი).[121]

კარგად მოეფიქრებინა „ლენინელ ნამესტნიკს“: ნახევარზე მეტი საქართველო სომხეთად უნდა გამოეცხადებინა, რასაკვირველია, „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ მოტივით!

ხოლო, სანამ ეს შავი ოცნება მხოლოდ ოცნებადვე რჩებოდა, მანამ მისმა ავტორმა თბილისის ალექსანდრეს ბაღში სისხლის დაქცევას მიაღწია.

სისხლი კი ისევ „სოციალური ღირებულებისა“ იყო.

სეიმი კი, — ყოველი დროისა და ადგილის მთავრობასავით,— შეუდგა თავისი „საშინაო და საგარეო პოლიტიკის“ წარმოებას.

საშინაო პოლიტიკაში: გააუქმა წოდებრიობა, თავადაზნაურული პრივილეგიები; მემამულეებს მიწები ჩამოართვა და გლეხებს გადასცა; დაადგინა დროის აღრიცხვის ახალი სტილით წარმოება.

საგარეო პოლიტიკის „წარმოება“ კი ძალიან ძნელი და თავზარსაცემი გამოდგა.

თურქეთმა აღარც „კომისარიატს“ და აღარც „სეიმს“ მისი გაფრთხილებებისა და წინადადებების ღეჭვა აღარ აცალა და შეტევაზე გადმოვიდა. საბაბი ომის განახლებისა ისევ ის იყო: ნაწილობრივ რუსი და განსაკუთრებით სომეხი ჯარისკაცებისაგან სადემარკაციო ზონებში თურქული მოსახლეობის აწიოკება, განსაკუთრებით ერზერუმში „აურაცხელ სომხურ მხეცობას“ მიაქცევდა ყურადღებას თურქთა მთავარსარდალი ვეჰიბ-მეჰმედ ფაშა.[122]

თურქები უკვე მოიწევდნენ მთელის ფრონტით — ყარსის, არდაჰანისა და ტრაპეზუნდის მიმართულებით.

სეიმმა 16 თებერვალს სასწრაფო სხდომა მოიწვია და გადაწყვიტა საზავო მოლაპარაკება განეახლებინათ თურქეთის მთავრობასთან; მოლაპარაკების ანგარიშად კი ის ჰქონდათ, შენარჩუნებულიყო status quo ante bellum ანუ 1914 წლის საზღვრები რუსეთსა (ამჯერად ამიერკავკასიასა) და თურქეთს შორის, მასთან სომეხთა ავტონომიით თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში.

საზავო მოლაპარაკების ადგილად კავკასიელები ითხოვდნენ ტრაპეზუნდს, ჯერ კიდევ ნეიტრალურ ქალაქს.

სეიმს უკვე საზავო დელეგაციაც დაედგინა, აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით.

მაშინვე ერზერუმში მყოფ გენერალ ოდიშელიძეს დეპეშა გაუგზავნეს, ეცნობებინა მას თურქეთის სარდლობისათვის ამიერკავკასიის მთავრობის საზავო განზრახვები. ოდიშელიძემაც შეასრულა მისი ხელისუფლების ნაბრძანები, მაგრამ თურქეთის პასუხს სხვა მხრიდან და სხვა ამბავმა ჩამოასწრო საქართველოში: თურმე, ბრესტ-ლიტოვსკის ზავი უკვე ორივე მხარის, რუსეთისა და გერმანიის ხელრთვით, გათავებულიყო და გერმანიის მოკავშირე თურქეთისთვის, ამავე ბრესტის ზავით, მიეკუთვნებიათ სამი დიდი ქართული „ქუეყანა“ — ყარსი (ძველი ქართულით — კარი), არდაჰანი (ძველი ქართულით — არტაანი) და ბათუმი.

აი, თურმე სადამდე მისულა საქმე! აი, ესეც შენ! რაც მოგივა დავითაო, და სხვ!.. აკი მიიწვიეს ქართველები ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მაგიდაზე, ამათ კი არ ინებეს, თუ არ იკადრეს — ბოლშევიკებს გვერდით როგორ დავუჯდებითო... თურქები კი უსხდნენ „გუგულებივით“ მაგიდას, საიდანაც ქართული ბუდეები უნდა მიეღოთ, სწორედ გუგულის კვერცხებით ამოსავსებათ. და მიიღებდნენ კიდეც, რაკი დამშლელიც არავინ ჰყავდათ. და მიუღიათ კიდეც...

თურქეთს, როგორც სახელმწიფოს, დაბადებიდან მოაქვამდე, მთელი საუკუნეების გასწვრივ, სწორედ ეს ქართული ოლქები — ბათუმი, ყარსი. არტაანი — არ აძლევენ მოსვენებას, თუ მთელი საქართველო არა, — ეს ქართული, წმინდა სამებასავით, სამი ქართული ქალაქი. და აკი მიართვეს კიდეც ბოლოს და ბოლოს;

დიდად იღბლიანი ხალხია ეს თურქ-ოსმალონი; მათი წინამორბედი თურქ-სელჯუკები კი არ აღმოჩნდნენ ასე იღბლიანნი. არ აღ-

მოჩდნენ, რადგან მაშინ დავით აღმაშენებელი გამოუჩნდა პატრონად საქართველოს და დავითთან რკენაში გადაშენდნენ კიდეც თურქ-სელჯუკნი. თურქ-ოსმალონი კი ქუდბედით მოვლენილან ამ ქვეყანაზე. საბუაროს დაქცევას იფიქრებდნენ ადამიანები და კონსტანტინეპოლის დაცემას კი ვერ იფიქრებდნენ. მაგრამ თურქ-ოსმალებმა კიდევაც დასცეს, ფეხქვეშაც ამოიგეს და სამუდამოდ თავის საბუდარადაც გაიხადეს, თავისი „გუგულის კვერცხების“ სადებლად და საჩეკად. ევროპის მთავარი ციხე-ბურჯი წაიღეს, ევროპისა და აზიის შესაყარი ლაჯებში ამოიდეს, მსოფლიოს ოქროს ხიდზეც თვითონ ჩამოსხდნენ და მსოფლიოს ჭიპზეც თვითონ მოირთხეს. მას მერე გავიდა 460 წელიწადი, ნებიერი და ქედმაღალი ევროპა შეეგუა „აზიელი ბარბაროსებისგან“ ასეთ უწინამორბედო და უმაგალითო თავლაფდასხმას. საქართველო კი, თითქოს, არ ურიგდება, — მეორე დავით აღმაშენებელი აღარ დაჰბადებია, მაგრამ მაინც არ ურიგდება. არც ოსმალეთი ურიგდება „უსაქართველობას“ და უქართველობას. ქვედა ყბა ხომ უკვე სამუდამოდ ჩამოაგდებინა და წაიღო საქართველო — ყველაფრით წაიღო — მიწით, წყლით, ხალხით, კულტურით...

ახლა კიდევ — არტაანი, ყარსი, ბათუმი...

მაინც — როგორ გაუბედეს, ან როგორ გაიმეტეს საქართველო?

სასაცილოც ხომ არ არის ასე საკითხის დაყენება: სადღაც, ვიღაცა საქართველოს სამი ქალაქი კი არა, მაშინ, იმ ყბადაღებულხ ბრესტის „მშვიდობის ზავით“ (ტროცკიმ თვითონ ამ ზავის ხელმომწერმა უწოდა ასე — „Похабный мир“) გამეტებული იქნა პოლონეთი, უკრაინა, ბელორუსია, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ფინეთი, ალანდის კუნძულები. მაშინ მთავარი იყო ძალაუფლება შეენარჩუნებინა ჯერ მსოფლიო ისტორიაში გაუგონარ დიქტატურას — საბჭოთა, „პროლეტარულ“, ანუ ბოლშევიკურ დიქტატურას.

და, მთელი შენი საქართველოც რა ანგარიშში ჩასაგდები იყო, არამცთუ მისი სამი ქალაქი.

და სანამ ქართველები (და სომხებიც. თათრები კი, იდუმალ, გულში ხარობდნენ კიდეც) იმ „მშვიდობის დარტყმიდან“ გამოერკვეოდნენ, მანამ თურქეთის მთავრობისგანაც მოვიდა ფიცხელი შემოწმათვალი: აბა, კეთილ ინებეთ და ეს ჩემი კუთვნილი (!) სამი სანჯაყი დამიცალეთო.

მაინც გაიბრძოლეს კავკასიელებმა და მაშინვე საპროტესტო

დეპეშები აფრინეს: პეტროგრადში, ლონდონში, პარიზში, ვაშინგტონში, რომში, ტოკიოში, თვითონ კონსტანტინოპოლში, ბერლინში, ვენაში, კიევში და თვით ბრესტ-ლიტოვსკში.

ქართველები თურქებისგანაც ითხოვდნენ საზავო მაგიდასთან შეხვედრას, — უკვე რაის იმედით, მაგრამ მაინც ითხოვდნენ.

და თურქებმაც გამოიჩინეს საოცარი „სულგრძელობა“ და — მობრძანდითო, შემოუთვალეს „გმირ მეზობლებს“. უეჭველია, თურქებს, რუსთაგან ქართული ოლქების წყალობის ფირმანზე, კავკასიელთა ბეჭედიც სჭირდებოდა.

ტრაპეზუნდს გამგზავრების წინ ქართველთა ეროვნული კრება შეჰყარა აკაკი ჩხენკელმა. პავლე ინგოროყვას საქართველოს რუკა მოატანინა; ისტორიული და თანადროული საზღვრებით და ასპექტებით აჩხრეკინა. ინგოროყვამ აღმოსავლეთიდან დაიწყო და კახეთი რომ შემოხაზა და სიტყვითაც სთქვა, ეს კახეთიაო, — ჩხენკელს გაჰკვირვებია და წამოსცდენია კიდეც: „ქე ყოფილა, ბატონო, დიდი ქვეყანა!“[123]...

ეროვნული საბჭოს ეს „ანეკდოტური ბჭობაც“ გათავდა და გაეშურა აკაკი ჩხენკელი ტრაპეზუნდში საზავო-საკონფერენციოდ, — გაეშურა 50-მდე კაცით. და პირველ შეხვედრისთანავე, ორივე მხარე შეცბუნდა, ორმხრივი მოულოდნელობით: ქართველები იმის გამო, რომ ტრაპეზუნდი — ეს „ნეიტრალური ქალაქი“. — უკვე დაეპყროთ თურქებს, და ქალაქის კომენდანტმა იარაღით შესვლის უფლებაც არ მისცა კავკასიელ სამხედრო პირებს; ხოლო თურქები კავკასიელთა სიმრავლეს გაეკვირვებია და თავიც ვეღარ შეუმაგრებიათ, სიცილით უთქვამთ: თუ საომრად მოსულხართ — ცოტანი ხართ, ხოლო თუ დელეგაციად — ძალიან ბევრი ბრძანდებითო (არავინ იცის, თავისით დაებადათ ეს „საისტორიო ხუმრობა“ ოსმალებს, თუ თითქმის ორი ათასი წლის წინ სომეხთა მეფის, ტიგრან II-ის ნათქვამი გაიხსენეს — რომაელი კონსული ლუკულლუსი და მისი მცირერიცხოვანი ჯარის ხილვისას რომ სთქვა ტიგრანმა).

ასე, პირველ შეცბუნებათა შემდგომ, 27 თებერვალს (12 მარტს) მოპირდაპირენი საზავო მაგიდას მიუსხდნენ და თავიდანვე ჩანდა, რომ კავკასიელებისათვის (თათარ-მუსავატელთა გამოკლებით) ყველაფერი საზიანოდ და საუკუღმართოდ უნდა წარმართულიყო. თურქეთის დელეგაციის მეთაური რაუფ-ბეი კავკასიელ დიპლო-

მატებს მიმართავდა არა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენლებს, არამედ როგორც იმ ხალხთა შვილებს, რომლებიც ღაბრუნდნენ თურქეთის სახელმწიფოს წიაღში![124] განსაკუთრებით „სომხეთის საკითხის“ მოსმენას ვერ იტანდნენ თურქები. არა და, ჩხენკელი ყოველ შეხვედრაზე — ოფიციალურზე თუ არაოფიციალურზე, ბანკეტზე თუ სეირნობისას — სულ ამას ჩასჩიჩინებდა რაუფ-ბეის, — თურქეთის სომხებს ავტონომია უნდა დაუნარჩუნოთო; მაგრამ თურქი ყოველთვის მაშინვე უჭრიდა ქართველს: „ეს მხოლოდ თურქეთის საქმეაო“[125].

საზავო მოლაპარაკება მიდიოდა და თურქეთს ომი ამიერკავკასიის ხაზზე მაინც არ შეეწყვიტა. თურქებმა ამ „მოლაპარაკების“ ჟამს არდაჰანი უკვე აიღეს და წაართვეს ამიერკავკასიას. დღე-დღეზე ყარსიც უნდა დაცემულიყო. სეიმშიც სამი ნაციის ერთხმივობა დაირღვა და დაიშალა. მისი აზერბაიჯანულ-მუსავატური ნაწილი აშკარად თურქთა სასარგებლო პოზიციას იჭერდა.

ეროვნული პარტიისანი შეუჩნდნენ ნოე ჟორდანიას, თურქეთის შესაკავებლად გერმანია გამოვიყენოთო. გერმანიასთან, 1915 წელს, „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“ ხომ ხელშეკრულება აქვს დადებული — ხელშეკრულება, რომლითაც გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა. ეს „ხელშეკრულება“ ახლა უნდა გახსენებიათ გერმანიისთვის და როგორმე ჩაერთოთ იგი, საქართველოს სასარგებლოთ, თურქეთთან ატეხილ კონფლიქტში.

ჟორდანია ერთხანს ჯიუტობდა, ისევ და ისევ „მესამე — დასელისთვის“ ჩვეული ჟინით: მე, სოციალ-დემოკრატს, ეროვნულ-დემოკრატი ჰკუას როგორ მასწავლისო. მაგრამ ბოლოს „დიდსულოვნურად“ გატყდა და რეზო გაბაშვილს გერმანიაში წასასვლელი და იქაურ დიპლომატებთან შესახვედრი რწმუნებების მანდატი მისცა.

გაბაშვილს პავლე ინგოროყვა და გერონტი ქიქოძე მიჰყვებოდნენ ევროპაში. თვითონ ჟორდანიას რჩევით, ჯერ ბათუმიდან ტრაპეზუნდს უნდა ჩასულიყვნენ და იქ გერმანელი ბერნშტეინი ენახათ. ბერნშტეინი ჩემი მეგობარია, ყოჩაღი კაცი და რევოლუციონერი, ჩემი სახელით მიხვალთ და ყველაფერში დაგეხმარებათო, — დამოძღვრა ნოემ ევროპაში მიმავალი „მისიონერები“. ხო-

ლო, ევროპაში რომ ჩავიდოდნენ, იქ გიორგი მაჩაბელს მონახავდნენ და ასე, ყველა ერთად ეწვეოდა გერმანიის „სააჯო კარს“.

ბათუმში ჩასვლისთანავე საქმეს ცუდი, ჩასაშლელი პირი აუჩნდა. ზღვაზე გასასვლელად ერთი მოტორიანი და იალქნიანი ჩაეი ძლივს იშოვნეს, მაგრამ ნავის პატრონმა მალე პირი უშალათ, — ტრაპეზუნდში ჩასვლა არ შეიძლება, დაგვიჭერენო; მერე, როგორც ჰხედავთ, ცა მოიქუფრა და ზღვაზე საშინელი გრიგალი დაგვატყდებაო. გერონტი ქიქოძეც, — დაშინდა თუ რა იყო — მეცელი აიტკივა და ისიც მოიმიზეზა — ევროპაში წასასვლელად შესაფერისი ტანსაცმელი არ მაცვიაო. გაბაშვილმა ახალი პერანგი და ჰალსტუხი უყიდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, — ქიქოძეს მუცლის ტკივილმა „უმატა“. ორნი დარჩნენ — გაბაშვილი და ინგოროყვა. ნავის პატრონი აღარც იმათ ღებულობდა, მაგრამ რეზო გაბაშვილმა ძალას მიმართა: მენავეს ფულით და რევოლვერით შიადგა; იმანაც სიკვდილს ფული არჩია და მოძალადენი ზღვაზე გაიყვანა. ზღვაზე მართლაც დადგა გრიგალი. ძლივს, ვაივაგლახით მიატანეს ტრაპეზუნდს.

გადავიდნენ თუ არა, აქ პირველი მოულოდნელობა თვითონ ქართველი დიპლომატების მტრული დახვედრა იყო. აკაკი ჩხენკელს გიორგი გვაზავა გამოეგზავნა — ახლავე უკან გაბრუნდით, უთქვენოდაც საქმე არეული გვაქვსო; ვერც ბინას გიშოვნით, ვერც საჭმელს, ჩვენ თვითონ ორივეს ნაკლებობას განვიცდითო; თუ არ გაბრუნდებით და არ წახვალთ, იცოდეთ, თქვენს თავს თურქებს დავაჭერინებთო.

მაინც არ დადგნენ ბერნშტეინის უნახავად გაბაშვილი და ინგოროყვა. მაგრამ ამ გერმანელმა ებრაელმაც ცივი წყალი გადაასხათ: მე თავი დამანებეთ, მე თვითონ გამოპარული ვარ, არც ის ვიცი გერმანიაში როგორ ჩავაღწიო და რომც ჩავაღწიო, არავისთან და არაფერზე კრინტის დამძვრელი არ გახლავართო.

რაღა უნდა ექნათ, — ევროპა და გერმანია კი არა, ახლა ის ვაუხდათ საფიქრალი, საქართველოში როგორღა მობრუნებულიყვნენ: მათი ნავიც მის „კაპიტანთან“ ერთად სულაც გაპარულიყო და ვაუჩინარებულიყო.

როგორც იქნა, მეორე თუ მესამე დღეს, ბათუმისკენ მომავალ ჯავსნოსან გემს გამოჰყვნენ, სახელად რომ „კაროლ კარლ“ ერქვა. ამ გემსაც თავისი ისტორია ჰქონდა გამოვლილი. იგი რუმინელებს

აუგიათ, ომის დროს კი რუსებს შეუძენიათ. მალე მისი შემადგენლობა კიდევაც „გაბალშევიკებულა“ და, რევოლუციის სახელით, ხან აქ და ხან იქ, ზღვის განაკიდურ დასახლებებზე თავდასხმებს აწყობდა, „კონტრრევოლუციას“ ანადგურებდა და ისევ „რევოლუციის საჭიროებისათვის“ ფართო მასშტაბის „ექსპროპრიაციებს“ განასრულებდა. ბოლო დღეებში, „კაროლ კარლის“ მატროსთა ყველაზე გასმიანებულ „რევოლუციურ რეიდად“ ითვლებოდა თავად ემხვარის შეპყრობა და გემის ორთქლის ქვაბში ცოცხლად ჩახარშვა.

ახლაც უამრავი „ექსპროპრირებული ნადავლით“ დატკირთული მოდიოდა „კაროლ კარლი“. გემი ძლივს იტევდა ერთიმეორეზე დაყრილ ხალიჩებს, ავეჯს, შაქრით, ფქვილით, პურით გატენილ ტომრებს. გემზე რიგითი მეზღვაურები მბრძანებლობდნენ, ოფიცრები კი მორჩილებდნენ — როგორც სჩვეოდა და „შევნოდა“ რევოლუციას! ცალკე „სკამეინკებზე“ ოფიცერი დავით მიქელაძე და ქართული ჯარის ერთი ასეული იჯდა. მატროსები გამომწვევად იქცეოდნენ „ქართულ კონტრრევოლუციასთან“. მიქელაძე ძლივს იკავრდა გაცეცხლებულ თავის ჯარისკაცებს; დრომდე მოვითმინოთ, მიწაზე ფეხი დავდგათ და იქ გავუსწორდეთო...

ბათუმს რომ მივიდნენ და გადმოვიდნენ, დავით მიქელაძე და რეზო გაბაშვილი მაშინვე ჟორდანიას დაუკავშირდნენ და „კაროლ კარლის“ ეკიპაჟის შეპყრობა ითხოვეს. ჟორდანიამ იტყოცა: რევოლუციური გემის ხელისხლება როგორ შეიძლებაო. მაგრამ იმ ღამით, რაღაც სხვა საქმის გამო, ნოე რამიშვილი გაჩნდა ბათუმში და იმას შეატყობინეს საქციელი „კაროლ კარლის“ ეკიპაჟისა.

ფიცხლავ დატრიალდა „ნოე მეორე“, გვარდიელები შემოიყარა და დილით, რიჟრაჟზე დაეცა თავს მძინარე გემს. 250 მატროსი გამოიყვანეს, ნამთვრალევი და ძილნაწყვეტი, და ბათუმის ციხეში ჩაჰყარეს. რუსი ოფიცრები კი მადლობას ამბობდნენ, „ხიფათის, სირცხვილისა და სიკვდილისაგან გადარჩენისთვის“[126].

მთავარი ის იყო, რომ საქართველოს „ფლოტი გაუჩნდა“. ოღონდ, საფიქრალად ის გასჩენოდათ, არ იცოდნენ როგორ მოევლოთ ამ „უცნაური ნადავლისთვის“. თათბირად ისხდნენ სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები. ყველაფერში არაერთნაირნი, ამ ერთ რამეში ერთნაირნი იყვნენ: საზღვაო საქმეებისა ერთნაირად არაფერი გაეგებოდათ და ერთნაირადვე არც ის იცოდ-

ნენ, „კაროლ კარლი“ მოსავლელად და საპატრონოდ ვისთვის მიენდოთ. მერე ვილაცას გაახსენდა, რომ ბათუმში არის ადმირალი ჭავჭავაძე და ნაალაფარი გემის უფროსობა იმას მივანდოთო. და მოიყვანეს კიდეც ჭავჭავაძე — მართლაც ნამდვილი „ზღვის მგელი“ — და შესთავაზეს: გემიც მიიღე და მისი ეკიპაჟიცო.

ჭავჭავაძემაც მაშინვე უპასუხა: მე მაგ ეკიპაჟს ვიცნობ; მაგათი ოფიცრების გამოყენება შეიძლება, მაგრამ რიგითი შემადგენლობა ყოვლად გახრწნილი და უვარგისიაო; მაგათგან ოცამდე მატროსი, როგორც ნამდვილი კაცისმკვლელნი და ყაჩაღნი, კიდევაც უნდა გავასამართლოთ და დავხვრიტოთ, სამოცამდე ნაკლებ დამნაშავენი ციხეში ჩავტოვოთ, დანარჩენნი კი, უფრო უბრალონი ფელუკებში ჩავსვათ და ზღვით რუსეთისკენ გავუშვათო; მეზღვაურებს ჩვენთვის ვიშოვით, ახალ კორპუსსაც შევადგენთ, მანამ კი გემს მე და გადარჩენილი ოფიცრები მოუვლითო, — დაასრულა ჭავჭავაძემ.

მაშინვე ფეხზე წამოვარდა თათბირის თავმჯდომარე გიზო ანჯაფარიძე, „მესამე-დასელი“, და უყვირა ჭავჭავაძეს:

„რას ლაპარაკობთ თქვენ, როგორ თუ დავხვრიტოთ მეზღვაურები? თქვენ რა, ძველი დრო გგონიათ?! დავხვრიტოთ კი არა, ახლავე უნდა გავათავისუფლოთ, — ეგენი ხომ ჩვენი სოციალისტი ამხანაგები არიან!“

ჭავჭავაძე უხმოდ წამოხტა, უხმოდ „ჩესტი“ მისცა, უხმოდვე გატრიალდა და წავიდა.

ანჯაფარიძე ვითომ არ დაიბნა და იქვე თავის თანადასელ მენშევიკს, გოგოლაშვილს გასძახა: შენ უნდა ჩაიბარო ფლოტიო.

„რას ამბობ, კაცო, ნავში ჯდომა არ ვიცი და ფლოტი როგორ ჩავიბარო?!“ — იყვირა გოგოლაშვილმა.

რეზო გაბაშვილი ამბობდა შემდგომ: საკვირველი ის იყო, ყოველთვის „ყველაფრის მცოდნე სოციალისტებში“ ისეთი კაციც გამოჩნდა, რომელმაც იკადრა და თქვა — ეს საქმე მე არ ვიციო.[127]

ერთი სიტყვით, ერთი გემის გამძღოლი კაცი ვერ იშოვნეს. რევოლუციის სპეკულაციით გადაგვარებული მატროსები კი, როგორც „პარტიული ამხანაგები“, მენშევიკებმა ციხიდან გამოუშვეს და გემზე აუშვეს.

ის ღამეც განესრულა და დილა რომ დადგა, ბათუმლებმა იხილეს, რომ მათ პორტში „კაროლ კარლ“ უკვე აღარ იდგა.

8 (21) მარტს კავკასიელთა დელეგაციამ თურქეთის მხარეს წარუდგინა დეკლარაცია, რომელშიც მთავარი იყო ორი პუნქტი: „საზღვართა აღდგენა 1914 წლის მდგომარეობით და სომეხთა ავტონომიის დატოვება თურქეთის სახელმწიფოებრიობის საზღვრებში“[128]

ასეთმა „დეკლარაციამ“ თურქ დიპლომატთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია, რაც გამჟღავნდა მათ საპროტესტო დეკლარაციაში იმავე დღეს: ჩვენ ვაცხადებთ პროტესტს, რადგანაც ამიერკავკასიის დელეგაციის მოთხოვნები ნიშნავს თურქეთის შინაურ საქმეებში ჩარევას; თავის მხრივ თურქეთის მხარე მოითხოვს ამიერკავკასიის მთავრობა ჩამოყალიბდეს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, რომელსაც არავითარი პრეტენზიები არ ექნება ბათუმის, არდაჰანისა და ყარსის სანჯაყთა მისამართით, რადგან ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები სავალდებულოა ამიერკავკასიის ხელისუფლებისათვის...

მოლაპარაკება ჩაშლის პირს მიადგა. მაგრამ ჩაშლას „დროებითი შესვენება“ აჯობინეს და ერთმანეთს დაშორდნენ. ახალი შეხვედრა უნდა შემდგარიყო თურქთა მოთხოვნით, მხოლოდ ამ უკანასკნელი დეკლარაციის დაცვის პირობით — ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება და ბათუმ-არდაჰან-ყარსის თურქეთის საკუთრებად აღიარება.

ტრაპეზუნდის დელეგაციის ნაწილი საქართველოში დაბრუნდა და სეიმს ანგარიშით წარუდგა. კამათისა და აზრთა ბრუნვის შემდეგ, დაადგინეს გაეფართოებინათ საზავო დელეგაციის მეთაურის, აკაკი ჩხენკელის უფლებები, რათა „მაქსიმუმისა და მინიმუმის“ ფარგლებში თვითონ გადაეწყვიტა საზავო საკითხები ადგილზევე მოლაპარაკების მსვლელობაში.

ტრაპეზუნდის მოლაპარაკება განახლდა.

23 მარტს (5 აპრილს) ჩხენკელმა თურქებს წარუდგინა დეკლარაცია, რომლითაც ამიერკავკასიის მთავრობა თურქეთს უთმობდა ოლთისის ოლქს მთლიანად, არდაჰანის სამხრეთ ნაწილს, ყარსის სანჯაყის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, ხოლო სომხეთის გარშემო მოლაპარაკება გაგრძელებულიყო ცალკე საზავო მაგიდასთან.

ამ დეკლარაციის საპასუხოდ მეორე დღეს თურქეთის დელეგაციამ წამოაყენა მკაცრი ულტიმატუმი:

ოტომანთა საიმპერატორო მთავრობა მოითხოვს შესრულდეს მისგან 21 მარტს წამოყენებული დეკლარაცია (1. ამიერკავკასიის მთავრობის დამოუკიდებლად თვითგამოცხადება, 2. ბათუმის, არდაჰანის და ყარსის სანჯაყთა მთლიანად დაცლა); პასუხის ვადა 48 საათი[129].

ჩხენკელმა აღნიშნული ულტიმატუმის შინაარსი, თბილისში მთავრობის შესატყობინებლად და პასუხის მისაღებად, სასწრაფოდ კონფიდენციალურად გადასცა ბათუმის კომენდანტს, გენერალ მდივანს. მდივანმა დეპეშა თბილისს გადასცა.

თურქები კი, ისე რომ პასუხისთვის არც დაუცდიათ, უკვე იწყებენ შეტევას ბათუმის მიმართულებით.

28. ომის გზაზე

სეიმი საგანგებო სხდომაზე შეიკრიბა.

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

გსწრებიან: სეიმის პრეზიდიუმის წევრები — გ. აგაევი, მ. სეხდოვი; მენშევიკები — ირ. წერეთელი და ნ. ჟორდანია; მუსავატელები — ჯაფაროვი, რუსტამბეკოვი და ველიკოვი; დაშნაკები — გრუზინიან-ვრაციანი და არუთინიანი, ესერები — ლორთქიფანიძე და ი. გობეჩია; რუსეთის მუსავატელი ე. მამედბეკოვი; მუსავატელ-სოციალისტი ჯ. გაჯინსკი; სახალხო თავისუფლების პარტიიდან — ი. სემიონოვი. მთავრობის წევრები: მინისტრი-თავმჯდომარე და სამხედრო მინისტრი ე. გეგეჭკორი, მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი, იუსტიციის მინისტრი ქოის ხანი, ფინანსთა მინისტრი კარჩიკიანი, საზღვაო მინისტრი ვ. გობეჩია, გზათა მინისტრი მელიქ-ასლანოვი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენერალ-ლეიტენანტი ი. ოდიშელიძე, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ამხანაგი მ. გაჯინსკი, შრომის მინისტრის ამხანაგი ფირცხალაიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გვარჯალაძე, ზედამხედველობის მინისტრის ამხანაგი კაზარიანი.

პირველი სიტყვით გამოდის ევგენი გეგეჭკორი. იგი სხდომას აცნობს ჩხენკელის უკანასკნელ დეპეშას და თურქების ლაშქრობას

ბათუმისაკენ. ჩვენს მთავრობასაც სხვა გამოსავალი არა აქვს, გარდა იმისა, რომ მიიღოს ომი თურქეთთან. ბათუმის დაცვა „სათანადო სიმაღლეზეა“. მიღებულია ზომები ბათუმის საომარ ძალთა გაზრდისათვის, მოსახლეობის განწყობილება გურიასა და ქუთაისის გუბერნიაში არის მტკიცე და ბრძოლისუნარიანი. ვეტერანი მეომრები მასობრივად დგებიან ბათუმის დასაცავად. რაც შეეხება მტრის ძალებს — თურქები ბათუმისაკენ მოეშურებიან მცირე ძალებით — 4 000 ჯარისკაცით და 6 ზარბაზნით.

სიტყვას ამბობს კაკი წერეთელი:

„მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დავალებით, სახალხო მასების სახელით, პატივი მაქვს გავაკეთო შემდეგი განცხადება: თურქეთის იმპერიალიზმმა წამოუყენა ამიერკავკასიის დემოკრატიას ულტიმატუმი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ცნობისა. ასეთი ხელშეკრულება კი ჩვენ არ ვიცით. ჩვენ ვიცით, რომ ბრესტ-ლიტოვსკში გამოცხადებული იყო სიკვდილის განაჩენი რუსეთის რევოლუციისადმი, და ჩვენი სამშობლოს ამ სიკვდილის განაჩენს ჩვენ ხელს არ მოვაწერთ (ძლიერი, ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ გვესმის ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობა და წყურვილი მშვიდობისა ოთხი წლის სისხლისქცევით დაღლილ სახალხო მასებში. და მთავრობაც, თავის დემოკრატიასთან კავშირში, მიდიოდა ყოველგვარ დათმობაზე. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო, რათა ეს დავა მშვიდობიანად გადაგვეწყვიტა. გაუგონარი მსხვერპლნი შევთავაზეთ ჩვენ: ყარსის გამაგრებული პოზიციები, არდაჰანსაც ვაძლევდით საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის. მაგრამ მშვიდობიანი გადაწყვეტა ჩვენ გვინდოდა იმისთვის, რომ ამიერკავკასიის ხალხებს შესძლებოდათ თავისუფალი სუნთქვა და განვითარება. და ჩვენ ვითხოვდით, რომ ზღვაზე გასასვლელი მაინც დაეტოვებინათ ჩვენთვის — ერთი სასულე, საიდანაც სინათლე და ჰაერი ეგებ შემოაღწევდა ჩვენამდის, რათა ამ სინათლისა და ჰაერის ატმოსფეროში განმტკიცებულიყო და განვითარებულიყო ჩვენი დემოკრატია. როცა თურქეთმა უარყო ეს წინადადებანი, როცა მან წამოაყენა ულტიმატური მოთხოვნები ამ ჩვენი ზღვაზე გასასვლელისა — ჩვენი თავისუფალი განვითარების საწინდარისა — ამით მან ჩვენს წინაშე დააყენა საკითხი სიცოცხლისა და სიკვდილისა. ის მიელტვის, რათა დაგვიკე-

ტოს ჩვენ ყველა გზა განვითარებისკენ, ყველა გზა სინათლისკენ. ის მიელტვის, რათა მოახრჩოს ამიერკავკასიის დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა. და აი, აქ დგება ის მომენტი, როცა იარაღით ხელში ჩვენ უნდა გადავარჩინოთ უფლება ამიერკავკასიის ხალხების თავისუფალი განვითარებისა და არსებობისა...

...და აი, ჩვენს წინაშე დგას საკითხი, შევძლებთ თუ არა აწინდელ პირობებში დავიცვათ ამიერკავკასიის დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა იმ სასიკვდილო დარტყმისაგან, რომელიც მასზე მოღერებულია თურქეთის იმპერიალიზმისაგან. ჩვენ წინ მდგარ საომარ შეტაკებებში ჩვენ უნდა დავძაბოთ სრული ძალები, რათა არ შემოვუშვათ მტერი ჩვენი ქვეყნის საზღვრებში. ჩვენ ვიცით, რომ ყველაზე შეგნებული, ორგანიზებული ნაწილი ამიერკავკასიის დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა უკვე დგას იქ, ფრონტზე, ბათუმში, და ამ მომენტში, იარაღით ხელში, იცავს ამიერკავკასიის დემოკრატიის ბედიღბალს.

იქეთკენ მიელტვიან სულ ახალი და ახალი ძალები... ამ ბრძოლაში, მთელი ძალების დაძაბვით, ჩვენ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: ყოველი შინა უთანხმოება დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს ა და ამიერკავკასიის ხალხებში გადატანილი უნდა იქნეს მეორე პლანზე. ამიერკავკასიის დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს მეგობარია ის, ვინც მას ეხმარება აქტიურად, იარაღით ხელში უკუაგდებს მტერს, ხოლო მტერია იგი, ვინც მას (დემოკრატიას!) ხელს უშლის, არსებობისა და თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს დაძაბოს მთელი ძალები მოიერიშე თურქეთის წინააღმდეგ. და ჩვენ ვთვლით, რომ ამერიდან მთავრობა უნდა ხელმძღვანელობდეს ამ ერთიანი კრიტერიუმით მთელ თავის პოლიტიკაში. მან, უწინარეს ყოვლისა, უნდა მიმართოს ამიერკავკასიის ყველა პარტიას წინადადებით, აღმოუჩინოს დახმარება ხელისუფლებას ამ საარსებო ამოცანის შესრულებაში.

უნდა მოვუწოდოთ რუსეთს, რათა დაგვეხმაროს ს ა ე რ თ ო დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა თ ვ ი ს ამ ბრძოლაში, დაგვეხმაროს, რათა გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო მტრის იმპერიალისტური ურდოებით განადგურებისა და მოსპობისაგან. და თუკი იქაც, საერთაშორისო გარემოში, მეომარ სახელმწიფოთა კრებულში, აღმოჩნდება ძალა, რომელსაც შეეძლება მხარი დაუჭიროს ჩვენს დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს მისი არსებობისა და თავისუფლებისათვის თავგანწირულ ბრძოლაში — ჩვენმა მთავრობამ იქაც უნდა მიაპყროს თავისი თვალი და მოუწოდოს დასახმარებლად ყველა ძალას, რომელ-

თაც ბექმნილ საერთაშორისო მდგომარეობაში შესაძლებლობა ექნებათ, ამ სასიკვდილ ჟამს მოვიდნენ ამიერკავკასიის დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს დასახმარებლად.

სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ მხარს დავუჭერთ მთავრობას საგარეო საფრთხესთან მის ბრძოლაში, ყოველის ძალით, რაც კი გაგვაჩნია. ჩვენ ვთვლით, რომ ეს არ არის უთანასწორო ბრძოლა, და დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ყოველი ძალის დაძაბვით, ჩვენ შევძლებთ ჩვენის საზღვრებიდან მტრის უკუგდებას და მისგან ჩვენი მიწების გადარჩენას. და კიდევაც სამხედრო წარუმატებლობანიც რომ გვემუქრებოდეს, ერთი რამ მაინც გვახსოვს: ა მ ბ რ ძ ო ლ ა შ ი ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს დ ა ს ა კ ა რ გ ი ა რ ა ფ ე რ ი ა ქ ვ ს. მან უნდა იბრძოლოს უკანასკნელ ძალის დაშრეტამდე; მას ეკისრება პასუხისმგებლობა არა მარტო თანამედროვე, არამედ მომავალი თაობების წინაშეც ჩვენ ვიცით, ჩვენი კერები იქნება აკლებული და ჩვენი თავისუფლება იქნება გათელილი მხოლოდ მაშინ, როცა მტრის წინაშე იარაღს დაჰყრიან ხალხთა ხელმძღვანელი ელემენტები. არის ომები, როცა, სტრატეგიულ ოპერაციათა და საომარ შეტაკებათა შემდეგ, გამარჯვებული მტრის წინაშე დგება ამოცანა ხალხის სულის განადგურებისა— მოისრას ის სული, რომლითაც საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდა ეს ხალხი და ურომლისოდაც მას სიცოცხლეც არ შეუძლია. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ხალხებისთვის სწორედ ასეთი ომის დროება დამდგარა. და ჩვენც დარწმუნებული ვართ, კიდევაც რომ ვერ გავიმარჯვოთ და პირველ ხანებში მტრის უკუსაგდებად საკმარისი ძალებიც ვერ შემოვიყაროთ, ამიერკავკასიის ხალხები ყოველი ხელმისაწვდომი საშუალებებით მაინც გააგრძობენ ომს. პარტიები ჩაიდენენ უდიდეს დანაშაულს, თუ ყოყმანი შეუდგებათ ხალხთა არსებობისა და თავისუფლების წინააღმდეგ შემართული მტრის წინაშე. ჩვენ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ჩვენი საზღვრების დასაცავად დავძრავთ მთელს ორგანიზაციულ ძალებს, რათა წინაღვუდგეთ მტრის სამხედრო შემოსევას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბრძოლაში შეგვიძლია გავიმარჯვოთ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გამცემლური დარტყმები ზურგიდან (ხანგრძლივი ტაში). მაგრამ როგორც არ უნდა დატრიალდეს საქმე, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვღებულობთ ომს, არა ჩვენგან დაწყებულს, არამედ თურქეთისგან თავსმოხვე-

ულს, და ვიბრძოლებთ მანამ, სანამ არ გადავარჩენთ თავისუფლებასა და დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს (ხანგრძლივი ტაში)“[130].

ასეთი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უსაჩინოესი ყოფილი ლიდერისა და რუსული კატაკლიზმებისგან საქართველოში გადმოხვეწილი ქართველის (თუ არ „ნაქართველარის“) სიტყვა — შესაძლოა, შინაგანად გულწრფელი, მაგრამ გარეგნულად მაინც სუფთა ექოლალია — მყვირალა, ზერელედ ფრაზიორული. რამდენი წინადადებაც — იმდენი „დემოკრატია“, „სახალხო მასები“, „თავისუფლება“. ამ სიტყვათა წარამარა ძახილით, ლამის გერმანული მარქსიზმი ქართულ ჩახრუხაულს დაამსგავსოს. ერთ-ორგან „სამშობლოც“ მოიმარჯვა, „ისტორიული სულიც“ და წარ-„სულიც“; და ეს იმ ქართველმა (თუ ნაქართველარმა) კაცმა, რომელსაც ამ 15 წლის წინ სამშობლოც, ქართული ენაც, საქართველოს „წარ-სულიც“ და „წარმო-სულიც“, მისივე უტიფარი მტკიცებით — „გველივით ეზიზღებოდა“, „ჭირივით ეჯავრებოდა“... მაშინ ასე ყვიროდა მაშინდელი „ყვირილელი“. ახლა კი „ასე ყვიროდა“ — რუსეთში ნაყვირალი და რუსთაგან აღიარებული ოქროპირი.

რა გაეწყობოდა, — ექოლალია მისი რიტორიკული სტილი იყო. და ამ „სტილს“ მარტო რუსეთში როდი ჰქონია გასავალი. საქართველოშიც გატაცებით უსმენდნენ ამ მომხიბლავ კაცს — „მაცხოვრის სახით და მგლის გამოხედვით“... ლამაზი ფრაზა საქართველოშიც ძალიან უყვარდათ, მეტადრე უცხო და „საუცხოო“ „იზმებით“ შეკაზმულ-შეზავებული... ან, რაღა მხოლოდ საქართველოს ჩავაცივდებით, როცა XIX—XX საუკუნეთა შესაყარზე მთელი მსოფლიო ლამაზ ფრაზას და ლამაზ ლოზუნგს ისე ჟინიანად და თავდავიწყებით მიელტვოდა, როგორც ნამძინარევ-ნამშიერევი ყრმა დედის ძუძუს...

წერეთლის შემდეგ არუთინიანმა ილაპარაკა, მას შემდგომ — ლორთქიფანიძემ. ორივემ, სომეხმაც და ქართველმაც, ერთსულოვნებით მოითხოვეს თურქეთის უკუსაგდებად იარაღით ხელში გამოსვლა.

შემდგომ გამოდის მუსავატელი რუსტამბეკოვი და ამბობს: ვაი თუ მუსლიმანურმა დემოკრატიამ, თურქეთთან რელიგიური ნათესაობის გამო, მის წინააღმდეგ აქტიურად არ იბრძოლოსო, და, როგორც ადრე ვთქვიო — „აქტიური მონაწილეობა ამ ომში ჩვენ არ

შეგვიძლია და მიტომ აქტიური პასუხისმგებლობაც არ უნდა დაგვეკისროსო"[131].

არც ისე მორცხვად იყო ნათქვამი. რუსტამბეკოვმა უფრო მორცხვად ისა სთქვა — „ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, ომი კეთილად დამთავრდესო"[132]—და ამით გაათავა.

მაშინ სიტყვა ითხოვა ვალიკო ჯუღელმა, გვარდიის სარდალმა. მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით შეხვდა ტრიბუნაზე მის ასვლას. „გაუმარჯოს წითელ გვარდიას!" — იყო ძახილი, ტაში და ოვაცია.

და ლაპარაკობდა ჯუღელი: „ამხანაგებო, დადგა მომენტი, როცა ჩვენ უნდა გადავარჩინოთ რევოლუციური დემოკრატია „არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელს დიდ რუსეთში". მე არ მიმაჩნია სწორად „ზოგიერთი ამხანაგის" (რუსტამბეკოვს გულისხმობდა) ნათქვამი, თითქოს ამიერკავკასიის თათრული მოსახლეობა („თათრული დემოკრატია") არ იბრძოლებს თურქეთის წინააღმდეგო. არაა ეს სწორი იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენს თათრობას თავისუფლება მივეცით, თურქეთს „კონტრრევოლუციური მთავრობა" კი თავის ხალხს საშინელ მონობაში აცხოვრებსო. თურქეთის ხალხს „თავისუფლების ლამპადა" არ ჰღირსებიაო, ხოლო დიდი რუსეთის რესპუბლიკის წიაღში თათარმა ხალხმა თავისუფლებაც მიიღო და სხვა ყოველი სიკეთეო. ასე რომ — ეჭვი არ არის, ჩვენი „თათრული დემოკრატიაც" ისევე იომებს თურქეთის წინააღმდეგ, როგორც ამიერკავკასიის სხვა ხალხთა დემოკრატიებიო. ერთი სიტყვით, — „სომხური, მუსლიმანური და ქართული დემოკრატიის ელემენტები ერთნაირად იომებენ, რათა გადაარჩინოს რევოლუციის ტერიტორია".

ძალიან მოკლედ, ამ სულისკვეთებისა იყო „ჩახრუხაული" ვალიკო ჯუღელისა. მაგრამ ამიერკავკასიის მაშინდელი, მკაცრი პრაქტიკული ცხოვრება, რეალურად, მაინც მუსავატი რუსტამბეკოვისკენ უნდა გადახრილიყო. „ერთიანი დემოკრატია", „ერთიანი რევოლუცია", „ერთიანი თავისუფლება", ანუ მთელი მსოფლიოს „მი-მოსარყეველი" ლოზუნგი — „ძმობა, ერთობა, თავისუფლება"—მაინც, ჯერჯერობით მაინც, ამიერკავკასიაში (რუსეთშიც და მთელს მსოფლიოშიც) მხოლოდ ისევ ექოლალია იყო.

ქართველებს და სომხებს კი უნდა სცოდნოდათ, რომ მხოლოდ მათ მოუწევდათ ბრძოლა საუკუნეების მანძილზე მათი ჯავრით უძინარ მტერთან. ისტორიაც ამას კარნახობდა — საქართველოს და

სომხეთის ისტორია (თუნდაც, „მესამე-დასელთაგან“ შეჩვენებული ისტორია!)...

...მაშ, გადაწყდა: საზავო მოლაპარაკების შეწყვეტა და უკვე საომრად დაძრულ მტერთან ომითვე დახვედრა.

იმავე დღეს, 1918 წლის 31 მარტს (13 აპრილს), სეიმმა გამოაქვეყნა მიმართვა ამიერკავკასიის ხალხებისადმი:

„ამიერკავკასიის მოქალაქენო!

დაჰკრა საათმა, როცა წყდება ბედი ჩვენი საერთო სამშობლოისა.

თქვენ იცით, როგორი მოთხოვნები წამოგვიყენა ჩვენ თურქეთის მთავრობამ.

ჩვენგან მოითხოვდნენ გვეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, რომელიც დადებულია ამიერკავკასიის ხალხთა შეუტყობინებლად, — ზავი, რომელსაც ახლა რუსეთში არ სცნობს არავინ, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება და პატიოსნება მშობლიური ქვეყნისა.

ჩვენგან მოითხოვდნენ გაგვეცა ჩვენი საუკეთესო ციხესიმაგრე ყარსი და საუკეთესო პორტი ბათუმი.

ჩვენგან მოითხოვდნენ სამი ოლქის — ყარსის, არდაგანის და ბათუმის ოლქთა გაცემას.

ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რათა მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების გზით, დაგვეყოლიებინა თურქეთის მთავრობა, უარი ეთქვა ამ პრეტენზიებზე. მივისწრაფოდით რა მშვიდობის შენარჩუნებისაკენ, ჩვენ დავთანხმდით დიდ მსხვერპლსა და დათმობებზე. ჩვენ განვუცხადეთ თურქეთს, რომ თითქმის ყველაფერს ვუთმობდით მას. მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო უარი გვეთქვა ბათუმზე, ზღვაზე ჩვენს ერთადერთ გასასვლელზე, კულტურულ ევროპასთან ურთიერთობის ერთადერთ გზაზე. და ყველა ჩვენი ცდა, მიგვეღწია სადავო საკითხთა მშვიდობიანი გადაჭრისათვის, დაიმსხვრა თურქეთის სიჯიუტეზე.

თურქეთი ისევ დაჟინებით დგას თავის პირვანდელ მოთხოვნებზე. მისი მიზანია ამიერკავკასია მოსწყვიტოს გარე სამყაროს, დაახრჩოს და დაიმონოს იგი, ამ მიზნით მოდიან იერიშზე თურქთა ჯარები. მათი შეჩერება შეგვიძლია მხოლოდ იარაღით.

ჩვენს წინაშე იდგა საკითხი: განგვეგრძო მოლაპარაკება თურქეთთან იმ დროს, როცა მისი ჯარები მოდიან ჩვენი ქვეყნის სიღრ-

შეში, თუ მოლაპარაკებანი შეგვეწყვიტა და იარაღისთვის მიგვენდო ამიერკავკასიის თავისუფლების დაცვა?

თურქეთთან სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყისში ჩვენ ვამბობდით: ამიერკავკასიის ხალხებს ზავი სწყურიათ, მაგრამ ისინი არ დათანხმდებიან ზავი იყიდონ მონობისა და სირცხვილის ფასად.

ახლა ჩვენ დაგვჭირდა არჩევანი: სამარცხვინო ზავი და მონობა თუ ომი?

სამშობლოსა და მომავალი თაობების წინაშე ჩვენი დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით, ჩვენ მოვახდინეთ არჩევანი უყოყმანოდ:

სამარცხვინო ზავს ჩვენ ხელი არ მოვაწერეთ.

საზავო მოლაპარაკებანი თურქეთთან შეწყვეტილია.

ამიერიდან დავა წყდება იარაღის ძალით ბრძოლის ველზე.

და ამ წუთს მოგმართავთ თქვენ, რამეთუ თქვენგან, თქვენი სიმამაცისგან, სიდუხჭირისა და მსხვერპლისადმი თქვენი მზადყოფნისგან არის დამოკიდებული მომავალი თქვენი და თქვენი შვილებისა.

მოქალაქენო! ნუთუ თქვენ, მთელს რუსეთთან ერთად, იმიტომ დაამხეთ ცარიზმი, რომ ახლა თურქეთის დამონებულ პროვინციად გადაიქცეთ?

გლეხებო! ნუთუ თქვენ რევოლუციამ მიწა იმიტომ მოგცათ, რომ დამპყრობელმა მაგ მიწაზე ახალი მემამულეები დასვას?

მუშებო! ნუთუ თქვენ იმისთვის აღმართეთ დროშა რევოლუციისა, რომ იგი დამპყრობელის ფეხმა ტალახში გასთელოს?

სირცხვილი და მონობა თუ ომი — სხვა არჩევანი ჩვენს წინაშე არ არსებობს. დაე, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის თავზე აღმართული მრისხანე საშიშროების წინაშე დადუმდეს ყოველი დავა, დაწუნარდეს მტრობა და უთანხმოება, აქამდე გამთიშველნი ჩვენი რიგებისა!

მარადიული მონობის მარყუჟი გვეცმება კისრად ჩვენი მხარის ყოველ ხალხს. დაე, დაიმსხვრეს მტრის იერიში ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებაზე — ბოლომდე დავიცვათ ჩვენი მიწა, აქამდე ამდენ თაობათა სისხლით მორწყული!

ყველანი იარაღთან!

ყველანი ფრონტზე!

ყველანი თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავად!"[133]

ასეთი მიმართვა გამოქვეყნდა ამიერკავკასიის ხალხებისადმი. გამოცხადდა ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაცია.

მაგრამ, ამას გარდა, ამიერკავკასია კვლავ არ ივიწყებდა დიდ ჩრდილოელ მეზობელს.

კავკასიელი ახლა ურუსეთოდ იყო, თავისთავის ანაბრად. მაგრამ კვლავ რუსეთით იმედოვნებდა; ურუსეთოდ რაიმე დიდი საქმის გამოწყობა ვეღარ წარმოედგინა — ვერც სამოყვრო განაზრახის გაძღოლა, ვერც კარზე ჩამომდგარი მტრის მოგერიება.

ამიტომ გამოქვეყნდა „ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიის მიმართვა რუსეთის დემოკრატიისადმი":

„ამხანაგო რუსეთის მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო! ამიერკავკასიის დემოკრატიის სახით, ჩვენ მოგმართავთ თქვენ, ჩვენს მხარეზე აღმართულ სასიკვდილო საფრთხის წუთებში.

ემყარებიან რა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას, თურქეთის იმპერიალისტებმა ჩვენ წამოგვიყენეს მოთხოვნები, რომელმაც ამიერკავკასია უნდა მიიყვანოს დამონებამდე. ჩვენ არ შეგვეძლო დავთანხმებოდით ამ მოთხოვნებს, რადგანაც მათზე დათანხმება ჩვენ მიგვიყვანდა რუსეთისაგან მთელი კავკასიის განკვეთამდე და, ამავე დროს, ეს იქნებოდა ღალატი რევოლუციისა. თურქეთმა გადაწყვიტა თავისი მოთხოვნები აღასრულოს იარაღის ძალით და დასძრა კიდეც თავისი პოლკები ჩვენს წინააღმდეგ. დიდი საფრთხე ემუქრება ამიერკავკასიას. და ამ საათს თქვენ უნდა მოხვიდეთ ჩვენს საშველად, ჩვენო ძმებო დიადი რევოლუციური ბრძოლისა.

ჩვენ თქვენთან ერთად ვიბრძოდით 1905 წლის ბარიკადებზე. თქვენთან ერთად ვებრძოდით ცარიზმს, ერთად ვიტანჯებოდით ციხეებში, კატორღაში, გადასახლებაში. საერთო სიხარული გვქონდა ჩვენ რევოლუციის ზეიმის დღეებში, საერთო წუხილი დამარცხების დღეებში, საერთო იმედები გვინათებდნენ ჩვენ მომავალს. და ახლაც, — როცა ჩვენი რიგები გზას უღობავენ თურქეთის სულთნის ჯარებს და იცავენ ამიერკავკასიას — ამასთან ერთად ისინი იცავენ რუსეთის რევოლუციის დროშას. ჩვენი დამარცხება იქნება დარტყმა მთელი რუსეთისათვის, ჩვენი გამარჯვება კი ახალი ძალებით აღავსებს რუსეთის რევოლუციას.

ჩვენ აღვასრულებთ ჩვენს ვალს ბოლომდე. მაგრამ შეიძლება ჩვენი ძალები დაიშრიტოს. თქვენ ჩვენზე მდიდარი ხართ პურით,

იარაღით, ხალხით და ფულით. ჩვენ ველით თქვენგან მხარდაჭერას და დახმარებას.

გამოგვეხმაურეთ ჩვენს მოწოდებაზე, რუსეთის მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო, და ერთიანი ძალით დავიცვათ მტრის ხელყოფისაგან ჩვენი წითელი დროშა დიდი რუსეთის რევოლუციისა და თავისუფლებისა!

სეიმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია.
რსდმპ საოლქო კომიტეტი"[134].

ბათუმის საშიშროების საკითხი ევგენი გეგეჭკორმა საქართველოს ეროვნულ საბჭოზეც გაიტანა განსახილველად. ეს ვითომ მისი „ზედმეტი დემოკრატიზმი" და „მამულიშვილობაც" იყო. ოსმალები ბათუმის წართმევას გვიპირებენ და რას გვირჩევთ, როგორ მოვიქცეთო, — მიმართა „ნაციონალისტთა" საკრებულოს გეგეჭკორმა.

წამოდგა გენერალი ვასო გაბაშვილი და თქვა: „მე ვიცნობ ბათუმის ციხეს, როგორც ჩემ ხუთ თითს. მომეცით 3000 ჯარისკაცი და სიტყვას გაძლევთ — ექვსი თვის განმავლობაში ოსმალებს კი არა, ჩიტს არ გადმოვაფრენ ბათუმისაკენ"...

მაგრამ გეგეჭკორმა მაშინვე ჩააწყვეტინა, რისხვეული ხმით: „რას ბრძანებთ, ბატონო ღენერალო, თქვენი თავი საშუალო საუკუნეებში ხომ არ გგონიათ, — ზარბაზნებსა და ციხეებზე გველაპარაკებით? ან სად გვყავს ჯარი?! ბათუმში ჯარი კი არ უნდა წავიყვანოთ, არამედ ხალხი; იქ საპროტესტო მიტინგები გავმართოთ და, როცა ოსმალები დაინახავენ, რომ მთელი ქართველი დემოკრატია წინააღმდეგია მათი, — დღეს დემოკრატიის ხანაა და ოსმალეთის დემოკრატიაც ხომ ჩვენი ძმებია და ისინი არასოდეს არ შემოვლენ ბათუმში"...[135]

საოცარი იყო სწორედ: იქ, სეიმზე, გეგეჭკორი, ასე თუ ისე, მაინც ლაპარაკობდა ბათუმის დასაცავად რაღაც სამხედრო ძალაზე და პრაქტიკულ ღონისძიებაზე. ახლა კი აქ, „ამ ნაციონალისტებთან" ისევ თავისი „მესამედასური" გაახურა: ჩვენ ყველაფერს, და მათ შორის ბათუმის საკითხსაც, „საერთაშორისო დემოკრატიის" საშუალებით გადავწყვეტთო, — დემოკრატიული ბრძოლის

ისეთი ფორმით, როგორიც საპროტესტო მიტინგი თუ დემონსტრაციაააო...

მთელი უბედურებაც სწორედ აქ ბუდობდა: იყო მიტინგები და კრებები, იყო მაღალფარდოვანი სიტყვა, იყო დაუცხრომელი „დემოკრატიული ფაციფუცი და ბრახაბრუხი“, მოწოდებები „რევოლუციური პროლეტარიატისადმი“ და მისი „მოკავშირე გლეხობისადმი“; ერთი სიტყვით ყველაფერი იყო „თავზე საყრელად“, ოღონდ არ იყო ის, რაიც სჭირდებოდა ომს, მძვინვარე მტრის მოგერიებას.

ქვეყანას, რომელსაც თავი სახელმწიფოდ წარმოედგინა, არ ჰყავდა ჯარი. ან, „თითქოს ჰყავდა“, სწორედ თითქოს.

ქართველი მენშევიკები, იმ მსოფლიო „სისხლის წვიმების“ დრო-ჟამს, — როცა ნორმაზე მაღლა სისხლის ნალექის რაოდენობა კავკასიის ზონას არ შორდებოდა — ჯარის შექმნაზე და ორგანიზებაზე თითქმის არცა ზრუნავდნენ.

მსოფლიო ომში მონაწილეობდა ორი ქართული ლეგიონი — ერთი ქვეითი და ერთი ცხენოსანი. ორივე, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, დემობილიზებული დაბრუნდა საქართველოში.

რაკი ამიერკავკასიაში ყველა ხალხს ჰყავდა თავისი ნაციონალური ჯარი — სომხებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს — ქართველმა მენშევიკებმაც სცადეს თავისი ნაციონალური სამხედრო კორპუსის შექმნა (ესეც, ვითომ, „ინტერნაციონალური მოვალეობით“!). ქართული კორპუსის მასალად სწორედ ფრონტიდან ახლადდაბრუნებული ლეგიონები უნდა გამოეყენებიათ.

მაგრამ ქართველი მენშევიკები უფრო გვარდიაზე ზრუნავდნენ, ვიდრე ჯარზე. ჯარის, თითქოს, კიდევაც უფრო ეშინოდათ მენშევიკებს, ვიდრე ეიმედებოდათ. „ჯარი“ ხომ ყოველთვის, ისტორიულადაც და თანადროულადაც, მაინც და მაინც „ხალხს“ უდრიდა და მენშევიკთა „ხალხურ პარტიას“ ფრიად ეშინოდა ხალხისა. ხელისუფლების დამცველი, — სულ ერთია, მონარქიისა, ოლიგარქიისა, თუ ყოველნაირი „არქიისა“ და „კრატიისა“ — მაინც ყოველთვის არის „გვარდია“, საგანგებოდ ანარჩევი, გაწრთვნილი, ნაპატივები, დასილაღებული და გალაღებული საომარი ძალა — ისეთი, როგორიც, ვთქვათ, დარიოს აქემენიდის „ათი ათასი უკვდავი“, რომაელი კეისრების „პრეტორიანული გვარდია“, შაჰ აბასის „ყულის

ჯარი“, და სხვ. მისთ. რომელთაც უპირველეს ყოველისა ევალებოდათ მონარქის „ღვთაებრივი პიროვნების“, „მისი უდიდებულესობის“ დაცვა და მუდმივი წესრიგის სადარაჯოზე დგომა.

და ასეთივე მოწოდებით სუფევდა საქართველოში მენშევიკური „წითელი გვარდიაც“, — იმასაც უწინარეს ყოვლისა მოვალეობად ჰქონდა მისივე შემოქმედი და უმაღლესად პატივმიმგებელი ხელისუფლების, „მისი უდემოკრატიულესობის“, მენშევიკური მთავრობის დაცვა. ამ „წითელს“, ანუ „მუშურ-გლეხურ“ გვარდიას „შინაურ მტრებთან“ ბრძოლა ევალებოდა. გარეშე მტერთან საომრად კი ჩვეულებრივი ჯარი უნდა ყოფილიყო გამზადებული. ჯარი, რომელსაც აგრეთვე „მუშურ-გლეხური“ ერქვა. და, რაკიღა, არა მარტო ერქვა, არამედ ჯარი მართლა იყო მუშურ-გლეხური და უშუალოდ ხალხის სისხლ-ხორცი, ამიტომაც მისი შიში სწორედ უნდა ჰქონოდა მენშევიკურ მთავრობას. ამიტომაც სჭირდებოდა მას ცალკე, თავისი „მუშურ-გლეხური გვარდია“, — სჭირდებოდა თუნდაც... „მუშურ-გლეხური ჯარის“ დასათრგუნავადაც... ამიტომ, მენშევიკები ნაკლებს ზრუნავდნენ ჯარისათვის. ქართულ ჯარს შესანიშნავი გენერალიტეტი ჰყავდა — ჭკვიანნი, მამაცნი, ომში ნაწრთობნი — ოდიშელიძე, ანდრონიკაშვილი, გაბაშვილი, მაზნიაშვილი, სუმბათაშვილი, იმნაძე, გედევანიშვილი, — მაგრამ ყველა ამ „უპარტიოებს“, ერთად აღებულთ, მენშევიკებს მაინც ერთი „პარტიული“ ვალიკო ჯუღელი ერჩივნათ.

ახლად ჩამოყალიბებული ქართული კორპუსის უფროსად, ისევ „პარტიული მოსაზრებით“, მენშევიკი პოლკოვნიკი ახმეტელი დანიშნეს. კორპუსში უდისციპლინობა სუფევდა, იყო თვითნებური წასვლა-წამოსვლა, მეთაურებისადმი ურჩობა და დაუმორჩილებლობა, სამხედრო სწავლების ნაცვლად მიტინგებზე „დროს ტარება“, ღვინისა და ქალის „თავგადაყოლა“...

გენერალმა მაზნიაშვილმა ახალგაზრდობის გაწვევა სცადა. შალვა ქარუმიძესა და ქაქუცა ჩოლოყაშვილს ხევსურეთიდანაც ჩამოაყვანინა. ოთხასამდე მეომარი. მაგრამ ვერ იქნებოდა ეს საკმარისი...

არც მობილიზაციას მოჰყოლია დიდი შედეგი. ბოლშევიკები ხალხს მოუწოდებდნენ ბრძოლაში არ წასულიყვნენ. ისინი კვლავ

„პორაჟენცობის“ (საკუთარი ქვეყნის დამარცხების!) პოზიციაზე იდგნენ (და ასე იქნებიან მანამ, სანამ ხელისუფლებას ხელში თვითონ არ აიღებენ).

თურქეთი კი მოდიოდა, ხოლო, საქართველოს მისი შემკავებელი ძალა არ გააჩნდა. სამაგიეროდ უხვად გააჩნდა „რევოლუციური“ და „დემოკრატიული“ სიტყვა, მიტინგი, კრება, თათბირი, მოწოდება, ლოზუნგი...

26 მარტს, არმავირში, პეტროგრადიდან მომავალი მატარებლიდან ჩამოსვეს და დახვრიტეს 38 ქართველი. მათ შორის დაასახელეს: ალექსანდრე კეზელი (ოფიცერი), ვარლამ საყვარელიძე (ექიმი), კონსტანტინე წულუკიძე (სტუდენტი), გიორგი ჟღენტი (შტაბს-კაპიტანი), დიმიტრი მანსვეტაშვილი (შტაბსკაპიტანი), ირაკლი ამირაჯიბი (სოვდაგარი), ალექსანდრე ნაკაშიძე (სტუდენტი), ილია მიქელაძე (სტუდენტი), ნიკოლოზ კორძაია (ოფიცერი), ისიდორე ჩიქოვანი (უნტერ-ოფიცერი), სამი ძმა ოფიცრები — ჩემოდანოვები[136].

დახვრიტეს როგორც „კონტრრევოლუციონერები“, არა დამტკიცებით და დასაბუთებით, არამედ უბრალო ვარაუდით, თუნდაც იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ და ცოტა „სხვა ფერზე“ გამოიყურებოდნენ...

1918 წლის 1 აპრილს თურქებმა აიღეს ბათუმი.

თუ მიხვდებოდნენ, — ეს უდიდესი საისტორიო (სწორედ საისტორიო!) მარცხი იყო „მესამე-დასელებისა“.

მაგრამ თურქეთმა ბათუმი — როგორც ბრესტ-ლიტოვსკისგან ნაბოძები ულუფა — არ იკმარა და ლაშქრობა საქართველოს სიღრმეში გამოაგრძელა. 4 აპრილს ჩოლოქი გადმოლახეს და ქობულეთი დაიჭირეს ოსმალებმა.

ქობულეთიდან ორ ნაკადად წამოემართნენ — ნატანებისკენ და ოზურგეთისკენ. ნატანებთან გენერალი გიორგი მაზნიაშვილი და-

უხვდა მტერს, სასტიკად დაამარცხა, მრავალი ასკერი მკვდარი დაატოვებინა და დანარჩენები უკუაქცია. მაგრამ ოზურგეთისკენ მიმავალ ოსმალთა მეორე ნაკადს, სოფელ ლიხაურთან მდგარმა ქართველებმა წინააღმდეგობაც არ გაუწიეს, ისე გაიქცნენ ოზურგეთს. აქ პოლკოვნიკ სვიმონ წერეთლის ლეგიონი იდგა, მაგრამ წერეთელმაც ქალაქი უბრძოლველად მიატოვა და ჩოხატაურამდე დაიხია.

თურქები სისხლდაუდენლად შევიდნენ ოზურგეთს.

ამიერკავკასიას მთელის ფრონტით უტევდნენ თურქები. მალე მათ ყარსიც აიღეს. ამრიგად, ქართველები და სომხები, ბათუმ-ყარსის ტრაგედიით, ისევ ერთ ტაფაზე იწვოდნენ, თათარ-მუსავატელებს კი თავის ამიერკავკასიელ „თანამოძმეთა“ ეს ტრაგედია, თუ არ ახარებდათ, ყოველ შემთხვევაში, შეწუხებით მაინც არ აწუხებდათ.

თურქეთი ახლა უფრო დაჟინებით მოითხოვდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, ანუ რუსეთისაგან სრულ ჩამოშორებას. ამ წადილის მიზანდასახულობაც ნათელი იყო: კავკასიის დამოუკიდებლობა კავკასიის მიწიდან დიდი რუსეთის ფეხის ამოკვეთას მოასწავებდა; ურუსეთოდ დარჩენილ კავკასიელებს კი თურქეთი თავის ნებასა და ჭკუაზე „მოუვლიდა“.

ამიერკავკასიასაც მეტი გზა აღარ ჰქონდა. რუსეთს, უმძიმესი სამოქალაქო ომით სრულიად მოცულს, ამიერკავკასიისათვის აღარ ეცალა. ყოველ შემთხვევაში, ამ უმძიმეს, მტრის შემოსევის პირობებში მაინც უნდა „შერიგებოდა“ დამოუკიდებლობას ამიერკავკასია, და მანამდე მაინც ყოფილიყო დამოუკიდებლად, სანამ ისევ „მოიცლიდა“ რუსეთი მის საპატრონებლად...

ნოე ჟორდანიას ცოტა ადრეც, 1918 წლის 22 თებერვალს, სეიმის სხდომაზე ასეთი რამ ჰქონდა ნათქვამი: უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ამიერკავკასიას პირველად უხდება ნაბიჯი გადადგას ურუსეთოდ; თანაც ჩვენ ვართ ომის მდგომარეობაში უარმიოდ და უიარაღოდ... როცა არის არჩევანი — რუსეთი თუ თურქეთი — ჩვენ უყოყმანოდ ვირჩევთ რუსეთს. მაგრამ როცა დგას არჩევანი— თურქეთი თუ დამოუკიდებლობა — მაშინ ვარჩევთ დამოუკიდებლობას. სამწუხაროდ, საკითხი ახლა სწორედ ასე დგას და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, ჩვენ თვითონ, რუსეთის იმედის გარეშე, შემოვიკრიბოთ ყოველი ღონე და ვიბრძოლოთ დამოუკიდებლობისათ-

ვის... მაშ — „გაუმარჯოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, და, ძირს თურქეთი!“ (ხანგრძლივი ტაში)[137]...

თურქთა წინსვლას ამიერკავკასიის მიწაწყალზე ხელს უწყობდა ადგილობრივ ბოლშევიკთა აქტიური, უკვე შეიარაღებული გამოსვლები ადგილობრივი ხელისუფლების დასამხობად.

1918 წლის აპრილის დამდეგს ბოლშევიკებმა აჯანყება მოაწყვეს აფხაზეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, სამხრეთ-ოსეთში.

აჯანყება დაიწყო 11 მარტს, გაგრაში, ეფრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას ხელმძღვანელობით. აჯანყებულთა მეორე ნაკადი დაიძრა გუდაუთიდან, გიორგი ათარბეგოვისა და ს. კუხალეიშვილის მეთაურობით. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს სოხუმი და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება.

ბოლშევიკებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს სამეგრელოს სოფელ ბანძაშიც.

ვალიკო ჯუღელი გაეშურა თავისი გვარდიით. მისვლისთანავე აიღო ბანძა. აჯანყების მეთაური, საშა გეგეჭკორი, მთებში გაიხიზნა.

შემდეგ აფხაზეთისკენ გასწია ჯუღელმა. ჰარმაგმა ალექსანდრე შერვაშიძემ სამასკაციანი აფხაზური ცხენოსანი ლაშქარი შემოაგება ბოლშევიკების წინააღმდეგ დამხმარე ძალად ქართული გვარდიის უფროსს. — ეგღა მაკლია, მე, სოციალ-დემოკრატმა, ფეოდალის დახმარება მივიღოო, ხელს ნუ მიშლით და აქედან მიბრძანდითო,.— შეაგება ჯუღელმა შერვაშიძეს[138]. ასეთი „ფანფარონული“ პასუხის შედეგი კი ის იყო, რომ ალექსანდრე შერვაშიძე, ეს გავლენიანი აფხაზი, იმ დღიდან, ტატაშ და დიმიტრი მარშანიებთან ერთად, — მტრად გადაეკიდა მთელ საქართველოს.

ბრძოლა სოხუმისა და კოდორის მიდამოებში რამდენიმე დღე გაგრძელდა. ბოლშევიკებმა სოხუმი დათმეს. ვალიკო ჯუღელი თავისი გვარდიელებით შევიდა ქალაქში. და წერდა შემდეგ იგი, უტეხი ხელით, თავის „მძიმე ჯვარში“:

„შეუძლებელია აღწერო გათავისუფლებული სოხუმლების დაუცხრომელი აღფრთოვანება. ხალხის აღტაცებული ბრბოები (!) გვხვდებოდნენ ჩვენ სიხარულით აღსავსე შეძახილებით და ყვავილების პნევით! და ზეიმობდა არა ბურჟუაზია — რომელიც ჩვენ შეგვხვდა საკმაოდ თავშეკავებულად — არამედ ზეიმობდა ნამდვილი დემოკრატია, რომელსაც თავი დაეხსნა ბოლშევიკთა ტყვეობისაგან. მე არასოდეს არ დავივიწყებ ამ სიხარულსა და ასეთ უალ-

რესად გულწრფელ, უაღრესად უტყუარ მადლიერებას ჩვენდამი. ხარობდა სული, მშვიდდებოდა სინდისი ამ მადლიერი, მოზეიმე ბრბოს (!) ხილვისას!"[139].

ძნელი სათქმელია, რა სჯეროდა და რა არ სჯეროდა ამ ტირადიდან საკუთარ სულში მენშევიკთა გვარდიის სარდალს, ანუ რით ეკეკლუცებოდა იგი მომავალ მკითხველს — უფრო ფილოსოფიით თუ უფრო მწერლობით. ან კიდევ — გულწრფელად ვერ ასხვავებდა ის „ხალხსა" და „ბრბოს" ერთმანეთისგან?! მთავარი ხაზგასმა მაინც მისი სოციალ-დემოკრატობა იყო — ვითომ დემოკრატიის სამსახური და შეურიგებლობა ბურჟუაზიისა და ფეოდალური „კლასებისადმი" — ყველგან, ყველგან და აქაც, სოხუმშიც!..

ერთი რამე მაინც უნდა ვირწმუნოთ: ვალიკო ჯუღელი იმას ნამდვილად ვერ გრძნობდა, რომ მისი ეს ნათქვამი სასაცილო პამპლაუქობა იყო და სხვა არაფერი.

აღარც იმის გამოქვეყნებას მორიდებია ვალიკო ჯუღელი, როგორ შევიდა იგი თავისი თანამებრძოლებით ბოლშევიკთა რევკომისა და შტაბის შენობაში, მდიდრულად გაწყობილ სასტუმროში, სადაც მდიდრული სუფრა გაეწყოთ ეშბასთვის, ლაკობასთვის და მათი თანაშტაბელებისათვის. „მათი სია ეკიდა კედელზე და იქვე ეწერა მკაცრად, რომ უფასო სადილებით სარგებლობის უფლება, გარდა შტაბის წევრებისა, არავისა აქვს. ჩვენ, მოშიებულნი, მაგრამ მხიარულნი შემოვუსხედით ამ მაგიდას, და არ ჰქონდა საზღვარი ხუმრობას ჩვენსას. მადლობა თქვენ, გაქცეულო „ამხანაგებო", გემრიელი და მუქთი სადილისათვის!.. ჩვენ ხომ თქვენზე გაცილებით ცუდათ ვცხოვრობთ და მხოლოდ საერთო ქვაბიდან ვღებულობთ ლუკმას"[140]...

მაშ, შევიდა ვალიკო ჯუღელი სოხუმში და, როგორც თვითონ წერს, „აღადგინა რევოლუციური წესრიგი".

სოხუმის ოლქში მცხოვრებ სომეხთა დელეგაცია ეწვია ჯუღელს და ამან ცალკე სამძიმოდ საფიქრებელი აღუძრა მას: რა სამწუხაროა, რომ აქაურ სომხებს „ბოლშევიკური კომუნიზმი" თავის „გადამრჩენელი ფარი" ჰგონებიათ და ახლა კი ნანობენ, რომ მოტყუებულანო. ძალიან ძალიან მეცოდება ეს ნაწამები და დევნილი ხალხიო. მთელი უბედურება იმაშია, რომ სომხებს „დაშნაკცუტიუნი" მიუძღვისო. ეს ხომ ნაციონალისტური პარტიაა! ნაციონალიზმი კი ხალხს ღუპავს! მთავარი და ყოველი ხალხის მხსნელი ხომ ინტერ-

ნაციონალიზმია და არა ნაციონალიზმი!.. და ასე შემდეგ... ისევ და ისევ ილიას მკვლელობის დროინდელი „მესამე-დასური“ ჰანგები...

მაგრამ ახლა სომხებს, თურმე, აფხაზეთიდან დედაბუდიანად აყრა და გადასახლება გადუწყვეტიათ.

როგორ?! რისთვის?!

— სხვა გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს: გვეშინია თურქთა დესანტისა, — უპასუხეს სომხებმა.

— არავითარ შემთხვევაში, — იყვირა ჯუღელმა — ჩვენ ვკისრულობთ თქვენს დაცვას. ფეხიც არ მოიცვალოთ! თქვენი წასვლა გააღატაკებს და დაჰღუპავს ამ ოლქს![14]..

სომხები დარჩნენ...

29. „დამოუკიდებლობიდან“... „დამოუკიდებლობისაკენ“.

1918 წლის 22 აპრილს (ახალი სტილით), თბილისში შესდგა სეიმის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სხდომა.

ამ დღეს გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.

ეს აქტი გამორჩეულად ამიერკავკასიის ხალხებისთვის იყო მნიშვნელობით განუზომელი, თორემ რუსეთისთვის, განსაკუთრებით იმდროინდელი რუსეთისთვის — მაინც და მაინც არ უნდა ყოფილიყო უჩვეულო, მოულოდნელი და ცითმოვლენილი უბედურება. რუსეთისგან მაშინ მოწყვეტილი იყო მისი უდიდესი საბატონონი — უკრაინა, პოლონეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი და, ლამის თვითონ ნახევარი რუსეთიც — და რაღა საფიქრალი და საოხარი უნდა ყოფილიყო ნაკვეთ-ნაკვეთად აქნილი რუსეთისათვის ამიერკავკასია, მისი თითო მუჭა ქართველ-სომეხ-თათრებით. მთელი რუსეთის სული და გული თვითონ რუსეთის შინაგან სისხლის თხევას და სულის რღვევას ჰყავდა ჩათრეული. თებერვლის რევოლუციისგან წარმოქმნილი „დემოკრატიული ჰუმანიზმის“ რვათვიანმა ლაჩრობამ და ბედოვლათობამ თავის მხრივ წარმოშვა მისივე მესაფლავე — ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება. ახალ რევოლუციას ახალი კონტრევოლუცია შეება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით. და ამ ბრძოლაში იწრთობოდა მანამდე მსოფლიო

ისტორიაში გაუგონარი სიმტკიცე და სისასტიკე ახალი სახელმწიფოებრივი სისტემის — ბოლშევიკური დიქტატურისა.

ამიტომ, ჯერჯერობით არც ამიერკავკასიისათვის ეცალა რუსეთს.

საქართველოს პოლიტიკური ისტორია ხომ თავიდან ბოლომდე უცხოურ უღელთა დადგმა-გადაგდების სერიებით არის აკინძული. უღლები ნაირ-ნაირი: პართიული, რომაული, სპარსული, არაბული, ბიზანტიური, მონღოლური, ირანული, თურქული, რუსული.

ყველაზე ხანმოკლე ამ უღელთაგან — 100-100 წელი — იყო მონღოლური და რუსული.

ეს — უღლების ქრონოლოგიური სიგრძის ერთნაირობა.

მაგრამ განსხვავება?

განსხვავება იყო „უბრალოდ" და „მარტივად" სათქმელი: რუსეთის განათლებულმა იმპერატორებმა რომ თავისი ნებით შეერთებულ საქართველოს ყოველგვარი თვითმმართველობა და ავტონომია წაართვეს, ველურ მონღოლთა უწყიგნურ ყაენებს მათგან უმძიმესი სისხლისთხევებით დაპყრობილი საქართველოსთვის ადგილობრივი მეფობისა და თვითგამგებლობის წართმევა ფიქრადაც არ უკადრებიათ.

მაგრამ განა მარტო მონღოლები? აქ ჩამოთვლილ კოსმოფაგ დამპყრობთაგან — არც რომაელებს, არც არაბებს, არც ბიზანტიელებს, არც ირანელებს, არც თურქებს, არც სხვა რომელიმეს — გარდა რუსებისა — არამცთუ არ უცდიათ, აზრადაც („იდეოლოგიურადაც") არ მოსვლიათ ყოველგვარი შინახელისუფლებისა და შინამმართველობის წართმევა.

მაგრამ საოცრებაც სწორედ ეს არის: მაინც რომ ყოველგვარი (და ამდენი „უწყინარი") უღლის გადაგდებას ქართველი ხალხი აუწერელი სიხარულითა და ზეიმით ეგებებოდა — რუსეთისაგან განკვეთას იგი თითქოს რაღაცნაირი უხერხულობით, თითქოს, წყენით, ლამის გლოვით და ზარით შეხვედროდა. რასაკვირველია, „პარტიების", „დასების" თუ „ფრაქციების" მიხედვით — ქართველებიც იბრძოდნენ რუსების მხარდამხარ, სამივე რუსული პოლიტიკური სისტემის — ცარიზმის, დროებითი მთავრობის, თუ ბოლშევიკური დიქტატურის — წინააღმდეგ. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ საქართველოს „რუსული უღლისგან გათავისუფლება", ეტყობოდა, განთავისუფლებადაც არ მიაჩნდა.

ეს „განთავისუფლება" ბედისგან მიგდებული მოულოდნელობა

იყო და არა ბრძოლით მოპოვებული, მარად საოცნებო და სანატრელი ელევთერია. რუსეთს თვითონ გაუვარდა ხელიდან საქართველო და საერთოდ ამიერკავკასია, შინა აგონიითა და პოლიტიკური კატაკლიზმებით შეპყრობილსა და გათანგულს.

საქართველო კი არ იყო მიჩვეული ასე „ბედისგან მიგდებულ“ თავისუფლებას.

იგი ახლა უფრო დაობლებულად გრძნობდა თავს, ვიდრე განთავისუფლებულად.

ამიტომ იგი, დამოუკიდებელი, დამოუკიდებლობის სიტკბოს ვერ გრძნობდა.

უფრო მეტიც: ამ დამოუკიდებლობით ის უფრო მეტ უბედურებასაც შეეყრება, ვიდრე ბედნიერებას ეზიარებოდეს...

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ოთხი დღის შემდეგ, მუშ.-ჯარ.-გლეხ. დეპუტატთა სამხარეო ცენტრისა, სოციალ-დემოკრატთა და სოციალ-რევოლუციონერთა გაერთიანებულ სხდომაზე, ნოე ჟორდანია იტყვის:

„ჩვენ დახმარების სათხოვნელად ვაკაკუნებდით ყველა კარებზე. მივმართავდით რუსეთს, ჩრდილოეთ კავკასიას, ინგლისისა და ამერიკის წარმომადგენლობებს. მაგრამ დახმარება ვერსაიდან ვერ მივიღეთ. ჩვენ დავრჩით ჩვენი ძალების ამარად. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, და ჩვენ წავაგეთ ბრძოლა ბათუმთან.

ახლა ხალხში რეაქცია დაიწყო. ხალხს ეჭვი შეაქვს ღალატში ყველას მიმართ.

ეს სრულიად ბუნებრივია, — დამარცხებულნი მუდამ ეძებენ ვაცსა განტევებისასა. დემოკრატიის ბრალი იმაშია, არმია რომ ვერ შექმნა დროზე...

...ყარსის ოლქში დამარცხების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ჩვენ ომი არ შეგვიძლია. ბათუმის ბრძოლებმა დაამტკიცეს, რომ თურქეთის ზურგს უკან დგას გერმანია, — რომ მისი ინსტრუქტორები ხელმძღვანელობენ თურქთა ჯარებს. ერთ ამიერკავკასიას ასეთ ძალასთან გამკლავება აღარ შეეძლო...

...სხვა გზა აღარ იყო... და დაისვა საკითხი დამოუკიდებლობის შესახებ, რადგან შემდგომი მოლაპარაკებისათვის თურქეთი მოითხოვდა ჩვენი იურიდიული არსებობის გაფორმებას“[142]...

და აქაც, დეპუტატთა სამხარეო ცენტრის სხდომაზე, მიღებული იქნა რეზოლუცია:

„ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, აღსრულებული მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის სეიმისაგან, ცნობილი იქნას როგორც ისტორიულად აუცილებელი აქტი და ერთადერთი გამოსავალი მთელი ქვეყნისთვის შექმნილი სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობიდან, — გამოწვეული აუცილებლობით, რათა გადარჩეს დამოუკიდებელი არსებობა, როგორც სამხრეთიდან დაძრული იმპერიალიზმისაგან, ასევე ჩრდილოეთიდან მოწოლილი ყოვლისდამანგრეველი ანარქიზმისაგან.

ამასთან ერთად სამხარეო ცენტრი მოუწოდებს მთელი ამიერკავკასიის დემოკრატიას, ბრძოლისუნარიანი და დისციპლინირებული არმიის შექმნით, დადგეს ამიერკავკასიის ნამდვილი დამოუკიდებლობისა და რევოლუციის ზეიმის სადარაჯოზე“[143]...

მაშ, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა უკვე ისტორიული ფაქტი იყო.

აკაკი ჩხენკელის წინადადებით, მას ეწოდა:

„ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა“.

მის პირველ (და უკანასკნელ!) თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მისივე ნათლია — აკაკი ჩხენკელი.

იგივე იყო საგარეო საქმეთა მინისტრი.

დანარჩენი მინისტრები: ნოე რამიშვილი — შინაგან საქმეთა, გრიგოლ გიორგაძე — სამხედრო საქმეთა, ნოე ხომერიკი — მიწათმოქმედებისა, მ. გაჯინსკი — ვაჭრობისა და მრეწველობისა.

და ასე — 22 აპრილს რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა გამოცხადდა, მეორე დღეს, მოწინააღმდეგე მხარეებმა საომარი მოქმედებაც შეწყვიტეს და ახალ სამშვიდობო მოლაპარაკებასაც შეუდგნენ.

მოლაპარაკება შედგა ბათუმში.

ამიერკავკასიის დელეგაციას თავმჯდომარეობდა თვითონ აკაკი ჩხენკელი. დელეგაცია ისევ მრავალრიცხოვანი იყო, — შესდგებოდა 45 კაცისაგან. ამათგან, ვინც საზავო მაგიდას უშუალოდ უნდა მისჯდომოდა, იყო ექვსი კაცი: ორი ქართველი — აკაკი ჩხენკელი და ნიკო ნიკოლაძე, ორი სომეხი — რ. კაჩაზნუნი და ა. ხატისოვი,

ორი თათარი — მ. გაჯინსკი და რასულ-ზადე. დანარჩენნი იყვნენ საუწყებო წარმომადგენელნი, ნაციონალურ საბჭოთა მდივანნი, სამხედრონი — ორი გენერლით და სამი პოლკოვნიკით.

ქართველთა დელეგაციაში იყო, აგრეთვე, ზურაბ ავალიშვილი, რომელმაც შემდგომ, ემიგრაციაში ყოფნისას, 1924 წელს, გამოსცა ფრიად საყურადღებო წიგნი — „საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში 1918—1921 წ.წ."

მოპირდაპირე მხარეთა პარტნიორობა, წინასწარი გააზრებითვე, ძნელი და რთული უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი, თვითონ კავკასიელთა დელეგაციის საერთო სულისკვეთებაც კი გარეგნულად ფორმალური და შინაგანად წინააღმდეგობრივი იყო: ქართველები და სომხები — დაზარალებულნი და დამცირებულნი, თათარ-აზერბაიჯანელნი — „თანამოძმე თურქთა" გამარჯვებებით ამაღლებულნი და გაწმტკიცებულნი.

თვითონ გამარჯვებული თურქები ბათუმში ქართველებსაც კი ცუდ ხვდებოდნენ, როგორც ათადან-ბაბადან დამკვიდრებული მასპინძლები ცხრამთას გადაღმიდან გამოჩენილ უცხოელ სტუმრებს. თითქოს იმასაც ვერ შერიგებოდნენ თურქები, 40 წელიწადი (1878—1918) რომ ისე „უსამართლოდ" დაჰკარგვოდათ „მათი ბათუმი".

თურქთა საზავო დიპლომატიურ გუნდს ძლიერი ტრიუმვირატი უდგა სათავეში: თავმჯდომარე — იუსტიციისა და საგარეო საქმეთა მინისტრი (მალე — თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარე) ხალილ-ბეი (დედით ქართველი), კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი ვეჰიბ-მეჰმედ ფაშა და საზღვაო მინისტრი ჯემალ ფაშა.

ბათუმის კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობდა გერმანიის დელეგაციაც, გენერალ-მაიორ ფონ-ლოსოვის ხელმძღვანელობით. აქვე, ფონ-ლოსოვის გვერდით, იყვნენ გრაფი შულენბურგი, გერმანიის გენერალური კონსული თბილისში, და ფონ-ვეზენდოკი, ახლო აღმოსავლეთის სპეციალისტი-დიპლომატი.

თურქთა დელეგაციას ბათუმში მოჰყვა კავკასიის მთიელთა „რესპუბლიკის" წარმომადგენელი, გაიდარ-ბეი ბამატი, რომელიც მის ხელისუფალს, ახლადგამომცხვარი ჩრდილოური „რესპუბლიკის" თავმჯდომარეს, აბდულ-მეჯიდ-ბეი ჩერმოევს სტამბოლში ჰყოლოდა გაუზავნილი დასმარებისა და მხარდაჭერისათვის.

წინასწარვე ეტყობოდა, რა წონისაც უნდა ყოფილიყო „ბათუ-

მის კონფერენცია". იგი გაგრძელდა მხოლოდ ერთი დღე — 11 მაისს.

სხდომა გახსნა და პირველი მისასალმებელი სიტყვა, თურქულ ენაზე, წარმოსთქვა ხალილ-ბეიმ. სიტყვის ფრანგული თარგმანი წაიკითხა მდივანმა, ორხან-ბეიმ (რომელიც ადრე, ბრესტ-ლიტოვსკის შეხვედრაზეც მდივნობდა თურქთა დელეგაციას). ხალილ-ბეი კავკასიელებს ულოცავდა მათ თავზე „თავისუფლების მშვენიერი ვარსკვლავის" გამობრწყინებას და იმედოვნებდა თურქეთისა და ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის სამომავლო კეთილმეზობლობას.

დაიწყო მოლაპარაკების მთავარი, საქმიანი ნაწილი. დაიწყო ისევ ბრესტ-ლიტოვსკის „კავკასიური ნაწილით". რაკი ჩხენკელს ტრაპეზუნდის კონფერენციის ბოლო დღეს უკვე განცხადებული ჰქონდა, რომ იგი თანახმაა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ბათუმის, ყარსისა და არდაჰანის თურქეთისათვის დათმობაზე — იგი ახლა წინადადებას აყენებდა მოლაპარაკება გაგრძელებულიყო მხოლოდ იგივე პუნქტების გარშემო. ხოლო, თურქთა მხარე თურმე ბრესტ-ლიტოვსკის „კავკასიურ ნაწილს" უკვე განვლილ, წარსულ ეტაპად თვლიდა და მოითხოვდა მოლაპარაკება გამართულიყო ახალი ეტაპის საწყისით — ანუ იმ ტერიტორიების გათვალისწინებით, რომლებიც თურქებს ხელთ ეგდოთ ბათუმის შემდგომ საქართველოსა და სომხეთის სიღრმეებში. და ხალილ-ბეიმ მაშინვე წარმოადგინა კიდეც თავისი ახალი საზავო პროექტი.

ჩხენკელის მხარე ბოლოს და ბოლოს დათანხმდა ეს პროექტი გასაცნობად მიეღო და ამით სხდომა დამთავრდა.

თურქთა ახალი პროექტი შედგებოდა თორმეტი მუხლისაგან და სამი დანართისაგან. აქედან მთავარი და საქართველო-სომხეთისათვის მომაკვდინებელი იყო თურქთაგან მოთხოვნა იმ ტერიტორიებისა, რომლებიც მათ ხელიდან გამოგლიჯეს რუსებმა და ქართველებმა 1828 წელს. კერძოდ, ლაპარაკი იყო ისტორიულ ქართულ ტერიტორიებზე — ახალციხე-ახალქალაქის ოლქებზე, სადაც, სწორედ 1828 წლის შემდგომ, სომხებიც დასახლებულიყვნენ ფრიად მრავლად და კომპაქტურად. თითქმის კატასტროფამდე მიდიოდა თვითონ საკუთრივ სომხეთიც, რომლისგან, ამ ახალი საზავო პროექტით, თურქეთის საბატონო საზღვრებში უნდა მოქცეულიყო ალექსანდროპოლის და ეჩმიაძინის ოლქები, ყარსიდან და ალექსანდროპოლიდან სპარსეთისაკენ მიმავალი რკინიგზებით.

ამგვარად, ამ ახალი პროექტით, თურქეთი სრულ კონტროლს მიელტვოდა საქართველო-სომხეთზე და პირდაპირ უკავშირდებოდა ორივე (სპარსეთისა და რუსეთის) აზერბაიჯანის მოძმე-ეროვნულ და მოძმე-სარწმუნოებრივ მოსახლეობას.

ბოლოს, თუ თურქები თავისი ახალი პროექტის მთავარ მოტივებს ძალაში შეიყვანდნენ, აღარც ის უნდა ყოფილიყო საეჭვო, რომ მუდამ თბილისზე და ბაქოზე მეოცნებე „ბრწყინვალე პორტა“, მალე ამ კავკასიურ გვირგვინთა დაუფლების ცდასაც აღარ დააგვიანებდა.

რა ვუყოთ, რომ ბაქოს მაშინ ბოლშევიკები ფლობდნენ. თურქთა „მოძმე მუსავატები“ იძლეოდნენ იმის იმედებს, რომ ბაქო მალე თავისუფალი იქნებოდა „ბოლშევიკური კირთებისაგან“.

მაშ, „ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის“ გამოცხადებიდან 20 დღეც არ გასულიყო და მისი „მტკიცე“, „ძმური“ და „თანასწორი“ ერთიანობა პირველ სერიოზულ საკითხთან შეხვედრისთანავე უკვე დაშლილი სჩანდა. აზერბაიჯანელებმა აშკარად უარი თქვეს თურქეთთან მოსალოდნელ იარაღისმიერ კონფლიქტზე. აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორისაც მტრობა და აშკარა სისხლის ქცევაც კარგა ხნის დაწყებული იყო და ქართველები ამაოდ ცდილობდნენ მათ შერიგებას.

სომხებსაც უკვე თავისთვის, იდუმალ, მოლაპარაკება გაებათ გერმანელებთან.

ქართველებსაც ისღა დარჩენოდათ, საქართველოსთვის ცდილიყვნენ. მოლაპარაკების ამ უბანზე, ბუნებრივად, ჰიდილი უფრო რთული გამოდგა, რადგან თურქეთისთვის ყველაზე „მაგარი კაკალი“ მაინც საქართველო იყო და თუ საქართველოს გასტეხდა, დანარჩენი ორი პრობლემაც — სომხური და თათრული — თურქეთის ძხარეს შეეძლო თავის სასარგებლოდ გადაჭრილად ჩაეთვალა.

და რამდენიმე დღე გაგრძელდა ბრძოლა ურთიერთ შორის მემორანდუმებისა და ნოტების „მი-მო-ქცევით“. ქართველები ისევ ბრესტ-ლიტოვსკს ჩასჭიდებოდნენ, თურქები კი — ბრესტ-ლიტოვსკისაც და პლიუს მის შემდგომ მილწევებსაც.

ის კი არა და, თურქეთში მაშინ მესამე აზრიც არსებობდა, სახელოვანი ენვერ-ფაშას აზრი: აქ გასაყოფ-გამოსაყოფი აღარაფერია და ამიერკავკასია მთლიანად უნდა შემოვუერთოთ თურქეთსო...

ქართველები თურქებს სთავაზობდნენ: ჩვენ, ამიერკავკასიამ და

თურქეთმა, სამშვიდობო ხელშეკრულება დავდოთ, სამხედრო კონვენციაში კი მთლიანად გერმანია და მისი მოკავშირეები ჩავრთოთო.

თურქები კი ამას პასუხობნდენ: უგ თქვენი საქმე არ არის, ცალკე ორმა მხარემ რა უნდა გადაწყვიტოს და რაში კიდევ მოკავშირეები უნდა ჩავრთოთო.

ქართველ-სომეხთა იმედი მაინც გერმანია უნდა ყოფილიყო. გერმანიისთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა ბათუმ-ბაქოს რკინიგზის ხაზზე განლაგებული ხალხების მტრად გადაკიდება, მით უფრო, რომ ბაქო-თბილისის გზებისკენ ინგლისელებიც მოილტვოდნენ ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან. ამიტომ, გერმანია უნდა ცდილიყო, აეძულებინა თურქეთი უფრო ლოიალურ მოთხოვნებზე ქართველ-სომეხთა მიმართ. რაც მთავარია, ომი ევროპაში კულმინაციურ სასრულს უახლოვდებოდა და პირველ რიგში სწორედ გერმანიას აინტერესებდა „განაკიდური ქვეყნების“, პირველ რიგში აღმოსავლეთის სამხედრო-დიპლომატიურ კვანძთა სასწრაფოდ დახსნა და ასე თუ ისე ლოიალურ წონასწორობათა დამყარება.

რუსეთიდან კი ცნობები მოდიოდა, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება თვითმარქვია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არ სცნობდა და მის დასამხობად, ბაქოსა და სოჭის მხარეებიდან, შეტევებსაც ამზადებდა.

ფონ-ლოსოვმა ბათუმიდან პეტროგრადში გერმანიის ელჩს, მირბახს შეატყობინა, — ყოველი ღონე ეხმარა საქართველოზე საბჭოთა ხელისუფლების შემოტევათა შესაკავებლად. ამავე დროს გერმანიის მთავრობა ცდილობდა, პეტროგრადის ბოლშევიკურ ხელისუფლებას ეცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობაც. იყო ლაპარაკი პეტროგრადისა და თბილისის წარმომადგენელთა დიპლომატიურ შეხვედრაზე, მაგრამ არც ერთ და არც მეორე მხარეს, პოლიტიკურ სიტუაციათა ახალი გართულებების გამო, საშუალება არ მიეცათ ასეთი შეხვედრებისათვის.

19 მაისს ფონ-ლოსოვმა უკვე ოფიციალურად შესთავაზა კავკასიელებს გერმანიის „კეთილი სამსახური“[144].

ქართველებმა და სომხებმა მაშინვე ჩასჭიდეს ხელი ამ წინადადებას. აზერბაიჯანელებმა კი გადაჭრით უარი სთქვეს და გადაჭრითვე თურქეთისადმი სოლიდარობა გაამჟღავნეს.

მაშასადამე, ამიერკავკასიის მთლიანობა უკვე გახლეჩილი და

დაშლილი გამოჩნდა. ამ სამი ერის საგარეო პოლიტიკის ერთსულოვანი წარმოება შეუძლებელი ყოფილა. სამივეს თავისი სატკივარი ჰქონოდა. სამივეს საკუთარი გზით და წამლით უნდა ეშველნა თავისთვის.

ბათუმ-ყარსის ხაზის ხელში ჩაგდების შემდეგ, ისლამური თურქეთი ისლამური ბაქოსკენ მიისწრაფოდა და საამისოდ, სამიმოსვლო კორიდორად საქართველო ეჭირა. საქართველოს კი ამის დაშვება არ შეეძლო. მას თურქეთი უნდა უკუეგდო. საამისოდ კი მას ახლა, — როცა რუსეთი „ხელიდან გამოსცლოდა“ — გერმანია სჭირდებოდა, და გერმანიაც უწვდიდა დახმარების ხელს...

14 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო დადგენილება:

„1). ეცნობოს გერმანიის დელეგაციას, ფონ-ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო გამოთქვამს სურვილს და ითხოვს, რათა გერმანიამ ყოველგვარად დაიცვას საქართველო საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხებში... 2). ეთხოკოს გენერალ ფონ-ლოსოვს, სანამ ეს მიღწეული იქნებოდეს, დატოვოს საქართველოში გერმანიის ტყვეები და ოფიცრები და დაევალოს მათ სამხედრო ორგანიზაცია, რომ საქართველოს მთავრობას საშუალება ჰქონდეს გამოიყენოს ეს ჯარები შინაგანი წესრიგის დასამყარებლად და ანარქიასთან საბრძოლველად“[145].

მაშასადამე, საქართველო თავის მომავალ ბედს ისევ უცხო ძალას, ამჟამად გერმანიას ანდობდა და უკავშირებდა.

20 მაისს ნოე ჟორდანია ჩავიდა ბათუმში და შეხვედრა ჰქონდა ფონ-ლოსოვთან. დათქვეს, რომ გერმანიის წარმომადგენელი ერთხელ კიდევ სცდიდა შუამდგომლობას თურქთა წინაშე, რათა ეკმარათ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ნაანგარიშევი კავკასიური მიწები. ხოლო, უკეთუ უარს მიიღებდა, ლოსოვს თავისი მთავრობის წინაშე უნდა ეშუამდგომლა, უშუალოდ აეღო თავის თავზე „მფარველობა“ საქართველოსი.

22 მაისს ჟორდანია ისევ თბილისს დაბრუნდა.

25 მაისს ჩხენკელმა იქვე, ბათუმში, მიიღო ულტიმატუმი ხალილ-ბეისა: თურქეთის მთავრობა ამიერკავკასიის მთავრობისაგან მოითხოვს 72 საათის განმავლობაში შეასრულოს ყველა მისი მოთხოვნა, წაყენებულნი ბათუმის მოლაპარაკების დაწყების ღღეს.

და მაშინვე ჩხენკელმაც აცნობა თბილისს:

„შემდგომი დაყოვნება დამოუკიდებლობის გამოცხადებისა გაიწვევს გაუსწორებელ შედეგებს. გერმანელთა შუამდგომლობის ცდამ შედეგი არ მოიტანა. რჩება ერთადერთი: თურქეთის შემოსევას დავუპირისპიროთ დამოუკიდებელი საქართველო, გერმანიის მხარდაჭერის ქვეშ. გერმანიის წარმომადგენელი საქართველოს მთავრობაში იქნება გრაფი შულენბურგი... უკვე მომზადებულია რიგი დროებითი შეთანხმებისა გერმანიასთან... ველი სასწრაფო ცნობას (დამოუკიდებლობის) აქტის შესახებ“[146]...

25 მაისი იწურება.

აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე და ზურაბ ავალიშვილი ნერვებდამწყდარი ელოდებიან პასუხს... და ისიც მოვიდა:

ხვალ, 26 მაისს, გამოცხადდება საქართველოს დამოუკიდებლობა!..

მაშ, ხვალ!

მაგრამ რა ჭაპანწყვეტით ჩაუვლია ამ სახვალიო გადაწყვეტილებას დღეს, 25 მაისს, თბილისის ეროვნულ საბჭოზე!

მართლაც და, როგორ? — „მესამე დასელები“, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მთავარ ფრთას სასიკვდილო ტყვიას ესვრიან, ახლა თვითონ აპირებენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას?!

მაშ, ღალატობენ ქართველი მარქსისტები მსოფლიო ინტერნაციონალიზმს?!

თუ მსოფლიოს არა — რუსეთის ინტერნაციონალიზმს?!

თუ რუსეთის არა — ამიერკავკასიის ინტერნაციონალიზმს?!

დანაზე ეხეოდა კაკი წერეთელი: ეს როგორ შეიძლება, — რას იტყვის რუსეთის დემოკრატია?!

რაჟდენ არსენიძე ყვიროდა — საქართველოს საერთოდ არ შეუძლია იარსებოს დიდი სახელმწიფოს წიაღში ყოფნის გარეშეო.

სერგი ჯაფარიძე კი ამას გაიძახდა თუთიყუშივით ნაზეპირევად: საქართველოს არ შეუძლიან დამოუკიდებლობა, რადგან ნავთი არა აქვსო...

მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა დროისმიერმა აძულებამ — სწორედ იძულებამ იმისა, რომ საქართველოს და მის მესვეურ „მესამე-დასელებს“ მაშინ დამოუკიდებლობის გამოცხადების გარდა სხვა გზა არ ჰქონდათ!

მაშ საქართველოს ისტორიის უთვალავ ექსტრავაგანტურობას ეს ერთიც მიემატა: იგი დამოუკიდებლობას აცხადებდა მაშინ, როცა მას ეს არ სურდა!..

თვითონ იტყვის და გამოაქვეყნებს, 35 წლის შემდეგ, ნოე ჟორდანია ამას: „მაშასადამე, დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი. მისი გატარება ჩვენს რევოლუციონურ ორგანიზაციებში გახდა დიდ თავსამტვრევ ამოცანად“[147].

მაშ, საქართველოს ისტორიის უთვალავ ექსტრავაგანტურობას ეს ერთიც მიემატა: იგი დამოუკიდებლობას აცხადებდა მაშინ, როცა მას ეს არ სურდა...

წინა დღეებში, კოტე აფხაზმა, ილიას დისწულმა, თავადაზნაურობის მარშალმა, ქართველი თავადაზნაურობის მთელი ავლადიდება ძღვნად მიართვა საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

„მესამე-დასელები“ ახლა სწორედ ნათავადარ სავარძლებში ჩასვენებულნი ბჭობდნენ საქართველოს ხვალინდელ ბედზედ.

უკვე გადაეწყვიტათ:

ხვალ, 26 მაისს, მოიწვევენ სეიმს, გამოაცხადებენ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლას და მაშინვე, ქართულ ეროვნულ საბჭოს საგანგებო სხდომაზე, გამოაცხადებენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

კენჭის ყრა.

ერთმანეთს თვალებში შესციცინებენ და ისე, შიშრეულად, აძლევენ ხმას.

როგორც იქნა გათავდა და გადაწყდა.

და უცებ ფეხზე წამოიჭრა კაკი წერეთელი, თავში მუშტები წაირშინა და ისევ სავარძელში ჩაიკეცა, ისტერიული კივილით:

„რას შვრებით, რას სჩადიხართ, ქართველებო, თქვენ ხომ რუსეთის დემოკრატიას ღუპავთ, რუსეთის დემოკრატიას!“

მაშინ წამოუხტა ვლასა მგელაძე „ღვთაებრივ მგელს“ და უყვირა:

„წადი, წადი და მაგნაირები ჩინიზელის ცირკში ილაპარაკე, აქ კი — გახსოვდეს, საქართველოა!“

(ეს ის ცნობა მგელაძე იყო, კუბოში მწოლარე საქართველოს გაჰას რომ სიტყვა უთხრა).

ორი დღით ადრე, 23 მაისს, ვალიკო ჯუღელმა სოხუმში თბილისიდან სასწრაფო წვეება მიიღო — თურქები თბილისიდან უკვე 80 კილომეტრზე დგანანო.

ჯუღელმა სოხუმში თავის თანამებრძოლთა ნაწილი დატოვა, დანარჩენი გვარდიით კი დაუყოვნებლივ თბილისისკენ გაეშურა.

მოდიოდა და ამის ფიქრი კლავდა გზაზე ამ კაცს:

„თბილისის დაცემა ხომ ამიერკავკასიის რევოლუციის დაცემას უდრის!"[148]

(სხვა არაფერი!).

და გზაზე კიდევ — თბილისის, ანუ „ამიერკავკასიის რევოლუციის დაცემამდე" (!) — ის შეიტყო, რომ საქართველო იმ ამიერკავკასიას „გამოშლია" და ცალკე დამოუკიდებლობის გამოცხადება გადაუწყვეტია!

ღმერთო, ეს რა მომხდარა?!

რამ გამოიწვია ახლა ამისთანა უბედურება?!

უეჭველად „წყეულ ნაციონალიზმს გაუმარჯვნია!"[149] — მუშტებს იშენდა თავში ჯუღელი (წერეთელივით)...

„ოოო, საცოდავო, საწყალო, წამებულო რუსეთო! როგორ მიყვარდი მე შენ, შენი ნათელი მომავალი, შენი საოცნებოდ გაბრწყინებული თავისუფლება და როგორ ვნაღვლობ ახლა, როგორ დავსტირი შენს დანგრეულ, დაუძლურებულ, დაღუპულ სხეულს!"[150]

მოდიოდა ჭართველი კაცი, ჭართული გვარდიის მთავარსარდალი და ერთად მოიგლოვდა:

საქართველოს დამოუკიდებლობას და რუსეთის დანგრევას (!!!).

კარი მეოთხე



ზიზღარი დაშოყილებლობისა

1. „აპოკალიპსის“

26-ც დადგა — ქრისტესშობითგან 1918 წლის 26 მაისი.

დილით შეიკრიბა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის სეიმი.

იყო განხილვა „მიმდინარე მომენტისა“.

იყო მსჯელობა.

იყო კამათი.

იყო სიტყვის ლეწვა, როგორც ყოველთვის — მართებულიც, უმართებულოც, წრფელიც, ფარისეველურიც.

კაკი წერეთელმა, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით, ორჯერ წარმოთქვა სიტყვა. ჩვენი ფრაქციაო, — ამბობდა იგი პირველ სიტყვაში — ყოველთვის ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანობისთვის იბრძოდაო; ამიერკავკასიის ერთიანობა ჩვენი იდეალი იყოო; მაგრამ ახლა შეიქნა ისეთი მომენტი ჩვენს ცხოვრებაში, როცა ასეთი „იდეალური ერთიანობა“ ვეღარ შედგა, და უნდა ყოველივე ეთქვათ გულახდილად: როცა გარეშე მტერი უკვე შემოიჭრა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე — „ამ გადამწყვეტ მომენტში, ომისა და ზავის საკითხზე, ამიერკავკასიის ხალხთა შორის არ არსებობს

ნებისა და მოქმედების ერთიანობა". მაშასადამე, ფაქტიურად, „ახლანდელ მომენტში ერთიანი ამიერკავკასია არ არსებობს".

ადრე ჩვენ რუსეთის ხალხთა ერთიანობისთვის ვიბრძოდით, — განაგრძობდა წერეთელი — მაგრამ რუსეთის ერთობა შიგნიდან ანარქიამ და გარედან იმპერიალისტურმა ომმა დაამხოო. რევოლუციური რუსეთის ერთიანობის რღვევამ ამიერკავკასიის ხალხებს დაუკარგა და მოუსპო გარეშე მტრის დამონებისგან მტკიცე, საიმედო დამცველი და მფარველი. ამიერკავკასიის საზღვრები მტრის შემოსევებისთვის გაშიშვლდა; ამიერკავკასიის ხალხები თავისთავის ანაბრად დარჩნენ.

ჩვენ (სოციალ-დემოკრატებს) კარგად გვესმოდა, რომ ასეთ მძიმე ჟამს ამიერკავკასიის სხვადასხვა ერის ხალხებს შეიძლებოდა სხვადასხვა ამოცანები და მისწრაფებანი გასჩენოდათ — ისტორიული, ეკონომიური თუ პოლიტიკური; მაგრამ ჩვენ ვცდილობდით, რათა ყველა ხალხისთვის მთავარ და ერთიან მიზნად გაგვეხადა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შენარჩუნება; ამიტომ ვიბრძოდით ჩვენ, — რათა შეგვექმნა ერთიანი ნიადაგი, რაც თავის გამოხატულებას მიიღებდა ამიერკავკასიის ერთიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში. ჩვენ ვგულისხმობდით, რომ ამ სახელმწიფოში დაცული იქნებოდა თანასწორობა და ერთსულოვნება, სადაც გამორიცხული იქნებოდა ერთი რომელიმე ხალხის რაიმე ცალკე პოლიტიკური ორიენტაციის მოხვევა დანარჩენი ხალხების თავზე.

მაგრამ თავის დაარსებიდანვე ამიერკავკასიის ერთიანობას განუწყვეტლივ უდგა საკითხი ყოფნა-არყოფნისა. და აი, გადამწყვეტ მომენტში ამ ერთიანობის შიგნით გამთიშველი ძალები უფრო ძლიერნი აღმოჩდნენ. ჩვენ თავიდანვე ვშიშობდით, რომ თურქეთის შემოტევის შემთხვევაში ამიერკავკასიის მუსლიმანური მოსახლეობა არ იომებდა ერთმორწმუნე თურქთა წინააღმდეგ. თუმცაღა ვიმედოვნებდით, რომ ერთიანი ნიადაგით ამიერკავკასიაში ჩვენ შევქმნიდით ერთიან პატრიოტიზმს, — როცა ამიერკავკასიის ყველა მოქალაქე, განურჩევლად რელიგიისა და ეროვნებისა, ერთნაირად იბრძოლებდა თავისი ერთიანი კავკასიური სახელმწიფოსთვის და სამშობლოსთვის. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. „სახელმწიფო ერთიანობა იწრთობა ისტორიულ განვითარებაში", მაგრამ ჩვენ „ისტორიამ აგვაჩქარა" და უეცარი დიდი საგარეო საფრთხის წინაშე ჩვენს ერთიან სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში მის ხალხებს ერთიანი

ინტერესები აღარ აღმოაჩნდათ. ამიტომ ხდება, რომ ბათუმის საზავო კონფერენციაზე, თურქეთის მხარეს ჩვენს დელეგაციას მთელი ამიერკავკასიის ხალხთა ერთიან ინტერესთა გამომხატველად არ მიაჩნია; მას მხედველობაში აქვს სწორედ ის, რომ ამიერკავკასიის მუსლიმანობა დანარჩენ აქაურ ხალხებს ფაქტიურად განუდგა და თურქების მხარე დაიჭირა. ამიტომ ფიქტიურია ამიერკავკასიის ერთიანობაც, ფიქტიურია მისი დელეგაციის ერთიანობაც ბათუმის კონფერენციაზე. ქართველი ხალხი მარტო დარჩა: სომეხი ხალხი მას იარაღის ძალით ჩამოაშორეს, მუსლიმანი ხალხი კი თავისით ჩამოშორდა. და ჩვენც ვეუბნებით ახლა ქართველ ხალხს: „შენ ამ მომენტში ხარ მარტო, შენ ეკუთვნი მხოლოდ შენს ძალებს, შენ არ გაქვს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია... და შენი მდგომარეობა უარესდება კიდევ იმით, რომ შენ ცხოვრობ ილუზიებით, ვითომ არის ერთიანი ამიერკავკასია, ვითომ არის ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი და დელეგაცია ბათუმში. მაგრამ იცოდე, თუ გინდა გადაარჩინო შენი ინტერესები, უშველე თავს, — რამეთუ შენ შექმნა შენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი და შენი ოფიციალური წარმომადგენლობა“[1].

ერთი სიტყვით, ირაკლი (კაკი) გუშინ რომ იმას ბღაოდა — ქართველებო, რას სჩადიხართ, დამოუკიდებლობას რომ აცხადებთ, ამით რუსეთის სოციალ-დემოკრატიას ყელს სჭრითო, — დღეს პირიქით, სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობას ქადაგებდა თავისი „დემოსთენური მჭევრმეტყველებით“. აქ მთავარიც სწორედ ეს იყო: რაკი წერეთელი დარწმუნდა, რომ საქართველომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიას საბოლოოდ „ყელი გამოსჭრა“, ან უფრო სწორად — საქართველომ რუსეთზე გადაბმული არტერია თვითონვე გადაიჭრა — ამის შემდგომ საქართველოს მაინც ცალკე ყოფნა და ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა უჯობდა. დამოუკიდებლობის გაწირვა მარტო რუსეთისთვის ღირდა...

აზერბაიჯანელმა მუსავატისტმა რუსტამბეკოვმა სცადა კაკი წერეთლის სიტყვის გაწბილება, — წერეთელი მარტო ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამოდისო. მაგრამ კაკიმ მეორე სიტყვით უმალვე გააშავა მოკამათე. რუსტამბეკოვი ძალიან კარგად ხედავდა, რომ მე საერთოდ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიის სახელით გამოვდიოდი და მასში, ქართველი ხალხი, ბუნებრივად, სხვა ხალხებთან ერთად გამოვიდა მოხსენებულიო.

მერე საბუთებიც ამოალაგა წერეთელმა: ახალციხელმა და ახალქალაქელმა მუსლიმანებმა თავიანთი საცხოვრებელი ოლქებით თურქეთთან შეერთების სურვილი განაცხადეს. საამისო პეტიციაც წარმოადგინეს, მუსავატისტები კი სდუმან და იმის მაგივრად, პეტიციის ავტორებს უთხრან — თქვენ მტრები და მოღალატეები ხართო — უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ამას თუ იტყვიან: „ჩვენ მაგათ არ თანავუგრძნობთო“.

ამიტომ კვლავ ვეუბნებით ქართველ ხალხს: „შენ გადაგიდგნენ, შენ მარტო ხარ, შენის ძალის ამარად დარჩი“... ამასთან — „ამიერკავკასიის ერთიანობის დაშლას ჩვენ ვთვლით დარტყმად არა მარტო ქართველი ხალხისადმი, არამედ მთელი (კავკასიის) დემოკრატიისადმი“. მაშ, „არ შეიძლება ვილაპარაკოთ ამიერკავკასიის ერთიანობაზე, როცა ის სინამდვილეში აღარ არსებობს“[2]...

უკვე აღარავინ დავობდა იმაზე, რომ ფაქტიურად დაშლილი ამიერკავკასიის ფედერაცია ოფიციალურადაც უნდა დაშლილიყო და ბოლოს და ბოლოს, დღის 3 საათზე, სეიმმა ივი დაშლილად და გაუქმებულად გამოაცხადა.

ამრიგად, ამიერკავკასიის დამოუკიდებელმა სახელმწიფომ — ამ „უხერხემლო მოლუსკმა“[3] გასძლო მხოლოდ თვენახევარი.

მაშ, „ერთარსება სამსახოვანი“ (როგორც აკაკი ჩხენკელი იტყოდა) უკვე დაშლილი იყო. ახლა სამივე ხალხს — ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს — თვითონ, დამოუკიდებლად უნდა მიეხედათ თავის თავისთვის.

იმავე დღეს, შუა დღისას, თბილისის სასახლეში, შეიყარა ქართული ეროვნული საბჭო.

ესწრება 42 წევრი და 36 კანდიდატი.

ამათ გარდა, დარბაზი, მისი ლოჟები და გალერეები გაჭედილია ხალხით, სხვადასხვა ნაციონალური წარმომადგენლობით. აქ არის გერმანული მისიის მეთაური გრაფი შელენბურგი, გერმანელ ოფიცერთა ამალით. აქ არის თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე, საპატიო სამღვდელოთა თანხლებით. სასულიეროთა გვერდით არიან ქართველი საერონი და სამხედრონი.

ხალხითაა გაჭედილი სასახლის მოედანი და ახლომახლო ქუჩები და მიმოსახედნი.

სასახლის თავზე ფრიალებს ორი დროშა — ეროვნულ-ქართული და სოციალ-დემოკრატიული.

სხდომას ხელმძღვანელობს ნაციონალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — ნოე ჟორდანია.

მასთან, პრეზიდიუმის წევრებად სხედან: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე.

მდივნის მოვალეობას ასრულებს თვითონ ნაციონალური საბჭოს მდივანი — ილია ზურაბიშვილი.

სხდომა იხსნება შუადღის 4 საათსა და 50 წუთზე.

ტრიბუნაზე ადის ნოე ჟორდანია.

მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით, ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციით ეგებება მას.

ჟორდანია:

„ნაციონალური საბჭოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ იყავით მოწმენი იშვიათი ისტორიული და მასთან ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა ამავე დარბაზში საფუძველი ეყრება მეორე სახელმწიფოს.

ამ ორ სახელმწიფოს შორის, — რომელთაგან ერთი მოკვდა, მეორე კი იბადება — არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ურთიერთ საწინააღმდეგო ინტერესები.

და უკეთუ პირველი ოდესმე ისევ აღსდგება მკვდრეთით, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათ შორის მუდამაც იარსებებს თანხმობა ინტერესებისა (ტაში).

საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც არსდება დღეს, არ წავა არცერთი ნაციის, ხალხის, თუ სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ.

მისი მიზანია — დაიცვას თავი თანამედროვე ისტორიულ ჭარიშხალში.

და როცა ეს მიზანი მიღწეული იქნება, იგი დასახმარებლად მიეცა იმასთანაც, ვისაც ჩვენს ქვეყანასთან ერთად თავს დაატყდა დიდი გამოცდა (ტაში).

თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოსთვის ჩვეულია ბრძოლა არსებობისათვის; იგი იბრძოდა საუკუნეებით თავისი ჯულიერი სახის, ნაციონალური ორგანიზმისა და ტერიტორიის დაცვის სახელით, მაგრამ იგი იბრძოდა ყოველთვის თავისი არსებობისათვის და არასოდეს თავს არ ესხმოდა სხვათა არსებობას.

ამასთან ერთად, იგი იბრძოდა არა მარტო ქართველებისთვის,

არამედ იმ ხალხებისთვისაც, რომლებიც ცხოვრობდნენ მისი სახელმწიფოს საზღვრებში.

ვიტყვი მეტსაც — თავისი საზღვრების გარეთაც იგი იბრძოდა სხვათა დასაცავად. ეს დიადი ისტორიული მაგალითი ქართველმა ხალხმა თავის სახელმძღვანელო მცნებად დაისახა, და ამაშია იმის მიზეზიც, რომ ქართველმა ხალხმა აქამდე შეინახა თავისი ძირითადი ისტორიული მისწრაფება — შეათანხმოს თავისი ინტერესები სხვა ხალხთა ინტერესებს.

და ამიტომ, — არც ერთმა ხალხმა, ჩვენს ქვეყანაში თუ მის გარეთ მცხოვრებმა, არ უნდა განიცადოს არაჯითარი შიში, სულიერი ტანჯვა თუ წყენა.

და განა არ განაცხადეს დღეს სეიმზე გამოსულმა ორატორებმა, რომ არ არსებობს ისეთი ხალხი, რომელიც ცუდად ეპყრობოდეს ქართველ ხალხს?!

და არ არსებობს არავითარი ეჭვი, რომ ახალი სახელმწიფო, ახალი ხელისუფლება სავსებით გაამართლებს ამ იმედებს. ჩვენ გვსურს მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ ხალხებთან, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს ქვეყანაში და მის გარეთ.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ ხალხის ღრმა ტრაგედიას, რომლის ერთი ნაწილი ცხოვრობს ჩვენს ტერიტორიაზე, ხოლო მეორე ნაწილი — ჩვენი საზღვრების გარეთ.

ესაა — სომეხი ხალხი.

დღევანდელი ქართველები გაიხსენებენ ძველ მცნებას, და სომეხი ხალხი იპოვნის ჩვენთან თავშესაფარს, რომელსაც იგი პოულობდა ქართველ მეფეებთან (ტაში).

ჩვენ გვსურს კეთილშობილურ დამოკიდებულებაში ვიყოთ ხალხთან, რომელიც შეადგენს ამიერკავკასიის მოსახლეობის მნიშვნელოვან უმრავლესობას — მუსულმანებთან. ჩვენ ვისურვებდით, რათა ისინი მიჰყოლოდნენ ჩვენს მაგალითს — დაეარსებინოთ თავისი სახელმწიფო და გამოეწოდებინოთ ხელი ჩვენთან შესაერთებლად (მხურვალე ტაში).

ჩვენს გარშემო მცხოვრებ ხალხებთან მეგობრული ურთიერთობა შექმნის მტკიცე საფუძველს, რომელზეც დაემყარება ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფო, აგრეთვე მეზობელი სახელმწიფოები, და ჩვენი საერთო მტრები მოკლებული იქნებიან შესაძლებლობას დაგვაზიანონ ჩვენ და დაანგრიონ ჩვენი ქვეყანა.

ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებში ცხოვრობენ ნაციონალური უმცირესობანი. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენი ნაციონალური უმცირესობანი იქნებიან ისეთივე სრულუფლებოვანნი, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ნაციონალური უმრავლესობა — ქართველი ხალხი.

ეს ხალხები, გაერთიანებულნი საერთო დროშის ქვეშ, დასდებენ კავშირს იმ ხალხებთან, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ, და ამ გზით აღორძინდება სახელმწიფო კავშირი, რომელიც თავის მხრივ აღადგენს, აგერ, ჩვენს თვალწინ დანგრეულ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერატიული კავშირი (ხანგრძლივი ტაში მთელს დარბაზში).

ჩვენი გზა, ჩვენი იდეალი მიდის ასეთი კავშირის შექმნისაკენ. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი — სახელმწიფოთა კავშირი — რომელიც თავის გარშემო შემოიყრის საერთო ძალებს და ერთიანი ნებით დაუხვდება საერთო მტერს, მისგან თავდასაცავად (ტაში).

და მაშინ შეიძლება აღსრულდეს იგი, რაის შექმნაც ვერ შესძლო სეიმმა.

და ისინიც, რომლებიც დღეს შეუგნებლად მიელტვიან ამიერკავკასიის საზღვრებიდან გასვლას — შესაძლოა ისინი ისევ მობრუნდნენ ჩვენთან და დადგნენ ჩვენი დროშის ქვეშ.

მაშინ აღსრულდება ერთიანობა ამიერკავკასიისა და განემტკიცება ძალები მასში მცხოვრები ხალხებისა (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები").[3]

ამ სიტყვის შემდეგ, — როცა ტაში და ოვაციები ჩაცხრა — ჟორდანია აცხადებს:

ახლა ნება მომეცით, გადავიდე მასზე, რისთვისაც ჩვენ აქ შევყრილვართ.

ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც ახლა წაგიკითხავთ"... და კითხულობს:

„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი".

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ

პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მის საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შეესებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა ბასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".

დარბაზი ფეხზე მდგარი ისმენს „აქტის" კითხვას.

ყოველი პუნქტის წაკითხვას იგი ხვდება მხურვალე ტაშით.

დასასრულს ტაში გადადის ხანგრძლივ ოვაციებში.

მერე, როცა ოვაციებიც დაცხრება, თავმჯდომარის წინადადებით, ნაციონალური საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი გადის გარეთ, სასახლის აივანზე და, საპატიო ყარაულის თანხლებით, იქიდან ხალხს უკითხავს იგივე „დამოუკიდებლობის აქტს".

ხალხიც ყოველი პუნქტის გამოცხადებას ხვდება მჭუხარე, აღტაცებული ტაშით, ხმაურით, ოვაციით.

ამავე დროს, თავმჯდომარის ამხანაგი, გრიგოლ ვეშაპელი, ისევ ტაშისა და ოვაციების ქვეშ, დარბაზში კითხულობს „აქტის" რუსულ თარგმანს.

ამის შემდეგ, თავმჯდომარე უყრის კენჭს და — ნაციონალური საბჭო, ერთხმად, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, ღებულობს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს".

ბოლოს, თავმჯდომარე თხოვს წევრებს და კანდიდატებს, ხელი მოაწერონ.

და — „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს" ხელს აწერენ:

ნოე ჟორდანია
ევგენი გეგეჭკორი
ნ. რამიშვილი
გიორგი ლასხიშვილი
ნ. ხომერიკი
შალვა ალექსი-მესხიშვილი
გ. მახარაძე
გრ. ტ. გიორგაძე
ხილ. ჯიბლაძე
ს. არსენიძე
კონსტ. ანდრონიკაშვილი
დიომიდე თოფურიძე
პეტრე გელეიშვილი
ნოე ცინცაძე
ლევან ნათაძე
თ. კიკვაძე
გ. გვაზავა
დ. ონიაშვილი
ს. თევზაძე
დავით შარაშიძე
ვლასა მგელაძე
გრიშა ურატაძე
ექვთიმე თაყაიშვილი
პავლე საყვარელიძე
იოსებ ელიგულაშვილი
ნიკიფორე იმნაიშვილი
იოსები სალაყაია
ივანე გომართელი

ლუკა ბოლქვაძე
გიორგი ანჯაფარიძე
ილია ფირცხალაიშვილი
პავლე წულაია
სიმონ სურგულაძე
მ. დოდაშვილი
მელიტონ რუსია
ივანე ჭავჭანიძე
ანნა სოლოღაშვილი
ილიკო ბოდრიძე
ივანე ალექსის ძე ტატიშვილი
გიორგი ექვთიმეს ძე
მურვანიძე
იოსებ კონსტანტინეს ძე
მაჭავარიანი
კონსტანტინე კანდელაკი
კირილე ნინიძე
ვას. წულაძე
რაფიელ ჩიხლაძე
ფილიპე ლორია
ბაიდარ აბაშიძე
ალექსანდრე ხიტუს ძე ჩიქავა
ალივან ფარნიევი
კადირ შერვაშიძე
ტ. შევჩუკ.
რუბენ აუშტროვი
ნიკოლოზ ქუმსიშვილი
ლეონტი ულენტი
სერგი დავითის ძე ჯაფარიძე
გიორგი ცინცაძე
რუბენ ყიფიანი
გიორგი გაგლუანი
ილია კონცელიძე
კონსტანტინე ჯაფარიძე
კ. საბახტარისშვილი
კონსტანტინე ჩხარტიშვილი
ბენია გიორგის ძე ჩხიკვიშვილი
მ. ვარდანიან
ა. ჭიაბრიშვილი
ვ. ცაბაძე
თ. ს. შველიძე
მ. დავარაშვილი
ანანია სალუქვაძე
რიანგალ ინგილო
ვალიკო ჯუღელი
გ. ცისკარიშვილი
სიკო ასმეტელაშვილი
ვასო ღურჯუა
პაულ ბილ
ვარლამ შერვაშიძე
დ. პატარიძე
ა. ემუხვარი
კ. პაწიევი
ელ. მახვილაძე
დ. ა.
დავით ჩხეიძე
ნიკო ელიავა
პეტრე სურგულაძე
გიგო ნათაძე
ილია ნუცუბიძე
ივანე გობეჩია
ლეო შენგელია.
იესე (იოსებ) ალ.
ბარათაშვილი
შალვა ნუცუბიძე
სიმონ გურგენის ძე მდივანი
სამსონ გიორგის ძე
ფირცხალავა
გიორგი ერაძე
გრიგოლ ცინცაბაძე
ალ. ასათიანი
გიორგი ფალავა
სპირიდონ კედია
გერონტი ქიქოძე

ხელმოწერათა დასრულების შემდეგ, ნოე ჟორდანია აქვეყნებს დამოუკიდებელი საქართველოს ახალ, დროებით მთავრობას, რომლის შემადგენლობა წინასწარ შემუშავებულია ფრაქციათა წარმომადგენლობის აღმასრულებელი კომიტეტისაგან.

მთავრობის შემადგენლობა:

1. მთავრობის თავმჯდომარე და საშინაო საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი.
2. საგარეო საქმეთა მინისტრი — აკაკი ჩხენკელი.
3. სამხედრო მინისტრი — გრიგოლ გიორგაძე.
4. ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი — გიორგი ჟურული.
5. სახალხო განათლების მინისტრი — გიორგი ლასხიშვილი.
6. მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი — ნოე ხომერიკი.
7. იუსტიციის მინისტრი — შალვა ალექსი-მესხიშვილი.
8. გზათა და სამიმოსვლო საქმეთა მინისტრი — ივანე ლორთქიფანიძე.

ყველა არჩეული და დამტკიცებული იქნა ერთხმად, ტაშით, ოვაციით.

ახალგაზრდა აკაკი შანიძეს ლექსი უკვე გამზადებული ჰქონოდა დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნისათვის, სადაც ავტორი, ტექსტთან ერთად, მუსიკალურ მოტივსაც თვითონ სთავაზობდა — „ალიფაშას ხმაზე“:

აბა ფხიზლად ქართველებო! მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
და ყური ვუგდოთ გურჯი-ბოღაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!

მოსწონდათ და ახლაც მოსწონთ ჩვენი ქვეყნის მთა და ველი
მზით დამწვარი ჰიჯაზელი, გაყინული ჩრდილოელი,
სპარსი, თურქი, ლეკ-მონღოლი, ბერძენი თუ რომაელი,
და ყველა ჩვენსკენ ისწრაფოდა, ყველა, მაშრიყ-მაღრიბელი.

იყო დრო რომ მმართველობა, სამართალი გვქონდა სხვისი,
ბალდადსა თუ ყარაყორუმს გზები გვედო ათას დღისი.

მტრისგან ბევრჯერ დარბეულა ტფილისი და ქუთაისი,
და იმედს მაინც არ ვჰკარგავდით, — სული გვახლდა შოთაისი.

სად არ დგმულა ჩვენი ფეხი? სისხლი სად არ დაგვიღვრია?
ერანს, თურანს, ავღანისტანს — ყველგან ჩვენი ძვლები ჰყრია.
ფიცხელ ომში გახურვებულთ ევფრატ-დიჯლა დაგვიშვრია
და ჩვენის სისხლით შეღებილი ვისლა დღესაც არი მღვრია.

ოთხი დიდი სახელმწიფო მოგვიჭამ-გაგვიცვეთია:
სადღა არი ძველი რომი, ან ძლიერი სპარსეთია?
არაბების ძლიერება, ამბობენ, დღეს ზღვის წვეთია.
და ვიღას ახსოვს მონღოლები? სხვების ბედიც ასეთია!

სამი ათას წელზე მეტი გვიცხოვრია, როგორც ერსა.
მრავალ შავს დღეს მოვსწრებივართ, მაგრამ ბევრსაც ბედნიერსა,
უსიკვდილოთ არვის ვუთმობთ ჩვენს სამშობლოს მშვენიერსა.
და გვიმღერნია, კვლავაც ვიმღერთ ჩვენს ტკბილ მრავალ-ჟამიერსა.

სანამ იდენს ალაზანი, ჭოროხი და რიონ-მტკვარი,
სანამ თავზე მცველად გვადგას ცივ-გომბორი, ლიხ-მყინვარი,
არ მომკვდარა, არც მოკვდება საქართველო მოცინარი,
და ზეტად აღარ შემცირდება მისი სივრცე, მისი მზღვარი.

აბა ფხიზლად ქართველებო! მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
და ყური ვუგდოთ გურჯი-ბოღაზს, ნუ, ნუ ვაღებთ დარიალსა!

·—

მაშ, იდგა ქრისტეს შობითგან 1918 წელი, 26 მაისი, კვირა დღე, ნაშუადღევის 5 საათი და 10 წუთი, და — საქართველო იყო დაშოუკიდებელი სახელმწიფო!..

და ეს იყო არა უბრალო გამოცხადება, არამედ, ისტორიული გააზრებით, იყო ნამდვილი „გამოცხადება“ — „აპოკალიპსის“...

ვინ მოელოდა?!

ან ვის სურდა, ვინ მიესწრაფოდა, ვინ ოცნებობდა, — თვინიერ

იმ სამეულისა, ახლა რომ იქ, ზემოთ, მთაწმინდაზე განისვენებდა, და კიდევ თითო-ოროლა „ნაციონალისტს“ გარდა?!

ყოველ შემთხვევაში, არა იმათ, ვისაც ახლა ეს „ცითმოვლენილი გამოცხადება“ კალთაში ჩავარდნოდათ—„მესამე-დასელებს“,— ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა გულში ზიზღს გარეშე არ გაევლებოდათ და ყურში სმენის დამხშობად გაეგონებოდათ.

ახლა ისინი იმ მთაწმიდელი სამეულის — ილიას, აკაკის, ვაჟას — ნაოცნებარზე ისხდნენ.

ილიას მკვლელები — ილიას ნაოცნებარზე?!!

(ისტორიას უყვარს ასეთი ლაზღანდარობაც...).

2. დამცროგილი და დამცირებული

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მაინც იყო სინამდვილე საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა.

და, მასთან — ღირსეული იყო თუ არა მისი ხელისუფლება, მაინც იყო სინამდვილე ამ ხელისუფლების არსებობისა.

და იმავე 26 მაისს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ნოე რამიშვილის ხელმოწერით, დეპეშები დაეგზავნათ — ბერლინს, კონსტანტინოპოლს, პარიზს, ვენას, ლონდონს, რომს, ვაშინგტონს, მოსკოვს, სოფიას, ტოკიოს, ბუქარესტს, თეირანს, მადრიდს, ჰააგას, კიევს, სტოკჰოლმს, ქრისტიანიას, კოპენჰაგენს, — საგარეო საქმეთა სამინისტროებს:

„საქართველოს ნაციონალურმა საბჭომ 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნება. გაცნობებთ რა ზემოთხსენებულს, მაქვს პატივი ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, აცნობოთ ამის შესახებ თქვენს მთავრობას“[4].

მესამე დღეს კი, 29 მაისს, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო საგანგებო რეზოლუცია:

„მოისმინა რა მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა:

განაგრძოს თავისი მუშაობა მთელი ამიერკავკასიის დემოკრატიის ერთიანობის ნიადაგზე ინტერნაციონალური დროშის ქვეშ და აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება საქართველოს რესპუბლიკის ახალ მთავრობას საგარეო მტრის მოგერიებისა და რეაქციურ მონაპოვართა შენარჩუნების საქმეში"[5].

ასეთი იყო ორი აქტი, — „საგარეო" და „საშინაო", პირველი მართლაც ფრიად საჭირო და საქმიანი, მეორე — ფრიად ფორმალური და უმაქნისი. პირველით საქართველო მსოფლიოს ატყობინებდა თავისი ახალი სახელმწიფოებრიობის დაბადებას და საპასუხოდ ელოდა სწორედ მსოფლიო სახელმწიფოთა საკრებულოში სრულუფლებიან წევრად ცნობას და აღიარებას. მეორით კი, ქართული მენშევიზმი კვლავ ვითომ აგრძელებდა თავის „პროლეტარულ რევოლუციონიზმს" და „ინტერნაციონალიზმს"...

მთავარი და ყველაზე სასწრაფო მაინც თურქეთთან ურთიერთობის მოწესრიგება იყო.

თვითონ თურქეთმა იმ დღესვე, 26 მაისს, იცოდა რაც ხდებოდა თბილისში — როგორ ირღვეოდა ეს „ეგრეთ წოდებული" ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა და მის ნანგრევებზე როგორ იბადებოდა უფრო რეალური სამი ცალ-ცალკე სახელმწიფო.

და თურქთა დელეგაციაც ბათუმიდან ფეხმოუცველელად ელოდა იქ სამივე ცალკეულის ელჩობას. ელოდა და ისიც იცოდა, რომ ცდა დიდხანს არ დასჭირდებოდა.

პირველი საქართველოს დელეგაცია უნდა მოსულიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ამიერკავკასიელთაგან პირველნი ქართველები ჩამოყალიბდნენ ცალკე რესპუბლიკად — 26 მაისს, ხოლო სომხეთი და აზერბაიჯანი — ორი დღის შემდეგ, 28 მაისს, დაშნაკთა მთავრობა ერევანში და მუსავატისტთა მთავრობა განჯაში.

დაიწყო 31 მაისს, საქართველოს პრემიერმინისტრის, ნოე რამიშვილის შეკითხვით ხალილ-ბეისადმი: რამდენადაც აღარ არსებობს ამიერკავკასიის ფედერაცია, — ეხება თუ არა მისადმი თურქეთისავან წაყენებული ულტიმატუმი ამჟამად ცალკე არსებულ საქართველოს რესპუბლიკას?

და უმალვე პასუხი ხალილ-ბეისა: რადგანაც ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა ჩვენგან წამოყენებული ულტიმატუმის პირობებში „არაფერს არ ცვლის... ბუნებრივად ეხება საქართველოს რესპუბლიკასაც"[6].

და, ულტიმატუმის პასუხი დღეის დღის 12 საათს არ გადამიშოროთო, — ამასაც ხაზგასმით მოითხოვდა ხალილ-ბეი.

რა გაეწყობოდა, — მოთხოვნა იყო ნათელიც და ბუნებრივიც, ნოე რამიშვილს ისღა დარჩენოდა, თურქისგან დაკისრებულ ვადაში ეცნობებია თანხმობა საქართველოსთვის დ ა მ ა მ ც რ ო ბ ე ლ ი (ტერიტორიულად) და დ ა მ ა მ ც ი რ ე ბ ე ლ ი (მორალურად):

„რაკი საქართველოს რესპუბლიკას სურს დაამყაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა ოტომანთა იმპერიასთან“, ამისთვის იგი თანახმაა იმაზეც, რომ მსოფლიო ომის განმავლობაში მისცეს თურქეთს სამხედრო-სატრანსპორტო სარგებლობაში თავისი რკინიგზები და თურქეთის საკუთრებად აღიაროს არამარტო ბრესტის ზავით გათვალისწინებული ბათუმ-არდაჰან-ყარსი, არამედ მათზე დამატებით — ახალციხე-ახალქალაქიც, თავისი ოლქებით (ჯერ, ვითომ მარტო ბრესტის ზავი იკმარეთო, — ამას სწერდა რამიშვილი, მაგრამ ამ ვარიანტს ახალი დეპეშა დაადევნა, — ახალციხე-ახალქალაქის დათმობაზეც თანახმა ვართო).

ახლა მხოლოდ ხელისმოწერის ცერემონია დარჩენილიყო, სხვა არაფერი. ამისთვისაც, რაღა თქმა უნდა, დამარცხებული უნდა ჰხლებოდა გამარჯვებულს; უნდა ჰხლებოდა თბილისიდან ბათუმს. მაშასადამე, ამდროინდელი საისტორიო ეტლისმწაფელით, ქართველთა დელეგაცია უნდა წასულიყო საქართველოს სატახტოდან, — არც მეტი, არც ნაკლები — თურქეთის ბათუმში!..

და გაეშურა ქართული დელეგაცია საქართველოდან ბათუმში (ანუ — თურქეთში?!); გაეშურა ოთხი კაცის შემადგენლობით: თვითონ პრემიერმინისტრი და საშინაო საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი (სოციალ-დემოკრატი), გიორგი გვაზავა (ეროვნულ-დემოკრატი), გრიგოლ რცხილაძე (სოციალ-ფედერალისტი) და გენერალი ი. ოდიშელიძე (უპარტიო).

ჯერ ფოთს უნდა მისულიყვნენ და გერმანიის დელეგაციას შეხვედროდნენ. გერმანელები, ფონ-ლოსსოვის ხელმძღვანელობით, 25 მაისს ბათუმიდან სწორედ ფოთში ჩასულიყვნენ, საიდანაც გზა უნდა განეგრძოთ გერმანიისაკენ. მათ ახლდათ აკაკი ჩხენკელიც, ისიც გერმანიაში გასამგზავრებლად. გამგზავრებამდე კი დაგეგმილი იყო ბათუმისკენ მიმავალ ქართულ ელჩობასთან შეხვედრა.

და, 28 მაისს შეხვდნენ ერთმანეთს ფონ-ლოსსოვისა და რამიშვილის მწარენი. შეხვდნენ და ხელი მოაწერეს წინასწარ, ანუ

დროებით ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებდა: გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას, საქართველოს მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ცნობას, ომის მანძილზე გერმანიის სამასხურში საქართველოს რკინიგზების ჩაყენებას, ფოთის პორტში და საქართველოს რკინიგზის გასწვრივ გერმანული სამხედრო რაზმების ჩარიგებას, ურთიერთ შორის დიპლომატიურ და საელჩო წარმომადგენლობათა გაცვლას, საქართველოს მთამადნეულის დამუშავების ერთობლივი საზოგადოების დაარსებას. აქვე იგულისხმებოდა უმთავრესიც: გერმანია იფარავდა საქართველოს თურქეთის მხრივ სრული ოკუპაციისაგან.

ამის შემდეგ გერმანიის დელეგაცია გაემგზავრა ბერლინისაკენ, საითაც თან წაიყვანეს აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე და ზურაბ ავალიშვილი, გერმანიის სატახტოში ზავის საბოლოოდ გასამართავად და დასამტკიცებლად.

ნოე რამიშვილის „ინტერპარტიულ-დიპლომატიურმა“ ოთხეულმა კი ფოთიდან გზა განაგრძო ბათუმისაკენ.

და, 1918 წლის 4 ივნისს, ბათუმში ქართველთა ელჩობას შეხვდნენ თურქი დიპლომატები, — შეხვდნენ და ხელი მოაწერინეს საქართველოს დამამცრობელ და დამამცირებელ აქტზე.

შიგა და შიგ, ოფიციალურ შეხვედრათა შორის, ვითომ „შინაურული საუბრებიც“ აწარმოვეს უკვე „ძმებმა და კეთილ-მეზობლებმა“. ის რაც ახლა ქართველებს დაგემართათ, ისევ თქვენს თავს დააბრალეთო, — „გულისტკივილით ამბობდა „ნახევრადქართველი“ ხალილ-ბეი, — რატომ თავის დროზე არ დაეთანხმეთ ბრესტის ზავით ბათუმის და ყარსის დათმობასო; არ დაეთანხმეთ და, ბათუმ-ყარსს ახლა ახალციხე-ახალქალაქიც გადააყოლეთო.

ესე იგი, ახლანდელი საქართველოს მესვეურები ჭკვიანი ხალხი არა ხართო, — ამას ამბობდა, მოიარებით, თურქი დიპლომატი, და არც უნდა ყოფილიყო ნატყუარი მისი ნათქვამი.

ისე კი, ჩვენთვის, ოტომანთა იმპერიისთვის, — განაგრძობდა ხალილ-ბეი — სასიცოცხლოდ საინტერესოა კავკასიაში მძლავრად ორგანიზებული, პროგრესიული სახელმწიფო, რომელიც კავკასიის ხალხთა ძმობა-მეგობრობას დაეფუძნება, განსაკუთრებით და გამორჩევით კი — მუსლიმან კავკასიელებთან ძმობა-მეგობრობას. მაშასადამე, ქართველების მომავალი, პროგრესი და ცხოველუნარიანობა თითქმის მთლიანად მუსლიმანებთან ძმობას უნდა დაემყაროსო, — დაასკვნიდა თურქი მაგისტრატი.

ნოე რამიშვილი კი თითქოს სიტყვას ბანზე აგდებდა და ისე პასუხობდა: „ყველაზე მთავარი და სასიამოვნო ომის შეწყვეტაა, — ომისა, როგორც „მეფის მთავრობის მემკვიდრეობისა“, რომლის გამოცხადებაში ქართველ ხალხს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია“. და აწი მაინცო, — განაგრძობდა იგი — ჩვენი ხალხი გამუდმებით იმის ცდაში იქნება ისარგებლოს უფლებით ინტელექტუალური განვითარებისაო[7], და სხვ. მისთ... და კაცი ვერ მიხვდებოდა უნდოდა ეთქვა ქართველთა, პრემიერმინისტრს ამ „უფლებითა ინტელექტუალური განვითარებისა“.

მერე თითქოს მიაგნო სათქმელს და ეს „იდიდსიტყვა“ რამიშვილმა: საქართველომ თავიდანვე ამ მსოფლიო ომში ნეიტრალიტეტი დაისახა, მაგრამ ბოლოს მაინც ისე მოხდა, რომ თავისი რკინისგზები მეომართა ერთ მხარეს უკერძა სამსახურადო და ფოთში გერმანელებთან დადებული სავალდებულო ხელშეკრულება დაასახელა. მაგრამ უმალვე ხალილ-ბეიმ შეახსენა, ხაზგასმით: ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოსთვის ასევე სავალდებულოა თავისი რკინისგზები თურქეთის სამსახურში განუხრელად მზად იქონიოსო.

ზავს, რომელსაც თურქეთსა და საქართველოს შორის „მშვიდობისა და მეგობრობის ზავი“ უწოდეს და ხელს აწერდნენ: თურქეთის მხრივ — ხალილ-ბეი და ვეჰიბ-მეჰმედ ფაშა, საქართველოს მხრივ — რამიშვილი, რცხილაძე, გვაზავა, ოდიშელიძე — ფაქტიურად ნიშნავდა 1828 წლამდელ საზღვრებზე დაბრუნებას, ანუ ისეთ დამცრობილ და დავიწროებულ საზღვრებში დაბრუნებას, რომელშიც საქართველო იმყოფებოდა რუსეთთან შეერთების კვირაძალს.

ვიმეორებთ: საქართველოსთვის ეს ზავი იყო უაღრესად დამამცრობელიც და დამამციერებელიც. მაგრამ რუსეთის მიმდევრობისა, „მიმსგავსებისა“ და „მირქმის“ მოყვარე მესამედსაუკუნოვანებისთვის ესეც, თავისებურად, ნორმა უნდა ყოფილიყო, თუნდაც ბრესტის ტრაგიკული ზავის ანალოგიით. აკი ლენინი ამბობდა მაშინ — „დავთმოთ სივრცე, რათა მოვიგოთ დრო“. ასევე შეეძლოთ ეთქვათ ახლა ერთი-მესამედი საქართველოს დამთმობელ მენშევიკებს. მთავარი იყო დრო ჩაებღუჯათ და მასთან ერთად — ძალაუფლება.

საქართველო მადლობელი უნდა ყოფილიყო იმაზე, რომ თურქეთმა მას მაინც იმდენი „პატივი სცა“, ახალციხის მხარეში აბასთუმანი და აწყური „დაუთმო“ და დაუნარჩუნა. რა ვუყოთ, რომ

თურქთა ამ „დიდსულოვნებაში“ უეჭველად დიდ როლს თამაშობდა გერმანელთა გავლენაც.

იმავე დღეს თურქეთთან, ბათუმში, ზავი შეჰკრეს ცალცალკე, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა.

სომხებმა — მათთვის უაღრესად დამამცირებელი და დამამცრობელი.

აზერბაიჯანელებმა — მათთვის უაღრესად ამამაღლებელი და ამყვავებელი.

8. ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე

შუა ივნისს, ზავის თანახმად, ოსმალები ოზურგეთიდან გავიდნენ.

გენერალმა მაზნიაშვილმა მტრისგან გაძარცვული და გატყავული ოზურგეთი ჩაიბარა, აღადგინა, დაბრუნებული მოსახლეობა დააბინავა და თავისი შტაბით სამტრედიაში გადაინაცვლა.

აქ მასთან გამოცხადდა აფხაზეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლობა და დახმარება სთხოვა ხელახლა იერიშზე წამოსული ბოლშევიკების შესაკავებლად, გადასარეკავად და შესაკავებლად.

მაზნიაშვილმა აფხაზი დელეგატები თბილისს გაგზავნა.

ორი დღის შემდგომ (18 ივნისს), თბილისიდან მოვიდა საქართველოს მთავრობის ბრძანება, რომლითაც მაზნიაშვილი ინიშნებოდა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და ზღვისსანაპირო ჯარების მთავარსარდლად.

მაზნიაშვილმა სამტრედიის შტაბი ჩააბარა გენერალ სუმბათაშვილს. თვითონ კი სასწრაფოდ გაეშურა სოხუმს, სადაც მას ელოდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი — ისიდორე რამიშვილი.

თვითონ საქართველოს მთავრობას კი ახალი თავმჯდომარე ჰყავდა — ნოე ჟორდანია. ეს მოხდა 24 ივნისს, საქართველოს პარლამენტის ნაციონალური კრების გადაწყვეტილებით.

ახალმა თავმჯდომარემ ყველა მინისტრი უცვლელად დატოვა თავის პოსტზე.

იმ ჭწარე გარე და შინა პოლიტიკურ სიტუაციაში, საქართველოს ახალი თავმჯდომარისათვის ყველაზე მწარე მაინც პლეხანოვის სიკვდილი აღმოჩნდა(!). რუსეთშიც არავის გახსენებია პლეხანოვისადმი ოდნავ მსგავსი პატივი, რაიც მისი ხსოვნისადმი აღასრულა მაშინდელმა საქართველოს საჭეთმპყრობელმა. 29 მაისს ნოე ჟორდანიამ პლეხანოვს გრანდიოზული სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადა. პანაშვიდი თვითონვე გახსნა და უსაშველოდ აღელვებული ლაშის თვითონვე საპანაშვიდე შეიქნა: სიტყვის თქმის დროს ყელი ცრემლის ღვარმა დაუკეტა, ხმა გამოერთო, სიტყვა გაუწყდა და თითქმის გრძნობადაკარგული დაეცა ძირს[8].

როცა მოსულიერდა და რაკი მოსულიერდა, პლეხანოვის უკვდავსაყოფად, მისი სახელი დაარქვა საქართველოს სატახტო ქალაქის ყველაზე დიდ პროსპექტს...

ბოლშევიკებს კი, ნესტორ ლაკობას მეთაურობით, ისევ აეღოთ გუდაუთი, დაეხოცათ იქ მდგარ გვარდიელთა რაზმი და სოხუმისკენ დაძრულთ, უკვე მოეღწიათ ახალ ათონამდე.

მაზნიაშვილმა სასწრაფოდ გაიყვანა ჯარი სამრად (მათ შორის ის 300 აფხაზი ცხენოსანი, ვალიკო ჯუღელმა რომ დაიწუნა, ვითარცა „კლასობრივი მტრები“).

ლაკობა გადამწყვეტ ბრძოლას განერიდა და უკანდახევით გაიარა გუდაუთაც, გაგრაც, სოჭიც და ტუაფსეც[9].

ისევ სოხუმს მობრუნდა მაზნიაშვილი. მობრუნდა და აღარც ეგვიანებოდა, რადგან ჯუღელის უტაქტობას უკვე თავისი ნაყოფი გამოეღო. ალექსანდრე შერვაშიძეს და ტატაშ მარშანიას გაეზრახათ, თურქეთის დახმარებით, აფხაზეთი საქართველოსაგან წარეკვეთათ. შერვაშიძე ბათუმს წასულიყო, თურქეთისთვის ჯარი გამოეთხოვა, კიდევაც მიეღო, და გამოეგზავნა ასკერთა რაზმები კოდორის ხეობაში, ტატაშ მარშანიასთვის.

მაზნიაშვილმა აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს მეთაურებს ოსმალთა დესანტის თაობაზე ახსნაგანმარტება მოთხოვა, მაგრამ მაინცდამაინც გარკვეული და სასურველი პასუხი ვერ მიიღო. ეგ ასკერები თურქები კი არა, მუჰაჯირი აფხაზები არიან, 1877—78

წლებში აფხაზეთიდან თურქეთს გადასახლებულნი, და ახლა თავის სამშობლოში დაბრუნებულანო, — იყო პასუხი.

— თუ აგრეა, რატომ მალულად მოიპარნენ და პირდაპირ ჩვენთან, დღისით-ჭზისით, სოხუმში არ გამოცხადდნენო? — კითხულობდა გენერალ-გუბერნატორი.

ამაზე კი პასუხი აღარ იყო.

კოდორს გადავიდა მაზნიაშვილი ჯარით, თურქთა დესანტს ყოველის მხრით გზები მოუჭრა და მათი მეთაური სალაპარაკოდ მიიწვია. ისიც მივიდა ქართველ გენერალთან. მივიდა და ბოდიშებს მოჰყვა. აფხაზებმა მომატყუესო, დამარწმუნეს — მთელი აფხაზეთი ოსმალებს მოუთმენლად გელითო, და აი, ქართული ჯარების ალყაში კი აღმოვჩნდითო. ჩვენს მთავრობასაც საქართველოსთან საქმის გართულება არ სურს და გთხოვთ აქედან ცოცხლად გაგვიშვათო.

მაზნიაშვილმა დამფრთხალი თურქის თხოვნა შეიწყნარა, მის „თანადესანტნიკ“ ასკერებთან ერთად მათსავე ბარჟებში ჩასვა და ბათუმისაკენ გაისტუმრა[10].

ამასობაში ბოლშევიკები ისევ შემოსულიყვნენ ტუაფსეში.

ისევ ჩავიდა და ისევ უკუიქირა ტუაფსე მაზნიაშვილმა. იქიდან კავკასიონის უღელტეხილი გადალახა და სადგურ ხოდიჟენსკიში გადავიდა, ყუბანის მისადგომზე[11].

აქედან მაზნიაშვილს, საქართველოს მთავრობის დავალებით, ურთიერთობა უნდა გაება მაიკოპ-ყუბანის მთავრობასთან, პურისა და ნავთის შესაძენად.

მაგრამ მდგომარეობა გაართულა ეკატერინოდარიდან კიდევ სხვა რუსული „მთავრობის“, ეგრეთწოდებულ „დობროარმიის“ („მოხალისეთა არმიის“) ჩარევამ. „დობროარმიას“, — რომელსაც მეთაურობდა გენერალი ალექსეევი — წარმომადგენლები გამოეგზავნა, რათა გაეგოთ, „საიდან და საით მიიწევს ქართული ჯარი და როგორ უყურებენ ისინი „დობროარმიას“[12].

ერთბაშად, კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთ განაკიდურზე ერთმანეთს ჩაეხლართა ამ სამი პოლიტიკური ერთეულის ინტერესები.

უწინარეს ყოვლისა, იდგა სოჭის ოლქის საკითხი.

თვითონ სოჭის მაშინდელმა მთავარმა პოლიტიკურმა პარტიებმა და საქალაქო ორგანიზაციებმა სოჭა და მისი ოლქი საქარ-

თვალოსთან შეერთებულად გამოაცხადეს. ამას ადასტურებს ეს სამი რეზოლუცია:

პირველი — ქალაქ სოჭის სოციალისტურ პარტიათა საბჭოს რეზოლუცია,

18 სექტემბერი 1918 წლისა:

„განიხილა რა თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთისა, კერძოდ სოჭის ოლქისა, სოციალისტური პარტიების გაერთიანებული საბჭო, თავის, 1918 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე, მივიდა შემდეგ დასკვნებამდე:

1). დრო სრულიად რუსეთის სახელმწიფოს გაერთიანებისა, საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების საფუძველზე, ჯერ არ დამდგარა;

2). ქვეყნის დემოკრატია იმყოფება სამოქალაქო ომში, ერთის მხრივ — ბოლშევიზმთან, მეორეს მხრივ — მონარქიული ტენდენციების ცალკე პირებთან და მოსახლეობის ჯგუფებთან;

3). ყოფილი რუსეთის სახელმწიფოს ერთადერთი ნაწილი, სადაც არა მარტო ცნობილია ხალხის სისხლით მოპოებული რესპუბლიკური წყობილება, არამედ განმტკიცებულიცაა იგი ძირითადი კანონმდებლობით — ესაა საქართველოს რესპუბლიკა;

4) ვინაიდან ნამდვილ სოციალისტებს თავის მთავარ ამოცანად აქვთ რუსეთის ყველა ნაწილის ერთ მძლავრ დემოკრატიულ რესპუბლიკად გაერთიანება, ისინი ყოველი საშუალებით უნდა ცდილობდნენ დემოკრატიული წყობილების დამყარებას სახელმწიფოს ცალკეულ ნაწილებში;

5). თუმცა სოჭის ოლქი ეკონომიურად უფრო დასამხრისია ყუბანის ოლქთან, მაგრამ ყუბანთან მისი შეერთება გააფართოებდა სამხედრო დიქტატურის გავლენის სფეროს, წინააღმდეგ დემოკრატიისა და სახალხო ხელისუფლების იდეისა, და წაართმევდა სოჭის ოლქის მოსახლეობას ყოველ დემოკრატიულ თავისუფლებას, დააბრკოლებდა ცხოვრებაში მიწის რეფორმის გატარებას და დემოკრატიული ერობის შემოღებას;

6). ოლქის ცხოვრების განვითარება ფაქტიური თავისუფლების, სამართლის და სახალხო ძალაუფლების საფუძვლებზე, მიწის რეფორმის გატარება, თვითმართველობის დემოკრატიული ფორმების შემოღება და პროლეტარიატისა და გლეხობის კლასობრივი ბრძოლის სრული თავისუფლება თავიანთი საბოლოო იდეალებისათვის —

შესაძლებელია ოლქის მხოლოდ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეერთების პირობებში;

ყოველი ზემოთგანხილულის საფუძველზე, სოჭის სოციალისტური პარტიების (სოციალ-დემოკრატებისა და სოციალ-რევოლუციონერების) გაერთიანებული საბჭო ერთხმად გამოსთქვამს სურვილს, რათა: 1). საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული დეკრეტით გააფორმოს სოჭის ოლქის დროებითი შეერთება საქართველოს რესპუბლიკასთან; 2) იმავდროულად დადგინდეს სწორი ზაჭონელბრუნვა ყუბანის ოლქთან, მოსახლეობის პურით და სხვა პირველმოხმარების საგნებით უზრუნველყოფისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე პეტრე იზმაილოვი".

მეორე — სოჭის სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციის რეზოლუცია,

18 სექტემბერი 1918 წლისა:

„განიხილა რა სოჭის ოლქის პოლიტიკური მდგომარეობა, სოჭის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიულმა ორგანიზაციამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: სოჭის სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაცია, — რომელსაც მიზნად აქვს ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპების გატარება და საქართველოს თვლის რუსეთის სახელმწიფოს ერთადერთ ნაწილად, სადაც ცხოვრებაში ტარდება დემოკრატიული იდეები, რესპუბლიკის ძირითადი კანონებით განმტკიცებულნი, და მიიღებს (საქართველო) მთელი რუსეთის ერთიან ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკად გაერთიანებისათვის — მხარს უჭერს სოჭის ოლქის შეერთებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და ადგენს, თხოვოს მისი (საქართველოს) წარმომადგენლის საშუალებით გააფორმოს ეს დროებითი შეერთება სოჭის ოლქისა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ოფიციალური აქტით.

თავმჯდომარე ს. ვინიარსკი".

და, მესამე — ქალაქ სოჭის მოქალაქეთა რეზოლუცია საქართველოსთან შეერთების შესახებ:

„მოისმინა რა, ღიად, მოხსენება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლისა და ნაციონალური საბჭოს წევრის, ე. პ. გეგეჭკორისა, სოჭის მოქალაქეთა საზოგადოებრივმა კრებამ — მოწვეულმა სოციალისტურ პარტიათა გაერთიანებული საბჭოს, მუშათა დეპუტატების საბჭოების, მუშების საბჭოს და ხმოსანთა სათათბიროს ინიციატივით — დაადგინა მიიღოს შემდეგი რეზოლუცია: 1) ყოფილი რუსეთის ერთადერთი ნაწილი, სადაც არა მარტო ცნობილი იქნა ხალხის სისხლით მოპოებული რესპუბლიკური წყობილება, არამედ იგი განმტკიცებულიცაა ძირითადი კანონმდებლობით — არის საქართველოს რესპუბლიკა; 2) აქვს რა თავის ამოცანად რუსეთის სხვა და სხვა ნაწილების ერთ მძლავრ დემოკრატიულ რესპუბლიკად გადაქცევისა, დემოკრატიამ ყოველი საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს ხალხის მმართველობის აღდგენას; ბ). სთვლის რა სასურველად უუბანის ოლქთან სწორი საქონელბრუნვის დამყარებას, კრებას მიუხედავად ამისა მიაჩნია, რომ სოჭის ოლქის შეერთება უუბანის ოლქთან გააფართოებდა სამხედრო დიქტატურის გავლენის სფეროს და დაუკარგავდა ოლქის მოსახლეობას ყოველ დემოკრატიულ თავისუფლებას; 4) ოლქის ცხოვრების განვითარება ფაქტიური თავისუფლების, სახალხო ძალაუფლების საფუძველებზე, გატარება მიწის რეფორმისა, შემოღება თვითმართველობის დემოკრატიული ფორმებისა და კლასობრივი ბრძოლის კულტურულ ფორმათა განვითარება — შესაძლებელია ოლქის მხოლოდ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეერთების პირობებში. განხილულის საფუძველზე, სოჭის მოქალაქეთა კრება გამოთქვამს დებულებას, რათა საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ. განსაკუთრებული დეკრეტით გააფორმოს სოჭის ოლქის დროებითი შეერთება რესპუბლიკასთან.

კრების თავმჯდომარე პეტრე იზმაილოვი,
სოჭი, 20 სექტემბერი 1918 წლისა“.

ამრიგად გამოცხადდა სოჭის ოლქის, მასთან ადლერის, დროებითი შეერთება საქართველოსთან.

დროებითი!

რამეთუ მაშინ ყოველივე პოლიტიკური მოვლენა იყო დროებითი და უმოკლესად ეფემერული საერთოდ მსოფლიოში, კერძოდ რუსეთის იმპერიაში და უკერძოესად კავკასიაში.

„დობროარმია“ და ყუბანი მტრულად შეხვდნენ საქართველოსთან სოჭი-ადლერის შეერთებას.

ბოლოს, 1918 წლის 25 სექტემბერს, ეკატერინოდარში, ერთმანეთს შეხვდა „სამი მთავრობის“ წარმომადგენლობა:

საქართველოდან — ევგენი გეგეჭკორი და გიორგი მაზნიაშვილი;

ყუბანიდან — ბიჩი და ვორობიოვი;

„დობროარმიიდან“ — გენერალი ალექსეევი, გენერალი დენიკინი, შულგინი, სტეპანოვი, გენერალი რომანოვსკი, გენერალი დრაგომიროვი, გენერალი ლუკომსკი.

იწყებს გენერალი ალექსეევი:

„მოხალისეთა არმიისა და ყუბანის მთავრობის სახელით, მიგესალმები მეგობარი საქართველოს წარმომადგენლებს — ე. პ. გეგეჭკორსა და გ. ი. მაზნიაშვილს. ვფიქრობ, მოლაპარაკება ჩვენს ურთიერთობათა შესახებ უნდა დამთავრდეს სრული წარმატებით, რამეთუ ჩვენ შორის არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ისეთი, რაიც გამოიწვევდა უთანხმოებას. და უპირველესად აუცილებელ საჭიროებად ვთვლი განვაცხადო, რომ მოხალისეთა არმია არ ილაშქრებს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, სცნობს მას სავსებით და იცოდეს საქართველომ, რომ ამ მხრივ იგი სრულიად უზრუნველყოფილია.

მაგრამ თუ მოხალისეთა არმია იღებს თავის თავზე ასეთ ვალდებულებას, იგი ასეთსავე ტოლფასოვან განწყობილებას უნდა მოელოდეს საქართველოსგანაც. ამასთან, მე გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ჩვენ, რუსები, საქართველოში განვიცდით ისეთ მტრულ დამოკიდებულებას, როგორსაც სრულებითაც არ მოველოდით, და უმთავრესი ის არის, რომ ამ დევნაში მონაწილეობს არა მასა, არა ხალხი, არამედ თვით მმართველი წრეები. და შემდეგ მოლაპარაკებაში, ალბილი გასაგებია, ეს ფაქტები ანგარიშში არ ჩავაგდოთ, როდესაც ჩვენ ვიცით, რამდენ უსიამოვნებას განიცდის რუსი მოსახლეობა კავკასიაში. წინათ ხომ ერთმანეთში კარგად ვრიგდებოდით და ჩვენს პოლკებში მსახურობდა მრავალი ქართველ-ოფიცრობა! ახლა კი ასეთ მდგომარეობას ჩვენ ვერ შევურიგდებით.

თქვენი შინაური პოლიტიკის საქმე, თქვენი ორიენტაციის მიმართულება ჩვენ არ გვეხება, ეს თქვენი შინაური საქმეა, მაგრამ ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ გერმანელები ბატონობდნენ რუსეთის მიწა-წყალზე და მოქმედებდნენ „დობროარმიასა“ და ყუბანის წი-

ხალხდეგ. რასთვის ემაგრებენ გერმანელები ადლერს? ეს ხომ ჩვენი შეურაცხყოფაა. საქართველოს ტერიტორიაზე ქართველებმა, დეე, მისცენ მათ უფლება გააკეთონ რაც ნებავთ, ხოლო საქართველოს გარეთ არ უნდა იყოს არცერთი გერმანელის ცხვირი. და აი, ამ საკითხთან ერთად დგება მეორე, იმის შესახებ, თუ როდემდის უნდა გრცელდებოდეს მათი მოქმედება? ეს არის მეტად საჩოთირო და დიდი საკითხი, რომლის გადაწყვეტასთან დაკავშირებულია გადაწყვეტა იმ საკითხებისა, რისთვისაც ჩვენ აქ შევიკრიბენით. და აი, მე მივიღე დეპეშა ერთი თქვენი გენერლისაგან, რომელმაც ტუაფსეში დასვა თავისი მოხელენი და უკვირს კიდევაც, რად გადავაყენეთ ჩვენ ისინი. ამჟამად კი დაჭერილია სოჭიც და ადლერიც, და იქ ყველგან ჩაყენებული არიან ქართველი ხელისუფალნი. განა ამ ოლქებზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც ქართულ ოლქებზე, როცა იმათა და საქართველოს შორის არის კიდევ მთელი ოლქი აფხაზეთისა? ეს ოლქები წმინდა რუსულია და შედიან რუსეთის ტერიტორიაში. რა არის მდინარე კოდესკა? რად არის დაჭერილი 25 ვერსის მანძილი დამპყრობი, მაგრამ უუფლებო ხელით? არა, ბატონებო, ეს არ შეიძლება. ის საზღვარი, რომელიც დადებული იყო 1905 წელში, დაცული უნდა იქნეს და მხოლოდ ამ აუცილებელი პირობით შეკძლებთ ერთმანეთში მორიგებას.

. ახლა საქონლის გაცვლაგამოცვლაზე. თქვენ იცით, რომ გერმანელებმა ყველაფერი გამოსწოვეს და სწოვენ როგორც დონზე და უკრაინაში, იხე თქვენს საქართველოშიც? ამიტომ, თუ ვინიცობაა, ჩვენ შევთანხმდით და ჩვენ თანახმა გავხდით მოგცეთ ჩვენი საქონელი, ჩვენ უნდა გვქონდეს იმის გარანტია, რომ ჩვენ ამით არ ვკვებავთ გერმანელებს. ხოლო, ჩვენ რომ მზად ვართ ხელი გავუწოდოთ საქართველოს, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ თქვენს მოსვლამდე მე გავუხსენი გენერალ თაყაიშვილს კრედიტი 250 000 მანეთით, პურის სასყიდლად და საქართველოში გასაგზავნად. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ წინადაც მზად ვიყავით დავხმარეობდით საქართველოს. და თუ ჩვენ ამას გიკეთებთ, თქვენც სამაგიეროს უნდა გვიკეთებდეთ. რას წარმოადგენს კავკასია რუსებისათვის? მათ ჩაჰყარეს კავკასიაში იმდენი ფული, რაიც ძნელი წარმოსადგენია; ხოლო ომის დროს კავკასიაში დაგროვილი იყო დიდძალი რუსული ქონება, და ყველაფერი ეს რუსული კაპიკია. ახლა, რკინიგზები კავკასიაში — ყოველი ვერსი ამ გზებისა, ჩვენი

რუსების აშენებული არ არის? და განა ის ქონებაც, რომელიც რუსეთის ცენტრიდან კავკასიაში დაგროვდა და შეეთხვევით აქ ჩარჩა, — ნუთუ ყველაფერი ქართველების, სომხებისა და თათრების ხელში უნდა გადავიდეს — ყველაფერი, რაიც რუსეთის ცენტრიდან აქ გროვდებოდა, შექმნილი დიდი რუსეთის „მუჟიკის“ შრომით? ახლა იმასაც შეხედეთ, რას სჩადიან ქართული ჯარები იმ ადგილებში, სადაც ისინი წინ მიიწევენ. რეკვიზიციით მიჰყავთ შაკი ზღვის გზათა გემები და ზოგიერთ მათგანს, მაგალითად „თეოფანიას“ იყენებენ კერძო ბარგების გადასატანად. რეკვიზიციით მიაქვთ ავტომობილები, სამხედრო ქარავნები, საწყობები, სურსათი. ახალ-სენაკიდან სამხრეთის რაიონი გამოცხადებული საქართველოს ქონებად, და რაის საფუძვლით? იმიტომ რომ ძალა თქვენკენაა? და ჯერჯერობით შეგიძლიათ მოიქცეთ ასე თქვენი სურვილისამებრ? მაგრამ გახსოვდეთ, რომ ეს მილიონები რუსეთის შეაგულიდანაა გამოწოვილი. შემდეგ — ნაღდი ფული აღებულია სოჭაში 800 000 მანეთი და სოხუმში 230 000 მანეთი. რასაკვირველია, რკინიგზის სამმართველომ პროტესტი განაცხადა, მაგრამ აქედან რა გამოვა?

გენერალ მასლოვსკის მიეცა ჯავშნიანი მატარებელი, მაგრამ შიგნით ყველაფერი გაფუჭებულია, რის გაფუჭებაც კი შეიძლებოდა, და ქართველი ოფიცრების ასეთი მოპყრობა სრულებითაც არ გახლავთ ლოიალური.

აღვნიშნავ რა ამას, მაინც ერთხელ კიდევ ვიტყვი, რომ მე, ჯარების მთავარსარდალი — ხოლო, რაც შეეხება ყუბანის მთავრობას, იგი თავისას თვითონ იტყვის — სურსათის საკითხში ჩვენ ბზადა ვართ დაგეხმაროთ, და როცა მთავარ საკითხს გადაჭწყვეტავთ, მაშინ ამ საქმისათვის დავააარსებთ განსაკუთრებულ ორგანოს, რომელიც შემდეგში მოაგვარებს საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეს. მაგრამ იცოდეთ, პურს თუნდაც ერთ ფუთს, მხოლოდ მაშინ გამოვუშვებთ აქედან, როდესაც შეიცვლება საქართველოს მთავრობის მოპყრობა რუსი ოფიცრებისადმი, რადგან ის, რაც იქ ხდება, — თვით იძულებითი გადასახლება — ჩვენთვის უაღრესად შეურაცხმყოფელია. რაც შეეხება სასურსათო ორგანოს, მან უნდა აწარმოოს მტკიცე ანგარიში, — რა და რამდენი სურხათი სჭირდება საქართველოს, რომ აქედან გერმანელებს არაფერი არ შეხვდეს, — გერმანელებს, რომლებმაც უკვე გამოსწოვეს დონი, უკრაინა და მზად არიან ახლა სხვასაც მიჰყონ ხელი.

ამგვარი შესავლის შემდეგ, გთხოვეთ დასვათ შემდეგი განცალკევებული საკითხები, და ვთხოვ აგრეთვე ყუბანის მთავრობის წარმომადგენელს, გამოსთქვას თავისი აზრი:

1). შეხედულება საქართველოს დამოუკიდებლობაზე;

2). საზღვარი საქართველოსა და ყუბანს შორის;

3). საქონლის გაცვლა-გამოცვლა;

4). საქართველოში რუსებისადმი მოპყრობა;

5). რეკვიზიციები წმინდა რუსულ ჭონებაზე.

შემდეგი საკითხები შეიძლება წარმოიშვას მსჯელობის პროცესში, ამჟამად კი ამ წესს სრულად ვთვლი და ვთხოვ ყუბანის მთავრობის წარმომადგენლებს გამოთქვან თავიანთი აზრი".

ლაპარაკობს ბიჩი, ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი:

„საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ჩვენში, რა თქმა უნდა, არ იწვევს არავითარ ეჭვს და ჩვენ ვღებულობთ ამას სავსებით, რადგან ყოველთვის, მთელი ისტორიის მანძილზე, ყუბანსა და საქართველოს შორის სუფევდა მეგობრობა და, ვფიქრობ, ეს მეგობრობა გაგრძელდება შემდგომშიც. რაც შეეხება საზღვრებს, აქაც სადაო არაფერი არ უნდა იყოს. შავი ზღვის მთელი გუბერნია 1905 წლამდე შეადგენდა ყუბანის ნაწილს და ჩვენც არა გვაქვს საფუძველი ეს საკითხი ახლა განვიხილოთ სხვანაირად. მიმაჩნია, რომ 1905 წლის გადამიჯვნის მიხედვით, მთელი შავი ზღვის გუბერნია მთლიანად უნდა შევიდეს ყუბანის შემადგენლობაში.

ალექსეევი: პირველი საკითხი, როგორც ეტყობა, დასრულებულია, და ჩვენც — „მოხალისეებმა" და ყუბანის მთავრობამ — გამოვთქვით ჩვენი აზრი. ახლა მოვუსმინოთ მეორე მხარეს.

გეგეჭკორი: ვითარცა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა, არ შემიძლია, პატივცემულო გენერალო, თქვენი სიტყვა უპასუხოდ დავტოვო. ჩემს თავს მოვალედ ვთვლი აღვნიშნო, რომ მე და ჩემს ამხანაგებს მეტად გვიმძიმდა თქვენი ბრალდებების მოსმენა. და მართლაც, უფრო უმძიმესი ბრალდებების წარმოდგენა შეუძლებელია, რადგან ჩვენ ბრალს გვდებენ დედამიწაზე არსებულ ყველა ცოდვებში. ბრალს გვდებენ იმაში, რომ ჩვენ ვისარგებლეთ გარემოებით და დავეპატრონეთ იმას, რაზედაც უფლება არ გვქონდა; რომ ჩვენ ვიემართავთ ძალადობას რუს მოსახლეობაზე, და განსაკუთრებით რუს ოფიცრებსა და მოხელეებზე და რომ, საზოგადოდ, მთელი ამ პოლიტიკით ჩვენ ვქმნით ურთი-

ჯართ თანამშრომლობისა და მუშაობისათვის მეტად ცუდ ატმოსფეროს.

ვიტყვი, — ამგვარი ბრალდებები ჩვენ ვერ გვაშინებენ, რამდენადაც მათ ვკითხულობთ უპასუხისმგებლო გაზეთებიდან, სადაც ჭუჭყიანი პირები აწარმოებენ კამპანიას ცალკე ერებისა, ან მათთვის არასასურველი პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ, და ამიტომ ჩვენ სავსებით მშვიდად ვართ, რადგან გვგონია, რომ პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა იციან სიმართლე და თავიანთ ბრალდებებს არ ააგებენ ქუჩის ჭორებზე. მაგრამ გენერალ ალექსეევს იცნობს მთელი რუსეთი, ვიტყვი მეტსაც — მთელი ქვეყანა. ჩვენ ყველა პატივსა ვცემთ მას, თუმცა არ ვიზიარებთ მის პოლიტიკასა და შეხედულებებს. და როდესაც გენერალი ალექსეევი შესაძლოდ სცნობს იმ ფორმითა და იმ კილოთი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, გაიმეოროს ეს ბრალდებები, მაშინ მე ვფიქრობ, რომ საქმე მართლა სერიოზულ სახეს ღებულობს. მაგრამ რა საფუძველს ემყარება ეს ბრალდებანი?

უპირველეს ყოვლისა, ჩემს მოვალეობად ვთვლი, თქვენი ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა 26 მაისს, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც რუსეთი სრულიად დაინგრა, როცა მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა 200-მდე დამოუკიდებელი რესპუბლიკა და როდესაც საბოლოოდ დაიკარგა იმედი, რომ ახლო მომავალში შეიქმნება რუსეთის ერთიანი ფრონტი. მხოლოდ მაშინ, ექვსი თვის ტანჯვის შემდეგ, საგარეო ფრონტის დამარცხების გამო, ყველასაგან მიტოვებულმა, საკუთარი თავისა და ფიზიკური არსებობის გადასარჩენად, საქართველო იძულებული გახდა გადაედგა ეს ნაბიჯი. მაგრამ სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდით, ჩვენ მივმართეთ დასახმარებლად ყველას, ბოლშევიკებსაც კი, მაგრამ ჩვენი მუდარა გახდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ცენტროფლოტის“ ღალატს, რომელმაც თუმცა ჩვენთან ხელშეკრულება დასდო, მაგრამ მაინც რადიოტელეგრამით აცნობა ვილჰელმს, რომ არცერთი გემი არ მიიღებს მონაწილეობას ბათუმის დაცვაში, და აი, ამ მომენტში, 26 მაისს 1918 წლისა, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

რაც შეეხება ბრალდებას, ვითომ საქართველოს მთავრობა ხდევნიდეს რუს ოფიცრებს, მე როგორც საქართველოს ოფიცი-

ლური წარმომადგენელი, ჩემ თავს ვალდებულად ვრაცხ კატეგორიულად ვანვაცხადო, რომ ეს ბრალდება სრულიად უსამართლოა. როდესაც რუსეთის ყველა კუთხეებში ოფიცრებს სდევნიდნენ, სად აფარებდნენ იმისი თავს თუ არა საქართველოში? ჩვენ ვღებულობდით მათ და, ჩვენ თვითონ გაჭირვებულნი, ჯამაგირებს ვაძლევდით, ვკვებავდით და ვცდილობდით, რითაც კი შეიძლებოდა დავხმარებოდით. მაგრამ როდესაც, როგორც მოგახსენეთ, იძულებული გავხდით გამოგვეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა, რუსი ოფიცრების ერთი ნაწილი მტრად გადაგვექცა და ცდილობდა ჩვენთვის რაიმე ზიანი მოეყენებინა, და როდესაც გამოირკვა, რომ ოფიცერთა ერთმა ჯგუფმა ცეცხლი წაუკიდა საინტენდანტო საწყობს, ხოლო მეორე ჯგუფს დიდძალი ფარული ასაფეთქებელი მასალა აღმოაჩინა, მაშინ ზოგიერთი მათგანი დავაპატიმრეთ, მოვექეცით როგორც ბოროტმოქმედთ და ზოგიერთი საეჭვო პირი გადავასახლეთ საქართველოს საზღვრებიდან. ამ გარემოებამ წარმოშვა უკმაყოფილო პირთა ერთი წრე, რომელთა სულიერი განწყობილება საქართველოს წინააღმდეგ ადვილი გასაგებია.

და შემდეგ, — ტფილისი, როგორც მოგეხსენებათ, წინათ იყო ცენტრი საზოგადო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის დაწესებულებებისა, რომლებშიაც მსახურობდა აუარება რიცხვი მოხელეებისა და რომლებიც გარედ დარჩნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რადგან მოხდა შემცირება და ლიკვიდაცია მრავალი დაწესებულებისა; ყველა დათხოვნილ მოხელეს შეიცა სალიკვიდაციო ფული, მაგრამ ტფილისში ცხოვრების სიძვირის გამო, ცხადია ეს ფული დიდხანს არ ეყოფოდათ. ამ ჯგუფის უკმაყოფილება და სულიერი განწყობილებაც გასაგებია და. ამ ორი ჯგუფის მტრულ განწყობილებებზე ბრალდებების აგება საქართველოს წინააღმდეგ სრულიად უსაფუძვლოა და უსამართლო, — ყველაფერი, რაც აქა ვთქვი, შემდეგში დამტკიცებული იქნება საბუთებით. და მე ვფიქრობ, რომ არავითარი ბოროტმოქმედება არ არის, რადგან, როდესაც შენდება ახალი სახელმწიფო, ის იღებს ყოველგვარ ზომებს დაიცვას და უზრუნველყოს თავისი თავი, როგორც მოხელეთა ზედმეტი შტატების და შესანახი ხარჯებისაგან, ისე მისი მთლიანობის დანგრევისა და მოსპობის ყოველგვარი განზრახვისაგან. დიახ, ჩვენ, როგორც თქვენც, თავს ვიცავთ და ჩვენც ვიცით შემთხვევები, როდესაც თქვენ თავს იცავთ

როგორ ზომებს მიმართავთ ამ შემთხვევაში. ყველა დანარჩენზე ჩვენ ვილაპარაკებთ დასახული გეგმის მიხედვით, ყოველ საკითხზე ცალკეულად. ხოლო მე ჯერ მინდოდა გამეფანტა და ჩამომეშორებინა ის მომენტები, ის ბოროტი განწყობილებანი, რომლებიც განზრახ იყო შექმნილი თქვენს გარშემო ჩვენი მოლაპარაკების დაწყისში. ამასთან ერთად, თავს მოვალედ ვთვლი მოგაგონოთ, რომ არ უნდა დაივიწყოთ თუ რა დახმარება გაგიწიეთ თქვენ ბოლშევიკებთან ბრძოლაში, და ეს გარემოება უნდა ანგარიშში მიიღოთ. ჯერჯერობით მე დავასრულე.

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი: 7 ივნისამდე მე ვიმყოფებოდი ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართულ ფრონტზე, ხოლო იმ რიცხვიდან, როცა ბოლშევიკები გამოჩდნენ კოდორთან და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა მათ განდევნას, ჩემი მთავრობის სახელით სათაკეში ჩავუდექი ჩვენს ჯარებს, შემდეგ დავყევი შავი ზღვის ნაპირებს და ვანთავისუფლებდი ამ ადგილებს ბოლშევიკებისაგან. ამგვარად 14 ივნისს დავიჭირე ტუაფსე. უნდა ვთქვა, რომ ამ დროს გარდა ჩემი ჯარებისა, არ იყო არავითარი სხვა ჯარი, რომელსაც ბოლშევიკებთან უნდა ებრძოლა და „დობროარმიის“ შესახებ ჩვენ იმ დროს არა ვიცოდით-რა. იმ ხანებში ქლუხორის უღელტეხილით გადმოვიდნენ ბოლშევიკებისგან დევნილი კაზაკები ოჯახებით. მათი მზრუნველობა, ჩემი მთავრობის ნებართვით, ვიკისრე მე, ტანზე და ფეხზე ჩავაცვი, დავხურე, გამოვკვებე და შეკაიაროლე. მხოლოდ ტუაფსეში გავიგე პირველად „დობროარმიის“ არსებობა და ერთი კვირის შემდეგ შევიტყვე ისიც, რომ „დობროარმიამ“ დაიჭირა ეკატერინოდარი. ამასთან მივიღე წერილი ყუბანის „რადას“ წარმომადგენლისაგან, რომლითაც მთხოვდა დავხმარებოდი მათ. ამ მიზნით წავიწიე ბელორეჩენსკისაკენ და ყუბანის მთავრობის წარმომადგენლის თხოვნით დავიჭირე ხოდიჟენსკი. აი, აქ მოვიდა პირველად ჩემთან „დობროარმიის“ ოფიცერი-მზვერავი. ამ ხანებშივე სოხუმიდან მოვიდა 87 რუსი ოფიცერი პოლკოვნიკ ძოროზოვის უფროსობით, რომელიც მე დავნიშნე საბრძოლო რაიონის უფროსად. ამასთან ერთად, დაღესტნის სადგურიდან გენერალმა გეიმანმა მთხოვა მიმეცა მისთვის სამხედრო იარაღი. ეს თხოვნაც შევასრულე: მივეცი 600 თოფი, 2 ტყვიამფრქვევი და ვაზნები. ამ ფრონტიდან მხოლოდ რამდენიმე დღეა რაც წამოვიყ-

ვანე ჩემი ჯარები, იმ მიზეზით, რომ ძალიან დაქანცულნი იყვნენ ამდენიხნის გამუდმებული ბრძოლებით.

რაც შეეხება ჯავშნიანი მატარებლის გაფუჭებას, ეს მართალი არ არის. მე მაქვს ხელწერილი გენერალი მასლოვსკისა, სადაც სწერია, რომ მან მატარებელი ჩაიბარა გაუფუჭებელი და დაუზიანებელი. არ უარვყოფ, შეიძლება რაიმე გაფუჭებულიც ჰქონდა, მაგრამ ეს მოხდებოდა ალბათ გამუდმებული ბრძოლების დროს. ასე რომ, მატარებელი გაფუჭებული არა ყოფილა, და აი, ამის საბუთიც გახლავთ. საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ სამხედრო თვალსაზრისით „დობროარმიის" მიერ ჩადენილი იყო შეცდომა, რომელმაც მძიმედ დამეცალა ტუაფსე, რადგან „დობროარმიის" ჯარებმა, რომლებმაც განდევნეს ბოლშევიკები ნოვოროსიისკიდან, არ მაცნობეს ბოლშევიკების რა რაოდენობა მოდიოდა ტუაფსეზე; მაცნობეს მხოლოდ, რომ მოდიან დამარცხებული ურდოები; ამიტომ მე დამშვიდებული ვიყავი და მთავარი ჩემი ძალები სხვა ფრონტზე დავაგროვე. ამის გამო მე მომიხდა გამკლავება 11 000 ჯარისკაცთან ორი ასეულითა და ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარ მოხალისეთა ერთი რაზმით. ჩემი ნათქვამიდან ჩანს, რომ ჩემს წასვლას არა ჰქონია დაპყრობითი მიზნები, რომ ამას ჩავდიოდი ყუბანის წარმომადგენლის თხოვნით, ბოლშევიკებისაგან თავდაცვის მიზნით. ოფიცრები ყოველდღე მოდიან თქვენთან ტფილისიდან და გზადაგზა მათ დახმარებას ვუწევ. ამას დამიმოწმებს გენერალი ლიახოვი. მათ ვაძლევთ ფულს, სურსათს და სხვას, და ყველაფერ ამას უსასყიდლოდ. თანახმად თქვენი თხოვნისა, მე თავს ვუყრიდი რუს ოფიცრებს სოჭში, გაგრაში, სოხუმში და მოვუწოდებდი ჩარიცხულიყვნენ თქვენი ჯარების ნაწილებში. მაგრამ ისინი არ მოდიოდნენ თქვენთან, ალბათ ამჯობინებდნენ იქ ჯდომას და შევიწროვებაზე ჩივილს.

ტუაფსეში აღებულია არა 800 000 მანეთი, არამედ 671 000 მანეთი, და აღებულია იმ მომენტში, როდესაც ბოლშევიკებს ეს ფული წასაღებად გადაჭრილდათ დრეზინაზე. ეს ფული ინახება ხაზინაში და აქედან შავი ზღვის გზის მმართველობის მოთხოვნით, მიცემულია ერთხელ 200 000 მან. და მეორედ 240 000 მან. ამგვარად უდიდესი ნაწილი დაბრუნებულია დანიშნულებისამებრ.

რაც შეეხება გემებს, ნავთსადგურების დაჭერის დროს მე მიხდებოდა მათი დაპატიმრება, რადგანაც მათი მოსამსახურენი ბოლ-

შევიკები იყვნენ და ცდილობდნენ გემებითვე გაქცეულიყვნენ ბოლშევიკებთან. ამჟამად ეს გემები ეზიდებიან ლტოლვილებს. რაც შეეხება „ზამფიროვს“, რომელიც თქვენ დაიჭირეთ, უნდა მოგახსენოთ, რომ ის გადმოცემული იყო შავი ზღვის გზის მიერ ნგბა-ს ოფლობით და მან გადაგვახდევინა ფრახტი 100 000 მან.

შავიზღვის გზასთან ხელმოწერილი კონვენციის შესაბამისად, ყველა გემები წავლენ იმ პორტებში, რომლებშიც ისინი მიწერილი არიან.

რადგანაც მე მიხდება სოხუმში გადმოხვეწილი კაზაკებისა და მათი ოჯახების კვება, ყუბანის მთავრობამ ეს მიიღო მხედველობაში და გადამიხადა, როგორც ვალი 5 000 ფუთი ქერი, სამხედრო გუბერნატორმა კი ეს ქერი დააკავა და აღარ უშვებს.

დენიკინი: ეს საკითხი აღიძრა მხოლოდ გუშინ და უკვე გაცემულია განკარგულება, რომ ქერი გამოუშვან.

ბიჩი: არა, ეგ საკითხი დიდი ხანია აღძრულია.

დენიკინი: ჩვენ ვუბრძანეთ დაეკავებინათ, სანამ არ გამოირკვეოდა, თუ რა მიზანი ჰქონდა ქართულ დიდ რაზმს, რომელიც გადმოგიდა სოჭაში.

გეგეჭკორი: რამდენადაც მე ვიცი, ქერის გადმოგზავნა შეჩერებული იქნა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე რაზმი სოჭაში გადმოვიდოდა.

ვორობიოვი: იცით თქვენ თუ არა, რომ გემებმა „გენერალმა“ და „კორკოვადომ“ გაიტანეს ფოთიდან კონსტანცაში 60 ვაგონი პური და 17 ვაგონი რეზინის შინები?

გეგეჭკორი: შინების შესახებ არა ვიცი რა, მაგრამ გერმანელებს შეუძლიანთ შეისყიდონ პური სრულ ფასებში და გაგზავნონ.

სტეპანოვი: მართალია თუ არა შემაშფოთებელი ცნობა, ვითომ საქართველოს მთავრობას წინადადება მისცეს, გადასახლდეს ჭუთაისში?

გეგეჭკორი: ეგ მართალი არ არის. გარწმუნებთ, რომ შინაურ საქმეში ჩარევა დაშვებული არ იქნება საქართველოში, სანამ მთავრობას სათავეში უდგანან ისინი, ვინც ამჟამად დგანან.

შულგინი: მე ვფიქრობ, რომ უმჯობესია ბოლომდე გულახდილად ვილაპარაკოთ. აქ, ეკატერინოდარში მოდიან ბევრნი, რომლებიც გვიამბობენ, რომ საქართველოში იდეკნება ყველაფერი

რუსული: ოფიცრები, მოხელენი, ენა, სკოლები და სხვა. ამ ნაამბობს, მე მესმის, უნდა შეკუბედოთ კრიტიკით და სიფრთხილით, რადგან ამას ლაპარაკობენ ნაწყენი პირები, მაგრამ მაინც, თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, აქ შეიძლება ცოტა სიმართლეც იყოს. მე მოხარული ვარ გეგეჭკორის განცხადებისა, — რომ უნდა დაიცვა შენი სახელმწიფო და ებრძოლო იმ ხალხს, რომელიც მის დანგრევას მოიწადინებს — თუმცა მე უნდა ვთქვა, რომ ეს წინად მისგან არ გამიგონია. სახელმწიფოს დაცვა ძნელია იმისთვისაც კი, ვინც ამ საქმეს დიდი ხანია ემსახურება, ხოლო ვინც ამ გზას დიდი ხანი არ არის რაც დაადგა, შესაძლებელია ამ დაცვაში ადვილად გადაცდეს ლოიალობის საზღვარს. და ხომ არ გადასცდა ამ საზღვარს საქართველოს ახლანდელი მთავრობა და ეს გადასვლა ხომ არ იღებს სასტიკ ფორმას? ეს ერთი.

ახლა მეორე. ნება მოგვეცით წარმოგიდგინოთ, რომ მოცემული მომენტის გარკვეულ სივრცეში ცენტრი უჭირავს „დობროარმიას", და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩრდილოეთიდან მას აწვებიან ბოლშევიკები, დასავლეთიდან — გერმანელები, აღმოსავლეთიდან ბაქოს დაჭერით ოსმალები და გერმანელები, ხოლო სამხრეთიდან ამჟამად გვაწვება საქართველო. სთქვით პირდაპირ, რომ თქვენ მონაწილეობას იღებთ „დობროარმიის" გარშემორტყმის და შევიწროვების კომბინაციაში. თუ თქვენ მონაწილეობას იღებთ, მაშინ, რასაკვირველია, რუსებს კარგად არ მოექცევით, ამის გამოცდილება ჩვენ გვაქვს უკრაინაში და ამას პირდაპირ გეკითხებით და ვფიქრობ, რომ ეს გაადვილებს ჩვენს მოლაპარაკებას.

გეგეჭკორი: ამ შეკითხვაზე მე ვიძლევი პირდაპირ პასუხს: არავითარ მონაწილეობას ამ კომბინაციაში ჩვენ არ ვიღებთ. გენერალი მაზნიაშვილის მოხსენებიდან თქვენ დაინახეთ, რომ ჩვენი შიზანი შავი ზღვის ნაპირებზე მოქმედებისა და წინ წაწევისა არის ბრძოლა ბოლშევიკებთან. რადგანაც ჩვენსა და თქვენს შორის არ ხდება მუდმივი ინფორმაცია, ჩვენში იბადება ათასგვარი ეჭვები. ჩვენ ხომ ბოლშევიკებიც გვდებენ ბრალს, რომ ჩვენ თქვენთანა გვაქვს კავშირი. ჩემი აზრით კი, ჩვენი დღევანდელი თანამშრომლობა არის სრულიად შემთხვევითი. სხვადასხვა სუბიექტური მიზეზების გამო, ჩვენ და თქვენ ამჟამად ვცემთ ერთ წერტილში, რომელიც დღეს გვეელინება თქვენცა და ჩვენც მტრული ძალის სახით, ისე რომ ჩვენ შორისაც არ არსებობს რაიმე კავშირი. ჯერ

ჯერობით ჩვენი მიზანია დავიცვათ ჩვენი საზღვრები და ჩვენი რესპუბლიკა ყოველგვარი მტრული ძალებისაგან. რა იქნება შემდეგში, ამაზე პასუხის მიცემა ძნელია, რადგან ყველაფერი დამოკიდებული იქნება გარეშე პირობებზე. ჯერჯერობით ჩვენს ამოცანას შეადგენს შენარჩუნება ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა, მისი ტერიტორიისა, მისი წესწყობილებისა და მისი უფლებებისა. და ჩვენ გავუმკლავდებით ყველას, ვინც კი მოინდომებს ამის წართმევას, ბოლშევიკები იქნებიან ისინი თუ სხვა ვინმე. ფართე დაპყრობით პერსპექტივებს ჩვენ არ ვისახავთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ ჩვენი ერი გადავარჩინოთ ფიზიკურ გაწყვეტას, ამიტომ ლაპარაკი იმაზე, ვითომ ჩვენ გვაქვს კავშირი გერმანელებთან თქვენი და რუსეთის წინააღმდეგ მომართული, სრულიად უსაფუძვლოა. და იცოდეთ, რომ ჩვენს საქმეში თუ ვინმე ჩაგრევა და შეეცდება პროგრამა შეგვაცვლევინოს, ჩვენ გადავდგებით ხელისუფლებიდან, თუმცა შეიძლება გამოჩნდეს ჩვენში ისეთი ჯგუფი, რომელიც მიიღებს ხელისუფლებას ამ გარემოებაშიაც კი. და თუ ის გარემოებანი, რომელიც მოსდევს ჩვენი ამოცანის შესრულებას გაფიქრებინებთ თქვენ, რომ ეს არის ჩვენის მხრივ მოძალება, მაშინ აქ შექმნილი გარემოება, მეტად თუ ნაკლებად, ჩვენც გვაფიქრებინებს, რომ არის მოძალება თქვენის მხრივაც, რომლის წინააღმდეგ ჩვენ გარანტია უნდა მოგვეცეს.

ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი: განმარტებანი, რომლებიც მოგვცეს ბატონმა გეგეჭკორმა და გენერალმა მაზნიაშვილმა, შეძლებას გვაძლევს ადვილად გადავწყვიტოთ საზღვრების საკითხი. თუ მე კარგად გავიგე, საქმე საზღვრების უზრუნველყოფაშია, და მაშინ საქართველოს წარმომადგენლებს ისღა დარჩენიათ განაცხადონ, რომ თავიანთ ჯარებს გაიყვანენ ჩვენი საზღვრებიდან.

ლ უ კ ო მ ს კ ი: ჩვენს წინ იმდენი საკითხებია წამოყენებული, რომ მათში გარკვევა ძნელია. ზოგად პასუხებში ჩანს ერთგვარი გაუგებრობა. რას ნიშნავს სიტყვები გეგეჭკორისა იმის შესახებ, რომ ჯერჯერობით ვცევთ ერთ წერტილში და რომ ბოლშევიკებსაც აქვთ ეჭვი ვითომ ქართველებს ჰქონდეთ კავშირი „დობროარმიასთან?“ მეორე საკითხი — პურის შესახებ. საქართველოს არა აქვს თავისი პური. და ამასთან ერთად ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანელები ყიდულობენ პურს საქართველოში და გააქვთ იქიდან. ეს გარემოება ნათლად უნდა იყოს გაშუქებული, და თუ ჩვენ ვაძლევთ

პურს საქართველოს, ჩვენ უნდა გვქონდეს გარანტია, რომ ეს პური არ გადავა გერმანელების ხელში.

რუს ოფიცერთა და მოხელეთა შესახებ ვიტყვი, რომ ნაწყენი ადამიანი ხშირად გადაამეტებს ხოლმე, მაკრამ მე ამას ხაზს ვუსვამ — ძალიან სასურველია გაშუქებულ იქნას ეს საკითხი ყოველმხრივ, რეალური საბუთებით და არა სიტყვებით. მე ვფიქრობ, ღმის წინააღმდეგ ლაპარაკი არ უნდა იყვეს. სასურველია, აგრეთვე გავიგოთ, როგორ უყურებს საქართველო რუსეთის სახელმწიფოებრივ ქონებას, რომელიც საქართველოში დარჩა? ამიტომ საჭიროდ ვრაცხ, სანამ ცალკე საკითხებს განვიხილავდეთ, ვთხოვოთ საქართველოს წარმომადგენელს პასუხი მოგვცეს ამ კითხვებზე.

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი: თქვენ მიერ წამოყენებული საკითხების ერთ ნაწილზე, მე ვგონებ, უკვე მოგეცით ამომწურავი პასუხი. კერძოდ საქართველოში რუს ოფიცერთა და მოხელეთა მდგომარეობის საკითხის გამო მე შემიძლია წინადადება მივცე „დობროარმიას“ და უუბანის მთავრობას, იყოლიონ თავისი ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოს მთავრობასთან. მაშინ, ვფიქრობ, ჩვენში აღარ იქნება გაუგებრობანი და უსაფუძვლო უთანხმოებანი. ხოლო რაც შეეხება რუსეთის სახელმწიფოებრივ ქონებას და ფულის მარაგებს, რომელიც დარჩა კავკასიაში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, უნდა განვაცხადო შემდეგი: ფული დარჩა ისე ცოტა, რომ მასზე ლაპარაკიც კი არა ღირს, და მთელი ეს ხანა, და ახლაც, ჩვენ ვარსებობთ მხოლოდ ფულის საჭრელი დაზგის საშუალებით, რომელიც შეუჩერებლივ მუშაობს. რაც შეეხება ქონებას, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს სულ სხვა პირობებში, უფრო დიდი, სრულუფლებიანი და ავტორიტეტული კრების მიერ. და როდესაც ჩვენ გვექნება საქმე რუსეთის სახელმწიფოსთან, გარწმუნებთ, რომ ჩვენ უარს არ ვიტყვით. და რუსების მიერ დატოვებულ ყველა ქონების სრულ ანგარიშს მოგცემთ.

ამასთან ერთად, პატივცემულ გენერალ ალექსეევის განცხადებაზე, ტუაფსეში მოხელეთა დანიშვნის შესახებ, ჩემ თავს ნების ვაძლევ ვთქვა შემდეგი: როდესაც გენერალმა მაზნიაშვილმა პირველად დაიკავა ტუაფსე, „დობროარმიის“ არსებობისა არავინ არა იცოდა რა. წესრიგის დასამყარებლად გენერალმა მაზნიაშვილმა დანიშნა თავისი მოხელენი. ტუაფსე რომ ბოლშევიკების ხელში

ვადავიდა, გენერალ მაზნიაშვილს მოუხდა ტფილისში წასელა და წასვლის წინ დანიშნა გენერალი მასლოვსკი საბრძოლო რაიონის უფროსად, ხოლო გენერალ ვაშაკიძეს ჩააბარა საერთო მმართველობა და გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის შესრულება. ქალაქი ტუაფსე ხელახლა დაიჭირა გენერალ მასლოვსკის რაზმმა და ქართული ჯარების ნაწილებმა, და საერთო სამხედრო უფროსების განკარგულებით წინადადება მიეცა მოხელეებს შესდგომოდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. ამის შემდეგ „დობროარმიის“ მოსულმა ჯარის ნაწილებმა და მათმა უფროსებმა გენერალ ვაშაკიძის მიერ დანიშნული მოხელეები გადააყენეს სამსახურიდან, რამაც გამოიწვია გაუგებრობა. და მე გარწმუნებთ, რომ მოხელეთა დანიშვნა გამოწვეული იყო რეალური საჭიროებით და ადგილად გასაგები მისწრაფებით: თავიდან ყოფილიყო აცილებული ის სამწუხარო ამბები, რომელიც მოხდა ტუაფსეში, სადაც მეტად დაზარალდნენ თითქმის ყველა იქ დარჩენილი ქართველები, და „დობროარმიის“ ორგანიზაციას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული რუსეთის აღდგენა და მასთან განზრახული აქვს ფართე და დიდი პერსპექტივები, ყოველთვის არ შეუძლია თავის დროზე დაიცვას მცხოვრებთა ცალკე ჯგუფების არსებობა. სოჭის ოლქში კი ცხოვრობს ქართველების 21%. და მე ვფიქრობ, რომ სანამ საქართველო არ მიიღებს რეალურ გარანტიას, რომ ტუაფსეს ისტორია აღარ განმეორდება, მას არა აქვს არც მორალური, არც პოლიტიკური უფლება დასცალოს სოჭის ოლქი. არ დაგიფარავთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილებაა ტუაფსეს შენარჩუნებაც, მაგრამ მე ამას ვერ ჩავდივარ. ჩვენის აზრით, ტუაფსეს დატოვება ჩვენის მხრით დიდი დათმობაა, მაგრამ ამას ჩავდივართ იმიტომ, რომ არ გვინდა საქმის ზედმეტი გართულება.

ამასთან მე ვფიქრობ, რომ სოჭის ოლქის ჩვენს მიერ დაჭერა არაფრით არ ეწინააღმდეგება თქვენს მიზნებსა და ამოცანებს. თუ მართლა შემდეგში აღსდგა ახალი რუსეთი, რაშიაც მე ეჭვი არა მაქვს, მაშინ ჩვენ წინ შეიძლება დაისვას საკითხი არა მარტო სოჭის ოლქის დაბრუნების შესახებ, არამედ უფრო დიდი საკითხები, და ეს თქვენ ანგარიშში უნდა მიიღოთ.

დ ე ნ ი კ ი ნ ი: გაცნობებთ, რომ გენერალი მასლოვსკი არ ეჭვემდებარებოდა გენერალ მაზნიაშვილს, და როდესაც ქართველები სოჭიდან წავიდნენ, მათთან ერთად წავიდნენ მათი მოხელენიც.

„დობროარმია“, რომელსაც ამჟამად უჭირავს ომის უფლებით სტავროპოლის გუბერნია და ყუბანი, ახალი ადგილების დაჭერის-თანავე, რასაკვირველია, ნიშნავს თავის მოხელეებს. გაუგებრობას იწვევს გაძლიერება ქართული რაზმისა, სოჭაში მოსული ჯუღელისა და კონიაშვილის ჯარის ახალი ნაწილებით.

ბ ი ჩ ი: იმ ცნობებს, ვითომ საქართველოში რუსებს ავიწროებენ, ჩვენ ვხვდებოდით კრიტიკულად და ფრთხილად. მე კარგად ვიცნობ ქართველებს, მე ეს არა მჯეროდა და ამიტომ გეგეჭკორის ნათქვამი ყველაფერი მჯერა და ყუბანის მთავრობის სახელით შემიძლია განვაცხადო, რომ ეს საკითხი მიმაჩნია სრულებით ამოწურულად. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად რუსეთში მცხოვრები ცალკე ერებს შორის ურთიერთობაში გარედან შეაქვთ მრავალი გაბაღიზიანებელი ელემენტები და შეაქვთ სრულიად გარკვეული სისტემის თანახმად. მე ვფიქრობ, რომ აქაც ისევ ის ხელი მუშაობს, რომელიც წინათ გვაშორებდა ერთმანეთს. ამაზე მუშაობს აქ ის — შესამე, რომელიც მუდამ ჰხარობს, როდესაც სხვები დაიობენ, და მე მივმართავ რა ჩვენს პროგრამას, უნდა ვთქვა, რომ ყველა კერძო ხასიათის დავა, რომელიც შეიძლება აქ წამოიჭრას, ადვილად შეიძლება მოგვარდეს, ხოლო ჩვენი ურთიერთობის საფუძველნი გვაძლევენ საბუთს ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ჩვენ ყველაფერში შევთანხმდებით. პურის საკითხის შესახებ როგორ მოვიქცეთ, რომ თქვენ დაგეხმაროთ, გერმანელებს კი საშუალება მოვუსპოთ თქვენთვის გაღებული პურით სარგებლობისა? ვფიქრობ, რომ შეიძლებთ გამოვიმუშაოთ ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც ორივე მხარისათვის მისაღები იქნება.

საქართველოში დატოვებული ჭონების შესახებ მე მაკმაყოფილებს გეგეჭკორის განმარტებანი და ჩვენ ამჟამად არ ვაცხადებთ პრეტენზიას, რომ დაუყოვნებლივ იყოს გაყოფილი იგი, თუმცა ვამბობთ, რომ იქ არის ჩვენი კუთვნილი ნაწილიც. ყველა ამის გაყოფა ეკუთვნის, რასაკვირველია, სრულიად რუსეთის უფრო დიდ ორგანოს.

შავი ზღვის გუბერნია რომ ჩარიცხული იქნას ყუბანის შემადგენლობაში, ვფიქრობ არც ეს გამოიწვევს საქართველოს მხრივ პროტესტს. ჩვენ აქ გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ საქართველოს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ეს ტერიტორია მას მიეკუთვნება და თუ ეს განმარტებანი, ეს მთავარი საკითხები გადაწყვეტილი და

მიღებული იქნებიან, ჩვენ შეგვეძლება უკვე შევუდგეთ ცალკე საკითხების გადაწყვეტასაც.

ლუკომსკი: საქართველოში რუსების შევიწროების საკითხს მე მაინც დამთავრებულად არა ვთვლი. საჭიროა გარკვეული გარანტიები იმისა, რომ იქ ამგვარი არა ხდება რა. ამ საკითხის ასე უბრალოდ თავიდან აცილება, როგორც ამას სჩადის ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი ბიჩი, არ შეიძლება. მე ვფიქრობ აგრეთვე, რომ საქართველოში დატოვებული ქონების საკითხის გადადება სრულიად რუსეთის ორგანოს დაარსებამდე დაუშვებელია. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ნაწილობრივად მაინც გადავწყვიტოთ იგი საქონლის გაცვლა-გამოცვლის სახით მაინც, მაგალითად სათმარი იარაღის შესახებ და სხვა, რომელსაც ჩვენთვის ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება პურის მიცემის საკითხს, მე სრულიად ვუერთდები ბიჩის მიერ გამოთქმულ აზრს, რადგანაც, მართლაც და, ჩვენ სრულიად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი პური მიდის საქართველოში და არა კონსტანცაში.

საზღვრების შესახებ საკითხსაც მე ვთვლი გამოურკვეველად. საქართველოს წარმომადგენლის სიტყვიდან მე გავიგე, რომ სოჭა დაიკავეს დროებით და დააბრუნებენ მას საქართველოს დანარჩენ ორგანიზმთან ერთად, თუ საერთოდ დააბრუნებენ. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ყოველი მხრიდან გაშუქებული უნდა იქნას, რათა უთქმელი აღარაფერი დარჩეს.

დენიკინი: მე ვფიქრობ, რომ უწინარეს ყოვლისა გადაწყვეტილი უნდა იქნას საერთო პოლიტიკური ხასიათის საკითხები. ყველა ამ წარმოთქმული სიტყვიდან მე მივიღე შთაბეჭდილება, რომ ჩვენ გვინდა გადავწყვიტოთ შემდეგი საკითხები: პირველი — ჩვენი შეხედულება საქართველოზე. „დობროარმიამაც“ და ყუბანის მთავრობამაც აღიარეს, რომ სცნობენ მის დამოუკიდებლობას. მეორე — შეხედულება „დობროარმიაზე“. რამდენადაც მე გავიგე საქართველოს წარმომადგენლის სიტყვები, იგი კეთილსასურველია. ე. პ. გეცეჭკორის განცხადება გერმანელებთან ურთიერთობის შესახებ მე სრულიად მაკმაყოფილებს. ერთი საკითხი რჩება გამოურკვეველი საქართველოს წარმომადგენლის მიერ წარმოთქმული ფრაზის შემდეგ, იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებიც სდებენ მათ ბრალს „დობროარმიასთან“ კავშირის დაჭერაში, ამიტომ ვთხოვ საქართველოს წარმომადგენელს გააშუქოს ეს ფრაზა და ბოლშევიკების შესახებ გამოთქვას მტკიცე და გარკვეული აზრი.

გეგეჭკორი: ბოლშევიკებთან ურთიერთობის საკითხის შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს საზღვრებში ბრძოლა ბოლშევიკებთან ულმობელია. ჩვენ ყველა საშუალებით, რაც ხელთა გვაქვს, ვსპობთ ბოლშევიზმს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას, რომელიც ემუქრება ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობას, და ვფიქრობთ, რომ ამის შესახებ ჩვენ უკვე მოგეცით მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთებისა, რომელნიც თავისთავად ლაპარაკობენ.

რაც შეეხება გარანტიებს იმის შესახებ, რომ პური არ გადავიდეს გერმანელების ხელში, ესეც, ჩემის აზრით, ადვილი მოსახერხებელია, რადგან აქედან გატანილი პური მთლად გადაეცემა უშუალოდ მთავრობას ხელში, რომელიც არასგზით არ დაუშვებს, რომ პური გავიდეს უცხოეთში, იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა განიცდის პურის დიდ ნაკლებობას. ეღიქრობ აგრეთვე, რომ საჭიროება არ მოითხოვს ვიდავოთ სოჭის ოლქში ჩვენი ყოფნის გამო. „დობროარმია“ ხომ ამჟამად უნდა მიილტვოდეს ჩრდილოეთისაკენ და მას იმდენი საქმე და სამუშაო აქვს, რომ ამ რაიონში ჩვენი დროებითი ყოფნა, ჩვენი მოსახლეობის ინტერესთა დასაცავად, თქვენში დავას არ უნდა იწვევდეს და ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ფორმულა: სოჭის ოლქი დროებით რჩება საქართველოს.

ალექსეევი: ეს ფორმულა გაურკვეველია და სიმტკიცეს მოკლებული.

გეგეჭკორი: ამჟამად ყველაფერი გაურკვეველია და სიმტკიცეს მოკლებული.

ვორობიოვი: მე ახლა ვილაპარაკებ არა როგორც ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი, არამედ როგორც კერძო პირი. ჩემის აზრით, ამ საკითხის განხილვის დროს ვუშვებთ შეცდომას, რომელიც შემდეგში გაუგებრობას გამოიწვევს. მთელი დრო ლაპარაკია სოჭის ოლქზე და არაფერს ვამბობთ გაგრაზე. გაგრას რას უპირებთ? შთაბეჭდილება ისეთია, რომ ქართველები ამ უკანასკნელს თავისად თვლიან. ეს კი ასე არ უნდა იყოს. მთელი ეს ოლქი აშენებულია პრინც ოლდენბურგის მიერ და დახარჯულია მარტო გაგრაზე 10 მილიონი მანეთი ძველი ვალიუტით. ამის გარდა მთელ ოლქში არის ერთი სოფელი, ისიც ქართველებით ნახევრად დასახლებული, ბოლო იქ ჩახარჯული ფულიც წმინდა რუსული ფუ-

ლია. აი, ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი საკითხების განხილვის დროს. და თუ ვილაპარაკებთ საქართველოს საზღვრებზე, იგი უნდა განისაზღვროს მარტო აფხაზეთით, რადგან ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ აფხაზები არაფერს ზოგავენ და ცდილობენ ისევ შეივიდნენ რუსეთის შემადგენლობაში. მართალია, უკანასკნელ დროს ვხედავთ საქართველოს მთავრობის სურვილს, გააქართულონ ქალაქები, ნიშნავენ იქ კომისრებს და სხვა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რომ ეს ოლქები ქართულ ოლქებად ჩავთვალოთ. დღეს ამით დავკმაყოფილდები.

ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი: საზღვრების შესახებ ვიტყვი მხოლოდ — 1905 წლის საზღვრით გავრა შედის შავი ზღვის გუბერნიაში. პატივცემული ევგენი პეტრეს ძის განმარტებებში, ჩემი აზრით, ორი ადგილი ბუნდოვანია. ერთია — საკითხი საქართველოდან გერმანელების მიერ პურის მიღების შესაძლებლობისა. აქ ლაპარაკია, რა საკვირველია, იმ პურზე კი არა, რომელიც აქედან მიდის, არამედ იმ პურზე, რომლის შესყიდვა ადგილობრივ ნებადართულია, და თუ ნებადართული იქნება თავისუფალი შესყიდვა, მაშინ არავის არ ექნება გარანტია, რომ თუ ჩვენ გავაძლიერეთ პურის მარაგი საქართველოს ბაზარზე, გერმანელებსაც მიეცემათ საშუალება შესყიდვისა; და მეორე — რას ნიშნავს „დროებით ვიჯერთ"? რომელ დრომდე? სანამ „დობროარმია" ქართული მოსახლეობის დაცვას რეალურად უზრუნველჰყოფს, თუ სანამ დამფუძნებელი კრება არ შედგება? მაშინ ხომ ჩვენს თათბირსაც არავითარი ფასი არა აქვს.

დ ე ნ ი კ ი ნ ი: საკითხი შეიძლება გადაწყდეს უბრალოდ, თუ საქართველოს ეშინია ბოლშევიკებისა და სოჭის ოლქში ქართული რაზმების ყოფნა ამით აიხსნება, ჩვენ დავიჯერთ მას ჩვენი ჯარებით და დავიცავთ მათ, ხოლო თუ ეს ვერ შევძელით, მაშინ შეიძლება ვთხოვოთ დახმარება თვით საქართველოს.

დ რ ა გ ო მ ი რ ო ვ ი: საქართველოში რუსების შევიწროების შესახებ, საკითხი უნდა გადაწყდეს უსათუოდ. რა მდგომარეობაშია საკითხი ქვეშევრდომობის შესახებ? როგორც ეტყობა, იქ რუსის თავმოყვარეობა ილახება, რუსები რომ ასე გამორბიან იქიდან.

ბ ი ჩ ი: ეს საკითხი მე თავიდან არ ამიცილებია. მე ვფიქრობ, რომ გამოსავალი არის იმით, რომ ჩვენ შეგვიძლია გავგზავნოთ საქართველოში ოფიციალური წარმომადგენელი.

1 საათსა და 20 წუთზე, ალექსეევმა გამოაცხადა შესვენება მეორე დღემდე.

მეორე დღეს, 26 სექტემბერს, 10 საათსა და 55 წუთზე, სხდომა განახლდა.

მონაწილეობდნენ: გენერლები — ალექსეევი, დენიკინი, რომანოვსკი, ლუკომსკი, დრაგომიროვი, პოლკოვნიკი ფილიმონოვი, ევგ. გეგეჭკორი, გენერალი მაზნიაშვილი, სტეპანოვი, შულგინი, ბიჩი და ვორობიოვი.

ალ ე ქ ს ე ე ვ ი: დღევანდელ სხდომას გახსნილად ვაცხადებ და ვიწყებ თხოვნით ყუბანის მთავრობის წევრისადმი, რომელმაც, როგორც შავი ზღვის გუბერნიის კარგმა მცოდნემ, გააკეთოს მოხსენება სოჭისა და გაგრის ოლქთა შესახებ.

ვ ო რ ო ბ ი ო ვ ი: მე ვგონებ, სოჭის ოლქზე ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება, რადგან იგი დიდხანს ცნობილია, როგორც რუსული. წინათ ამ ოლქში ცხოვრობდნენ ჩერქეზები, შემდეგ მათი ნაწილი გადაასახლეს, ნაწილიც თვითონ გადასახლდა. ისტორიაში ეს რაიონები ცნობილია, როგორც ვენეციის და ვენუის ფაქტორიები. XV საუკუნეში აქ იყვნენ თურქები. ჩერქეზებმა მიიღეს მათი ქვეშევრდომობა, მაგრამ პირდაპირ დამოკიდებულნი მათგან მაინც არ იყვნენ. იმ დროს იქ არ იყვნენ არც რუსები, არც ქართველები. შემდეგ ეს ადგილები თანდათან დასახლდა რუსი მოსახლეობით. მდინარე პსომდე ქართული სოფლები აქ არ მოიპოვება, არის მხოლოდ მცირედი რიცხვი შემდეგ გადმოსახლებულებისა. სოჭის ახლოს არის აგრეთვე რამდენიმე მოსახლე ქართველი. დაბანარჩენ ქართველ მცხოვრებლებს შეადგენენ მედუქნეები, მებაყლეები, მოიჯარადრეები, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად მცირეა, რომ სოჭის ოლქზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

რაც შეეხება გაგრის ოლქს, უნდა ვთქვა რომ, რაღაც მიზეზით, აქ ამის შესახებ ლაპარაკი არც კი ყოფილა და საქართველოს წარმომადგენლები მას გვერდს უხვევდნენ. ეს ოლქი შესდგა მხოლოდ 1917 წელს. იქნება საქართველოს წარმომადგენლები არც კი თვლიან მას ცალკე არსებულ ოლქად. ჩხენკელიც ხომ განცვიფრებით შეხვდა მის არსებობას და მხოლოდ ახლა შეუდგა მუშაობას ამიერკავკასიაზე მის შესაერთებლად.

დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის იმ დროს როდესაც აღწერა ხდებოდა, აქაურ მცხოვრებთა რიცხვი აღმოჩნდა 35 000.

შათ შორის 12 000 თურქეთის ქვეშევრდომი იყო (ბერძნები, სომხები, თურქები), რუსები იყვნენ 8 000-ზე მეტი (ნეკრასოველები, ერმოლოველები), ესტონელები — 6 000, მოლდაველები 1 500 და ნაწილი აფხაზებისა. გაგრის იქითა მხარეს ცხოვრობენ აფხაზები (ცვალდიხვარი და ახალსუნდი). ქართველები გაგრის ოლქში ცოტაა არა უმეტეს 1000 კაცისა გაგრა რომ გაჩნდა და მოეწყო, ეს ოლქი მოსწყდა ამიერ კავკასიას. სატყეო მმართველობა ამ ოლქისა ქუთაისიდან გადავიდა ყუბანის განკარგულებაში.

იგი იმ ღონისძიებათა შორის, რომლებითაც ცდილობდნენ ამ ოლქის გაქართულებას, ჩვენ ვიცით ჩხენკელის აქ ჩამოსვლა 1917 წლის 15 ივნისს, ჩხენკელი პირველად გაკვირდა, რისთვის იყო საჭირო ამ პატარა ოლქის შექმნაო. მაგრამ შემდეგში თავი მოუყარა მცხოვრებლებს, რომელთაც უქადაგებდა, რომ ეს ოლქი შეეერთებინათ ამიერ-კავკასიისათვის. როდესაც კრებაზე ეს საქმე ჩაიფუშა, მაშინ გაგრის ოლქს ხელოვნურად შეუერთეს სამი სოფელი, სადაც ავროვებდნენ ხელისმომწერლებს, რომლებიც აცხადებდნენ სურვილს, რომ ეს ოლქი შეეერთებინათ ამიერ-კავკასიისათვის. ამ გარემოებამ დაბადა ის აზრი, ვითომ ეს რაიონი მიიწევდეს ამიერ-კავკასიისაკენ. ამ დროს კომისრად დაინიშნა ქართველი ბოჭორიშვილი. მოვიდა კიდევ კომისარი მგელაძე და იმათ გამოაცხადეს, რომ ეს ოლქი შეუერთდა ამიერ-კავკასიას. ჩემის აზრით, ამისთვის არ არსებობს არავითარი საბუთი: არც ეთნოგრაფიული, არც ისტორიული. გაგრის ოლქის იქით არის კიდევ აფხაზეთი, რომელსაც ჩასაყლაპავად ვერავის მივცემთ. საქართველოს საზღვრები უნდა იწყებოდეს აფხაზეთიდან, რომლის მისწრაფება თვითგამორკვევისკენ არ უნდა იქნეს უარყოფილი მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ცხოვრობს რამდენიმე ასეული ქართველი.

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი: მე ვგონებ, ბ-ნ ვორობიოვის მიერ დღეს ნათქვამი არის უფრო ვრცელი გაშმეორება გუშინდელისა, ხოლო საერთოდ ვორობიოვის მსჯელობაში მე ვამჩნევ ერთგვარ უცნაურობას. ჩვენი მსჯელობის საგნად იგი აყენებს არა სოჭის ოლქს, — რომელზედაც ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ, — არამედ გაგრის ოლქსაც და მიდის უფრო შორსაც. ის გვეკლინება აფხაზეთის დამცველად. გარწმუნებთ მე თქვენ, რომ აფხაზებთან ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ და გარკვეულ შედეგებსაც მივაღწიეთ. და ამ საკითხების განხილვას თუ აქ შევუდექით, მე ეჭვიქრობ დავიბნევით სიერცეში და

ვერავითარ კონკრეტულ შედეგებსაც ვერ მივაღწევთ. მხოლოდ აქ უნდა აღვნიშნო, რომ ვორობიოვი უხეშად სცდება, როდესაც ამბობს, შავი ზღვის გუბერნია არ შედიოდაო ამიერ-კავკასიაში. ნება მომეცით მიგითითოთ იმაზე, რომ ეს ზომა გატარებული იყო არა რომელიმე დეპუტატთა საბჭოს მიერ, რომლის ხელისუფლებას არა ვცნობთ, არამედ დროებითი მთავრობის განკარგულებით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სოჭის ოლქში ქართველები შეადგენენ მცხოვრებთა 22%. ჩვენ ვიცით ისეთი დიდი სოფლები, როგორც მაგალითად პლასტუნსკოე სადაც 2 000-მდე ქართველია და ა. შ. საერთოდ მე ვფიქრობ, ყველა ამგვარი ლაპარაკი და დავა უნდა შევწყვიტოთ, რადგან დღევანდელი კრებისათვის ისინი არ წარმოადგენენ კონკრეტულ ინტერესს. გუშინ მე ვაყენებდი ხაკითხს სავსებით სხვანაირად. მე განვაცხადე, რომ სოჭის ოლქი ჩვენ გვიჭირავს დროებით, რომ მის საბოლოო ბედზე ლაპარაკი გვექნება სხვა, უფრო კომპენტენტურ კრებაზე, რადგან აქ, ამ კრებაზე, სრულიად დაუშვებელია ერების ბედ-იღბლის გადაწყვეტა, ამისთვის დაფალება ჩვენთვის არავის მოუცია და არც გვაქვს ამის უფლება. ყოველგვარი ურთიერთობა აქ ეწყობა დროებით, რადგან თვით „დობროარმიის“ ორგანიზაცია არის მაინც დროებითი ორგანიზაცია. სოჭის ოლქიც ჩვენ დავიჭირეთ დროებით. „დობროარმიას“ ხომ უჭირავს, როგორც თქვენ თვითონ განაცხადეთ გუშინ, ომის უფლებით სტავროპოლის გუბერნია და ყუბანი. „დობროარმია“ ჯერჯერობით არის კერძო ორგანიზაცია და არა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

ა ლ ე ქ ს ე ე ვ ი: მაგრამ ის გახდება საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი!

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი: მაშინ, როდესაც აგრე იქნება, მაშინ დავუწყებთ ჩვენ მას ლაპარაკს მრავალი საკითხის გარშემო, რომელთა განსახილველად, ჩემის აზრით, დღევანდელ კრებას არა აქვს კომპეტენცია. ამიტომ გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი თათბირის თემას.

შ უ ლ გ ი ნ ი: გუშინ ჩვენმა თავმჯდომარემ გაგიცხადეთ თქვენ, რომ ჩვენ პატივისცემით ვეკიდებით საქართველოს თავისუფლების საკითხს და ამიტომ მე მოვითხოვე ამგვარივე მოპყრობას ჩვენდამი. უმთავრესად იმ საკითხზე მსჯელობა, „დობროარმია“ კერძო ორგანიზაცია არის თუ არა, ეგ ჩვენ, რუსებს შოგვანდეთ. რასაკვირ-

ველია, კიევის ბედ-იღბალზე მსჯელობა ამ კრებაზე არ შეიძლება. მაგრამ როდესაც საქმე ეხება იმ ოლქებს, რომლებიც ჩვენი ჯარების ბანაკის გარშემო მდებარეობს, აქ ცალმხრივად მსჯელობა, არ შეიძლება... ბრესტის ხელშეკრულების დამატებითი მე-13 მუხლით საქართველო ცნობილია დამოუკიდებლად და აფხაზეთს რომ მოენდომებინა, მე ვგონებ, იმავე საფუძველით ისიც მიიღებდა დამოუკიდებლობას. გთხოვთ მომცეთ პასუხი, ბრესტის ხელშეკრულების დადების დროს ლაპარაკი იყო საზღვრებზე? იყო თუ არა განსაზღვრული საქართველოს საზღვრები?

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი: არა. ნამდვილი საზღვრები არ იყო განსაზღვრული. საგანგებო დეკრეტით იყო გამოცხადებული, რომ საზღვრები დადებულია დროებით.

ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი: დროებითი საზღვრები კი განისაზღვრა?

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი: დიახ. საქართველოს რესპუბლიკის აქტით.

დ ე ნ ი კ ი ნ ი: მე ვეთანხმები საქართველოს წარმომადგენელს, რომ თეორიული ლაპარაკით ჩვენ შორს ვერ წავალთ. უნდა გადავწყვიტოთ გარკვევით საზღვრების საკითხი. საქართველოს წარმომადგენელნი თუ უარს არ იტყვიან სოჭის ოლქზე, მაშინ ჩემის აზრით, ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ყოველგვარი ლაპარაკი და მივუბრუნდეთ იმ დიდ სამუშაოს, რომელიც ჩვენ გვიცდის.

ფ ი ლ ი მ ო ნ ო ვ ი: სთვლიდით თუ არა თქვენ სოჭის ოლქის მცხოვრებ ქართველთა რიცხვში მუშებსაც, რომლებიც იქ დროებით იმყოფებიან? რადგან მე ვიცნობ ამ ოლქს.

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი: მე მხედველობაში არ მქონდა მოსული მუშები. იქ არიან მუდმივად მცხოვრები ქართველები და აქვე უნდა ვთქვა, საუკეთესო კოლონიზატორები არიან მეგრელები.

ფ ი ლ ი მ ო ნ ო ვ ი: მე როგორც მესაზღვრე, ვიცავდი სწორედ ამ რაიონს, ვიცნობ იქაურ მცხოვრებთ. შემიძლია დაგამოწმოთ, რომ იქ მცხოვრებთა შორის ქართველები არ არიან. მცხოვრებნი იყვნენ მოსულნი და არა მკვიდრნი, და არ აღემატებოდნენ მთელ რაიონში 1 000 კაცს.

ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი: მე ვუერთდები გენერალ დენიკინის აზრს. გეგეჭკორის სიტყვიდან ჩანს, რომ ჩვენ აქ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ საზღვრებზე, რადგან ჩვენ გვთვლიან კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლებად, ხოლო ამ შემთხვევაში იფუშება მთელი დანარჩენი მუშაობა.

ალექსეევი: დიახ, ეს საკითხი ახლავე უნდა გადაწყდეს. როგორ შეიძლება „დობროარმია“ კერძო ორგანიზაციად ჩაითვალოს?

გეგეჭკორი: თქვენ როგორც გინდოდეთ ისე შეაფასეთ ჩემი ნათქვამი, მე ამას ვლაპარაკობდი: როდესაც ბატონმა ვოროვიოვმა დაიწყო ლაპარაკი აფხაზეთის ხალხზე, მე ვუპასუხე, რომ აფხაზეთისა, საქართველოს და ყუბანის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი უნდა გადაწყდეს არა აქ, არამედ სხვა ადგილას. რაც შეეხება დროებითი საზღვრების დადებას, მე ვთვლი, რომ ჩვენ ამისათვის შევიკრიბენით და ეს საკითხი შეგვიძლია განვიხილოთ ყოველმხრივ.

ალექსეევი: დროებითი, — ეს მეტად გაურკვეველია. ჩვენ ამას ვერასგზით ვერ დავეთანხმებით. თუ თქვენ, რასაკვირველია, გაქვთ ხელშეკრულება აფხაზეთთან, ეს თქვენი კერძო საქმეა. ხოლო სოჭის და გაგრის ოლქებთან თქვენ ხელშეკრულებები არა გაქვთ. და თქვენ სარგებლობთ მხოლოდ იმით, რომ არავინ არის იქ, რომელსაც შეუძლია დაიცვას რუსეთის ქონება. რა პირობებში აღსდგება რუსეთი, ეს ღმერთმა უწყის. მაგრამ სანამ ერი ამას მიაღწევდეს, მან უნდა ბევრი მოითმინოს, მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავემყარებით, და რომ არავითარი ზომები არ მივიღოთ და ჩვენი გადაწყვეტილებანი გადავდოთ, ეს არ შეგვიძლია. ჩვენ ვერ დავთმობთ რუსეთის მიწა-წყალს, როგორიც არის სოჭისა და გაგრის ოლქები.

გეგეჭკორი: იქ 22% ქართველია და რად იღებს თავის თავზე „დობროარმია“ ამ ოლქების დაცვის უფლებას და არ სცნობს ამ უფლებას საქართველოსთვის? მით უმეტეს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს საქმე ყველა დემოკრატიული ორგანიზაციებისა და პარტიების დადგენილებებთან, რომლებიც პირდაპირ მოითხოვენ სოჭის ოლქის დატოვებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში და იმას თქვენ არ შეგიძლიათ ანგარიში არ გაუწიოთ.

ალექსეევი: მაგრამ იქ ხომ 78% თქვენი ანგარიშითაც კი არაქართველები არიან, და თუ თქვენი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მცხოვრებლების მშვიდობიანობა დაცული იქნას, ჩვენ მოვახერხებთ მაგას და თუ ვერ მოვახერხეთ, მაშინ დახმარებისათვის მივმართავთ საქართველოს. რუსის ერმა იმდენი ფული ჩახარჯა ამ

ოლქებში, რომ მათი რუსეთიდან ჩამოშორება შეუძლებელია. მაშასადამე, ეს წინადადება ან მიღებული უნდა იქნას, ან უარყოფილი.

ვ ო რ ო ბ ი ო ვ ი: საქართველოს პატივცემულ წარმომადგენელს ჩემ მიერ მოყვანილ საბუთებში ეჭვი შეაქვს. მე ვამტკიცებ, რომ ხოშტის მცხოვრებთ ჩვენ ვიცნობთ და აქ გეგეჭკორის აზრი შემცდარია. მართალია, პლასტუნკაში არის ცოტაოდენი ქართველობა, მაგრამ ეს ერთადერთი ადგილია, და თუ ჩვენ მივიღებთ ე. პ. გეგეჭკორის მიერ გამოანგარიშებულ პროცენტსაც კი, მაშინაც რუსეთი უფრო მეტია, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რამდენი ფულია იქ ჩახარჯული, მაშინ ცხადია, რომ ის რუსეთისაა. აფხაზეთის დაცვა მე არ მაკისრია, მაგრამ ვფიქრობ, რომ აფხაზეთის საზღვრები ყოველმხრივ ჩვენთვის მოსახერხებელია.

ა ლ ე ქ ს ე ე ვ ი: ჩვენ მივედით უკვე იმ წერტილამდე, რის შემდეგაც ლაპარაკის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გამოირკვევა, სცნობენ თუ არა საქართველოს წარმომადგენლები, რომ ეს ოლქები გადადის რუსეთის საზღვრებში და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოლაპარაკების გაგრძელება. და მაშინ შეიძლება ყველა დანარჩენი საკითხების ადვილად და სწრაფად გადაწყვეტა.

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი: მე განვაცხადე, რომ სოჭი, თანახმად მისი მცხოვრებლების სურვილისა, დროებით უნდა დარჩეს საქართველოს საზღვრებში, და ამასვე მოვითხოვ ახლაც.

ბ ი ჩ ი: თქვენ შებორკილი ხომ არა ხართ თქვენს პასუხში?

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი: დიახ.

ბ ი ჩ ი: ხოლო, საქართველო?

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი: თავის საკუთარი გადაწყვეტილებით, რომელთან შეთანხმებითაც მე მომეცა დირექტივები.

ა ლ ე ქ ს ე ე ვ ი: ვაცხადებ შესვენებას 10 წუთით, რათა მოგვეცეს საშუალება ერთხელ კიდევ რჩევა ვკითხოთ ერთმანეთს, სანამ სხდომას დავხურავდეთ.

შესვენება.

12 საათზე სხდომა განახლდა.

ა ლ ე ქ ს ე ე ვ ი: სხდომის შეწყვეტა იყო ცდა, მიგვეღო გადაწყვეტილება, რომელიც იქნება მისაღები ორივე მხარისთვის. ვთხოვ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს თქვას, ხომ არ შეიცვალა მისი გადაწყვეტილება?

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი: რადგან მდგომარეობა სერიოზულია, მე ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ იმ ამოცანის თვალსაზრისით, რომელიც დგას „დობროარმიის“ წინაშე, სოჭის საკითხი ისეთი მცირეა, რომ „დობროარმიის“ წარმომადგენლებმა ეს საკითხი არ უნდა დასვან ასე მკაცრად. მე ვფიქრობდი და მიმაჩნდა, რომ ყველანი ასე ფიქრობენ, რომ საკითხისადმი ობიექტური მიდგომა, თავმოყვარეობის გარეშე, შესაძლებლობას მოგვცემდა გადაგვეწყვიტა ეს საკითხი იმ ფორმით, რომელიც მე წარმოვადგინე. სრულიად მისაღებად ვთვლი ჩვენ ფორმულას — სოჭის ოლქის დროებითი დატოვება საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში.

ა ლ ე ქ ს ე ე ვ ი: ჩვენი და საქართველოს თვალსაზრისი ერთმანეთში ისე დიდად განსხვავდება, რომ ისპობა ყოველი შესაძლებლობა განვიხილოთ დანარჩენი საკითხები. რადგან სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა არ გადაწყდა და ერთი-ერთმანეთს აქ არ დავუთმეთ, საჭირო აღარაა შევუდგეთ სავაჭრო-სამრეწველო საკითხების განხილვას. ძალიან სამწუხაროა ეს ჩემთვის, მაგრამ ჩვენ მოლაპარაკებას მე ვთვლი შეწყვეტილად და დაუმთავრებლად.

მე მიმაჩნია, რომ სამართლიანობისა და ზომიერების გრძნობა უნდა იყვეს ყველაფერში და ყველგან. როგორ? თქვენ ჯერ არ გამოგრკვევიათ აფხაზეთის მომავალი მდგომარეობა და მიგაჩვთ ჩვენი, რუსეთის კუთვნილებაა ამიტომ მე ვიცი, რომ თქვენ აქ მომზრვებს ვერ იპოვნით. ჩვენ, როგორც იქნება, ვიცხოვრებთ და განვაგრძობთ ჩვენს მუშაობას, მხოლოდ თქვენ იქნებით დამოკიდებულნი რუსეთის იმ რაიონებიდან, რომელთაც შეუძლიათ მოგცენ თქვენ პური და ბევრი სხვა რამ. გერმანელებს შეუძლიათ მოგცეთ თქვენ ცოტა რამ, ხოლო მუდმივი წყარო თქვენთვის აქ არის. ძალიან მეძნელება ყველა ამის თქმა, მაგრამ ვაცხადებ, რომ რადგან მთავარი საკითხის შესახებ დადებითი გადაწყვეტილება ვერ გამოვიტანეთ, სხდომას დახურულად ვაცხადებთ“[13].

ამგვარად, ეკატერინოდარის საზავო მოლაპარაკება უშედეგოდ დამთხვრდა. საქართველოს წარმომადგენლობა ბოლომდე გულწრფელი პრინციპულობით იბრძოდა. მაგრამ ევგენი გეგეჭკორის მოთხოვნებს მაინც დასაბუთება აკლდა. საბუთები კი საქართველოს ისტორიაში ელაგა, სახელდობრ: სოჭის მხარე, ანუ ისტორიული ჯიქეთი, დიდხანს და დიდი ხნის წინათ, საქართველოს საბატონო ქვეყანა იყო; საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური სივრცე,

„ნიკოფსიით დარუბანდამდის“, სწორედ სოჭა-ჯიქეთის ქართულ წრეწირში ყოფნას გულისხმობდა; აფხაზეთიც ყოველთვის, მთელი ისტორიის მანძილზე, სწორედ საქართველოს ერთერთი პროვინცია იყო, ისე როგორც ქართლი, კახეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო და სვანეთი; რომ — საუკუნეების მანძილზე „აფხაზეთი“ განიხილებოდა და გაიაზრებოდა ვითარცა „საქართველო“, და ა. შ. და ა. შ.

მაგრამ არაფერი ისტორიიდან საბუთად არ მოიმარჯვა კუთხეში ბიმწყვდეულმა გეგეჭკორმა. რა გაეწყობოდა, — მას, როგორც „ჰეშმარიტ მესამედასელს“, საკუთარი ქვეყნის წარსული ისტორია აკი უნდა სძულებოდა და ხსოვნიდანაც ამოერეცხა! დასაშვებია, საერთოდ არც იცნობდა იგი ამ ფაქტებს.

არც იმის აჩემება შეიძლება, რომ რუსი გენერლები საქართველოს ისტორიულ საბუთებს მაინცა და მაინც რაიმე ანგარიშს გაუწევდნენ და ამით გულს დაიჩვილებდნენ. მაგრამ ასეთ დროს ქართველ დიპლომატს მაინც უნდა მოეშველებინა მისი ქვეყნის რეალური ისტორია. ხოლო, მესამედასელმა. ამ „მსოფლიო დემოკრატმა“, საკუთარი „ნაციონალისტური ისტორია“ ვერ (თუ არ) გაიხსენა.

ეკატერინოდარის კონფერენციის შემდეგ მთავარი პოლიტიკური სიტუაცია კავკასიონის უკიდურეს ჩრდილო-დასავლურ კვანძზე, ბუნებრივად, ძალზე არამდგრადი უნდა გამხდარიყო. ჯერჯერობით კი — მაინც ფლობდნენ ქართველები სოჭის ოლქს.

იდგნენ იქ ქართველი გვარდიელები გენერალი კონიაშვილის უფროსობით.

იდგნენ, ჯერჯერობით.

და სანამ ეს „ჯერჯერობით“ დამოკიდებული იყო საქართველოში გერმანელების ყოფნასთან.

კიდევაც გამოეცხადებინა გერმანიის სამხედრო მისიას თბილისში:

„დობროარმიის“ მუქარა საქართველოსთვის საშიში არ გახლავთ, რადგან — უკეთუ გენერალი ალექსეევი შემოტევას გაბედავს, ჩვენც ჩვენს სამოკავშირეო მოვალეობას აღვასრულებთ და უმალვე დავდგებით საქართველოს რეპუბლიკის საზღვართა დასაცავადო[14].

მაშ, ჯერჯერობით...

4. ქართველები და გერმანელები

მაშ, საქართველო დამოუკიდებელი იყო, მავრამ უცხო ძალის შემყურეობას მაინც ვერ გადასჩვეოდა.

თვითონვე წერდნენ მენშევიკები, სრულიად გულწრფელად: „როგორც მეთვრამეტე საუკუნის გასულს ჩვენში მძვინვარებდა ანარქია, ისე ახლაც ანარქია გვახრჩობს ჩვენ. რასაც მაშინ აკეთებდნენ თავადები, იმასვე აკეთებენ ახლა ეგრ. წოდ. ბოლშევიკები, რომლებიც ხან იქ, ხან აქ გვიწყობენ ჩვენ აჯანყებებს. როგორც ასი წლის წინად ჩვენი ხალხი შეურიგდა რუსეთის ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში, ისევე ადვილად შეურიგდება ის ახლაც უცხო ბატონობის გაჯლენას, თუ ეს უკანასკნელი შესძლებს ჩვენში წესრიგის დამყარებას“[15].

ამგვარად, საქართველო შინაგანი წესრიგისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ისევ უცხო ძალის იმედად იყო.

(ოდესღაც ლომი ახლა ისევ მორიგი პატრონის და ბატონის ხელებს თვალშეციცინებულ ძაღლს დამსგავსებოდა).

ის საიმედო და სალუკმაპურო „უცხო ძალა“ და „პატრონი“ ახლა გერმანია იყო.

კიდევ უფრო გულახდილად წერდა მენშევიკთა მთავარი ორგანო — „ერთობა“: „ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ წვრილი ერების ბედი დიდი სახელმწიფოების ხელშია, ამიტომ სრულ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია ...ქართველი ერის პოლიტიკა პირველყოვლისა, მის საკუთარ ძალებზე უნდა იმყარებოდეს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ეს ძალები არ არის საკმარისი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, საჭიროა კიდევ გარეშე ძალა, რომელიც ზურგს გაუმაგრებს საქართველოს დამოუკიდებლობას... ამიერკავკასიაში მიისწრაფიან ოსმალეთის გარდა გერმანია, ინგლისი და რუსეთი. ოსმალეთს ჩვენი მიწასთან გასწორება უნდა, ინგლისი შორს არის, ბოლშევიკური რუსეთი ჩვენზე მოდის მხოლოდ შურისსაძიებლად. მაშასადამე, თავისთავად იხსნება საკითხი ამ სახელმწიფოთა ორიენტაციისა. დარჩა გერმანია“[16]...

და უკვე მოეყვანა გერმანია საქართველოს თავის წიაღში. და ისევ გულახდილად, ვითომ „როგორც წესი“, ცხადდებოდა საჯაროდ, საქვეყნოდ:

„საქართველოს მთავრობა აუწყებს მცხოვრებთ, რომ ტფილის-

ში მოსული გერმანიის ჯარები მოწვეულია თვით საქართველოს მთავრობის მიერ და მიზნად აქვთ დასახული დაიცვან მთავრობასთან სრული შეთანხმებით და მისი მითითებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები"[17].

11 ივლისს თბილისში მთავრობის სასახლის წინ ქართული და გერმანული საომარი ძალების ერთიანი აღლუმიც ჩატარდა, სამივე სახეობის საჯარისო ნაწილებით — ქვეითი, კავალერია და არტილერია. ჯარებს მიესალმნენ და სიტყვებით მიმართეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილმა და გერმანიის კონსულმა გრაფმა შულენბურგმა[18].

ევროპაში გასაღწევ გზებს საუკუნეებით მიელტვოდა საქართველო. უკანასკნელი ასწლეული რუსული ევროპეიზმით იცხოვრა და იარხება ქართლოსიანთა მოდგმამ. ახლა კი უფრო დასავლეთით, ევროპის შუაგულში გაღწევა დაეჩემებინა „მესამედასელთა" მენშევიკურ ფრთას... გერმანიაში გაღწევა...

1918 წლის ივნის-ნოემბერს, — მთელ ნახევარ წელს — ქართველი ელჩები ბერლინში იყვნენ. და ამ დროის მანძილზე ისინი დაესწრნენ გერმანელი ხალხის ორივე უკიდურეს დროებამის ტეხილს — ამაღლებასაც და დაცემასაც.

იმ წლის ზაფხულში გერმანული დროშები შავი ზღვის აუზში ბატონობდნენ და ყიდევაც შეეძლოთ შეეზღუდათ თურქთა ლაგამაწყვეტილი ლტოლვა საქართველოს მთლიანად ჩასანთქავად. გერმანიას საქართველო, მთლიანად მაინც, თურქეთისთვის არ გაეძმეტებოდა, რადგან — რაღა თურქეთი, — როცა საქართველო გერმანიას თავისთვის უნდოდა. ამიტომ, საქართველოზე სრულის მოცულობით მიშვებული თურქეთისთვის გერმანია მართლაც ამლაგშავი ალიკაპი უნდა ყოფილიყო.

ფოთის „დროებითი ხელშეკრულების" ძალით, გერმანია უკვე აწესებდა კონტროლს საქართველოს შუაგამჭოლ მაგისტრალზე, ფოთიდან თბილისამდე. თბილისში გერმანული საელჩო იჯდა გრაფ შულენბურგის მოთავეობით და იდგა გერმანელთა ჯარი, ორი ბატალიონი (1800 კაცი), ბარონ ფონ-კრესის სარდლობით.

ეს იყო დასაწყისი, რასაც უნდა მოჰყოლოდა გერმანია-საქართველოს შემდგომი, რეგულარული და ინტენსიური ურთიერთობანი, პოლიტიკური და ეკონომიური კავშირები. სწორედ ამ მისიით

იყვნენ ბერლინში იმ ზაფხულს ქართველი დესპანნი — ჩხენკელი, ნიკოლაძე, ავალიშვილი.

ქართველები იმედოვნებდნენ, რომ გერმანიასთან მტკიცე და უწყვეტი კავშირი განამტკიცებდა საერთოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წონას და განზომილებას საერთაშორისო ასპარეზზე. ამასთან, მაინცდამაინც რუსეთის ნოსტალგიით გულშეპყრობილ ქართველებს, გერმანიის საშუალებით, საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაც განუწყვეტელ ფიქრად უტრიალებდათ.

მაგრამ ყველაფერი მაინც ომის შედეგებზე იყო დამოკიდებული, — უწინარეს ყოვლისა, რა მონაცემებით გამოვიდოდა გერმანია მსოფლიო ომიდან: გამარჯვებული თუ დამარცხებული, აღზევებული თუ დამცირებული და დაქვეითებული.

ამიტომ, ყველაფრის ვარაუდით და ყველაფრისათვის მზად უნდა ყოფილიყვნენ ქართველი ელჩები.

ზაფხულში ყველაფერი თითქოს საიმედოდ იყო, რადგან გერმანია კვლავ პირველობდა შავ ზღვაზე, კავკასიაზე — ამ ევროპა-აზიის მარყუჟზე.

საქართველოში მდგარი გერმანელებიც, ასე თუ ისე, აქტიურად უჭერდნენ მხარს თურქთა მიმძლავრების წინააღმდეგ ადგილობრივთა სამართლიან რეაქციას.

20 ივნისს ჟორდანია და რამიშვილი შულენბურგთან ჩიოდნენ: „თურქი ხელისუფალნი ბათუმში აპატიმრებენ ყველა გამოჩენილ აჭარელს... ყველა დაპატიმრებულს ემუქრება უსასტიკესი სასჯელი"... და ამიტომ, გერმანელ კონსულს სთხოვენ დაიფაროს თურქთა ხელყოფისგან განწირულნი. ამასთანავე — „საერთოდ, საქართველოს მთავრობა თავის მოვალეობად თვლის, მიაქციოს გერმანიის მთავრობის მაღალი ყურადღება აჭარისადმი, რომლის მცხოვრებლები უკვე ნათლად და გარკვევით ამჟღავნებენ თავის მიდრეკილებას ეთნიკურ ნიადაგზე თვითგამორკვევით ერთეულისადმი"[19].

28 ივნისს კიდევ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ატყობინებდა შულენბურგს: „უკანასკნელ დროს თურქეთის ხელისუფალთაგან აჭარლებზე და მათ ინტელიგენციაზე გაძლიერებული დევნის შედეგად, ბათუმში დაპატიმრებული და თურქეთის სიღრმეში გასაგზავნად უკვე გემზე აყვანილი არიან — მემედ ბეგ აბაშიძე, ჰასან ლორთქიფანიძე ჯავანაძე და ჯემალ ქიქავა.

გთხოვთ, უარს ნუ იტყვით თქვენს თანადგომაზე, რათა მიღე-

ბულ იქნას საჩქარო ზომები აღნიშნულ პირთა გასათავისუფლებლად...“[20]

შემდეგ, ბარონ ფონ-კრესის სახელზე, იმავე 28 ივნისს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სწერდა: „სულ ახლახან მიღებული ცნობით, თურქებმა გადმოსხეს დესანტი ჩვენი მოკავშირის, აფხაზეთის ნაპირებზე, ცხუმის რაიონში. აფხაზეთის ნაციონალური საბჭო სრულის ენერგიით აპროტესტებს ასეთი ფაქტის წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობა უერთებს რა ამას თავის პროტესტსაც, გთხოვთ თქვენ, მიიღოთ თქვენს ხელთ არსებული ყოველი ზომები ასეთი მოვლენების აღსაკვეთად“[21].

კიდევ, 18 ივლისის თარიღით, ისევ გენერალ ბარონ ფონ-კრესს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან: „ზაქათალის ოლქი ისტორიულად და გეოგრაფიულად განუყოფელ კავშირშია საქართველოსთან. მისი ნაწილი დასახლებულია ქართული ტომით — ინგილოებით. ამ ოლქში, ჩვენს ხელთ არსებული ცნობების ძიხედვით, შეიდნენ თურქი ემისრები და აწარმოებენ ძლიერ აგიტაციას და აქეზებენ მშვიდობიანი ქრისტიანული მოსახლეობის წინააღმდეგ ადგილობრივ თათრებს და მთიელ-მუსლიმანებს, რომლებიც აწარმოებენ თავდასხმებს ადგილობრივ მცხოვრებ ინგილოებზე.

ვაცნობებთ რა აწგანხილულს თქვენს უმაღლესობას, გთხოვთ გამოიყენოთ მთელი თქვენი გავლენა თურქეთის წარმომადგენლებზე ზაქათალის ოლქიდან თურქი ემისრების გამოყვანისათვის, რათა შეწყდეს ნორმალური ცხოვრების დამარღვეველი აგიტაცია“[22].

გერმანელებმაც მიიღეს „სათანადო ზომები“ თურქთა ასალაგმად, მაგრამ თურქთა მხრიდანაც „სათანადო უკანდახევის“ შემდეგ, კვლავ გრძელდებოდა აჭარელ ქართველთ დევნა აჭარაში, თურქულ დესანტთა ჩამოსხმა აფხაზეთში, ინგილოების „დამუშავება“ საინგილოში...

ამასობაში, ბერლინში ქართველ ელჩებს შეხვედრები ჰქონდათ გერმანელ დიპლომატებთან, მრჩევლებთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს წამყვან ჩინოსნებთან — ფონ-როზენბერგთან, დოქტორ ჰეპერტთან, დოქტორ სიმონსთან, იურიდიული დეპარტამენტის დირექტორ კრიგესთან, სამეურნეო საქმეთა გამგებელ შტეინთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ფონ-კიულმანთან. თვით იმპერატორ ვილჰელმსაც მიაწვდინეს ხმა, ფონ-ლოსსოვის წვევით და აუდიენ-

ციით. ისევ გაიხსენა იმპერატორმა პეტერბურგის კარზე ყრმობის-დროინდელი ხილვა „გეორგიანელი დედოფლისა“...

თანდათან ყალიბდებოდა გერმანია-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების სტატუსი. ეს ურთიერთობა უნდა განსაზღვრულიყო მეტი სიმტკიცით და ერთიანობით, ვიდრე ჩვეულებრივი „კავშირი“. სიმონსი იმასაც ამბობდა, — გეოგრაფიული სიშორე რომ ხელს არ გვიშლიდეს, საქართველოს პირდაპირ გერმანიის ფედერაციაში შევიყვანდითო![23] ქართველი დიპლომატებიც ჩაეჭიდნენ ამ „გეოგრაფიულ უხერხულობას“ და გერმანიისგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობასაც „საკმარისად“ მიიჩნევდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის პოლიტიკური ფორმითაც დაინტერესდნენ გერმანელები. მონარქიის აღდგენაზე რა აზრისა ბრძანდებითო, — კითხულობდნენ ისინი. — არა, საქართველოში ახლა გარკვევით და გადაწყვეტილად რესპუბლიკური განწყობილება სჭარბობსო, — პასუხობდნენ ქართველები. — კეთილი, რესპუბლიკა ბრძანდებოდეთო, ეგ ხომ ყველაფერი თქვენი შინაური საქმეაო, — კვერს უკრავდნენ გერმანელები.

და, ვიდრე ასე „საამური დიალოგები“ გერმანიის სატახტოში, მაგრამ ყველაფერი ჯერ ისევ ზოგადი იყო და არა კონკრეტული. ბოლოს ავალიშვილმა ჰკითხა დოქტორ სიმონსს: „როგორ გეხატებათ თქვენ, მომავალში, გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში?“

„ფორმით ეს იქნება ჩვეულებრივი დიპლომატიური წარმომადგენელი; არსებითად კი, შესაძლოა იგი დაახლოებით ჰგავდეს ინგლისის რეზიდენტს დამოუკიდებელი ინდოეთის სახელმწიფოში. იგულისხმება, მე მხედველობაში მაქვს იურიდიული სქემა და არა საქმის ყოფითი ანუ სოციალურ-პოლიტიკური მხარე...“ სთქვა გერმანელმა და თითქოს უხერხულობა იგრძნოო, უმალვე გადააბა:

„და მე ვიცი, რომ ქართველები ინდუსები არ არიან“[24].

ეს ვითომ ბოდიშის მოხდა იყო, რადგან ინგლისის რეზიდენტის პოლიტიკური პროფილი ინდოეთში საკმაოდ საგრძნობ კოლონიზატორულ პროფილად ჩანდა იმდროინდელ მსოფლიოში.

ქართველები რომ ინდოელები არ იყვნენ, ეს მართლაც კარგად იცოდნენ გერმანელებმა, — თუ ისტორიით არა, იმ ახლად წარდგენილი მემორანდუმით მაინც, რომელიც სწორედ ქართველთა ვინაობას, წარსულს, აწმყოს და სამომავლო მისწრაფებებს აცნობ-

და მკითხველს და მოინტერესეს, მაგრამ ეტყობოდა, მაინცდამაინც დიდ დათმობებს არ აპირებდნენ გერმანიის მესვეურები ამ „განსაკუთრებული“, თუ „გამორჩეული“ ქართველებისთვის.

ქართველებმა კი მეორე მემორანდუმი წარუდგინეს გერმანიის მთავრობას. ახლა ისინი უფრო გარკვევით და მტკიცედ ითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. გერმანელი დიპლომატები ისევ ფეხს ითრევდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, მათის აზრით, რუსეთისადმი ახალ მტრულ აქტად ჩაეთვლებოდათ. ბევრ მათგანს საქართველო ჯერ ისევ რუსეთის ნაწილად მიაჩნდა და მათი აზრით გერმანიის მთავრობას ჯერ მოსკოვის მთავრობისგან უნდა მიეღო თანხმობა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა!

ეს კი არც ისე ადვილი მისაღწევი იყო, რადგან რუსი ბოლშევიკები, და განსაკუთრებით სტალინი, არ ურიგდებოდნენ რუსეთისაგან ამიერკავკასიის განკვეთას. სტალინი სწერდა შაუმიანს: ჩვენ გერმანელები უნდა ვაიძულოთ, რათა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საქმეები რუსეთის შინაგან საქმეებად იცნონ და მათ გადაწყვეტაში გერმანელები არ მონაწილეობდნენო; ამიტომ, ჩვენ არ ვცნობთ საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელიც აშკარად გერმანიისგან არის ნაკარნახევიო[25].

და, ბოლოს და ბოლოს, 1918 წლის 27 აგვისტოს, ბერლინში, გერმანელმა და რუსმა დიპლომატებმა (გერმანიის მხრივ — ფონ გინცე და დოქტორი კრიგე, საბჭოთა რუსეთიდან — იოფფე) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მე-13 მუხლში ეწერა:

„რუსეთი თანახმაა, გერმანიამ სცნოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად“[26].

ეს უეჭველად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ახლა უკვე შესაძლებელი ხდებოდა გერმანიას საქართველო ეცნო არა მხოლოდ ფაქტობრივად, — რაიც მას გამოცხადებულიც ჰქონდა თავიდანვე — არამედ ფორმალურადაც.

სექტემბერში უკვე შედგენილი იყო პროექტიც, გერმანია-საქართველოს ხელშეკრულების საბოლოო, დასრულებული პროექტი, რომლითაც ცხადდებოდა: ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა, გერმანია-საქართველოს მშვიდობიანი და მეგობრული თანაცხოვრება, დიპლომატიური და საკონსულო გაცვლა, სამეურნეო და სავაჭრო ურთიერთობანი, საქართველოს ტერიტორიაზე

მცხოვრებ გერმანელ კოლონისტთა უფლებების დაცვა და მათზე ზრუნვა.

მაშ, უკვე იყო ფაქტიც და იყო ფორმაც საქართველოს დამოუკიდებლობის „მსოფლიო კატეგორიით“ აღიარებისა. მაგრამ უეცრად მოხდა ის, რასაც არც ქართველები და არც თვითონ გერმანელები არ მოელოდნენ. ეს იყო კატასტროფა, — კატასტროფა თვითონ გერმანიის იმპერიისა. მარცხი მსოფლიო ომში და რევოლუცია შიგნითვე გერმანიაში.

გერმანიას საქართველოსთვის აღარ სცხელოდა.

1918 წლის ნოემბერში, საქართველოში ყოფნის ნახევარი წლის თავზე, გერმანული პოლკები უკვე ტოვებდნენ ამ „აღთქმულ“ და „მრავლის აღმთქმელ“ ქვეყანას.

მიდიოდნენ და საგზლად მიჰქონდათ ნოე ჟორდანიას გამოსათხოვარი სიტყვა: აქამდე იმპერიალისტური გერმანიის ჯარი იყავით და მაინც როგორ გვიყვარდით ჩვენ, ახლა რევოლუციურ-დემოკრატიული გერმანიის დამცველები იქნებით და მით უფრო შეგვიყვარდებითო. ძალიან გვსურს საქართველოს დემოკრატიასთან გატარებული დღეები არ დაგავიწყდეთო. ჩვენი დემოკრატია კი გერმანიის დემოკრატიის გზით სიარულს არ დაივიწყებსო...[27]

და დროზედ რომ არ შეეწყვიტა, ალბათ, იმ დღეში ჩავარდნა კვლავ არ ასცდებოდა, რა დღეშიც მაშინ, პლეხანოვის პანაშვიდზე ჩავარდა...

გერმანელები უკვე წასულიყვნენ.

ხაქართველო ისევ მარტო, „ობლად“ დარჩენილიყო, — ობლად, უცხო პატრონის (ბატონი არ წამოგვცდეს!) გარეშე.

მერე, შეეძლო ასე ობლად, უპატრონოდ (უბატონოდ არ წამოგვცდეს!) გარეშე?!

არა, არ შესძლებია.

და, რა ვუყოთ, რომ გერმანელები წავიდნენ.

ახლა დროის გმირები არიან ინგლისელები.

და, რატომ არ შეიძლება, რომ მოვიწვიოთ ინგლისელები, — მით უფრო, რომ ინგლისელებსაც, თურმე, ძალიან მოსწონთ საქართველო, ძალიან...

6. საკუთარ სამოქალაქო ომში

მაგრამ სანამ ინგლისელების „მოწვევისა“ და გერმანელების „გაწვევის“ საკმენი დაისმებოდა და გადაწყდებოდა, მანამდე, 1918 წლის ზაფხულში, საქართველოს შიგნით დიდი სოციალური ბრძოლები გაჩაღებულიყო.

გლეხთა მოძრაობა დაწყებულიყო დუშეთის მაზრაში, სადაც მთავრობის ჯარს ფრონტიდან დაბრუნებული ვეტერანი გლეხებისათვის იარაღის ჩამორთმევა დაეპირებინა. განაიარაღეს ბაზალეთი, განაიარაღეს მისაქციელი, ხოლო სოფელ წილკანში მთავრობის ჯარი ერთბაშად სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. წილკნელებმა სანგრები გათხარეს, ჩასაფრდნენ, საომრად გაემზადნენ და ასაჯანყებლად დუშეთის მაზრის დანარჩენ სოფლებსაც მოუწოდეს.

პირველი შეტაკებაც წილკნელებმა მოიგეს, მთავრობის ჯარიდან რამდენიმე კაცი მოკლეს და დაჭრეს, ორი ტყვიამფრქვევი და ორასამდე თოფი ნადავლად აიღეს. მცხეთის სადგურზე მდგარი მთავრობის ჯარიდანაც ბევრი თვითონ გადავიდა აჯანყებული გლეხების მხარეზე.

წილკნელებს გორის მაზრისა და ქსნის ხეობის გლეხებიც ჩამოეშველნენ და 19 ივნისს, აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს დუშეთი. შეიქმნა დუშეთის მაზრის აჯანყებული გლეხობის ბოლშევიკური სამხედრო-რევოლუციური შტაბი, რომელმაც სასწრაფოდ დაიწყო აჯანყების განვრცობა და გაფართოება მაზრის დანარჩენ სოფლებზე. 21—22 ივნისს აჯანყებულები დაეუფლნენ ქსნისა და მცხეთის სადგურებს, დაიჭირეს ბებრის ციხეც.

პარალელურად გლეხთა აჯანყებები დაწყებულიყო თიანეთში, მანგლისში, აბასთუმანში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, საჩხერეში, ოკრიბაში.

25 ივნისს ბოლშევიკებმა დუშეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩიეს, თედო შუშიაშვილის თავმჯდომარეობით.

აჯანყებულები დარიალის ხეობაშიც გამაგრდნენ და თერგის ოლქის საბჭოთა ხელისუფლებასთან კავშირი შეკრეს.

იმავე ჟამს კავკავში მოჰკლეს თერგის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ცნობილი ბოლშევიკი, ნოე (სამუელ) ბუაჩიძე, რომელიც კავკავიდან ჩამოასვენეს და დაკრძა-

ლეს თავის მშობლიურ სოფელ ფარცხნალში, შორაპნის მაზრაში.

საშა გეგეჭკორი კი ამ დროს რაჭაში შესულიყო და ზედიზედ დაეპირა ამბროლაური და ონი. რაჭიდან მამისონი გადალახეს ბოლშევიკებმა და კავკავში ჩავიდნენ. იქედან საშა გეგეჭკორს განზრახული ჰქონდა დახმარებოდა არაგვის ხეობაში გაჩალებულ ბოლშევიკურ აჯანყებას.

მაგრამ ვალიკო ჯუღელსაც უკვე დაეძრა „უგუნური წითელი ანარქისტების“ წინააღმდეგ თავისი „შეგნებული წითელი გვარდია“. 28 ივნისს ბებრის ციხიდან განდევნეს მეამბოხენი. ამის შემდეგ არაგვისა და ქსნის ხეობებს შეუსია ჯარი ჯუღელმა, რათა „დაუნდობლად იბრძოლონ რევოლუციის გადასარჩენად“[28].

2 ივლისს ნატახტარი დატოვეს აჯანყებულებმა.

იმავე დღეს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თავის „წითელ გვარდიას“ სახელი გამოუცვალა და „წითელის“ ნაცვლად „სახალხო“ დაარქვა.

და, კიდევ, იმავე 2 ივლისს, იგივე ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა მთავრობისაგან წარდგენილი კანონპროექტი სიკვდილით დასჯისა.

3—5 ივლისს, ბრძოლები დუშეთისათვის მთავრობის ჯარების სასარგებლოდ გათავდა. აჯანყებულებმა დუშეთი დათმეს და ქინვალისა და ანანურისაკენ დაიხიეს. გვარდიელებიც მიჰყვნენ და ქინვალ-ანანურიც წაართვეს მეამბოხეებს.

ბრძოლამ ფასანაურში გადაინაცვლა. აქ კავკავიდან გადმოსული ბოლშევიკური ჯარი ჩამოუშველა აჯანყებულებს. მაგრამ ბრძოლა მაინც წააგეს, ფასანაური გვარდიას შეატოვეს და თვითონ მლეთისკენ დაიხიეს.

11 ივლისს გვარდიელებმა მლეთაც აიღეს. ბრძოლამ ხევში გადაინაცვლა. აქ აჯანყებულებს კავკავიდან საშა გეგეჭკორი ჩამოეშველა თავისი „სოციალისტური წითელი არმიით“.

სასტიკი ბრძოლები გაიმართა კობში და სტეფანწმინდაში. გვარდიელებმა ისევ გაიმარჯვეს, ხევი მთლიანად დაიჭირეს. ხელთ იგდეს ორი ზარბაზანი, ტყვიამფრქვეველნი და მრავლად თოფ-იარაღი. ტყვედ აიყვანეს 200-მდე მოჯანყე (თითქმის მთლიანად მეგრელები და ლეჩხუმლები), მათ შორის ბოლშევიკი მეთაურები — მძიმედ დაჭრილი თომა ჩუბინიძე და სოხუმელი მიშა გეგეჭკორი.

საშა გეგეჭკორი კი, გადარჩენილი თანამებრძოლებით ვლადიკავკავს გაბრუნდა. მისი ცხენი მტერს დარჩენოდა და ახლა ზედ ვალიკო ჯუღელი ამხედრებულიყო, „რევოლუციის მძიმე ჯვრის“ ზიდვით დაღლილი...[29]

მალე ამის შემდეგ, თვითონ საშა გეგეჭკორი მძიმედ დაიჭრა ჩრდილო კავკასიაში თეთრგვარდიელებთან შეტაკებისას. საჭირო გახდა მარჯვენა ფეხის მოკვეთა. მოკვეთილი ფეხი მისმა თანამებრძოლებმა სამეგრელოში „გადმოასვენეს“ და საშას მშობლიურ სოფელ ნაოლალეგში დაკრძალეს...

ხოლო, სტეფანწმინდაში, მენშევიკური სამხედრო-საველე სასამართლოს დადგენილებით, ტყვედაყვანილ ბოლშევიკთაგან დახვრიტეს 30 კაცი, მათ შორის თომა ჩუბინიძე და მიშა გეგეჭკორი.

მენშევიკები უკვე „მათი ძმების“ (როგორც ჟორდანია იტყოდა) — ბოლშევიკების სისასტიკით მოქმედებდნენ.

საქართველოს მთავრობას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საგანგებო დეპარტამენტი დაეარსებინა — „შინაგან ანარქიასთან საბრძოლველად“[30] (წინამორბედი შემდგომდროინდელი „სუკ“-ისა).

შემოიღეს სიკვდილით დასჯა.

ბევრი იბრძოლეს პარლამენტის სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატებმა, მაგრამ სოციალ-დემოკრატებს ისევ თავისი გაჰქონდათ.

რეზო გაბაშვილი მიმართავდა სოციალ-დემოკრატებს: — თქვენ, რევოლუციონერები, რომლებიც ათწლობით თავგანწირვით იბრძოდით სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, ეხლა თვითონ აპირებთ აღდგენას?.. ეს სამარცხვინო და უაზრო საქციელი იქნება დემოკრატიული საქართველოსთვისო. მით უფრო, რომ სიკვდილით დასჯიან კაცს რკინისგზაზე „გაიკის“ მოხსნისთვის. მერე პატიმრად აყვანილს ვითომ რომ გააქცევენ და ზურგიდან სროლით რომ წააქცევენო. ამიტომ, ჩვენ სიკვდილით დახჯას ხმას არ მივცემთო, — გაიძახდა ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერი.

ცოფს ჰყრიდნენ პირიდან სოციალ-დემოკრატთა ორატორები — არსენიძე და კაკი წერეთელი. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება შეშოლება სიკვდილისა — ამ „რევოლუციის ბასრი ხმლისა“, — ყვიროდა წერეთელი. თქვენ კი — ეუბნებოდა გაბაშვილს — იმიტომ ხართ წინააღმდეგი, სიკვდილით დასჯის კანონი თქვენს წინააღმდეგ იქნება მომართული და იმისა გეშინიათო.

არ შეარჩინა გაბაშვილმა და დარბაზიდან შეუღრინა წერეთელს:

„რა თქვენი საქმეა საქართველოს პარლამენტის კანონებზე ლაპარაკი, ეგ თქვენი მგლის კბილები იქ, რუსეთში უნდა გამოჩენათო“...

მაკრამ ამაოდ.

სოციალ-დემოკრატებმა თავისი მუდმივად რიცხობრივი უპირატესობით სიკვდილის კანონი ძალაში შეიყვანეს[31].

...დუშეთის მაზრის აჯანყების ჩახშობის პარალელურად, მენშევიკურ მთავრობას ბრძოლა უხდებოდა საქართველოს ლამის ყოველ კუთხეში ატეხილ ბოლშევიკურ აჯანყებასთან.

საკუთარ სამოქალაქო ომში, ჯერჯერობით, ბრძოლის სასწორი მენშევიკთა უპირატესობით იხრებოდა.

6. ქართველები და ინგლისელები

ხოლო, ინგლისელები, მსოფლიო ომში გამარჯვებული „ანტანტელები“, მსოფლიო კანონმდებლობათა მოკარნახენი, სულ ახლოს მოსულიყვნენ საქართველოსთან. ისინი ირანში იდგნენ და თითქმის თვითმხილველნიც იყვნენ ამიერკავკასიაში მიმდინარე ყოველდღიური ქარიშხლიანი მოვლენებისა.

1918 წლის 31 ივლისს ინგლისელები ბაქოში შევიდნენ და ადგილობრივ მუსავატელთა, დაშნაკთა და ესერთა ხელშეწყობით, საბჭოთა ხელისუფლება დაამხეს. ბოლშევიკური კომუნის მეთაურები, სულ 26 კომისარი, კასპიის გადაღმა უდაბნოში გადაიყვანეს და დახვრიტეს.

(რაღაც, ფრიად საეჭვო „მი-მო-ქცევებით“, დახვრეტისგან თავი დაიძვრინა 27-ე კომისარმა — ანასტას მიქოიანმა).

დახვრეტილთა შორის ორი ქართველი იყო — ალიოშა ჯაფარიძე და ივანე ნიკოლაიშვილი...

...საქართველოს მენშევიკური მთავრობის პირველი შეხვედრა კი, ინგლისელებთან, მოხდა სექტემბრის ბოლოს, ჯერ კიდევ აქვე გერმანელების ყოფნის დროს. ეს იყო შეხვედრა ინგლისელ ტყვეებთან, რომლებიც თურქ ასკერებს შემოეყვანათ საქართველოში, ქართველებმა საერთაშორისო სამართალი მოიმარჯვეს და ახმაურ-

დნენ: როგორ თუ ჩვენთან, ნეიტრალურ სახელმწიფოს მიწაზე, უცხოელი სამხედრო ტყვეები აღმოჩნდნენო. სასწრაფოდ, 24 სექტემბერს, მოწვეული იქნა ნაციონალური კრება, სადაც თავისი ციცერონული რიტორობით გამოვიდა კაჟი წერეთელი:

„მოქალაქენო! ჩვენმა ფრაქციამ მიიღო ცნობები იმის შესახებ, რომ ტფილისში მოვიდნენ თურქი ასკერები და თან მოიყვანეს ინგლისელი ტყვეები. ამ გარემოებამ არ შეიძლება არ აღაშფოთოს ყოველი ადამიანი, ვინც კი საერთაშორისო სამართალს იცნობს. ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასეთ რაიმეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. არსად ნეიტრალურ სახელმწიფოში ეს არა ხდება. თურქეთთან ჩვენ დადებული გვაქვს ხელშეკრულება, რასაც სინდისიერად ვასრულებთ კიდეც. ამ ხელშეკრულების თანახმად თურქეთს ჩვენი მთავრობის თანხმობით და ნებართვით უფლება აქვს გადაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზებზე და — მხოლოდ ეს. მაგრამ, რომ თურქ ასკერებს აქ მოჰყავდეთ ტყვე ინგლისელები, ეს ხელშეკრულებაში საერთოდ არ გაბლავთ. ჩვენმა მთავრობამ ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რომ მომავალში ასეთ ფაქტებს ადგილი აღარ ჰქონდეს. პარლამენტმა უნდა იცოდეს, რა ზომებს ღებულობს და მიიღებს მთავრობა ამ ფაქტის გამოსარკვევად. ჩვენ უნდა დავიცვათ ნამდვილი ნეიტრალიტეტი და არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო ნეიტრალურია, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ყველა მისიებს ხსენებული ფაქტის შესახებ. ვიმედოვნებ, რომ მთავრობა მოგვცემს ჩვენ აქ ხსენებული საკითხის შესახებ ისეთ ცნობებს, რაც ყველას დააკმაყოფილებს. პარლამენტი შესდგება სხვადასხვა ჯგუფებისაგან, მაგრამ ხსენებული საკითხის შესახებ არ შეიძლება იყოს ორი აზრი. ჩვენ ყველანი უნდა შევერთდეთ ამ საკითხში, უკეთუ ვაფასებთ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობას (მქუხარე ტაში ყველა სკამებზე)“[32].

წერეთლის საპასუხოდ და საერთოდ საკითხის სარკვევად პარლამენტს მიმართა თვითონ მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ: როცა მე მითხრეს, რომ თურქმა ასკერებმა თბილისში ინგლისელი ტყვეები შემოიყვანესო, სასწრაფოდ გარნიზონის უფროსი გავგზავნე ფაქტის დასადგენად. იგი მივიდა თურქეთის მისიაში, თურქებმაც ფაქტი ფაქტად ცნეს და განაცხადეს, ინგლისელ ტყვეთა შემოყვანა მოხდა შემთხვევით და ამისთვის ბოდიშსაც იხდიან.

მაგრამ ჩვენ მაინც ვაცხადებთ, რომ თურქეთის მისია მაინც მოიქცა საერთაშორისო სამართლის დარღვევით, რაკიღა მან ინგლისელი ტყვეები, სულ 7 კაცი, ამდენ ხანს იყოლია მალულად, ჩვენს შეუტყობინებლად. არცერთ მისიას არა აქვს უფლება უჩვენოდ ჩვენს მიწაზე ტყვეთა აყვანისა და ყოლისა. ჩვენ ბრალი უნდა დავდოთ იმათაც, ვისაც ჩვენი საზღვრების დაცვა ევალება, ვისაც არ უნდა შემოეშვა ასკერები ინგლისელი ტყვეებით. ახლა ჩვენ შევადგენთ აქტს, დავკითხავთ თვითონ ტყვეებს, და „მივიღებთ ზომებს, რათა ამიერიდან ასეთ შემთხვევებს ადგილი აღარ ექნეს. ჩვენ **არავის არ მივცემთ უფლებას ხელი შემართოს** ჩვენს სუვერენიტეტზე და ჩვენს დამოუკიდებლობაზე“, — დაასრულა ჟორდანიამ, მქუხარე ტაშის ქვეშ[33].

საქართველოს მთავრობის ბრძანებით, შეიპყრეს თურქი ოფიცერი, რომლის მეთაურობითაც ტყვეები უნდა ჩაეყვანათ განჯაში. ამასთან, მაშინვე, პროტესტები დაეგზავნათ თურქეთისა და მისი მოკავშირის, გერმანიის მისიებს. გამოირკვა, რომ ტყვეების იღუმალ შემოყვანაში წილი ჰქონოდა სწორედ გერმანიის წარმომადგენელსაც — გენერალ ფონ-კრესს. ამიტომ ფონ-კრესსი განსაკუთრებულად იხდიდა ბოდიშს, საქართველოს მთავრობის შეუტყობინებლად რომ მოხდა ტყვეების შემოყვანა; თუმცა ამის უფლება, რკინიგზით სარგებლობასთან ერთად, თურქეთს ბათუმის ხელშეკრულებით გააჩნიაო.

ამაზედაც მაშინვე უპასუხა ჟორდანიამ: პირიქით, სწორედ ბათუმის ხელშეკრულებას არღვევს ასეთი მოქმედებაო, რადგან ბათუმის ხელშეკრულებით თურქეთს უფლება აქვს საქართველოს რკინიგზაზე ტრანზიტი აწარმოოს და არა სამხედრო ტყვეების ტარება, როცა ეს ტყვეები მათ რკინიგზიდან ჩამოიყვანეს, თბილისის ქუჩებში ატარეს, სასტუმროებში აცხოვრეს და სხვ. ახლა თქვენსა და თურქეთის ბოდიშებს ვიკმარებთ; განსაკუთრებით ჩვენ ვთმობთ თქვენს გამო, რაკიღა „ჩვენს ინტერესებს სრულებითაც არ შეადგენს გერმანიის პრესტიჟის დამცირება კავკასიაში“[34].

მეორეჯერ თავის გამოდება ინგლისელებისთვის და მათთან ფრანგებისთვის, ქართველებს ისევ შემთხვევამ არგუნა, ოქტომბრის თვეში.

ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ ვლადიკავკაზში, ადგილობრივ ხელისუფლებას შინაური პატიმრობაში აეყვანა ინგლისის მთელი

სამხედრო მისია და მასთან საფრანგეთის ვიცე-კონსული, ჰულ ოლი კაცი. ამისთვის თავი გამოედო ირანის კონსულს, რომელსაც საერთოდ ჰქონდა დაკისრებული საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ინტერესების დაცვა კავკასიის ზონაში. იგი ჩავიდა ელადიკავკაზში და ადგილობრივი ხელისუფლება დაითანხმა კიდეც ტყვეების გათავისუფლებაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ სასწრაფოდ დატოვებენ ისინი თურქის ოლქს. და, ვინაიდან ძნელი ხდება ჩრდილო კავკასიიდან ტყვე ევროპელების გადაყვანა ირანში და იქიდან სამშობლოში გაშვება — ირანის ელჩი საქართველოს მთავრობას სთხოვს ინგლის-საფრანგეთის ეს ახლადდახსნილი, მაგრამ კვლავ საფრთხის ქვეშ მყოფი დიპლომატიური კორპუსები დაშვებული და დაბინავებული იქნან თბილისში, როგორც ნეიტრალური სახელმწიფოს დედაქალაქში.

მეორე დღესვე (24 ოქტომბერს), გამოქვეყნდა საგარეო საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის წერილი, რომელიც აცხადებდა, რომ საქართველოს მთავრობა თანახმაა მიიღოს საფრანგეთის ვიცე-კონსულიც, ინგლისის სამხედრო მისიაც და, მასთან, იკისროს მათი პირადი სიცოცხლისა და ქონების უშიშროებაც[35].

ეს საქმეც საქმედ აღსრულდა. სიკვდილს გამოტაცებულმა „ანტანტელებმა“ თავი საქართველოს შეაფარეს.

11 ნოემბრიდან კი, — იმ დღიდან, რაც გერმანიამ თავი დამარცხებულად სცნო — გამარჯვებული მოკავშირენი, როგორც მოსაღონელი იყო, უკვე სრული სითამამით იქცეოდნენ კავკასიაში.

მათ სავსებით ბუნებრივად მიაჩნდათ, დამარცხებული გერმანიისა და თურქეთის ჯარების ევაკუაციის კვალდაკვალ, საქართველოში უნდა შესულიყვნენ ანტანტის ჯარები. ინგლისის მისიის თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა ჯორდანმა კიდევაც მისწერა ამის შესახებ ჟორდანიას მთავრობას.

საქართველოს მესვეურებმა ვითომ წინააღმდეგობა (სავით) სცადეს და საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორის ხელმოწერით, ჯორდანს ასეთი დეპეშა გაუგზავნეს:

„თქვენო უმაღლესობავ! საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება თქვენი მთავრობის წინადადების შესახებ, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1) საქართველოს მთავრობა საჭიროდ არ თვლის შემოუშვას

საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელთა ჯარები წესრიგის დასამყარებლად, რადგან საამისოდ მთავრობას თვითონ გააჩნია საკმარისი ძალა.

2) თუ ამ ჯარების შემოყვანას სხვა რაიმე მიზანი აქვს, მაშინ საქართველოს მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ ასეთი რამ არ უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

3) მოკავშირეთა ძალებს, შემოყვანილთ მე-2 პუნქტის თანახმად, არავითარ შემთხვევაში ნება არა აქვთ ჩაერიონ საქართველოს შინაურ საქმეებში.

4) თუ შემოყვანილ ჯარებს რაიმე საჭიროება გაუჩნდებათ ჩვენი დახმარების, მათი დაკმაყოფილება უნდა მოხდეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის საშუალებით"[36].

მაშინვე ჯორდანმაც დეპეშით უპასუხა, რომ მოკავშირეები საქართველოს შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან, და მასთანვე, ითხოვა დასაბინავებელი ადგილები: შტაბისა, ერთი ქვეითი ბრიგადისა, ერთი საარტილერიო ბრიგადისა და 1800 ცხენისათვის.

საქართველოს მთავრობამ შეასრულა ეს მოთხოვნა და ინგლისელები საქართველოში შემოვიდნენ[37].

პარალელურად ამ ამბებისა, ბათუმში ამერიკელების მისია მოსულიყო, პროფესორ ვებსტერის მეთაურობით, რომელსაც საქართველოს მთავრობის წარმომადგენელ დიომიდე თოფურიძესთან ასეთი დამახასიათებელი დიალოგი ჰქონდა:

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: როცა ჩვენ ვიყავით თბილისში, მაშინ იქ დიდი დღესასწაული იყო, ყველგან ფრიალებდა წითელი დროშები, ჯარისკაცების თოფებზედაც კი; შემდეგ ქალაქში შესდგა ჯარების პარადი. რატომ გაქვთ თქვენ ყველგან წითელი დროშები და არა ნაციონალური?

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: ამ დღეს სახალხო გვარდიის დღესასწაული იყო. სახალხო გვარდია ამ ერთი წლის წინად ერთადერთი ძალა იყო, რომელმაც იხსნა საქართველო დანგრევისაგან, რაიც მას მოელოდა ფრონტზე ბოლშევიკურად განწყობილი რუსის ჯარებისაგან. სახალხო გვარდია შეიქმნა რევოლუციონურ პერიოდში, კონტრრევოლუციონერებისა და ანარქიის წინააღმდეგ მებრძოლად და დემოკრატიული წესრიგის განსამტკიცებლად, ამიტომ ამ დღესასწაულს აქვს რევოლუციონური ორგანიზაციის პატივისცემის ხასიათი. ამიტომ იყო მხოლოდ წითელი დროშები.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი ნაციონალური დროშა, რაც წარმოადგენს ნაციის ემბლემას. წითელი დროშა არის რევოლუციის და სოციალიზმის ემბლემა; შეიძლება თქვენ გაქვთ მისწრაფება განაგრძოთ რევოლუცია, მიისწრაფით ახალი სოციალური რევოლუციისაკენ, — ეს ხომ იგივე ბოლშევიზმია, თქვენ კი იცით, რომ მოკავშირეებს სურთ დაამყარონ ზავი და ნორმალური წესრიგი.

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: რევოლუცია ჩვენში გათავდა, ახლა მიმდინარეობს შემოქმედებითი მუშაობა. ჩვენ სრულიად შორსა ვართ სოციალური ექსპერიმენტებისაგან. რაც შეეხება იმას, რომ ტფილისში თქვენ იხილეთ წითელი დროშები, ეს აიხსნება იმით, რომ იმ დღეს იყო სახალხო გვარდიის დღესასწაული, გვარდია მოეწყო რევოლუციის დასაწყისში და მას მიზნად აქვს ბრძოლა ნიკოლოზ მეფის რეჟიმთან, მონარქიზმთან და იმ წესრიგის დამყარება, რაც არსებობს ჩვენში და დემოკრატიულ ქვეყნებში. სახალხო გვარდიასთან ერთად ჩვენ გვყავს რეგულარული ლაშქარი, რომელსაც აქვს ნაციონალური დროშა.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: მართალია, რომ თქვენი მთავრობა სოციალისტურია?

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: არა. რა თქმა უნდა, მთავრობაში ისე როგორც სხვა ქვეყნებში, შედიან უმთავრესი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. მინისტრთა კაბინეტი, როგორც ასეთი, სოციალისტური არ არის. მაგრამ მთავრობაში შედიან სოციალისტებიც.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: თუ საქართველოს მთავრობა არასოციალისტურია და არა დგას წმინდა სოციალისტურ პლატფორმაზე, როგორ შეიძლება აეხსნათ ფაქტი წერილის გაგზავნისა მთავრობის სახელით ინტერნაციონალის სახელზე?

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: წერილი გაგზავნილია არა მთავრობის, არამედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელთაგან; წერილი ხელმოწერილია სოციალისტების მიერ, რომლებიც მთავრობის შემადგენლობაში შედიან, მაგრამ ამ პირებმა ხელი მოაწერეს როგორც მთავრობის წევრებმა და არა კაბინეტის წევრებმა, რაც წარმოადგენს ჩვეულებრივ მოვლენას ევროპაში. პარტიის წევრები მთავრობაში არ ანებებენ თავს თავის პარტიის წევრობას.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: რა მდგომარეობაშია თქვენი აგრარული სა-

კითხი? მართალია, რომ გადაწყვეტილია ყველას ჩამოართვათ საკუთარი მიწები?

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: არა. მდგომარეობა ასეთია: რევოლუციის დროს გლეხებმა ძალათ დაისაკუთრეს სხვისი მიწები; რათა შეწყვეტილიყო თვითნებურად მიწების წართმევა და ძალადობა, სახელმწიფო, ისე როგორც რუსეთში, იძულებული შეიქნა თავს ედვა საკითხის გადაჭრა და, აკრძალა რა თვითნებურად მიწების წართმევა, განსაზღვრა მიწის მფლობელობის ნორმა და შეუდგა ყველა დასაშუშავებლად ვარგისი მიწების დამუშავებას. მთელს საქართველოს ტერიტორიაზე ამ პირობებში მთავრობამ მიიღო თავის განკარგულებაში 220 000 დესეტინა მიწა, რაც განზრახულია გაყიდულ იქნას საკუთრებად მიწათმოქმედ პირებზე. კერძო საკუთრების პრინციპი ჩვენში დაცულია.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: რამდენი ჯარი გყავთ?

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: განზრახულია, მშვიდობიანობის დროს, 30 000; ჯერჯერობით კი გაწვრთნილია 20 000. ომის დროს შესაძლებელია 200 000 გამოყვანა.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: რამდენია სახალხო გვარდიაში?

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: სამი ათასი, მაგრამ არა როგორც მუდმივი ორგანიზაცია, არამედ იკრიბება საჭიროების მიხედვით.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: შესძლებთ თუ არა თქვენ იმ ძალებით, რაც მოგეპოვებათ, დაამყაროთ შინაური წესრიგი?

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: დიახ, სავსებით. შინაური უწესოების გამოწვევის ცდა უკვე იყო, მაგრამ ჩვენ ის ჩავახშეთ. დამამტკიცებელი საბუთი ნათელია: ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე მხოლოდ საქართველოში არ არის ბოლშევიზმი; სუფევს ნორმალური წესრიგი და მიმდინარეობს შემოქმედებითი მუშაობა.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: შეგიძლიათ თუ არა გაუმაგრდეთ თქვენ ბოლშევიკების შემოტევას ჩრდილოეთიდან?

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: დიახ. ჩვენ საზღვარზე, მთიდან შემოსასვლელ გზებზე, გვაქვს სიმაგრენი და გვიდგას ჯარები, რომელთაც თამამად შეუძლიათ გაუმაგრდნენ ბოლშევიკებს. ერთი ცდა ბოლშევიკების მხრით უკვე იყო; ჩვენ უკვე გაეუსწორდით მათ და თუ ისინი კვლავ შეეცდებიან, ჩვენ მათ იარაღით ხელში შევხვდებით.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: თქვენ იცით, რომ ინგლისი და ამერიკა მეგობრები არიან ცნობილი პრინციპებისა და წესრიგის დამყარების

საქმეში მთელს დედამიწაზე. მათ შორის არსებობს სრული ერთიანობა და სოლიდარობა. ამიტომ ჩვენ გვსურდა გვცოდნოდა შეგეძლოთ თუ არა თქვენ ინგლისისთვის სასარგებლო, მაშასადამე ჩვენთვისაც, ბოლშევიკებთან ბრძოლაში და წესრიგის დამყარებაში?

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: თუმცა მე ამ საგანზე არა მაქვს ჩემი მთავრობის პირდაპირი მითითება, მაგრამ ვფიქრობ ჩემის მხრით, რომ მთელი ძალებით და საშუალებებით დაეხმარება შეთანხმების სახელმწიფოებს ბოლშევიკებთან ბრძოლაში და წესრიგის დამყარებაში.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: არა, მოკავშირეებს არც შეუძლიათ და არც მიჰართავენ საქართველოს დახმარებისათვის. მაგრამ თუკი საქართველოს შეუძლია თვითონ მისცეს ასეთი წინადადება, ეს მეტად სასარგებლო იქნებოდა საქართველოსთვის... ამას მე ვლაპარაკობ ისე, არა ოფიციალურად, არამედ გირჩევთ, როგორც ამერიკელი მოქალაქე.

პაუზა.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: როგორია თქვენი საბოლოო მიზნები და მისწრაფებანი?

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: ჩვენ გვსურდა შეგვიდათ გვემუშავნა ჩვენს ნაციონალურ საზღვრებში, დაგვემუშავებია ჩვენი მიწები და ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრენი; დაგვეცვა მუდმივი ნეიტრალიტეტი, გვქონოდა კულტურული და ეკონომიური კავშირი განათლებულ ქვეყნიერებასთან და ჩვენს მეზობლებთან.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: ინგლისელები იქნებიან თქვენი მეზობლები; ჩვენ როგორც ინგლისელების მეგობრებს გვსურდა გაგვეგო, როგორ უყურებთ თქვენ ამას.

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: დიდი სიხარულით, რადგანაც ისეთი განათლებული ერის მეზობლად ყოლა, როგორიც ინგლისის ერია, სასარგებლო და სასიამოვნოა.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი: როგორია თქვენი დამოკიდებულება ამერიკისადმი? ჩვენ ცნობები გვაქვს იმის შესახებ, რომ როცა ამერიკა მიემხრო ანტანტის სახელმწიფოებს, მაშინ თქვენი გაზეთები სწერდნენ, რომ ამერიკაში გაიმარჯვა მილიტარიზმმა, რომელმაც ის გამოიყვანა გერმანიის წინააღმდეგ.

ქ ა რ თ ვ ე ლ ი: როცა ამერიკა გამოვიდა გერმანიის წინააღმდეგ, მაშინ რუსეთთან ერთად ჩვენ ვიბრძოდით საერთო მტრის, გერმანიის წინააღმდეგ და აწმაირად ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ სიხარუ-

ლით შევხვედროდით ისეთი ძლიერი სახელმწიფოს დახმარებას, როგორიცაა ამერიკა. რაც შეეხება ცალკე გაზეთების აზრს, ეს არის აზრი ცალკე ჯგუფებისა და პარტიებისა, სრულიად უპასუხისმგებლოთა აზრი. მაგრამ ეს არ არის მთავრობის, ან ნაციის აზრი"[38].

ამერიკელები ფრიად კმაყოფილნი დაშორდნენ თოფურიძეს. „ჩვენ მეტად მადლობელნი ვართ მოწოდებული ცნობებით, რაც ჩვენთვის მეტად საინტერესოა", — თქვა ვებსტერმა და დასძინა — „შეგვიძლია გითხრათ თქვენ, რომ ჩვენ ვალად ვეღებულობთ ვთქვათ ევროპაში საქართველოს მისწრაფებათა და საჭიროებათა შესახებ, და ეს მისწრაფებანი, ვფიქრობთ, მიღებული იქნება მხედველობაში ისევე, როგორც სხვა დიდ და პატარა ერთა მისწრაფებანი"[39].

1918 წლის 30 ოქტომბერს, მუდროსის ნავსადგურში (კუნძულ ლემნოსზე), ბრიტანეთის კრეისერ „აგამემნონზე", ინგლისსა და თურქეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს დროებით ზავს, რომლის ძალითაც ბათუმი თურქებს უნდა დაეცალათ და ინგლისელებისთვის გადაეცათ.

15 დეკემბერს ბათუმში ინგლისელები შემოვიდნენ და იქ თავისი გუბერნატორი — გენერალი კუკ-კოლისი — დასვეს.

ამ დროს ზ. ავალიშვილი და დ. ლამბაშიძე ლონდონში იყვნენ და თავგამოდებით მიელტვოდნენ ინგლისის მთავრობისგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას.

31 დეკემბერს ინგლისის მთავრობამ ხელი მოაწერა აქტს, რომლითაც იგი „სიმპატიით ეკიდება საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და მზად არის დაიცვას მისი დამოუკიდებლობა სამშვიდობო კონფერენციაზე"[40].

ზურაბ ავალიშვილისგან დეპეშით გამოგზავნილ ამ „ცნობას" საქართველოს პარლამენტში დიდის აღფრთოვანებით და ოვაციებით შეხვდნენ.

მაგრამ ასეთ „გაიშვიათებულ აღფრთოვანებას" წინ უფრო „სტაბილური სადარდებელნი" უძღოდა ქართველი და საერთოდ კავკასიელი ხალხების მაშინდელ ცხოვრებაში.

1918 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ნოტები დაუგზავნა სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მთი-

ელთა მთავრობებს, საერთო, ამიერკავკასიის კონფერენციის მოწვევის შესახებ. ნოტა იუწყებოდა:

„მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდება, და, ეჭვი არ არის, უახლოეს მომავალში უნდა დადგეს მომენტი, როცა მსოფლიო კონგრესზე გადაწყდება ბედი ხალხებისა საერთოდ და რუსეთის ყოფილი იმპერიიდან გამოყოფილთა, კერძოდ. ამ კონგრესის წინაშე ამიერკავკასიისა და კავკასიის ხალხები მზად უნდა იყვნენ მ ე გ ობ რ უ ლ ა დ და ს ო ლ ი დ ა რ უ ლ ა დ გამოსვლისათვის, რადგან მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ექნეს წონა და მნიშვნელობა მათ ხმას — როგორც მცირე ხალხთა და ახალ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა ხმას.

ამ სახით აუცილებელია, რომ ამიერკავკასიისა და კავკასიის მთავრობებმა მოილაპარაკონ, როგორც ასეთი სოლიდარული გამოსვლის პირობებზე, ასევე ურთიერთ შორის სასურველი, კეთილმეზობლური თანაცხოვრების დადგენაზე, რაც განმსჭვალული იქნება ურთიერთ ნდობისა და ურთიერთ დახმარების სულით.

ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა წინადადებას უყენებს სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკათა მთავრობებს, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა კავშირის მთავრობას, შეიკრიბოთ კონფერენციაზე თბილისში, 3 ნოემბერს, 12 საათზე, დღისით, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში (ერმოლოვის 9), და გამოგზავნეთ ამ კონფერენციაზე ორ-ორი წარმომადგენელი, სათანადო საკანონმდებლო რწმუნებებით.

ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა კონფერენციაზე გადასაჭრელად დააყენოს შემდეგი საკითხები:

1. ურთიერთ ცნობა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა, რომელთა მთავრობებიც მიწვეულნი არიან კონფერენციაზე.

2. გადაწყვეტა ყველა სადავო საკითხებისა, მათ შორის საზღვრების საკითხით დაინტერესებულ სახელმწიფოთა შესათანხმებლად, ხოლო ასეთი შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში — არბიტრაჟის საშუალებით.

3. ურთიერთ ვალდებულება, არცერთი არ შევიდეს სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან ისეთ ურთიერთობაში, რომელიც ვნებას მიაყენებს კონფერენციის მონაწილე რომელიმე ხალხს.

4. სოლიდარული, ურთიერთ მხარდაჭერით გამოსვლა მსოფ-

ლიო კონგრესზე, რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ცნობისა და მათი ინტერესების დაცვის მიზნით"[41].

მაგრამ კავკასიის ხალხთა კონფერენციის მოწვევა — ეს, თავისთავად ფრიად გონივრული და სასურველი განაზრახი — არ განხორციელდა. ეს არ მოისურვა სომხეთის დაშნაკურმა ხელისუფლებამ. საქართველოს მესვეურები დიპლომატიური წერილებით რამდენჯერმე შეეცადნენ დაეყოლიებინათ სამხრეთელი მეზობლე. ბი. მაგრამ ამ „დაყოლიების ცდებს" შედეგად მოჰყვა... ომი!

დიახ, — ეს მოხდა 1918 წლის დეკემბერში, სწორედ მაშინ, როცა ამიერკავკასიაში, მის სამივე სატახტოში ჩამდგარიყვნენ ინგლისელები, სულ 20 000 სამხედრო მსახურით.

სომხებმა ქართველებისათვის სრულიად მოულოდნელად გადმოლახეს საზღვარი, სოფელ სანაინთან. ქართველები კარგა ხანს ცდილობდნენ „გონს მოეყვანათ" თავისი ისტორიული და მარადიული ძმები. მაგრამ საშველი არ გაჩნდა. ქართველებმაც ხელი გამოიღეს, შეტევაზე გადავიდნენ და... ასე დაიწყო „სომეხ-ქართველთა ომი" — სამარცხვინო ლაქა ამ ორი ხალხის ხანგრძლივსა და სუფთა მატიანეში.

ეს „ომი" გაგრძელდა ათი დღე (21—31 დეკემბერი) და დამთავრდა ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენელთა ჩარევით და „თავგამოდებით".

(სხვათა შორის, როცა სომხები შეტევაზე მიდიოდნენ, ინგლისელები მხოლოდ თვალყურს ადევნებდნენ და ხელს არ უშლიდნენ, ხოლო, როცა ქართველებმა მტერი უკუაქციეს და გამოედევნენ, მაშინ კი გამოიდეს თავი ქართველების შესაკავებლად და საერთოდ ზავის ჩამოსაგდებად).

ასე, რომ — ქართველებსა და სომხებს, საუკუნეთა მანძილზე, ერთმანეთის საზღვრების ჩხრეკით თავი მაინცდამაინც არასოდეს შეუწუხებიათ — ახლა მათი სამეზობლო სამანების დადგენა შორეული ბრიტანეთიდან მოსული არამცოდნეებისა და არამკითხეებისთვის მიენდოთ. ბრიტანელებმაც თავისი, „ალბიონური სიდინჯით", წაკიდებული მეზობლები ომამდელ საზღვრებზე დააბრუნეს...

...ინგლისელებს ყველაზე მეტად ბაქოს ნავთი აინტერესებდათ და მის საექსპლოატაციოდ შექმნეს კიდეც საგანგებო ორგანო — „ნავთობის ბრიტანეთის ადმინისტრაცია", რომელიც ხელმძღვანელობდა და კონტროლს უწევდა ნავთობის ინტენსიურ ტრანსპორ-

ტირებას ბაქო-ბათუმის მაგისტრალური სადინარით ხმელთაშუა ზღვისკენ[42].

ინგლისელები უკვე შესდგომოდნენ მარგანეცის შესყიდვას საქართველოში და სპილენძისას სომხეთში.

ერთი უმთავრესი მიზანდასახულება ქართველ მენშევიკთა და ბრიტანელ მოლაშქრეთა ერთიანობისა მაინც რუსეთის ბოლშევიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ამ საკითხში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდალი კავკასიაში გენერალი უოკერი, უკვე შეთანხმებული იყვნენ. ამასვე მეტყველებს ჟორდანიას სიტყვა 1919 წლის იანვარში:

„მთავარი არსებითი ფაქტი იმაშია, რომ დიდი რუსეთის რევოლუციის უზარმაზარ ტერიტორიაზე ქართველი ხალხი ყველაზე უნარიანი აღმოჩნდა გამიჯნულიყო ანარქიისაგან და დაემყარებინა თავის ტერიტორიაზე წესრიგი და თავისუფლება. ჩვენ მეტად კმაყოფილნი ვართ იმ გარემოებით, რომ გენერალი ფორესტიერ-უოკერი, კავკასიაში მყოფ ინგლისის ჯარების მთავარსარდალი, აღმოჩნდა პირველი პიროვნება, რომელმაც გაიგო საქმეთა ვითარება ჩვენს ქვეყანაში და ჩვენ, მეორეს მხრით, შესაძლებლობა გვაქვს სწორად და ნათლად გავიგოთ ბრიტანეთის ლაშქრის მისწრაფებანი და სურვილები“[43].

მაგრამ ზოგი რამ მნიშვნელოვანი საერთოდ „რუსეთის საკითხში“ სადავო აღმოჩნდა ქართველებსა და ინგლისელებს შორის. სახელდობრ, დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასა და „დობროარმიის“ სარდლობას შორის. ამათი ერთიანობისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ ორივე მხარე ბოლშევიზმს მტრობდა. მათ შორის განხეთქილების ვაშლი ისევ სოჭი და მისი ოლქი იყო.

სანამ საქართველოში გერმანელები იდგნენ, „დობროარმიის“ ვერცერთი გენერალი — ვერც ალექსეევი და ვერც დენიკინი — ვერა ბედავდნენ სამხრეთისკენ ფეხის წამოდგმას. ახლა კი, საქართველოში ინგლისელთა „მდგმურობის“ ჟამს, დენიკინმა, — რაკიღა ინგლისელები თავის მოკავშირეებად დაიგულა — თავისი თეთრგვარდიული „დობროარმია“, სრული საბრძოლო აღჭურვილობით, საქართველოსთან სადავო სოჭის ოლქს მოაყენა.

ინგლისელთა დიპლომატიური მისია და სამხედრო მეთაურობა ორმაგი თამაშის გზას დაადგნენ, რადგან არცერთ მხარესთან არ

უნდოდათ ურთიერთობის წახდენა. ჯერ, ისინი საქართველოს მთავრობას არწმუნებდნენ, რომ რუსთა მოხალისეთა არმია ახლად დაჭერილი პოზიციიდან არავითარ შემთხვევაში აგრესიულ ნაბიჯს არ გადმოდგამს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგო. მაგრამ, მეორეს მხრით, ინგლისელებმა საქართველოს მთავრობა მაინც დაიყოლიეს — სოჭის ოლქი, დროებით ანუ საბოლოო საზავო კონფერენციამდე ქართველებსა და რუსებს შორის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებულიყო, ხოლო, უკეთუ დენიკინელები შეტევაზე მაინც გადმოვლენ, მაშინ ძალით ქმედებას ინგლისის მისია ჩათვლის, „როგორც მოკავშირეთა მიმართ მტრულ მოქმედებას“[44], — ამასაც დასძენდნენ ინგლისელები.

მაგრამ ეს „ევროპული აღთქმაც“ ფუჭი და ტყუილი გამოდგა. დენიკინი უეცრად შეტევაზე გადმოვიდა და „ნეიტრალური“ სოჭის ოლქი დაიჭირა. ინგლისის სარდლობამ თითქოს საპროტესტო დეპეშები გაუგზავნა დენიკინს, მაგრამ არც ერთი ეს დეპეშა, სატელეგრაფო ხაზის „ცუდი მუშაობის გამო“, დენიკინს ვითომც თვალითაც არ უნახავს!

ქართველები კონტრშეტევისთვის ემზადებოდნენ. დენიკინიც სამხრეთით, აფხაზეთისკენ აგრესიის გასაფართოებლად მოიწევდა, მაგრამ ინგლისელები საჭმროდ გააქტიურდნენ და 6 თებერვალს დენიკინს „მართლა დეპეშა“ გაუგზავნეს, მკაცრი ბრძანებით — ხელი აიღე ყოველ ოპერაციებზე საქართველოს მიმართ, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ინგლისის მთავრობა იძულებული იქნება შეუწყვიტოს დენიკინს ყოველგვარი რესურსებით — იარაღით, სურსათით, ტანსაცმლით მომარაგებაო[45].

მცირე, უშედეგო შეტაკების შემდგომ, მოწინააღმდეგენი ინგლისელებმა ისევ საზავო მდგომარეობაში ჩააყენეს.

დენიკინელებს და ქართველებს ისევ „ნეიტრალური ზონა“ ჰყოფდათ — ოლქი ორ მდინარეს, მეხადირსა და ბზიფს შორის. სოჭის ოლქი კი ისევ სადავო კერძად რჩებოდა.

რომანოვთა საიმპერიო მემკვიდრეობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულ ორ ძალას შორის — ლენინელებსა და დენიკინელებს შორის — საქართველოს მთავრობა ისევ ნეიტრალიტეტს თამაშობდა. ეს მართლაც რომ თამაში იყო: ნეიტრალიტეტი ხომ მიუმხრობლობას გულისხმობდა — მიუმხრობლობას „მიუკარებლობამდე“, — ქართველები კი თავისი „განთქმული“ სტუმართმოყ-

ვარეობითა და კაცთმოყვარეობით თავშესაფარს აძლევდნენ ორივე რუსული ბანაკიდან ლტოლვილებს. საქართველოს მთავრობამ, ერთის მხრივ, დენიკინელთაგან დამარცხებული და გამოქცეული ბევრი ბოლშევიკი შეიფარა, „მოუარა, გაათბო, დააპურა და გზა მშვიდობისა უჩვენა“[46], და ასევე, მეორეს მხრივ — ბევრი დენიკინელიც, ბოლშევიკთაგან დამარცხებული და გადმოხვეწილი.

მაგრამ მეტისმეტი მოისურვა და მოინდომა გენერალმა ნათიშვილმა: იგი ბათუმში კავკასიელ მოხალისეთა ჯარის დაკომპლექტებას შესდგომოდა დენიკინის დასახმარებლად. ეს კი აღარ მოითმინა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და, ყველა მისმა პარტიამ და ფრაქციამ, ერთხმად, ნათიშვილი გამოაცხადეს მოღალატედ. მოახდინეს მისი ქონების კონფისკაცია, და იმავე დღეებში, ვიღაცამ კიდევაც მოჰკლა ეს ქართველი „დენიკინელი გენერალი“.

ინგლისელები კი ისევ „თავის თამაშს“ თამაშობდნენ დენიკინსა და ჟორდანიას შორის.

1919 წლის აპრილში ისინი თითქოს უფრო ქართველების მხარეს იხრებიან და უფრორეც აქტიურობენ დაატოვებინონ დენიკინს მისგან დაჭერილი სოჭის ოლქის ნაწილი[47].

მაგრამ მაისში, ბაქოში ბოლშევიკებმა საყოველთაო მუშათა გაფიცვა მოაწყეს; ინგლისელები ამის გამო დაფრთხნენ და, ქართველებზე უფრო, ისევ დენიკინის გაძლიერება ამჯობინეს. სწორედ ამის გამო ინგლისის წარმომადგენელმა, გენერალმა ბრიგსმა, დენიკინთან საგანგებოდ გამართულ თათბირზე, რომელსაც ქართველთა წარმომადგენლობაც ესწრებოდა — პირდაპირ განაცხადა, რომ სოჭი და მისი ოლქი საქართველომ მთლიანად უნდა დაუთმოს რუსეთს, რადგან — განაგრძობდა ბრიგსი: „მალე კოლჩაკი და დენიკინი შეერთდებიან და მაშინ ჩამოყალიბდება საერთო-რუსული მთავრობა — ეს სულ რამდენიმე კვირის საკითხია: ინგლისელებიც და იტალიელებიც ხომ მალე წავალენ და თქვენც (ქართველებო!) მასთან (ახალ რუსულ ხელისუფლებასთან) ხომ კარგ ურთიერთობაში უნდა იქნეთ, ამიტომ მე გირჩევთ თქვენ — უარი სთქვათ თავმოყვარეობაზე, ხელი გაუწოდოთ დენიკინს და უთხრათ: „ჩვენ თქვენთან ვართ!“... მცირე სახელმწიფოები ერთურთს კი არ უნდა მტრობდნენ, არამედ პირიქით, უნდა ერთდებოდნენ[48].

მაგრამ ქართველები არც თავმოყვარეობაზე იღებდნენ ხელს,

არც დენიკინ-კოლჩაკის „ერთიანი მთავრობის“ დაბადებას და მასთან „შეერთებას“ მიიჩნევდნენ სარწმუნოდ.

ინგლისელებს ქართველთა და დენიკინელთა შორის შუამდგომლობაზე თავის გამოდება აღარ დასჭირვებიათ, რადგან მათ მოულოდნელად, საერთოდ უნდა დაეტოვებინათ კავკასია. ამის მიზეზი ეგვიპტეში აჯანყების დაწყება იყო. ინგლისის მთავრობამ საჭიროდ დაინახა ამ აჯანყების ჩასახშობად სწორედ კავკასიაში მდგარი ჯარები გადაესროლა.

და, 1919 წლის 10 მაისს, გენერალმა ტომსონმა გამოაქვეყნა ცნობა საქართველოს მთავრობისადმი, — რომ ბრიტანეთის ჯარები ამიერკავკასიას ტოვებენ და მათ ადგილს იჭერენ იტალიელი სამხედრო ნაწილები. 12 მაისს კი თბილისში ჩამოვიდა იტალიის მისია, პოლკოვნიკ გამბას მეთაურობით[49].

მაშ, „დამოუკიდებელ საქართველოს“ უცხო მეთვალყურის გარეშე, ისევ და ისევ, ჯერ ერთი ღამეც არ გასთენებოდა.

7. სიჭაბუკე რესპუბლიკისა

მაგრამ საქართველო დამოუკიდებლობას მაინც „არ იშლიდა“, და 26 მაისს მან სწორედ თავისი დამოუკიდებლობის ერთი წლისთავი დიდის ზარზეიმით გადაიხადა.

ეს ერთი წელი, თითქოს, მისი სიჭაბუკისა იყო, — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის“ სიჭაბუკისა.

ანუ, - სიჭაბუკე პირველი ქართული რესპუბლიკისა.

მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს დიპლომატიურ მაგიდაზე სუფევდა „მემუარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სახელმწიფოებსა და ერებს“.

და ღაღადებდა „მემუარი“ იგი:

„საერთაშორისო საშინელმა ომმა დღიურ წეს-რიგში დასვა ჩაგრულ პატარა ერთა საკითხი, და თან იმ რიგათ, რომ ამ საკითხის მოწესრიგება უნდა მოხდეს თვით ერთა თავისუფლათ გათქმულ სურვილისა და საარსებო ინტერესების თანახმათ. ერის თვითგა-

მორკეევის უფლება, რომელიც, იმედია, ერთ-ერთ საძირკვლად დაედება მომავალ საერთაშორისო საზავო მოლაპარაკებას, ამით სცილდება ომის წინ არსებულ სახელმწიფოთა ჩარჩოებს და პოულობს საერთაშორისო ცნობასა და მფარველობას.

ეს ცნობა და მფარველობა მით უფრო ცხადი და უეჭველი უნდა იყოს ქართველ ერის მიმართ, რომ მან უკვე შექმნა თავის ძალ-ღონით საკუთარი სახელმწიფო — საქართველო, რომელიც სრულიად სუვერენულად განაგებს თავის საშინაო და საგარეო საქმეებს. დღიდან რუსეთის რევოლუციის დაწყებისა ქართველი ერი ავტონომიურათ განაგებდა თავის საშინაო საქმეებს, ხოლო ბოლშევიკების coup d' etat-ს შემდეგ, ნოემბერს 1917 წ., მან შეწყვიტა ყოველი დამოკიდებულება რუსეთის ცენტრალურ მთავრობასთან და ფაქტიურათ დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგა, რაიც იურიდიულად დადასტურებულ იქნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით, 26 მაისს 1918 წ. (იხ. დამატება 1). თანახმად ამ აქტისა საქართველო წარმოადგენს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის კონსტიტუცია მუშავდება ნორმალურის კანონმდებლობის გზით.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ საქართველო არასოდეს არ ყოფილა დაპყრობილი რუსეთის მიერ; უკანასკნელის მფლობელობა საქართველოში პირიქით მუდამ ძალმომრეობაზე და საერთაშორისო ხელშეკრულობის დარღვევაზე ემყარებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ სრულიად გაიყვანა საქართველოდან და მთელ კავკასიის ფრონტიდან თავისი ჯარები, რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წ. დადებულმა ხელშეკრულობებმა დაჰკარგა ყოველი ძალა და საქართველომ eo ipso დაუბრუნდა თავის მრავალსაუკუნოებიან დამოუკიდებელ სახელმწიფო ცხოვრებას (იხ. დამატება II).

საჭიროთ ვრაცხთ ავღნიშნოთ, რომ ყოფილ რუსეთის სახელმწიფოში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა ერთის წუთითაც არ შეჩერებულა; სადაც დღესაც იგივე ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური წრეები უდგანან სახელმწიფოს სათავეში, ვისაც რევოლუციის დასაწყისშივე (მარტი 1917 წ.) არგუნა ბედმა ეს საპასუხისმგებლო როლი; სადაც რუსეთის ბოლშევიკებმა ორხელ სცადეს საქართველოს საზღვრების გადმოლახვა და ორხელავე სასტიკათ და-

მარცხებულ იქნენ გარეშე ძალის დაუხმარებლათ. საქართველოს აქვს მუდმივი საერთაშორისო მიმოსვლა სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, აქვს თავისი საკანონმდებლო ორგანო, საქართველოს პარლამენტი, რომელიც წარმოიშვა საყოველთაო არჩევნების ნიადაგზე, ყავს კანონიერი მთავრობა, პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე, აქვს დამოუკიდებელი მართლმსაჯულება, ადგილობრივი ადმინისტრაცია, ყავს თავისი ჯარი, აქვს საკუთარი ფინანსები, აგრეთვე სახელმწიფო ღერბი და დროშა. ერთი სიტყვით, მას არ აკლია სახელმწიფოს არც ერთი ატრიბუტი, იგი არის სუვერენული შიგნით და გარეთ.

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია შესდგება ამიერ-კავკასიის ყოფილ სამ გუბერნიისაგან: თფილისის, ქუთაისის და ბათუმის და ორი ოლქისაგან — სოხუმისა და ზაქათალის. ეს ტერიტორია შეიცავს დაახლოებით 80 000 ოთხკუთხ კილომეტრს და მასზე ცხოვრობს დაახლოებით 3 100 000 სული. აქედან ბათუმის გუბერნია, დაახლოებით 7 000 ოთხკუთხი კილომეტრი 200 000 მცხოვრებით დაჭერილი აქვს სრულიად უკანონოთ ოსმალეთის ჯარს, რომელიც თანასწორად პრეზიდენტ ვილსონის პროგრამისა დაუყოვნებლივ გაყვანილ უნდა იქნას იქიდან. საქართველოს სატახტო ქალაქი არის თფილისი.

მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს ხელახლად რუსეთთან გაერთიანება ეწინააღმდეგება ქართველი ერის სურვილსა და მიზნებს. ეს გაერთიანება ვერ გამართლდება ვერც ეთნოგრაფიულათ, ვერც გეოგრაფიულათ, ვერც პოლიტიკურათ და ვერც ეკონომიურათ. ქართველ ერს არავითარი საერთო არა აქვს რასიულათ საზოგადოთ სლავიანთა და კერძოთ რუსის ერთან. მას აქვს თავისი სრულიად განსხვავებული ენა და მწერლობა, რომელიც უხსოვარ დროიდან წარმოიშვა. საქართველოს საზღვრავს რუსეთისგან მთელის სიგრძით კავკასიონის ქედი, რომლის მთავარი გამოსავალი, დარიალის ხეობა, საქართველოს ტერიტორიაზეა. ასეთი ბუნებრივი საზღვარი ძნელათ თუ მოიპოვება სხვაგან.

პოლიტიკურათ საქართველოს მთელ თავის ორი ათას წლის სახელმწიფოებრივ ცხოვრების განმავლობაში ძალიან იშვიათათ ქონდა დამოკიდებულება რუსეთთან, მას ქონდა მიმოსვლა ძველ საბერძნეთთან, სპარსეთთან, რომთან, ბიზანტიასთან, არაბეთთან, ოსმალეთთან, ხმელთა შუა ზღვის სახელმწიფოებთან. მხოლოდ

1783 წელს საქართველო იძულებული შეიქნა შეკვროდა რუსეთს ბირობით, რომელსაც ნაყოფად ერის ერთ საუკუნეზე მეტი ჩაგვრა და გაწბილება მოყვა. სახეში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ქართველი ერი რაოდენობით ყოფილ რუსეთში მცხოვრებთა ორ პროცენტსაც არ წარმოადგენს, ეს კი ქართველი ერისთვის მოასწავებდა (თუ ის ისევ რუსეთს დაუბრუნდებოდა) მის გათქვეფასა და გადაგვარებას ამ მრავალმილიონიან ოკეანეში, რაც უნდა წერილობითი გარანტია არ არსებულიყო ამ პროცესის წინააღმდეგ. რუსეთის ნაციონალისტური და დაპყრობითი პოლიტიკა ჯერ კიდევ დიდხანს იარსებებს, ეს მტკიცდება თვით უკიდურეს მემარცხენე ბოლშევიკების პრაქტიკით, რომელნიც არ ინდობენ არავითარ ნაციონალურ მოძრაობას რუსეთში, თუმცა სიტყვიერათ თითქო ერის თვითგამორკვევის უფლების მომხრედ გამოდიან. მომავალში, როცა ბოლშევიკების ბატონობას ბოლო მოეღება, ჩვენ უნდა ველოდეთ უარეს მდგომარეობას ეროვნულ თვალსაზრისით, ვინაიდან რაც ბოლშევიკებზე უფრო მემარჯვენე მიმდინარეობა გაბატონდება რუსეთში, მით უფრო დიდ ხიფათში ჩავარდებიან პატარა ერთა პოლიტიკური თავისუფლებანი.

ეკონომიურათ საქართველოს მეურნეობის სახე უფრო დასავლეთ ევროპის მეურნეობას უახლოვდება. რუსი გლეხობის ცნობილი სათემო მიწისპფლობელობა საქართველოში არ არსებობს; უკანასკნელი წვრილ და საშვალო მესაკუთრეთა ქვეყანაა. დამახასიათებელია ის უბრალო ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ რუსეთთან ერთათ მყოფობის დროს საქართველოს ცნობილ მარგანეცისა და ხე-ტყის უდიდესი ნაწილი დასავლეთ ევროპაში გაჰქონდათ.

საქართველოს ეკონომიურ განვითარების შესაძლებლობანი ფრიად დამაიმედებელნი არიან. მისი მდიდარი ბუნება ინახავს თავის წიაღში, გარდა ზევით დასახელებულ ორ საგნისა, ნავთს, სპილენძს, ქვანახშირს, რკინას, ტყვიას, ოქროს, ვერცხლსა და სხვა მინერალებს; მასში არის დაუშრეტელი თეთრი ნახშირი; იქ მოყავთ ხორბალი, სიმინდი, ბამბა, თამბაქო, აბრეშუმი, ვენახი, ჩაი და სხვა სათუთი მცენარეულობანი; იქვე ცნობილია შინაური ცხოველთა მოშენების საქმე, რაიც უზრუნველყოფს მატყლის, ტყავისა და რძის სიუხვეს; საქართველოს მდიდარი მინერალური წყლები და სააგარაკო ადგილები ცნობილია, საკმაოა დავასახელოთ მარ-

ტო ბორჯომი, თფილისი, აბასთუმანი, გაგრა, ქობულეთი (იხ. დამატება III).

ამასთანავე არა ნაკლებ საყურადღებოა საერთაშორისო თვალსაზრისით საქართველოს და საზოგადოთ ამიერ-კავკასიის სვე-ბედი მომავალში. ამიერ-კავკასიას საზღვრავს აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, დასავლეთითი შავი ზღვა, სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი. ამ ტერიტორიაზე საქართველოს გარდა წარმოიშვა ორი სახელმწიფო: ერთი სათათრეთი, აღმოსავლეთით ვიდრე კასპიის ზღვამდე (ყოფილი განჯისა და ბაქოს გუბერნია) და მეორეც სომხეთი, სამხრეთით ვიდრე ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვრებამდე (ყოფილი ერევნის გუბერნია). როცა ოსმალეთი გაიყვანს თავის ჯარებს ყოფილ ყარსის გუბერნიიდანაც, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა გაიყოს შუაზე და აქედან დასავლეთი ნახევარი (არტაანის და ოლთისის ოლქები) უნდა შეუერთდეს ეთნოგრაფიულათ და ისტორიულათ მონათესავე საქართველოს, ხოლო მეორე აღმოსავლეთი ნახევარი (ყარსისა და ყაღიზმანის ოლქები) უნდა შეუერთდეს სომხეთს. სათათრეთი და სომხეთი, იმედია, საბოლოოთ ჩამოყალიბდებიან დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმებად და ამ შემთხვევაში მათ და საქართველოს შორის არსებული ეკონომიური ახლო ურთიერთობა იურიდიულ ფორმებში ჩამოისხმება ჩქარა მომავალში, ალბათ კონფედერაციის სახით. კავკასიონის ქედის გადაღმა მცხოვრებთ მთიულ ხალხებსაც სურთ ამ სამ სახელმწიფოს ფედერაციულათ მიეკედლონ, რაიც დამოკიდებულია მათ და ყაზახთა შორის არსებულ საუკუნო დავის მეგობრულათ და სამართლიანათ გადაწყვეტისაგან.

ამიერ-კავკასიის ყველი უხსოვარ დროიდან წარმოადგენდა დიდ მნიშვნელოვან სააღებმიცემო გზას ეუროპასა და აზიას შორის. მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაიჭირა ეს ყველი, მას დაეკარგა რამდენათმე ეს მნიშვნელობა და გახდა უაღრესად სტრატეგიულ ბაზად, საიდანაც რუსეთის იმპერიალიზმი მუდმივი მუქარა იყო, სპარსეთისა და ოსმალეთისაკენ მიმართული. ეს გარემოება იწვევდა ხშირ ომებს, რის მსხვერპლად ადგილობრივი ერები ხდებოდნენ. საერთაშორისო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა და ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს დაეკარგოს ამიერ-კავკასიას სტრატეგიული ხასიათი და სამაგიეროთ დაუბრუნდეს მას ადრინდელი კულტურული და სააღებმიცემო მნიშვნელობა. ამისათვის საჭი-

რია რუსეთმა. კვლავ არ ჩამოადგას ამიერ-კავკასიაში ფეხი — დღეს იქ არ იმყოფება რუსის არც ერთი სალდათი და მოხელე — და მას საზღვრად ისევ კავკასიონის ქედი დაედვას. ამას მოითხოვს როგორც ამიერ-კავკასიის, ისე თვით რუსეთის ერების სწორათ გაგებული საარსებო ინტერესები. რაც შეეხება ბაქოს ნავთს, რომელიც ასე ესაჭიროება რუსეთის ნავოსნობასა და მრეწველობას, ეს მას შეუძლია საკმაოთ მიიღოს სავაჭრო ხელშეკრულობის ძალით.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების უაღრესი ინტერესი სწორეთ კითხვის ასეთ გადაწყვეტაში მდგომარეობს. უნდა მოხდეს საერთაშორისო შეთანხმების ძალით ამიერ-კავკასიის სამივე სახელმწიფოს სრული ნეიტრალიზაცია, სწორეთ ამ შემთხვევაში გახდება ის ნამდვილ ხიდად აღებ-მიცემობისა და კულტურისა ევროპასა და აზიას შორის.

საქართველოს შავი-ზღვის ცნობილი ნავთსადგურები — ფოთი და ბათუმი — ქვეყნის განვითარებისათვის მომავალში დიდ როლს ითამაშებენ, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ პირდაპირ გზას აზიისაკენ ერთის მხრით და ევროპისაკენ მეორეს მხრით. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო გაცილებით უფრო ახლო მდებარეობს სრუტეთა და დუნაის გზით დასავლეთ ევროპის სამრეწველო და სააღებმიცემო ცენტრებთან, ვინემ მოსკოვთან და პეტროგრადთან. მთელი მისი მომავალი აღორძინება მოითხოვს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რომ ამით საშვალება მიეცეს ხალხს განავითაროს ყველა მისი ნივთიერი და ინტელექტუალური ძალები.

ქართველმა ერმა, მიუხედავათ თვისი სიმცირისა რაოდენობით და იმ მწარე ქარტეხილისა, რომელიც ბას გამოუვლია საუკუნეთა განმავლობაში, დაუსახიჩრებლათ და უმწიკვლოთ მოიტანა მე-XX-ე საუკუნის პირამდე თავისი ეროვნული ინდივიდუალობა და სახელმწიფოებრივი შემოქმედების უნარი; ეს იყო საქრისტიანო კულტურისა და ცივილიზაციის მატარებელი წინა აზიაში, მან შეიტანა თავისი წვლილიც საკაცობრიო კულტურის სალაროში, რასაც მოწმობს მისი კლასიკური მწერლობისა და ხელოვნების ნაშთები; მისი შვილნი მოწინავე რაზმში იდგნენ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს, და როგორც ნაყოფი ამ განმათავისუფლებელ მოძრაობისა, საქართველომ მიაღწია დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. ის დგას დღეს ამდენი საუკუნეების წამებისა და გაწ-

ჭილების შემდეგ დამოუკიდებელი და თავისუფალი საერთაშორისო მაღალ სამსჯავროს წინაშე და ელის მისგან სამართალსა და სამართლიანობას.

საქართველოს კანონმდებლობითი წარმომადგენლობა და მთავრობა მოითხოვს მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოებისაგან მხოლოდ დადასტურებასა და ცნობას იმისას, რაც ფაქტიურად არსებობს: დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო.

ქართველ ერს სურს კანონიერი წევრი გახდეს დამოუკიდებელ ერთა იმ კავშირისა, რომელსაც, საუბედუროთ, საძირკვლად უნდა დაედოს განვლილ საშინელ საერთაშორისო ომის ამდენი მსხვერპლი, და რომლის პირდაპირ დანიშნულებას წარმოადგენს როგორც დიდი, ისე პატარა ერების თავისუფლებათა ხელუხლებლობის უზრუნველყოფა".

„მემუარს" ახლდა შვიდი „დამატება".

დამატება I:

„აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა" (იხ. ზემოთ).

დამატება II:

„საქართველოს ბაგრატიდთა დიდი სამეფოს დანაწილების შემდეგ, სხვადასხვა სახელმწიფოებმა და სამთავროებმა, რომელთაგანც საქართველო შესდგებოდა, უცვლელად დაიცვეს როგორც მთლიანობა სარწმუნოებისა და საერთო ცივილიზაცია, აგრეთვეე ის საერთო პოლიტიკური მისწრაფება, რომელიც მათ ევროპისაკენ მიიზიდავდა. საქართველოს ნაწილებმა ბევრი ფიქრისა, ცდისა და ყოყმანის შემდეგ რუსეთთან დასდვეს მთელი რიგი პოლიტიკურ ხელშეკრულებებისა, რომელთა შორის უპირველესი 1783 წლის ხელშეკრულობა იყო და რომლის ძალითაც აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიის პროტექტორატში შედიოდა. სხვა ხელშეკრულობათა მიზანიც იგივე იყო — ავტონომია საქართველოს ქვეყნებისა შინაგან საქმეებში და რუსეთის პროტექტორატი მის საგარეო განწყობილებებში; ხოლო ეს რეჟიმი, განმტკიცებული რუსეთის იმპერატორთა საჯარო დანაპირებით, მეტათ ხანმოკლე იყო. რუსეთის იმპერიის ცალმხრივმა აქტებმა 1801 წლიდან 1861 წლამდე რუსეთთან საქართველოს შეერთებით საქართველოს ნაწილების ავტონომია, დამყარებული საერთაშორისო ხელშეკრულობაზედ, მოსპეს ისე, რომ პოლიტიკური ხელშეკრულობანი, დადებულნი

რუსეთისა და საქართველოს ქვეყნებს შორის, ფორმალურად გაუქმებულნი არ იყვნენ.

დღიდან საქართველოს ანექსიისა ქართველ პატრიოტთა ოცნებას თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო შეადგენდა. ამ მიმართულების მრავალრიცხოვანი გამომჟღავნება მე-XIX საუკუნეში ყოველ ეჭვს გარეშე ჰყოფს საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას. მე-XX საუკუნის დასაწყისშივე შესდგა პარიზში ქართველთა კომიტეტი, რომლის ორგანო „საქართველო“ განთავისუფლებულ და დამოუკიდებელ საქართველოს იდეას ემსახურებოდა. რუსეთის 1905-6 წლების კონსტიტუციის ხანამ რამდენადმე მოქმედება გააადვილა და ყოველგან — სახალხო კრებებზე, ქალაქის თვითმართველობებში, თავად-აზნაურების ორგანიზაციებში თუ სხვაგან, აგრეთვე როგორც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან საქართველოს ავტონომიას მოითხოვდნენ. 1907 წელს ქართველმა ერმა ჰაagის მშვიდობიანობის კონფერენციას პეტიციით მიმართა და სთხოვდა საქართველოს კანონიერი უფლებები აღედგინა. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი ერი მთლიან და განუყოფელ საქართველოს აღდგენას მოითხოვდა; თვით რუსეთის საჯარო სამართალიც, რადგან მან მიანიჭა რუსეთის იმპერატორს საქართველოს ხელმწიფის ტიტული და მისი ღერბი, მხოლოდ ერთ საქართველოს არსებობას გულისხმობდა.“

დამატება III:

1917 წლის რევოლუციამ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, ისევე როგორც მთელ რუსეთში, ძირიანად შესცვალა. შეუდრეკელი სურვილი დარღვეულ, მაგრამ გარდაუსვლელი უფლებების აღდგენისა მთელ საქართველოში საყოველთაო იყო. უკვე 1917 წლის მარტში სამღვდელოების და მორწმუნეთა კრებულმა რუსეთის სინოდალურ ეკლესიასთან 1811 წლიდან ძალით შეერთებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინა და ივერიის ეკლესიამ რუსეთის ბატონობის დროს მოსპობილ თავისი კანონიერი პრეროგატივებით სარგებლობა დაიწყო. ქართული ავტოკეფალური ეკლესია დღეს მხოლოდ ხალხის მიერ ამორჩეულ ყოველ ქართველთა კათალიკოსს-პატრიარქს ემორჩილება. ამრიგადვე რუსეთის ავტოკრატიის მიერ მოსპობილი საქართველოს პოლიტიკური უფლებანი კვლავ ცხოვრებას უბრუნდებოდნენ. 1917 წელს მარტში ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული მართებლო-

ბის უფლებით მოსილ კომიტეტის შექმნით საქართველოს ავტონომიის აღდგენისკენ უკვე ერთი პრაქტიკული ნაბიჯი იყო გადადგმული — საქართველოს ჰმართავდა არა პეტროგრადი, არამედ საკუთარი დედაქალაქი თბილისი ზემოდ ხსენებულ განსაკუთრებულ კომიტეტის სახით, რომელშიაც ხალხის ნდობით მოსილი პოლიტიკური მოღვაწენი შედიოდნენ."

დამატება IV:

„ამიერ-კავკასიის ხალხები ბოლშევიკების 1917 წლის გიორგობისთვის რევოლუციას არ მიუდგნენ და მათი მთავრობა, უკვე რევოლუციის პირველ ხანებშივე უკვე დეცენტრალისტური, ფაქტიურად დამოუკიდებელი შეიქნა. როდესაც რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს, თბილისში ამიერ-კავკასიის სეიმი დაარსდა და ამ სეიმმა 22 აპრილს 1918 წელს ამ ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა: — რაც უცხო ქვეყნებსაც აცნო ამასთანავე ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ნაწილები პოლიტიკურ ერთეულების შექმნას შეუდგნენ. საქართველოს ეროვნული საბჭო შეიკრიბა (გიორგობისთვის 1917 წელს) და დააარსა ეროვნული საბჭო, რომელსაც საქართველოს ეროვნულ საქმეების ხელმძღვანელობა დაევალა. საქართველოს ეროვნული საბჭო ამიერ-კავკასიის სეიმს და მთავრობას მჭიდროდ ეკავშირებოდა. ამიერ-კავკასიის სეიმის ქართული სექცია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სრულუფლებიანი წევრი იყო."

დამატება V:

„ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აქტის ფორმალური გამოცხადების დროს (22 აპრილს 1918 წელს) ნაგულისხმები იყო არსებობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, რომელიც ამიერ-კავკასიის დანარჩენ ხალხებთან კონფედერატიულ კავშირში შედიოდა. ამ კავშირის უმთავრეს დებულებებს უკვე იმუშავებდნენ. ამ დროს შექმნილმა პირობებმა საქართველოს და ამიერ-კავკასიის დანარჩენი ხალხებისათვის ცხადჰყვეს, რომ საჭირო იყო შეცვლა მიღებული პოლიტიკური გეზისა და ამიერ-კავკასიის შემადგენელი ელემენტებისაგან შემზადება ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც მომავალში ამიერ-კავკასიას და შეიძლება მთელ კავკასიასაც კონფედერაციად გარდაჰქმნიდა. ოსმალეთის ჯარმა, წინააღმდეგ თვით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობისა, ბათომისა, ყარსისა და არდაღახის პროვინციები, რუსეთის სომხეთი და ადერბაიჯანი დაიპ-

ყრო. ამ მოვლენამ ამიერ-კავკასიის სეიმი იძულებულ ჰყო ამიერ-კავკასიის სეიმის დაშლა ერთხმად დაედგინა. ამ გარეგან ძალთა და ზემოდმოყვანილ პირობათა გავლენით საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს აქტი 1918 წელს 26 მაისს მოხდა."

დამატება VI:

„ამ მომენტში, ისევე როგორც უკვე 22 აპრილის დეკლარაციის ღროს, საქართველოში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში აღარ არსებობდა არც ერთი ისეთი მთავრობა, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც რუსეთთან, ანუ დიდი რუსეთის ბოლშევიკურ რესპუბლიკასთან, რომლის შეიარაღებული ძალებიც ამიერ-კავკასიიდან სავსებით გაყვანილ იქნენ, რაიმე დამოკიდებულობა ჰქონოდეს.

ზემოდმოხსენებულიდან ორი უმთავრესი დასკვნა გამომდინარეობს: ერთი — უკვე კარგა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფო ამიერ-კავკასიას სრულიად მოშორდა; ამიერ-კავკასია რუსეთის ნაწილს აღარ შეადგენდა და მასთან არაფრით აღარ იყო დაკავშირებული. მეორე — ამიერ-კავკასია res nullius-ს არაფრით არ ემსგავსებოდა, პირიქით, ამის სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა მოხდა: რუსეთის ყოფილმა პროვინციამ — ამიერ-კავკასიამ დამოუკიდებელი სახელმწიფო შეჰქმნა და შემდეგში ამ ქვეყნის ერთმა ნაწილმა — საქართველომ თავის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს მაგალითს რუსეთის სასომხეთი და ადერბაიჯანი მიჰყვნენ, რაც საზოგადოებრივი აზრის და ამიერ-კავკასიის პარლამენტის მიერ მიღებულ ფედერალისტურ კონცეპციას ეთანხმებოდა".

დამატება VII:

„ამ რიგად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველოში რუსეთის სახელმწიფო აღარ იყო და ამიტომ ეს დეკლარაცია რუსეთის წინააღმდეგ არ მომხდარა. საქართველოში მიხი დამოუკიდებლობის დეკლარაციამდე უკვე განმტკიცებული სახელმწიფო რეჟიმი არსებობდა და ეს რუსეთის სახელმწიფო არ იყო. რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის შემუშავებული საარჩევნო კანონის მიხედვით ამორჩეულმა საქართველოს ეროვნული ცხოვრების ორგანომ — საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, გარდაქმნა რა იგი საქართველოს წარმომადგენელთა კრებულად,

საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შეჰქმნა. დამყარებული ასეთს მტკიცე საფუძველზედ საქართველოს მთავრობა ცნობილ უნდა იქმნას, როგორც ეროვნული მთავრობა, რომლის ავტორიტეტი და უფლება ყოველ ეჭვს გარეშეა, ისევე როგორც საქართველოს ეროვნული საბჭო უნაკლო და ნამდვილი წარმომადგენლობა არის."

დამატება VIII:

„რეზიუმე ზემოდმოყვანილისა შემდეგია: შეერთებული რუსეთთან საქართველოს მეფეთა მიერ საერთაშორისო ხელშეკრულობათა დადებით საქართველო, რომელიც არასოდეს არ ყოფილა რუსეთის იარაღის ძალით დაპყრობილი, განაგრძობდა თვით რუსეთის ერთი საუკუნის ბატონობის დროსაც კი ეროვნულ ცოცხალ ორგანიზმის არსებობას და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა რათა აღედგინა თავისი გარდაუსვლელი ეროვნული უფლებანი და საკუთარი პოლიტიკური და ეროვნული მისწრაფებანი განეხორციელებინა.

დიდი ომის განმავლობაში ბრესტ-ლიტოვსკის ზავამდის რუსეთის ერთგულ საქართველოს აღარ შეეძლო უმოქმედოდ დარჩენილიყო იმ დროს, როდესაც რუსეთის მთავრობამ თავისი მოქმედებით მტერს საზღვრები გაუღო და ხელშეკრულობით საქართველოს პროვინციები დაუთმო. მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიიდან რუსეთის სახელმწიფო სრულიად გაჰქრა და საქართველომ დაინახა, რომ საკუთარი ძალების ამარა არის მიტოვებული, ჯერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს განმტკიცებაში მონაწილეობა მიიღო და შემდეგ გარემოებათა ძალით რუსეთთან (რომლის მთავრობამაც გარდა ყველა ამ მოსაზრებებისა ოფიციალური დეკრეტებით მიიღო პრინციპები — რომელთა მიხედვით ყოველ ერს აქვს სრული უფლება ამოირჩიოს ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, როგორიც მას სურს და თვით რუსეთსაც კი გამოეყოს თუ ამას მოისურვებს) ყოველ ხელშეკრულებათაგან სრულიად განთავისუფლებული საკუთარ სახელმწიფოს შექმნას შეუდგა.

ამ რიგად ქართველ ერს, აღადგინა რა რუსეთის ბატონობის მიერ დარღვეული უფლებანი, სურს თავისუფლად შეჰქმნას თავის სახელმწიფო და მოაწყოს თავისი საერთაშორისო დამოკიდებულობა, რათა შესძლოს როგორც მის აგრეთვე კავკასიის საკეთილ-

დღეოთ ხანგრძლივად და უზრუნველყოფით ისარგებლოს თავისი აღდგენილი უფლებებით.“

დ ა მ ა ტ ე ბ ა IX:

„ევროპიელი ვაჭარნი და მრეწველნი თავიანთი საქმიანობის აზიაში გასავრცელებლად მუდამ საქართველოს ტერიტორიით სარგებლობდნენ. ევროპიდან აზიის სხვადასხვა ნაწილებისაკენ მიმავალნი უმთავრესი გზანი საქართველოზე გადადიან და აქ ჯვარედინდებიან.

საქართველოს ფოთში (ძველად ფაზისში) დაახლოებით სიგრძით 2000 მეტრის და სიღრმით 7,92 მეტრიდან 8,6 მეტრამდის გემებისათვის მისადგომად მოწყობილი ნაპირით ნავთსადგური უკვე აქვს. ეს ნავთსადგური მდიდარია რკინის გზებით და ყოველგვარ საწყობებით.

ფოთი არა მარტო ამიერ-კავკასიისათვის, არამედ სპარსეთისათვის და ცენტრალურ აზიისათვისაც შავი ზღვის ყველა სხვა ნავთსადგურებზედ უახლოესი ნავთსადგურია. ამ ქვეყნების ევროპასთან, უკრაინასთან და პოლონეთთან ვაჭრობამ ამ ნავთსადგურზედ უნდა გაიაროს. იგი შეერთებულია თავის ჰინტერლანდთან ამიერკავკასიის რკინის გზით, რომლის მთავარი ლიანდაგი, 808 კილომეტრის სიგრძისა, ფოთიდან თბილისით პირდაპირ ბაქოში მიდის. მრავალი შტო ამ მთავარ გზას ვაჭრობის და წარმოების მდიდარ ცენტრებთან აერთებს: ტყიბულის ნახშირი მღაროებთან, ქუთაისთან ახლოს (42 კილომეტრია); ჭიათურის მანგანეზის მადნებთან (50 კილომეტრი); ბათომის დიდმნიშვნელოვან ნავთსადგურებთან (99 კილომეტრი); ბორჯომის მინერალურ წყლებთან და ბაკურიანის კლიმატურ სადგურთან (65 კილომეტრი); სპარსეთთან თბილის-ჯულფაზედ (515 კილომეტრი); ოსმალეთის საზღვართან ალექსანდრეპოლ-ყარს-სარაყამიშით (141 კილომეტრი). ამ ორ უკანასკნელ შტოდან რკინის გზები მიდიან: ერთი თავრიზამდეს, მეორე არზრუმამდეს.

მეორე რკინის გზა — კახეთისა, 160 კილომეტრის სიგრძისა, რომელიც აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნის, თბილისიდან ღვინით და საგანგებო ხილით განთქმულ თელავამდის მიდის.

ამ რკინის გზების 825 კილომეტრის სიგრძის ლიანდაგი საქართველოს ტერიტორიაზედ არის. ამ გზების არც ერთ ნაწილზედ არც

ერთი დღე ამ ომის და რევოლუციის დროს მიმოსვლა არ შეწყვეტილა

მესამე რკინის გზა, შაეი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის გასწვრივ, რომელმაც უნდა შეაერთოს ამიერ-კავკასიის რკინის გზა ტუაპსე-არმავირის რკინის გზასთან და მაშასადამე რუსეთის რკინის გზებთან, უკვე შენდება. ამ რკინის გზის ტყვარჩელის დიდმომავლიან ნახშირის მადნებთან (სუხუმის ოლქში) შესაერთებლათ საკმარისია 40 კილომეტრის სიგრძის შტო აშენდეს. მაშინ ნახშირის მადნები ფოთზედ არა უშორეს 100 კილომეტრისა იქნება. მაგრამ შეიძლება ნავთსადგური აშენდეს ოჩამჩირეში, რომელიც ამ მადნებიდან მხოლოდ 40 კილომეტრის მანძილზედ იმყოფება. ამ რიგად საქართველოს ნავოსნობას და ინდუსტრიას საკუთარი და საგრძნობლად იაფფასიანი ნახშირი ექნება. ამ ნახშირის ხმარება ყოველგვარი მინერალური სიმდიდრისა, რომლითაც აფხაზეთი სავსეა, განსაკუთრებით კი ანდამატური რკინით, ექსპლოატაციას გააადვილებს.

დასახელებული რკინის გზები საქართველოს უკვე სპარსეთთან და სომხეთთან აერთებს და მალე ჩრდილო-კავკასიასთანაც შეაერთებს. ამ უკანასკნელთან საქართველოს მიმოსვლა ორი მშვენიერი გზატკეცილითა აქვს. ერთი, რომელსაც ჰქვიან „საქართველოს სამხედრო გზა“ თბილისიდან არაგვის და თერგის ხეობებით ვლადიკავკავს მიდის; მეორე, „ოსეთის სამხედრო გზა“ ქუთაისიდან რიონის და არდონის ხეობებით იმავე ვლადიკავკავს მიდის. ამ გზების საშუალებით საქართველოს დაღესტნის და ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ვაჭრობა აქვს გაჩაღებული. გროზნოს ნავთიან ადგილებიდან შაეი ზღვის ნაპირამდის ადვილია სულ მოკლე ხანში ოსეთის გზატკეცილით მილები გაკეთდეს (400 კილომეტრის სიგრძისა), რომელიც ამ ზღვის ნავოსნობას და მისი ნაპირების ქვეყნების ინდუსტრიას ბაქოსაზედ ბევრად უფრო იაფფასიან საწვავ მასალას მიაწვდის.

საქართველოს ჩრდილო-კავკასიასთან აღებ-მიცემობას შეუძლიან მიიღოს გაცილებით უფრო ფართო ხასიათი, რომელიც მიაღწევს სხვადასხვა ნაწარმოებებს 100 მილიონებით ფუთს, თუ რკინის გზა, 300 კილომეტრის სიგრძისა, ფოთიდან ინგურის და ბაქსანის ხეობებით პროხლადნაიამდეს აშენდა. ეს რკინის გზა შავ-ზღვას კასპიის ზღვასთან 200 კილომეტრით უფრო დააახლოვებს.

ფოთი პეტროვსკიდან (კასპის ზღვის ნავთსადგური) მხოლოდ 620 კილომტრის მანძილზედ იქნება, მაშინ როდესაც დღეს ფოთი ბაქოზედ 808 კილომეტრით არის დაშორებული. პეტროვსკ-ტუაფსედან 818 კილომეტრით და პეტროვსკ-ნოვოროსიისკიდან 909 კილომეტრით. ეს რკინის გზა იქნება ერთადერთი მთის გადალმა გზა, რომლის თავქვე ფერდობები 20 მეათასედს არ აღემატებიან. ექსპლოატაციის დაწყებისთანავე ეს გზა შემოსავლიანი იქნება.

ეს რკინის გზა მადნებით და ტყით უაღრესად მდიდარ, განსაკუთრებით კი მდიდარს ტყვიით, ანტრაციტით, სპილენძით, ოქროთი და სხვით, ადგილებზე გავა. იგი შეუდარებელი სილამაზის პეიზაჟებით, ურიცხვ მინერალურ წყლებით და კლიმატურ სადგურებით მდიდარ კავკასიისკენ დედამიწის ყველა კუთხეებიდან აუარებელ ტურისტებს მიიზიდავს.

გარდა ხორბლეულობისა და სიმინდისა, საქართველო მდიდარია ბამბით, აბრეშუმით, თუთუნით, ჩაით, მატყლით, ტყავეულობით, ღვინით და სხვით. გარდა ამ სიმდიდრისა საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა აიძულებს ამიერკავკასიის, სპარსეთის და ცენტრალური აზიის ნაწარმოების დიდ ნაწილს მის ტერიტორიაზედ გაიაროს.

თუთუნის მოყვანა განსაკუთრებით აფხაზეთში განვითარდა და სუხუმი ამ ნაწარმოებით ვაჭრობის თვალსაჩინო ცენტრად გადაიქცა. კავკასიის უკეთესი თუთუნი ამ მხარეს მოდის.

საქართველოს მთიან ნაწილებში მატყლის და ტყავეულის წარმოებას შეუძლიან მეტად ფართო ფარგლები მიიღოს.

კავკასიაში ითვლება 800 000 ჰექტარზედ მეტი თითქმის ხელუხლებელი ტყე, რომლის უდიდესი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზედ იმყოფება. განსაკუთრებთ აფხაზეთის ტყეები შეუდარებელი არიან ექსპლუატაციის სიადვილით, თავისი სამაგალითო ჯიშით და სუხუმის ნავთსადგურის სიახლოვით და აგრეთვე იმ მიზეზით რომ ბიჭვინთაში ნავთსადგურის აშენება სულ ადვილია.

ბათომის მხარე ბათომის მშვენიერი ნავთსადგურით ტყეების ექსპლოატაციის და მეტალურგიის ინდუსტრიის ღიად მომავალს გვპირდება. ჭოროხის და იმ მდინარეების, რომლებიც მას ერთვიან, ხეობები, დაბურულნი ხელუხლებელი ტყეებით, მდიდარნი არიან სპილენძის, თუნუქის, მანგანეზის და სხვა მინერალების დაუშრეტელი მადნებით. მეტალურგია აქ კაცობრიობის ისტორიის დასაბამი-

დანეე ხარობდა. XX საუკუნის დასაწყისში ინგლისელებმა და გერმანელებმა აქ ქარხნები ააშენეს და წელიწადში ნახევარ მილიონ ფუთზე მეტს გაწმენდილ სპილენძს აკეთებდნენ. ბათომის ნავთსადგური ბაქოს ნავთიან ადგილებთან მილებით არის შეერთებული და ევროპაში ბაქოს ნავთი ამ ნავთსადგურიდან გააქვთ.

ტყეების და მადნების ექსპლოატაციას საქართველოში რკინის გზების სიცოტავე აძნელებდა; განსაკუთრებით ღარიბნი რკინის გზებით მთიანი ადგილები იყვნენ. მხოლოდ მანგანეზმა, ნავთმა და რაოდენადვე სპილენძმა ევროპისკენ გასავალი იპოვეს. ომის უწინ საქართველოდან მანგანეზის ექსპორტი წელიწადში 1,3 მილიონ ტონას აღემატებოდა. ახალი რკინის გზების აშენება საქართველოს და კავკასიის მადნების დამუშავებას და მეტალურგიის ვანვითარებას დიად ძალას მისცემს. კავკასიას ევროპასთან მიმოსვლა საქართველოთი ექნება.

თეთრი ნახშირის უხვობა ამ მომავალ განვითარებას, ისევე როგორც მძლავრ ინდუსტრიის წარმოშობას ხელს შეუწყობს. კომპეტენტურ კომისიების დასკვნების თანახმად საქართველოს მდინარეებს შეუძლიანთ მოგვცენ 4 მილიონი ცხენის ძალა (H. P.). ეს აუარებელი ძალა, თითქმის უფასო, ეჭვს გარეშეა ნედლი მასალის ადგილზედვე ინდუსტრიალურ დამუშავებას წარმოშობს.

საქართველოს მთავრობას თავისი ინდუსტრიის, აგრეთვე როგორც მიმოსვლის და აღებ-მიცემობის საშუალების გასაძლიერებლად, აზრადა აქვს გააშენოს რკინის გზები, ნავთსადგურები, სავაჭრო ნავსნობა და სხვა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიური კომისიის მოხსენების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფოს ჩვეულებრივი დროის შემოსავალი ყოველ მის ხარჯს სავსებით დაჰფარავს და გადაჭარბებს კიდეც".

რესპუბლიკას ჰქონდა თავისი კონსტიტუცია, შედგენილი დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ.

და იყო ასეთი — საქართველოს კონსტიტუცია:

თავი პირველი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 2.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალური სახელმწიფოა.

მუხლი 3.

საქართველოს დედაქალაქი არის ტფილისი, სადაც მუდმივ იმყოფება პარლამენტი და მთავრობა.

მუხლი 4.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა

მუხლი 5.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის — შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა.

მუხლი 6.

ყოველ კანონსა და საკანონმდებლო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

მუხლი 7.

კანონს არა აქვს უკუქცევითი ძალა, გარდა სისხლის სამართლის კანონისა, უკეთუ იგი ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას.

მუხლი 8.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 9.

ადმინისტრატიული დაყოფა და თვითმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობის წესით.

მუხლი 10.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებული იქნას კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს.

მუხლი 11.

კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 12.

ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

მუხლი 13.

საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად საქართველოს რესპუბლიკას ერთად ერთ საშვალებად მიაჩნია დაეისუფალ ერთა კავშირი.

მუხლი 14.

დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.

თავი მეოთხე

მოქალაქეობა

მუხლი 15.

საქართველოს მოქალაქედ ითვლება:

ა) შვილი საქართველოს მოქალაქისა, დაბადებული საქართველოს ტერიტორიაზე ან მის გარეშე;

ბ) ქორწინების გარეშე შობილი საქართველოს მოქალაქე დედისაგან;

გ) ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა;

დ) კანონიერი წესით შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქის მიერ;

ე) უცხოეთში გათხოვილი საქართველოს მოქალაქე-ქალი, რომელიც დაქვრივების ან განქორწინების შემდეგ, განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს; ხოლო არასრულწლოვანი შვილი ასეთი ქვრივისა ან განქორწინებულისა, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადა მამის მოქალაქეობაში დარჩენის სურვილი;

ვ) უცხოელთა არასრულწლოვანი შვილი, ქორწინებაში თუ მის გარეშე შობილი იმ დღიდან, როცა მისი მშობლები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას;

ზ) შვილი საქართველოს იმ მოქალაქე-ქალისა, რომელიც უცხოელს მისთხოვდება, მაგრამ მუდმივ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადა, რომ სურს მამის მოქალაქეობა შეინარჩუნოს, და

თ) ვინც ნატურალიზაციით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

მუხლი 16.

ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვებისათვის შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიან უცხო ქვეშევრდომს ან ქვეშევრდომის გარეშე მყოფს, რომელიც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ცხოვრობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შუამდგომლობა უნდა წარედგინოს რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც ერთი წლის შემდეგ დღიდან შუამდგომლობის აღძვრისა, განიხილავს მის თხოვნას და მიანიჭებს მთხოვნელს მოქალაქეობას, უკეთუ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მავნებლად არ მიიჩნევს; თხოვნის შეტანიდან განხილვამდე მთხოვნელი აუცილებლად საქართველოში უნდა ბინადრობდეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე თვისი სამეცნიერო შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით თუ სხვა რითიმე, შეიძლება ამ ვადის გარეშეც მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. აგრეთვე ვადის არ მიხედვით შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ ყოველი უცხო-ქვეშევრდომი ქართველი.

მუხლი 17.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლიან იყოს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 18.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას ჰკარგავს:

ა) ვინც რესპუბლიკის წინაშე, კანონით განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ მოვალეობათა შესრულების შემდეგ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობას მოიპოვებს ნატურალიზაციის წესით.

ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად, და.

გ) ვინც უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილს.

თავი მესამე

მოქალაქის უფლებანი

მუხლი 19.

მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 20.

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 21.

ხარისხის მინიჭება შეიძლება მხოლოდ თანამდებობის ან პროფესიის აღსანიშნავად; აკადემიური ხარისხს ეს არ შეეხება.

ორდენი და წარჩინების ნიშანი სახელმწიფომ არ უნდა მიანიჭოს.

მოქალაქეს არ შეუძლიან უცხო სახელმწიფოსაგან მიიღოს წარჩინების ნიშანი.

მუხლი 22.

არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არ სასამართლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი.

მუხლი 23.

ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

მუხლი 24.

არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნას ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

მუხლი 25.

ადმინისტრაციას შეუძლიან თვისი უფლებით შეიპყროს ვინმე შემდეგ შემთხვევაში:

ა) როცა ბოროტმოქმედს ზედ დანაშაულის ადგილზე მიასწრებს;

ბ) როცა დანაშაულზე მიასწრებს და დანაშაულისაგან დაზარალებული, ან დამსწრე ვინმე ბოროტმოქმედს ხელს დაადებს;

გ) როცა მას, ვიზედაც ეჭვია მიტანილი, რაიმე გასამტყუნებელი ნივთი აღმოაჩნდება, ან როცა მის ტანზე, ან მის ბინაზე დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოჩნდება.

მუხლი 26.

დამნაშავეთა დაკავება შეუძლიან კერძო პირსაც, თუ დანაშაულის ადგილას მიასწრებს და ამასთანავე ადმინისტრაციის მისვლამდე მათი მიმალვა მოსალოდნელია.

მუხლი 27.

როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ აღნიშნული სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა.

მუხლი 28.

მე-27 მუხლში აღნიშნული სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაჰკითხოს; ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება გასცეს ან მისი შეპყრობის განგრძობისა, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მუხლი 29.

სასამართლოს სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან, უკეთუ რაიმე გზითა და საშვალებით ეცნობათ, რომ ვინმე ზემოაღნიშნულ წესთა დარღვევითაა შეპყრობილი, დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქმე და წერილობითი ბრძანება გასცენ ან მისი განთავისუფლებისა ან შეპყრობის განგრძობის შესახებ.

მუხლი 30.

იმ სატიმროს ან სხვა დაწესებულების უფროსი, სადაც შეპყრობილი ზის, ვალდებულია გაანთავისუფლოს უკანასკნელი, თუ 24 საათში სასამართლოს წერილობითი ბრძანება არ მიუვიდა შეპყრობის განგრძობისათვის.

მუხლი 31.

ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია; მისი გაჩხრეკა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებისამებრ შეიძლება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 32.

კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია; მისი ამოხმა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 33.

ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია. ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება.

მუხლი 34.

ყოველი მოქალაქე სინიდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლიან აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.

სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლიან, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

მ უ ხ ლ ი 35.

ყველა მოქალაქეს შეუძლიან თავისუფლად დააარსოს ყოველგვარი სარწმუნოებრივი კავშირი, თუ იმ კავშირის მიზანი და მოქმედება კანონით აკრძალული არ არის.

მ უ ხ ლ ი 36.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი ბოროტმოქმედებისათვის, რომელსაც, იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

მ უ ხ ლ ი 37.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბონ საჯაროთ და უიარაღოთ, როგორც ჰერქვეშ, ისე გარეთ.

მ უ ხ ლ ი 38.

ადმინისტრაციას შეუძლიან დახუროს კრება, თუ დანაშაულის ხასიათი მიიღო.

მ უ ხ ლ ი 39.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დააარსონ ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მ უ ხ ლ ი 40.

გონებრივი, სასულიერო, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონების მიხედვით.

მ უ ხ ლ ი 41.

პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია.

მ უ ხ ლ ი 42.

მუშათა მშვიდობიანი გაფიცვა თავისუფალია, უკეთუ არ ეწინააღმდეგება კანონსა და სახელმწიფო ინტერესებს.

მ უ ხ ლ ი 43.

ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით.

მ უ ხ ლ ი 44.

ქორწინება უნდა ემყარებოდეს უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. ქორწინების ფორმასა და წესებს კანონი განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი უფლებითა და მოვალეობით თანასწორნი არიან. დედას უფლება აქვს იდაოს და დაამტკიცოს, ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა; აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს ეძიოს თავისი მამა.

მ უ ხ ლ ი 45.

აკრძალულია — უცხო სახელმწიფოს გადაეცეს პოლიტიკური დამნაშავე.

მ უ ხ ლ ი 46.

საქართველოში უცხოელებს ისეთივე პირადი და ქონებრივი უფლება აქვთ, როგორც რესპუბლიკის მოქალაქეებს, თუ მათი უფლება სხვარიგად არ არის განსაზღვრული საერთაშორისო წესებით.

მ უ ხ ლ ი 47.

ზემოაღნიშნულ კანონთა დადგენლების დარღვევისათვის, როგორც თანამდებობის ისე კერძო პირი მიეცემა პასუხისგებაში, თანახმად სისხლის სამართლის კანონებისა.

მ უ ხ ლ ი 48.

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მ უ ხ ლ ი 49.

შინაური ამბოხებისა ან უცხო სახელმწიფოსთან ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 24, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 36, 37, 42 და 48, ომის დროს—კი 23 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მომქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლიან თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება, მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის ქმედგენილება წარუდგინოს.

მ უ ხ ლ ი 50.

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით მე-24, 27, 28 და 33 მუხლში აღნიშნულ უფლებათა გარანტია, რამდენადაც ამას ეპიდემიასთან ბრძოლა მოითხოვს.

მ უ ხ ლ ი 51.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ შეწყნარებული პრინციპებისაგან.

თავი მეოთხე

პარლამენტი

მუხლი 52.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეული დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რომელსაც ოცი წელი შესრულებია.

პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით.

მუხლი 53.

პარლამენტის წევრთა ასარჩევად რესპუბლიკა დაყოფილია საარჩევნო ოლქებად თანახმად კანონისა. თვითეულ ოლქს უნდა მიეკუთვნოს განსაზღვრული პროპორციული რიცხვი დეპუტატებისა მცხოვრებთა რაოდენობისამებრ. არჩევნების დანარჩენ წესრიგს განსაზღვრავს საარჩევნო კანონი.

მუხლი 54.

პარლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელს ერს და არა ცალკე ოლქს, რომელმაც ისინი აირჩია.

მუხლი 55.

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულობისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავისი მოვალეობის ასრულების დროს. პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილი ან სამართალში მიცემულ იქნეს, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება, თუ თვით პარლამენტმა ნება არ დაჰრთო. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ. ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს; შეპყრობილი ან სამართალში მიცემული პარლა-

მენტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს, თუ პარლამენტი მოითხოვს.

მუხლი 56.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდვეს, როგორც დეპუტატს. ეს უფლება არ ეკარგება მას მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება.

მუხლი 57.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

მუხლი 58

პარლამენტის წევრს არ შეუძლიან იმავე დროს რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა ეჭიროს სახელმწიფოს ან ადგილობრივ მმართველობის სამსახურში; იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მთავრობის წევრი, სახელმწიფო კონტროლიორი, მინისტრის ამხანაგი, ან ასრულებდეს ადგილობრივ მმართველობის ხმოსნის მოვალეობას. დეპუტატს შეუძლიან მიიღოს მთავრობისაგან რაიმე პოლიტიკური დავალება ვადით — არა უმეტეს ექვსი თვისა.

მუხლი 59.

ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.

მუხლი 60.

პარლამენტი გამოსცემს კანონსა, დეკრეტსა და დადგენილებას; მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

მუხლი 61.

პარლამენტის უფლებაა:

ა) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა;

ბ) ომის გამოცხადება;
გ) ზავის ჩამოგდება;
დ) დამტკიცება საზავო, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულობისა უცხო სახელმწიფოებთან;
ე) ამნისტია;
ვ) ბიუჯეტის დამტკიცება;
ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება;
თ) თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული, და
ი) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

მ უ ხ ლ ი 62.

პარლამენტის სხდომები საჯაროა; მაგრამ პარლამენტს შეუძლიან განსაკუთრებული დადგენილებით ფარულად გამოაცხადოს თავის სხდომა, ან ნაწილი სხდომისა.

მ უ ხ ლ ი 63.

პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტს ყოველსავე დავას ამ საგანზე.

მ უ ხ ლ ი 64.

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ არის მიღებული.

მ უ ხ ლ ი 65.

პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა.

მ უ ხ ლ ი 66.

პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობისადმი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა. წესი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით ან რეგლამენტით.

მ უ ხ ლ ი 67.

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტით თავის მოქმედების წესს.

მ უ ხ ლ ი 68.

პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირის დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას.

მ უ ხ ლ ი 69.

პარლამენტის მუშაობის დროებით შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

მ უ ხ ლ ი 70.

პარლამენტის მუშაობა შეიძლება შეწყვეტილ იქნეს ვადით არა უმეტეს ხუთი თვისა წელიწადში. როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვეტილია, მისი მოწვევის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევისათვის აქვს მთავრობას, ან პარლამენტის პრეზიდიუმს.

პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს.

მ უ ხ ლ ი 71.

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:

ა) პარლამენტის ყოველ წევრს, და

ბ) 5,000 ამომრჩეველს.

მ უ ხ ლ ი 72.

თუ ოცი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერნდუმოთ ხალხს წარუდგინოს.

რეფერენდუმის წესს განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 73.

პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს.

არ შეიძლება ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ ან მის ამხანაგად არჩეულ იქნეს ზედიზედ.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

მ უ ხ ლ ი 74.

უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

მ უ ხ ლ ი 75.

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი.

მ უ ხ ლ ი 76.

მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი.

მ უ ხ ლ ი 77.

მთავრობის დანარჩენ წევრებს— მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

მ უ ხ ლ ი 78.

მთავრობის წევრს არ შეუძლიან იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს, ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს; შეუძლიან იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი მმართველობის ხმოსანი.

მ უ ხ ლ ი 79.

თავმჯდომარე სცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მმართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისა კანონში აღნიშნულ წესისამებრ.

თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება, გარდა იმისა, რაც ამ კონსტიტუციით არის მისდა მიკუთვნებული.

მ უ ხ ლ ი 80.

როდესაც თავმჯდომარე ავად არის ან სხვაგან იმყოფება, მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მინისტრი, მისივე დავალებით.

მ უ ხ ლ ი 81.

მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა:

ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა.

ბ) თვალ-ყურის დევნება და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა.

გ) წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტისა, აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული.

დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა.

ე) უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაცდელისაგან და დაცვა მისი ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობისა.

ვ) ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის.

მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა რესპუბლიკისა 3,000 კაცამდე, ვადით არა უმეტეს 21 დღისა. უკეთუ მეტი ძალა დასჭირდა, ან მეტის ვადით, ამის ნებართვა პარლამენტისაგან უნდა მიიღოს.

ზ) განაგოს ფინანსები, სჭრას ფული თანახმად კანონისა, და ყოველ წლივ წარუდგინოს პარლამენტს შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა და ბიუჯეტი.

თ) ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და ყოველ წელს ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობისათვის; წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება, უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და

ი) შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია.

მ უ ხ ლ ი 82.

რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის.

მ უ ხ ლ ი 83.

როგორც მთავრობა მთლიანად, ისე თვითეული მინისტრი აღჭურვილი უნდა იყოს პარლამენტის ნდობით. როგორც მთავრობა ისე თვითეული მინისტრი უნდა გადადგეს, თუ დაჰკარგავს პარლამენტის ნდობას მისი გადაჭრილი დადგენილებით.

მთავრობა განსაზღვრავს პოლიტიკის საერთო მიმართულებას და პასუხისმგებელია ამ მიმართულებისა და საერთო გამგებლობისათვის (მუხ-.81). თვითეული მინისტრი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით უძღვება მისთვის მინდობილ საქმეს (მუხ. 82).

მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ მაშინ, როცა დეპუტატად ირიცხება.

მ უ ხ ლ ი 84.

მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომას დაესწროს. თუ მინისტრმა მოითხოვა, პარლამენტი და მისი კომისია ვალდებულია მოუსმინოს. თავის მხრით პარლამენტისა და კომისიის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა-განმარტება მისცეს.

მ უ ხ ლ ი 85.

მთავრობის წევრთა პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მთავრობის წევრთა გასამართლება საერთო წესით იწარმოება.

მ უ ხ ლ ი 86.

ერთისა და იმავე პირის არჩევა მთავრობის თავმჯდომარედ ზედიზედ არ შეიძლება.

თ ა ვ ი მ ე ო ე ქ ვ ს ი

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

მ უ ხ ლ ი 87.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო — სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი და რომელიც მოვალეა:

ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვასა და სისწორით ასრულებას, და

ბ) გაანაგოს სასამართლო საწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.

მ უ ხ ლ ი 88.

სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრატიული სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები.

სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

მ უ ხ ლ ი 89.

სასამართლო დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

ბართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

მ უ ხ ლ ი 90.

სასამართლოს არცერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრატიული ორგანოს მიერ.

მ უ ხ ლ ი 91.

სასამართლოს სხდომა საჯაროა; მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი, სხდომა შეიძლება კარდახურულ იქნეს თვით სასამართლოს დადგენილებით.

მ უ ხ ლ ი 92.

ყოველგვარ სისხლისსამართლ-ს, პოლიტიკურის და აგრეთვე ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

მ უ ხ ლ ი 93.

მოსამართლის თანამდებობის მიღების წესი, აგრეთვე პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, აღნიშნულია კანონში.

მ უ ხ ლ ი 94.

არ შეიძლება სასამართლოს წევრის დათხოვნა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ.

თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალში ან გამოძიებაში იქნება მიცემული.

სრულიად დათხოვნა-კი შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენის ძალით.

თ ა ვ ი მ ე ხ ვ ი დ ე

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

მ უ ხ ლ ი 95.

არცერთი გადასახადი არ შეიძლება დაწესებულ ან აკრეფილ იქნეს, თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ადგილობრივი მმართველობის გადასახადთა დაწესების უფლებას განსაზღვრავს ცალკე კანონი.

მ უ ხ ლ ი 96.

სახელმწიფო გადასახადისაგან ვერავინ განთავისუფლდება, თუ არ კანონის ძალით.

მ უ ხ ლ ი 97.

თუ არ კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

მ უ ხ ლ ი 98.

პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო სესხი და არც რაიმე ფინანსიური ვალდებულება.

მ უ ხ ლ ი 99.

როდესაც პარლამენტის სხდომები შეწყვეტილია, ხოლო სესხის აღებას საჭიროება მოითხოვს, პარლამენტი საჩქაროდ მოწვეულ უნდა იქნეს.

მ უ ხ ლ ი 100.

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში აღნიშნული უნდა იქნეს. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

მ უ ხ ლ ი 101.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაჰფაროს პარლამენტის ნებართვით.

მ უ ხ ლ ი 102.

ხარჯის გადატანა ერთი მუხლიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

თავი მერვე

სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 103.

სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება;

ბ) სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი, და

გ) მთავრობის და სხვა და სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში.

მუხლი 104.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხის მგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

მუხლი 105.

კონტროლის ორგანიზაცია და წესი მოქმედებისა განსაზღვრულია კანონით.

თავი მეცხრე

სახელმწიფო თავდაცვა

მუხლი 106.

ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა თანახმად კანონისა.

მუხლი 107.

სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

მუხლი 108.

სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 109.

ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ პარლამენტი ამტკიცებს.

მუხლი 110.

ჯარში ჩარიცხული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ერთგულების ფიცსა ან აღთქმას სდებს.

თავი მეათე

ადგილობრივი მმართველობა

მუხლი 111.

ადგილობრივი მმართველობა განაგებს ადგილობრივი მართვა-გამგეობის და მეურნეობის საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 112.

ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია, უფლება, მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 113.

ადგილობრივ მმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

მუხლი 114.

ადგილობრივი მმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.

მ უ ხ ლ ი 115.

ადგილობრივი მმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

მ უ ხ ლ ი 116.

მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი მმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ ეწინააღმდეგება კანონს. წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

მ უ ხ ლ ი 117.

ადგილობრივი მმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს.

მ უ ხ ლ ი 118.

იმ საგნებს, რომლის შესახებაც ადგილობრივი მმართველობის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 119.

ადგილობრივ მმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, განსაზღვრული ცალკე კანონით.

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა, ს ა მ უ ს ლ ი მ ა ნ ო ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ა ზ ა ქ ა თ ა ლ ი ს ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა

მ უ ხ ლ ი 120.

აფხაზეთის (სოხუმის ოლქის), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი), საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს, ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 121.

წინა მუხლში მოხსენიებულ ავტონომიურ მმართველობის დებულება შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

თავი მეთორმეტე

სწავლა-განათლება და სკოლა

მუხლი 122.

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია; სახელმწიფოს მოვალეობა არის მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

მუხლი 123.

სახელმწიფო ზრუნავს — ხელოვნებისა, ისტორიისა, კულტურისა თუ ბუნების ნაშთი და ძეგლი დაცულ იქნეს და უცხოეთში არ იქნეს გატანილი.

მუხლი 124.

პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველ დაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა.

სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.

მუხლი 125.

პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს -საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცემათ.

მუხლი 126.

კერძო თაოსნობით გამართული სკოლა ემორჩილება რესპუბლიკის კანონს.

მ უ ხ ლ ი 127.

სავალდებულო სწავლის დამთავრებისას თვითეულ მოწაფეს ეძლევა ერთი ცალი კონსტიტუცია.

თ ა ვ ი მ ე ც ა მ ე ტ ე

ს ო ც ი ა ლ-ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი უ ფ ლ ე ბ ა ნ ი

მ უ ხ ლ ი 128.

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მ უ ხ ლ ი 129.

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესითა და საფასურით.

მ უ ხ ლ ი 130.

რესპუბლიკას შეუძლიან კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს ის სავაჭრო, სამრეწველო და სამეურნეო დარგი და კერძო წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მ უ ხ ლ ი 131.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია სოფლის მეურნეობის აყვავება. მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწისმფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მ უ ხ ლ ი 132.

დაქირავებული სამუშაო ძალა რესპუბლიკის კანონმდებლობის საზრუნავი საგანია.

მ უ ხ ლ ი 133.

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ მმართველობას ევალება დააარსოს შრომის ბირჟა, შუამავალი კანტორა და სხვა

ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს საშოვნელად.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მ უ ხ ლ ი 134.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მ უ ხ ლ ი 135.

მოხუცებულობით, დაავადებით, თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლიან.

მ უ ხ ლ ი 136.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

მ უ ხ ლ ი 137.

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლად რესპუბლიკის წლიური შემოსავლიდან უნდა გადაიდოს არა ნაკლებ 5%-ისა.

მ უ ხ ლ ი 138.

ნორმალი სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა

უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს საშუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 139.

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია; 16-18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო ისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მ უ ხ ლ ი 140.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

მ უ ხ ლ ი 141.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მ უ ხ ლ ი 142.

შრომის დამცველი კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მ უ ხ ლ ი 143.

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა.

თავი მეთოთხმეტე

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მუხლი 144.

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე.

მუხლი 145.

ამა თუ იმ უმცირესობისადმი მიკუთვნება განისაზღვრება თანახმად მოქალაქეთა სურვილისა და მათი ნებაყოფლობითი განცხადებისა.

მუხლი 146.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ ეროვნულ უმცირესობას უფლება აქვს შეადგინოს ეროვნული კავშირი, მოაწყოს და დაიცვას თავისი კულტურული საქმე კონსტიტუციისა და კანონების საზღვრებში.

მუხლი 147.

ეროვნულ კავშირს უფლება აქვს გახდეს იურიდიულ პიროვნებად თანახმად საერთო წესებისა.

მუხლი 148.

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისათვის.

მუხლი 149.

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლიან აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც შეიცავს კონსტიტუციითა და

კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მ უ ხ ლ ი 150.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მ უ ხ ლ ი 151.

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გაღებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მოქალაქეთა ეროვნული შედგენილობის პროპორციის შიხედვით.

მ უ ხ ლ ი 152.

ეროვნული უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის დედა-ენაზე.

მ უ ხ ლ ი 153.

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

მ უ ხ ლ ი 154.

კანონთა გამოქვეყნების წესი ეროვნული უმცირესობისათვის განისაზღვრება ცალკე კანონით.

მ უ ხ ლ ი 155.

არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლიან პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით.

თავი მეთხუთმეტე

სახელმწიფო მოხელენი

მუხლი 156.

საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებული იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

მუხლი 157.

მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ იქნეს იმ დაწესებულების ან უფროსის განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული; ხოლო სრულებით დათხოვნა სამსახურიდან შეიძლება იმ ორგანოს დადგენილებით, რომელსაც ამის უფლება ექნება მინიჭებული კანონით.

მუხლი 158.

თვითეულ მოხელეს მიენიჭება უფლება პენსიისა. მოხელისა და მისი ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობას განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 159.

თვითეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისამებრ.

მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს სახელმწიფოს.

თავი მეთექვსმეტე

სახელმწიფო და ეკლესია

მუხლი 160.

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან. არ შეიძლება იქნეს გამოცემული ისეთი კანონი, რო-

მელიც აღიარებს ან უარყოფს რომელსამე სარწმუნოებას ან სარწმუნოებრივ ორგანიზაციას.

მ უ ხ ლ ი 161.

არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა.

მ უ ხ ლ ი 162.

ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ მმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

თ ა ვ ი მ ე ჩ ვ ი დ მ ე ტ ე

კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი ს გ ა დ ა შ ი ნ ჯ ვ ა

მ უ ხ ლ ი 163.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადაშინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:

ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის არა ნაკლებსა, და

ბ) 50.000 ამომრჩეველსა.

მ უ ხ ლ ი 164.

წინადადება კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივ გადაშინჯვისა პარლამენტის დღიურ წესრიგში შედის განსახილველად არა უადრეს ექვსი თვისა შეტანის დღიდან.

მ უ ხ ლ ი 165.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადაშინჯვის წინადადება მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის დადასტურების შემდეგ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადაშინჯვის წინადადების საგნად.

...და „არ იშლიდა“ საქართველო თავის დამოუკიდებლობას — თავისი „მემუარით“, თავისი „დემოკრატიული რესპუბლიკით“, თავისი „კონსტიტუციით“, თავისი „პარლამენტით“, თავისი დროშით და ღერბით.

და არც ზეიმი „არ დაიშალა“ თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ერთი წლის თავზე.

მაგრამ თბილისელმა ბოლშევიკებმაც „არ დაიშალეს“ თავისი: მათ ამ დღეს საგანგებო პროკლამაცია გამოუშვეს, ქართველთა ეს ზეიმი შოვინიზმისა და კონტრრევოლუციის გამოვლინებად მონათლეს და პროკლამაცია ასეთი ლოზუნგებით დააგვირგვინეს:

„ძირს ქართველი შოვინისტები! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკას!.. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!“[50]

ჩრდილოეთიდან კი დენიკინის შემოსევის საფრთხე არ შორდებოდა ამიერკავკასიას, განსაკუთრებით საქართველოს და აზერბაიჯანს.

26 ივნისს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ბაქოს პროლეტარიატის წარმომადგენლებმა, ა. შიქოიანმა და გ. სტურუამ, წინადადება წამოაყენეს მოწვეულიყო ამიერკავკასიის მუშათა ყრილობა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა. მაგრამ ეს წინადადება თბილისის საბჭომ არ მიიღო.[51]

ნახევარი წლის შემდეგ მოსკოვიდან საბჭოთა ხელისუფლებამაც დაუყენა წინადადება საქართველოს — ერთად ვიომოთ დენიკინის წინააღმდეგო,მაგრამ „ეს წინადადებაც უარყო ჟორდანიას მთავრობამ“.[52]

1919 წლის 16 ივნისს კი, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი შეკრა აზერბაიჯანის მუსავატისტურ ხელისუფლებასთან.

ხოლო, 31 ივნისს თბილისში ჩამოვიდა დენიკინის წარმომადგენელი, ქართველი გენერალი ბარათოვი, და ჩამოსვლისთანავე მოლაპარაკება გააჩაღა საქართველოს მთავრობასთან.

6 აგვისტოს, უკვე წასასვლელად აშლილ ინგლისელებს საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებმა თხოვნით მიმართეს — ნუ გაიყვანთ ჯარებს ამიერკავკასიიდანო.

ინგლისის სარდლობამ თანხმობა განაცხადა, დარჩენილიყვნენ მანამ, სანამ მოკავშირეთა სხვა (იტალიელი) ჯარები შემოაღწევდნენ ამიერკავკასიაში.[53]

გენერალი ბარათოვი კი, დენიკინის სახელით, საქართველოს მთავრობას ჩრდილოეთ საზღვრების უშიშროებას ჰპირდებოდა, ხოლო სამაგიეროდ „დობროარმიის" მთავარსარდალი სამხრეთიდან მის დასახმარებლად მომავალი საომარი რესურსების, საქართველოზე გადასვლისას, უვნებლად და დაუბრკოლებლად გატარებას მოითხოვდა.

მაგრამ ბარათოვის მისია ბოლშევიკებმა ჩაშალეს, მათთვის ნაცადი ტერორისტული აქტით. 1919 წლის 13 სექტემბერს ბარათოვს ყუმბარა ესროლა და სასიკვდილოდ დაჭრა ბოლშევიკმა არკადი ელბაქიძემ, თუმცაღა მკვლელიც იქვე თვითონვე შეიქნა სიკვდილის კერძი.

დენიკინის მზის ჩასვენების დროც დამდგარიყო. ბოლშევიკური წითელი არმია ფართო კონტრშეტევაზე გადმოსულიყო და ზედიზედ შეემუსრა თეთრგვარდიული დივიზიები.

8. უგემური დიპლომატია

საქართველოს მთავრობას, თუნდაც როგორც ნეიტრალურს, ბოლშევიკურ მოსკოვში მაინც ჰყავდა დიპლომატიური წარმომადგენელი.

ეს უფრო „ერთმორწმუნე რუსეთთან" ქართველთა უწყვეტი ურთიერთობის გაგრძელება იყო, რომელსაც ფესვები მე-17-18 საუკუნეებში ჰქონდა, სახელოვან „მოსკოვის ქართულ კოლონიაში".

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომაც, დროებით მთავრობას ამ „კოლონიისათვის“ ხელის ხლება ფიქრადაც არ მოსვლია. მხოლოდ თვითონ ქართველებმა გადააკეთეს „მშობლიურ მოსკოვში“ თავისი „კოლონია“ დემოკრატიულ საწყისებზე: აირჩიეს თავისი უმაღლესი ორგანო, სახელად დაარქვეს „მოსკოვის ქართველთა ნაციონალური საბჭო“, რომელიც თავისი საქველმოქმედო და საგანმანათლებლო საქმეებით ერთნაირად მოსათმენი უნდა ყოფილიყო ყოველი ვარიაციის ადგილობრივი რუსული ხელისუფლებისათვის.

მაგრამ ის რაც ქართველების მიმართ ჩვეულებრივი და მოსათმენი იყო რუსების — როძიანკოს, ლვოვისა თუ კერენსკისათვის, უჩვეულო, მოუთმენელი და შეუწყნარებელი აღმოჩნდა ქართველი ჯუღაშვილისათვის.

როგორ თუ „ქართველთა ნაციონალური საბჭო“!

„ნაციონალური“?!

„მაშასადამე, შოვინისტური!“

ჯუღაშვილს რუსული შოვინიზმი არ ა ფ ი ქ რ ე ბ დ ა ისე, როგორც „ქართული შოვინიზმი“ ა შ ი ნ ე ბ დ ა!

მაგრამ ქართველებმაც არ დაიბნენ და მალე თანამემამულის (უფრო ზუსტად—ნათანამემამულარის!) ხელით დანგრეული „ნაციონალურის ნანგრევებზე“ ახალი, „დრო და ჟამის შესაფერად“, „ქართული მუშათა კლუბი“ ჩამოაყალიბეს.

მთავარი აქ სწორედ „მუშური“ ფირნიში იყო, ანუ ძველი „ნაციონალური“ ორგანიზაციის „გ ა მ უ შ ე ბ ა“ (ეს ახალი „გენიალური ზმნა“ უკვე იხმარებოდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ სიტყვიერებაში).

სტალინის მოტყუება ვის შეეძლო, მაგრამ იგი ჯერჯერობით (ალბათ „დრომდე“, „მის დრომდე“) თითქოს ჩაწყნარდა. მოსკოველ ქართველთა „გამუშებული კლუბი“ თეატრად იქცა. აქ იმართებოდა მაღალკულტურული სპექტაკლები სახელოვანი ლადო მესხიშვილის მონაწილეობით, სისტემატურად იკითხებოდა ლექციები და მოხსენებები კულტურის ცალკეულ საკითხებზე, ხელოვნებაზე, ნაციონალიზმზე თუ ინტერნაციონალიზმზე, რუსეთსა და საერთოდ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ქართული „მუშათა კლუბი“ მომხსენებლებად იწვევდა ყველა ღირსეულ მოაზროვნეს, განურჩევლად პარტიებისა და პო-

ლიტიკური მიმდინარეობებისა, მათ შორის ძალიან ხშირად თვითონ ბოლშევიკებსაც.

ქართველთა საკრებულომ ერთბაშად დიდი სახელი დაიგდო. თეატრი ხალხს ველარ იტევდა. ეს კი „მეტისმეტი“ აღმოჩნდა: პოპულარობა თავხედობად შეფასდა და ერთ დღეს, ყოველგვარი მიზეზისა და ახსნა-განმარტებათა გარეშე, ქართული „კლუბი“ — ისე რომ „გამუშებამაც“ ველარ უშველა — მთავრობის სახელით, დაკეტეს.[54]

მოსკოვის ყველა სათვისტომო — მათ შორის, თათართა და სომეხთა — დატოვეს, ქართული კი გააუქმეს.

მაგრამ რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ, როგორც ეტყობა, სტალინის „ანტიქართული განწყობილებების“ მიუხედავად, მაინც „შესაძლებლად ჩასთვალა“ საქართველოსთან „ერთმორწმუნოებრივი“ ურთიერთობის გაგრძელება.

1918 წლის 11 ივნისს საქართველოს ნაციონალურმა საბჭომ რუსეთის მთავრობასთან დიპლომატიური მისიის რწმუნებანი მიანდო გაბრიელ (გაბო) ხუნდაძეს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჩიჩერინი, ჯერ თითქოს დაბნეული შეხვდა ქართველ ელჩს, მერე ვითომ გონს მოეგო, „კარგი ამხანაგური ტონიც“ აღიდგინა და ჩვეულებრივი მი-მო-სალმების შემდგომ, მრავალმნიშვნელოვნად უთხრა: აჯობებდა, თქვენ მისულიყავით ნაციონალურ საქმეთა კომისართანო“.[55] თითქოს ამით ჩიჩერინი ხუნდაძეს პატივსაც მიაგებდა — სხვა რაღა გინდა, ქართველს ქართველთან გაგზავნიო. მაგრამ ხუნდაძეს, თითქოს ამის საპასუხოდ არც ეცალა, უმალვე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი დაუდო წინ მასპინძელს.

ჩიჩერინმა კარგა ხანს სინჯა, იკითხა და ატრიალა ეს „უცნაური“ დოკუმენტი და ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა: „კი, მაგრამ... ქართველი ხალხის უმრავლესობა არ ცნობს ამ თქვენს ნაბიჯს“.

ქართველმა დესპანმაც მაშინვე დაწვრილებით აუწყა მოსაუბრეს, რა პირობებში და როგორ მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ისიც, თუ როგორ მოიწონა „ეს ნაბიჯი“ სწორედ ქართველი ხალხის უმრავლესობამ.

მერე, იქვე, სანამ ჩიჩერინი შეპასუხებას მოასწრებდა, გაბრიელ

ხუნდაძემ დასძინა: ახლა, თუ შეიძლებოდეს, თქვენ დამისახელეთ საბჭოთა მთავრობის ერთი ისეთი ნაბიჯი, რომელიც რუსი ხალხის უმრავლესობას მოსწონდესო![56]

ჩიჩერინმა ამ უამურ კითხვას გვერდი აუქცია და ხუნდაძე დაამიმედა: მე გადამწყვეტ ზომებს მივიღებ, რაც შეიძლება სწრაფად იქნას გატანილი საქართველოს დამოუკიდებლობისა და მასთან ურთიერთობის საკითხი სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე, სადაც მომხსენებლად მიიწვევდნენ თვითონ გაბრიელ ხუნდაძეს.

ამით ეს პირველი შეხვედრა დასრულდა. ხუნდაძემ ჩიჩერინს მადლობა უძღვნა და დაემშვიდობა.

მოდიოდა და ფიქრობდა ქართველი ელჩი: როგორ გაურთულებია რუს-ქართველთა ურთიერთობა სტალინ-ჯუღაშვილსო, „მიმდინარე მომენტში“.

მალე ასეც შეატყობინეს ქართველ ელჩს: სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს საკითხს მანამ ვერ განიხილავს, სანამ ვოსკოვში არ დაბრუნდება ამხანაგი სტალინი[57] (იმჟამად სტალინი ცარიცინს იყო გაგზავნილი ლენინის მიერ).

მანამდე გაბრიელ ხუნდაძეს რუსეთში ევროპელ დიპლომატებთანაც ჰქონდა შეხვედრები. ჯერ ინგლისელ უორდროპთან, მერე გერმანელ მირბახთან.

„თქვენმა მთავრობამ კეთილშობილური ფორმით გამოაძევა ჩვენი კონსული თბილისიდან“, — განუცხადა უორდროპმა ხუნდაძეს.

— ეგ არ შეეფერება სინამდვილესო, — შეეკამათა ქართველი ინგლისელს — რაკი რუსეთის არმიებმა კავკასიის ფრონტი მიატოვეს და ამით გათამამებული თურქები თბილისისკენ დაიძრნენ, ამიტომ ინგლისის წარმომადგენელი მტრული თურქეთის მბრივ რომ არ დაზიანებულიყო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მას წინადადება მისცა დაეტოვებინა თბილისი, და ამასთან, საქართველოს მთავრობამ ყოველნაირად იზრუნა ინგლისის წარმომადგენლის სრული პატივითა და უვნებლობით გამოსამგზავრებლად.[58]

სწორედ მაშინ რუსული საბჭოთა პრესა იქედებოდა წერილებით, რომლებიც იუწყებოდნენ, რომ, მენშევიკთა ღალატის წყალობით, საქართველო არის მსხვერპლი გერმანიისგან დაპყრობისა და ოკუპაციისა.

ერთ შეხვედრაზე, ხუნდაძესა და მირბახს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ბითხარით, გრაფ, გერმანიის მთავრობა ისევე ხომ არ მოექცევა საქართველოს, როგორც ექცევა იგი პოლონეთს? — ჰკითხა ქართველმა.

— როგორ, ცუდს რას ვაკეთებთ ჩვენ პოლონეთში? — გაიოცა გერმანელმა.

— მე მინდა ვიცოდე ის სიკეთე, რომელსაც თქვენ აკეთებთ პოლონეთში და გსურთ გადაიტანოთ საქართველოშიც.

— რატომაც არა, — ნუთუ ჩვენი გერმანული კულტურა უფრო მაღლა არა დგას პოლონურზე და მით უფრო ქართულზე?

— მე თქვენი კულტურის ძალაში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ ისიც მწამს, რომ ძალიან გაგიჭირდებათ საქართველოშიც შეძლოთ იმის გაკეთება, რასაც აკეთებთ პოლონეთში.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— დიახ, ვფიქრობ, რადგანაც პოლონეთის გადასაყლაპავად პირის დაღებაც საკმარისია, ხოლო საქართველოს გადასაყლაპავად ჯერ საჭიროა გადაყლაპვა შავი ზღვისა, რომელიც ფრიად მლაშე გახლავთ.

მირბახი მცირე ხანს ჩაფიქრდა და მერე ეშმაკური ხმით უთხრა ქართველს:

— მართალი ხართ, მაგრამ ნუთუ თქვენ ლაზისტანი არ გიღიმით?

ხუნდაძემ თითქოს ვერ გაიგო, რას ნიშნავდა გერმანელის ეს ნათქვამი და სახეზე ვითომც გაკვირვება გამოესახა.

მირბახმაც უმალვე აუხსნა სრული სერიოზულობით:

— საქართველოს ისტორიული და ეთნოგრაფიული გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით თუ იგი აიყვანს გერმანელ კრონპრინცს.[59]

ახლა ყველაფერი გასაგები იყო გაბრიელ ხუნდაძისათვის: გერმანელი საქართველოს ლაზისტანის დაბრუნებას ჰპირდებოდა, ხოლო სამაგიეროდ საქართველოს გერმანიის ქვეშევრდომობა უნდა ეცნო.

დიალოგი გერმანელსა და ქართველს შორის შეწყდა.

ამის შემდგომ თურქეთის ელჩსაც შეხვდა მოსკოვში გაბრიელ ხუნდაძე, იმასაც ორჯერ. ძველი, უახლოესი მეგობარივით შეხვდა

ორიენჯერ თურქი ქართველს. საქართველოს დამოუკიდებლობას წინ რა დაუდგება და ხელის შეშლას ვინ გაუბედავსო, — არწმუნებდა იგი ქართველს.

მასუკან, საუბარში, ხუნდაძემ რომ თურქები მეზობლებად მოიხსენია, — თურქმა გააწყვეტინა: რა მეზობლები, რის მეზობლები, ქართველები და თურქები ძმები არიან და არა უბრალო მეზობლებიო.

შემდეგ, უფრო გვიან, როცა ხუნდაძე საქართველოში უნდა წამოსულიყო, თურქთა კონსულმა დიდის ამბით გამოაცილა, გზა დაულოცა და ქართველ სალხთან მილოცვაც გამოატანა, რუსეთის უღლისგან „გამოსხლტომის“ გამო.[60]

ქართველ ელჩს უფრო ხშირი და გულითადი შეხვედრები ჰქონდა პოლოხეთისა და უკრაინის საკონსულოებში. დიდ ინტერესებს იჩენდნენ საქართველოსადმი და მის ელჩსაც კეთილი სამსახურით ეგებებოდნენ პოლონელი ალექსანდრე ლედნიცკი და უკრაინელი ალექსანდრე კრივცოვი. სამაგალითოდ — უკრაინის გენერალურმა საკონსულომ დიდი ზრუნვა გასწია ქართველი სამხედრო ტყვეებისა და ლტოლვილების სამშობლოში გასამგზავრებლად.[61]

რუსულ მთავრობასთან „ნეიტრალური საქართველოს“ ელჩის ურთიერთობა კი ისევ უნდო და უსიამო ხასიათს ატარებდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის განხილვაც გვიანდებოდა მოსკოვში. ისევ სტალინ-ჯუღაშვილის დაბრუნებას უცდიდნენ ცარიცინიდან.

მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი მოსკოვის ნაცვლად ბერლინში გადაწყდა. როგორც ზემოთ ითქვა, გერმანია-რუსეთის ხელშეკრულებაში მე-13 მუხლად ეწერა: რუსეთი თანახმაა, გერმანიამ სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობაო.

სწორედ ნახევარყბად იყო ნათქვამი.

და, კიდევაც სულ მალე, — როცა გერმანია დიდების მწვერვალიდან ძირს დაჭანდა — ჩიჩერინმა საქვეყნოდ გამოაცხადა: ჩვენ გერმანიას უარი არ ვუთხარით, მაგრამ არც იმის ვალდებულება გვიკისრია, საქართველოს დამოუკიდებლობა გვეცნოო.[62]

იმავე დღეებში, ჩიჩერინის მოადგილემ აღმოსავლეთის საკითხებში, კარახანმა, პირდაპირ სეტყვასავით დააყარა გაბრიელ ხუნდაძეს: სახალხო კომისართა საბჭო არა სცნობს არც საქართველოს დამოუკიდებლობას, არც მის დიპლომატიურ წარმომადგენლობას

და არც მის მთავრობას, რადგან ეგ თქვენი „მთავრობა“ მხოლოდ აჯანყებულთა ხროვაა რუსეთის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგო.[63]

სწორედ იმ ჟამად მოხდა სომეხ-ქართველთა უგუნური „ომი“, ძალიან ბევრი შოვინისტისა და ქართველთმოძულის გულს რომ ახარებდა მოსკოვში. როგორ ნატრობდნენ და წინასწარვე ზეიმობდნენ ქართველთა მარცხსა და დამცირებას. როგორ აქეზებდნენ მოსკოველ სომხებს ქართველთა დასაკლავ ომში წასვლაზე, როგორ უგროვებდნენ საჭურველს და ამუნიციას. სწორედ ბოლშევიკთა მთავრობიდანაც, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ა. ი. რიკოვი, თავს ვეღარ იკავებდა და მოსკოველ ვაჭარსა და კომერსანტს, ევანგულოვს, საჯაროდ ულოცავდა „სომხური იარაღის გამარჯვების“.[64]

მაგრამ მილოცვებიც უმალვე გაუცუდდათ და იმედებიც გაუწბილდათ ქართველთმოძულეებს. სომხები და ქართველები გონს მოეგნენ, ერთმანეთის ცხვირ-პირის კაწვრას თავი მიანებეს და გოგ-მაგოგის გულსაჯავრად და გულსაძმარავად, ისევ ძველთაძველ თანამეზობლობასა და თანაძმობას დაუბრუნდნენ...

რუსეთში კი, უმძვინვარეს სამოქალაქო ომს უკიდურესად გაიაფებინა ადამიანის სიცოცხლე. ადგილებზე, სწორედ ადგილობრივი ჩეკისტები თუ რევკომისტები თავის ნებაზე, თავის ჭკუაზე და ხუშტურაზე ხვრეტდნენ ადამიანებს. პოლიტიკური ფორმულა — „ძალაუფლება ადგილებზე და საბჭოთა რესპუბლიკური წყობილების ფედერატიულობა“ — სრულ უფლებას იძლეოდა ხალხის, როგორც „ადგილობრივი კონტრრევოლუციის“ განუკითხავი გაჟლეტისათვის.

„В расход!“ — სიკვდილის ვნებით გატენილ ამ ერთადერთ სიტყვაში ეტეოდა ყოველი ადამიანის ღვთითნაჩუქარი ერთადერთი წუთისოფელი.

და, ქართველისთვის, ამ შემთხვევაში, წამგებიანი იყო ქართველობა.

ანდრია ერისთავი, 70 წლის მოხუცი, რუსეთის შინა-პოლიტიკური ცხოვრებისადმი სრულიად გულგრილი და არარას მოინტერესე, თავისი მოხუცი დებით, პეტროგრადიდან საქართველოში წამოსული, მოგილევში შეეპყრო ადგილობრივ ჩეკას, შეეპყრო და

დაეხერიტა მის დებთან ერთად, იმ ერთადერთი „დანაშაულისთვის", რომ ქართველები იყვნენ...[65]

არც უკრაინას ჰპატიობდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ „დავანებას". ბოგდან ხმელნიცკიზე უკეთესნი და უჭკვიანესნი რით იყვნენ, ვითომ, ახალი უკრაინის მესვეურნი, უკრაინა რომ „რსფსრ"-სგან განკვეთეს და განარიდეს! და უსასტიკესი ანგარიშსწორებით იდევნებოდნენ უკრაინელები უკიდურესი რუსული შოვინიზმისგან.

მაშინ (1918 წ.) უკრაინის დირექტორიამ სთხოვა გაბრიელ ხუნდაძეს, როგორც ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენელს, დაეცვა უკრაინელ მოქალაქეთა ინტერესები საბჭოთა რუსეთში.

ეს იმ ანდაზას ჰგავდა, მკვდარი რომ მკვდარს ეკიდებოდა... მაგრამ მაინც ამოქმედდა ქართველი დიპლომატი. პეტროგრადსა და მოსკოვში უკრაინელ მოქალაქეთა საქმოსაგო პუნქტები დააარსა და პრაქტიკულადაც აამოქმედა.

და, სწორედ იმ ანდაზასავით გამოვიდა: არც ქართველებს, არც უკრაინელებს ყურადღების ღირსადაც აღარ თვლიდნენ. თუმცაღა, ზოგჯერ პირველთ მეორეთაგან განასხვავებდნენ, — ვთქვათ, სასტუმროში სარეგისტრაციოდ მისულ ქართველებს რეგისტრაციაზე პირდაპირ უარს ეუბნებოდნენ, ხოლო უკრაინელებს პირდაპირ აპატიმრებდნენ.

მაღე — 1918 წლის 24 დეკემბერს — „იზვესტიაში", ჩიჩერინის მოადგილის კარახანის ხელმოწერით, გამოქვეყნდა ორი ცირკულიარი: ერთი, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, და მეორე — ბრესტის ზავის ლიკვიდაციის გამო, საბჭოთა ხელისუფლება არ სცნობს უკრაინის დამოუკიდებლობას. ხოლო, აქედან გამომდინარე, ყველა დაწესებულებას და ცალკე პიროვნებას უფლება ერთმევა უკრაინელი მოქალაქის დაცვისა და ქომაგობისა.

მაშასადამე, ორივე ეს „ცირკულიარი" უწინარეს ყოვლისა ეხებოდა საქართველოს და მის წარმომადგენლობას. მაგრამ ამ „ქართულ კაზუსში" უკრაინის ასეთი ჩართვა მაინც დიდი აზრობრივი და სინდისებრივი მშფოთვარებით აღინიშნა რუსეთის პროგრესულ წრეებში. ამიტომ ორ დღეში, 26 ოქტომბერს, „ცირკულიარები", იგივე კარახანის ხელმოწერით, გაუქმებულად გამოცხადდა.

მაგრამ „ცირკულიარებმა" იმ ორდღიანი არსებობითაც ქარ-

თველობას დიდი ენება არგუნა. ერთბაშად 400-ზე მეტი ქართველი დააპატიმრეს მოსკოვში. მხოლოდ ლენინის ჩარევამ და მკაცრმა მუქარამ აღკვეთა მაშინ ქართველთა დევნა.

საქართველოს ელჩი, გაბრიელ ხუნდაძე, დარწმუნებული იყო, რომ ბოლშევიკები საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის ნორმებს ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ და „უკლებლივ ყველაფერს იარაღით ხელში წყვეტდნენ“[66].

მაგრამ მან მაინც სცადა საბჭოთა ხელმძღვანელებთან პირადი შეხვედრებით და სიტყვიერი კონტაქტებით მარად სასურველი მშვიდობიანობის ჩამოგდება.

ამ მხრივ, ქართველ ელჩს ყველაზე ნაკლები იმედი რუსეთის მესვეურთაგან, ქართველთან — ჯუღაშვილ-სტალინთან - შეხვედრისა უნდა ჰქონოდა, და ამიტომ არც უფიქრია მასთან შეხვედრა ხუნდაძეს.

დაიწყო ზინოვიევით, რომელმაც გულდასმით მოუსმინა ქართველ ელჩს. თვითონვე აღიარა III ინტერნაციონალის თავმჯდომარემ, — ბევრი რამ სწორად არ მცოდნია საქართველოს შესახებო, და აღუთქვა, უეჭველად დავაყენებ და ამ ახალი მასალებით, დავიცავ კიდეც საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზეო. გამომშვიდობებისას კი, თითქოს ხუმრობით ჰკითხა ზინოვიევმა ხუნდაძეს: ჩვენ რომ თქვენი დამოუკიდებლობა ვცნოთ, ეს ინგლისის თვალში სახელს ხომ არ გაუტეხს საქართველოს?

— 1918 წლის 26 მაისიდან საქართველომ ყოველი თავისი საზრუნავი თვითონვე აიღო თავის კისერზეო, — უპასუხა ქართველმა.

შემდგომი შეხვედრა კამენევთან ჰქონდა. ეს შეხვედრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან სწორედ კამენევის შუამდგომლობით ხუნდაძე ბოლოს და ბოლოს უნდა შეხვედროდა ლენინს.

კამენევი თავაზიანად დათანხმდა ქართველს ლენინთან შუამდგომლობაზე და იქვე, წინასწარ, ხუთ-ექვსი წუთით ადრე ლენინთან უმაღლეს დონეზე შეხვედრის წინ, გაიმართა თავისებურად „მოსამზადებელი ხასიათის“ დიალოგი:

— თანახმაა თუ არა საქართველო შეიდეს რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკაში? — იკითხა კამენევმა.

ბუნებრივია, უნდა შემცბარიყო ხუნდაძე. მაგრამ ბუნებრივად უნდა გაეცა პასუხი ამ „არაბუნებრივი“ კითხვისათვის და გასცა კიდეც:

— მე რომ ვიცოდე, საქართველო რუსეთის ფედერაციაში შესვლას დასთანხმდება, მაშინ მე არც დავაყენებდი აქ მისი დამოუკიდებლობის საკითხს. მაგრამ ვფიქრობ, თუ საბჭოთა ხელისუფლება გულწრფელად ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და უარს იტყვის მის შინაურ საქმეებში იარაღით ჩარევაზე, სამაგიეროდ საქართველო უარს არ იტყვის რუსეთთან უმტკიცეს პოლიტიკურ კავშირზე.

— შეუძლია თუ არა საბჭოთა ხელისუფლებას იმედი ჰქონდეს სამხედრო დახმარებისა საქართველოს მხრივ? — იკითხა ისევ კამენევმა.

ისევ უნდა გაოცებულიყო ქართველი ელჩი. ნეტავ ხომ არ გვეხუმრებიან, ან დაგვცინიან? საქართველო რუსეთს საომარი ძალებით უნდა მიეშველოსო? მაშინდელი საქართველო — მაშინდელ რუსეთს?!

მაგრამ წონასწორობა არც ახლა დაუკარგავს ქართველს და უპასუხა ამ მეორე „უპასუხო კითხვასაც“:

— სამხედრო დახმარებაზე სიტყვის დაძვრაც კი ზედმეტია, რადგან, მრავალ სხვა ხიძნელეებთან ერთად, უთვალავ მტერთაგან თავდაცვის აუცილებლობა მთლიანად ნთქავს საქართველოს ძალებს. მაგრამ მე მაინც თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველო თავის საზღვრებში არ დაუშვებს საბჭოთა რუსეთის არავითარ სამტრო ძალებს და დაჯგუფებებს.

ეს პასუხიც უკამათოდ დატოვა კამენევმა და მესამე კითხვაც „ამოამღერა“:

— დათანხმდება თუ არა თქვენი მთავრობა, დაუშვას საქართველოში ბოლშევიკთა თავისუფალი აგიტაცია?

— მხოლოდ ერთი პირობით, — შეაგება ხუნდაძემ — თუ ბოლშევიკები უარს იტყვიან შეიარაღებულ აჯანყებაზე და უცხო ჯარების, თუნდაც წითელი არმიის დასახმარებლად მოწვევაზე.

ამ სამი კითხვით და სამი პასუხით კამენევ-ხუნდაძის დიალოგი ამოიწურა.

განვლო რამდენიმე ნერვიულმა დღემ და კამენევმა შეატყობინა ხუნდაძეს:

— ლენინს სრულად მოვახსენე ჩვენი დიალოგის შინაარსი, ღ თქვენი პირობები რომ მოისმინა, იმ წუთებიდან სიტყვ.ს მოსმენაც კი აღარ ისურვა საქართველოს დამოუკიდებლობაზე[67]

მაშ, ლენინის იმჟამინდელი — 1918 წლის მიწურულის — აზრი საქართველოს მიმართ ასეთი ყოფილა:

საქართველო თავისით უნდა შეერთებოდა (დაბრუნებოდა) რუსეთს, ხოლო თუ თვითონ არ ინებებდა, მაშინ ადგილობრივი ბოლშევიკებისთვის ხელი არ უნდა შეეშალა და ისინი გააკეთებდნენ ყველაფერს საქართველოს რუსეთთან „შეერთების", „მიერთების", „დაბრუნება-მიბრუნების" საქმეში.

ასეთი ყოფილა საბჭოთა რუსეთის უზენაესი ხელისუფლისა და ჭირისუფლის აზრი და კიდევ სხვა ვინმეს აზრს რადა „აზრი" უნდა ჰქონოდა?

მაგრამ მაინც განაგრძობდა გაბრიელ ხუნდაძე „შეხვედრებს". ამჯერად იგი შეხვდა რიკოვს, — იმ რიკოვს, რომელსაც, როგორც ზემოთ ითქვა, სომეხ-ქართველთა „ომის" დასაწყისში უკვე გაწვლავნებული ჰქონდა უდიდესი სიმპატიები სომეხთადმი და „შესაბამისი" არასიმპატიური განწყობილებანი ქართველებისადმი. მით უფრო ახლა, იმ „ომის" შედეგებით იმედგაცრუებულ არმენოფილ მაგისტრატს, უფრო „ჩამოყალიბებულად" უნდა სძულებოდა ქართველები.

ამიტომ, რისი იმედით მიდიოდა ხუნდაძე რიკოვთან? მაგრამ მაინც მივიდა.

მივიდა, ისიც შეხვდა და მოახალა პირში, გაკაპასებით:

— მე მომხრე ვარ საქართველოს კონტრრევოლუციური მთავრობის შეიარაღებული განადგურებისა, და ყოველნაირად ვეცდები, არასოდეს არ იქნას განხილული საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი სახალხო კომისართა საბჭოში![68]

ძლიერად იყო ნათქვამი, პირდაპირ და პატიოსნად: სძულდა, არ მალავდა და არ ფარისევლობდა „ამხანაგი" რიკოვი.

აქედან გაწბილებულად წამოსულმა ხუნდაძემ რადეკის ნახვა ისურვა, მაგრამ რადეკი ბერლინში წასულიყო და იქ ჩარჩენილიყო იმჟამად.

ალბათ, ბოლოს და ბოლოს, სტალინი უნდა გახსენებოდა ხუნდაძეს, მაგრამ გაახსენდა თუ არა, სტალინთან შეხვედრა რომ სასიკე-

თოს არაფერს შეჰყრიდა, ეს კი სწორედ უნდა სცოდნოდა. და არც მომხდარა ასეთი შეხვედრა.

1919 წლის თებერვლის მიწურულს გაიცა ბრძანება საქართველოს საკონსულოს ლიკვიდაციისა.

ქართველები კი, თითქოს, იხტიბარს არ იტეხდნენ და განაგრძობდნენ „ერთმორწმუნე რუსეთად“ დგომას.

აგრე არ უნდაო და, 30 ივნისს ჩეკისტები მიცვივდნენ და მთელი ქართული მისია პატიმრად აიყვანეს და წაიყვანეს. ერთი რაზმიც იქვე შენობაში ჩაასაფრეს და ერთი კვირის განმავლობაში იჭერდნენ ყველას, ვინც კი საელჩოში რაიმე საქმეზე თუ არასაქმეზე შეაბიჯებდა.

როცა პატიმრები ჩეკას კომენდატურაში მიასხეს, კომენდანტმა ანკეტა გადმოიღო შესავსებად, და შემპყრობელთა უფროსს, კომისარს ჰკითხა, — რა ჩავწერო, რის საფუძველზე ვაპატიმრებთ საქართველოს მისიას? კომისარი ამ კითხვისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა, ჯერ აწრიალდა, მერე სადღაც გავარდა, ისევ მოვარდა და ასეთი „მოტივირებული“ პასუხი მოარბენინა:

„ნაბრძანებია ჩაწეროთ, რომ ქართული მისია დაპატიმრებულია საფუძვლის გარეშე“.[69]

უსაფუძვლოდ პყრობილნი იქვე, მყრალ, ნესტიან დილეგში ჩაჰყარეს.

იქ სხვებიც დახვდნენ ქართველებს დატყვევებულნი: ამერიკელი ვიცე-კონსული, ყოფილი სამხედრო მინისტრი პოლივანოვი, მოსკოველი მილიონერი ფონ-მეკკი, მძარცველობაში გამოჭერილი კომუნისტები, მსხვილი ბანდიტები და წვრილი ჯიბგირები.

იქიდან, რამდენიმე დღის შემდეგ, ბუტირკის ციხეში გადაიყვანეს ქართველები. ბუტირკაში მოათიეს 17 დღეღამე, და გამოუშვეს, — გამოშვებაც ისევე ყოველი იურიდიული თუ სინდისებრივი განმარტების გარეშე, როგორც დაპატიმრება.

საქართველოს მისია, — ისე, რომ თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს — კვლავ განაგრძობდა დიპლომატიურ საქმიანობას.

იმჟამად საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მოწოდებით მიმართა საქართველოს, აზერბაიჯანისა და დაღესტნის მუშებსა და გლეხებს საკუთარის ძალით ებრძოლათ საკუთარ ქვეყნებში „საოცნებო“ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ამით რუსეთის საბჭოური მთავრობა ირწმუნებოდა, რომ

იგი „პროლეტარული რევოლუციის“ ექსპორტს არ აწარმოებდა და არც უცხო სახელმწიფოთა მიწებზე არავითარ პრეტენზიებს არ აცხადებდა.

რაკი ასეა, ახლა კი შეიძლება რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნოსო, — და ისევ მიადგა გაბო ხუნდაძე კარზე ჩიჩერინს. ჩიჩერინმა პილატესავით ხელი დაიბანა და ქართველი ელჩი ნარიმანოვთან გაგზავნა — ახლო აღმოსავლეთის საქმეთა გამგებელთან.

ნარიმანოვმა მაშინვე ორლესური პასუხი შეაგება ხუნდაძეს:

საბჭოთა მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ არ სცნობს მის ახლანდელ ხელისუფლებას!

ამრიგად, უცებ გახდა ნათელი: საბჭოთა რუსეთი წინარე დღეების მიმართვით კავკასიაში რუსული ყაიდის სამოქალაქო ომს ამზადებდა, ადგილობრივ ხელისუფლებათა — მათ შორის ქართველ მენშევიკთა — დამხობით და „საბჭოთა ფედერატიზმის“ დამყარებით.

მაგრამ ქართველთა საელჩომ გადაწყვიტა ფსკერამდე ჩაჰყოლოდა ნარიმანოვის ნათქვამს, სადაც მთავარი მაინც ის უნდა ყოფილიყო, რომ საბჭოთა რუსეთი სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, და, გაბრიელ ხუნდაძემ, „უფრო სინათლის გამოსაჩენად“, ასეთი შინაარსის წერილი შეიტანა საბჭოთა მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროში:

„იმასთან დაკავშირებით, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა მოწოდებით მიმართა საქართველოს, აზერბაიჯანისა და დაღესტნის მუშებსა და გლეხებს, კომუნისტურ წრეებში დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ ცნობს საქართველოს მთავრობას, მაგრამ ცნობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.

ამ გარემოებამ მე მაიძულა განმარტებისათვის მიმემართა ახლო აღმოსავლეთის საქმეთა მმართველის, ამხ. ნარიმანოვისათვის. ამხ. ნარიმანოვმა სავსებით დაადასტურა აღნიშნული ცნობები.

ვტოვებთ რა გვერდზე გაუგებრობას იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლება, არ ცნობს რა საქართველოს ხელისუფლებას, იმავე დროს მოლაპარაკებებს აწარმოებს ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა მთავრობებთან, ნოტებს ცვლის ფინეთის მთავრობასთან და თვით პოლონეთის მთავრობასთანაც კი, რომელიც საბჭოთა რუ-

სეთთან საომარ მდგომარეობაშია. ამიტომ ვთხოვ კოლეგიას გააქეთოს სათანადო განკარგულება, ამხ. ნარიმანოვის ოფიციალური განცხადების „იზვესტიაში“ გამოქვეყნებისა, რომ: საბჭოთა ხელისუფლება ცნობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. საბჭოთა ხელისუფლების ასეთი ნაბიჯი ნაკარნახევია მთელი რიგი მოსაზრებებით:

საბჭოთა ხელისუფლებისგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე ოფიციალური დადგენილების გამოქვეყნება აუცილებელია უპირველეს ყოვლისა რ. ს. ფ. ს. რ. თანამდებობის პირთა და დაწესებულებათა გაცნობისათვის... აღნიშნული დადგენილების გამოქვეყნება წარმოადგენს არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებსაც. საქართველოს ხალხები, დარწმუნდებიან რა მასში, რომ რუსეთში სახელმწიფო ძალაუფლებისათვის მებრძოლ ყველა საზოგადოებრივ ძალთაგან, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას — ეს ხალხები არ დააყოვნებენ მისდამი (საბჭოთა ხელისუფლებისადმი) თავიანთი სიმპატიების გამოხატვას.

ბოლოს, ჩემგან აღძრული საკითხის დადებითი გადაწყვეტა აუცილებელია რიგი დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრისათვის...

წარმოვადგენ რა წინამდებარე წერილს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის საყურადღებოდ, ვიმედოვნებ რომ მას განიხილავთ სასწრაფო წესით.

ხელმოწერა. ბეჭედი“.[70]

ამ წერილით ხუნდაძე გამოცდას ატარებდა: გამოაცხადებდა თუ არა საქვეყნოდ რუსეთის მთავრობა ნარიმანოვის ნათქვამ ფორმულას: ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა და არცნობა საქართველოს მთავრობისა.

და ამ „გამოცდის“ შედეგიც ეს იყო: ქართველი ელჩის მიმართვა სრული უყურადღებობისა და დავიწყების ყუთში ჩააკუბოვეს და საქვეყნოდაც არაფერიც არ გამოაცხადეს.

ისევ არ იტეხდნენ იხტიბარს ქართველები. ისევ „დიპლომატობდნენ“. ისევ „ფუნქციონირებდნენ“.

მაშინ, 1919 წლის 30 ოქტომბრის თარიღით, ჩიჩერინის მოად-

გილემ მ. ლიტვინოვმა მისწერა მოსკოვის ჩეკას საიდუმლო-ოპერატიული განყოფილების წარმომადგენელს:

„ამხ. როსლავეც, ქართული საელჩო, მიუხედავად გაფრთხილებისა, განაგრძობს ფუნქციონირებას, სცემს მოწოდებებს, მიმართავს ოფიციალურად საბჭოთა დაწესებულებებს და ა. შ. აუცილებელია ბოლო მოეღოს ამას, — ამოიღეთ ყველა მათი წიგნები, დოკუმენტები და ბლანკები. გამოუცხადეთ მათ, რომ საელჩოს შემდგომი ფუნქციონირების შემთხვევაში, ყველა მისი წევრები დაპატიმრებულ იქნებიან.

თქვენი მ. ლიტვინოვი“.[71]

მაგრამ ლიტვინოვის წარდგინება და წაქეზებაც აღარ დასჭირვებია ჩეკას, საქმე უფრო იოლად გადაწყდა: იმ დღეებში კავკასიიდან ჩამოვიდა დასმენა-დაბეზღების „კლასიკოსი“, ანასტას მიქოიანი (ბაქოს 26 კომისრის დაბეზღება-გაცემის „კლასიკური გამოცდილებით“)[72], ამჯერად საქართველოს მთავრობის დასმენით და „დახასიათებით“.

და იმ დღესვე საქართველოს ელჩობა პატიმრობაში აიყვანეს.

თვენახევრის თავზე, რუსი მუშების პროტესტის ზეგავლენით, ქართველები ისევ გამოუშვეს ციხიდან.

შემდგომი ბრძოლა და თავის მოტყუება ზედმეტი იყო.

მოსკოვის ქართველთა საელჩომ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და თვითონ საქართველოსაკენ გამოსწია.

9. ხელშეკრულება... „დამატებით“

დადგა, თითქოს, რაღაცნაირი უმძრახობისა და ბუტიაობის დრო რუსეთსა და საქართველოს შორის.

ბუტიაობას კი დიდი დღე არ უწერია, საერთოდ.

კერძოდ და განსაკუთრებით კი, უმძრახობა შეუწყნარებელი ჩანდა რუსთა და ქართველთა შორის.

რუსეთს საქართველო არ ეთმობოდა.

მხოლოდ ეს იყო: საქართველოს დამოუკიდებლობა ვერ მოეთმინა. ფიქრადაც კი.

ახლა მაინც ძალიან სჭირდებოდა საქართველო რუსეთს.

იმ „მიმდინარე მომენტს“ მაინც ძალიან დასჭირდა, რადგან ღენიკინი ჯერ ისევ დენიკინობდა.

და, 1920 წლის დამდეგს, 2 იანვარს, რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობებს წინადადებით მიმართა — დაეწყოთ მოლაპარაკება დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი სამხედრო კავშირის შესაკრავად.

მაგრამ უარი მიიღო რუსეთმა.

საქართველო ანტანტას არ ღალატობდა.

საბაგიეროდ, ანტანტის უზენაესმა საბჭომ 11 იანვარს გამოაცხადა, რომ იგი „დე-ფაკტო“ ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას.[73]

უსაზღვროდ გაიხარა ნოე ჟორდანიამ მუდამ რუსეთის მოყვარეს, ბოლშევიკურ რუსეთს მაინც დასავლეთ ევროპა ერჩივნა და განაცხადა კიდეც საჯაროდ, 14 იანვარს, დამფუძნებელი კრების პირველ სესიაზე:

„ვიცი, მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალისტების მხარეზე ვართ. ამიტომ აქ მე გადაჭრით უნდა განვაცხადო: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“[74].

29 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა, დენიკინთან ერთობლივ ბრძოლაზე უარის თქმისთვის, მამხილებელი ნოტით მიმართა საქართველოს მთავრობას.

ერთ ხანს უპასუხოდ დატოვეს ეს ნოტა მენშევიკებმა.

ისინი ჯერ ვითომ უცვლელად მისდევდნენ რუსეთის მიმართ თავის ნეიტრალურ ფორმულას „Ни Ленин, ни Деникин“, რისთვისაც დაერქვათ კიდეც „Нинисты“, მაგრამ ამ „არავისტებს“ (თუ „არცერთისტებს“), რაკიღა რუსეთზე ნოსტალგია შინაგანად მაინც გულს უჭამდათ, ბოლოს და ბოლოს, არჩევანი უნდა გაეკეთებინათ.

იმჟამინდელი ორი პრეტენდენტიდან ორივე რუსი იყო და საქართველოს მთავრობასაც, მარტივი პოლიტიკური ანგარიშით, ორიენტაცია იმაზე უნდა აეღო, რომელსაც რუსეთის უმაღლესი საჭეთმპყრობელობის უფრო რეალური შანსები ჰქონდა. ასეთი, სწო-

რედ, ლენინი ჩანდა. დენიკინის აქციები კი უკვე ქვეითდებოდა და იძირებოდა. ლენინელები დენიკინელებს დღე-დღეზე საბოლოოდ ამოართმევდნენ სულს.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დენიკინმა თავისი საბრძოლო გზის დაღმართზე, საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო[75], ჟორდანიას მთავრობამ ეს „ცნობა“ უპასუხოდ დატოვა.

ეტყობოდა, ქართველი მენშევიკები, ამჯერად, რუსული პოლიტიკური ჟარგონით რომ ვთქვათ, — „მიმდინარე მომენტს“ სწორად აფასებდნენ.

„მიმდინარე მომენტი“ იმასაც თვალნათლივ აჩვენებდა, რომ ამ სამწლოვან ევროპულ ორიენტაციასაც ავტორიტეტი შერყეოდა და სახელი გასტეხოდა კავკასიაში.

ეს კი, ისევ და ისევ ევროპული ფლეგმატურობის შედეგი უნდა ყოფილიყო, — იმ ფლეგმატიზმისა და ინდიფერენტიზმისა, ოდესღაც კონსტანტინეპოლი რომ დაუკარგა ევროპას.

ახლა კავკასიას ჰკარგავდა ევროპა, ისე როგორც 465 წლის წინათ დაჰკარგა მთავარი ბურჯი ევროპული ქრისტიანიზმისა და ცივილიზაციისა.

(მაშინ „დედამიწის ჭიპი“ დაჰკარგა ევროპამ, ახლა „დედამიწის შუბლსა“ ჰკარგავდა).

ვერც ცალცალკე — საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის „საკითხები“ ვერ გადაწყვიტეს ევროპის ფლეგმა-დიპლომატებმა, ვერც „ზოგად-კავკასიური“.

მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის „ცნობის საკითხი“ რამდენი ათრიეს და აჯანჯღარეს — თუ რუსეთის, თუ სომხეთის, თუ აზერბაიჯანის „ხათრით“ და „ანგარიშის გაწევით“.

ევროპა არც იმაზე იწუხებდა თავს — „თავი გაერთმია“ ამ სამი „ჯუჯა კავკასიელის“ წინააღმდეგობათა დაძლევაზე და მათ შორის „მოდუს ვივენდის“ გამოძებნაზე.

ერთი სიტყვით, ევროპელები რადიკალური მოქმედებით ვერ მოქმედებდნენ.

სამაგიეროდ რუსები მოქმედებდნენ რადიკალურად.

სხვანაირად ამას „ბოლშევიკური რადიკალიზმი“ ერქვა.

ბოლშევიკური რადიკალიზმი — პროლეტარული რევოლუციის სახელით!

ეს, როგორც საერთო სტრატეგია!

ხოლო, ამ სტრატეგიის განხორციელების ტაქტიკური სახეობანი: ექსპროპრიაცია და ლიკვიდაცია.

(ეგ თითქოს არაფერი, რომ ჩვეულებრივი უფილოსოფიო სიტყვიერებით, პირველი მძარცველობას გულისხმობდა, მეორე კი— მკვლელობას; მთავარი იყო — ერთიც და მეორეც ხდებოდა „პროლეტარული რევოლუციის“ სახელით!).

ევროპელები კი ასეთ, „ბოლშევიკურ რადიკალიზმამდე“ ვერ ამაღლებულიყვნენ.

(ვაი, თუ დასავლეთ ევროპისთვის უბედურება იყო, რომ მის გვირგვინსა და დუნე წიაღში, „თავის დროზე“, ცხელმა აზიურ-მონღოლურმა სისხლმა ვერ შეაღწია?!).

1920 წლის 8 აპრილს რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კავკასიის ბოლშევიკთა ბიურო („კავბიურო“).

ევროპას არც გაუგია ეს „უწყინარი“ ამბავი.

მაგრამ რაღა ევროპა, როცა საქართველოს მაშინდელმა მთავრობამაც უკვე ვეღარ შეაფასა „მიმდინარე მომენტის“ სირთულე: რუსეთი „კავბიუროს“ საშუალებით კავკასიის საქმეებში აქტიური ჩარევის პოლიტიკას ანახლებდა.

რუსეთის ახალი დიპლომატია ახლებურად გამოიყენებს თურქეთ-აზერბაიჯანის ეროვნულ ნათესაობასაც და მასთან დაკავშირებულ ევროპულ-კავკასიურ პოლიტიკურ მოვლენებს.

თურქეთთან გადამტერებამ დასაგლეთ ევროპას აზერბაიჯანი გადაამტერა.

ევროპამ აზერბაიჯანი არარად ჩააგდო, ლენინმა კი ამით „რადიკალურ-ბოლშევიკურად“ ისარგებლა: ქემალ ათათურქს ხელი გაუ-

წოდა და თურქეთი აშკარა დაღუპვისგან დაახსნევინა და განამტკიცებინა.

ამდენად, სრულიად ბუნებრივად, თურქეთის მოძმე აზერბაიჯანიც რუსეთის ორიენტაციის გზას უნდა შესდგომოდა.

და, რუსებიც, წუთითაც არ ანელებენ თავის „ბოლშევიკურ რადიკალიზმს". და, წითელი ლეგიონებით, სისხლის დაუკცევლად ეუფლებიან აზერბაიჯანს.

მაშ, 1920 წლის 28 აპრილი, — გასაბჭოება, ანუ ხალხისმიერი ჟარგონით — „გაწითლება" აზერბაიჯანისა.

ახლა ორივე რუსეთის ხელში იყო — ფულიც და სულიც: ბაქოს ნავთიც და რუსეთ-აზერბაიჯანის „პროლეტარულ-ინტერნაციონალური შეერთებაც".

საქართველოს მთავრობა სრული ფლეგმატურობით (აქაც „ევროპული ფლეგმატიზმი"?!) შეხვდა ზედ კარის ზღურბლზე ჩამომდგარ ამ უაღრესად საგანგაშო საკრთხეს.

(საერთოდ სჩვეოდათ ქართველებს საფრთხისადმი დაუდევრობა, მისი არადაგდება — ვთქვათ, რომელიმე მონღოლ-თათართა, შაჰ აბასის, თუ აღა-მაჰმად ხანის შემოსევათა წინ).

აზერბაიჯანის გასაბჭოებიდან ორი დღის შემდეგ, 30 აპრილს, ნოე ჟორდანიამ ასეთი რამ სთქვა დამფუძნებელ კრებაზე: რაკი თვითონ აზერბაიჯანელი ხალხი თანაუგრძნობს თავის ქვეყანაში უცხო ძალის შემოჭრას, მაშინ ამ ძალის წინააღმდეგ ჩვენის მხრივ გამოსვლა იქნებოდა აზერბაიჯანელი ხალხის უფლებათა დარღვევა და, ამავე დროს, ეს გამოიწვევდა ჩვენგან იქ გაგზავნილი ჯარების დაღუპვასაც.[76]

ევროპასთან ქართველთა ურთიერთობებს პოლიტიკური სული უაღრესად დაუკნინდა და ოდენ ეკონომიურ კავშირებზე ზრუნვა შემორჩა. ამ მხრივ, ზურაბ ავალიშვილის მეთაურობით, საქართველომ წარმატებებიც მოიპოვა ლონდონს, რომსა და პარიზში. ლონდონი თანახმა გახდა სესხი მიეცა საქართველოსთვის. იტალიელებმა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოები აიღეს საკონცესიოდ. ფრანგებს მეაბრეშუმეობის აყვავება გადაეწყვიტათ საქართველოში.[77]

ესეც ყველაფერი ოღონდ ქაღალდებზე იწერებოდა, მათი პრაქტიკული განხორციელება კი, თურმე ავი ბედისწერით მოთამაშე გოგისა და მაგოგის ხელში ყოფილა.

მაშ, რუსეთი ისევე მძლავრი ნაბიჯით შემოდიოდა თავის საიმპერიო სამხრეთულ სამანებში.

რუსეთს ლენინი მოუძღოდა, მანამდე რუსეთისთვის გაუგონარი ტიტანი. მისი მეტოქეები — დენიკინიც, ვრანგელიც, ზედმიწევნით მიელეწათ და გადაეთქვრათ ლენინურ კოჰორტებს, უნიფხო რვალისმკლავიანებს და გულჯაგრიანებს.

ჟორდანიას, მუდამ რუსოფილს, ადრე ლენინელსა და ლენინისგან მრავალგზის მოალერსებულს, რუსეთისაგან საქართველოს გაბუყოფლობის ატავისტური (იგივე „სოციალ-დემოკრატიული“) გრძნობა გაუმძლავრდა და გადაწყვიტა შერიგებოდა და შეკავშირებოდა რუსული კოსმოპოლისის უკვე უეჭველ, რეალურ საჭეთმპყრობელს.

და დასვა ნოე ჟორდანიამ საკითხი საბჭოთა რუსეთთან ნორმალური მდგომარეობის აღდგენისა და სამეგობრო-სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებისა.

ამან დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია საქართველოს მესვეურთა შორის. მთავრობა ორად გაიყო, ორი ნოეს პოლიტიკური ხაზებით: ერთ მხარეს — ნოე ჟორდანია და მისი მომხრენი, მეორე მხარეს — ნოე რამიშვილი და მისი მიმდევარნი.

ჟორდანიას მხარე იძახდა: გარედან ძალით დაპყრობასა და უსაზმნოდ სისხლის ღვრას, გვირჩევნია წავიდეთ ყოველ კომბინაციაზე, თუნდაც საბჭოთა წყობილების დამყარებაზეო.

ხოლო, რამიშვილის მხარე: „გავყვებით ვინც უნდა იყოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ბოლშევიკებს!“[78] ეს მარადსახსოვარი ბიტყვაც უკვე ნათქვამი ჰქონდა რამიშვილს: მარქსმა ის კი სთქვა — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით, მაგრამ ეს კი არ მახსოვს სადმე ეთქვას მაინცდამაინც საქართველოში შეერთდითო.

თავისი გაიტანა ჟორდანიამ და მოსკოვს, 1920 წლის აპრილის დამლევს, საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად და ხელშეკრულების დასადებად გაგზავნა დამფუძნებელი კრების წევრი, გრიგოლ ურატაძე.

მაგრამ მოსკოვს მიმავალი ქართველი ელჩი, ჩრდილოეთ კავკასიაში სრულიად მოულოდნელად დააკავეს.

ვინ?!

ლეკებმა?!

(ვითომ, დავით გურამიშვილის დრო დამდგარიყოს!).

ლეკებმა კი არა... ქართველებმა.

რომელმა ქართველმა დაიჭირა ქართველი ელჩი?!

სერგო ორჯონიკიძემ.

?!

დიახ, სერგო ორჯონიკიძეს, და მასთან მისებრ ყველა ქართველ ბოლშევიკს, არ სურდათ რუსეთსა და საქართველოს შორის, ანუ ლენინსა და ჟორდანიას შორის საქმე მშვიდობიანი გზით, — გნებავთ, მშვიდობიანი „შერწყმის“ გზით გადაწყვეტილიყო. რადგან, ეს რომ ასე მომხდარიყო, მაშინ ხომ ისინი — ორჯონიკიძეების და ჯუღაშვილების ჯილაგისანი — სისხლიანი დროის დინების პირველგმირობიდან მოიხსნებოდნენ და მხოლოდ ისტორიის დანამატებად-ღა თუ შემორჩებოდნენ!

ღორეშელ იდალგოს კავკასიაში მეფისნაცვლის ტახტი ელანდებოდა და ცოცხალის თავით ვისმეს, და მით უფრო, ჟორდანიას დაანებებდა?!

და დაეჭირა ორჯონიკიძეს ჩრდილო კავკასიაში ჟორდანიას ელჩი. დაეჭირა და უმალვე დეპეშაც უფრენია მოსკოვს, ლენინისა და სტალინის სახელზე:

„ყველაფერი გადაწყვეტილია და სრულდება. მოვლენები ისე ვითარდება, რომ იმედი გვაქვს, არა უგვიანეს 15-ისა ვიქნებით თბილისში“.

მაშ, ორჯონიკიძეს საქართველოს დაპყრობა გადაუწყვეტია, მე-11 არმიით, რომელსაც უკვე ჰქონდა აზერბაიჯანის დაჭერის გამოცდილება.

ეს დეპეშა ორჯონიკიძემ გაგზავნა 3 მაისს, ხოლო ისე რომ პასუხისთვისაც არ დაუცდია, მომდევნო 4 მაისს მეორე დეპეშაც გაადევნა, ისევ ლენინისა და სტალინის სახელზე:

„მოვლენები ისე ვითარდება, რომ არაუგვიანეს 12-ისა ვიქნებით თბილისში. ამისათვის ყველაფერი მზადაა. განხორციელდება ბრწყინვალედ“.

მაშ, დრო უფრო დაამოკლა დროის გმირმა: 15 მაისიდან 12 მაისისთვის გადმოანაცვლა თბილისის დაპყრობა.

ლენინმა ასევე ზედმიწყოლებით განიხილა ორივე დეპეშა პოლიტბიუროს ორ სხდომაზე და ორივეჯერ, სასწრაფო საპასუხო დეპეშებით, მკაცრად აუკრძალა ორჯონიკიძეს ჯარების შეყვანა საქართველოს სამანებში

გაწბილებულმა იდალგომ ბოღმა დროებით დაიკეტა.
ლენინმა ბრძანა და ურატაძეც მოსკოვს ჩავიდა.
რუსი და ქართველი დიპლომატები საზავო მაგიდას მიუსხდნენ.
და, აი ისიც:

საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის:

„რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა ერთის მხრით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მეორეს მხრით ხელმძღვანელობენ რა საერთო სურვილით დაამყარონ ორივე ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი ცხოვრება ორივე ქვეყნის სალხთა საკეთილდღეოთ, გადავსწყვიტეთ დავსდოთ ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება და დანიშნეს ამისათვის თავიანთ რწმუნებულებათ: რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე. ხსენებული რწმუნებულნი ურთიერთ გაცნობის შემდეგ თავის რწმუნებისა, რაც ზემოდ დასახელებულ პირთ უფლებას აძლევს ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად, შეთანხმდნენ ქვემოდ მოყვანილ მუხლებზე:

მუხლი I

გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებულ უფლებიდან ყველა ხალხისათვის თავისუფალი თვითგამორკვევის შესახებ სრულ გამოყოფამდე იმ სახელმწიფოსაგან, რომლის შემადგენლობაშიაც ისინი შედიან, რუსეთი უსიტყვოდ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და უარს ამბობს თავისი ნებით ყველა იმ სუვერენულ უფლებებზე, რაც რუსეთს ეკუთვნოდა ქართველი ხალხისა და მისი მიწა-წყლის მიმართ.

მუხლი II

გამოდის რა ამ ხელშეკრულების წინ I მუხლში აღიარებულ პრინციპებიდან, რუსეთი ვალად იღებს უარყოს საქართველოს ყოველგვარ შინაურ საქმეებში ჩარევა.

მუხლი III

1. სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გაივლის შავი ზღვიდან მდ. პსოუთი, ახახჩას მთამდე, მთა ახახჩა და მთა აგაპეტით და ჩრდილოეთის საზღვრებით ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისისა და ტფილისის ყოფილ გუბერნიების ზაქათალის ოლქამდე და ამ ოლქის აღმოსავლეთის საზღვრით სომხეთის საზღვრამდე.

2. ყველა უღელტეხილები ხსენებულ საზღვრის ხაზზე ათას ცხრაას ოცდაორი წლის პირველ იანვრამდე აღიარებულია ნეიტრალურად. ისინი არ შეიძლება დაკავებულ იქნას არც ერთი ხელშემკვრელ მხარის ჯარების მიერ და არც ერთი მხარის მიერ არ უნდა იქნას გამაგრებული.

3. დარიალის ხეობაში ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ნეიტრალიზაცია გავრცელდება მთელი უღელტეხილის სივრცეზე ბალთიდან კობამდე, მამისონის უღელტეხილზე — ზარემატიდან ონამდე, ყველა სხვა უღელტეხილებზე ხუთი ვერსტის მანძილზე ორივე მხარეს იმ წერტილიდან, სადაც გაივლის საზღვარი.

მუხლი IV

1. რუსეთი ვალდებულობს უეჭველად იცნოს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავლად გარდა ამ ხელშეკრულების მე-III მუხ. 1 პუნქტის ძალით შემავალი შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, ქვემოდ მოყვანილი გუბერნიები და ოლქები ყოფილ რუსეთის იმპერიისა: ტფილისის, ქუთაისის და ბათომის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებსა და ოლქებს, აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოლქები.

2. შემდეგში, იმის მიხედვით, თუ როგორ გამოირკვევა ურთიერთობა საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს შორის, გარდა რუსეთისა, არსებულის ან ისეთების, რომლებიც საქართველოს მოსაზღვრედ შეიქმნებიან, სხვა საზღვრებით, ვიდრე ის, რომელიც აწერილია ამ ხელშეკრულების მე-III მუხლში, რუსეთი გამოსთქვამს მზად ყოფნას იცნოს საქართველოს შემადგენლობაში შემავლად ყოფილი კავკასიის სამეფისნაცვლოს ესა თუ ის ნაწილი, რომლებიც შეუერთდებიან საქართველოს მათ შორის დადებული ხელშეკრულობის თანახმად.

მუხლი V

ვხცნობთ რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნას, რომ ამიერიდან არ იქნას დაშვებული საქართველოს ტერიტორიაზე არავითარი სამხედრო ოპერაცია, სამხედრო ყოფნა და სხვა მოქმედებანი, რაც შექმნიდა საქართველოს ტერიტორიაზე მისი დამოუკიდებლობისთვის საფრთხეს, ან გადააქცევდა საქართველოს ტერიტორიას ამ ოპერაციების ბაზისად, რაც მიმართული იქნებოდა რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის, ან მისი მოკავშირე სახელმწიფოს და იქ დამყარებულ სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ, საქართველო თავს ვალდებულად ჰხდის:

1. დაუყოვნებლივ განაიარაღოს და კონცენტრაციულ ბანაკში მოათავსოს საქართველოს ტერიტორიაზე ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის მომენტში თუ აღმოჩნდებიან ან გადმოვლენ მის საზღვრებში სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, რაზმები და ჯგუფები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდენ რუსეთის მთავრობის როლზე, ან მის ნაწილზე, ან იმ მთავრობის როლზე, რომელიც რუსეთთან არის კავშირში, აგრეთვე წარმომადგენლობა და თანამდებობის პირნი. ორგანიზაცია და ჯგუფები, რომელთაც თავის მიზნად აქვთ რუსეთის მთავრობის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობის ჩამოგდება.

2. დაუყოვნებლივ განიარაღებულ და ღაკავებულ იქნას საქართველოს ნავსადგურებში მყოფი ყველა გემები, რომლებიც შედიან ამ მუხლის I პუნქტში მოხსენებულ ორგანიზაციათა და ჯგუფების სამხედრო-საზღვაო ძალთა შემადგენლობაში, აგრეთვე ამა თუ იმ საფუძვლით, იმყოფებიან რა ამ ორგანიზაციებისა და ჯგუფების განკარგულებაში და არიან საქართველოს ნავსადგურებში. ამ გემების ეკიპაჟებისადმი სავსებით უნდა იქნას გამოყენებული ამ მუხლის 1 პუნქტის დადგენილება.

3. გადაეცეს რუსეთს უსასყიდლოდ და ყოველგვარი ჯილდოს მოუთხოვნელად სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, ღირებულებანი და ფულები, რომლებიც იმყოფება ამ მუხლის 1 პუნქტში მოხსენიებული ორგანიზაციების და ჯგუფების განკარგულებაში. თანახმად ამავე მუხლის და 1 და 2 პუნქტებისა, რომლებიც ეხება გადადის საქართველოს განკარგულებაში.

სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონებათ ამ პუნქტის თანახ-

შად იგულისხმება: გემები და სხვა მცურავი საშუალებანი და ყველა საგნები საარტილერიო, საინტენდანტო (საკვები და სანივთო კმაყოფის საგნებითურთ) საინჟინრო და საავიაციო მოწყობილობანი.

4. გადაეცეს რუსეთს განიარაღების შემდეგ ორგანიზაცია და ჯგუფები და გემთა ეკიპაჟები, მოხსენებულნი ამ მუხლის 1 პუნქტში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რუსეთი ვალდებულია ცოცხლად დასტოვოს ყველა ის პირნი, რომლებიც გადაეცემა მას ამ მუხლის თანახმად.

5. მიღებულ იქნას ზომები საქართველოს ტერიტორიის იმ საზღვრებიდან, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების მუხლებით, ყოველგვარი ჯარებისა და სამხედრო რაზმების გასაძევებლად, რომლებიც არ შედიან საქართველოს მთავრობის ჯართა შემადგენლობაში.

6. მიღებულ იქნას ზომები, რათა არ იქნას დაშვებული საქართველოს ტერიტორიაზე ამ მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილი ჯარები და სამხედრო რაზმები.

7. აეკრძალოს იმ პირთ, რომლებიც ეკუთვნიან ამ მუხლის 1 და 5 პუნქტებში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებს და ნაწილებს, რამდენადაც ეს პირები ეროვნებით არ არიან ქართველნი, შევიდენ რა სახითაც არ უნდა იყოს ეს, მათ შორის მოხალისეებათ, საქართველოს მთავრობის ჯარებში.

8. არ იქნას დაშვებული საქართველოს ტერიტორიაზე იმ ფარგლებში, რაც დაწესებულია ამ ხელშეკრულების მე-IV მუხლით, ყოველგვარი ორგანიზაციებისა და ჯგუფების დაარსება და ყოფნა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის როლზე ან რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობის, აგრეთვე მათი წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა როლზე, — ორგანიზაციებისა და ჯგუფების, რომელთაც მიზნად აქვთ რუსეთის მთავრობის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობის დამხობა; საქართველო აგრეთვე ვალდებულია არ დაუშვას ხსენებული ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობის და თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს ტერიტორიით გადაზიდვა ყველა იმისა, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას რუსეთზე ან მის მოკავშირე სახელმწიფოზე თავდასასხმელად, აგრეთვე აუკრძალოს თავის წყლებში ყოლა გემებისა და სხვა მცურავ

ნაშუალებების ხსენებულ ორგანიზაციებს, გარდა საერთაშორისო უფლებით დაწესებული წესისა იმ გემების მიმართ, რომელთაც მოელის რაიმე უბედურება და სხვ.

9. უკეთუ ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობათა და თანამდებობის პირთა მხრით, რაც ჩამოთვლილია ამ მუხლის წინა მე-8 პუნქტში, იყო ცდა ამ პუნქტში ჩამოთვლილ აკრძალვათა დარღვევისა იმ პირებსა და ქონებაზე, რაც უნდა დაკავებულ იქნას საქართველოს მთავრობის მიერ თანახმად ამ მუხლის მე-8 პუნქტისა, იმ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა მოექცევა ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში.

10. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოხსენიებული ზომები უნდა შესრულებულ იქნას დაუყოვნებლივ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან. საქართველო ვალდებულია დაამთავროს ის მოკლე დროში და თუ საჭირო იქნება, მიმართოს შეიარაღებულ ძალას.

მ უ ხ ლ ი VI

რუსეთი ვალად იღებს არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე ყოველგვარი ჯგუფებისა და ორგანიზაციების ყოფნა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს მთავრობის ან მისი ნაწილის მთავრობის როლზე, აგრეთვე ყოველგვარ ჯგუფების და ორგანიზაციათა, რომელთაც მიზნად ექნებათ საქართველოს მთავრობის ჩაშოგდება. რუსეთი ვალად იღებს მოახდინოს გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა არ იქნან დაშვებული მათ ტერიტორიაზე ამ მუხლში მოხსენებული ჯგუფები და ორგანიზაციები.

მ უ ხ ლ ი VII

შესაძლებელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდნენ იმაში, რომ ამ ხელშეკრულების მე-V მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესრულებისას საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილებში, რომელნიც შეელენ მის შემადგენლობაში თანახმად ამ ხელშეკრულების მე-IV მუხლის მე-2 პუნქტისა, საქართველოსი სხვებთან, გარდა რუსეთისა, განსაზღვროს შემდეგ, საქართველოს მხრივ. ამგვარ შემთხვევებში უნდა იქნას მიღებული საჭირო გამაფრთხილებელი ზომები, რაც უნდა

დასრულდეს უახლოეს ხანში მას შემდეგ, რაც ის თავის თავზე ფორმალურად სახელმწიფოებრივი მთავრობის განხორციელებას შეუდგება ამა თუ იმ ტერიტორიაზე.

მუხლი VIII

იმის სათვალყუროდ, რომ სისწორით იქნას შესრულებული ამ ხელშეკრულების მე-V და მე-VI მუხლები, პირთა და ქონებათა ჩასაბარებლად და მისაღებად, რაც ჩამოთვლილია ხსენებული მე-V მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში, არსდება შერეული კომისია ორივე მხრივ წარმომადგენლებისაგან წევრთა ერთნაირი შემადგენლობით თითოეულ მხარისგან. მუშაობის წესს განსაზღვრავს თითონ კომისია. ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში მოხსენებულ პირთა და ქონებათა ჩაბარება და მიღება უნდა დამთავრდეს ამ ხელშეკრულების ხელის მოწერიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი IX

1. იმ პირთ, რომელნიც წარმოშობით ქართველები არიან და ცხოვრობენ რუსეთის ტერიტორიაზე და შეუსრულდათ თვრამეტი წელი, შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა. აგრეთვე არა ქართველთ წარმოშობით, რომელნიც ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და შეუსრულდათ ხსენებული ჰასაკი შეუძლიათ მიიღონ რუსეთის მოქალაქეობა.

2. დაწვრილებით თუ რა წესით უნდა შესრულდეს ეს მუხლები, დამტკიცდება განსაკუთრებული შეთანხმებით ორივე ხელშეკრულების დამდებ მხარის მიერ.

3. ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარის მოქალაქენი, თუ მათ ხურთ ისარგებლონ ამ მუხლით მინიჭებული უფლებებით, ვალდებული არიან შეასრულონ ის ფორმალობა, რასაც მათგან მოითხოვენ ერთი წლის განმავლობაში დღიდან ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენებულ შეთანხმების დადებისა.

მუხლი X

საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისა და შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრატიული წესით დევნისაგან

ყველა ის პირები, რომლებთაც საქართველოს ტერიტორიაზე სდევნიდენ იმ მუშაობისათვის, რომელიც მათ შეასრულეს რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საქართველო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს ის პირნი, რომლებიც ციხეში იმყოფებიან ზემოდ მოხსენებულ მუშაობისთვის.

მ უ ხ ლ ი XI

თითეული ხელშეკრულების დამდები მხარე ვალდებულია აღიაროს და პატივი სცეს მეორე მხარის დროშასა და ღერბს, როგორც მეგობარი სახელმწიფოს ემბლემებს. დროშისა და ღერბის სურათები, აგრეთვე მასში შეტანილი ცვლილებანი, თუ კი ასეთი იქნება, ეცნობება ერთმანეთს დიპლომატიურის გზით.

მ უ ხ ლ ი XII

ეკონომიური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის განისაზღვრება დროებით, ვიდრე ორივე ხელშეკრულების დამდებ მხარის შორის დაიდებოდეს სავაჭრო ხელშეკრულება, რისთვისაც უნდა მიღებულ იქნას საჭირო ზომები დაუყოვნებლივ. შემდეგი საერთო დებულებებით:

1. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე თავის ვაჭრულ ურთიერთობაში პრინციპულად იღებენ უპირატეს კეთილმყოფელობას.

2. ის საქონელი, რომელიც დანიშნულებისამებრ მიდის ხელშეკრულების დამდებ ერთი მხარისგან, არ უნდა დაიბაჟოს მეორე მხარის მიერ არავითარი სატრანზიტო ან სხვა რაიმე გადასახადით.

მ უ ხ ლ ი XIII

ამ ხელშეკრულების წინა, მე-XII მუხლის 1 და მ-2 პუნქტების დადგენილებანი საფუძვლად უნდა დაედოს სავაჭრო ხელშეკრულებას იმავე XII მუხლის ძალით, რაც უნდა დაიდვას ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მუხლი XIV

დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობანი რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარებული იქნება უახლოეს დროში. ვიდრე ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის განსაკუთრებული შეთანხმება დაიდებოდეს კონსულების შესახებ, რისთვისაც უნდა მიღებულ იქნას ზომები, ამათი უფლებები და მოვალეობები განსაზღვრული იქნება ამ საგანზე არსებული თითეულ ხელშემკვრელ მხარის კანონდებულებით.

მუხლი XV

საზოგადოებრივ-უფლებრივი და კერძო-უფლებრივი ხასიათის საკითხების გადაჭრა, რომლებიც აღმოცენდება ორივე ხელშეკრულების დამდებ მხარეს შორის, აგრეთვე ზოგიერთი ცალკე საკითხების მოწესრიგება ორივე სახელმწიფოს შორის მოხდება განსაკუთრებული რუსულ-ქართული კომისიების საშუალებით, რაც დაარსებული იქნება ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერიდან უმოკლეს დროში. შემადგენლობა, უფლებები და მოვალეობანი ამ კომისიისა განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რაც დამტკიცებული იქნება ორივე ხელშემკვრელ მხარის მიერ. ამ კომისიის გასარჩევი საქმეები იქნება, სხვათა შორის:

1. სავაჭრო ხელშეკრულების და სხვა ეკონომიური ხასიათის ხელშეკრულების დადება.

2. გადაჭრა იმ საკითხებისა, რომლებიც შეეხება სასამართლო და ადმინისტრატიული ცენტრალურ დაწესებულებათა არქივებიდან დეპოზიტებისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების გამოყოფას.

3. იმ საკითხის გამორკვევა, თუ როგორის წესით უნდა არსებობდეს ბაქო-ბათომის ნავთსადენის მფლობელობა, სარგებლობა და მოხმარა იმ ნაწილში, რომელიც ამ ხელშეკრულების მე-IV მუხლის ძალით იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. ეს საკითხი შემდეგში დამტკიცებული იქნება განსაკუთრებული შეთანხმების საშუალებით ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მუხლი XVI

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის თვით ფაქტის ძალით ხელის მოწერის მომენტიდან და საჭირო არ არის მისი ცალკე რატიფიკა-

ცია, რის დასამტკიცებლადაც ორივე მხარის რწმუნებულები საკუთარ ხელს აწერენ და თავის ბეჭედს ასვამენ.

ღაწერილია ორ ცალად მოსკოვში მაისის 7 დღესა ათას ცხრაას ოცსა წელსა.

(ხელმოწერა) ლ. კარახანი. (ხელმოწერა) გრ. ურატაძე.

დედანთან სწორია:

საგარეო საქმეთა სახ. კომისარ. ეკონომიურ-უფლებრივი განყოფილების გამგე (ხელმოწერა).

ცალკე საიდუმლო დამატება ხელშეკრულებისა რუსეთსა და საქართველოს შორის

მუხლი I

საქართველო ვალად იღებს მიანიჭოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კომუნისტურ ორგანიზაციებს თავისუფალი არსებობის და მოღვაწეობის, კერძოდ, თავისუფლად კრებების მოწვევის და თავისუფალ გამომცემლობის (მათ შორის ბეჭდვითი ორგანოებისა) უფლებაჲ.

ყოველ შემთხვევაში, არავითარი რეპრესიული ზომების მიღება არ შეიძლება კერძო პირთა წინააღმდეგ, როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრატიული წესით. უკეთუ ეს ზომები გამომდინარეობენ საზოგადო პროპაგანდისა და აგიტაციისათვის კომუნისტური პროგრამის სასარგებლოდ ან პირთა და ორგანიზაციათა მოღვაწეობიდან, რაც დაფუძნებული იქნებოდა კომუნისტურ პროგრამაზე.

მუხლი II.

ეს საიდუმლო დამატება შეადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც ხელმოწერილია ამა ჩიცხვს რუსეთსა და საქართველოს შორის. ხსენებულ ხელშეკრულებასთან ერთად, ის ძალაში შედის ხელის მოწერის ფაქტით შემდეგი რატიფიკაციის გარეშე.

დაწერილია ორ ეგზემპლიარად მოსკოვში 7 მაისს ათას ცხრაას ოცსა წელსა.

(ხელის მოწერა) ლ. კარახანი. (ხელის მოწერა) გრ. ურატაძე.

ეს იყო, ჯერჯერობით, ხელშეკრულების პროექტი. და, მის რატიფიკაციამდე არავინ იცოდა რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ჯერჯერობითობა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „საიდუმლო დამატების“ ეს ადგილი: დამატება „ძალაში შედის ხელის მოწერის ფაქტით შემდეგი რატიფიკაციის გარეშე“. ეს „დამატება“ კი მთლიანად დაიწერა საქართველოში კომუნისტური (იგივე „რუსული საბჭოთა“) მოძრაობის ნებადასართველად, დასაშვებად და ასაშვებად.

ამას რატიფიკაცია არ სჭირდებაო!

კომუნისტური მოძრაობა რატიფიკაციას ვერ დაუცდისო...

აი, რა ყოფილა მთავარი, ვითომ „დამატება“ რომ ერქვა!

მალე დადასტურდება, რომ ნამდვილი დამატება თვითონ ხელშეკრულება ყოფილა — ხელშეკრულება კი — „დამატების“ დამატება.

ეს „საიდუმლო დამატება“ — საბჭოთა კომუნისტური ექსტრემიზმის ლაგამამყრელი — ახლავე, კარახან-ურატაძის ხელმოწერის წუთიდანვე შედიოდა ძალაში.

და, პირველი შედეგი ამ ნებადართული ანტიეროვნული ექსტრემიზმისა: ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვეც არ გასულა, რომ თბილისში, სრული ლეგალურობით, გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „კომუნისტმა“, ფილიპე მახარაძის მთავარრედაქტორობით.

მაშ, საბედისწერო, „ტროას ცხენი“ თავისით შემოიყვანეს მენშევიკებმა „თავის საქართველოში“.

ცოტა ადრე, 8 აპრილს რომ რუსეთის ბოლშევიკურმა სინედრიონმა კავკასიის ბიურო („კავბიურო“) გამოიჩეკა, ესეც ხომ საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთში ბოლშევიკური („სოციალისტური“) აჯანყების მოსაწყობად და წითელძაბროვანი ლეგიონების შემოსაყვანად იყო გამიზნული.

აზერბაიჯანში ხომ გაამართლა კავბიურომ — ხომ შემოიყვანეს წითელძაბრიანი მე-11 არმია — სხვათა შორის, ისეც შემოიყვანეს, ადგილობრივი „პროლეტარული აჯანყება“ სულაც არ ყოფილა საჭირო. უამისოდ გაასაბჭოვეს აზერბაიჯანი და ამით, როგორც თვითონ ტრაბახობდა ამხანაგი სერგო, „ერთერთი მთავარი ბურჯი შევუდგით ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ძლიერების შენობასო“[79].

ახლა სომხეთი და საქართველო დარჩა ბურჟუაზიისა და იმპერიალიზმის კლანჭებიდან გამოსახსნელი და დანარჩენ „ორ ბურ-

ჯად" შესადგმელი იქ, სადაც ჯერ არს, და ესეც მალე აღსრულდება, — აქაც ისე აღსრულდება, როგორც იმ „პირველ მთავარ ბურჯში", აზერბაიჯანში, — ადგილობრივი პროლეტარიატის „დაუკითხავად"!

აი, რა მოიტანა ბოლშევიკურმა კავბიურომ!

ახლა კიდევ ეს „დამატება"!

თვითონ ჟორდანიას კი, თითქოს, ასეთი „უწყინარი დეტალებისა" არცრა ეფიქრებოდა; ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე დღეს, 9 მაისს, დეპეშა გაეგზავნა ურატაძისთვის, მოსკოვს:

„მოგილოცავთ საზაეო ხელშეკრულების დადებას. გადაეცით „სოვნარკომს", რომ ზავის ამბავს ხალხი ღრმა კმაყოფილებისა და აღტაცების გრძნობით შეხვდა. იმედი მაქვს, რომ დღეიდან გაქრება ყოველგვარი გაუგებრობა რუსეთსა და საქართველოს შორის და ორივე მოძმე ხალხი მშვიდობიანად და თანხმობით იმუშავებს ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად. სალამი მეგობრებს, ამხანაგებს, ნაცნობებს".[80]

ორჯონიკიძეს კი მოსვენება დაეკარგა. ეს, მისთვის ავბედითი ხელშეკრულება სომ უპირველეს ყოვლისა რუსეთისაგან საქართველოს ცალკედ ყოფნის, მისი დამოუკიდებლობის ცნობასა და აღიარებას ნიშნავდა!

ჟორდანიაც უკვე გაიძახოდა აღტკინებული: ეს ხელშეკრულება არის ვექსილი ევროპის არეოპაგში ჩემი მთავრობის აღიარებისაო.[81]

ჟორდანიამ ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე დღესვე მოახდინა ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალიზაცია საქართველოში. ათასამდე კომუნისტი ციხიდან გამოუშვა[82] და მიუშვა მათ ნებაზე „საბალშევიკოდ": საჯარო ლექციების, მოხსენებების, პარტიული გაზეთების, ბეჭდვის, მენშევიკთა ლანძღვა-გინების თავისუფლებით.

ძალიან უნდოდა მოეგო ლენინის გული ამ ძველ ლენინელს.

და მოსვენება დაჰკარგოდა ღორეშელ იდალგოს: ნუთუ ეს ლანჩხუთელი ყაზილარი ბოლომდე შეძლებს ამხანავი ლენინის გაცურებას, და ეს მსოფლიო პროლეტარიატის მარად უცდომელი ბრძენთაბრძენი ბელადიც ბოლომდე და სამუდამოდ დაუშვებს საქართველოს ე. წ. „დამოუკიდებლობას"?!

არა, ჟორდანიას სისხლი უნდა დაილიოს!

არა აქვს არავითარი მნიშვნელობა იმას, რომ ერთი წლის წინ,—

სანამ ამ „მეტიჩარა ხელშეკრულებით“ მენშევიკები „თავის საქართველოში“ ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ლეგალიზაციას მოახდენდნენ (ანუ „ტროიანულ ცხენს“ თვითონვე სადავით შეიყვანდნენ), — სერგო რომ ავლაბარში ერთ სომეხ პარიკმახერთან იმალებოდა, ჟორდანიამ სხვა ყველა თავის თანამებრძოლთაგან ნამალევად შეუთვალა: სერგო, ქვეყანამ იცის მანდ ხარ და, თუ ძმობა გწამს, თბილისი დატოვე, თორემ ვაი თუ ინგლისელებმა დაგაპატიმრონო.

არა აქვს ახლა ამას მნიშვნელობა.

ჟორდანიას სისხლი უნდა დაილიოს!

და მასთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის სისხლიც...

სერგოსთვის წარმოუდგენელი იყო ყოველგვარი დამოუკიდებლობა ამიერკავკასიაში, მით უფრო საქართველოს დამოუკიდებლობა, უკეთუ იმ „დამოუკიდებელი“ ერთეულის სათავეში თვითონ არ იქნება, თვითონ — სერგო ორჯონიკიძე!

ხოლო, სხვისთვის, ამ შემთხვევაში ჟორდანიასთვის, როგორ შეიძლება საქართველოს დამოუკიდებლობის გამეტება!

ერთი სიტყვით, გარდაუვალია დალაშქვრა საქართველოსი.

მაგრამ... კვლავ ისე ყველაზე დიდი „მაგრამ“... „დიდიც“ რომ არ კმარობდა, არამედ — „დიადი“ გინა „უდიადესი“. სწორედ:

ისევ ლენინი იყო წინააღმდეგი საქართველოს დალაშქრისა. 1920 წლის 22 ივნისს მან რკპ(ბ) ცეკას პოლიტბიუროს მიაღებინა საგანგებო დადგენილება — „პოლიტიკის შესახებ კავკასიაში“. ამ დადგენილებით, საგარეო საქმეთა კომისარიატს საგანგებო ინსტრუქცია უნდა გაეგზავნა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლისათვის საქართველოში — სერგეი მირონის ძე კიროვისათვის, რათა მას არავითარ შემთხვევაში არ დაერღვია „მშვიდობიანი და კეთილმეზობლური დამოკიდებულება“ საქართველოსთან.

და მიიღო ასეთი ინსტრუქცია კიროვმა[83].

განსაკუთრებით, იმ „ლენინური ინსტრუქციის“ მეხუთე მუხლი უნდა ყოფილიყო მომაკვდინებელი ორჯონიკიძული სულისათვის: საქართველოში ლეგალიზებულ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ეკრძალებათ შეიარაღებული აჯანყება ადგილობრივი მთავრობის წინააღმდეგ!

სწორედ ასეთი ბრძანება მიიღო სერგეი კიროვმა, სერგეიმ...

მაგრამ სერგეიც იყო და სერგოც.

სერგეი კიროვი და სერგო ორჯონიკიძე ძმებზე უტკბესი მეგობრები იყვნენ.

და ამ „დიად ძმობას“ (რუსისა და ქართველის ძმობას!) ძალაც შესაფერისად „დიადი“ უნდა ჰქონოდა.

და, ეს „სერგიების დიადი ძმობაც“ საქართველოს ბედისწერა ყოფილა.

(აკი გამორჩეულობა მოსდგამს ქართველთა ისტორიას!).

მერე, — სერგო-სერგეის, ამ კავკასიის მარჩბივ-ბედისწერას, იქ, მოსკოვში, მესამე დიდი მოკავშირეც ჰყავს — დიდი, რომელიც მალე, ადვილად შესაძლებელია, დიადიც გახდეს — „მეორე დიადი“, ანუ „მეორე გენიოსი“ (რაღა თქმა უნდა, ლენინის შემდეგ).

ეს უკვე სტალინია.

მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობის სულის ამოსართმევად, მარტო ტყუპსახოვანი მარჩბივი კი არა, უკვე ტრიუმვირატიც ყოფილა...

ოდესღაც... (ქრისტესშობამდე 60 წელს) ძველს რომში იყო „პირველი ტრიუმვირატი“, „სამკაცოვანი“ კავშირი, რომელსაც მტრები „სამთავიან ურჩხულს“ ეძახდნენ, მოკეთეები კი — ჰკუის, ძალისა და ფულის კავშირს. ჰკუა კეისარი იყო, ძალა — პომპეუსი, ფული — კრასუსი.

ხოლო, ეს ახალი, „წითელძაბროვანი ტრიუმვირატი“, ძველრომაულის ანალოგიით, როგორ შეიძლებოდა მონათლულიყო? იქნებ — ჰკუის, ძალისა და ბოღმის კავშირი, — სადაც ჰკუა უეჭველად სტალინი იქნებოდა, ძალა — კიროვი (ვითარცა „დიდი რუსი“), ხოლო, ბოღმა, რაღა თქმა უნდა — ორჯონიკიძე.

მაშ, აღმართულიყო და შემართულიყო „წითელძაბროვანი ტრიუმვირატი“, ვითარცა საბედისწერო ეტლისმწაფელი საქართველოსი...

საქართველოს კი — მრავალ საუკუნეთა მანძილზე რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ტანტალოსის მარად დაურწყულებელი წყურვილით სწყუროდა — ახლა, ის იყო, დამოუკიდებლობის ნექტარით სავსე სასმური, აძაგძაგებული ხელებით, უკვე მიეტანა წყურვილით გამშრალ პირთან და...

და უეცარი დარტყმით ისევ უნდა დააგდებინონ და დააღვრევინონ სასმური იგი სანატრელი ბეჭავ ტანტალოსს.

ხოლო, „დამრტყმელი" — ის „ტრიუმვირატი" — ჭკუისა, ძალისა, ბოღმისა...

და, შეადგინეს სერგომ და სერგეიმ, სტალინის იმედით, თორმეტ პუნქტიანი მოხსენებითი ბარათი ლენინისა და რუსეთის ბოლშევიკური კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, და მოითხოვეს წითელი არმიის დაუყოვნებლივი შეყვანა საქართველოში.

სერგო-სერგეის ხელმოწერილ ამ „ოქროს ბულას" ცენტრალურ კომიტეტში მაშინვე, უყოყმანოდ მხარი დაუჭირა სტალინმა:

„ანტანტის ბადეში" გახვეული საქართველოს დახსნა მხოლოდ მენშევიკური მთავრობის დამხობით და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით შეიძლებაო, — გამოაფრქვია ულვაშთაგან.

გამოაფრქვია და ტროცკიც აიყოლია.

ისევ უარი ბრძანა ლენინმა.

მაგრამ უარს იმიტომ კი არ ამბობდა, რომ საქართველო არ უნდოდა, ან თავის ახალ კოსმოპოლისში მისი მოქცევა არ სწყუროდა. უეჭველად, პირიქით იყო: ძალიანაც სწყუროდა, ძალიანაც ენატრებოდა და ესურვილებოდა, მაგრამ რა ექნა, — იგი ჯერ ისევ ინგარიშს უწევდა საერთაშორისო რეზონანსებს. საქართველოში ჯარის შეყვანა ხომ დაპყრობად, ანექსიად შეფასდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე.

მეორე ინტერნაციონალის ლიდერებსაც ხომ ახალი მოვლილი ჰქონდათ საქართველო და ევროპაშიც ხმა ჩაეტანათ — საქართველოში ნამდვილი დემოკრატიული სამოთხე ვნახეთო. და ახლა ასეთი „სამოთხის" დაპყრობა ხომ გაცილებით ხაზგასმით გაუტეხდა სახელს ამხანაგ ლენინს, — ყოველ შემთხვევაში, არანაკლებ გაუტყდებოდა სახელი, ვიდრე მაშინ, ავადსახსენებელი კერენსკის მთავრობა რომ სამშობლოს ღალატსა და გერმანიის ჯაშუშობაში სდებდა ბრალს.

მაშინ სამშობლოს გაყიდვა და ჯაშუშობა, ახლა კიდევ აგრესორობა და იმპერიალისტობა — ეს როგორღა შეიძლებოდა დასწამებოდა თვითონ „იმპერიალიზმის წესაფლავესა" და „მსოფლიო პროლეტარიატის გამათავისუფლებელს"!

მერე კიდევ, — მაშინ პოლონელებიც („თეთრი პოლონელები") უტევდნენ რუსეთს, ჯერ კიდევ ფეხზე მდგარი ვრანგელიც, — და, ბუნებრივია, ახალი, ქართული ფრონტის გახსნას ოპტიმისტური თვალით ვერ შეხედავდა ამხანაგი ლენინი.

ერთი სიტყვით, ლენინი ჯერჯერობით წინააღმდეგი იყო საქართველოში წითელი არმიის შეყვანისა.

ჯერჯერობით!

მაგრამ უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები იმ „ჯერჯერობითსაც“ ვეღარ ითმენდნენ და ერთი სული ჰქონდათ, როდის დაადგამდნენ თავზე საქართველოს წითელ ჩაბალახს.

მერე, — იმ წლის ნოემბერს წითელი ჯარი შევიდა სომხეთს და იქაც გატარდა „სოციალისტური რევოლუცია“.

ახლა ხომ ორივე გაწითლებული იყო — აზერბაიჯანიც და სომხეთიც.

და საქართველო რაღა წითელი კოკი იყო, ამდენ ხანს რომ „გაუწითლებლად“ იდო კავკასიონის წითელ არშიაზე?!

არა, აღარ შეეძლოთ საქართველოს უძღებ შვილებს ამდენი „ჯერჯერობითობის“ მოთმენა!..

ორივე, ორჯონიკიძეც და ჯუღაშვილიც, ძალიან კარგად გრძნობდნენ, რომ ამხანაგი ლენინი საქართველოს ჟორდანიას საშუალებითაც შემოიერთებდა („გააწითლებდა“), და, რაც მთავარია, შემოიერთებდა უსისხლოდ, უდავიდარაბოდ. სწორედ ამიტომ მოითხოვდა ლენინი ადგილობრივი კომუნისტებისაგან დაჟინებით: გაეწონასწორებინათ გზები და საშუალებები ჟორდანიასთან ბრძოლებისა და კომპრომისებისაო!

ჰო, ასე ყოფილა, და რა ენაღვლებოდა ამხანაგ ულიანოვ-ლენინს: საქართველოს მშვიდობიანად, უსისხლოდ, „აგრესორ-იმპერიალისტობაში“ გაულანძღაებად, თვითონ ჟორდანიას საშუალებით შემოიერთებდა, — ანუ ჟორდანია „თავისი საქართველოთი“ თვითონ შევიდოდა (შებრუნდებოდა) მარად მისთვის საყვარელი და სანატრელი რუსეთის „ფედერაციაში“. აკი თვითონვე გაიძახოდა ჟორდანია: ომსა და სისხლის ღვრას პირდაპირ გასაბჭოება გვირჩევნიაო.

და ასე — რა ენაღვლებოდათ ამხ. ლენინს და ამხ. ჟორდანიას!.

ხოლო, თვითონ — ღორეშელი და გორელი ბიჭები?!

არა, ყოველად დაუშვებელია ამის მოთმენა!

არავითარი „ჯერჯერობით“!..

და, აი, — 1920 წლის 14 დეკემბერს ორჯონიკიძემ, უკვე მოსკოვისაგან „ნამალავად“, ადგილზედვე კავბიუროს მიაღებინა დადგენილება „საქართველოს მშრომელებისათვის საბჭოთა ხელისუფ-

ლების დამყარებაში დაუყოვნებლივ დახმარების გაწევის შესახებ".[84]

ეს დადგენილება მაშინვე შეიტყო ლენინმა. შეიტყო და უმალვე ფიცხელი დეპეშა შემოუბრუნა ორჯონიკიძეს:

„ეს-ეს არის წავიკითხე დაშიფრული წერილი ნომერი პირველი. აი, პასუხიც: იგი ძირშივე ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. მას შეიძლება მოჰყვეს დამღუპველი შედეგები. ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ გრთავთ ნებას. კატეგორიულად მოვითხოვთ შესრულების შეჩერებას და გადაწყვეტილების გაუქმებას".[85]

ორჯონიკიძე დედამიწის ზურგზე მხოლოდ ერთს, ლენინს უფრთხოდა, და მისმა მკაცრმა ბრძანებამ ახლაც დაუდედლა „უშიშარი გული", და დეპეშაც „ნაშიშარი" აფრინა მოსკოვს:

„მივიღეთ პასუხი ლენინისაგან... ცხადია, გასაგებია. გთხოვთ გადასცეთ ლენინს, რომ ყველაფერი იქნება შესრულებული".[86]

დაწერილი იყო აძიგძიგებული ხელით.

ნათქვამი იყო გამშრალი პირით.

ასე იყო, — რადგან ორჯონიკიძესაც ტანტალოსის წყურვილით სწყუროდა... საქართველოს დაპყრობა...

ხოლო, ამ უსაშველოდ დაურწყულებელი წყურვილის დარწყულება მას შეეძლო მხოლოდ „უფროსი დის, მისი ღვიძლი დის"— რუსეთის „და-ხმარებით"...[87] (და+ხმარება!).

10. „...შეუბიე, დასტურია, აიღე...!"

ახალი წელი დადგა — ქრისტესშობითგან 1921.

რა ბალანსებით ხვდებოდა საქართველო თავისი სიზმარეულად დამოუკიდებლობის მესამე წელს?

საქართველოს წიაღში თითქოს მართლაც სუფევდა ძველბერძნული კატეგორიით „ხალხის ძალაუფლება" („დემოკრატია"), რომაულ-ლათინურით — „საქმე ხალხისა" („რესპუბლიკა").

საქართველო გეოგრაფიულად აზიური ქვეყანა იყო, მაგრამ სულით აზიიდან ევროპაში გაქცეული, უპირველესად თავისი ქრის-

ტიანობით მუდამ უღალატოდ ევროპიელი (თვითონ ქრისტიანობაც ხომ — დაბადებით აზიელი და აზიიდან ევროპაში „გაქცეული"!).

და ახლაც, საქართველო ისევ პირველობდა აზიაში თავისი ევროპელობით — ევროპული რესპუბლიკით პირველობდა.

მარტო სრულიად აზიას კი არა, რუსეთსაც არ ღირსებია ის, რაიც უკვე ხელთ ეპყრა საქართველოს.

„დემოკრატია". „რესპუბლიკა".

იყო უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო — პარლამენტი — 105 სოციალ-დემოკრატით, 9 სოციალ-ფედერალისტით, 7 ეროვნულ-დემოკრატით, 5 სოციალისტ-რევოლუციონერით, 3 დაშნაკით, 1 ეროვნულ-პარტიელით.

არჩევნებში თავისი კანდიდატების წამოყენება შესთავაზეს ბოლშევიკებსაც, მაგრამ ამათ ცივი უარი სთქვეს. მათ „არ აწყობდათ", ან „არ იკადრეს" მენშევიკებთან და „ბურჟუაზიულ" პარტიებთან თანამშრომლობა. ეტყობოდა, მათ მხოლოდ საკუთარი, მონოპოლისტური პოლიტიკური ძალაუფლება ესურვებოდათ, რუსეთის მაგალითზე, რუსეთივით მონოპარტიული, „ერთიანი და განუყოფელი".

საქართველოს ჰყავდა თავისი დემოკრატიული მთავრობა, თავისი..

ჰყავდა თავისი სენატი, თავისი...

ჰქონდა თავისი დროშა, თავისი ღერბი, თავისი ჰიმნი („დიდება").

ყველაფერი თავისი.

ვნახეთ მისი კონსტიტუცია — ევროპული, რესპუბლიკური, დემოკრატიული.

სახელმწიფო ენად — მისი ღვთაებრივი ქართული ენა...

ჩატარებული იყო სასამართლო და ადმინისტრატიული რეფორმები.

გატარებული იყო საგლეხო რეფორმა, თუმცა ბოლომდე უსრულოდ და უსულოდ. ჯერ მიწის მუნიციპალიზაცია, ადგილობრივ თვითმართველობებზე გადაცემა მოისურვეს მენშევიკებმა; ეს ვერ შეძლეს და ისევ მიწაზე გლეხის კერძო საკუთრება ამჯობინეს. მიწა გლეხს უნდა შეესყიდა. შესასყიდი ფასი კი დიდი აღმოჩნდა; შემსყიდველად კულაკი გაჩნდა, ღარიბი კი, ისევ ღარიბად ღარჩა.

ვერც მუშამ გაიხარა აზიის პირველ „სოციალისტურ რესპუბ-

ლიკაში“, — რეალური და ნომინალური ხელფასნი — ერთი ალთას აღმოჩნდა, მეორე ბალთას.

გარშემო, ყველგან და ყოველის მხრიდან, საომარი იარაღის ზრიალი აზანზარებდა ქვეყნიერებას, ადამიანთა ხელით დაღვრილი ადამიანთა სისხლი რღვნიდა დედამიწას, საქართველოს მთავრობა კი, საომარ ძალთა წრთვნის, შეიარაღებისა და მუდმივ თავდაცვისათვის მზადყოფნის ნაცვლად, ისევ საერთაშორისო პროლეტარიატზე და ინტერნაციონალზე ამყარებდა სახვალიო და სამომავლო იმედებს.

ინტერნაციონალი კი ისევ „მეორე“ იყო მათი სალოცავი, წინააღმდეგ „მესამე კომუნისტურისა“.

1920 წლის შემოდგომაზე მეორე ინტერნაციონალის ბელადებიც სწვეოდნენ საქართველოს: მაკდონალდი, კაუცკი, ვანდერველდე, რენოდელი, ჰიუსმანი.

ბათუმში, ქართულ მიწაზე ფეხის შემოდგმისთანავე იყვირა მაკდონალდმა: „ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ვიმყოფებით აქ, საქართველოში, ჯეშმარიტი დემოკრატიის ქვეყანაში“.

თბილისის სადგურში თვითონ ნოე ჟორდანია შეეგება უმაღლეს სტუმრებს, თავისი მთავრობის თანხლებით შეხვდა და ეს სიტყვა შეაგება:

„საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ, რომელსაც უბირაეს ძალაუფლება, შეძლო განეხორციელებინა უდიდესი რეფორმები აგრარული და სოციალური, უტეროროდ და სამოქალაქო ომის თავიდან აცილებით მხოლოდ დემოკრატიული გზით. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ გხედავთ ჩვენს შორის ჩვენს მასწავლებლებს, ინტერნაციონალის წარმომადგენლებს, ჩვენს დიდ მეგობრებსა და ამხანაგებს. განგვსაჯეთ, დაგვეხმარეთ, ჩვენ გიწვდით ხელს“.

ხოლო, ვანდერველდემ ეს უპასუხა ჟორდანიას:

„რომ მოვედით და გინახულეთ საქართველოში, უკვე მარტო ამ გარემოებამ აგვაღელვა. ჩვენ გვიწოდეთ თქვენი მასწავლებლები; სინამდვილეში კი ეს თქვენ ხართ, ვისგანაც ჩვენ უნდა ვისწავლობდეთ. მართლაც საქართველო აღთქმული ქვეყანაა. იმან, რაც ჩვენ ვნახეთ თქვენთან, გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს“[68].

და იდგა საქართველოში, „აღთქმულ ქვეყანაში“, ყველა არაქართველისთვის უჩვეულო ქართული სტუმარ-მასპინძლობა, ადამიანის ცნობისმიღმიერი სმა, ზმა და „მრავალჟამიერი“.

და, ბოლოს, ევროპაში დაბრუნებისას ძლივს გონზე მოსულმა კაუცკიმ მაინც ეს განაცხადა საქვეყნოდ:

„სამწუხაროდ უნდა კაღიაროთ, რომ საქართველო განუხრელად მიექანება ბოლშევიზმისაკენ".

მართალიც იყო, — მართლა მიაქანებდა ნოე ჟორდანია საქართველოს რუსეთისაკენ, მაშასადამე ბოლშევიზმისაკენ, საბჭოიზმისაკენ.

მერე, ივიკე ჟინი არ ასრჩობდა ორჯონიკიძესა და სტალინსაც? იგივე, ოღონდ წინდაფების წევრთა გადანაცვლებით: საქართველოს შეგდება ბოლშევიზმს, საბჭოიზმის გზაზე, ანუ შებრუნება რუსეთის წიაღში.

მაგრამ აქ ჭიდილი იყო „მესა" და „მეს" შორის: არა მე უნდა ვიქნე რუსეთთან საქართველოს ხელახლა „შებრუნების" (თუ „შეროვების") მთავარი გმირი, არა მეო!

მე — ჟორდანია!

მე — ორჯონიკიძე!

ასე, — მიზანი ერთი იყო — რუსეთთან საქართველოს კვლავ შეერთება, — ხოლო ამ მიზნის განხორციელების გზები — სრულიად სხვა და სხვა.

სახელდობრ: ჟორდანია რუსეთთან კვლავშერთვას და „კვლავთქვეფას" მშვიდობიანად, სისხლის დაუღვრელად ეპირებოდა და „ეპარებოდა". ხოლო, ორჯონიკიძე — სწორედ სისხლის დაქცევით, საომარი კატაკლიზმით, შეუნიღბავი ანექსიის, ოკუპაციის გზით აპირებდა იგივე განაზრახთა განსრულებას.

ლენინს, რასაკვირველია, პირველი გზა ერჩივნა, ამიტომ იგი საქართველოს ოკუპაციას კრძალავდა.

მაშასადამე, ახლა ისეც გამოდიოდა, რომ ჟორდანია ნამდვილი „ლენინელი" ყოფილა, ორჯონიკიძე კი — ნამდვილი „ანტილენინელი"!

მაგრამ მალე, ძალიან მალე დადასტურდება, რომ ჟორდანია მკაცრსა და სასტიკ, უზარმაზარი საფრთხეებით გატენილ პრაქტიკულ სინამდვილეს უკიდურესი მიკროსამზირით უმზერდა და უკვე მრავალგზის ნანჯღრევი პოლიტიკური და პარტიული დოქტრინიორობის იქით ვერც ვერაფერს ჰხედავდა, ვერც ვერაფერს გრძნობდა.

ეს ურისკო, მერყევი და მერწევი, „თუ"-სა და „ვაი თუ"-ს კა-

ცი ოდნავი გეშითაც ვერ მიმხვდარიყო, რომ მის გარშემო ყოველივე ორდინალური სრულად ექსტრაორდინალურით შეცვლილიყო და ამისდა შესაბამისად, — როგორც ეს ძველი რომის ისტორიიდან მომდინარე შინაპოლიტიკური ანბანი — ქვეყნის გადასარჩენად საჭირო იყო სწორედ ექსტრაორდინალური, ანუ დიქტატორული რწმუნებებით შეჯურვა და არა „ჰუმანური დემოკრატობით“ კაკლუცობა და საკუთარი ქვეყნის მოღორება.

ის უახლესი გაკვეთილიც ვერ დაესწავლა ამ გაუსწორებელ რუსოფილსა და რუსოლოგს: რა დამართა თვით რუსეთის დროებით მთავრობას მისმა „დემოკრატიულმა ჰუმანიზმმა“.

და, ასეთი კაცი, რამდენიც უნდა ეთამაშნა, ეროვნულ გმირობამდე ვერ ამაღლდებოდა. იგი ბოლომდე სოციალური და პარტიული დემაგოგიის მონად უნდა დარჩენილიყო.

ასეთი კაცი, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი ერისაგან გარიყულიც უნდა აღმოჩენილიყო.

და ესეც სერგო ორჯონიკიძის იღბალი ყოფილა.

· მაშ, დამდგარიყო ქრისტესშობითგან წელი 1921.
ანუ — საქართველოს ახალშობითგან წელი მე-3.
და იყო საქართველო:
ქონებრივად კოტრი;
მეურნეობრივად მოშლილი;
შინაპოლიტიკურად ფხვიერი;
გარეპოლიტიკურად გაუცნობიერებელი;
საბრძოლოდ მოუმზადებელი;
სულიერად ხელჩაქნეული;
შინაეროვნული სიყვარულისგან გაბერწებული:
სოციალური მტრობითა და სიძულვილით ჯანშერყეული.

მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ საქართველო იყო თავისუფალი, დამოუკიდებელი, მისი თავისად „ყუდნებული“.

ქართველი კაცი იყო თავისუფალი—არავის მონა, არცა გარეულისა, არცა შინაურისა, არავის ხელის შემყურე, არავის შუბლის ფარეში.

ქართველ კაცს სრული უფლება ჰქონდა თავისუფალი აზროვ-

წებისა, თავისუფალი სიტყვიერებისა, თავისუფალი ფიქრთმეტყველებისა, თავისუფალი სიზმართმეტყველებისა.

კაცს დევნას არავინ დაუწყებდა და სიკვდილს არავინ შეჰყრიდა, თუნდაც ასეთი „ანტისახელმწიფოებრივი", „ბალშენიკური" სიმღერისათვის:

გეგეჭკორი კარტს თამაშობს,
ჟორდანია — ნარდს;
ორივე ჩაპოსაჩრობია —
ატყუებენ ხალხს.

და იყო ხალხი ეროვნულად და პიროვნულად თავისუფალი, თუნდაც შიმშილ-სიმაძღრის მიჯნაზე გაწვალებული, მაგრამ მაინც თავისუფალი და დამოუკიდებელი.

დამოუკიდებელი საქართველო!
ნერვები აწყდებოდა ქართველ სერგოს.
ხელახლა ულაგებდა აწეწილ ნერვებს რუსი სერგეი.
სტალინი კი, თვითონ კამეჩის ნერვებით შეჯურვილი, ზემოდან (ანუ ჯერჯერობით ლენინის ქვემოდან) აქეზებდა ორივეს: თქვენ შიდით, მიაწექით და აქედან „ლენინური შემოწყრომისა" ნუ გეფიქრებათ, ეგ ჩემ კისერზე იყოსო (კისერი ხომ მანამდე კაცთაგან და კაცთა შორის გაუგონრად მოუდრეკელი და მოუღრეჯელი ჰქონდა სტალინს).

და სწორედ ახალ წელს, 1921 წლის 2 იანვარს. სერგო ორჯონიკიძემ და სერგეი კიროვმა, კავბიუროს სახელით, მოსკოვში რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ისევ გაუგზავნეს წერილი, რომლითაც ისევ მოითხოვდნენ საქართველოში ჯარების შეყვანას და საბჭოთა წყობილების დამყარებას.

ვინ იცის, იქნებ ამდენი წერილებით ამხანაგ ლენინს თავიც მოებეზრებოდა და დათანხმებოდა საქართველოში ჯარების შეყვანას.

მაგრამ არ მობეზრდა თავი ამხანაგ ლენინს ამდენი „ანტილენინური წერილებით". 12 იანვარს მან ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილა სერგო-სერგეის მორიგი წერილი და სასწრაფოდ მოაბრუნა ახალი დადგენილება კავკასიაში:

„უარი ეთქვას, წინადადება მიეცეს კავბიუროს მკაცრად იხელ-

მძღვანელოს ცკ-ის მიერ ამ საკითხზე უკვე მიღებული გადაწყვეტილებით"[89].

და ასე, — უკვე მიდიოდა მეცხრე ღამე, რაც სერგო და სერგეი, ყველაზე ერთგული ლენინელები, ამაოდ „ებრძოდნენ" ლენინს. ამ ცხრა თვის მანძილზე მათ საქართველოში არამცთუ ჯარი ვერ შეიყვანეს, არამედ მათგან წაქეზებულმა ქართველმა ბოლშევიკებმაც კი, მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ერთი დემონსტრაციის თუ ერთი გაფიცვის გამართვაც ვერ მოახერხეს.[90]

ახლა დემონსტრაცია და გაფიცვაც აღარ კმაროდა ბელადის „გადმოსაბირებლად" მოწაფის მხარეზე.

არამედ — საჭირო იყო აჯანყება!

ეს სიტყვა — „აჯანყება" — მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ისე უხელებდა სისხლს, როგორც ტოროს ტორეადორისგან აფრიალებული წითელი ფლანი.

მაშ, „მშრომელი ხალხის აჯანყება", რომელსაც უ ე ჭ ვ ე ლ ა დ დასჭირდება წითელი არმიის მიშველება, წითელი არმიიდან კ ა ე უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ XI არმიის — იგივე „სერგეების არმიის" მიშველება!

მაშ, აჯანყება, თუნდაც მ ხ ო ლ ო დ ე რ ქ ვ ა ს ასე, ბელადის უკვე დაეჭვებული სულის ასამღვრევად, მისი დაღლილი სისხლის ასაფორიაქებლად...

და, სერგომ თვალი დაადგა ლორეს ოლქს, სომხებით დასახლებულ ქართულ კუთხეს, რომელიც ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული მენშევიკურ საქართველოსა და უკვე ბოლშევიკურ სომხეთს შორის.

და ჩაუყენა „თავისი ამხანაგები" — ღაზიანი და ოვსეპიანი სათავეში ლორელებს სერგომ და, წინასწარ დანიშნულ დღეს (12 თებერვალს) აჯანყა ისინი „თბილისში მოკალათებული კონტრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ".

და იმავე დღეს „აჯანყებულმა მშრომელებმა" დახმარება სთხოვეს წითელ არმიას — მაინც და მაინც „სერგიების" XI არმიას.

ლორელ სომხებს ბორჩალოელი თათრებიც აჰყვნენ და გაჰყვნენ საქართველოს დედაქალაქის დასაპყრობად და მისი „კონტრევოლუციური მთავრობის" დასამხობად.

სანამ ეს „აჯანყება" მოხდებოდა, ლენინს ორჯონიკიძე-კიროვ-სტალინის ტრიუმვირატისგან ყური იმითაც ჰქონდა გაჭედილი,

რომ თურმე საქართველოს მთავრობას ქემალისტურ თურქეთთან მოლაპარაკება დაუწყია „რუსეთის აგრესიის“ წინააღმდეგ დახმარების თხოვნით და, სამაგიეროდ, არტაანისა და ართვინის გადაცემის აღთქმით. ამას გარდა, კიდევ „დამატებით“—ჟორდანიას მთავრობას უარი უთქვამს საქართველოს რკინიგზაზე გაატაროს საბჭოთა სომხეთის დასახმარებლად მიმავალი პურით დატვირთული მატარებელი.

და უეცრად ამოსკდა მოსკოვის კრემლიდან ფიცხელი ღენინური ბრძანებულება:

„...შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებელი ან მოახლოებული ომისათვის. ამ საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა, დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ამხ. ტროცკი, ამხ. ჩიჩერინი, ამხ. სტალინი. (რჩეული „ამხები“!).

...მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნება, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის. დაევალოს სარკინიგზო გადაზიდვის უმაღლეს საბჭოს, უახლოეს ვადაში მოახსენოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რა შესაძლებლობები გააჩნია იმისათვის, რომ ...ადიდოს ჯარების გადაყვანა კავკასიაში და კავკასიის ფარგლებში“.[90]

და, მაშინვე, 28 იანვარს, მოსკოვიდან ბაქოში, სტალინი დეპეშას უგზავნის ორჯონიკიძეს:

„ცეკამ მიიღო [illegible]დაწყვეტილება გაწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, ჩრმ შესაძლოა საჭირო შეიქნეს ს ა მ ხ ე დ რ ო ჩ ა რ ე ვ ა და ო კ უ პ ა ც ი ა. გადაწყდა აგრეთვე შეკითხვა გაუგზავნონ კავკასიის ფრონტს ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რა ძალები დაგვჭირდება კიდევ, რომ უ ე ჭ ვ ე ლ ა დ დ ა ვ ა მ ა რ ც ხ ო თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო, თორემ ტროცკი ირწმუნება, თქვენს ფრონტზე ჩვენ ერთობ სუსტი ვართო. აუცილებლად ჩემს სახელზე გამოუგზავნე ცნობა, შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი ძალთა არსებული რაოდენობით. თუ უნდა დავიწყოთ, უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ხელშოწერილი გვექნება ინგლისთან ხელშეკრულება... მე და ილიჩი ველით შენგან ზუსტ, გაუზვიადებელ ცნობას. № 1225. სტალინი“.[91]

მაშ, „საქართველო საშინლად გათავხედდა“, და, ბუნებრივად, „თავხედობისთვის“, უნდა დაისაჯოს კიდეც, — ბრძანებდა გიგანტი „მღვრია ჭაოსიდან“, უკიდეგანო სლავური „საშოისა“ და „მონგრეული მონღოლეთის“ ნაჯვარი, რომლის „გადალახვამ არ იცის საზღვარი“[92].

მაგრამ მაინც რა მკრთალად და კრძალულად გამოსჩანს ამ, ტომით უცხოსგან უცხოსადმი ნაბრძანები, შედარებით იმასთან, შვილს მშობლისადმი საბედისწერო განაჩენად რომ გამოეტანა: უნდა დავიპყროთო, უეჭველად უნდა დავჭმარცხოთო.

მართლაც და, — თავისი უხანგრძლივესი ისტორიის გზაზე, რამდენი მოღალატე შვილი დაჰბადებია უბედურ დედა-საქართველოს, მაგრამ ვის უთქვამს, ვის გაუბედავს ასე შიშველად, ურცხვად, და უტიფრად: საქართველო უეჭველად უნდა დავამარცხოთო?!.

ამაზე უარესად მხოლოდ თვითონვე იტყვის ერთი წლის შემდგომ სწორუპოვარი ამხ. სტალინი: საქართველო წაღმაუკუღმა უნდა გადავხნათო (მაშასადამე, უფრო უარესი „გადახვნით“ ვიდრე ოდესღაც რომაელებმა გადახნეს კართაგენი).

მაშ, ლაშქრობა საქართველოს დასალაშქრავად, დასარბევად და დასაპყრობად, „დასახნავად“!

მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული სამზადისი და „პროლეტარული სიფხიზლეა“ საჭირო.

აქ ხომ აზერბაიჯანი და სომხეთი არაა, თოფის გაუსროლელად რომ შევიდნენ და „იპროლეტ-ირევოლუციეს“ მათის ნებისად, ძლევამოსილად.

ან რაღა აზერბაიჯანი და სომხეთი, როცა მთელი ჭიპიც და ტვინიც — ზამთრის სასახლე — ბოლშევიკებმა სწორედ თოფის გაუსროლელად დაიპყრეს[93], და მთელ რუსულ საიმპერიო მემკვიდრეობას უპროლეტარო „პროლეტარული რევოლუციით“ დაეპატრონენ.

აქ კი, საქართველოა, — საქართველო, რომელიც „საშინლად გათავხედებულა“! არა მხოლოდ მისი მთავრობა, არამედ მთელი საქართველო!

მაშ, „გამორჩეული“ საომარი სამზადისი და ომი საქართველოს!

უკვე იმასაც აღარ ეძლევა მნიშვნელობა, რომ საქართველოს ბედოვლათმა დემოკრატიულმა მთავრობამ არტაანი და ართვინი, ეს

ორი ქართულ-კულტურული ბურჯი, თურქეთს ისე „სუფთად“ ჩაუგდო ხელში და სამარადჟამოდ დაუკარგა საქართველოს, რომ სამაგიეროდ ფიორისოდენა დახმარებაც არაფერი მიუღია თურქეთისაგან.

ან რა „პოლიტიკური ჭკუა“ უნდა ყოფილიყო, იმედი გქონოდა თურქეთისა რუსეთის წინააღმდეგ, როცა მაშინდელი თურქეთი სწორედ მაშინდელი რუსეთის წყალობით დამდგარიყო ფეხზედაც და მაგრდებოდა წელზედაც.

ასე, არტაან-ართვინი ხომ თურქეთის ლუკმად ჩააგდეს ჯორდანიამ და მისმა ამალამ, ახლა რუსეთის „ღალატისათვის“ საპასუხისმგებლოდაც დაეგდოთ მთელი საქართველო.

და კიდევაც უკვე „მიეცა პასუხისგებაში“ რუსეთს საქართველო.

კატასტროფას აჩქარებდა საქართველოს სამწლოვანი ამაო მათხოვრობა ევროპაში: მოიღეთ მოწყალება და სცანით ჩვენი დამოუკიდებლობაო. ვინც სცნო, ხომ სცნო, მაგრამ რა ფასი ჰქონდა სიტყვიერ ცნობას, უკეთუ არ იქნებოდა საქმიანი დაცვა. ვერც გერმანიამ, ვერც ინგლისმა, ვერც საფრანგეთმა და იტალიამ ვერ მოახერხეს შორეული საქართველოს დაცვა. სამაგიეროდ რუსეთმა იცოდა, და ამის დიდი გამოცდილებაც ჰქონდა, როგორადაც უნდა „დაეცვა“ საქართველო — „მისი საქართველო“...

ბოლოს, უდღეურ ერთა ლიგაშიც ამაოდ იმათხოვრეს და ინგლისმაც, ლოიდ ჯორჯის დაჟინებითი მოთხოვნით, საქართველოს საკითხი რუსეთის საქმედ სცნო.

და კატასტროფაც დატრიალდა ელვის სისწრაფით.

1921 წლის 15 თებერვალს გოგი-მაგოგის თეალუწვდენელი ღა წყვდიადოვანი სამყარო, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადმოჰკვეთა საქართველოსთვის საბედისწერო ტელეგრამამ:

„ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი!“

იგი დაწერილი იყო ქართულად, ქართველისგან ქართველისადმი: სოსო ჯუღაშვილ-სტალინი სწვრდა სერგო ორჯონიკიძეს.

(როცა დასჭირდებოდათ, მშობლიურ ქართულსაც მარჯვედ მოიმარჯვებდნენ ხოლმე საქართველოს დასამხობად მარჯვედ ამხედრებული ქართველები!).

საფუძველი კი ამ, „ყველაზე დიდი ქართველის“ დეპეშისა იყო ნაბრძანები „ყველაზე დიდი რუსისა“:

„...ცეკა არაა წინააღმდეგი, რათა XI არმია აქტიურად დაეხმაროს აჯანყებულებს საქართველოში და დაიკავოს თბილისი"[94].

სიხარულით ცას შეჰვედროდა ორჯონიკიძე.

ალბათ, არასოდეს მის სიცოცხლეში დგი ასე ბედნიერი არა ყოფილა.

და იმ ნეტარების წუთებში, იმავე 15 თებერვალს, ულმეორებით მიიღო დეპეშა სტალინისაგან:

„სამ დღეში ველოდები თბილისის აღების ამბავს".

სტალინური დაჟინებაც აღარ სჭირდებოდა სერგოს.

და მიუსია წითელძაბრიანთა ლეგიონები დედასამშობლო საქართველოს წმიდა სამანებს მისმა „ძლიერმა გაუცხოებულმა შვილმა".

ერთი დღეც და კიდევ მიიღო დეპეშა ორჯონიკიძემ სტალინისაგან: არ დაგავიწყდეს, საქართველოზე მოიერიშე რევკომში თათარი და სომეხიც შეიყვანეო; თუ მაინც და მაინც, ქართველი ფედერალისტები და მემარცხენე მენშევიკებიც გაითვალისწინე, მაგრამ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოდანო, რადგან აქამდე აღმოსავლეთ საქართველოს ხომ ყორდანია და მისი გურულების მთავრობა სჩაგრავდნენო.[95]

სერგოს ამ დეპეშის კითხვისას უნდა გახსენებოდა მისი „უბედური ქართველობა", მაგრამ თავი მაინც ბედნიერად უნდა ეგრძნო, რაკიღა გურული მაინც არ იყო!

მთავარი ბედნიერება მაინც ის იყო, რომ იგი უკვე თბილისისაკენ სალაშქრო უნაგირზე იჯდა.

მაშ, ერთხელ კიდევ, ეს მერამდენედ ათასეული წლების გასწვრივ — უცხო ძალები მოილტვიან საქართველოს წასახდენად და დასამონებლად;

ცოტა სომხები, ცოტა თათრები და ბევრი რუსები.

სომხები და თათრები, ვითარცა „აჯანყებულნი".

რუსები, ვითარცა „დამხმარენი".

მაშ, როგორ! — ჩვენ ხომ ვერ დავუცდიდით, როგორ დახვრეტდნენ მენშევიკები აჯანყებულებსო, — ეს იქნება შემდგომში ორჯონიკიძე-ოკუპანტის „დასაბუთება" საქართველოს ოკუპაციისა.

. . . . . .

წინა დღეს საქართველოს მთავრობას, ნოე რამიშვილის დაჟინებითი მოთხოვნით, ბოლშევიკთა ორგანიზაციების აკრძალვისა და

მათი მეთაურების დაუყოვნებლივ დაპატიმრების ბრძანება გაეცა.

მეორე დილით, მთავრობის სახლისაკენ მიმავალი ნოე ჟორდანია მოულოდნელად ფილიპე მახარაძეს გადაჰყროდა და გაეფრთხილებინა: ჩვენ წუხელ თქვენი დაპატიმრების დადგენილება მივიღეთ და ახლავე, სანამ ნოე რამიშვილი შეიტყობდეს, შენც თავს უშველე და შენმა თანამებრძოლებმაცო.

და ამნაირ „ჰუმანურ“ ადამიანზე ბრძანებდა ორჯონიკიძე: საქართველოში რუსული ჯარი იმიტომ შეიყვანე, რომ მეშინოდა, ვაი თუ ჟორდანიამ ლორეს სომხები და ბორჩალოს თათრები დამიხვრიტოსო!

აი, თქმაც ამნაირი უნდა და საბუთიც ამნაირი!

ჟორდანია რომ დამსვრეტი ყოფილიყო, პირველ რიგში სწორედ მათ დახვრეტდა — თვითონ ორჯონიკიძეს და მახარაძეს, მის დაუძინებელ მტრებს. აკი ორივე მის ხელთ იყო, მაგრამ ორივე თვითონვე გაუშვა და „გააპარა“ ამ „ნამეტანმა ჰუმანისტმა“ და „ნამეტანმა დემოკრატმა“.

რა გაეწყობა?! ესეც საქართველოს ბედისწერა ყოფილა, მოირა, ანანკე: ვისაც მაშინ საქართველოს გადარჩენა ეკისრებოდა, უნებისყოფო და ურისკო კაცი აღმოჩნდა, „თუ“-სა და „ვაი თუ“-ს კაცი. ხოლო, ვისაც რისკისა და თავზეხელაღებული მიწოლის უნარი ჰქონდა, იგი კიდევაც თბილისისკენ მიუძღოდა უცხოთა ჯარებს.

ქართველი კორიოლანუს!

უცხოური ლეგიონებით საკუთარი სამშობლოს დასამონებლად და დასამხობად რომ მიეშურება...

საქართველო მაინც საქართველოა და აზერბაიჯან-სომხეთიდან ერთი XI არმია არ ეყოფა, — ამიტომ კიდევ დანარჩენი სამი მხრიდანაც მიუსიეს წითელძაბრიანი ლეგიონები: ჩრდილოეთიდან, დარიალით — ლევანდოვსკი მოუძღოდა ჯარს, მაშისონით — თვითონ სერგეი კიროვი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან, აჭარის მხრიდან ცხენოსანი კორპუსით მოემართებოდა ელობა.

ასე, რომ — ყოველის მხრიდან შეტევაია მარშრუტებიც ბათლად ამჟღავნებდნენ სტალინურ-ორჯონიკიძური „სტრატეგიის“ უმთავრეს და უპირველეს მოტივებს: სომხების, თათრების, ოსების, აფხაზებისა და აჭარლების (!) გათავისუფლება დიდმპყრობელ-ნაციონალისტ-შოვინისტ ქართველთა ბატონობისაგან!

და მოისწრაფოდნენ გამათავისუფლებელი წითლები საქართველოს დამონებულ ხალხთა გასათავისუფლებლად, ქართველთაგან გასათავისუფლებლად!

ანუ, უფრო მოკლედ, მკვრივად და ლოზუნგისებურად:

ქართველთაგან საქართველოს გასათავისუფლებლად!

დიახ, — რას არ მოსწრებია ეს უბედური საქართველო, რა მიზეზით, მიზნით და მოტივით მასზე მოიერიშე მტერს არ შეხვედრია, მაგრამ ამნაირს?! — არასოდეს!

(სწორედ: „გამორჩეულობა" ბედად მოსდგამს ქართველ ხალხს!).

...და შემოვიდნენ საქართველოში.

მოდიოდნენ და წინ არავინაც არ უხვდებოდათ.

სისხლის დასაქცევად შემოსულებს სისხლის დაქცევაც „არ უხერხდებოდათ". უსისხლო ჟორდანია უსისხლოდ აბარებდა მტერს ქვეყანას.

21 თებერვალს, დამფუძნებელ კრებაზე, მხოლოდ ეს უთქვამს ჟორდანიას: მტერს თბილისთან მეორე ვერდენი ელოდებაო, „სწორედ ვერდენზე დაიმსხვრევა საბჭოთა არმია და საბჭოთა რუსეთიო".

აი, ჭკუაც ამას ერქვა და სტრატეგიაც! ტანს ხელს ვუშვებ და თავს შევირჩენო! ვერდენს პარიზი უნდა გადაერჩინა და იმაშივე მდგომარეობდა აზრიც „ვერდენობისა". ჟორდანია კი, უკეთუ მთელ საქართველოს უომრად თმობდა, თბილისის ვერდენობას რაღა აზრი უნდა ჰქონოდა?!

ეს „აზრიც" მალე გამოჩნდა.

თუმცა, უკვე კრწანისსა და სოღანლუღზე შემომდგარი მტერი ქართველებმა, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით, დაამარცხეს და 1 600 კაცი ტყვედ აიყვანეს.

მაგრამ აღმოსავლურ კარიბჭეებთან პირველი გამარჯვება თბილისს, თითქოს, ცუდად ჰქონდა დაცდილი: აკი ჯალალ ად-დინიც დაამარცხეს და აღა-მაჰმად-ხანიც პირველ დღეებში თბილისის დამცველებმა, მაგრამ შემდგომ?.. ვაი, იმ „შემდგომთა"!..

და, ახლაც: შემდგომად ამ პირველი გამარჯვებისა, ჟორდანია, მისი მთავრობა და მათთან მთელი სამხედრო შტაბიც — თბილისიდან გაიქცნენ!

და, უთავოდ დარჩენილ გამარჯვებულ ქართულ ჯარს ისღა დარჩენოდა, თვითონაც მიეტოვებინა სანგრები.

მხოლოდ ქართველ იუნკერთა მცირერიცხოვან რაზმს, კოჯრის მაღლობებზე, გადაეწყვიტა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმოდა მტერს.

და, რაც სთქვეს, კიდევაც ქმნეს:

„თეთრგიორგელთა“ რაზმი „წითელძაბრიანთა“ არმიას შეხვდა, შეება და ისე შეაწყდა, ერთიც რომ ცოცხალი უკან არ გამობრუნებულა.

ეს ერთადერთი და უკანასკნელი გმირობა იყო უკანასკნელი დამოუკიდებელი საქართველოსი.

გმირობა, რომლის ხსოვნად ქართველ ხალხში დარჩა ეს სიმღერა:

სიზმრად ვნახე საქართველო,
სისხლის ზღვაში ბანაობდა,
დაფლეთილი ჩვენი დროშა
კოჯრის მთაზე ქანაობდა.

სიმღერა, რომელიც თავისი სევდით, ცრემლით და კაეშნით, ძალზე შორს იყო კოჯრიდან იქვე, ალგეთზე, 350 წლის წინ ნაშობი, საოცრად ოპტიმისტური სიმღერისაგან:

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შესჭამონ მტრისანი...

11. ტანტალოს

და, იდგა ქრისტესშობითაგან 1921 წლის 25 თებერვალი, როცა უკანასკნელი დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი სისხლი დაიქცა.

შუადღისას თბილისის შუაგულში წითელძაბრიანთა ჯარი შემოდიოდა, — XI არმია, რომელზეც ადრე თვითონ ორჯონიკიძე ამას ამბობდა:

„XI არმიას რუსეთში არ იცნობენ. მას არ იცნობენ ჩვენი პარტიული ამხანაგები და, რაც ყველაზე სავალალოა, ჩვენ XI არმიას არ იცნობენ სამხედრო უწყების ხელმძღვანელებიც კი, საერთოდ

მიღებულია აგინონ XI არმია, როგორც ყოველნაირი პარტიზანებისა და ბანდიტების ბრბო. პირადად მე არასოდეს არ ვყოფილვარ მისი მოთაყვანე, მე ვხედავდი მის ყველა ნაკლსა და არასაკმაო ორგანიზებულობას".[93]

და შემოდიოდა საქართველოს დედაქალაქში „ბანდიტების ბრბო", რომელიც ჯერ კიდევ აზრზე ვერ მოსულიყო ეგზომ მოულოდნელი გამარჯვებით განცვიფრებული და გაოგნებული: მართლაც და, რით უნდა ასხნილიყო გუშინ გამარჯვებული ქართველების გაქცევა, ხოლო დღეს დამარცხებულთა გმირული თავგანწირვა?!

მერე, თბილისის სამხედრო საწყობებში — ამდენი საომარი აღჭურვილობა, ამდენი შესამოსელი და სურსათ-სანოვაგე?! ვის უნახავდნენ ქართველები, ხელი რომ არ უხლიათ, ისე გაქცეულან?! ჩვენ გვინახავდნენ, წითლებს, თუ რა?!.

სწორედ ასე გამოვიდა: ქართველთა საომარი აღჭურვილობით სწორედ ახლადშემოკრილი წითელი ჯარი აღიჭურვა, შეიმოსა, გამოეწყო და გამოძღა.

(მაშ როგორ, — ქართველები ხომ სტუმართმოყვარე და უცხოთმოყვარე ხალხია, უნიკალური ხალხი!).

მაგრამ, რაც იყო იყო, ამაზე თვითონ ქართველებმა იმტვრიონ თავი.

თვითონ გამარჯვებულმა წითელძაბრიანებმა კი თბილისის მთავარ მოედანზე პარადი გამართეს.

მთავრობის სასახლის თავზე კი წითელი დროშა აღმართეს.

და, ახლა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ სერავდა სიერცეს ეს ტელეგრამა:

მოსკოვი, კრემლი, ლენინს, სტალინს —

„თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"

ორჯონიკიძე.

მაშ, გაემარჯვა სერგო ორჯონიკიძეს!

(იმ ორჯონიკიძეს, ამასწინათ რომ ჟორდანიამ სიცოცხლე აჩუქა).

ამ დეპეშას ბაქოდან აგზავნიდა.

საერთოდ, ბაქოში მეტს იწონიდა ორჯონიკიძე, გაცილებით მეტს, ვიდრე თბილისში.

ეს, — ისევე, როგორც სტალინი.

ბუნებრივიც იყო, რადგან ორივენი უფრო „ბაქოელები" იყვნენ, ვიდრე „თბილისელები".

უფრო (გაცილებით უფრო) „ზოგად-ინტერნაციონალისტები" იყვნენ, ვიდრე „კერძო-ქართველები".

ხოლო, სულ მალე, უფრო (გაცილებით უფრო) რუსი დერჟიმორდებიც გახდებიან, ვიდრე ქართველები.

მაშ, გაქცეულიყო ნოე ჟორდანია, ვინმე ბრიყვი მლიქვნელისგან „ახალ დავით აღმაშენებლად" წოდებული.

გაქცევასაც რა უნდა — სულ ერთი დღის გასარბენი საქართველოდან გაქცევას. მაგრამ ჯერჯერობით ჟორდანიას და მისი მთავრობის გასაქცევი მანძილი მხოლოდ თბილისიდან ქუთაისამდე ჩატეულიყო.

თბილისში მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი დარჩენილიყო ყოფილი საქართველოს პარლამენტისაგან: მიხაკო წერეთელი, გერონტი ქიქოძე, შალვა ნუცუბიძე, გიგო ნათაძე, თედო ღლონტი.

თბილისის სამთავრობო სასახლეში კი, ნაჟორდანიალ სავარძლებში ახლა რევკომისტი კომუნისტები ისხდნენ — ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა; ესენიც, — განსაკუთრებით ფილიპე მახარაძე — ჟორდანიასგან სიცოცხლით დავალებულნი.

ისხდნენ...

იდგა მეორე დღე მათი „პროლეტარულ-სოციალისტურ-რევოლუციური მოსვლისა" — 26 თებერვალი.

სასახლის მოედანი და რუსთაველის პროსპექტი მგლოვიარე ხალხით გაჭედილიყო.

კოჯორზე დახოცილ ქართველ ჭაბუკებს მოასვენებდნენ, შავ კუბოებში ჩაკეტილებს.

მათი მკვლელებიც დამსწრენი იყვნენ — გაოცებულნი და ნახატურივით განლიგებულნი.

(რანი ყოფილან ეს ქართველები: მკვდრებზე ამდენი ამბავი?!).

დიდი საკრებულო ტაძრის ეზოში დაკრძალეს დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი რაინდები.

(გაიულის 15 წელიწადი და სათვალიანი სატანა, — რომლისთვისაც ჯერ ისტორიას არა სცალია — იმ ტაძარსაც მიწასთან გაასწორებს და იმ საფლავებზეც მიწის სატკეპნ მანქანებს გადაატარებს. მერე დადგება ქრისტესშობითგან 1989 წლის 9 აპრილი და აქვე, საქართველოს უიღბლო პატრიოტთა გადატკეპნილ სამაროვნებზე, ახალი სისხლი დაინთხევა, ახალგაზრდა ქართული სისხლი, ისევ გოგი-მაგოგის „ბორბარუსული“ ხელით დაღვრილი)...

ამხ. ლენინის ბრძანება კი მაინც წინ ედოთ ნაჟორდანიალ სასახლეში შეკეტილ „ამხებს“: გამონახეთ საერთო ენა ჟორდანიასთანო.

საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი: მტერი დავამარცხეთ და გავაქციეთ, რაღა უნდა ვეძიოთ მასთან კიდევ რაიმე ენის გამოსანახავიო, ჰკვირობდნენ, მაგრამ რა გაეწყობოდა: ბრძანებას აკი ლენინი აწერდა ხელს!.

და გამოიძახეს „ენის გამოსანახავად“ თბილისში ჩარჩენილი თუ „ჩამორჩენილი“ ყოფილი პარლამენტარისტები — მიხაკო წერეთელი, გიგო ნათაძე, გერონტი ქიქოძე და თედო ღლონტი.

ესენიც შევიდნენ მთავრობის ძველ სასახლეში ახალ მთავრობასთან.

დახვდნენ ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი და შალვა ელიავა.

ფილიპე უფრო დინჯად იყო.

მამია აღშფოთებული.

შალვა აღფრთოვანებული.

ნოე ჟორდანიას უგუნურებამ ამდენი ჯანსაღი ჭაბუკის სიცოცხლე როგორ შეიწირაო, — ყვიროდა ორახელაშვილი — „კოჯრის სანგრებში რომ ჩავიხედე და შიგ ახლად წვერ-ულვაშ აშლილი ჯარისკაცების და იუნკრების გვამები დავინახე, კინაღამ გული შემიღონდაო“.[97]

ელიავა კი სიხარულით იძახდა: გაკვირვებული ვარ, რომ ქართველმა ჯარმა „გამარჯვება არ გამოიყენა და იერიშზე არ გადავიდა ფართო მასშტაბით“. არა და, ჩვენს წითელარმიელებს, ქართველების შემოტევით დამფრთხალთ, გაქცევისგან ძლივს ვაკავებდითო.

ქართველ ჯარს ერთიც რომ ენერგიულად შემოეტიათ, ისე გვიჭ-ცეოდით, ბაქომდე ფეხს ვეღარ მოვიმაგრებდით და უკანაც ვეღარ მოვიხედავდით.[98]

მთავარი მაინც ეს იყო: საქართველოს ახალი ხელისუფლების კომუნისტურმა სამეულმა მოწვეული „ყოფილნი". ჟორდანიასთან ელჩობის რწმუნებით აღჭურვეს და დამოძღვრეს: ჟორდანიამ ყო-ველგვარი პირობის გარეშე უნდა მოახდინოს ჯარისა და გვარდიის განიარაღება და კაპიტულაცია, ამასთან დაუყოვნებლივ უნდა და-აბრუნოს გატაცებული საგანძურები. ამ პირობების აღსრულების შემდეგ, თვითონ ჟორდანიას უფლება ეძლევა დარჩეს საბჭოთა საქართველოში, ხოლო ნოე რამიშვილს, თუ ხელში ჩაგვივარდა, სასჯელი არ ასცდებაო.[99]

იმ დღეს, კიდევ, კომუნისტურმა მთავრობამ თავისი თანამებრ-ძოლი კომუნისტი პატიმრები გამოუშვა მეტეხის ციხიდან.

კოლონად მომავალ ნაპატიმრალ კომუნისტებს ყოველის მხრი-დან ხალხი აწვებოდა, აღშფოთებული ყვირილით, ძახილით:

„მოღალატენო!"

„საქართველოს გამყიდველებო!"

„მკვლელებო!"

„ნაძირალებო!"

და სხვ. მისთ.

ესეც იხილეს სასახლიდან გამოსულმა „ელჩებმა": იქვე, მენ-შევიკ გვარდიელთაგან დასახიჩრებულ კომუნისტთა სურათები გა-მოეფინათ.

ეტყობოდა, ახალი ხელისუფლება საზოგადოებრივ და პოლი-ტიკურ დაპირისპირებათა პირობებში მდგომარეობას უფრო ამწ-ვავებდა, ვიდრე აწყნარებდა...

დელეგაციას გიგო ნათაძე ჩამოშორდა და ქუთაისისკენ სამი გაეშურა — მიხ. წერეთელი, თედო ღლონტი და გერონტი ქიქოძე. ძიდიოდხენ დიდი ვაივაგლახით — თუ უგზოობით, თუ გაუთავე-ბელი ჩხრეკა-დაკითხვებით. წიფამდე ძლივს მიაღწიეს და უკანვე გამობრუნდნენ.

მეორედაც გაემგზავრნენ „ელჩები" ქუთაისისკენ, მაგრამ ვეღარ მიუსწრეს: ჟორდანია მისი მთავრობით ქუთაისიდან, „წითლების მოახლოებისა", ბათუმს გაქცეულიყო.

ხალხი ხომ ყველაფერს ეჩვევა („ხალხიც" ხომ ამიტომაა!) და ამ

„გაქცევასაც" მალე შესჩვეოდა, აღარც ღელავდა და აღარც გიჟდებოდა.

„საღელავი რაა? ერთი სოციალისტური პარტია მიდის, მეორე მოდის, სხვა არაფერი!" — იძახდა პეტრე გელეიშვილი,[100] ილია ჭავჭავაძის ერთი მომტერე და მისი მკვლელობის „კომიტეტის" წევრი.

და რაკი „საღელავი" აღარაფერი იყო, ამ სიბრძნის მთქმელთან ერთად, ძალიან ბევრმა მენშევიკმა გაქცეულ თანაპარტიელ სოციალისტებთან სირბილს ისევ „მოქცეულ" სოციალისტებთან დარჩენა ამჯობინეს და დარჩნენ კიდევაც თავის „ახალსოციალისტურ სამშობლოში".

საქართველოს „საღელავ საკითხებს" კი სერგო წყვეტდა, ერთპიროვნულად, მონოკომუნისტურად („მონარქიული" არ წამოგვცდეს!). თბილისში მისვლისთანავე, ისე რომ დასაჯდომზე საჯდომი არ დაუდვია, თერგის საოლქო კომიტეტს და იქაური ჯარების სარდალს ეს დეპეშა უფრინა:

„მენშევიკების მიერ გასახლებულ ოსთა დაბრუნების აბსოლუტურ თავისუფლებას თავისთავად წყვეტს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. ოსთა საკითხი აღარ არსებობს, ოსები თავიანთი ბედიღბლის სრული ბატონ-პატრონები არიან. საქართველოს საბჭოთა მთავრობამ მილიარდი მანეთი გაიღო სამხრეთ ოსეთის ოსთა დასახმარებლად. გადაეცით, გეთაყვა, სამხრეთ ოსეთის ყველა ოსს, რომ თავიანთ კერებში მათ დაბრუნებას ხელს სრულიად არაფერი არ უშლის"[101].

ასეთი იყო სერგოს დიდი, ინტერნაციონალური გული (აზრზე კი ლაპარაკიც ამაო არს).

ჟორდანია კი ბათუმს მისულიყო.

ვაგზალში ჩაჭედილი. სალონ-ვაგონში ჩაკუმშული.

გარშემო თურქ ასკერთა რაზმები დაშლიგინობდნენ.

ქართული მიწა სავსებით გამოშლოდა ფერხთაგან „ახალ დავით აღმაშენებლად" წოდებულს.

„მისი საქართველო" სრულად მოეცვათ „სხვა სოციალისტებს".

გოგსა და მაგოგს.

ანთროპოფაგებს...

გარეთ უსიამო ნესტი სუფევდა.

ნოეს თბილად ეცვა.

იქნებ, ერთხელ კიდევ გახსენებოდა, ფილიპე მახარაძემ რომ „დაასძინა“ იგი, ამ სამი წლის წინათ, რომელიღაც მიტინგზე: „შეხედეთ ჟორდანიას, აცვია შუბა, განა ასეთი ხალხი დაიცავს მშრომელთა ინტერესებს?!“[102]

ჰმ, „მშრომელთა ინტერესებს“!

ერთხელაც რომ არცერთ მხარეს, არც მენშევიკებს, არც ბოლშევიკებს, არ წამოცდებოდათ „ეროვნული ინტერესები“!

მხოლოდ და მხოლოდ აკვიატებული — „მშრომელთა ინტერესები“, „რევოლუციის მონაპოვარი“.

„ჩვენ ვიცავთ რევოლუციის მონაპოვარს!“

ფაქტიურად ეს ნიშნავდა საკუთარი უმაღლესი ძალაუფლების, საკუთარი დიქტატურის დაცვას და სხვას არაფერს.

ასე იყო „ორივე სოციალისტურის“ ფსიქოლოგიაში — მენშევიკურშიც, ბოლშევიკურშიც.

ახლა კი საქართველო მთლიანად ხელთ ეპყრა „მეორე სოციალისტურს“, ანუ ბოლშევიკურს.

მერე რა?!

ბოლშევიკები ხომ ჩვენი ძმები არიანო, — აკი ესეც მისი ნათქვამი იყო, საკუთრივ ჟორდანიასი...

ან ის თუ აწუხებდა, რომ მისი მიზეზით, ჯერ არტაან-ართვინი დაეკარგა საქართველოს და ახლა ბათუმიც დაეჭირათ ოსმალებს.

ეტყობა, აწუხებდა...

და უკანასკნელი სახელმწიფო საქმის გარიგება გადაწყვიტა ქართული მიწის მისაქციელსა და მიწურულზე მიმწყვდეულმა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარემ“.

სასწრაფოდ თავისი რწმუნებული, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ქუთაისს აფრინა, ბოლშევიკურ რევკომთან შესახვედრად და დასაზავებლად.

მაშ, 1921 წლის 18 მარტი.

შეხვედრა ქუთაისში.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის რწმუნებით — გრიგოლ ლორთქიფანიძე.

ბოლშევიკთა რევოლუციური კომიტეტის რწმუნებით — მამია ორახელაშვილი.

რსფსრ-ს საგანგებო რწმუნებით — აბელ ენუქიძე.

თანხმდებიან და ხელს აწერენ შემდეგ ხელშეკრულებაზე:

„1) სამხედრო მოქმედებანი სწყდება დაუყოვნებლივ.

2) დემოკრატიული მთავრობა ლიკვიდაციას უშვებს თავის ფრონტს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, ანთავისუფლებს საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას ეხლა უჭირავს და ხელს უწყობს რევოლუციონური კომიტეტის განკარგულებაში მყოფი ჯარების შესვლას ბათომის ოლქში მის დასაკავებლად და დასაცავად გარეშე მტერთა შემოსევისაგან.

3) რევოლიუციონური კომიტეტის საბჭოთა ჯარების ნაწილი პირველ რიგში, ბათომის გავლით, იკავებს ამ ოლქის სამხრეთ საზღვარს.

4) ქალ. ბათომში, მის რაიონში და რკინის გზის ხაზის გასწვრივ საჯავახოდან ბათომამდე და საერთოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად უკავია დემოკრატიულ მთავრობას, მარტის 25-მდე, ამ დღის თანჩათვლით, რჩება ამ უკანასკნელის ადმინისტრაცია და ძალა-უფლება.

5) რევოლუციონური კომიტეტის ჯარები შედიან ბათომის ოლქში, როგორც დემოკრატიული მთავრობის და მისი ჯარის მეგობრული ძალა.

6) ბათომის ოლქის გარეშე მტრისგან დასაცავად დემოკრატიული მთავრობისა და რევოლუციონური კომიტეტის ჯარების ერთად მოქმედების საჭიროებისა და მიზანშეწონილების საკითხს სწყვეტს ორივე ჯარის სარდლობა.

7) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარისა და გვარდიის გაშვება ამ არმიისა და გვარდიის მეთაურთა განკარგულებით ტარდება.

8) იმავე მეთაურთა განკარგულებით ჩამორთმეული იარაღი და სამხედრო მოწყობილობა ჩაბარდება საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტს.

9) ტანისამოსი, რომელიც ექნებათ ჯარისკაცებს, გვარდიელებს და ოფიცრებს სათანადო დადგენილების ძალით მათ საკუთრებათ რჩება.

10) ყველა სამხედრო პირი ღებულობს ჯამაგირს არმიისა და გვარდიის გაშვების დღემდე.

11) არმიისა და გვარდიის მეთაურობის განკარგულებაში აძლევენ ვაგონების და ორთქმავალთა საკმაო რაოდენობის ჯარის-

კაცების, გვარდიელების, ოფიცრების და მათი ოჯახების დასაბრუნებლად.

12) საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი უზრუნველყოფს ყველა სამხედრო პირის ბინებსა და პირად ქონებას, რისთვისაც საქართველოს რევკომი დახმარებას გაუწევს მათ თავისი სასამართლო და ადმინისტრატიული ორგანოებით.

13) სახელმწიფო ქონება, იარაღი, ორთქმავლები, ისტორიულ-კულტურული განძეულობა და სხვები, რაც დარჩა და გადაეცემა რევკომს, ითვლება საქართველოს რესპუბლიკის ქონებათ.

14) საქართველოს რევკომი დამატებით 1921 წლ. თებერვლის 25 ამნისტიისა ამტკიცებს, რომ პასუხისგებაში არ იქნებიან მიცემული ან სასამართლოს, ან ადმინისტრატიული წესით დევნილნი დემოკრატიული რესპუბლიკის არც ერთი სამხედრო მოსამსახურე, დაწყებული ჯარისკაციდან, გათავებული მთავარსარდლით, გვარდიელი, გვარდიის ოფიცერი და შტაბის წევრები, არც ერთი წევრი ადმინისტრაციისა და საერთოდ არც ერთი იმათგანი, ვისი მოქმედებაც გამომდინარეობდა სახელმწიფო და საზოგადო მოვალეობიდან.

ეს მუხლი ეხება მხოლოდ იმ მოქმედებათ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე.

15) რევკომი ხელს უწყობს ყველა ლტოლვილის თავისუფალ და საჩქარო დაბრუნებას თავის საცხოვრებელ ადგილზე.

16) საქართველოს მოქალაქენი — სამხედრო პირები, ჯარისკაცები, თანამდებობის პირები და ოფიცრები თავის ბეგარას იხდიან მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

17) შეთანხმება ესე ძალაში შედის ხელის მოწერის მომენტიდან.

საქართველოს რევკომის რწმუნებული მამია ორახელაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებული გრიგოლ ლორთქიფანიძე, რსფსრ საგანგებო რწმუნებული აბელ ენუქიძე.

ქუთაისი, 1921 წ. მარტის 18.“[103]

ასეთი იყო ხელშეკრულება, რომლის წასაკითხად ჟორდანიას აღარც კი დაუცდია.

იგი, თავისი თანამებრძოლებით და თანაკრახელებით, უკვე

ასულიყო იტალიურ გემზე, რომელსაც სახელად ერქვა — „ფერენ ჟოზეფ მირილლი“.

საქართველოს განძიც წინასწარ აეტანათ გემზე, ლობიოც ბლომად (კარლო ჩხეიძეს არ შესძლებია ულობიოოდ ცხოვრება.!), ქინაქინაც (ნოე ჟორდანიას აციებდა).

წინა დღეს, ბათუმის ციხეში ჩაკეტილი ბოლშევიკები გამოეშვა ჟორდანიას და ეს დაებარებინა „ანდერძად“: საქართველოს მიჰხედეთ, ბათუმიდან თურქები გარეკეთ!

გამოსათხოვარი სიტყვაც უკვე ეთქვა, პორტში შეყრილი ხალხის წინაშე: შეურიგდით ახალმოსულებს, ხელს ნუ გამოიღებთ და უაზროდ ნუ შეაწყდებით, — აცალეთ, თვითონ შეაწყდებიან ერთმანეთს...

ციხიდან გამოსულმა ბოლშევიკებმა — ს. ქავთარაძემ, ს. მეძმარიაშვილმა, ვ. სტურუამ, ი. პეცოევმა, შ. თავბერიძემ, მ. ტოროშელიძემ, მ. აბაშიძემ, თ. ჟღენტმა — სასწრაფოდ ახალი რევკომი ჩამოაყალიბეს. მაშინვე ბათუმის გათავისუფლებისათვის ზრუნვასაც შეუდგნენ და გამათავისუფლებელი ჯარების მთავარსარდლობა გენერალ გიორგი მაზნიაშვილს თხოვეს.

ეს თხოვნაც იყო და მოთხოვნაც.

მაზნიაშვილს კი, არცერთი სოციალიზმი არ სწამდა — არც მენშევიკური, არც ბოლშევიკური. მაგრამ სწამდა სამშობლო, მამული და მათთვის უანგაროდ თავდადება. ამიტომ, ბოლშევიკთა შემოთავაზებით გამოწვეული პირველი გაოგნება დასძლია, მთავარსარდლობა მიიღო, ქართულ ჯარს გაუძღვა და ერთი ძლიერი შეტევით ოსმალები ბათუმიდან გარეკა...

...იდგა ქრისტესშობითგან 1921 წლის 18 მარტი.

მენშევიკთაგან გათავისუფლებულ ბათუმში მე-18 ბოლშევიკური დივიზია შემოდიოდა.

იტალიური გემი უკვე მიაპობდა შავი ზღვის ტალღებს.

დასავლეთისკენ მიემართებოდა.

ქართველები მიჰყავდა.

ქართველები — გულზე მუჭა-მიწით შესკვნილნი.

(ნეტა, რას იწონის ასე მუჭა-მუჭად საქართველოდან გატანილი ქართული მიწა?!)...

იმ გემს მიჰქონდა ქართული განძიც (ექვთიმე თაყაიშვილი რომ მარქმეოდა).

ბლომად — ქინაქინაც (ნოე ჟორდანიას რომ აციებდა).
ბლომად — ლობიოც (კარლო ჩხეიძეს რომ „ნაყვარება“).

და ყოველივე ჰგავდა სიზმარს.

სიზმარივით იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოვლინებაც და გადავლინებაც.

საქართველოს დამოუკიდებლობა!

ჟორდანიამ რომ არმად მიიღო და არმადვე წამწარდა.

მაგრამ ვაი, რომ თვითონ საქართველოსაც წამწარდა!

მაინც რამოდენა „იღბალი“ დაჰყოლია საქართველოს — კობა და სერგო რომ გასჩენია!

ყოველი „სიკეთე“ რომ ქართველებს დასდევს ქუდბედად!

აბა, იმჟამინდელ პოლონეთს და ფინეთს როდი დაჰყოლოდათ ამნაირი ბედიღბალი — არც ერთს რომ „მისი კობა“ და „მისი სერგო“ არ დაჰბადებია და, ამის გამო, ერთიც და მეორეც, პოლონეთიც და ფინეთიც, დარჩენილან ისე — დიდი რუსეთისგან ჩამოშორებულნი, მისგან განკვეთილნი და „განწვალებულნი“.

ხოლო, საქართველო, ლენინისგან მონათლულ „ხალხთა საპყრობილედან“ ამ სამი წლის წინათ თავდახსნილი, ახლა მისი „გაცხოველებული“ და „გაუცხოებული“ შვილების წყალობით, — ისევ ლენინურ კოსმოპოლისში შებრუნებულიყო.

დიახაც რომ „იღბლიანი“ ყოფილა საქართველო.

იღბლიანი ტანტალოს, — თავისუფლების ნექტარით სავსე კრატერი რომ გააგდებინეს ნეტარეზით აძიგძიგებული ხელიდან, და კელავ დააგდეს მარადიული მწყურვალების საუფლოში, გოგისა და მაგოგის უსასოო სიწყვდიადეში, — იქ, სადაც წყურვილის დარწყულებაზე ფიქრს უკეთუ არ დაიშლის, ნექტარის ნაცვლად სისხლს შეასმევენ, საკუთარ სისხლს.

მერე, სისხლი რომ თავისუფლების წყურვილს ვერასდიდებით ვერ დაარწყულებს?!

სისხლი დაარწყულებს კი არა, კვლავ უარესად ახელებს წყურვილს

და იქნება ასე, ტანტალოს — მარადიული წყურვილისგან გახელებული.

ისინი კი, უფრო და უფრო შორდებოდნენ საქართველოს — უკანასკნელი „დამოუკიდებელნი“, უხერხემლონი, უნებონი, გულჩუკენნი და სულჩაწყვეტილნი.

და, — ყელზე მუჭა-მიწა შებმულნი.

(მაინც რას იწონის, საუკუნეთა გასწვრივ, საქართველოდან ასე მუჭა-მუჭად გატანილი საქართველო?! რ ა ს იწონის? რ ა ს-მეთქი და არა რ ა მ დ ე ნ ს...).

არა, ხალხი არა ქმნის ისტორიას.

ხალხი მხოლოდ მასალაა ისტორიისა, — საშენი მასალა.

ისტორიის შენობას კი, გმირები ქმნიან — ძლიერი სულნი, მონოკრატნი, ავტოკრატორნი, კოსმოფაგნი, ანთროპოფაგნი.

და, მათგან უდიდესი — ორმოცი წლის წინ, საქართველოს ერთ უჩინო ქალაქში, ტალახით ნაზელ სახლაკის ზღურბლზე, ახლადმოსკვნილი შიშველი ჭიპით რომ გადმოხოხდა... ხოლო შემდგომ, უკვე მოწიფულმა, კუკიაზე, საფლავთა შინა, საწუთისოფლო-საპროგრამოდ ეს დაიღმუვლა: „დღეს ჩემში მოკვდა უკანასკნელი თანაგრძნობა ადამიანთა მიმართ“. სულ ზემოთ კი, კოჭიმელის ცაზე ასვლისას, მთელი მსოფლიო რომ მისი წარბისა და ულვაშის ქვეშ მოიჩრდილება და მოინუსხება, მსოფლიო ისტორიის მთავარი რეკვიზიტიც რომ მის თითებში ჩაყინული ჩიბუხი გახდება...

მაშინ, ვაი შენ, ადამიანთა მოდგმავ, სრულიად ოიკუმენევ!

გამორჩეულად კი — ვაი შენ, „გამორჩეულო“, თანაგრძნობისგან გამოშლილო და შენი ჯილაგისვე სუპერსატანის წარბ-ულვაშთა ქვეშ მონუსხულო ქართლოსის ჯიშო!..

მაშ, იდგა ქრისტესშობიდან წელიწადი 1921.

ოდეს საქართველოდან გაქცეულიყო პირველი ცვლა ანტიილიელებისა.

და მოსულიყო მეორე ცვლა ანტიილიელთა — უფრო მტკიცენი, მძვინვარენი, უწყალონი, ულმერთონი.

მოსულიყვნენ და ისევ მოეყვანათ გოგ და მაგოგ.

გინა — ანთროპოფაგნი.

გინა — ლესტრიგონნი.

მოსულიყვნენ „სოციალისტური“ თუ „პროლეტარული“ რევოლუციის სახელით, — ისე, რომ სინამდვილეში, არც მანამდე და არც შემდგომ, ცისქვეშეთში არსად და არასოდეს:

არც მანიფესტური „აჩრდილი კომუნიზმისა“ გამოკვირტულა აჩრდილობისგან;

არც „პროლეტარები ყველა ქვეყნისა შეერთებულან“;

არც „პროლეტარული რევოლუცია“ მოლანდებია ქვეყნიერებას.

მაგრამ მაინც ასე დაარქმევენ, რაკიღა — იყო ნება მათი და არა ღვთისა.

და ასე, — ერთ დროს „ღვთისმშობლის წილხვდომილი საქართველო“ ახლა ამ უღვთოთა „ხვდომილი“ გამხდარიყო — ანთროპოფაგთა და ლესტრიგონთა...

და მეც, კეთილო მკითხველო, თუნდ მცირე ჟამით, შეძრწუნებული გული და გაელმებული კალამი უნდა დავასვენო, რამეთუ,— რაც „ამათ მოსვლიდან“ ბედშავ საქართველოს თავს დაატყდა — „მე ენა ვერ მიძრავს საშინელისა და საკვირველის თქმად“.

პირველი ნაკვეთის დასასრული

თბილისი,
ქრისტესშობიდან 1989 წლის 9 მაისი,
კახას დაბადებიდან 30 წელიწადი.

კარი პირველი — წმინდანის კუბოს გარშემო

1. თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, 1984, გვ. 32—33.
2. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., III, 1954, გვ. 289.
3. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. მეორე რუს. გამოცემა, ტ. 18, გვ. 555.
4. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. მეორე რუს. გამოც., ტ. 35, გვ. 221.
5. იქვე. გვ. 230.
6. კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974, გვ. XXXIII.
7. ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებ., ტ. X, 1928, გვ. 131.
8. კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1974, გვ. 23.
9. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., 1953, ტ. 3, გვ. 268.
10. ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებ. ტ. IX, 1928, გვ. 114.
11. იქვე, გვ. 116; 132; 150.
12. ლენინი, თხზ. ტ. 20, გვ. 504.
13. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებ. ტ. IX, 1928, გვ. 94.
14. ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. VIII, 1957, გვ. 312.
15. იქვე, გვ. 314.
16. ლენინი, თხზ. ტ. 6, გვ. 569—570; ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801—1929 წწ., 1980, გვ. 120.
17. ფ. მახარაძე, გ. ხაჭაპურიძე, ნარკვევები მუშათა და გლეხთა მოძრაობის ისტორიისა საქართველოში, 1932 (რუს)., გვ. 161.
18. „საქართველო", 1903, № 1; ა. ბენდიაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 170.
19. „საქართველო", 1903, № 3.
20. სილ. ხუნდაძე, ილია ჭავჭავაძის სახსოვრად, 1907, გვ. 11; ასევე წერდა ვალერიან გუნია, იხ. „ნიშადური", 1908, № 59; ასევე — „ისარი", 1907, № 222.
21. სტალინი, თხზ., ტ. 4, 1948, გვ. 56.
22. ს. კაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია, 1920, გვ. 209.
23. ფ. მახარაძე, გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 120—121.
24. იქვე, გვ. 149.
25. ა. ჯორჯაძე, თხზ. ტ. I, 1911, გვ. 57.
26. ფ. მახარაძე, გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 163.
27. „პრომეთე", 1918, გვ. 83.
28. ვ. აბაშიძე, „ცისკარი", № 12, 1985, გვ. 141—143; გ. მამულია, ილია ჭავჭავაძე და ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა, „განთიადი", № 6, 1987, გვ. 169—170.
29. იხ. ა. ჯორჯაძე, თხზ. ტ. I, 1911, გვ. 226; ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, 1984, გვ. 145—146.
30. სვერდლოვსკის (ყოფ. ეკატერინენბურგის) ცენტრ. არქივი; კ. ბუაჩიძე, გრძელი წერილი ვიქტორ ასტაფიევს, რუს. ხელნაწერი, გვ. 126.
31. ვ. ჩერქეზიშვილი, საქართველოს პეტიცია, „პრომეთე", 1918, № 3, გვ. 95.
32. იხ. მ. ბოლქვაძის მოგონება: ჟურ. „განათლება", 1908, № 3—4, გვ. 118;

ვ. აბაშმაძე, ილია ჭავჭავაძე — სახელმწიფოს და სამართლის პრობლემები, 1987, გვ. 215—216.
33. „განათლება“, 1908, № 3—4; ვ. აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 219.
34. „განათლება“, იქვე.
35. ა. ცაგარელი, საქართველოს უცილობელი უფლებები, რეს., 1919, გვ. 13.
36. ა. ბაქრაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 149.
37. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, 1907, გვ. 195—199.
38. ვ. გურგენიძე, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, ხელნაწ., გვ. 22—24.
39. იქვე.
40. იქვე, გვ. 204—207
41. „ისარი“, 1907, № 222.
42. პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, 1938, გვ. 24—25.
43. პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, 1938, გვ. 15; ი. ოდიშვილი, წიწამურის ტრაგედია, 1953, გვ. 44.
44. ვ. გურგენიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 6; ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 155—156.
45. პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 19—20; ი. ოდიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 28—30.
46. პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.
47. გაზ. „დროება“, 1908, № 22; „ჯვარი ვაზისა“, 1982, № 2.
48. ა. ირემაძე, ჩვენი სერგო, 1986, გვ. 15...
49. ვ. გურგენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.
50. იქვე.
51. ამის შესახებ იხ. იოსებ იმედაშვილის მოგონება — „ლიტერატურნაია გრუზია“, 1987, № 5, გვ. 10—12.
52. ფ. მახარაძე, თხზ. კრებ., ტ. IV, გვ. 10—12.
53. ა. სულხანიშვილი, რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე, პარიზი, 1985, გვ. 9.
54. „ჩვენი გზა“, 1907, 9 ოქტომბერი.
55. „მოგზაური“, 1905, № 18—19.

ქარი მეორე — წამინდანის კუბოს შემდგომ

1. პ. გელეიშვილი, ილია ჭავჭავაძე, გვ. 55.
2. „ნიშადური“, 1908, № 55.
3. პ. გელეიშვილი, ილია ჭავჭავაძე, გვ. 60.
4. ფ. მახარაძე, თხზ., IV, 1926, გვ. 103.
5. ფ. გოგიჩაიშვილი, უკვდავი ბოროტება, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 892, გვ. 3.
6. ნ. ჟორდანია, ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი, 1908, გვ. 3.
7. იქვე, გვ. 4.
8. იქვე, გვ. 18.
9. „ნიშადური“, 1908, № 38.
10. „ნიშადური“, 1908, № 40.
11. „ნიშადური“, 1908, № 48.

12. „ნიშადური“, 1908, № 59.
13. „ნიშადური“, 1908, № 43.
14. „ბატონ“, ერი და კაცობრიობა, გვ. IX.
15. იქვე, გვ. X.
16. იქვე, გვ. XI.
17. იქვე. გვ. XI—XII.
18. „ისარი“, 1907, № 131.
19. „ბატონ“, იქვე, გვ. XII.
20. იქვე, გვ. XIX.
21. იქვე, გვ. XX.
22. მარქსი და ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1974, გვ. 45.
23. „ბატონ“, დასახ. ნაშრ., გვ. XXII.
24. იქვე, გვ. XXIII; XXIX.
25. ა. ჯორჯაძე, თხზ. I, გვ. 24.
26. იქვე, გვ. 46.
27. იქვე, გვ. 60—61.
28. იქვე, გვ. 67—68.
29. იქვე, გვ. 70; 87.
30. გაზ. „ამირანი“, 1908, № 6.
31. ა. ასათიანი, ძველი და ახალი მემკვიდრეობა, გვ. 109, 113.
32. სილ. ხუნდაძე, მკვლელები და მცველები, 1907, გვ. 5—8.
33. იქვე, გვ. 15.
34. იქვე, გვ. 15—16.
35. იქვე, გვ. 17.
36. იქვე, გვ. 22—31.
37. იქვე, გვ. 42—44.
38. ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ., V, 1961, გვ. 241—244.
39. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., XIV, 1961, გვ. 342—343.
40. იქვე, გვ. 343.
41. იქვე, გვ. 342.
42. ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1965, გვ. 447.
43. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., XIV, გვ. 344—345.
44. ლ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 447—448.
45. იქვე, გვ. 456.

კარი მესამე — ათი წელი უ-ი ლ ი ა-ამდე

1. გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934, გვ. 223.
2. იქვე, გვ. 243.
3. ამ პარაგრაფისთვის თავიდან ბოლომდე გამოყენებულია თვითონ ვარლამ ჩერქეზიშვილის მოგონებანი, იხ. „პრომეთე“, 1918, № 3.
4. ვ. ლენინი, თხზ. სრ. კრებ., ტ. 3, გვ. 268 (რუს.).
5. ჟურ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 129.
6. ვ. ლენინი, ტ. 10, გვ. 514 (რუს.).

7. ვ. ლენინი, ტ. 19, გვ. 190 (რუს.).
8. ვ. ლენინი, ტ. 12, გვ. 271; ტ. 13, გვ. 318, 447 (რუს.).
9. ვ. ლენინი, ტ. 24, გვ. 41 (რუს.).
10. ვ. ლენინი, ტ. 48, გვ. 197, 208 (რუს.).
11. ვ. ლენინი, ტ. 13, გვ. 31 (რუს.).
12. ი. ჯაყჯავაძე, წაწერების სრ. კრებ., ტ. IX, გვ. 113, 114, 116.
13. ნ. ჟორდანია, ახალი გზით, გვ. III.
14. ნ. ჩხეიძე, სიტყვები, 1917, გვ. 13. (რუს.).
15. ჟურ. „კლდე", 1912, № 5.
16. ნ. ჩხეიძე, სიტყვები, 1917, გვ. 10—12; მისივე, საპარლამენტო სიტყვები, 1919, გვ. 7 (რუს.).
17. ვ. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 460 (რუს.).
18. ვ. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 78 (რუს.).
19. ი. წერეთელი, მოგონებანი თებერვლის რევოლუციაზე, II, გვ. 71 (რუს.).
20. „კვალი", 1903, № 14.
21. ვ. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 114 (რუს.).
22. იქვე, გვ. 129, 130, 137, 141 და ა. შ. (რუს.).
23. ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 224—225 (რუს.).
24. ბ. ბიბინეიშვილი, მეოთხედი საუკუნის მანძილზე, 1932, გვ. 43.
25. ი. სტალინი, მოკლე ბიოგრაფია, გვ. 43.
26. ა. კელენჯერიძე, გურჯები, 1975, გვ. 13.
27. დაწვრ. იხ.: ა. კელენჯერიძე, გურჯები.
28. ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ., V, 1961, გვ. 256—258.
28[1]. იქვე, გვ. 409.
29. იქვე, გვ. 266.
30. ვ. გურგენიძე, დამატებითი ცნობები (დოკუმენტები) ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით, ხელნაწ., გვ. 4—5.
31. იქვე, გვ. 5.
32. ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ., V, 1961, გვ. 237.
33. იქვე, გვ. 239—240.
34. რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, 1958, გვ. 87.
35. იქვე.
36. იქვე, გვ. 15.
37. საქართველოს უცხო ტომებით დასახლების შესახებ, იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, 1919.
38. ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ., V, 1961, გვ. 255.
39. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., III, 1954, გვ. 273—274.
40. რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 106—107.
41. ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 249.
42. გაზ. „იმერეთი", 1912, № 75.
43. „კლდე", 1913, № 5.
44. ი. წერეთელი, მოგონებანი თებერვლის რევოლუციაზე, II, გვ. 73 (რუს.).
45. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., XIV, 1961, გვ. 474.

46. „ივერია“, 1882, № 1; ა. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 151.
47. ილია, კრებული, 1987, გვ. 15.
48. „კლდე“, 1913, № 6.
49. იქვე.
50. „კლდე“, იქვე; ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., XV, 1963, გვ. 561—562.
51. „კლდე“, იქვე.
52. „მერცხალი“, 1913, № 23; „კლდე“, იქვე.
53. გაზ. „იმერეთი“, 1913, № 64.
54. რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 110—111.
55. „პრომეთე“, 1918, № 3, გვ. 94—95.
56. ა. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 198—199.
57. იქვე, გვ. 199.
58. იქვე, გვ. 199—200.
59. იქვე, გვ. 200—201.
60. „კლდე“, 1913, № 29.
61. ი. იმედაშვილი, ჩემი ცხოვრების წიგნი, 1978, გვ. 201.
62. იქვე, გვ. 234.
63. რევოლუციის მატიანე, 1926, № 1; უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, გვ. 94.
64. იხ. რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 123.
65. ა. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 203.
66. იქვე, გვ. 203—204.
67. რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 124.
68. იქვე.
69. იქვე, გვ. 134.
70. იქვე, გვ. 128—129.
71. იქვე, გვ. 130—131.
72. იქვე, გვ. 132.
73. ი. ჭაჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., V, 1955, გვ. 30—31.
74. ამ სიტყვისა და საერთოდ ამ მომენტის შესახებ, იხ. რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 99—102.
75. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., XIV, გვ. 171.
76. ი. იმედაშვილი, ჩემი ცხოვრების წიგნი, 1978, გვ. 200.
77. გ. იმედაშვილი, იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზებზე, 1984, გვ. 165.
78. ა. ასათიანი, ძველი და ახალი მემკვიდრეობა, გვ. 150.
79. რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 103.
80. იქვე, გვ. 104.
81. ნ. ჟორდანია, ორ წელიწადში, გვ. 103 (რუს.).
82. გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1917, № 52; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, 1972, გვ. 405.
83. „თანამედროვე აზრი“, 1917, № 52; საქ. ისტ. ნარკვ., იქვე; ა. კოკვიძე, საქართველოს ისტორია, II, გვ. 355.

84. იქვე;
85. რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.
86. ფ. მახარაძე, ოთხი წლის წინათ (მოგონება), გაზ. „კომუნისტი“, 1921, № 10; ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, პარიჟი, 1953, გვ. 107—108.
87. საქ. ისტ. ნარკვევები, VI, გვ. 409.
88. ნ. ჟორდანია, ორ წელიწადში, 1919, გვ. 5, 6 (რუს.).
89. იქვე, გვ. 5.
90. საქ. ისტ. ნარკვევები, VI, გვ. 410—411.
91. ნ. ჟორდანია, ორ წელიწადში, გვ. 6 (რუს.).
92. ამ ინციდენტის შესახებ, იხ. რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 154—155.
93. „ჯვარი ვაზისა“, 1987, № 1, გვ. 8.
94. იქვე, გვ. 9—10.
95. იხ. ლენინი, რჩ. ჩანაწერები, II, 1937, გვ. 13.
96. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, მოკლე კურსი, 1950, გვ. 229.
97. იქვე, გვ. 230.
98. საქ. ისტ. ნარკვევები, VI, გვ. 437.
99. ამ ამბების შესახებ: ი. წერეთელი, მოგონებანი თებერვლის რევოლუციაზე, II, გვ. 332—334 (რუს.).
100. საქართ. ისტ. ნარკვევები, VI, გვ. 448.
101. საქართველოს ისტორია, ი. კაჭარავას რედ., გვ. 155; ს. ბერიძე, 1917—1921 წლები საქართველოში, გვ. 48.
102. ნ. ჟორდანია, ორ წელიწადში, გვ. 47.
103. იქვე, გვ. 47—48.
104. 1917—1921 წლები საქართველოში, გვ. 56—57.
105. ნ. ჟორდნია, იქვე, გვ. 48.
106. იქვე, გვ. 49—50.
107. იქვე, გვ. 51—52.
108. გაზ. „ბრძოლა“, 1918, № 10.
109. ნ. ჟორდანია, იქვე, გვ. 52—58.
110. ი. სტალინი, თხზ., ტ. 4, 1948, გვ. 58.
111. ნ. ჟორდანია, იქვე, გვ. 58—59.
112. ე. ჯუღელი, მძიმე ჯვარი, 1920, გვ. XXVIII (რუს.).
113. რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, გვ. 58.
114. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, პარიჟი, 1953, გვ. 108.
115. მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს, 1927, გვ. 53; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1986, გვ. 346.
116. დოკუმენტები და მასალები ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკისა, 1919, გვ. 52 (რუს.).
117. იქვე, გვ. 27.
118. ი. სტალინი, თხზ. ტ. 4, გვ. 59—62.

119. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, II, გვ. 374; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, გვ. 555.
120. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, გვ. 123—124.
121. ს. შაუმიანი, რჩ. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 104 (რუს.).
122. დოკუმენტები და მასალები... გვ. 87.
123. რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 167.
124. დოკუმენტები და მასალები... გვ. 141.
125. იქვე, გვ. 142.
126. რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 173.
127. იქვე, გვ. 175.
128. დოკუმენტები და მასალები... გვ. 137.
129. იქვე, გვ. 155—156.
130. იქვე, გვ. 170—174.
131. იქვე, გვ. 178.
132. იქვე, გვ. 179.
133. იქვე, გვ. 185—186.
134. იქვე, გვ. 187.
135. რ. გაბაშვილი, გვ. 176.
136. დოკუმენტები და მასალები... გვ. 190.
137. ნ. ჟორდანია, ორ წელიწადში, გვ. 74—76.
138. ვ. ჯუღელი, მძიმე ჯვარი, გვ. 10—11; გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1927, გვ. 69—70.
139. ვ. ჯუღელი, იქვე, გვ. 16.
140. იქვე, გვ. 17.
141. იქვე, გვ. 17—18.
142. ნ ჟორდანია, ორ წელიწადში, გვ 91—92.
143. იქვე, გვ. 92—93.
144. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში 1918—1921 წ.წ., 1924, გვ. 54 (რუს.).
145. ორცსა, ფ. 2, საქმე 11, ფურც 67; ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, II, გვ. 379—380.
146. ზ. ავალიშვილი, იქვე, გვ. 59.
147. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, გვ. 128.
148. ვ. ჯუღელი, მძიმე ჯვარი, გვ. 20.
149. იქვე.
150. იქვე, გვ. 21.

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ — ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ

1. ი. წერეთელი, სიტყვები, ტ. 2, 1918, გვ. 102—113 (რუს.).
2. იქვე, გვ. 113—116.
3. ზ. ავალიშვილი, იქვე, გვ. 61.
4. დოკუმენტები და მასალები... გვ. 338.

5. იქვე.
6. იქვე, გვ. 339—340.
7. ზ. ავალიშვილი, იქვე, გვ. 93.
8. ნ. ჟორდანია, ორ წელიწადში, გვ. 106.
9. ამ ამბების შესახებ: გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 59—69.
10. იქვე, გვ. 70—72.
11. იქვე, გვ. 72—73.
12. იქვე, გვ. 74.
13. დოკუმენტები და მასალები... გვ. 391—414.
14. ე. დრაბკინა, ქართული კონტრევოლუცია, 1928, გვ. 79. (რუს.).
15. მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში, დოკუმენტების კრებული, შედგენილი გაიოზ დევდარიანის მიერ, 1931, გვ. 29—30.
16. გაზ. „ერთობა", 1918 წლ. 28 მაისი.
17. მენშევიკების ბატონობის დღენი... გვ. 30.
18. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, გვ. 609.
19. დოკუმენტები და მასალები... გვ. 375.
20. იქვე, გვ. 375—376.
21. იქვე, გვ. 376.
22. იქვე, გვ. 377.
23. ზ. ავალიშვილი, იქვე, გვ. 82.
24. იქვე, გვ. 83.
25. 1917—1921 წლები საქართველოში, 1941, გვ. 151.
26. ზ. ავალიშვილი, იქვე, გვ. 111.
27. ნ. ჟორდანია, ორ წელიწადში, გვ. 151—152.
28. ე. ჯუღელი, მძიმე ჯვარი, გვ. 27.
29. იქვე, გვ. 37.
30. 1917—1921 წლები საქართველოში, გვ. 155.
31. რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, გვ. 256—257.
32. დოკუმენტები და მასალები... გვ. 418.
33. იქვე, გვ. 418—419.
34. იქვე, გვ. 422.
35. იქვე, გვ. 424—425.
36. იქვე, გვ. 425—426.
37. იქვე, გვ. 426—427.
38. მენშევიკების ბატონობის დღენი... გვ. 37—42.
39. იქვე.
40. ზ. ავალიშვილი, იქვე, გვ. 163—164.
41. დოკუმენტები და მასალები... გვ. 428—429.
42. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, გვ. 619—620.
43. მენშევიკების ბატონობის დღენი... გვ. 44—45.
44. ე. დრაბკინა, ქართული კონტრევოლუცია, გვ. 80 (რუს.).
45. იქვე.
46. გრ. გიორგაძე, საქართველო, ანტანტა და რუსეთი, 1921, გვ. 8.

47. ელ. დრაბკინა, იქვე, გვ. 81; „ბორბა“, 17. IV. 1919.
48. იქვე, გვ. 81.
49. ს. ბერიძე, 1917—1921 წლები საქართველოში, გვ. 189—190.
50. იქვე, გვ. 191.
51. იქვე, გვ. 201.
52. ელ. დრაბკინა, იქვე, გვ. 84.
53. „სახალხო საქმე“, 1919, № 620.
54. გ. ხუნდაძე, საბჭოთა ხელისუფლება და ქართული საელჩო რუსეთში, 1920, გვ. 16 (რუს.).
55. იქვე, გვ. 17.
56. იქვე, გვ. 17—18.
57. იქვე, გვ. 18.
58. იქვე, გვ. 6—7.
59. იქვე, გვ. 8—9.
60. იქვე, გვ. 9.
61. იქვე, გვ. 9—10.
62. იქვე, გვ. 20.
63. იქვე.
64. იქვე, გვ. 16.
65. იქვე, გვ. 21.
66. იქვე, გვ. 26.
67. იქვე, გვ. 27.
68. იქვე.
69. იქვე, გვ. 29.
70. იქვე, გვ. 31—33.
71. იქვე, გვ. 33—34.
72. მიქოიანი 1971 წელს გამოცემულ თავის წიგნში — „ბრძოლის გზით“, იმ „კაპიტალურ ტრაბახში“, იმდენს და ისე თავგამოდებით ამტკიცებს ბაქოელ კომისართა დაღუპვაში თავის უცოდველობას, რომ ძალაუნებურად უნდა ერწმუნო შემდგომში ფრიად გახმაურებულ ვერსიას: 26 კომისარი 27-ემ (მიქოიანმა) დაღუპაო.
73. გაზ. „ერთობა“, 1920, № 8.
74. 1917—1921 წლები საქართველოში, გვ. 224.
75. „ერთობა“, 1920, № 35.
76. ზ. ავალიშვილი, იქვე, გვ. 285.
77. იქვე, გვ. 284—285.
78. გრ. ჟვანია, ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობით, გაზ. „კომუნისტი“, 15.V.1988.
79. გ. კ. ორჯონიკიძე, ამიერკავკასიის შესახებ, 1986, გვ. 83.
80. გრ. ჟვანია, იქვე.
81. ა. სურგულაძე, 1921 წლის 25 თებერვალი საქართველოში, გაზ., „კომუნისტი“, 22. II. 1989.
82. მენშევიკების ბატონობის დღენი... გვ. 142.

83. გრ. ჟვანია, იქვე.
84. იქვე.
85. იქვე.
86. იქვე.
87. გ. კ. ორჯონიკიძე, ამიერკავკასიის შესახებ, გვ. 86.
88. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, XIX-XX სს., II, გვ. 412—413.
89. გრ. ჟვანია, იქვე.
90. იქვე.
91. ლ. თოიძე, ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, თუ... გაზ. „კომუნისტი", 10.VI.1989.
92. გრ. რობაქიძე, ულიანოვ-ლენინი, ჟურ. „კავკასიონი", 1924, გვ. 7—8.
93. იხ. ბ. ვასილიევი, გიყვარდეს რუსეთი ავდარში, „იზვესტია", 18.I.1989.
94. ვ. ლენინი, თხზ., ტ. 52, გვ. 71.
95. იხ. ა. მენთეშაშვილი, ოქტომბრის რევოლუცია და ნაციონალ-გამათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1917—1921 წწ (რუს.), 1987, გვ. 185.
96. ე. კ. ორჯონიკიძე, ამიერკავკასიის შესახებ, 1986, გვ. 70.
97. გ. ჭიკოძე, თანამედროვის ჩანაწერები, „მნათობი", 1989, № 1, გვ. 24.
98. იქვე.
99. იქვე.
100. რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს,. გვ. 324.
101. გ. კ. ორჯონიკიძე, ამიერკავკასიის შესახებ, გვ. 144.
102. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, გვ. 117.
103. მენშევიკების ბატონობის დღენი... გვ. 209—211.

შინაარსი

წინაბჭე . . . 5

კარი პირველი — წმინდანის კუბოს გარშემო

1. ჰირისუფლები 7
2. მტრები 65
3. „გარე-წრისანი“ . 82

კარი მეორე — წმინდანის კუბოს შემდგომ

1. ჰეროსტრატე და ძმანი მისნი 104
2. სიტყვა „ნიშადურისა“ 108
3. სიტყვა „ალაროდიელისა“ 112
4. სიტყვა „ანარქისტისა“ 122
5. სიტყვა „ფედერალისტისა“ 129
6. სიტყვა ფილოლოგისა 133
7. „მთიდან ბღავილი ხარისა“ 140
8. „ჭერის გახსნა“ . . 144

კარი მესამე — ათი წელი უ-ილია-ოდ

1. პეტიცია 153
2. ენდოგენური შურისა გამო 163
3. ჟორდანია. „და სხვ.“ 166
4. ჯუღაშვილი „და სხვ.“. 174
5. „მოხალისე გურჯები“ 191
6. „ქურდის თავზე ქუდი იწვის“ 197
7. „შხამის ტბა“ 201
8. „კიევის რუკის“ გარშემო 204
9. „გელოვანის კაზუსი“ . 211
10. აღსასრული „დედა ენის“ შემოქმედისა 218
11. ისევ აკაკი . . 220
12. ტირიფონას პოლიგონი 226
13. „სამიწე კომისია“ . . . 229
14. „ქართველებო ყველა კლასისა, შეერთდით!“ 231
15. ისევ ჰეროსტრატე 235
16. მსოფლიო ომის დასაწყისი 239
17. შიში და სირცხვილი 252
18. ვინც საქართველოს დაეხოცა 257
19. „მთავრობაძე გარდაიცვალა“ 261
20. „დიდი ნოეს“ ვნებანი 265
21. ოდენ „მწიგნობრობითა“ 271

ნიანსიტყვაობა 272
22. „არღარა მონა, არამედ აზნაურ“... 284
23. „ოზაკომ“ . . . 288
24. ფერისცვალება პილატე ლანჩხუთელისა 291
25. კომისარიატი . 304
26. სისხლი — სოციალური ღირებულებით 310
27. უნივერსიტეტი . 315
27ა დიპლომატიური „მი-მო-ქცევები“ 320
28. ოჰის გზაზე . 331
29. „დამოუკიდებლობიდან“... „დამოუკიდებლობისაკენ“ 347

კარი მეოთხე — სიზმარი დამოუკიდებლობისა

1. „აპოკალიპსის“ . 359
2. დამცრობილი და დამცირებული 371
3. ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე 376
4. ქართველები და გერმანელები 407
5. საკუთარ სამოქალაქო ომში 414
6. ქართველები და ინგლისელები 417
7. სიჟაბუკე რესპუბლიკისა 431
8. უგემური დიპლომატია 478
9. ხელშეკრულება... „დამატებით“... 492
10. „...შეუტიე, დასტურია, აიღე...“ 514
11. ტანტალოს 527

გამოყენებული ლიტერატურა 540

САНИКИДЗЕ ЛЕВАН ДАВИДОВИЧ

ГРУЗИЯ В ЭПОХУ

«МЕСАМЕ ДАСИ»

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси
1989

მხატვარი ს. ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორები: დ. ფირცხალავა, თ. ფირცხალავა, ნ. ლომაძე.

ჩაბარდა წარმოებას 27.05.89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.10.89 წ. უე 06734. ფორმატი 60×84¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ჩეხულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 32,09. საღრ.-საგამომც. ფურცელი 27,56. პირ. საღებავგატარება 32,09. ტირაჟი 40.000, შეკვ. № 4677

ფასი 6 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება" რუსთაველის პრ. 42. თბილისი 1989

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი. 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр И Чавчавадзе. 33